საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოებისა.

# ხალხური სიტყვიერება

ლექსები, ანდაზები, სიტყვის მასალა
და გამოცანები.

ე. თაყაიშვილის რედაქტორობით.

წიგნი I.

(ამოღებულია „ძველი საქართველოს“ I, II და III ტომებიდან)



# ქართული ხალხური

## სიტყვიერების

## დიდი მოამაგის

# აკაკის

K 1108/2

## ხსოვნას

შინ არ გაიცემა

უძღვნის მადლიერი „საქ. საისტორიო და საეთნ.

საზოგადოება".

# სარჩევი.


ხალხური ლექსები, შეკრებილი სევასტი გაჩეჩილაძის მიერ
სოფ. წევაში, ზემო-იმერეთს . . . 1—48

თუშური ლექსები, შეკრებილი ივანე ბექურაულის მიერ . 49—111

ხალხური ლექსები, შეკრებილი გარეთ-კახეთში,
ს. პატარძეულში ზ. გ. ბილანიშვილის მიერ . 111—134

ანდაზები და სიტყვის მასალა, შეკრებილი გარეთ-კახეთში,
ს. პატარძეულში ზ. გ. ბილანიშვილის მიერ . . 134—162

ზემო-რაჭული ლექსები-სიმღერები, შეკრებილი აფრასიონ
ჯაფარიძის მიერ . . . . . . . 162—165

ხალხური ლექსები, სამესხეთში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ 165—168

ავარული სიმღერა კახეთის დარბევაზე, თარგმანი
ალ. სარაჯიშვილისა . . . . . 169—176

ხალხური ლექსები, ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის
მიერ . . . . . . . . . 177—372

ხალხური ლექსები, კახეთში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის
მიერ . . . . . . . . . 372—404

ხალხური ლექსები, ჩაწერილი ია კარბარეთლის მიერ . 405—412

ხალხური ლექსები, სამესხეთში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ 412—452

ანდაზები და აფორიზმები, სამესხეთში შეკრებილი ვინმე
მესხის მიერ . . . . . . 452—465

ანდაზები და სიტყვის მასალები, სამესხეთსა და გურიაში
შეკრებილი მესხი კონსტანტინე გვარამაძის მიერ . 466—483

გამოცანები, სამესხეთში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ . 483—485

გამოცანები, სამესხეთსა და გურიაში შეკრებილი მესხი
კ. გვარამაძის მიერ . . . . 485—488

ფშაური ლექსები, ფშავეთში შეკრებილი ვაჟა-ფშაველას მიერ 489—500

ანდაზები, ფშავეთში ჩაწერილი ვაჟა-ფშაველას მიერ . 501—508

---

დამატება: თუშურს ლექსებში ნახმარის სიტყვების განმარტება. 1—16

# ხალხური ლექსები.

(შეკრებილი სევასტი გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წევაში, ზემო იმერეთს).

## I

## საგმირო და საისტორიო ლექსები [1]).

### 1. ამირანი.

სანადიროთ დადიოდენ
ამირან და ძმანი მისი;
ათი თა [2]) რო გადიარეს,
მეთერთმეტე არგვეთისი [3]);
შუა თაზე რო მივიდენ,
კოშკი ნახეს ქვიტკირისი;

შიდა კვდარი [4]) აყენია
საწყალი და საბრალისი,
თითებსა და თითებ შუა
წიგნი ქონდა ქაღალდისი;
ამირანმა წეიკითხა:
„დისწული ვარ უსუპისი".

### 2. ბექანი და მარიჯანი.

ბექან, გივი და გოდერძი
ერანელ [5]) თავადებია.

ბექანს ტახმა შოუტია,
ჯაჭვის კალთა დოუხია.

---

[1]) ბ. ს. გაჩეჩილაძის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსები მრავალგვარი შინაარსისაა. «საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების» საბჭომ საჭიროდ დაინახა, საგნების მიხედვით, ყველა ეს ლექსები ჯგუფებად დაეწყო, რაც თავ-თავის ადგილას რომაული ციფრებით იქნება აღნიშნული.

[2]) მთა.

[3]) არგვეთი—სოფელია ზესტაფონის მახლობლად.

[4]) მკვდარი.

[5]) სხვა ვერსიით: «ერეჯნელ».

მძიმე ლახტი თავში დაკრა,
ტვინი ადგილ დოუმტვრია;
მოჰკრა თავი, მხარს გეიდო,
ეშვი ადგილ გოუთრია.
ავრასიონის ხემწიფეს
ქალი ყავდა მარიჯანი:
მზე არის ამამაყალი,
ხვინჭკაზე [1]) გადმამაყალი;
რაც კაცი იმას არ ნახავს,
მისი სიცოცხლე რა არი?
ბექან იჯდა ციხის ძირსა,
ანათლებდა [2]) მზესავითა.
ქალ-მარიჯან გადახედა:
„ვინ ანათლებს მზესავითა?
წადი, ძიძა, აქ მამგვარე;
ტყავ-ტალამას [3]) წამოგასხამ,
ოქრო-ვერცხლით მოჭედილსა!“
წეყიდა და ამოგვარა.
ბექან ლხინათ დააჯინა,
ცხრა დღე და ღამე ალხინა,
იმღეროდა წვრილი ხმითა.

მამა თავზე წამეესწროთ:
„შეხედე კახპა დიაცსა,
ქმარი ამჯობა მამასა?!
რისთვინ გაგზარდა მამამა,
რისთვინ გეტუოდა ნანასა?!“
— არც გოუზდივარ მამასა,
არცა მეტუოდა ნანასა:
აადუღებდა ფაფასა,
მითი დამწვამდა ხახასა!...
ბექან ხაროში [4]) ჩააგდეს,
თავს ხარხიმი [5]) გადაადგეს,
თავს მარიჯან დააყენეს,
ეშმაკებით გატენილი...
— ბექან არის ერანელი,
კაცთან არის საყვარელი.
თურანელო! რათ ვერ გაძეხ
ერანელის სისხლის სმითა?
— „მე რა უყო, ჩემო ძმაო?
შემარცხვინა ჩემა ქალმა...
ყველგნივ გეიტანა ქარმა!...“

## 3. სოლოლას ლექსი.

სოლოლამ ჩამეიარა
ქალაქშა იზინდრითა [6]).
სამჯელ ცხენი წამეექცა,
სამჯელვე მუხლის-ტრითა [7]).

[1]) ხვინჭკა — წვრილი კენჭები, ქვიშა.

[2]) ანათებდა.

[3]) ტალამა, ტალმა — ზემოდან ჩასაცმელი ტანისამოსი.

[4]) ხარო — ორმო.

[5]) ხარხიმი — ორმოს თავსახურავი.

[6]) იზინდარი — ვგონებთ, სამუსიკო იარაღია.

[7]) მუხლის-ტარი — მუხლის ქვემოთი ნაწილი ფეხისა, წვივი, კანჭი

შვიდი დღე-ღამე იარა,
ჩაბძანდა ხვანთქრის კარსათ.
რაცხა [1] იმისი ბედია,
ვეზირი დახვთა კარსათ: [ხარ?...[2]
— „სოლოლა, რაზე დარჯილ
ხვანთქარს ერთი არაბი ყავს,
თუ იმას ეჯირითები,
სიმაგრს 'დაგიჯჯენ ტახტსათ!“
— წადი, ის ცხენი მამგვარე,
რძეს რომ ასმევენ ტაშტსათ!
შვიდ მეჯინიბეს მოუყვდა,
შვიდი ძეწკვი აქვს თავსათ.
შეადგეს ოქროს ასალი,
რახტი ამოდვეს თავსათ.
მაზე სოლოლა შებძანდა,
რავარც როდინა [3] მტკვარსათ.
ისარი მეიტრიალა
შუაგულ მეედანსათ:
— „აპა, არაბო, მამდიე,
მამდიე ცხენის კვალსათ!“

ორი ესროლა არაბმა,
ორივ გადივლო თავსათ.
მესამე რო გოუბრუნა,
უხალა აბჯანდასათ.
გადმეიწია სოლოლამ,
დადგა ცალ აბჯანდასათ:
— „აპა, არაბო, გამექეც,
მოგდიო ცხენის კვალსათ!
ჯირითს ერთის მეტს არ გესვრი,
იმ ხვთისა სამართალსათ!“
ერთი ესროლა სოლოლამ
მარჯვენა ბეჭის ფთასათ.
დეიღრიალა არაბმა,
დეეცა მეედანსათ.
მოდიან სერდაბეგები,
შეგროვდენ მეედანსათ:
„ვაიმე, ჩემო არაბო,
ეგ რა კაცი გამოგიჩთა,
გაჯობა კლდაკის ძალსათ?!“

## 4. მამუკა სავანელი.

მამუკა სავანელია,
ტკპილი და საყვარელია,
ადგა, ცოლშვილს დეეკითხა:
„სიზმარი ვნახე ძნელია!
ადე, ბიჭო, შემიკაზმე
ჩემი თამაშა ცხენია,
ზედ იარაღი შემიდგი,
წინ აბჯანდები გძელია!“
სიპის ღელეს რო შეუდგა,
იქ დახვთა მისი მტერია,
თავი მოჭრა და მიგიდა;
წიფლისკენ კარბის ცხენია;
ეს რო წიფლებმა გეიგეს,
ალვირში ტაცეს ხელია,

---

1) რაცხა — რაღაც.

2) გარჯილხარ, მიბრძანებულხარ.

3) ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით.

ბატონს კაცი გოუგზანეს:
„მოგიკლეს სავანელია!“
—„ჩემ სავანელს ვინ მოკლავდა,
ვინ არი ჩემი მტერია?
ვიტირო, რავა ვიტირო?!
ცოლი-ძმა არი ჩემია!
ხვთის მადლს ნურავინ გოუმხელთ
მამუკაშვილის ქალსა!“
გამუარდა [1]) და იტირა,
თავი ახალს ქვასა;
სოფლის ქალი ვერ კაუდობს [2]),
იგლეჯდა გიშრის თმასა:
— „წითელ ტალახმას მეყვიხთა,
ჩემიცვამ ძაძა-შავსა;
მარშია [3]) მე რაღათ მინდა,
ჩემიცვამ ქალამანსა; [ხამთ,
ხვთის მადლს, ნურავინ დამძრა-
მარჯვეთ ვიტირეთ ძმასა!...“

## 5. ოთარას ლექსი.

საწყალობელი ოთარა
იყო ნაქები გვარსა.
სამი ჩერქეზი რო მოკლა,
მეოთხეს მიდევს კვალსა.
რომ მიწეოდა მამაძაღლს,
ადენდა სისხლის ღვარსა.
ეს მამაძაღლი ჩერქეზი
აბზიალებდა ხმალსა;
ოთარას თოფი მოარტყა
მარჯვენა თეძოს თავსა.
— „შენ, ბიჭო ორხელაშვილო,
შენ ნუ წახედავ სხვასა:
მამხედე, აქ ნუ დამაგდებ
ამ გაჭირვების ჟამსა!...“
გექცა ორხელაშვილი
წამეიკიდა მხარსა...
დაჯდა და წიგნი დაწერა,
ცოლს გოუგზავნა სახლსა:
„ჯიქედშიდა თოფი მამხვთა
მარჯვენა თეძოს თავსა;
ველარ მოგივალ ცოცხალი,
ველარ გეხვევი მკლავსა.
ეს წერილი წეიკითხე,
იგლეჯდე ლოყის კანსა;
მოკითხვა და ნახვის ნატვრა
ჩემ კუწასა [4]) და რძალსა.
სული ღმერთსა შემივედრეთ,
ნუ შეიწუხებთ თავსა!“

## 6. ომან ხაჩიშვილი

. ეს ომანი ხაჩიშვილი
ტან-წვრილი და სუფთა არი.
ბელექანს შამოუარა,
ბახჩა ნახა სამალავი.

---

[1]) გამოვარდა.

[2]) ვერ იპერს.

[3]) ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით.

[4]) კუწა — ქალის საკუთარი სახელია.

შათვათს წასული ომანი
კვირეს სადილათ შინ არი.
რას კითხულობთ, გურჯანლებო?
ომანო ყაზახი არი:
ასი კამბეჩი [1]) მოასხა —
ოცი ზაქის დედა არი!

## 7. სოლომან ბუტულაშვილი

სოლომან ბუტულაშვილი
კარგათ ინახამდა ცხენსა.
ძმა იმას ოუმბებოდა:
რატომ აჭმევ შაგდენ ქერსა?
— ორ ომში გამოსული ვარ,
მესამეში დამწერესა
ჯარში რო გამამაწვიეს,
სამი მასროლი თათარი
დაბალ ადგილას დამხვთესა...
გააქანეს ტყუპათ თოფი,
ტყუპათ სოლომანს მოხვთესა,
ორი რომ მოხვთა სოლომანს,
ერთი მის საჯდომსა ცხენსა.
გადეიწია სოლომან,
ერთ აბჯანდაზე დადგესა.
ეფენია, მისი ქალი,
თმა-გაშლილი მივარდესა.
— ნუ გეშინია, სოლომან,
კიდე ნახამ მამაშენსა!
— „მე მამაჩემს ვეღარ ვნახავ,
სამათ უმზერ [2]) მაღლა მზესა.
ეფენია წეიყვანეთ,
მუცელი არ წოუხთესა!“*
ამ ლექსების გამამთქმელსა
შვიდი გლეხი აჩუქესა!

## 8. გიორგი აფთიაშვილი.

გიორგი აფთიაშვილო,
შევარდენი ხარ მთისათ,
კარგა მხვნელი და მთესველი
მსახური ერისთვისათ!
ოჯახი კარქი გიდგია,
კოშკი გიდგია ხისათ.
ახალ შიდა, დეიძინებ,
არ გეშინია მტრისათ.
ტყვია-წამალი ბევრი გაქ,
თოფები ხვარესნისათ.
არ მოგრჩა ტყეში ნადირი,
არც ორაგული წყლისათ.
დევეხსნათ და ჯარს წევიდეთ,
ბძანება არი ხვთისათ.
გამოგვეინიშნეს, მოგვიკლეს
გიორგი ალვის ხისათ.
გიორგი მარჯვეთ იყავი,
ნუ დეეკარგვი შვილსათ!
ღმერთი მოგცემს ბარაქასა [3]),
ქამანჩასა და შტვირსათ;

[1]) კამეჩი.
[2]) ვუმზერ.
*) ამას ქვემოთ, ალბათ, მესტვირის საკუთარი სიტყვებია.

გინდა დოვუკრავ ქამანჩას,
გინდა პატარა შტვირსაო.
მიდღემჩი ნურა სტკივა-რა
თქვენი დედ-მამის შვილსაო!

## 9. მარიამ-დედოფალი.

ნეტა რა არი მისთანა:
ამამაყალი მზისთანა,
წყალში რო ფეხი უდგია,
იმ ოქროს ჩარდახისთანა [1]),
გაღმით-გამოღმით ქალაქი,
შუაზედ მეიდნისთანა,
დედის მუცლიდან ნაშობი
მარიამ-დედოფლისთანა? [2])

მარიამო, რამ გაგავსო, [სო?
თოთხმეტი დღის მთვარის მგზავ-
შიგნით თვალი სამოთხის გაქვს,
გარს წამწამი ხშირი გაქვსო.
მდომიერმა კაცმა გნახოს,
ამას იტყვის: „ელვა დგასო!“
ერთი შენი შამოხედვა
ათას ჯავრსაც დაკარგავსო!

## 10. რეჯება და არჩილ-გიჟი.

რეჯება მოდის იმერეთს,
ინით იღებავს ულაშსა;
ჯარსა იმედს ეუბნება:
„თუ ჩაგიყვანე იმერეთს,
სულ პინით [3]) გასმევ ღვინოსა!“
ათასი კაცით რეჯება
დეებარგა ნებოძირში [4]).
ნეფესთან [5]) მორბის ჩაფარი:
„მოგვეხმარე გასაჭირში!“
ნეფემ უთხრა: „არჩილ [6]) ძმაო,
არ წევიდეთ, არ იქნება!“
არჩილმა წამეიძახა:
„შემიკაზმეთ ბერი-კვიცი [7])!“
მათრახი ერთი ამოკრა,
იქ მოუსწრო ჭარტლის [8]) ძირში.
შექნეს ლეკებმა ფურჩული:
„მოგვეწია არჩილ-გიჟი...
გევითხაროთ ყველამ მიწა,
რომელსაც გვაქ დანის ლინწი [9])!“
რეჯებამ შამუაგინა

[1]) ამ ჩარდახს დღესაც უჩვენებენ ქუთაისში, რიონის პირად, ვაჟების გემნაზიასთან.

[2]) სოლომონ II-ის მეუღლე.

[3]) პინა—დიდი ჯამი.

[4]) ნებოძირი—სოფელია ზემო იმერეთს, ბექანთუბნის ახლო.

[5]) მეფე სოლომონ I-ელთან.

[6]) ეს არჩილი სოლომონის ძმა იყო. გამბედაობისთვის «არჩილ-გიჟს» ეძახდენ.

[7]) ხალხის თქმით, ეს „ბერ-კვიცი“ ზღვის ცხენი იყოო.

[8]) ჭარტალი—სოფელია ნებოძირის ახლოს.

[9]) ლინწი—პატარა დანა.

ბატონიშვილს დედა პირში.
ერთი არჩილმა შესძახა:
„შენი რჯულის საქმეც ვიცი: [ჩენ,
ზოგს მოგკლავ და ზოგს მოგარ-
ზოგს ღორის ქონს გასხამ პირ-
ხოსია [1]) ჭ არჩილ-გიჟი [ში!“
შუას ქვეით ჩაჯდენ თხრილში.
წამოუჩოქა ხოსიამ,
ლეკსა თოფი მისცა ცხვირში.
ბერმა-კვიცმა თქვა საწყალმა:
„ამას თქვენგან არ ველოდი,
თუ საფრათ გამიკეთებდი!
ასი ფთა ჩიგვი [2]) მენახა,
ბეგონა დაგიფთხებოდი?!
სიპ ქვაზე გეწენებიე,
შუბივით დევესობოდი;
აღმართში ვიყავ მერანი,
დაღმართში დავგორდებოდი.
მეჯინიბის ჯავრი ჩამყვა,
ნეტავი იმას ვრგებოდი:
წყლის სასმელათ გამიყვანდა,
წელს შემიზელდა ერბოთი,
ნიტრა [3]) ქერს პირს ამაკრავდა,
ისე მაჭმევდა გემოთი.
რას ღირს-ხარ, ყვაო-ყორანო,
შენ ჩემი ხორცით ძღებოდი!“

## 11. კოსტანტილე დათაშკელიანი.

დათაშკელიანის ქება
გათქმულა ქვეყანაზედა.
სვანეთიდან წამევიდა
გახარებული გზაზედა.
ხემწიფის ბძანება არი,
ნახმობია რაცხაზედა:
გაგარენმა [4]) მიიწვია
თავის საკუთ.რ ტახტზედა;
გაგარენმა გოუმცხადა:
„თავადმა და აზნაურმა
ხელი ეიღეთ უმაზედა!“ *)
— იმ დღეს ღმერთმა ნუ შემასწ-
ხელი ამელოს უმაზედა; [როს,
მისთანა საქმეს კი ვიზამ;

---

[1]) ხოსია მაჭავარიანი ცნობილი ვაჟკაცობით.

[2]) ჩირგვი, ბუჩქი.

[3]) ე, ი. ლიტრა ანუ 9 გირვანქა.

[4]) ქუთაისის გუბერნატორი იყო.

*) როგორც ვიცით, გაგარინისა და დადიშკელიანის შეტაკების მიზეზი სხვა იყო; მაგრამ ხალხის ფანტზიას აქ სხვა-და-სხვა ფაქტი ერთ მანეთზე გადაუბამს.

თავს მევიკლავ მაგაზედა!...
სატევარს [1]) ხელი გკისვა,
ოთხი დასჭრა ერთ-წამზედა;
ყველა გაფანტ-გამოფანტა,
ერთი სტოლ ქვეშ შეუძვრესა.
კოსტანტილე გამევიდა,
უნდა რიონს ჩავარდესა:
„მე რომ ამ წყალში ჩავარდე,
სირცხვილია ჩემ თავზედა!...“
გამობრუნდა კოსტანტილე,
მიდის ბაქრაძის სახზედა;
ბაქრაძის სახში შევიდა,
ლეკურს [2]) აკოცა ტარზედა:
„მე შენ აქ არ დამრჩენოდი,
შევისრულებდი ცხრაზედა!..“
ჯარები შამეესია,
რავარც ბალანი თავზედა,
დეიჭირეს კოსტანტილე,
მოუავსთ ზე ნაობახზედა...
ეს ალექსანდრემ [3]) შეიტყო,
ცრემლი მოადგა თვალზედა:
„ვინ მამიკლა გაგარენი?
მიყვარდა მამის გვარზედა!...“
ვეზირებმა მოახსენეს:
„ვინ იქნება აგი კაცო,
თქვენ რო გაჯობოს ძალზედა?...
ყოველმა კაცმა უყურის
სულის-ხორცის გაყრაზედა!...“
კონსანტილე ბეიყვანეს,
მაღლა თოკით შიაბესა,
ძირიდან თოფი ესროლეს,
ძირს საფლავში ჩავარდესა.

## 12. ივანე აბაშიძე [4]).

საწყალობელი ივანე
რა მოსაგონი ენითა!
ათასში გამოსარჩევი,
თავადიშვილი ხელითა!
მტერზე ხმალ-და-ხმალ მიმსვლელი
რა საშინელი ელვითა!
ხუთასს ერთ მისვლით მოკლავდა,
მობრუნდებოდა ლხენითა.

## 13. შაქარა კიკნაძე.

რუსის ჯარი რო მევიდა,
ჩამეიპარა ვანსაო,
ზურაბ [5]) დაირა დოუკრა
დაჯით ბაქრაძის კარსაო.

[1]) სატევარი—ხანჯალი.

[2]) ლეკური—ხმალი.

[3]) ალექსანდრე II იმპერატორმა.

[4]) ცნობილი იყო, როგორც რუსთა მფლობელობის წინაალმდეგი იმერეთში.

[5]) ზურაბ წერეთელი—მომხრე რუსთა მფლობელობისა იმერეთში.

დავით ბაქრაძის ცოლ-შვილი
იქ შოუშენეს მთასაო.
მას ხოსია უკან მიდევს,
მიაჭენებს მერანსაო;
მას მაქარა უკან მიდევს,
მიაპრიალებს ხმალსაო
შაქარ კიკნაძე მოგვიკლეს,
სუფელას ჯობდა ძმასაო.
მახარობელი მორბოდა.
— „ბიჭო, რა მოგარბენიებს?
ხვთის მადლს, ნურავინ გოუმხელთ
მამუკაშვილის ქალსაო!“
— ბიჭო რა მოკარბენიებს,
როგორ მახარებ ქმარსაო?
— ბატონო, რა მოგახსენო?
მოასვენებენ კვდარსაო!...
იკივლა, კარში გავარდა,
შულოთ [1]) იგლეჯდა თმასაო.
გამდელმა ხელი შეავლო:
„ბატონო, თავს რაზე იკლავ?
კიდევ იშოვი ქმარსაო!“
— მე მისთანას ვერ ვიშოვი
შაქარსა და შარბათსაო!

## 14 პეშტია (ხუმარა) ეუბნება სოლომონ მეფეს:

ერთი ბრეთი, არადეთი,
რუისი და შაქარშვეთი,
გორს წისქვილი, ატოცს ჯვარი...
ღმერთმა დაგიწეროს ჯვარი!
გადმამიგდე იტრიაო,
ვითამ ერთი კიტრიაო!

## 15. ინგლისი და რუსეთი.

ნეტა რას გადაგვეკიდა
ეს ა ნ გ ლ ი ა და ხვანთქარი?
რუსები მოწყობილია:
თოფი და ხმალი მზათ არი!

## 16. ბატონ-ყმობის გაუქმება.

იმპერატორმა-ხემწიფემ
გაგვხადა თანატოლები:
მოახლეები დათხოვდენ,
ჭადს აცხობს ქალბატონები.
ახლო-ახლო დაასახლეს
ქვიშხეთი და ტაში-კარი.
ბატონს კაცი ჩამოართვეს,
ქალბატონებს გულის კარი [2]).

## 17. მცხეთის ტაძარი.

ცხეთა! ისე აგაშენე,
არცა ტკვარი, არც არაგვი
ცვარი არ ამამილია.
ოსტატმა მარჯვენა მამჭრა:
«კარქი რისთვის აგიგია?!»

[1]) შულო – ერთი მოხვევა ძაფი. აქ კი ნიშნავს: «ბლუჯა-ბლუჯა» იგლეჯდა თმასაო.

[2]) გულის-კარი—გულის-პირი, ქართული (ქალის) კაბის ქვეშ გულ-მკერდის დასაფარავი ნაჭერია.

## 18. ლექსი მზის დაბნელებაზე.

მეცნიერები მევიდენ,
ანგარიშს კრეფენ ცისასა,
სოფელში გამოაცხადეს:
დაღამდეს შუა-დღისასა.
ზოგ-ზოგი ერთათ მიდიენ [1]),
ზოგი მიდიენ ღვდლისასა:
„ეგებ ღვდელმა გვიპატიოს,
წიგნებს კითხულობს ხვთისასა“.
რა სალმობას [2]) მევესწარით
მთვარისასა და მზისასა!
ერთმანეთსა პირის კოცნით
ამბავს კითხავენ გზისასა.

## 19. ბაზრის დაწვა სოფ. წევაში.

ორშაბათ დილას დეიწვა
საწყალი წევის ბაზარი:
ძაღლი და ღორი დეიწვა,
თან მაფრინვალი ქათამი,
სულ ნამეტურ გადიბუგა
ნაქალაქები [3]) ფართალი,
წამლები კაცი ვერ ვნახეთ,
ერთმა არ გვითხრა მართალი.

## 20 ხოლერას ლექსი.

ხორელას [4]) ამბავს მოგითხრობ,
შიგ ჩავატან გამჩენელსა.
სამი ბერი ერთათ დაჯდა,
ერთი პური გასტეხესა:
წევიდეთ და შევეხვეწოთ,
ვევედროთ ჩვენს გამჩენელსა:
ხალხი მთელათ გაურჯულდა
ბარემ ყველა გათათრდესა!
ნათლიობა აღარ არი,
ვიღა იტყვის მეზობელსა?!
ხვთიშობელი [5]) ხორციელი
სურიელათ გაფრინდესა;
წევიდეს და იქ მიბძანდეს,
ასე უთხრას ქრისტე-ღმერთსა:
შვილო-ძეო, რას მიპიროფ?
შენ რომ ხალხი გამიწყვიტო,
ვინ ახსენებს დედა-შენსა?
ან სამთელსა ვინ მამიტანს,
ვინ მამართმევს ზედაშესა?
— „დედა-ჩემო! მათ გულისთვის

---

1) მიდიან.

2) ე. ი. სალამს, ერთმანეთის მოკითხვას.

3) ე. ი. ქალაქიდან (თფილისიდან) მოტანილი.

4) ხორელა — ხორველა, ხოლერა.

5) ღვთისმშობელი.

თავი მივე სატანჯველსა:
დამიჭირეს ურიებმა,
მაგრათ ხელი გამიკრესა,
მეიტანეს ძმარ-ნაღველი,
შენს მეუფეს ის ასვესა“.
— ბეგედრები, შვილო-ძეო,
მაპატივე ორი წილი,
მესამედი შენ დაგრჩესა!
— „წადი, დედა, და მიბძანდი!
ნება შენი ასრულდესა“.
წამობძანდა ქრისტე-ღმერთი,
მოწაფენი გვერდს უსხდესა:
— „წავახდინო, როგორა ვქნა,
როგორ მირჩევთ, მოწაფენო!
ცეცხლი მივცე, არ იქნება,
იქნებ სუყველა დაწვასო;
ქარი მივცე არ იქნება,
ეგებ ყველა გადაყაროს;
წყალი მივცე, არ იქნება,
იქნებ ყველა დაახრჩოსა!“
ცხრა სული ისთული
ყველა ერთათ გამგზავრდესა.
უმალ რუსეთს გააგზანეს,
ას როტაში შოუშვესა.
ასე გაწყდა ასი როტა,
ბავშიც აღარ გოუშვესა.
ხემწიფე ტირილით სკდება,
თვალიდან ყრის ცხარე ცრემლსა.
პატრები იქ დაიბადენ.
— დამიძახეთ აქიმებსა!
ზოგი გაჭრეს მუცელზედა,
მათი გულ-ღვირძლი ნახესა:
ხვთის რისხვით წამხდარი არი,
წამალი არ მოუხდესა.
მანამ უკან წამევიდენ,
იქ „ხორელა“ დაარქვესა.
იქიდან რო წამევიდენ,
„სულ-მეტყველი“ დასძახესა;
ქალაქს წიგნი გამოგზანეს:
„მადაც მოვალთ ორ-სამ დღესა!“
ჩაჩნის ხიდზე რო მევიდენ,
სამი ანგარიში ქნესა:
სამსა დარჩა ავლაბარი,
სამსა თათრის მეედანი,
სამიც ხიდის ყურზე დგესა.
სამ რიგათ შამოუარეს,
გარეთ არვინ გოუშვესა;
ერთ დღეს მოკლეს ცხრა ათასი,
ანგარიში ვეღარ ქნესა;
თათრისა მეედანზედა
ჭურეხივით დაყარესა.
ქალაქის უსამბაშები [1])
დაჯდენ, ანგარიში ქნესა:
„ამისთანა სატკივარი
არ უნახავს პაპა-ჩვენსა.
არიქა! ყველამ გავასწროთ,
თვარა ამოვწყდებით დღესა!“
— „გეურქ-აღა გვემალება,
სად დეეხეტება დღესა?“
რვა სარდაფი ჩეიარა
და მეცხრეში რომ შევიდა,
არწყევვინეს, ამიხევინებს [2]),

[1]) უსტაბაშები.
[2]) აღებინებს ცხვირიდან და პირიდან.

ცჯვინებს დედის ხსენსა.
მეორე დღე რო გათენდა,
ნახეს: ჩვენი ბეურქ-ალა
დიდი რუმბივით ძეგსა.
საფლავები ამოთხარეს,
მკვდრები ერთათ ჩაყარეს.

## II

## ლექსები სხვა-და-სხვა წოდებათა და სოფლის მოხელეთა შესახებ:

1.

აზნაური ჭადს არა ჭამს;
თუ მოშივდა, ჭირსაც მაჭამს.

2.

აზნაურის სტუმრობაო
ნუ გგონია ხუმრობაო.

3.

ღმერთო! კაი დარი ქენი,
დარი დარზე მოაბიო,
აზნაურშვილი გასწყვიტე,
კვდარი კვდარზე მოაბიო!
გლეხი კაცი მოაშენე,
სახლი სახლზე მოაბიო!

4.

მიყვარდა აზნაურობა,
გვერდზე დახურვა ქუდისა,
ქალაქში გავლა-გამოვლა,
გადაკიდება ჩხუბისა.
შემძულდა სახტარ-სამრეკლო,
შიგ წირვა-ლოცვა ხუცისა;
ახლა შევდგები, მოვკვდები,
ღმერთო, შენ იცი სულისა!

5.

ავი ბატონის ხელშიო,
ვერ გავიმართე წელშიო:
დილა-საღამოს მიძახის:
„წადი გეირჭვე წელშიო!“

6.

ყველიერში ყველი ვჭამე,
აღდგომასა დიდი ვაცი.
ღმერთო, შენ გადააშენე
კორდაძე [1]) და მისი კაცი!

7.

ეო, მეო, დევან ჩხეიძეო! [2])
შენი გოგო თამარაი
მე მევიტაცეო;
წისქვილს უკან გედვიხედე:
ჭალა იდგა ტყეო,
ძროხა მგელსა შეეჭამა,
ხბო იძახდა „მეო!“

[1]) კორდაძეები – აზნაურები ყოფილან.

[2]) ჩხეიძეები აზნაურები არიან.

## 8. ბეჟან მიქელაძე და მისი ყმა.

Თავად ბეჟან ბერის ძეს მიქელაძეს, დავით მაჭავარიანის გერს, ყმამ თოხის ლინგით (მწვეტით) თავი გადააჩეხა. სიკვდილის წინ აი რას მოსთქვამს მიქელაძე:

მოაწია ჟამმა ჩემმა,
მოგშორდი-ყე ბეჟან თქვენი,
ყოვლი კაცის თავდაბალი,
მორჩილი და ფეხთა მტვერი.
წევედი, ამიერიდან
მე თქვენს ნახვას ვეღარ ვძლი.
ვაი თუ საწყალ დედა-ჩემს
არ გოუშრეს თვალზე ცრემლი!
მოგიძულე, დედა-ჩემო,
სიმწუხრით გაძაღლებულა;
დავტოვე ჩემი სასახლე
უდროვოთ გაცივებული,
ჩემი ლამაზი მეუღლე
უდროვოთ დამქვრივებული.
ვიყავ ერთ კვარეს მდებარე,
აღარ მქონდა მამაცობა;
ვიძახოდი: მამარჩინე,
ვისაც გწამდეს ჩემი ძმობა!
დედა თავზე დამტიროდა,
ვერ მივეცი ჩემ გულს ცნობა.
ჩემა კაცმა მიღალატა,
არ იკადრა ჩემი ყმობა,
არც ჩემი სამსახურია,
შევიქენი მე საწყალი
უდროვოთ დამარხულია.
დედა ჩემს ეცით ნუგეში,
ვინც რომ ხართ ჩემი გვარია.
მე ჩემს სიკვდილს აღარ ვწუხვარ,
ჩამყვა მე გულში ჯავრია.
ვაჭმე, ჩემო სივაჟკაცე!
შენ რა გრჯიდა ამის თქმასა?!
მარამ სოფელს ვეთხოვები,
გულზე ვიდევ ლოდის-ქვასა! [1]

## 9. როსაფ ამირეჯიბი.

როსაფი ამირეჯიბი
გამოწკეპილი ტანშია.
თვალათ და ტანათ კარქია,
ტოლი არა ჰყავს გვარშია.
მარამ შეცთა ერთ საქმესა:
ქალებს მიდევდა სახშია.
დეირჩენ ბიჭი ოსები,
როსაფს დოუხვთენ გზაშია.
ოსეთის მოურავი მას
საყმოთ არ ყავდა მათშია.

[1]) ლოდის ქვა"—საფლავის ქვა.

ერთი ოსი თოფს ფერავდა,
კარქათ აწყობდა ტანშია.
შეხედეს: მოდის როსავი,
შეიგრიხება ტანშია.
მარცხენა გვერდის ღლიაში
მუარტყეს ტყვია ცხელია.
იმისმა ცოლმა სოფიომ
სიზმარი ნახა ძნელია.
მეიხმო თავის გამზდელი,
სიზმარი უთხრა ძნელია.
გამდელმა იმედი მიცა:
„ნუ გეშინია, ბატონო,
ახალ-შამოდგომა არი,
სიზმარი არაფერია!“
რომ წამოდგა დილაზედა,
ხელი იბანა, პირია.
მახარობელი მევიდა,
სახელათ ერქვა ბერია.
— „ბერო, შენ გენაცვალები,
ამბავ რა იცი ჩვენია?“
— რომ მოკახსენეფ, ბატონო,
მისთანა შენი მტერია!
მოგვიკლეს ჩვენი როსავი,
ტყვია მოარტყეს ცხელია!
ამდელი დიდი მიდორი
ფეხშიშალ გოურბენია [1]);
აღარც ეძება ქოშები,
არც შეკაზმული ცხენია.
მივიდა, ცრემლი აყარა,
სულ მდუღარება ცხელია:
„ამას სულ გეუმბებოდი:
ეიდე მათზე ხელია!“

## 10. ლექსები მღვდელ-დიაკონზე.

ა.

დიაკონო კეკნებაო,
სებისკვერი გექნებაო!

ბ.

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
აღაპი [2]) არი რუსეთსა.
— ქე კი არ მეშორებაო,
მარამ ქე მეპჭორებაო [3]).

გ.

— დიაკონო, დიაკონო!
აარიგე-მოარიგე,
ფაში [4]) გლახებს დოურიგე,
სხვა ხვირჯინში ჩაარიგე!

დ.

დეითხოვეთ ეს ხუცესი,
ჩვენსა ნუ დეიარება!
აღარ გვინდა მისი წირვა,
არცა მისი ზიარება:
ჩვენ რომ სახტარში გვეგონოს,
ქალებში დეიარება!

ე.

გადირიენ ეს ხუცები:
ქალებს არ ზოგვენ სხვისასა;

---

1) როხათის ცოლს.

2) მიცვალებულს წლის თავზე წირვას გადახდიან და ყველას მი იწვევენ, ვინც განსვენებას დასწრებია; სამღვდელოება აღაპიდან ხორაგეულობით დატვირთული ბრუნდებოდა ხოლმე შინ.

3) ე. ი. ჭორი მგონია, თორემ სიშორეს არ მოვერიდებოდიო.

4) საქონლისა ან ცხვრისა, საკურთხად მოტანილი.

არშიყობას დეიწყებენ
იმ თავის მოწაფისასა.
მოწაფეებს რომ არ ზოგვენ,
ჩვენ რას ვირწმუნებთ მისასა?!
ტაბლებით დასუქებულან,
სათბილოს [2]) ჭამენ ცხვრისასა!

## 11. მამასახლისი.

პავლია მამასახლისი
მაღალია ხესავითა;
ბოქაული დეიბარებს,
მაშინ წავა თხლესავითა;
ულაშებში რომ აწიკავს,
ფულს მეიტანს ბზესავითა.

# III

## ლექსები ოჯახის წევრთა, ნათესავთა და სტუმარ-მასპინძლობის შესახებ:

### 1.

სუფრა, ლხინი ხან-გაშლილი,
ზედაც ღვინო ლალ-წითელი.
დედ-მამის უპატიურსა
ცეცხლში უდევს ენის წვერი.

### 2.

გასათხოვარი ქალი ამბობს:

დედამ კაბა შემიკერა,
დამიკერა ღილებიო,
ღელე-ღელე მარბენია,
მაკრეფია თხილებიო.

### 3.

ახლათ გათხოვილი ქალი ამბობს:

დედამ მამცა ერთი ძიმი [1])
გიშერია, ზედ წერია:
„ყველას კარგა მეეკიდე,
მე ვეღარას გიშველია!“

### 4.

ოდელია — დელა,
რკინის კაკუჭელა!
სამი ძმანი დიაკონი
სახტარს უკან ფლავსო,
ზე კანაფი ამოსულა,
ლელივითა [3]) დგასო.
ლელი გამიშვეტია,
ჭურში ჩამითენია;
ჭური ადუღებულა,
ქალი აკივლებულა;
ქალსა ვაჟი ყოლებია,
დედას გახარებია;
მამას თოფი დუცლია,

[1]) სათბილო—ცხვრის ხორცის ერთ-ერთი (საუკეთესო) ნაჭერია, რომელსაც მღვდელს მიართმევენ ხოლმე თბილათ მოხარშულს, ან შემწვარს.

[2]) ძიმი — მძივი.

[3]) ლელი— მცენარეა.

გულში დატაკებია.
— წადი, შვილო, თანდილა,
ჭალა მეინადირე:
ჭალა ეკლიანია,
ხოხობი დამიჭირე.
თას შედექი მაღალსა,
დოუძახე თამარსა:
თამარ კაი ქალია,
ჩვენი პატარძალია,
ნეკს ბეჭედი აცვია,
იმერეთის თვალია!

5.

ერთმა გასათხოვარმა ქალმა სიზმარი ნახა და თავის დედას უთხრა:

წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტა, დედა, რა არი?
ალვის ხე წაქცეულიყო,
ნეტა, დედა, რა არი?
მას შტოები დამტვრეოდა,
ნეტა, დედა, რა არი?
მას ფურცელი გასცვენოდა,
ნეტა, დედა, რა არი?
წყაროს თვალი დამსილიყო,
ნეტა, დედა, რა არი?
წყალს კიდობანი მოქონდა,
ნეტა, დედა, რა არი?
მას სამოსელი მოქონდა,
ნეტა, დედა, რა არი?
ბერი ხარი მობღაოდა,
ნეტა დედა რა არი?
ბოსელში ფური ღმუოდა,
ნეტა, დედა, რა არი?
ორი გვრიტი ღუღუნობდა,
ნეტა, დედა, რა არი?
წვრილ-ჩიტები მოდიოდენ,
ნეტა, დედა, რა არი?
წინ ყორანი მოუძღოდა,
ნეტა, დედა, რა არი?

სამი დღის შემდეგ მოკვდა ქალი და დედამ დაატირა:

ალვის ხე რომ წამეიქცა,
შვილო, შენი ტანი არი ..
ვაჲ შენს დედასა!
მას შტოები რომ დეემტვრა.
შვილო, შენი კლავებია...
ვაჲ შენს დედასა!
ფურცელი რომ გასცვენოდა,
შვილო, შენი თმები არი...
ვაჲ შენს დედასა!
წყაროს თვალი რომ დამსილა,
შვილო, შენი თვალებია...
ვაჲ შენს დედასა!
წყალს კიდობანი მოქონდა,
შვილო, შენი კუბო არი...
ვაჲ შენს დედასა!
მას სამოსელი მოქონდა,
შვილო, შენი სუდარია [1]...
ვაჲ შენს დედასა!
ბერი ხარი მობღაოდა,
შვილო, შენი მამა არი,
ვაჲ შენს დედასა!

[1]) სუდარი — მკვდრის შესახვევი ტილო.

ბოსელში ფური ღმუოდა,
შვილო, შენი დედა არი...
ვაჲ შენს დედასაო!
ორი გვრიტი ღუღუნობდა,
შვილო, შენი დები არი...
ვაჲ შენს დედასაო!
წვრილ-ჩიტები მოდიოდენ,
შვილო, ასაბია 1) არი...
ვაჲ შენს დედასაო!
წინ ყორანი მოუძღოდა,
შვილო, დეკანოზი არი...
ვაჲ შენს დედასაო!

6.

ბოსტანშია გადმიხედე,
გაშლილიყო ბაიაო 2).
შენ რომ გლახა ქმარი გყავდეს,
მე რა გიყო დაიაო?!

7.

ამევიარე ალიო,
იქ დამეკარგა ქმარიო;
ვეძებე და ველარ ვნახე,—
ამოუარდა გვარიო!

8.

მე ვარ ქალი, ქვეყნის თვალი,
დარო ჭიჭინაძის ქალი.
კვირეს სახტარზე ბეჭედი,
შამამედგა ქვეყნის ჯარი 3).
ყმაწვილებო, ჩამოდექით,
დამანახვეთ ჩემი ქმარი!
ხვთიშობელო, შენ მამიკალ
ჩემი ოჩობედა 4) ქმარი,—
შემოგწირო თეთრი კრავი,
მასთან დაუღლული ხარი!

9.

კაპასი ქალის შაირი
რაგა გამოვთქვა ენითა!
ქმარსა ასე ოუმბება:
„შენ სახლი-კაცსა წელ-კავი!“ 5)
სულ დაამტვრია კეცები,
ცეცხლზე დაადვა ხელ-კავი.
არცა უძებნა დაქფული,
არცა უძებნა წისქვილი;
ცოცხალი ბევრი უგინა,
კვდარი ვინც უყვდა, მიცვლილი.

10.

მე გოგია კვანტრეშვილსა
გული მქონდა კდესავითა 6):
რძლები კარქი მეგიყვანე
ამამავალ მზესავითა.
მე საჩუქრებს მეველოდი,
დამაჯინეს ტყვესავითა.

1) ასაბია—მიცვალებულის პატივ-საცემლად შორიდან წამოსულის ნათესავის მხლებელი, თანამგრძნობელი.

2) ბაია—ყვითელი ფერის ყვავილია.

3) ჯარი—ხალხი.

4) ოჩობედა—სულელი, უხეირო.

5) წელ-კავი—ერთგვარი ავათმყოფობაა წელისა.

6) კდე—კლდე.



K 1108

## 11.

ბოსტანშიდა გადვიხედე,
ქინძი უგავა, ქინძარათ.
შენ რომ რძალი მეიყვანე,
გინდ იყოს და გინდ არათ.

## 12.

რძალს ასეთსა მევესწარი—
შავ უგითელსა, წეროს ფერსა;
მე ვინ მამცემს იმდონ ფერსა [1]),
რომ წოუსვა ყოველ დღესა.

## 13.

შენი რძალი მე მინახავს
ლამაზი და კვიწინათ [2]);
ხარზე [3]) დოუკერებიათ
სათვალე და ლინჯილათ [4]).

## 14.

სიმავრი ეუბნება თავის სიძეებს:

ღელე-ღელე შევიარე,
სარტყელი ვნახე ორ-კეცი.
რავარიც კაცი იყავი,
მისთანა ქალი მოგეცი.
აცა შვილო, აცა შვილო,
ლუტიძე და ბაქსაშვილო!
მე მამეცი გლახა ხარი,
შენ მოგეცი გლახა ქალი.
მე კი დავკლავ გლახა ხარსა,
შენ რას უზამ გლახა ქალსა?!

## 15.

სიდედრი ეუბნება სიძეს:

სიძეო, ჩემო სიძეო,
მზე და ვარსკვლავის მგვანეო!
მზითვი ბევრი გაგატანე,
ეზო გადაგიფარეო;
დიდხან ნუ დააგვიანებ,
შენ შენი წეიყვანეო!

## 16.

სიძემ დეიტრაბახა სიდედრთან და-
კარქულ ქისაზე:

ვაი, ჩემო ქისაო,
ოქროს ქსოვილისაო!
შიგ ნადები საქონელი —
ფასი სამოთხისაო.

სიდედრმა უპასუხა:

ვნახე შენი ქისაო:
თხისა ციბიკისაო;
შიგ ნადები საქონელი
ჭილო ნიორისაო! [5])

ოფლში გეიწურა სიძე და გეიპარა.

## 17.

ვაი, რა ვქნა შავ დღისაო,
აგი დედამთილისაო?

[1]) ფერ-უმარილი.
[2]) კვიწინა—პატარა და მოხდენილი.
[3]) მხარზე.
[4]) „სათვალე და ლინჭილა" —მწარე ბლის პატარა ჩხირია და მძი-
ვი, რომელსაც ბავშს მხარზე აკერებენ: ავმა თვალმა არ გალალოსო.
[5]) ჭილო ნიორი—ერთი შეკვრა (კონა) ნიორი.

სახში [1]) შევალ, კუნტს მეძახის,
გარეთ გავალ, ძუნძულასა;
საჭმელს შევჭამ, დორს მეძახის,
არ შევჭამ და — წუნიასა;
მამიყენა წიწილებსა,
გავატანე ძერასათ.
ღმერთო, მალე მამაშორე
დედამთილის მზერასათ!

18.

საზანდარზე (სტვირზე) იციან დამ-
ღერება:

— „პატარძალო! პატარძალო!"
— რაო, ბატონო? რაო, ბატონო?
— „დოუძახე! დოუძახე!" [2])
— ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ!
ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა...
მეთერთმეტე დაკარქულა,
თავ-ქოჩორა ნაცარათ:
მელამ წაადანცარათ!
— „მოგიყენე წიწილებსა,
გაატანე მელასათ?!"
— ღმერთო, მალე მამაშორე
დედამთილის მზერასათ!

## 19 ქალის მოტაცება.

ამფერუმ, ბიჭო სახინო,
რომ აასრულე თქმა ისი:
ფერაძეს ქალი მოტაცე,
იყო პირველი მაისი.
შუაღამე რო შეიქნა,
ჭიმკარს ცხენი შამევიდა.
შუაღამეა, ბნელათ,
ცხენმა დეიწყო ფთქვენათ;
ბაბუთიძე ყელში ეცა,
კინაღამ გამოწელათ:
„შე, რჯულძაღლო, არ გაგვიგონ,
არ ამოგვწყვიტონ ყველათ!"
სახინო სახლში შევიდა,
ქალს ეცა ხელდახელათ:
„ადე, ესმა, და წევიდეთ
გორისკენ მე და შენათ!"
— სახინო, მე ნუ წამიყვან,
თუ არ შეგეძლოს რჩენათ!
— „პური და ღვინო ბევრი მაქ,
ბეღლები გამობერათ;
შენ საფეროთ შეგინახავ,
სახინოსა აქვს შველათ!"
ქოჩოს [3]) წყალზე რო მევიდენ,
დეიწყეს ნელა მღერათ.

---

[1]) სახლში.

[2]) ე. ი. წიწილებსო.

[3]) ქოჩოს წყალი — ეს წყარო მდებარეობს ულევის ვაკე-გორაზე სოფ. ბოსლევში (შორაპ. მაზრ.).

ფერაძეები დაძრულან,
მოდიან ცხენ-და-ცხენათ,
ერთმანეთს ეუბნებიან:
„დავბრუნდეთ უკელა ჩვენათ!“
მანდეეთში [1]) რო მევიდენ,—
დეიწყეს ჯვარის წერათ.

## 20.

მოუვარეს შამოუთვლია:
მოყვრის მოყვარე კვდებათ.

— მოკვდეს და ჯანი გავარდეს,
სხვა უკეთესი მრჩებათ.

## 21.

მოყვარე ვნახე ტან-წვრილი —
გზა-შარას იყო გაწვდილი.

## 22.

ზემოთიდან წამეველი,
წამევიდე დართულით.
ღმერთო, შენ გამიძლიერე
ჩემი ხელით ნათლულით!

## 23. ნათლია და ნათლიდედა.

— ჩემო ნათლიდედათ,
ჩემთვინ რასა ბედავთ?
— წინდა-პაიჭს გიმზადებ,
ლეკვერთხვებსაც [2]) ზედათ.
— ჩემო ნათლიდედათ,
შენთვინ რასა ვბედავთ?!
კაი ქოშებს გიყიდი,
წვივ-საცმელსაც ზედათ.
— ჩემო ნათლიდედათ,
ჩემთვინ რასა ბედავთ?
— კაი პერანგს გიკერავ,
ახალუხსაც ზედათ.
— ჩემო ნათლიდედათ,
შენთვინ რასა ვბედავთ?!
კაი კაბას მოგიტან,
კარქ სარტყელსაც ზედათ.

— ჩემო ნათლიდედათ!
ჩემთვინ რასა ბედავთ?!
— კაი ჩოხას მოგიტან,
კაი ქამარს ზედათ.
— ჩემო ნათლიდედათ,
შენთვინ რასა ვბედავთ?!
კაი ლაჩაქს მოგიტან.
კაი ბაღდათს ზედათ
— ჩემო ნათლიდედათ,
ჩემთვინ რასა ბედავთ?
— კაი ქუდსაც მოგიტან,
ბურსოულსაც [3]) ზედავთ.
— ჩემო ნათლიდედათ,
შენთვინ რასა ვბედათ?!
კაი ჩიხტსაც მოგიტან,
კაი კოშსაც ზედათ.

[1]) მანდეეთი—სოფელია ზემო იმერეთს, ქობის წყლიდან 4—5 ვერსზე.

[2]) ლეკვერთხი—პაჭიჭის შესაკრავი, წვივ-საკრავი.

[3]) ბურსოული—ხელ-მანდილი.

24.

იანვრის რვასა
ნუ გოუდგები გზასა,
ნუ ეწვევი სხვასა,
ნურცა ცოლი-ძმასა!
თუ მიხვიდე დისასა,
ფული გქონდეს ქისასა.

25.

მექვაბეები მოდიან,
ქვაბი მოვკალვიოთო.
მასინძელს გადავძახოთ,
ღვინო მოვატანინოთო.

26.

ბლიაძის კარზედა
მტერს ნუ დაადამდესო!
ქალი ვთხოვე, ვერ მიმონა,
ქერქი ედვა ჯამზედა.
ცოლი ისე დაბღური [1]) ყავს,
იხუხება კვამლზედა;
ვერ გეირეკა ნაცარი,
ვერ გამოჩთა კარზედა.

## IV

## სამეურნეო ლექსები:

1.

„ოდილა" უთხარ ჯანსა,
ნაფუზვარსა და ქალსა!

2.

ალალმაქო, დალალმაქო,
დიდ მიდორში ყანა მაქო;
მუშა ბევრი შევიწიე,
საჭამადი აღარ მაქო.

3.

განჯას წყალი შამოვასხი,
ვარდო-მანანასა!
ღმერთო, წვიმა მეიყვანე,
ვარდო-მანანასა!

4.

ზემოთიდან წამევედით
მე და ბიჭი ომანათ.
პურის ქვილისთვინ გუდა ჯობს,
სიმიდისთვინ ტომარათ.

5.

შენ, ჩემო დომო, რას შვები?
შენგან ველოდი სარჩოსა.
ეს უბისლებიც [2]) დორები
სულ შენში დეიხრჯოსა.
— დორო, ეს ჩემი სიათა
მაქვს მხარზე დაკიდებული,
შამოგიწყო და გესროდო

---

[1]) შეუგნებელი, უხეირო.

[2]) უბისა — სოფელია შორაპნის მაზრაში.

ის ჩემგნივ შეჭირვებული!
შენი პატრონი მევიდეს,
ის ჩემზე აჩივლებული.
— ეს ჩემი ახლა სიკვდილი
ჩემი პატრონის ბრალია,
ჩემა პატრონმა არ იცის
ჩემი სადორის კარია.

6.

წისქვილის ამბავს თუ მკითხავ,
მე მოგახსენებ, რა უნდა:
სათავე [1]) აშენებული,
დარსა პირამდი თლა უნდა,
ქვეშ-ქვეშ დამაზი ბორბალი [2]),
შიგნი დამაზი ქვა უნდა,
ხვიმირა [3]) და სარეკელა [4]),
საკინწიალო სხვა უნდა,
ზედ რომ პური დაარიგო,
იმასაც კარქი ქვა უნდა.

7.

ნახშირმა თქვა: მოგახსენებ,
მეცა ვარ სახსენებელი:
წმინდა რკინა ჩემთან მოდის,
სახნისი და საკვეთელი.

8.

ჩარირამა, ბებიათ!
აბრეშუმმა გვიღალატა,
ბამბა მაინც ბევრიათ.

# V

## ლექსები შინაურ და გარეულ ფრინველებსა და ცხოველებზე:

1.

— უიულიუო მამალო!
სადა ხარ?—ჭინჭარში.
— დაგსუსხავს.
— ფაჩუჩები [5]) მაცვია.
— დაგიგჯება.
— ხარაზი მყავს.
— მოგიკვდება.
— ცხვარს დოუკლამ.
— სად დაკვლენ?
— ხიდის თავში.

[1]) სათავე—ჯებირი.

[2]) ბორბალი—წისქვილის თვალი, ფრთებიანი.

[3]) ხვიმირა—წისქვილის ქვის ზემოდან დაკიდებული ყუთია, რომელშიაც ხორბალს ყრიან.

[4]) სარეკელა—მოკლე და მოკაუჭებული ჯოხია, რომელიც წისქვილის ქვას ხვდება, ხვიმირას ანძრევს და იქიდან ხორბალს ერეკება.

[5]) ფაჩუჩები—პატარა ფეხსაცმელები.

## 2.

ელენიკის ქათამით
დობის ძირში დავკალით;
იმის კურტუმ-ბარკალით
ბატონ-მეფეს მივართვით.
ბატონ-მეფემ დამიწუნა,
ბიძა ჩემსა მივართვით.
გობ ქვეშ შეინახა,
კატამ შეუჭამა.
— კატა რე-იქნა? [1])
— ხიდზე გევიდა.
— ხიდი რე-იქნა?
— წყალმა წეიღო.
— წყალი რე-იქნა?
— მზემ დააშრო.
— მზე რე-იქნა?
— გორას მეეფარა.
— გორა რე-იქნა?
— ხორას [2]) მეეფარა.
— ხორა რე იქნა?
— ცეცხლში დეიწვა.

## 3.

ჯაფარა [3]) მეავდა, მიევარდა
ეშმაკური სიტყვის მთქმელი;
ხუთი კვირის რო შეიქნა,
გარეთ ფრენას მიჰყო ხელი;
ექვსი კვირის რო შეიქნა,
სულ ეიღო ჩემზე ხელი.
ავდექი, ბევრი ვეძებე,
ვერ გევიგე ვერაფერი,
ვენახები შევაჯერე,
მარნები და საწნახელი;
ყველა ჯაფარა მეგონა,
რაც რომ ვნახე მისი ფერი...
ხუთშაფათ დილა გათენდა,
აგერ მოხტის ჯაფარ-ჭრელი,
ჯერ სალამი მოვახსენე,
მერე ჩქარა ვტაცე ხელი.
— «რათ მოგვიძულე, ჯაფარა,
რათ დამტოვე მარტვა-ხელი?
მარტვა-ხელი კაცისათვინ
იყავ თავის შესაქცევი!»
ერთი სიტყვით, გოუწყერი:
„საცა გინდა, წეეთერი!“
გოუტანელი ყოფილა
ეს ჯაფარა გვერდებ-ჭრელი.
თუ ჩვენკენ გვერდი არა ქნას,
იყოს ქორის გასაბდღვნელი!

## 4.

კატამ თაგვი დაპატიჟა
ას და ხუთი კაცითა.
ადგა თაგვი და ეწვია
სულ ცხენოსან ჯარითა.
საჭმადი ვერ იშოვნა,
კატა კვდება ჯავრითა.
თხა და ცხვარი ჩამორეკა
იმ დიდი ოსეთისა,

---

[1]) „რე იქნა“ — რა იქნა, საით წავიდა?

[2]) ხორა — საჟნებად დაწყობილი შეშა.

[3]) ჯაფარა — ჩხიკვი (ფრინველია).

ასიანები [1]) დახადა
იმ შუმი [2]) ბეგრებისაო.
ჯერ თაგვმა შექნა შილინგრი [3]);
კატამ მეიწყო ყვიბრები [4]).
ერთი თაგვი გეიპარა,
ჩვინს უკანა შეუფარა.
კატა ცხენ და ცხენ მიეჭრა,
ცალი თვალი წამოთხარა.
„შენი შვილი დამამთუგრე“,
კატამ უთხრა თაგვსა:
„თუ ამ სიტყვას არ მიჯერი,
ზე წაგაკვრეხ თავსა“.
თაგვი ბატონთან გეიქცა:
„კატამ არ დამაყენაო“.
კატა მეიხმო ბატონმა:
„კატა, რამ გაგახელაო?
თუ მეტი ჭკუა არ გქონდა,
რამ გაგზარდა მაგ-ხელაო?“
— მე თუ რომ ჭკუა არა მაქვს,
კაცი ნუ დამემდურება:
მე თაგვის შიშით არ მძინავს,
დაცქვეტილი მაქვს ყურები;
შემოდის, რახუნს ასტეხავს,
რავარც ქართული [5]) ურემი.
კაკალსაც არას შემარჩენს,
რომ მქონდეს ასი ურემი!...
— მიდი, თაგვო, და აკოცე,
თავი დოუკარ კატასა,
აღარ დაგიშლის კაკალსა.

5.

ცხენი იმტომ მოკაბარე,
კარზე გქონდა საბალახო;
აპა იმისთვინ კი არა,
გოუშვა და აღარ ნახო.

6.

გელმა თქვა: მეტათ გავსუქდი
ამ უხარშავი ხორცითო,
ავდექ და გამევიარე
ამ უსიერი [6]) ტევრითო [7]);
ჭალაში გადევიხედე,
ცოტა რამ ვნახე თვალითო:
ოცათ კრავი დევინახე,
დასუქებული ჭალითო.
გევედი, გამევესალმე
საუკეთესო ვერძსაო,
ყველას თავები დავწყვიტე,
რავარც მიმინომ წყერსაო.
ერთი პატარა თიკანი
აფარებია ბეგსაო.

---

[1]) ას-ჩაფიანი პურები.
[2]) შუმი ღვინო — კარგი, მაგარი ღვინო.
[3]) შილინგრი — შლიგინი, შრიალით რბენა.
[4]) ყვიბარი — ყველის ქილა (ჩუბინაშვ.).
[5]) ე. ი. ქართლური.
[6]) უსიერი — გაუვალი, დაბურული.
[7]) ტევრი — ხშირი ტყე.

— ბედო, რა ავი ყოფილხარ:
გვემტერებოდი ჩვენცაო?
გუშინ ბურაკი მიგქონდა,
ზურგზე აფცქვნილი ბეწვსაო.
ჩვენი პატრონი ყიდულობს
სულ ფინთიხიან თოფსაო,
დაგიჩოქებს და მას გესვრის,
დაგამტვრევს ბეჭის ფთებსაო.
ნადგვლას წამლათ იტყვიან,
საუკეთესოთ—ქონსაო.

7.

გაღმა-გამოღმა ყანაო,
შუაზე გამოგვალაო.
გაღმა ირემი ბღავაო,
ნეტამც აქ გამამგვარაო.

8.

დათვი და პავლია.

— ვაი დედაშენს, პავლია!
რას ჩამიდექი კვალშია?
რა შეგიჭამე მისთანა,
არ დამაყენე მთაშია?!
არ იჭმება ჩემი ხორცი,
არც ფასს მოქცემენ ტყავშია.
თუ მაინც თოფი მესროლო,
შიგ მამახვთერე ბაყვშია!...
— თუ გესროლე, თავში გესვრი,
თვარამ ში წავალ სახშია.
ადგა, წევიდა დათუნა,
გზა-წვრილი გადეარა.
საწყალი ჩვენი პავლია
დასაფრულია, წინ არი.
ჩახმახი გააციმცამა [1])
დათვს გაატანა წინ-ნალი.
— ვაი დედა-შენს, პავლია!
რა გლახათ მოგეკალია?!...
ძროხა ბევრი შეგიჭამე,
შენი წიქარაც [2]) ხარია.
— მეც მიტომ გამოგიდექი:
არ შემარჩინე ხარია,
ნალია [3]) მთლათ დამიმტვრიე,
ჭიშკარიც აღარ ვარგია.
თითო შესვლაზე არ გეყო [4])
ნაქები კარქი ძარია [5]).
— ანასუნი ჩემ საკვდილსა!
გავძელი კარქა ხანია.
ამეიღე—და მამჭერი
როკინა [6]) ჩემი თავია.

---

[1]) გააციმცამა—გაანძრია, დააცემინა.

[2]) წიქარა—ხარის საკუთარი სახელია.

[3]) ნალია - მაღალ ფეხებზე შემდგარი სასიმინდე.

[4]) იგულისხმება სიმინდი.

[5]) ძარი—წნელისაგან მოწნული გრძელი, ურემზე დასადგმელი ჯინია, რომელშიაც სიმინდის ტაროებს ჰყრიან, ან ყურძენს ზიდავენ.

[6]) როკინა—უშნოთ დიდი და მსხვილი.

# VI

## საცრუიალო ლექსები.

### ა. ვაჟი ქალს ეუბნება:

1.

ჩიტი ღობეზე შამოჯდა,
ბიმბილი [1]) ჩოუშაგდათ.
ვინაც რომ შენი ძრახი თქვას,
გვირგვინი გოუშაგდათ.

2.

იელშია [2]) ქორის ბუდე:
კაჭკაჭს გული დაწყვეტია.
ვინაც რომ შენი ძრახი თქვას,
თავზე მეხი დატეხია.

3.

ნეტაი, გოგო, დედა-შენს:
შენ გოუზრდიხარ შვილათა!
არც გინდა პირის დაბანა,
არც უმარილი ხშირათა.

4.

ლილი, ლილი, ლიბანდათ,
გოგო სახეს იბანდათ;
გავხედე და შამამხედა
სამსე [3]) მთვარეს უგავდათ.

5.

კაი თავსრაკი [4]) გარტყია;
შუბლი დაგიმშვენებია.
მარგალიტი ძუძუები
გულზე აგისხვენებია.

6.

საყვარელო ძვირფასოვო,
ნეტაი, შენთან დამსვათ.
შენი ბროლის თითებითა
მე ჭიქით ღვინო მასვათ!

7.

წითელ ღვინოს მიგაგვანე
ჭიქაში მდგომარესა...
სასუფეველი რათ უნდა
შენს მკლავზე მწოლიარესა!

8.

მიდორშია [5]) თეთრი ქვათ,
ავკარ ხელი, თან ამყვათ.
გოგო, შენი სიყვარული,
სადაც წაველ, თან წამყვათ!

9.

ეს წიგნი ჭრელიათ,
შენთვის მამიწერიათ:
შენ თავს ვერავინ წამართმევს,
ჩემი საყვარელიათ.

10.

დაბნეულ ფეტვის მარცვალს
რა მაბრუჯს წიწილებს მეტი?

---

[1]) ბიბილო.
[2]) იელი — ბუჩქოვანი მცენარეა, ყვითელ ყვავილს ისხამს.
[3]) სავსე.
[4]) თავ-საკრი.
[5]) მინდორშია.

მე და შენს სიყვარულს
რა გაურის სიკვდილის მეტი?

11.

წყალ-გაღმა კახა-მბალები [1]),
ზე მოსხედილან ქალები;
ერთი შეხედვით შევატყოფ,
რომელსაც შევბრალები.

12.

გაღმა ბატები გავდენე,
გამოღმა დევიარები;
გოგო, რათ არ გებრალები,
უცოლოთ დევიარები?

13.

საღამო ჟამი მევიდა,
მამამა დეიწყო გალობა;
რა ქალმაც არ შემიბრალოს,
დეიწვა მისი ქალობა.

14.

იაგუნდო და გიშერო,
მე აქიდან რა გიშველო?
ახლოს მოვალ, გენაცვალე,
ებებ მხარი დამიშვენო.

15.

აქიდანი და შენამდი
ვარდი მასხია ყელამდი.
რომ ვინმე გამამიშვებდეს,
თამაშით მოვალ შენამდი!
აქიდანი და შენამდი
მთები მიფარებს, წინ არე;
მე შენი სიყვარულითა
დაბნედილი ვარ, მძინარე;
ასე გამხადა სურვილმა,
დავჯექ და ვეღარ ვიარე.

16.

მონაწერსა შენსა წიგსა [2])
ვაკოცეფ და მოვჭამ ჭირსა,
ღამე სწოლში ჩევიტან,
არ ვადირსეფ თვალსა ძილსა.

17.

გოგომ დამწყევლა დამაზმა,
ხელ-შელებილმა ინდა;
ნეტამცა წინა შემყარა,
ზალხოშათ [3]) ვიყო დვანითა.

18.

წისქვილშია სიარულით
გვერდი მამტეხა გუდამა [4]);
გოგოს ვთხოვე, არ მაკოცა,
ტუჩი მოჭამოს მურამა [5]).

19.

გოგო, გოგო კვისკვისო,
აქ ჩამოდი, წყლის პირსა;

---

1) კახა-მბალი—ერთგვარი ჯიშის ბალია (არა ალუბალი).

2) წიგნსა.

3) ზარხოში—ღვინით შექეიფიანებული.

4) გუდა—ხალთა, ცხვრის ან თხის ტყავისაგან გაკეთებული

5) მურა, მურია—ძაღლის სახელია.

ღვინოს გასმევ კულითაო,
გაგახარებ გულითაო.

## 20.

იარე, გოგო, წამოდი,
ჭალის ყანები ვნახოთო;
წევიღოთ პური და ღვინო,
დავჯდეთ და ლხინი ვნახოთო.

## 21.

საყვარელო ნინო,
მასვი ცივი ღვინო,—
დახე ჩემ ვაჟკაცობას,
რაფრათ მეგილხინო!

## 22.

მუხას ცული შამოგკარი,
მე მეგონა წიფელაო;
გოგო, ერთი მაკოცნიე,
ჩემო ლოყა-წითელაო!

## 23.

მივალ-მოვალ, მოგნახავ,
მოკვდები და დაგმარხავ;
რწმუნებულ შენს პატრონზე
მე უკეთ შეგინახავ!

## 24.

მივიარე, მევიარე,
ტულფა [1]) ვნახე მწოლიარე;
თავით ედვა თეთრი ვაშლი.
ბოლოს უფრო მსხმოიარე;
თავი ვთხოვე, არ მათხოვა:
ქმარზე იყო მგლოვიარე.

## 25.

პატარა და მშვენიერო,
ღვინის ფერო მდინარეო,
სიახლოვეს რომ მევედი,
თავი მეიმკვდინარეო!

## 26.

საყვარელსა ეძინაო,
გულზე ვარდი ეფინაო.
მივედი და გავაღვიძე,
გავაღვიძე... ეწყინაო.

## 27.

ვაი, დედა! თავი მტკივა.
სად არი შავ-ბალახაო? [2])
თეთრმა გოგომ დამიჭირა,
შავმა გოგომ გამლახაო.

## 28.

პირათ მზეო, ლაწვით [3]) ვარდო,
შუქი მოგივალებია.
შენთვის აღარ მიკოცნია,
ვაჭმე, დიდი ხანებია!...
სულო! როდის დაგიკოცნო
მაგ სამოთხის თვალებია?

---

[1]) ტულფა—ტურფა, საკუთარ სახელადაც იხმარება.

[2]) შავ-ბალახა—ერთგვარი ბალახეულია, რომელსაც თავის ტკივილის წინააღმდეგ ხმარობენ.

[3]) ლაწვი—ლოყა

სულო! დაბძანდი დოშაკსა [1]),
ჩემო ხმელეთის მთვარეო,
ია ბუმბულათ დეიგე,
ვარდი ზედ მეიყარეო,
უკვდავების წყაროზედაც
შაქარი მეიყარეო!...
მე უშენოთ ვეღარ გავძლებ, —
სული შენ მიიბარეო!

## 29.

იაგუნდისა წვიმამა
მოლი-მიდორი დანამა.
მამკლა და აღარ მაცოცხლა
იმ ქალმა ლერწამ-ტანამა.
ან მამეც, ქალო, იმედი,
ან გამითხარე სამარე;
სარწმუნოებას გაფიცებ,
მაგ ძუძუ-მკერდი დამალე:
მოგჩერებივარ, მიტყდება
გულის წუხილი მალ-მალე!
თუთხმეტი დღის მთვარის მსგავ-
მიგვიჩს, აგრე რამ გაგავსო?! [სო,
ერთი შენი შამოხედვა
ათას ხედვას დაკარგავსო.
ათი თითი ბროლისა გაქვს,
ზე კალთაზე დაგელაგოს,
თასით ღვინო ხელთ გეჭიროს,
შიგაც ვარდი ჩაგეყაროს;
ერთიც კიდევ მაკოცნიე,
შენი ჭირი შემეყაროს!
პირი მიგიგავს მთვარესა,
ანათებ ბნელსა ღამესა.
აქ მამკლავს შენი სურვილი,
ჩამაგდებს ცივ სამარესა.

## 30.

თინათი არე-მარე,
ჩემო მზე, ჩემო მთვარე!
ღმერთია ჩვენი მოწამე,
პატარა მოგიყვანე:
სულ ჩემ კალთაში გზარდე.
ბალიშს არ მიგაკარე;
ლალისა ღვინო გასვი,
რკოსი [2]) არ მოგაკარე;
დიბა-ატლასი გაცვი,
ხამი [3]) არ მოგაკარე...
გაფრინდი, წამიხვედი,
ნეტა, რა დამიბარე?!...

## 31.

ვაი, დედა, ბვერდებიო,
უცოლ-შვილოთ ვბერდებიო!

## 32.

გოგო, გოგო შავთვალაო!
ბიჭმა შამოგითვალა:

---

1) დოშაკი—ბუმბულის დიდი ლეიბი.

2) რკო—ერთგვარი ჯიშის ყურძენია, შავი ფერისა.

3) ხამი—უბრალო შინ მოქსოვილი ბამბის სამოსელი.

„ან მაშეც ჩემი დანათ [1]),
ან წამიტანე თანათ“.

## 33.

— ჩიტი დობეზე შამოჯდა,
კაკალი ჩამოყარათ.
გოგო, შენმა დანიშნულმა
სიტყვა შამოგითვალათ.
— რა სიტყვა შამოთვალათ?
— ის სიტყვა შამოთვალათ:
„თუ არ წამოგყვეს თარათ,
აგოცე ლოყასთანათ“.

## 34.

საყვარელო, შენი ქება
უცხო თემში გვიამბესო.
გადმოფრენა დავაპირეთ,
მარამ ჯაჭვით დაგვაბესო;
არ გვადირსეს შენი ნახვა,
ყველგან მახე დაგვიგესო.
ყელი გიგავს არაბულსა
შეკაზმულსა ბედაურსა,
თვალ-წამწამი ყორანს გიგავს,
შავი ზღვიდან ამოსულსა,
ენა ბულბულ-კაჭკაჭს გიგავს,
ინდოეთიდან მოსულსა.

## 35.

საყვარელო! ალვის ხე ხარ;
მებრალები, რომ მარტვა ხარ.

## 36.

მელანო, ჩემო მელანო,
ნუ ხარ ჩემი ორგულიო!
სახლი აგვეშენებიოს,
ქვეშ პალატი-ოდურიო [2]).

## 37.

ფერი მიგიგავს ღვინოსა
ჭიქაში მდგომიარესა.
მზენი არ დეიჩდილება
შენსა არესა-მარესა!

## 38.

ეო, მეო, მაისურაძეო!
მაისურაძის ვენახში
ჩევიკვისკვისეო.
იქ რომ ერთი ქალი იყო,
სამი ვაკოცეო.
სამა ნაკოცმათ
ფერი უცვალათ.
ფერმა-ნაცვალმათ
წიგნი დაწერათ.
— წიგნი ვიდას გოუგზანა?
— დავით მეფესათ.
დავით მეფე შინ არ იყო,
ქალაქს წასულათ.
— ქალაქიდან რას მოგიტანს?
— წითელ ატლასსათ.

---

[1]) დანას ბიჭი ქალს საწინდრად (ნიშნად) აძლევდა, როცა დაინიშნებოდენ.

[2]) პალატი — ძირა სართული; ოდა — ფიცრული კარგი სახლი; პალატი ოდური“ — ორ-სართულიანი კარგი სახლი.

39.

ტყეში შევალ, შევცილდები,
გამეყვიტან ფუტუროსა;
გოგო, შენთვის დედაშენი
დღე და ღამე ჰყუტუნობსა.

40.

იმისთანა ძილი წაწყვდეს,
ცხვარს არ დამაცემინოსო...
რა იქნება, თეთრმა გოგომ
ერთი რომ მაკოცნინოსო?!

41.

ბაღში ქალი შესულიყო,
დეეკრიფა ქლიავიო,
გულთან უბე შეხეოდა,
შედიოდა ნიავიო.

42.

დილაზე ადრე ავდექი,
წინ ავასწარი მზესაო.
თქვენც კარგა იცით, ქალებო,
რომ ძაფი უნდა ნემსსაო!...

## ბ. ქალი ამბობს:

1.

გოგომ თქვა გასათხოვარმა:
„სახელოს [1]) შევიქარგავო;
ლამაზი ბიჭის დედასა
გულის-ყურს დოუქარგავო!“

2.

გოგომ თქვა გასათხოვარმა:
ნუ გამათხოვებ, დედაო!...
თუ მიმცე, ისეთ კაცს მიმე,
ან იყოს მამასახლისი,
ან იყოს გუთნის დედაო.

3.

ლამაზმა თქვა: ასეთი ვარ,
მე არ მინდა ფარანაო [2]);
მე ისეთი ქმარი მინდა,
პირს არ ქონდეს ბალანიო.

4.

ახლა დამლიმე, დილიმე!
დამტოვე დაბნედილი მე.
კაბისა ზორტი [3]) შემიხსენ
და პერანგისა ღილი მე.
ნეტაი როდის მეღირსოს

---

[1]) სახელო — „სახელი“ (ქართლ-კახეთში); სახელოები — „სახლები“. (ქ.-კახეთში).

[2]) ფანარიო.

[3]) ზორტი — კაბის შესაკრავი გრძელი და მსხვილი ძაფი ან წვრილი ნაჭერი.

შენთან წოლა და ძილი მე?
თვალ-ქოჩორ გადახატულო,
ტანი-ალვისა ჭირიმე!

5.

რაღაი არ მინახავხარ,
დიდი ხანი გამოსულა,
ხეს ფოთოლი გასცვენია,
ხელახალი გამოსულა,
მე და შენსა სართუმალ [1]) ქვეშ
ია-ვარდი ამოსულა,
თუ ჩემი ხარ, ჩემთან მოდი,
თვარა სული ამოსულა!..

6.

— „შენი ნანიშნი დანათ
აგერ მაქ ჯიბასთანათ,
ამევიდებ და დევიკრამ
მარცხენა ძუძუსთანათ!"
(მართლაც დაიკრა დანა
და მოიკლა თავი).

7.

გავალ ხესა, გავკრამ ხელსა,
ჟავარს გავხდი ფიჭვისასა;
შამოხედვას არ ვიკადრეფ
შენისთანა ბიჭისასა!

8.

დილაზე ადრე ავდექი,
აერია [2]) არეული;
შენ რავა მამეწონები —
დაბალი ხარ, დალეული!

9.

— საყვარელო, გიკვდები...
— ამ ჩემ ჭირს, თუ მოკვდები!
თავით აგიმთეფ სამთელს,
ფეხტით [3]) აგიტირდები.

10.

დედამ კაბა შემიკერა
აბრეშუმის, სრიალათ,
ზედ ღოგმები დამიკერა
ჩაბურასტი ჩხრიალათ.

---

[1]) სართუმალი — ბალიში და მუთაქა.

[2]) ჰაერი.

[3]) ფეხთით, ფეხებთან.

# VII

## მილოცვა, ლოცვა და შელოცვანი.

### ა. სადღეგრძელოები და მილოცვა:

1.

ერთი ძირი ბია [1]) მედგა,
ვორი [2]) ძირი ბრაწოული.
ღმერთმა ყველა გადღინძელოს
ამ სუფრაზე მოწვეული!

2.

ამიერი, იმიერი [3])
ფჩხილი არ წამოგტკენია,
გაცოცხლოს და გადღინძელოს,
დღე მოქცეს ლიდი, გძელია!

3.

ღმერთმა ნუ მოგიშალოს:
ტანი მთელი,
გული მხიარული,
ბედელში პური,
ხელში ჭიანური,
ჯიბეში ფული,
ქოშით სიარული!

4.

გვირგვინის მილოცვა:
ზემოთიდან წამეგიდა
წითელი და წითლოსანი.
თავზე გვირგვინი დაგდგმია
სუ-მთლათ მარგალიტოსანი.
ღმერთმა მაგ ქალს შეგაბეროს,
მოქცეს ხუთი ვაჟი-შვილი,
უცვადებელი ამეოფოს,
ნეფეო, შენი გვირგვინი!

5.

შობა-ახალწლის მილოცვა [4]):
ჩიტი დობეზე შამოჯდა,
იძახის ქიშმაშობასა;
ღმერთმა მრავალ დღეს დაგასწროს,
ახალ წელს, ქრისტეს შობასა!

6.

გწყალობდეს წმინდა გიორგი,
მათე, მარკოზ და საბაო;
ბედნიერი სახისა ხარ,
ქრისტეშ პატივი დაგდვაო!

7.

მთას ურემი გამოვჭერი,
შინ მევიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით გაჯერდები,
საიქიოს—ცხონებითა!

---

[1]) ბია—კომში.

[2]) ორი.

[3]) ე. ი. ამიერიდან და სამუდამოთ.

[4]) შემდეგს ოთხ ლექსს (5—8) ეგრეთ წოდებულ «ალილო»ში გალობენ შობის წინა ლამეს.

### 8.

წისქვილს პური დავარიგე,
ჩამევიდა მინდობითა[1]).
ღმერთმა ისე აგაშენოსთ,
თეთრი[2]) მოქცესთ კიდობნითა.

### 9.

აღდგომის მილოცვა[3]):
ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაკარ კალათასა;
ამეიღე ყორი კვერცხი,
ღმერთი მოქცემს ბარაქასა.
კიჭებით, კიჭებით,
დაგეზდება ბიჭებით;
ლობიოვით, ლობიოვით,
გაგეზდება გომბიოვით.
ტყეში მგელი გამოვარდა,
თხა შეგვიჭამა ნისლათ;
მასინძელო, გაგვისტუმრე,
სხვაგანაც გვინდა მისვლათ!

## ბ. ლ ო ც ვ ე ბ ი:

### 1.

ლოცვა ძილის წინ:
დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება;
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
სართუმალს დამესვენება.
ვერას მაცდენს მაცდური—
ჯვარი მწყალობს, ჯვარ-ცმული.
აქა კარია, კართან ჯვარია,
შიდა ბძანდება მიქელ გაბრიელ,
მთავარ-ანგელოზი.
კლიტე მამე ელვარისა,
ბეჭედი სოლომანისა!
დასწყევლე, ღმერთო,
მოსიარული ღამისა,
შემკრავია,
შემბოჭავია,
მავნე კაცისა!

### 2.

ლოცვა მზისადმი:
მზე შინა და მზე გარეთა,
მზე, შინ შამოდით!
უყივლია მამალსათ,
მზე, შინ შამოდით!
გათენებულათ,
მზე, შინ შამოდით!
გათენდი, თუ გათენდები,
მზე, შინ შამოდით!,
გათენებულხართ,
მზე, შინ შამოდით!
ძილო, რასა მეძინები?
მზე, შინ შამოდით!
მე საბრალოსათ,
მზე, შინ შამოდით!
ტანს პერანგი არ მაცვია,
მზე, შინ შამოდით!

---

[1]) მინდი—ფქვილის განსაზღვრული საწყაო, რომელსაც მეწისქვილე ღებულობს დაფქვის სასყიდლად.

[2]) თეთრი—ე. ი. ფული.

[3]) ამ სიმღერას „ჭონა"-ს ეძახიან; მომღერლები წითელ კვერცხებს აგროვებენ.

თირისტარო [1]), კვირისტავო [2]),
მზე, შინ შამოდით!
ჩქარა დაბრუნდით,
მზე, შინ შამოდით!
მალე პერანგს შევიკრავ,
მზე, შინ შამოდით!
წითელ კაბას შევიკერავ,
მზე, შინ შამოდით!
სანატრელსა, ფრიალასა,
მზე, შინ შამოდით!
ჩქარა დაბრუნდით,
მზე, შინ შამოდით!

3.

მზე, შამოდი ბაკესათ,
ცხვარს დაგიკლავ მაკესათ [3]),
შეგიწვამ, დაგიმარილებ,
დაგიდგამ ხელ-გობითათ!

## ბ. შ ე ლ ო ც ვ ა ნ ი:

### 1.

შაკიკის ლოცვა.

შაკიკო შამამეჩვია
სათიბისა ბოლოსათ;
ასე ჭამდა რკინასათ,
რავარც ხარი თივასათ;
გოუწყრა წმინდა გიორგი,
გეიპარა დილასათ.

(შეულოცავენ დაწერილ ქაღალდს, თავზე შემოადებენ და მორჩება შაკიკი).

### 2.

დამწვრის ლოცვა.

წითელ ხუცესსათ
ხარი გმებათ.
რას ხნამდათ?
ზღვას ხნამდათ,
ქვიშას თესამდათ.
ვინ გეიგონათ
ზღვა ნახნავი
და ქვიშა ნათესით?!

(მესამე დღეს იქით დამწვარი გამონელებულია).

### 3.

სატკბურის ლოცვა.

ქრისტემ დაკლა თეთრი ფური,
მეიწვია ყოვლი სული.
სატკბურმა უთხრა სატკბურსა:
„ჩახვალ უმაწვილის ტანსათ,
ჭამ მბილსა და ხრამ ძვალსათ".
— არა! მამამ, ძემ და სულმა წმიდამა იცოდეს:
არცა ვხრამდე ძვალსათ,
არცა ვჭამდე მბილსათ!
გავხმები ჭიქასავითა,
ჩამოვცვივდები ბრელოსავითა [4]).

### 4.

„თვალის" შელოცვა:

ალისასა, მალისასა,
შეგილოცავ თვალისასა,
შინაურისასა, გარეულისასა.
ქორი გახტა ქანდარასა,
დედალი საბუდარსა.
გულო, მოდი საგულესა,
გულო, ნუ შეგეშინდება!

---

[1]) თირისტარი — თითისტარი.

[2]) კვირისტავი — თიხის პატარა რგოლია, რომელსაც ცარიელ თითისტარს ქვემოდან წამოაცმენ ხოლმე რთვის დროს.

[3]) ბაკე—ეზო.

[4]) ბრელო—განიავებული ხორბლის ან სიმინდის ანახვეტი ქერტლი.

### 5.

ნანა («ბატონების» საგალობელი ლოცვა).

იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!
ბატონებისა დედასა,
იავ-ნანინაო!
უდგია ოქროს აკვანი,
იავ-ნანინაო!
შიგ უწევს ბატონიშვილი,
იავ-ნანინაო!
უხია ოქროს ქოჩორი,
იავ-ნანინაო!
ხანდისხან გადაარწებენ,
იავ-ნანინაო!
ტკბილად ეტყვიან ნანასა,
იავ ნანინაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!
დატკბით, დატკბით, ბატონებო,
იავ-ნანინაო?
შაქრათ, შაქრათ დაამდითო,
იავ-ნანინაო!
— თეთრი ზღვიდან გიახელით,
იავ-ნანინაო!
შვიდი და-ძმანი ბატონი,
იავ-ნანინაო!
შვიდ სოფელს შევეფინენით,
იავ-ნანინაო!
ასე დავდივართ სოფელში,
იავ ნანინაო!
არც კაცი დაგვიწვენია,
იავ-ნანინაო!
არც რწყილი აგვიფრენია,
იავ-ნანინაო!
იავ-ნანა, ბატონებო,
იავ-ნანინაო!

### 6.

დევისა და ქაჯის ლოცვა.

სახელითა ხვთისათა,
მამისა და ძისათა
და სულისა წმინდისათა!
ედენიენთა დაიდე შამათე,
ედენია იავი ეგრამათე,
ეგრესემ იოსი ერივანე
და იონა იოსავე [1]).
ამათითა სახელითა
შეიკრა პირი დევთა,
ქაჯთა და გველთა
და ყოველთა საჩინოთა
და უჩინოთა მავნებელთა.
იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო
ღვთისაო ცხოველისაო!
იხსენი ყოველივე ჭირისაგან
და ყოვლისა საეშმაკოსაგან
და ყოვლისა ცრუსა მავნისა
და საცთურისაგან
მონა ესე ხვთისა!

### 7.

ალ-დაცემულის ლოცვა.

ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი:
იროხ, მაროხ და კვირსტინე;
ბევედით მთასა მაღალსა სანადი-
როთ
და ვერა ვპოვეთ კვალი ნადირისა;

---

[1]) ამ სიტყვების მნიშვნელობა თვით მთქმელსაც არ სცოდნია.

ვიპოვეთ კვალი ალისა და ეშმა-
კისა:
ისხდენ კლდის ძირსა;
ხელში ეპყრათ ბადე აბრეშუმისა.
და შევიპყარით იგინი ხელთა ჩვენ-
მათ ესხნეს თმანი გიშრისანი, [თა:
კბილნი რვალისანი,
წვივნი ჭიქისანი.
ოროხ თქვა: მოვკვეთოთ ალსა
თმანი გიშრისანი;
მაროხ თქვა: შთავაყრევინოთ ალსა
კბილნი რვალისანი;
კვირსტინემ თქვა: დავულეწოთ
წვივნი ჭიქისანი! [ალსა
მიუგო ალმან და ეშმაკმან:
«თქვენ, სამნო ძმანო, სამებისა
ძალისანო:
ოროხ, მაროხ და კვირსტინე!
ნუ მოგვკვეთთ თმათა ჩვენთა
გიშრისათა,
ნურცა შთაგვაყრევინებთ
კბილთა ჩვენთა რვალისათა,
და ნურცა დაგვილეწთ
წვივთა ჩვენთა ჭიქისათა!
სადაც იხსენებოდეს სახელი ხვთი-
სა,
მამისა და ძისა და სულისა წმი-
და სახელი თქვენი,— [დისა
იქ ჩვენ არა მივეახლოთ
და არცა ვავნოთ მშობიერსა
და არცა ურმასა ჩვილსა,
და არცა ქრისტიანესა ნათელღე-
და თუ შეურილ ვიყოთ, [ბულსა.
დავვდნეთ, ვითარცა თოვლი და
კვამლი,
და ვითარცა მარილი, და ვითარ-
ცა ქარი,
ეგრეთ განვქარდეთ და განვეშო-
და წარვიდეთ ასს მილიონზე [როთ
და არა ვავნოთ ჩვენ მონასა
ღვთისასა!

## 8.

საქონლის შელოცვა:

როცა საქონელი ღამე კარში დარჩება, რომ ნადირმა არ შეჭამოს, საკეცეს (მაშას) სარტყლით პირს შეუკვრენ, შიგ დაატანებენ სავარცხელსა და მაკრატელს და იტყვიან:

ეკენია, ბეკენია,
ბერსა ხატი სკენებია.
ოთხი კუთხის მარსკვლავებო,
ნადირს კბილი შეუკარი,
გადააგდე ზღვაში,
ნუ გოუშვევ გზაში!

## 9.

სისხლის ლოცვა:

მაისისა პარასკებსა
იორდანე მოდიოდა,
რქისა მოაქ კინოთისა
და ალმასი სპილენძისა
და ისარი დაეკლისა.
სისხლო, გაბერე?..
ნუღა გაბერავ!
ჰუ-ჰუ, მგელსა!

(უნდა დაჰკრა სისხლით გაბერილ საქონელს ატმის ჯოხი და გაუშვებს).

# VIII

## გამოცანები:

### 1.

ერთი რამ არის უსულო,
მუცელ მდებარე ყელითა,
წყურია—წყალსა ვერა სვამს,
სხვანი ასმევენ ხელითა,
თავსა ცეცხლი მიედება,
გულსაც გაამსებს ლხენითა.
(ყალიონი).

### 2.

ძირი ნედლი, შუა ხმელი,
თავი წითელი.
(აღება, დიდ-მარხვა და აღდგომა).

### 3.

ერთი სტუმარი მეწვია,
მიდღემჩი [1]) უსტუმრებელი,
გორი [2]) ულუფა [3]) მივართვი,
სუფრაზე დოუდებელი.
(ბავში და ძუძუები).

### 4.

ცასა მოუწმენდიათ,
მოუკანკრაჩებიათ [4]).
მელას კუდი გადუგდია,
გადუჯინჯილებიათ [5]).
(თხილი).

### 5.

ხე გევიარე ხევნარი,
ხე კი ვერ ვნახე მართალი;
ერთი ხე ვნახე მართალი,
ისიც გვერდ ჩამოხათალი.
(?)

### 6.

ახლახუნ·დახლახუნი,
დოსკაპ·დოინჯებიანი.
ოხროხი, დოხროხი,
დოინჯი და დოწკაპი.
(ხაფანგი).

### 7.

ერთი წევს და არა დგება,
მეორე ჭამს და არ ძღება,
მესამე მიდის, არ დგება.
(კერია, ცეცხლი, კვამლი)

---

[1]) მისდღეში.
[2]) ორი.
[3]) კერძი.
[4]) ძლიერ მოუწმენდია.
[5]) ჯინჯილი—ფოჩები, ბუჩუჩი.

8.

დღე ცარიელი,
ღამე ტვირთიანი.
(ლოგინი ანუ ტახტი).

9.

ჭრის და არ აკაკუნებს.
(ცეცხლი).

10.

ჩემი პატარა ფინია
ჩემი სუფრა და ლხინია;
სუნთქვით ¹) დეუნაცვალა
ჩემი ცოლი და შვილია.
(ფული).

11.

შიგნი გული გურგუმელი,
გარეთ კანი ატლასისა,
რაც იმაში ჯარი არი,
თუ არ მეტი ათასისა.
(ბროწეული).

12.

უფხო, უძვლო ტყის ნადირო.
(ლოკოკინა).

13.

სახლი დადგა ხისა,
არა ნაფოტისა,
შედიან და გამოდიან
ანგელოზნი ხვთისა.
(სკა და ფუტკარი).

14.

აბლი-ბაბლი, ვერცხლის ტახტი,
მზით ევიღე, მთვარით დავდგი.
(ყინული).

15.

ქვეყანაზე ოთხი რამე არ არის.
(ხელის გულზე ბალანი, ქათმის ძუ-ძუ, ზღვის სარქველი და ცის კიბე).

16.

ორი ორერას,
ოთხი კორენას,
თორმეტი ასკუაჩს,
არცეთი ჩიჩილაკს.

იგივე სხვა ვერსიით:
ორი ოღენას,
ოთხი კოკენას,
თორმეტი უანჭპურას,
არცერთი კირკიტელს.
(ძუძუები: 2 თხასა, 4 ძროხასა, 12 ღორსა,—და ქათამს არც-ერთი).

17.

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
მარსკვლავებსაც დევეძრახე ²).
(თვალი).

18.

კიკლი-კიკლი კიბესაო,
ხვარასანის ციხესაო
კურდღელი გადმომდგარიყო,
აცმატურებს ყურებსაო.
(სამრეკლო და ზარები).

19.

ჩემი პატარა ბოსელი
ვხვეტე, ვხვეტე, ვერ დავხვეტე.
(ცხვირი).

---

¹) სულმთლათ.

²) ე. ი. დაველაპარაკე—გამოველაპარაკე.

20.

ასიანისა მთაზედა
ასი თათარი დგასო;
ასსა ფეხი მოტეხია,
ასი ისევე დგასო.
(დგიმ-საბარცხალი[1]).

21.

აიანური, ბაიანური,
წითელი კაკიანური,
ეიშლება, დეიშლება,
მოწყენია სიარული.
(საათი).

22.

ერთი თხა მყავდა ერთო,
შუაზე ება ენათ,
მისმა სიტყვა და პასუხმა
ქვეყანა დააჯერათ.
(სასწორი).

23.

ქალი იჯდა ტახტაზედა[2]),
ცრემლს იყრიდა კალთაზედა.
(წისქვილი).

24.

თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი;
გამეიცანი რა არი?
(მამალი).

25.

გამოცანას მოგახსენეფ,
ბევრი არაფერიათ:
ალაგ შავი, ალაგ თეთრი,
ალაგ ლალის ფერიათ.
(ხალიჩა).

26.

მამა დაჯღარკული,
დედა—ლამაზი,
შვილი გადარეული.
(ვაზი, ყურძენი და ღვინო).

27.

მიდის-მოდის ქარავანი,
არ უბჯება ქალამანი.
(კარი).

28.

ბოძი, ბოძი, ბოძანკალი,
ზედ ძარი და ზესადგარი.
(მკბენარი).

29.

ებერ-ებერ სერზედაო
ბოსტან უკან კვახიაო[3]),
დედამიწა გახიაო.
(მუდო).

30.

ორმაგ[4]) ძელშიდ[5]) ამოვძვერი
ძნელათ მოსაბრუნებელი.
(ხმალი).

---

[1]) საფეიქრო., საქსოვი მანქანა.
) ი. ე. ტახტზედა.
[3]) კვახი—გოგრა.
[4]) ორმაგი—ორკეცი.
[5]) ძელი—ხე.

31.

ეს ჩემი კეზეჩელაა [1])
დღეცა და ღამეც ზეზეა.
(თუნგულა).

32.

რა იცი და რა არ გახსოვს.
(შობა კაცისა).

33.

ერთი სახლი მაქვს ასეთი,
კაპაკუპოთი ნაშენი,
შიგა ვჯდივარ და ვიმღერი,
გარეთ არსა მაქ სარბენი.
(ენა).

34.

ქორქოლამ დეიქორქოლა,
გარს შამეისხა შვილები,
არც იყო მისი შვილები,
არც მისი შვილიშვილები.
(ყვერული).

35.

ოქრო ბზინავს, ოქრო ბჭყვინავს,
ოქრო მიქრი-მოქრიალობს.
(ციცინათელა).

36.

ჩახტა ჩაჩქანი,
ჩაყვა ლაშქარი.
(კრუხი და წიწილები).

37.

სირი [2]), სირი, სირი-გოგდი,
სირის ფთები მასხიათ;
რადაი შენ გაგეცალე,
სულიც აღარ მიდგიათ.
(თევზი და წყალი).

38.

ერთი რამა სურიელი
ღამე-ღამე მავალია,
საკლავს ისე გაატყავებს,
არ სჭირდება მამხმარია.
(მელა).

39.

ვიხილე კაცი ცასა ბეწვითა
და შუბის ტარსა დარბაზი ედგა.
(ობობა; ბაჭაჭუა).

# IX

## ანდაზები, ჩქარა-სათქმელი და ზმა:

1.

თუმც რო გშია ზაქარია,
ცივი ჭადი მაქარია.

2.

ძილს სართუმალი არ უნდა,
შიმშილსა — საჭამადიო.

[1]) ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით.

[2]) სირი — ფრინველია.

3.

— მგელო ჭკუას მოდით!
— სათხებოში შევხტეთ?!

4.

მიდის-მოდის გაბრიელი,
არავინ უავს მადრიელი.

5.

გვრიტის ნახული კანაფი
მარცვალს ვერ გეიკეთებსო.

6.

კარქი ცხენი ქერს იმატებს,
ავი ცხენი მათრახსათ.

7.

დათვმა თქვა:
„რასაც ჩემი ტორი ვერ მოვატა-
გემო ვერ ჩავატანეო". [ნეო,

8.

ქალსა დედა გოუშინჯე,
სამოსელსა ნაწიბური [1]).

9.

— ძაღლო, ვისთვის უეფხ:რო?!
— ვის ს:ნაგვეზედაც ვწევარო!

10.

დედა იკითხეო,
კვიცი იუიდეო.

11.

თავის ქებაო —
თავის ტეხაო.

12.

შვილი ჩვენი გვიუვარს
ცოლი კი — სხვისიო.

13.

ახალ პატარძალს
ღრუბლიანი დღე
დილა ეგონაო.

41.

შინაურ ხარს
მოზვერს [2]) ეძახიანო.

51.

ცარიელმა თითმაო
პირი გამამქლითაო [3]).

16.

მედლე-ხვალიე კაცსაო
თოვლი მოუვა კარსაო.

17.

მელასაც თავისი კუდი სჯისო.

18.

უარუუმს რა მოკლავს და ..
თავისი ენაო [4]).

---

[1]) ნაწიბური — კიდურ-ქსოვილი, ნაპირი.

[2]) მოზვერი — ახალგაზდა ხარი.

[3]) გამოქლეთა - გამოტყავება.

[4]) ხალხი ამბობს: ერთ ქვეყანაში ორი კაცი დეიარება თურმე; ერთს პარი აქვს გადებლი მხარზე და მეორე უკან მიყვება. ერთი ეუმ-

19.

ქოთანი რომ წეიქცევა,
საჭამადი დეიქცევა.
ოთხი ფეხით დაჭედილი
ცხენი აღარ წეიქცევა.

20.

თავის ურგებელი კაცი
სხვისთვის რა სარგებელია?!

21.

ქალაქი რო შენდებოდეს,
შეასწარიო;
რო იქცეოდეს,
გამოასწარიო.

22.

კვდარი კვდარს ეკიდებოდაო.

23.

სიჩქარით ძაღლმაო
ბრმა ლეკვები მოუარაო.

24.

ერთმანეთის მზერითაო
სახლი ეივსო მტვერითაო.

25.

შენ გაჭივრება მასახვეო
და გაქცევას მე გაუურებიეფო.

26.

თვალი თვალის მტერიაო.

27.

თვალი თვალს შეჭამს,
შუაზე რო ცხვირი არ იყოსო.

28.

კახა-მბალი კენწეროში
გამწარდებაო.

29.

ძაღლი შინ არ ვარგიყო და . .
სანადიროთ მიუყვდათო.

30.

საუღლე მოზვერს
სასკორეზე ¹) შეეტყობაო.

31.

თუ ღმერთი მწყალობს,
ეშმაკი რას დამაკლებსო?!

32.

მიძალებული პური
ძაღლმაც არ შეჭამაო.

33.

ოქრო პატარა არის,
მარამ რამდენ რკინას
ჯობიაო?

ბება მეორეს: „ყარყუმს რა მოკლავსო?“ მეორე უპასუხებს: «რა და— თავისი ენაო». თუ ახლო-მახლო სადმეა ყარყუმი, დეიძახებს: «რომ არაფერს ვიტყვიო?!» დაკრავენ პარს და ამოაგდებენ მაღლა.

¹) სასკორე—სანეხვე, უკან-ნალი.

34.

რისი ცნობაც არ იყოო,
მისი ფასიც არ იყოო.

35.

ურემი რო წაიქცევა,
გზა მაშინ გამოჩნდებაო.

36.

მელამ თქვა:
„ჩემ დამჭერავ ძაღლს
ერთი შეხედვით
შევატყოფო!“

37.

ყვავმა ყვავს წასძახა „ყრინტიო“.

38.

მელას შემწვარი ქათამი
ეზმანებოდაო.

39.

ბერჯელ ვნახავ ივანესო,
კარზე შამამჩივანესო.

40.

უჭკუო კაცს ცოტაც
გოუკვირდებაო.

41.

უნახავმა რა ნახაო?
ცხრა მთა გადალახაო [1]).

42.

თოვლი თეთრია, მარამ
ქვეყანა ზედ აფურთხებსო.

43.

ამევიარე ალევსო:
ფერხული ება ქალებსო...
საქმეს წაახთენს რეგვენი,
ფათერაკს დააბრალებსო.

44.

ჩქარა სათქმელები:
ტყეში ყაზახი შევიდა,
ტყე გაყაზახებულიყო.

45.

შენი ცხვარი რქა-გრეხილი
ჩემსა ცხვარსა რქაგრეხილსა
რას ერჩოდა, რას ებძოდა,
რას ერქაგრეხილებოდა?

46.

ჩიტმა რკო ჭამა, რკო ყლაპა,
რკო მუხაზე გეიტანა,
გაარჩია და შეჭამა.
(სამ-სამჯერ უნდა ითქვას).

47.

ზმა:
ახალი ჩალა დამიგეს,
გვერდი ხუობს[2]) დაწოლასა.

[1]) გადაიარა.
[2]) უარობს.

# X

## ნ ა რ ე ვ ი:

### 1.

ანბანის ქება.

ა-ნო ასე შემიყვარდი,
რომ გამოვთქვი ქება შენი;
ბ-ანო ბევრი სიყვარულით
მუდამ მინდა ნახვა შენი;
დ-ონო დავჯექ შენ საქებრათ,
ჩემი თავით გენაცვლები.

### 2.

ერთ კაცს თავი წააგდებიეს; თავი ქინქარში კოტრიალობდა და თან იძახოდა:

„წმინდა გიორგი დეიბნა
სამას სამოცდა ხუთათო...
ხვთის აუგს[1]) მაინც არ გიტყვი,
ტყავი გამაძრონ გუდათო!"

### 3.

სამართალი და წესია:
პური ალაგზე თესია.
არ გეიკითხენ გლახაკსა,—
თურმე ერევანს წესია.

### 4.

ური და ურიკრიკე,
ჩოხანდრიკე ფანდურიკე!
მე რო გოჯი მოგაბარე,
კუდი რაზე მამიკვნიტე?

### 5.

ურიამა ხარი დაკლა,
ჩამოკიდა წიპ წიპითა.
თაგვმა ლხინი გადიხადა
ფეხ-დამწვარი წიწილითა;
კატა მაყრულს ეუმბება,
თაგვი კვდება სიცილითა.

### 6.

წევას რო დედაბერია:
მისთანა შერი მტერია:
დოუხჭენია[2]) კბილები,
რავარც აჯილდა ცხენია.

### 7.

მისთანა შერი მტერია,
წევას რო დედაბერია
ერთი მისთანა მიხჭინა,
ციგათ მამწყვიტა წელია.

### 8.

სვიმონდების ომით
ტყემალი და ღომით;
სვირელების „ხაზინათ"
ოდელა და პრასინათ[3]);

---

[1]) აუგი—ძრახი, გმობა.

[2]) დახჭენა—სიცილის დროს კბილების გამოჩენა.

[3]) ოდელა და პრასინა -ბალახეული (მხალეული) მცენარეა.

წეველების ლხინით —
ქონდარი [1]) და თხილით;
ისიც რო გამეელევათ,
დეერევათ ჭირით.

9.

ზესტაფონში რო ჩეველი,
იქ ვიყიდე არდანით.
ღმერთო შენ გადაამშენე
მროშელების ქარხნით [2]).
მროშელების ქარხანშია
ტურა ხოხავს ნაცარშია.
იქ ნამზადი არ იჭმევა,
რავარც უველი მარხვაშია.

10.

ამ როსტომა თაბაგარსა
თავი გასივებიათ.
ადგილს [3]) თავი დაანება,
წიქვილს ჩაციკებიათ.

11.

მეგრელების ფაცხაშით [4])
ტურა ხოხავს ნაცარშით;
იქ ნამზადი არ იჭმება,
რავარც ხორცი მარხვაშით.

12.

ზაქარია და კვირია,
რათ დაგიღიათ პირია?
თფილი ჭადი ვერ გიშონე,
ცივმა მოგკვეთა კბილია.
სამმა ქოთანმა მაწონმა
ვერ გაგისოვლათ პირია!

13.

დელე-დელე შევიარე,
მამვი აფაჩუნებდათ;
შენი რძლისა ძუძუ-მკერდსა
რწყილი აკრატუნებდათ.

14.

სასიმღერო:

გააააპა, გააააპა!
შენმა რძამლა დამპატიჟა;
გააააპა, გააააპა!
ძირს დამიგო ხალიჩათ;
გააააპა, გააააპა!
ერთი მაგრათ მაკოცნია;
გააააპა, გააააპა!
მისი თავი დამირჩათ!

15.

ე კვირია კაპანაძე
კვირეს შემოდგამს ქვაბსათ [5]);
თხლეები გამოლევია,
ღვინოს დოუწყებს ხდასათ.

---

[1]) ქონდარი — პიტნა-ტარხუნის მზგავსი მცენარეა, კლდეებზე იზდება დაუმუშავებლათ.

[2]) სოფ. შროშა (ზემო იმერეთს, წევის მეზობლათ) ცნობილია თიხის ჭურჭელის წარმოებით

[3]) ადგილ-მამულს.

[4]) ფაცხა — წნული კედლებიანი ქოხი.

[5]) საარაყე ქვაბი იგულისხმება.

### 16.

ვისი შვილი ვისა [1]) შვილსა
აღინძებს და უფთხობს ძილსა?

### 17.

ქალი მიმყავს მზიანით [2]),
აბრეშუმის თმიანით...

### 18.

ბიჭი მიდის ცოლოურსა,
მიითლიდა ატამსათ;
იქიდან რო წამევიდა,
მეეძებდა ნათალსათ.

### 19.

წინდათ და ქალამანთ,
ბიჭის დამაშვენებელთ!
ბიჭო, გოგოს დეეთხოვე,
თვარა დაგაშავებენო.

### 20.

არ კი გითხარი, დათიკა:
ნუღა უვარობ მართასათ,
თვარა მართას სიყვარული
დაგაჩეხავს ბარკალსათ!!..

### 21.

ყანაში თივას ვთიბამდი,
გამოხტა მწყერი;
ვინც არ გეიცინოს,
გაცვინდა წვერი!

### 22.

როცა თმა-გაკრეჭილ ბავშს დაინახავენ, ხუმრობით ეტყვიან:

ხოტორ-ხოტორ, ბრიშა,
უვავი ნიგოზს ურიდა;
უვავო, ერთი ჩამამიგდე,
ლობიოსთვის მინდა

(უკანასკნელ სიტყვებთან ერთად გაკრეჭილ თავში წკუპურტს ჩაჰკრავენ, თითქო კაკალი ჩამოვარდაო).

### 23.

დელიასა დელიასა,
ქმარი უნდა ბებიასა!
პატარა ბიჭის დედათ
შეჯდება კურდღელზედათ;
გააჭენ გამოაჭენებს,
გადმოვარდება ზედათ,
გასკდება მუცელზედათ.

### 24.

მალულობიას თამაში:

როცა მალულობიას თამაშობენ, დასამალ 3 ბავშს ამნაირათ ირჩევენ: მოთამაშეები წრეს გააკეთებენ, შუაში გამოვა უფროსი მოთამაშე, ამბობს შემდეგს ლექსს და ყოველი სიტყვის თქმაზე თითს ადებს გულზე თვითეულს მოთამაშეს:

ალხოს,
მალხოს,

[1]) ვისსა.

[2]) მზიანი — მზესავით მანათობელი.

ჩიტმა
გნახოს,
შენი ფეხი,
ფეხ-მანდური,
გადაჭექი,
გათმოჭექი,
სკიპ და
რიკ!

ვისაც შეხვდება სიტყვა «რიკ», ის უნდა დაიმალოს; თუ მოთამაშე ბევრია, მაშინ შეიძლება ყოველი სიტყვა მარცვლებად დაიყოს («ალ-ხოს, მალ-ხოს» და სხვა) და ისე ჩამოურიგდეს მოთამაშეებს.

## 25.

იაგუნდის მარანშია
ჭიქა დგას და ლალი ჭვირსა;
შიდ ალვის ხე ამოსულა,
ლორჩქია [1]) და ქარი შლისა;
ზედ ბულბული შეხვევია,
იადონი [2]) ხელს უშლისა.
იადონო და ბულბულო,
იაგუნდო და ზურმუხტო
და ამბარო [3]) შაქრისაო!
საქრისტიანოს ღრუბელო,
მზე ხარ დასავლეთისაო!

---

[1]) ლორჩქი—ნორჩი, ახალი.
[2]) იადონი—იგივე ბულბულია.
[3]) ამბარი—სურნელება, არომატი.

# XI

# თუშური ლექსები

შეკრებილნი ივანე ბუქურაულის მიერ.

## თ უ შ ი.

1

თუშთ არ იციან, ვითარცა
ვინ არის მონა, ბატონი.
თვითონ არიან თავისა
ბძანებელი და ბატონი.

2

თუში ვარ მთაში გაზდილი,
მტერსაც არ დაუვარდები,
უქუდოთ ქვეყნაი არ ვივლი
კლდეზედაც გადავვარდები!..

## თ უ შ ი ს ქ ა ლ ი.

3

თუშის ქალმა სთქვა: „შევირთავ
ბასრის ხმლის ამომღებელსა,
სულ უწინ ომში ჩამსვლელსა,
სახელის შინ მომტანელსა“.

4

ქალიმ ვინ მოხვედ ჰეშოსა,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო,
ლეკი მოკალი ბელადი,
მედროშე დალისტნისაო.

5

მზე წინ-წინ გომბორს მოჰხვდება,
შუქი ალავერდს დადგება.
ალავერდს ჯაჭვი ჰკიდია
წმიდის გიორგის კარზედა.
ქალმა შეხედა—ატირდა:
„ჯაჭო, ხარ ჩემი ძმისაო,
შვიდ წელსა ომში ნაცვეთო
პირტიტველაის ყმისაო.
ცხენი მთხოვე, ძმაო, არ მოგეც,
ქმარი ვარჩიე, ვაჰ დასა!..
თოფი მთხოვე, ძმაო, არ მოგეც,
ქმარი ვარჩიე, ვაჰ დასა!..
ხმალი მთხოვე, ძმაო, არ მოგეც
ქმარი ვარჩიე, ვაჰ დასა!..
თუ რომ მიმეცა ბეჩავსა,
დღესაც სკამს მეჯდა, ვაჰ დასა!..“
—ქალო, ნუ სტირი, ბეჩავო,
თავს ველარ იპოვნ ძმისაო;
ძმა, ქალო, თათრებმ მოგიკლეს,
შტოს გაგიყოლეს წელისაო...

6

ჰელოში დედან ატირდნენ:
ჩვენ მტერმან შეგვაშინაო,
კარზედ მოგვდიანთ ძალითა,
სტუმრულათ დიან შინაო.
ნეტავ ჩვენსა მეთოფეებს
ძილით ვინმ დააძინაო,
პირიმც წყლით გაალბობინა,
თოფებიმც დაუგრილაო.

სამცეხელების თოფებმა
ჭედომსაც შამაიხულათ.
ქავთარმა ლუხუმის ძემა
ხმა-წვრილად შამაიკივლათ:
ის ჩვენი ფშაველ-ხევსურნი
აქამც ჩამაარინათ;
ხევსურთ ფარ-ხმალი, უაწიმი
ჭელოს თავს ჩამაბდღვინათ.
მიქელმა ზურაბის ძემა
რა საქმე მოახდინათ:
თვითონ დახოცა ცოლ-შვილი,
სულეთი წაახდინათ.
ღღენიცა ერგოს იგეთი,
ვინც მიქელს გაუცინათ!..

7

ჩილოს წისქვილში ასტირდა
ნანა თორღვაის ქალია:
გებრალებოდეთ, სწორებო,
მივდივარ უძებარია.
შენ მამა ჩემო, თორღვაო,
წელს ნუღარ გერტყას ხმალია,
ნუღარც გიხოცავ ლეკები,
ნუღარც გიდევნავ ჯარია.
გამომიყვანეს ლეკებმა,
გამომიჯარეს კარია.
შინშე მომიკლეს, ლევანი,
სასხლისა დადგა ტბანია.
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ გადავაფარ იმანია...
მოსჭრესა მარჯვენა ხელი,
უბეში ჩამიდვესათ,
დამხურეს შინშესა ქუდი:
ქალო, მოიკალ თავით.

ჩამაცვეს ლეკური ტყავი,
სალეკოთ მამზადებენო.
ავედით სალეკო მთაზე,
უკუღმა ბრუნავდ ქარით:
ქარია, არცა ქარია—
ლევანის ცოდვა-ბრალია...
ავიხსენ საყურ-ბეჭედი,
მითი დავნიშნე გზანია,
მკლავით ვიყარე ზალტები—
მდევართ გაიგონ კვალით.
უთხრობდეთ ჩემსა საქრმოსა,
მაღლა მოირტყას ხმალით,
მამულთა ჩილოელებსა
აგებ უჭირონ მხარით.
სოფლად ხომ ვერას ჩამოხვალთ,
მთიდან წაასხით ცხვარით;
სახსარსა ნუ დაღონდებით,
სათუშო აღარ ვარით.
რჯულიან ხელ-უხლებელი
ურჯულოს ნებას ვარით...
მაჭმევენ ცხენ-კვიცის ხორცსა,
ქალი ბუსურბან ვარით...
სანამ ლექსს დავათავებდი,
ხიწომ უწოდა ხმალით.
გადმოჭყვებოდა დოქოელი
ძმურათ უჭირავს მხარით.
მოგიხარიანთ, ლეკებო,
ნადავლი თუშის ქალით,
თუ თქვენ ეგ წაგაყვანინოთ,
წელს ნუღარ მერტყას ხმალით.
მაცალეთ, ლეკის შვილებო,
ხუროთ აგიგოთ მკვდარით.
წინდაწინ დაჭკრა ბელადსა,

ხურით ააგეს მკვდარით.
„თუშო, გაგიცვდეს ველობა,
ზვავი ჩაგიტყდეს მთისხო,
ან თოფ გეკვრებოდ, ან ხმალი,
ან ზვავი მაღალ მთისაო!..“

8

(ვარიანტი).

ტუტარიკს წისქვილს ასდიოდა
ნანა თორღვაის ქალით:
კარად გამოსვლა მომიხდა,
ვაიმე დამეცნეს ცანით.
გვერდით მომიკლეს ძმაილა
სისხლის მიბრუნავს ტბანით.
გამმართეს ლეკეთისაკენ,
უბეს ჩამიწყვეს ხელნით.
ქავთრისა მთასა გადაველ,
უკან მაბრუნებდ ქარით.
ქარიცა, არცა ქარია,
ტყვეების ცოდვა-ბრალით!
დავლეწენ საურ-ბეჭედნი,
მით დავილიშნე გზანით.
მითქვიდით ჩილოელებსა,
ხახონს უჭირეთ მხარით.
წავყევევარ აქეარელსა,
ერთხელ მომავლონ თვალით;
თუ სოფლად ვერას ჩამოვლენ,
ცხვარ-ცხენთ დაუჭრან ყელით.

## ვ ა ჟ კ ა ც ო ბ ა.

9

ციხეს ჩაზდის ჩარდახნი,
ლიბო ირღვევა მთიაო,
რად არ მოკვდება დუყაი
ქალებთან ლოგინობასა.
კაი ყმა მაშინ მოკვდება
სწორებთან ზჯობინობასა,
დალალებულნი ცხენები
რომ გადიოდნენ გან-განსა!..

## თუშეთის გმირები.

10

ქონთიოს ციგუს სულთანი
აზნაურია ყმიანი;
გირევს ხოსიკის ივანე—
დილბანდი დიჩინისაი.
ფარსმაში აუს ალუდა—
კოშკია სიმაგრისაი;
ქეშოს აბალოს დავითი—
ხმალია ბასრის ფხისაი;
დანოში თავბერაიძე—
ჰურ-წყალი თუშეთისაი;
ჩილოს ქაზნიძე მეშველე—
ხემწიფის დროშაიანი;
კვავლოში თილის ძე გიორგი—
შიშია შარის მტრისაი;
დართლოში თადიაური—
მეშეტე თუშეთისაი;
დიკლოში აბულის ქორთოში
ყამირობს ყანასავითა,

კარზე მოსულსა მოძალეს
აბრუნებს ნახირსავითა.
არ დაგაბერა, ქორთოშო,
ფშლას ბაშტის ყურებამათ,
კბილებ არ დაგაურევინა
დილ-დილ ცივის წყლის სმამათ;
ხმალი არ ჩაგაგებინა
აქვაელთ ზაობამათ.

### თუშეთის წმინდანები.

11

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია,
მერე ნასისკარ კვირაე
ღვთის კარზე მდგომიარეა;
მემრინას ბერი სამება,
წოვათას ბრძანებელია,
მემრინას ლაშას გიორგი,
ლაშქართა წინამძღოლია;
მემრინას გმირი კოპალა
ევ-ქაჯთა ჯირის მშლელია;
მემრინას ხახმატ გიორგი,
გაჭირდეს, მშველებელია,
მემრინას მაგეხ გიორგი,
მთაზედა ყარაულია;
მემრინას წმიდა თევდორე,
ხორციელთ შემბრალებელია.
ყმასა უმატე, სამებავ,
თუ ყოჩი გინდა რქიანი;
ქერსა უმატე, სამებავ,
თუ კოდნი გინდა სავსენი.
წმიდა გიორგის კარზედა
ხე ალვად ამოსულია,
ზედა დაჰსხმია ყურძენი
საჭმელად შემოსულია,
იმის ნახვევი ქალ-გაყი
შავადა შემოსილია...

ლაშარის გიორგი, კოპალა, ხახმატის გიორგი, მაგეხ გორგი, თეედორე და სამება—ყველა ესენი მთის წმიდანები არიან, ყველა ამათ სხვა და სხვა ალაგებში სალოცავები აქვთ, სადაც ყოველ წელს მკათათვეში დღესასწაულები იმართება. იყრებიან არამც თუ თუშ-ფშავ-ხევსურები, არამედ მოდიან ბარელი ქართველები და ქისტებიც. ჰხოცავენ სამხვეწრო კურატებს, სვამენ ხატების დღეობისათვის გამოხდილ ლუდს. ლაშარის გიორგი პატრონია ფშავლებისა, ხახმატის—ხევსურებისა და სამება—წოვა თუშებისა. დღეობის წესის ამსრულებელნი არიან დეკანოზები.

### თუშის ხმალი.

12

ხმალმა სთქვა, განჯას ნაჭედმა:
ფრანგში ოსტატმა დამჭედა,
რამთენმაც ხელში ამიღო,
სულ ყველამ ჯვარი დამწერა.
კაის ყმის დაჭრა, დაკუწვა—

სხვა ღმერთმა არა დამწერა,
დედის-ერთაის სიკვდილი
ნეტავ ღმერთმ არა დამწერა.
ქალაქში ხმლისა მჭედლები
ერთი გასძახის სხვასსა:
ვინ იყო ამის ოსტატი,
ნეტარ აღარ სჭედდ სხვასსა;
ბასრი ყოფილა, ფოლადი,
მით გემით სჭამდა ძვალსა.
ბიჭო, გული გაგდიდებია,
ჯაჭვი ტანთ გეცვა ქერქათ;
მოუმე შენდ არ ვინ შამოურილ
ფრანგულ შამორტყმულ წელზედ;
კისერსაც მოგაგდებინებს
ჯაჭვი შამოურილ მხარზედ;
ხმლებთა ვერ შამაშინიან,
თუშებთ გამხეთქეს შიშითა,
უიხრიდით ჩემსა პატრონსა,
ჭალას გამრეცხოს ქვიშითა!..

13

ყმა იშვიათად გალესავს
იანვარშია ხმალსა;
ყმა იშვიათად ჩაავდებს
ჩარღუმის ღელეს ცხენსა;
ქანთში შეიგდებს სოფლის კარ,
შეათელიებს ქერსა;
სათმრად გამოიღებენ
ალუდაურის ხმალსა.
ხმალო, განჯაში ნაჭედო,
ქალაქს ფრანგისა ნაფერო,
კაის ყმას დაჭრა, სიკვდილი,
სხვა თუ ღმერთმ არა დაგწერა,
დედის ერთაის დაჭრა და
სიკვდილი რადღა დაგწერა.

## თ უ შ ი ს  ც ხ ე ნ ი.

14

ცხენი ეტყოდა პატრონსა:
ცხენით წინ ნუ დამაყენებო,
ცხენით უკან დამაყენიდი,
ვითომც დაგივარდ გზაზედ.
ცხვარსაც ნუ გამაყოლიდი:
ჯანგ არ მომკიდოს ნალზედ;
სველია ცხვრისა ბილიკი,
ფეხი დამიცვდებ ნამზედ.
თუშთ რომ გაუშონ თარეში,
ლაგამ დამადევ თავზედ,
გძელსა შარასა დამაყენ,
მაშინ დავგოგდებ ნალზედ;
წინ წამიყვანე ბაკის კარ,
თვალ მქონდეს მოჯერეზედ;
მოჯერე ღმერთმა არ მოგვცეს,
წყემსებს გაუვლოთ განზედ.
სახელსაც მოგატანინებ,
თუ მღერა გინდა ჯარზედ.
სწორებ არ დაგივიწყებენ,
ლეკურს გავიდნეთ მთებზედ;
ქალებ შაირში გათვლიან,
თუშეთს მბრუნავსი ბანზედ.

## წოწრეს პაპა.

15

კინამც სთქვა, ენა გაჰხმება—
„წოწრეს პაპაი ბერია“,
ბერია, არც-რა ბერია,
სისხლე ხელთა სჭერია:
ცხენზე შეჯდება—ქორსა ჰგავ,
დაუქვევითებს—მგელია.

## განა ქოთილაძე.

16

თოვლი თოვლს ვესტმის მთაზე- [და,
დაბლა სოფლადა შრებათ,
ავათ არს ქოთილთა განა,
გულს უწადინოთ კვდებათ.
ნუ მოჰკლავ, დამბადებელო,
სოფელსა ეტლი ჰხდებათ;
განასა დედა ბეჩავი
ბერი ბნელეთსა ჯდებათ.
ბრალია განას დიაცი
სანთელივითა დნებათ.
გამართეს დასამარხავათ,
წინ ცხენი ჩაუძღვებათ,
ფეხს იცემს, შეიჭიხვინებს,
შეჰხედავს—ატირდებათ!..
დამარხეს მელექე განა,
კუბოთ გამართეს [illegible]რვლისათ,
მოქარგეს ოქროს მკერდიათ,
შუქნი ადგება მზისათ.
ოქროს შუშუტებ ჩაუშვეს,
შუქნიმც დადგება მზისათ;
ცხრა დაუყენეს ხუცესი,
ცოდო მოჰხადონ მტრისათ!..

## კოჭაურ შველაძე.

17

კახეთში ყივის გუგული,
ყივილით სქდება ველარავ;
ავად არს შველათ კოჭაურ,
კვდების, მორჩება ველარავ.
მთებს შემოჰხედავს თუშეთის:
მთანო, დაგლახავთ ველარავ.
დედის ჩაყრილო საგძალო,
ველად გაგიდებ ველარავ;
ცოლის დაკერილ ჩითანო,
გუდას მიგიკრავთ ველარავ;
თუშეთში, თუშთა ბიჭებო,
წინ გაგიძღვებით ველარავ;
შილდის თავს, გრილო წყაროვო,
თავსთან დაგიჯდებ ველარავ;
ქარშია, ჭარელთ ბიჭებო,
თვალსა მოგავლებთ ველარავ.
სშენდობა შველათ კოჭაურს,
სადაც გარიგდეს ჯარია.

## მიქელ ხალიაიძე.

18

მიქელმა სთქვა ხალიაიძემ:
ბევრჯელ გავსულვარ ველადა,
ნაბად მქონია მსუბუქი,
მძიმე მიტარებ გუდაო;
სადილიც ბევრჯელ მიჭამავ
შილდის თავს გრილ წყაროზეო;
ბევრჯელ მეძინა, ტიალი,
ჰარის თავს ცივსა ქვაზეო;
ლეკებიც ბევრი ვხოცენი
გუთანის თავის მთაზეო;
მოჯერე ბევრი მომიკლავს,
მოჯერე ბაკის კარაო.
ბინისკენ მოვბრუნებულვარ,
გულდიდათ მივლი მთებზეო.
არცა ვარ კოხტა აბუჩი,
არც ქუდი მხურავ რქაზეო!..

## გორგი თილიძე.

19

მთათა ლეკურთა ყორანო,
ვერც რას დაჰყეფავ სხვასაო!..
გორგი წასულა საველოთ,
გავყვნეთ ჟმაგის კვალსაო.
შურაში ჩავა ხიდზედა,
ვიწროს შაუკრავს გზასაო.
ანთაი თავბერიძეი—
ვაჟკაცი სცდიდა თავსაო;
დავითი ფარეჯანიძე
ხმალსა აჭრევდა ძალზეო.
კითხვაც არ გინდათ, ყორნებო,
ჩადითო ნაომარზეო;
დალოცეთ ხმლისა მქნევლები,
ნაჭერ საც იყოს ტანზეო.
შვიდ წელს არ მოვიდ ბალახი
თილიძის ნაომარზეო..

20

თილის ძე ლოპოტაშია
ჟოლსა სჭამს, მაყვალს ახდურებს.
„ან შინ მიგიდებ, სახელო,
ან, თავო, გადაგახდურებ“.

21

ლაშარს ჩავალის თილის ძე,
გულდიდათ დაჯდებ ხარიო,
გარ შემოერტყნენ ფშავლები,
როგორც რომ ბატონს ყმანიო.
—აქ არ მოგესვლებოდ, თილის ძე,
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალიო:
დასწვი, დადაგე ხოშარა,
ცამდვის აუშვი ალიო;
დიაც-ყმაწვილებ ბევრი დახოცე,
კალოთ გალეწე მკვდარიო!..
—მაცალეთ, ფშავლის შვილებო,
მალოცვეთ ლაშრის ჯვარიო,
სალოცავადა მოვსულვარ,
თეთრი მომიყვანავ ხარიო.
მაგის მემრ გიამბოთ, ფშავლე-
[ბო,
როცა გამოშრეს მთანიო.

მთა გაშრეს, მიწა გამოჩნდეს,
ლურჯამ მოჰკიდოს ნალით,
მთამან დაისხას ბალახი,
ლურჯამ დაბღერტოს ნამით.
ტყემან დაისხას ფოთოლი,
მხედარმ დამალოს თავით,

უბის ღელეს უნდა გადადიოდეს
თქვენი ცხვარ-ხაროვანით.
იქავე უნდა ნათობდეს
თალის ძის ლურჯას ნალით.
უკან მიმდევდეთ, ფშავლებო,
საით რა მაგის კვალით?!.

## თ ო რ ღ ვ ა

22

მოდი, ვაზუზი, დაგვეხსენ,
თუშეთის გეყო ზიანი,
ახლა ხევსურეთს გადადი,
ხმალი დაგხვდება ფხიანი.
გზათ თორღვა შემოგეყარა
ღვთისაგან დოვლათიანი,
ფარი და ხმალი შენ მოქცა,
დაშნა დამალა ფხიანი,
მარჯვნიდგან წამოგირბინა,
მარცხნიდან დაგკრა ზიანი.
გულის პირს დაგცა დაშნაი,
ბორტვი დაკმიჩე მტვრიანი;
ჩაგიტან დაგლოვანასა,
ნაბად დაგხურა ცვრიანი,
თავით დაგისხა ყორნები,
ძვალ ახრევინა წვნიანი!..
თორღავ, ვაზუზის მომკლავ,
ნეტარ რა გქონდა ფარადა?..

კახეთს გიბარებს ბატონი:
ერთხელ ჩამოდი ბარადა.
ტანთ გამოგიცვლის ხალათსა
ხევსურთ ბიჭების ჯავრადა.
ცხენსა გიბოძებს ისეთსა,
შინ წაგიყვანოს ჩქარადა.
ემაგის მოშაირე
ქალ გომეწრელთ ვარ თმიანი,
შეიტყო, გამომიგზავნე
საყურე გუგუმიანი.
საცოლეთ არას მიკადრებ,
აზნაური ხარ ყმიანი.
ჩემის ქებით თავს ნუ გაიდებ, თორ-
მამა მეც მყვანდა ხმლიანი. [ღვაო,
ქარ-ბელაქნიდან მოუდიოდა
ყოჩი, ვაცები რქიანი.
იკითხავდითა გომეწარშია
ვერხოვანს ქავთარ მქვიანი.

გარდმოცემა მოგვითხრობს, რომ თორღვა იყო პაგრატიონთ ნაბიჭვარი, სცხოვრობდა სოფელ მუცოში, რომელიც მდებარეობს პირაქით ხევსურეთში, მდინარე არგუნის სათავეში. მთაში, მძინარეს თავს დასდგომია თორღვას ქისტების გამოჩენილი ბელადი ვაზუზი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მთელ მთა-ბარს და დაუტყვევებია. როდესაც ერთ კლდის პირას ბილიკზე მიდენილან, უცბათ უძვრია თორღვას საცვეთიდან ხანჯალი, დაუცია ვაზუზისათვის გულში, გადამხტარა კლდეზე და

თავისათვის უშველია. ფშაველებს და ხევსურებს ხარჯი უძლევიათ თორღვასათვის და ერთხელ ხარჯის აღების დროს ფშაველს მოუკლავს იგი ისრით. ეს სჩანს ფშავურის ლექსიდან, რომელიც მოყვანილი აქვს ხიზანაშვილს ფშავურ ლექსებში.

## მარხვა გაბრიაძის ამბავი.

23

ქისტო, ვინ ხარი ქისტეთსა,
ქისტო, ვინ ბრუნავ ბანზედა,
აღარც გამოხვალ საამჯნოს,
აღარ დაგვიჯდებ ჯარზედა...
ამოხველ ნაყაიჩოზე,
სახლებ შეგიერივ მხარზედა;
ჩამოხველ გუდანთის მთაზედ,
ხელი წაგიღის ხმალზედა.
მანდ მარხვას დასძინებია
დამშვრალს, დაღალულს მიებზედა.
ქისტო, რათა ჰკლავ მძინარსა,
რად არ აღვიძებ ცდაზედა,
თუშ იყო, წამოიღვიძებდ,
ადგებოდ ხანჯრის ტარზედა.
სულეთში გაბრიძე მარხვა
ჩივილით შამოდიოდა.
ამას ჩიოდა მარხვაი:
ერთხელ ვინმ გამაცოცხლათ,
სად სახლობს ციხეშაიძე,
კარიმც ვინ ჩამავლევინა:
ორნივე ერთად შაგვყარა,
თავებიმც გაგვაცდევინა;
შორიდან სწორებს ახედვია,
ბორტვიცა გაგვავლევინა.
თუ ვერ მოვკლავდი მომკლავსა,
მომკლან, იქ დამაწვინათ.

## ლანაშა ბორძიკაძის ამბავი

24

მთას იქით არწივთ გაგზდიან,
მთას აქეთ განადირებენ,
ლანიშო ბორძიკის ძეო,
ორხევით არას გიშვებენ;
სახმლეთაც ვერას გაგბედვენ,
ტყვიას დაგკრიან ჩქარსაო;
თან გახლდა თუშის შვილები,
გათქმულნი ლაშქრობაშიო.
შეთეი ზივინის ძეი
სულსაც აურიდა მგლისაო;
თოფ დახკრა ლეკის გაზდილსა,
ნაჰირ აწითლა წყლისაო!..
ლეკეთს შეიტყეს ლეკებმა
სიკვდილი ლანიშისაო,
სამახარობლოდ გაიღეს
სამოცდასამი ცხვრისაო.
მოუკლავ ბორძიკიძეი,
სრულ მჭერელ ჩვენის გზისაო.
მთაში შეიტყეს შუნ-ჯიხვებთ,
გულდიდად სძოვდეს ჩრდილსაო.
მოუკლავ ბორძიკიძეი,
არცვის მოგვტაცებს გზებსაო!..

## ნაკუდა გამარიძის მოკვლა

25

ნაკუდა, გამარის ძეო,
კახეთს რა გქონდა სავალი,
ვერცხლი შინ გქონდა, ოქროი,
ცხვარი მთას გედგა მრავალი,
შინ გეჯდა გოიძის ქალი,
მზე ზღვაზე ამომავალი.
მოგტაცეს ტყის თავის ცერი
ვიწრო გაქვს ამოსავალი.
სახმლეთაც ვერას გაგიედვენ,
თოფებს უმატონ წამალი.
ნაკუდავ, შენსა მომკლავსა
ლეკებით აძლიონ სალამი.

## გიგის ლაგაზის გმირობა

26

წოვათას გიგის ციხეო,
ქვაც ნუ გდებია ქვაზედა;
ქაჩუს გადმოდის ჯარები,
ციხევ, შენს მუქარაზედა;
თუშეთი შემოამტვრია,
თუშო, მოგდიან კარზედა!
ცოლს ეტყვის გიგის ლაგაზი:
წამალ ამიწყე ხანზედა;
ტყვია თუ შემოგაკლდება,
ლილი აიჭრ ტანზედა;
თუ ლეკებს წაგაყვანინო,
წვერიმც ნუ მესხას უბაზედა;
ამიშურებენ სწორები,
არც მიმიშვებენ ჯარზედა,
არც მიტირებენ დედანი,
მკვდარი რომ ვეგდო გზაზედა!..
ცოცხალი ციხეს არ მივცემ,
ცაც რომ დამექცეს თავზედა...
რომ მომკლან, ჩემი სიათა
მაღლა დაჰკიდონ ქვაზედა;
დაურიონ ტყვია-წამალი,
რომა დაყარონ ტანზედა.
სადირზე ნუ ვინ იხმარენ,
ნაჩვევი არის მტერზედა.

27

(ვარიანტი)

წაროს თავს, გიგის ციხეო,
ნაგებო ხოხი ქვისაო,
ქისტეთს იურება ჯარები,
ციხევ, შენს მუქარაზედა.
გადმოდის წაროსა თავსა,
გადმაიშავეს მთიანით;
პირდაპირ ჩამოგივლის
ციხევ, შაგექრა ტანით;
შამოგეხვივნენ ქისტები,
ციხეო ლაგაზისაო.
შიგა ზის გიგის ლაგაზი
უამიც არა აქვს მტრისაო.
თოფს ესვრის გიგის ლაგაზი,
ქისტი მოგორავს კლდეზედა;
ცოლს ეტყვის გიგის ლაგაზი:
წამალ ამიწყე წამზედა,
თუ ქისტებს წაგაყვანინო,

ნულარ მიტირებთ მკვდარზედა.
ტყვია თუ შემოგაკლდება,
მძივ ხომ ბევრ გასხავ ყელ-
ზედა!..
მარტოკა გიგის ლაკაზი—
ვეფხვი გვიმაგრებს ციხესა.
გაკვირვებულან ქისტები
ლაკაზის თითვის სროლასა:
ტყვია რომ მოდის უწყალო,
არც სცდება გულის პირსა.
ილებდა მთელსა გომეწარს
წაროსი თოფის ჩქამით.
ტყვია გაუთავდ ლაკაზსა,
ცოლს აჭრის ვერცხლის ღილ-
გაიგეს ქისტის შვილებმა, [სთ.
ლაკაზს გაუთავდ ტყვიათ.
ავაი შე, გიგის ციხეო,
დღე გაგითენეს შავით!..
მოილეს შეშის სანგალი,
გაჰხვიეს ცეცხლის ალშით.
შიგად ატირდა ქალ-რძალი:
ვაი, დაგვეცა ცანით,
ჩაიქცა ციხის ბანები,
დაბრუნდა ცოდო-ბრალით:
სამოცდა შვიდი ჩაიწო
თუშის ქალი და რძალით!..
დალონდა გიგის ლაკაზი,
დაბლა დახარა თავით:
რა დიდი ცოდო ვიხილე
ამ სიბერისა ხანზეო,
ცეცხლში დალევა ხალხისა,
გაუგონარი მზეზეო.

ციხიდ გადმოფრინდ ლაკაზი,
არწივმ გაშალა მხარნით,
ქისტებთ ვერ დაიმორჩილეს,
მხარმა გაიღო გზანით.
ბოლოში, ხუცის ციხეო,
ქვაი ნუ გედოს ქვაზედა!..
შიგა ცხის ქალი თმიანი,
ცრემლი ჩამოზდის თვალზედა..
ძმა მოჰკვდომია საბრალოს,
მტირალი უზის გვერდზედა:
ვაიმე, ძმაო, რად წამიხველ
მარტოკა მყვანდი მზეზედა,
წაროს თავს ჯარი ჩამოდგა
ვინ მიეგებოს გზაზედა!..
შინ არ არიან წოვანი,
ჰელოს წასულან ომზედა,
ქალ-რძალი შემოეფარა
ამ ოხერ ჩვენსა ციხესა.
შენი იმედი კიდევ აქვსთ,
მებრძოლიც იყავ მტერზედა;
მანდილი უნდა გადვიგდო,
ქალმანა ვცადო თავია.
ძმის იარალი აისხა,
ქალი ეომა ქისტებსა,
ციხე არ ჩაატეხინა,
ღვთისგან რა ჰქონდა ძალია...
წითლად შეღებეს ქვიშანი
ქალის ნახოცმა ქისტებმა...
მე მაგის მოლექსებელი
გომეწრის ქალი ვარია,
პირდაპირ სეირს ვუყურე,
წაროს დახვიეს ალია...

## მეფე ერეკლეს საკვდილი.

28

ვერ შაიტყეთა, ქართველნო,
რკინის შაგეხსნათ ხმალით,
მოგიკვდათ მეფე ერეკლე —
ბაგრატიონთა გვარით.
ცოლსა ვინ ეტყვის — დედო-
იმერეთ მეფის ქალია... [ფალს —
ატირდა ერეკლეს ცოლი:
ვაი, შვილებ, თქვენი ბრალით,
წაგერთვათ საქართველოი —
მამის თქვენისა ყმანით...

29

გალაღებულხარ, კახეთო,
მეფე ერეკლეს ხმლითაო;
აღარ გყავს მეფე ერეკლე,
არც მეომარი მისაო.
მცხეთას რომ ბროლის კოშკი
შიგ ნათობს კელაპტარიო; [დგას,
შიგ ასვენია ერეკლე,
გმინვით ათენებს ღამესა.
თავზე დასტირის დედოფალ —
იმერეთ მეფის ქალია:
— ადექი, მეფევ, ადექი,
ადექ, რა დაგმართებია,
გადმოსულა რუსეთი,
მამის გერთმევა ყმანია!..
— არ დაშლილა მწერელი,
არ დაშლილ, რაღა იქნება;
სანამ ვიყავ, კარგი ვიყავ;
მაკძარ-მოკძარი ზღვანია,
შვილებს დაუგდე ვეფხთარი,
პირ-სისხლიანი ხმალია,
აგებ თქვენც შაინახიდით
ქალაქის მოედანია.
— დაიბარიდი, მეფევ, თუშები —
შენი ნაუნჯნი ყმანია,
გადმოვლენ, მოგვეშველება,
ომშია გამოცდილები.
თან გამოჰყვნენა ფშავლები,
ისინიც მათი ძმანია...
რით ვერ გაიგეთ, ქართველნო,
რით ვერ შეიტყეთ, საწყლებო:
მოგიკვდათ მეფე ერეკლე,
რკინის გაგიტყდათ კარიო.
ავაი თქვენ, ქართლის შვილებო,
მოგივათ რუსთა შვილები,
მოგივათ რუსის ბატონი,
გერთმევათ მიწა-წყალიო!..

## ბახტრიონას აღება თუშთაგან.

30

ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას გავსჭრით ვენახსა,
შიგ დავასახლებთ ელსაო...
შეიტყეს თუშის შვილებმა,
მაღლ შემოირტყმენ ხმალსაო;
ჯერ შუაღამე არ ქმნილა,
ნაქერალს გროვდებიანო.

შველაო შველაიძეო,
პანკისს გასტეხე წყალით;
უკუღმ დავსჭედოთ ცხენები,
დავმალვინოთ კვალნით;
საგათენებლოთ დავეცნეთ
ბახტრიონს გალავანზედა.
—გარეთ გამოდი, სულთანო,
თუშნი გისხედან კარზედა,
თუ ნებით შენ არ გამოხვალ,
გამოგიყვანენ ძალზედა.
მეტი ვარ სალირიშვილი,
ნუ მიმზერთ ტალავარზედა,
გადავალ, გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა,
შვიდი არ მოვკლა ხმალ და ხმალ,
გამცვალეთ თათრის ქალზედა...

გოხ-გავლებული ფრანგული
კაბას რა კარგად სჭრისა.
ჯიშით ზჯობნიხარ, ფრანგულო,
მჭრელი ხარ, თავითფერულო!..
ალთეს და ჩალთეს თათრები,
წითლად ჩადიოდ წყალით;
ალვანში ციხეს აგებენ
ხოჯა თათრისა ძვლისა.
ლიბოდ უგდებენ გალოსა
ნაწვრეტის ფრანგულისა...
დაგაგდებინეს ალავნი,
თუშთ არის საკუთარით;
ჯერ ღმერთი, მერე ბატონი,
სხვა არვინა ჰყავს მცილავი;
ვინც ალვანს უარესობდეს,
ცოლმ შემოუხსნას ხმალით!..

ბახტრიონის აღების და თათრებთან ბრძოლის შესახებ თუშების ზეპირ-გარდმოცემა მოგვითხრობს შემდეგს: ალვანი, სადაც ეხლა თუშები სცხოვრობენ და რომელიც მდებარეობს კახეთში ალაზნის მარცხენა ნაპირას, ეჭირათ თათრებს; ჰქონდათ გამაგრებული ორი ციხე: ბახტრიონისა—ალვანის თავში და ალავერდისა—ალვანის ბოლოში. კახეთის მეფეთ იყო ამ დროს ლევანი, რომელიც სცხოვრობდა სოფ. შილდაში (უნდა იყოს გრემში). ალვანის თათრები სცხოვრობდნენ ხვნა-თესვით და მოჰყავდათ ბევრი ბრინჯი (ეხლაც ეტყობა სარწყავი არხები). თუშეთიდან ჩამოვიდა ერთი თუში ალვანში პურის სასყიდლათ (სხვა ვარიანტით ორი მონადირე). თათრებმა დაიჭირეს ეს თუში და გააუპატიურეს. გაუპატიურებული თუში დაბრუნდა თუშეთში, ჩაიცო ქალის ტანისამოსი და დაჯდა მანდილოსნებში. იმ სოფლის თუშებმა გამოკითხვით გაიგეს თუ რასა ნიშნავდა ამნაირი მოძმის მოქმედება. იტკიცეს ხელი შუბლში. შეურაცხყოფა და შერცხვენა მათი მოძმისა იყო შეურაცხყოფა და შერცხვენა მთელი თემისა, მთელი თუშეთისა. თუშის ამაყი გული ამ შერცხვენას ვერ აიტანდა.

„ან შურის ძიება, ან გმირული სიკვდილი!..“ შესძახეს თუშებმა. გაგზავნეს კაცები ფშავ-ხევსურეთში, იწყეს მზადება სალაშქროთ. დანიშნეს პაემანი და ადგილი, სადაც უნდა შეყრილიყო შეერთებული ლაშ-

ქარი. გაგზავნეს რამდენიმე კაცი მეფესთან შილდაში. იყო შუა ღამე, როდესაც თუშების დესპანები მივიდნენ მეფის სასახლესთან. სთხოვეს კარის დარაჯს გაეღვიძებინათ მეფე. მეფემ მიიღო დესპანები. თუშებმა აუხსნეს ლევანს თავიანთი გულის წადილი. მეფე ყოყმანობდა და გაიძახოდა: „რა ვქნა, მტერი დიდია, ვერ ვძლევთ; განრისხებული თათარი ამიბუგავს კახეთს, ქვას ქვაზე აღარ დაანარჩუნებს, ხალხი ამოწყდება. მეფე ვარ და დიდ ცოდვაში ჩავდგები...“ არა, მეფევ,—უთხრეს თუშებმა,—ცოდვა ჩვენ კისერზე იყვეს და ჩვენ ხმალზე, თუ ვერ გავიმარჯვებთ. ჩვენ ვერ ავიტანთ ამ სირცხვილს; ან სულ ამოვწყდებით—შენი ერთგული ყმები, ან შევღებავთ ალვანის მინდორს უწმინდურის თათრის სისხლით... ჩვენ ისინი ვერ გვაჯობებენ, მხოლოდ შენ გაუსიე კახელები სხვა და სხვა სოფლებში მდგარ თათრებზე, გააჟლეტინე და ჩვენ თუშ-ფშავ-ხევსურებმა ვიცით როგორ მოვუღოთ ბოლო ალვანის თათრებს“. მეფე დათანხმდა. დანიშნეს პაემანი—დილის რიჟრაჟი. მეფეს სოფლებში მდგარი თათრები უნდა ღამე გაეწყვიტა და თუშ-ფშავ-ხევსურებს-კი უნდა აეღოთ ბახტრიონი და ალავერდის ციხეები.

დანიშნულ დროზე ნაქერლის მთაზე შეიკრიბა თუშ-ფშავ-ხევსურების ლაშქარი. ცხენები უკუღმა დაჭედეს, რომ აერიათ თათრებისათვის კვალი. ლაშქარი გაიყო შუაზე: ერთი ნაწილი წამოვიდა პანკისზე ბახტრიონის ასაღებათ და მეორე ალავერდის ასაღებათ. პანკისს იდგა თათრის დარაჯი. დარაჯებმა შენიშნეს მხედრობის კვალი, რომელიც მთისკენ ხევ-ხევ მიდიოდა. გაჰყვნენ კვალს. ამ დროს ლაშქარი-კი ბახტრიონის ახლო-მახლო ტყეებში დამალული ელოდა დილის რიჟრაჟს.

აჰა დაჰკრა დანიშნულმა სანატრელმა ჟამმა, დილის სიომ დაჰბერა. დაიძრა ლაშქარი ციხისაკენ. გზა და გზა თუშის ბელადმა—ზეზვა გაფრინდაულმა გააკეთა რამდენიმე პალო და ჩოხის კალთაში ჩაალაგა. მივიდნენ ციხესთან. თათრების დარაჯებს დასძინებოდათ. ზეზვა გაფრინდაულმა ჩაასო კედელში პალო, შედგა ფეხი, ჩაასო მეორე—შედგა მეორე ფეხი, ჩასო მესამე, მეოთხე და ავიდა ციხის კედელზე. კედლიდან გადახტა შიგნით, ამოხოცა დარაჯები, გააღო კარები და ისე შევიდა ლაშქარი. გაავთრებულნი, შურის ძიებით აღჭურვილნი თუშ-ფშავ-ხევსურნი, ეკვეთნენ თათრებს. დადგა ნამდვილი ღვთის რისხვა თათრის თავს. მძინარე თათრები ისე აირივნენ, რომ ვეღარ არჩევდნენ ვინ იყო მტერი და ვინ არა. გულ-გახეთქილნი აღარ ფიქრობდნენ ციხის დაცვაზე, მხოლოდ ცდილობდნენ როგორმე დაეხწიათ თავი განრისხებულის ქართველის მთიულებისაგან. თათარმა იმ იმედით, რომ შევეფარები ალავერდის ციხეშიო, თავი დაანება ციხეს და გაიქცა ალავერდისაკენ. თუშ-ფშავ-ხევსურები მისდევდნენ უკან ხოცვით. ალავერდშიაც ეს ამბავი ხდებოდა ამავე

დროს. ის ციხეც აეღოთ, იქიდანაც გამოსულიყვნენ თათრები და წამოსულიყვნენ ბახტრიონისაკენ. ორივე ციხეებიდან გაქცეულნი თათრები შეიყარნენ ალვანის მინდორში. თათარი მოემწყვდია შუაში. აქ შეიქნა ულვთო, უწყალო ჟლეტა თათრებისა. თუშების თქმით იმოდენა ეხოცათ თათრები, სანამდის ერთი თათრის გვამი ყირამალა არ დამდგარიყო თათრების მკვდრების გროვაში. მაშინ ზეზვას შეეჩერებინა მტრის ხოცვა, რადგანაც გვამის ყირამალა დადგომა ცოდოთ მიაჩნდათ. იმ ალაგას, სადაც თათრები ამოწყვიტეს, ეძახიან ეხლაც თუშები გაწყვეტილას.

თუშების თქმით, თათრები, რომელნიც სცხოვრობენ სოფ. ახტალაში (თელავის მაზრა), მაშინდელნი დარჩენილნი არიან. ამ თქმულობითვე, მეფე ლევანს მიუცია თუშებისათვის ალვანი ბახტრიონიდან ტახტის ბოგირამდინ და ფშავ-ხევსურებისათვის-კი მათივე თანხმობით ნადავლი.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს ამბავი შეცდომით არის მიწერილი მეფე ლევანის დროს. არც ერთ კახეთის მეფე ლევანის დროს ამნაირი ამბავი არა მომხდარა რა. ეს უნდა ყოფილიყო 1658 წ. კახეთის მართველის სელიმ ხანის დროს, როდესაც ქსნის ერისთავმა შალვამ, მისმა ბიძამ ელიზბარმა და ბიძინა ჩოლოყაშვილმა შეკრიბა ერთგულნი, მოიმხრო თუშ-ფშავ-ხევსურნი და განდევნა კახეთიდან სპარსელები.

## ზეზვა გაფრინდაული.

31

ბახტრიონს ერთსა თათარსა
ენას უბნობენ ძნელსაო:
ახმეტას გავსჭრი ვენახსა,
შიგ დავასახლებ ელსაო.
არცა ჰკითხავდა თუშებსა,
არცა ზეზვაის ცხენსაო.
თუშთ ნაქერლები ცხენები
ალაზანს გროვდებიანო:
არ მოგვივიდა ზეზვაი,
წინამძღოლს ღონდებიანო.
ზეზვამ სთქვა გაფრინდაულმა:
ხევსურნი ნუ მოვლიანო;
ზოგთა სთქვეს, თან გავიყოლოთ,
გაჭირდეს, გამოდგებიანო.
დაითხოვნილ იყვნენ ფშავლები,
პურ ჭამას ვერ რჩებიანო...

32

ზეზვაო გაფრინდაულო,
ცოტა მოკლეო ენითა,
საცა-კი შეიყრებიან,
ამოგირჩევენ ხელითა.
კარზე მოსულსა მოძალეს
ირეკავ ნახირსავითა.
თათრებს ნუ ენდობი, ზეზვაო,
დაგაბალითებენ ენითა,
პურ-ღვინოს მაგათს ნუ ენდობი,
გიღალატებენ მაგითა.

ზეზვაო, დაგიმორჩილეს,
თუშო, უნდ გაჰყვე ნებითა;
ცივ-გომბორს გადაგატარეს
თათრის ძუვ-ღებილ ცხენითა...
ჩაგიყვანესა ქალაქში,
ბაგეს მოსჭამდი კბილითა.
მოდიან თათრის აღლარნი:
ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა.
ზეზვასა ნახვა არ უნდა,
დალატით დაჭერილია;
ზეზვასა მაშინ ნახავდით,
ბახტრიონს რომ ბრუნავდა ცხენი-
მოგდევდათ, მოგაწუხებდათ, [თა,
გჩხვლეტდათ შუბისა წვერითა,
ალვანის მინდორი აავსო
თქვენის თათრების ძვლებითა,
ალვანიც დაგაგდებინათ
თავის ფხიანი ხმალითა.

როგორც ამ ლექსიდანა სჩანს, თუშების გმირი, ლაშქრის წინამძღოლი—ზეზვა გაფრინდაული მოტყუებით დაუჰერიათ სპარსელებს და ჩამოუყვანიათ ძუვ-ღებილ ცხენით ტფილისში. ეჭვს გარეშეა, რომ ამასაც ის ბედი ეწეოდა, რა ბედიც ეწია ქსნის ერისთავებს შალვას და ელიზბარს და ბიძინა ჩოლოყაშვილს, ე. ი. წამება. თუმცა ქართული მატიანე არას მოგვითხრობს ამაზე, მაგრამ ეს გასაკვირველი არ არის, რადგანაც ქართველი მემატიანენი, როგორც საზოგადოთ სხვა ხალხისა, მხოლოდ მეფეებზე და თავად-აზნაურებზე სწერდნენ, დანარჩენებს ყურადღებას იშვიათად აქცევდნენ.

## თუშების ბრძოლა ქისტებთან.

33

დიკლო დაწვეს, შენაქო,
ცამდის აუშვეს ალით,
იქიდან შემომდინარდა,
ბოჰორნას მისცეს ცეცხლით.
კაცი გაგზავნეს ლევანთან:
ლევან, გვიბოძე ჯმანით.
ლევანმაც გამოუგზავნა
ათასი მეომარით.
მოდიან გძელსა ყანასთან,
ცხენსა გააქვის გრიალი;
ამოდიან ნაქერლის გორსა,
ღმერთო, დასწერე ჯვარით.
ჩამოდგა ხიდთანის ვაკეს,
როგორც ნაგუბარ წყალით;
ჯვარბოსლის ძირით ალაზან
შიშით შეაქან ზარმათ.
გადმოდიან ნაყავეჩოსა,
გადმოიარეს მთანით.
—ფარსმის ძირს წყალსა ვინ
[გახვალთ,
ვაჟთა ვის მოგწონთ თავით?..
ფარსმიდან გაიქც მურთაზი
გირევს დაჰყარა ხმალნით!..
გირევს კითხვიდეს ქალები:
—მურთაზ, ვინ წაგართვ ხმალით?

—დაჯექ, ძმობილო, მიამბე
ცდა შენი დ ყიბრაგისათ.
—დავჯდებ, ძმობილო, გიამბობ:
პური მიხოვ, პური ვაჭამე,
ირჩევდა სიმინდისათ;
ხორცი მიხოვდ, ხორცი ვაჭამე,
ირჩევდა ხოხობისათ...
ღვინო მიხოვ, ღვინო ვასვი მე,
არჩია ბადაგისათ...
ახლა ცოლს მომკიდებია,
გაზარდულ სხვისა შვილსათ...
უიბრაგმა ხელი ჩაავლო,
ვეფხვი ჩააგაყ ბწალსათ.
ქალმა დაძრახა ბეჩაყმა:
იმედო ჩემო მხრისათ!..
უიბრაგმა გადმომიქნია,
ელვას დაამგზავს ცისათ.
ერთი მეც გადაუქნიე,
ელვას დავამგზავს ცისათ.
ცხენ-მხედარ ჩავაწყვეტინე,
წვერი მიწასა სწვდისათ!..
მე ცოლსა ვერას გავატანდდ,
ხათრი მქონდ სიდედრისათ,
წელს მერტყა ქამარ-ხანჯალი,
ნაჩუქარ ცოლის ძმისათ...

34

როსტომმ სთქვა: შავწუხებულ-
შემოყლა მწადის მთისათ, [ვარ,
არჩევა კაის ბიჭების,
ქაჩუს გადავლა მთისათ;
ჩატანა, ამობრუნება
ხულანტელთ ხაროვნისათ;
გულ-ხელად გამობრუნება,
კალთიათა ხვევნა ხელთათ;
გადმოსვლა ჩილოს ხაასა,
შუგულ არს თუშეთისათ.
არ მომგონდებოდ ლალატი
ემაგა თუშებისათ;
აცალეთ, ჩილოელებო,
სოფელ აგივსოთ მტრითათ...

35

გამზდელიც დაილოცება
თუშისა როსტომისათ,
ალაზნის თავზე შემოდის,
წუემსი გვეგონა ცხვრისათ.
გადაიარა ბორბალო,
ჟამიც არა აქვს მტრისათ.
ჩამოდის ქისტის ჭალაზედ,
სწავლა არ უნდა გზისათ:
გავიდა ქორვის მთაზედა,
ნამი გაბლერტა მთისათ.
მარტო ჩავიდა ახვაში,
თან კვალი ჩაჰყვა მგლისათ.
როსტომსა სისხლის მძებნელსა
იმედი აქვსა ხმლისათ.
თოფსა არ ისვრის როსტომი,
კატეხ არ უნდა ხმისათ,
მოკლა ხაწეთა ბათირი,
მომკლავი ძმობილისათ.

36

აქორელისა მთაზედა
ლურჯა სძოვდ იალაღზედა,
ხანდისხან შეიამაშდებოდ,
შეგოგდებოდა ნალზედა.
ზედ ზისა თოთოს ქედაი,
ჩაჩქან უქლავს თავზედა.

—გამოდით, აქოროელნო,
ელვა დაეცა ცხვარზედა,
ცხვარი გარეკეს თუშებმა,
ჭექა დაეცა ცისაო,
დაითოფეს მეცხვარეები,
რისხვა დაეცა ცისაო!..

37

თუშეთს მოვიდა მურთაზი,
გირევს დაყარა ხმანია;
თან მოჰყვა მძიმე ლაშქარი,
თუშეთს დაჰხურა ცანია.
სირცხვილ დაადო თუშეთსა,
ბეგრათ მოსთხოვა ქალია:
„ქალი მომეცით ქალწული,
ქალი საკადრი ჩემია“.
წოვათელ დევდრის ანთაი
ფარსმას მურთაზსა სჯერია,
წინ უდგა ოქროს ლამბაქი,
ზედ კვიცის ხორცი აწყვია.
ზედ აზის დანა ჯავარი,
ტარი გიშრისა აგია.
შიან და ვერ უჭამია
რჯულიც ვერ დაუგდიაო.
—ან ხორცი ჭამე, ანთაო,
ან ბეგრათ მომეც ქალიო;
ძალა ხომ ვერას გაგივათ
მრავლის ხუმწიფე ვარიო.
შაქუჩდნენ თუშის შვილები,
დაყარეს იარაღიო.
ჯერა სთქვეს: არ შეიძლება
ბეგრათ მიცემა ქალისა,
მემრე სთქვეს, ჩარა არ არის,
მტერმანა გვიყო ძალიო.
წილებსა ჰყრიან თუშები,
მურთაზს უნდ მისცენ ქალიო;
რგებია ომალოელსა.
ქალმა დასწყევლა ძმანიო:
მამულო ან მიპატრონეთ,
ან წელს შემარტყით ხმალიო,
არ გადავყვები მურთაზსა
რჯული მაქვს ქრისტიანისა!..
ასულა მაღლა ციხეზე,
ქალმა მოიკლა თავიო.
გაიგო ითაბანულმა
წელს შემოირტყა ხმალიო,
ადგა შეკმაზა საღრაი,
მუხლად ჰყავ ნიავ-ქარიო.
ამბავი ესე დაუგდო:
შაბაის მიჭირეთ თვალიო,
სამყინვრეს ვახშმის ხანზედა
აგანთებთ მაშხალეებსა,
ეცადეთ, რაც შეგიძლიანთ,
ნულარ დაზოგავთ წამალსა,
მეომარ მომედინება,
ლალი ლევანის ყმანიო.
ღამე ბნელ გადაიარა
საკახეთოსი გზანიო.
ლევანს მიუვიდ თელავში,
მამლის ყივილის ხანია.
—მოგვიპატრონე, ბატონო,
თუშნი ვართ შენი ძმანია;
თუშეთში ჯარი ჩაგვიდგა,
უთვლელი ქისტის ყმანია,
ბეგრათ იღებენ ქალებსა,
მიუდის დაღესტანშია!.
ეს რომ გაიგო ლევანმა,

დაბლა დახარა თავით,
—მარდათ ვინ წავა ქიზიყშა,
რომ შეგვიყაროს ჯარით.
გაგზავნა ისევ ითაბან,
ცხენი რომ ჰყავნდა ჩქარია,
ჯერ არ ქმნილ გაიქნებაი,
თელავს დაჰყარეს ჩქამია.
ჯარი საჩქაროთ მოსულა—
ლალი ქიზიყელთ ყმანია.
—წადით, ერთგულათ ეომეთ,
თუშებს უჭირეთ მხარია!..
ამოდის გძელ ყანაზე,
ნალებს ანათებდიანო;
საკურის გორას ამოდის,
ღმერთო, დასწერე ჯვარით!..
ნაქერალზედა შემოდგნენ,
აღარ ნებდება გზანით;
ცხენი მოუკვდა ითაბანს,
ის ოხერ ნიავ-ქარით;
სამყინვრის ღელეს გადმოდის,
ცის არ გასწვდება ნამით.
გადმოდის გომეწრის უბეს,
ქალებთ დასწერეს ჯვარით.
ჩამოდგებ ბიქიურთის ძირს,
აღმ შამააბრუნ წყალით;
გადმოდის ნაყავეჩოზე,
როგორც მდინარე ჯანღით.
ფარსმის ძირს ჩამოდგებოდა,
როგორც ვარსკვლავი ცაშით.
ადიდებულიც დაუხვდა
ეგ პირიქითის წყალით.
ვინა ხარ შენა, მომეტევ,
მომეტევ ჯარებისათ?

იქნება საგინაშვილი,
მამაც არს მოუცდარით!..
წინ-წინა მაგან გაბედა
ადიდებულსა წყალშით.
ფარსმისა მთაზე ავიდნენ,
ომი ასტეხეს ცხარით;
მურთაზის კარავ დაკაფეს,
მით შეურცხვინეს გვარით!..
რა დიდი ცოდვა დაბრუნდა,
შიშით ქანობენ მთანით,
ერთ კვირას ერთ-ურთ ეომნენ,
ცამდის აუშვეს ალით.
დაჭრეს, დაკუწეს ურჯულო,
მკვდრებით აივსო მთებით;
არც იყო მთებზე ჯანღია,
ცა მოწმენდილი არით.
თოფისა ჯანღი ჩამოწვა,
აღარა ჩანდა მთანით;
ხანდისხან დაიელვებდა
გადაქნეული ხმალით:
სისხლის ალაზან ზდიოდა,
აღარ ისმებოდ წყალით;
წყურვილით იხოცებოდა
ემანდით მეომარით.
ღმერთისაცა ძრიელ ეწყინა.
ამბავ გადააქვთ ომისა!..
მურთაზის ცოლი მიეგებ,
თვალით ლამაზი ქალით.
—ჩემი ქმარ მურთაზ რა იქნა
მთელი ქისტეთის თავით?
—მურთაზი თუშებმ დაკაფეს,
კარავს დააგდეს მკვდარით;
მეომრებიც გაუწყვიტეს,

მოამბეც აღარ არიო!..
—ბევრი ვეუბნენ: ნუ წახვალ,
ქალმა ვაჟობე ჭკვიითაო.
მოგკვლენა თუშის შვილები,
ხმარებ იციან ხმლისაო!..

38

(ვარიანტი)

ომში აპირობს მურთაზი,
ყიდულობს ზარბაზანსაო:
უნდა წავიდე თუშეთში,
ფარსმას დავავლო თვალიო.
ქაჩუსა ღელეს გადმოდის,
ცის არ გასწვდება ნამიო;
ჩამოდგებ ფარსმისა თავსა
დიდი მურთაზის ჯარიო.
ფარსმას წვერიან ციხეო,
თოფის დაგხვიეს ალიო;
ჩამოგიყარეს ჩარდახი,
რით ვერ დაგიძრეს ტანიო.
შიგა ზის ალოს ალუდა,
ქორი აფეთებს თვალსაო;
გვერდით უსხედან ბიჭები—
თუშთ ახალ მეომარიო.
ქალმანა კახოს თინამა
ბიჭების უჭირა მხარიო,
ქისტებს მოუკლა ბელადი
სამის ხეობის თავსაო.
ხევსურეთს კაცი გაგზავნეს:
ფარსმას დაეცა ცანიო,
ფარსმაში თუშის ციხეებს
ქისტის ეხვევა ყმანიო.
ქვახიდში ჩამოკვივლებდის
ხევსურთ ჭრელ ხირიმებიო.
ახლა თქვის ალოს ალუდამ:
ხევსურთ მოსულან ყმანიო.
კართან გამოვა ალუდა,
თან გამოჰყვება ყმანიო;
ხირიმებს, მურთაზ, არას გაკად-
[რებსთ
მაყრებით შეგიჯერებსთო.
ჯერ ხომ ჩვენ გეომებით,
ახლ მოვა თუშთა ყმანიო.
თოფი დაგვიკრეს ალუდას,
ციხით შენ გვიზენ რალიო.
ბეროსა გოგითაიძეს
ეხვეოდიან ცხრანიო;
კალთას ჩაჰყვება მარჯვენა,
ჩასტირიდიან დანიო.
ხოგორას იყრებიანა
ფშავ-თუშნი, ხევსურთ ყმანიო;
შუა-დღისი ხან შეიბნენ,
მზეო, დაავლე თვალიო.
ქაჩუსა ძირას დეეწევნ,
ჩალად დაყარეს მკვდარიო.
საბაკეზელა გადავა,
აბაიშვილი ვარიო.
ვარსკვლავით დაელვდებოდა
ბაწარაულის ხმალიო.
მაით გაიქცა მურთაზი,
გირევს დაყარა ხმანიო;
ქაჩუსა ღელეს გადადის,
ჩასტირის როგორც ქალიო.
უკან გაყოლას ამბობენ
ნოტოსი ლაშქარისაო,
ბევრი არს, არცა ბევრია;
სუყველა ოცდაათიო.

გზას ცოლი მურთაზს მოუგებ,
თვალად ლამაზი ქალია:
—მურთაზ რათ გამოქცეულხარ,
რათ შეირცხვინე გვარით?!.
— ჯარ თუშებ დამიხოციან,
მოვდივარ სირცხვილიანი...
—სირცხვილიანის მოსვლასა
სიკვდილ სჯობდ ნამუსიანი...
მე მაგის მოლექსობელი
გიჩალ ვარ ბეროშვილიო,
თქვენთან დატანა მეც მეწად,
საკაცით დება მკვდრისათ!..

39

წოვათას ციხეს აგებენ,
ციხესა ალმასისათ;
აგაშენებენ ხურონი,
ლამაზ ნაგებო ქვისათ.
შიგნით მართავენ ოთახებს
სამრად ბიჭებისათ.
ქისტეთში ქისტებ გაიგეს,
მძიმეთ მიდგ-მოდგებისათ:
წავიდეთ ჩვენა, ჩავტეხოთ
ციხეებ წოვათისათ;
ცხენ-ძროხა შემოვირეკოთ,
დავლას მივიღებთ ბევრსათ;
საკვეხურად მოვიუთლოთ
მარჯვენა თუშებისათ.
წოვათას ვერას ჩასტეხავთ,
კოკა არ არის წყლისათ.
წოვათას წოვათ ბიჭებსა
უამი არა აქვთ მტრისათ.
შეურიდა ქისტის ჯარები,
ნამ არ გადასწვდებ ცისათ.

გადმოდის მაგახის ღელეს
წოვათის მუქარაზედა.
გალაღებულა ბელადი,
ჭკვაზე არიგებს ჯარსათ:
საცოლეთ აგარჩევინებით
ქალ-რძალსა წოვათისათ.
საგირთას ჩამოდგებიან
ცისკრის ამოსვლის ხანსათ.
გაიგეს საგირთელებმა,
სიცილ მოუვათ პირსათ;
ციხეში შექუჩდებიან
ვეფხვები სალის კლდისათ..
გამაგრდი, ციხევ, ტიალო,
ხუროთ ნაგებო ქვისათ;
შემოგეხვივნენ ქისტები,
თოფის დაგხვევენ ალსათ.
ელიან მოშველებასა
ბიჭების ინდურთისათ,
მზის ამოსვლის ხანს მოჰკივლენ
არწივებ მაღლის მთისათ:
მოვდივართ ახალგაზდები,
ჯავრს არ შეგაჭმევთ მტრისათ!
ოთხივე კუთხივ მოგადგნენ
მეომარ თუშებისათ.
ომი არს საგირთაშია,
ჩამოტეხვას ჰგავს ცისათ;
თოფის აღარ არს გარჩევა,
ხლმით კუწვენ ერთმანეთსათ...
ბევრისი სისხლი დაიღვარ
ამ ოხერ წოვათასათ,
წითლათ შეღებეს ტიალი
ალაზან წოვათისათ.
გაბრუნდნენ დამარცხებული

ჯარები ქისტებისათ;
გადადის, ამას სჩივიან
ნახოცთა თავის მკვდრისათ:
ავი ყოფილა ნაჭერი,
ნაჭმევი თუშის ხმლისათ,
ნახევარ ვეღარ მოვედით
ამ ჩვენსა ქვეყანსათ;
მესამე მკვდარი დაჰყუდეს
მაგეხის ციხესთანათ.
მე მაგის მოლექსებელი
შუ(ა) წაროში ზისათ,
სამი მეც მერგო მარჯვენა
მანდ ნახოც ქისტებისათ;
ორმოცი ჩვენც კი მოგვიკლეს
საგირთის ომობასათ.
ბევრისი დედა ატირა,
ცრემლით იბანენ პირსათ,
ორმოცი ერთ დღეს დავმარხეთ,
ვინდა მოგვივა შინათ!..
ნუ სტირით, ჩვენო დედებო,
წესია დროებისათ,
მომკვდარი ღმერთმა აცხონოს,
სულეთს გაიღებს გზასათ,
ვინც დარჩებ სახელოვანებს,
არ გაუტყდება მტერსათ...

40

მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა,
ახლა ველობის ხანია;
ზამთარში ნაკვეხნ გაყისა
ახლა ცხადების ხანია.
თუშნი ლაშქრადა გავიდნენ,
ქისტეთის გაიღეს გზანით,
ჰარჩის თავსა გადიხედეს,
კარგათ გაიგეს გზანით.
ჩაუშვეს იმათ თარეში
სწორე ვახშმობის ხანსათ,
ცხენი და ძროხა მორეკეს
დიდ ბათიროელთ ცხვარით.
ბათირს ვინ შეატყობინა,
ლურჯაი ჰყვანდა ჩქარით;
მდევრათ ბათირი გამოუდგა,
ლურჯას მაღლ ეჭირ თავით.
გზიდან დაბრუნდა ბათირი,
ლურჯამ დააგდო ნალით.
წინ ცოლი მიეგებება,
თვალით ლამაზი ქალით,
—ბათირ, რა უყავ ცოლის ძმა
ანუ თავისი ცხვარით?
—ნუ მკითხავ, ქალო, დამეხსენ,
ჩემი მეყოფა ჯავრით,
ბევრ ხანი ვდივე თუშებსა,
ვეღარ მოვკიდე თვალით;
ცოლის ძმა გზაზე დამიხვდა
დაჭრილი, როგორც მხალით!..
— ეჰე, ბათირო, ოხრად დაგირ-
ეგ შენი ლურჯა ცხენით, [ჩუს
ცხვარიცა შენი გარეკეს,
სამ ფარად გედგა მთაზედა;
წუემსებიც შენი დახოცეს,
მკვდარნი გიწვენან მთაზედა...

41

ჩილოს თავს ბერი არწივი,
ყორნისად დაუფერებავ;
ქოსაი დ მეშველ ველობას,
უდროოთ დაუბერებავ.

აქვარის თავა მიაზედა
ცხვარიმ რად ფთხვების ტიალი;
ძილი დაუფთხვათ წყემსებსა;
მთა არ მოგვკიდა მგლიანი;
ნაპირ ვინ ჩამოგვიარა,
თუშეთს ვინ იყო ხმლიანი?
ქოსა იქნებოდ მეშველი,
ბევრჯელ უქნია რიალი.
შუღამეს შესტანებიან,

ბინა გაწირეს კვდრიანი.
მაცნე აქვარეს წაუა:
თუშებთ დახოცეს წყემსები.
მდევარ გამოუდგ აქვარელთ,
ცხენ-ქარქაშ-ლილიფიანი;
ნუ მოგვდევთ, აქვარელებო,
მთებ გადვიარეთ კლდიანი;
შინ წაუვიდნენ დედებსა,
მგლებია პირ-სისხლიანი!..

## თუშების ბრძოლა ლეკებთან.

42

თუშთ ბიჭებთ დაუბარებავ
ლეკთ ბიჭებთანა ქადინი:
თუ მოვლენ, მალე მოვიდნენ,
თვარ მოგვეწყინა ლოდინი.
ცხენებ გვიდგანან კარზედა,
დატყვრიმეს ლაგმის ტარები;
ჩვენც მაგათ მოლოდინზედა,
აღარ მოგვწონდა ხმალები.

43

ქაჩუსა თავსა გადმოდის
დიდის ნუცალის ჯარიო,
ჩამოდგა გირევის ვაკეს,
როგორც ნაგუბარ წყალიო.
წოვა დევდარის ანთაი
ნუცალს მიუა კარზედა,
დაუდგეს ოქროს ტაბაკი,
ზედ კვიცის ხორცი აწყვია:
დანა ზედ უძევს ჯავარი,
გიშრისა ტარი აგია.
სჭამდის და ვერა ძღებოდის,
ღვთისგან მოელოდ შველასა.
შეიტყო ითაბანულმა
ლურჯას დააკრა ნალები,
საგათენებლოდ ჩავალის
გრემს ბატონისა კარზედა.
—ლევანო, ჩვენო ხემწიფევ
ჩვენა გვიბოძე უმანიო.
ლევანმა ჯარი შეუარა,
ათასი მეომარიო.
აანთო მაშხალეები,
ღამით გაიხნო გზანიო.
გადადის ნაყავეჩოსა,
ღმერთო, დასწერე ჯვარიო!..
ითაბანულის ლურჯაი
ნაყავეჩს გდია მკვდარიო,
გვერთ უზის თავის პატრონი,
დასტიროდ როგორც ქალიო!..
ვინ გახვალთ გირევის წყალსა,
ვინ გაიმეტებთ თავსაო?!.
ვინ გავიდ გირევის წყალსა
ვაჟი ლურჯ პერანგიანი.

იქნებოდ საგინაშვილი,
ვისაც ანდერაზ ჰქვიანი:
ჩავიდა, ჩამოერია
სახლთ-ხუცის მარქაფიიაო,
ნუცალს ჩაუჭრა კარავი
ნაკუდაურთის ხმლიიაო.
ცოლი ნუცალის ტიროდა:
ნეტარ ნუცალი რა იქნა—
ნუცალი ანდერაზმ მოკლა,
ეორნებს ჩაჰქონდა ბრჭყალითა!..
ლეკთა სტირიან ქალები:
აღარ მოგვივლენ ქმრები,
ცხენებთ რა უყოთ? ტიალთა
დაწყვიტეს ლაგამთ ტარები.
ზოგთა სთქვეს: ბაშტებს შევყაროთ,
მაგრა დავგულოთ კარები.
ზოგთა სთქვეს: მთაზე გაუშვათ,
თავზე წავყაროთ ლაგმები.
ზოგთა სთქვეს: უკულმ შევკაზმოთ,
ზედ თავად შევსხდეთ ქალები,
გადვიდეთ თუშეთისაკენ,
იქავ შევირთოთ ქმრები.

თუშების გარდმოცემით ანდერაზ საგინაშვილი იყო კახეთის თავადიშვილი. რაღაცა მძიმე დანაშაულობისათვის მეფე ლევანმა ჩასო ანდერაზი საპყრობილეში და როდესაც ქართველი ჯარი მიდიოდა თუშეთში, საგინაშვილმა სთხოვა მეფეს, რომ მისთვისაც მიეცა ნება წასულიყო თუშეთში. მეფემ დართო ნება. საგინაშვილი გაჰყვა ჯარს სახლთხუცესის მარქაფით (ცხენით). მტერი შეჰხვდა ერთმანეთს სოფ. გირევის ვაკეზე, პირიქით თუშეთში. ბრძოლის წინ გამოასკუპა ცხენი ლეკების მომეტემ—მურთაზმა და გამოიხმო საბრძოლველად ქართველების მომეტე. გავიდა საგინაშვილი. მურთაზმა მისცა საგინაშვილს წინადადება, რომ შებრძოლებოდნენ ერთმანეთს შიგ პირიქით თუშეთის ალაზანში, რომელიც გირევის ბოლოში ნამეტნავათ შფოთავს და ღრიალებს, როგორც დაჭრილი მჯეცი. საგინაშვილი დასთანხმდა. თავის ცხენს გამოუცვალა მოსართავი. ტყავის მოსართავის მაგივრად შემოუკირა აბრეშუმისა, რომ წყალში უფრო გამაგრებულიყო. ტყავისა ხომ დ ა ბ ო შ დ ე ბ ო დ ა და უნაგირი გვერდზე მოექცეოდა. ორივე მომეტემ ჩაყარა ცხენები წყალში. შუბებით ეკვეთნენ ერთმანეთს. საგინაშვილმა გაჰკრა შუბი, ლეკს უნაგირი გვერდზე მოექცა. მურთაზი წყალში ჩავარდა და დაიხრჩო

## 44

ლეკეთში ლეკი გადიდდა,
უშიშრათ დადის მთებზედა:
აქაც შემყარა ზეზვაი,
აქედან შუა გზებზედა,
ან შემყარ ქვრიტის ლუხუმი
მძიმეთ მოღბიჯევდ გზებზედა.
ეგ რომ შეიტყო ლუხუმმა,
აღარ დაგვიჯდებ ჯარზედა;
ეუბნებ თუშის შვილებსა:
გავიდეთ ლეკის მთებზედა.
თუშნ მოემზადნენ სალაშქროდ,

წინ ლუხუმ გაიმძლავრესა.
მაცნე წაუა ლეკებსა:
თუშნი მოგდიან ცხვარზედა...
ეგ რომ შეიტყო ლეკთ ხაწემ,
ქუდს დაიხურევდ რქაზედა,
მხარს გადიკიდა ხირიმი,
წელს შემოირტყა ხმალით:
ახლა მომივიდნენ თუშები,
ხაწე დავხვდები პწკალზეთ.
ჯერ არ ქნილა შუაღამეი,
თუშთა მოისმის ჩქამით.
შეუვარდ ჭვრიტის ლუხუმი,
ხელ დაავლო ხაწეს მხარზეთ,
წელიდან ხმალი შეუხსნა,
მხარზე აუგდო თოფით;
გააბრუნ ლეკის ხაწე,
ცხვრითვე მოჰყავის გზაზეთ.
ნეტავ შენ, ჭვრიტის ლუხუმო,
დაჯდომა გიღირს ჯარზეთ,
ყველამ აგრ მოიხდინოსა,
ვინც დაიკვეხის ქალშით!..

45

არწივთ, საით მოხვალი,
დაღლილ-დამშრალო გზაზედა?
იქნებოდ ჩეთათ გორგაი,
ცხენს მოაგოგებდ ნალზედა.
შეეძლეს ანწუხელები
გორგაის თაობაზედა:
დანდობით მოვკლათ გორგაი,
თვარ თუშ გაგვიდგებ განზედა.
ეგ რომ შეიტყო ბაკურიმ,
თუშ აღარ დაჯდებ ჯარზედა;
ადგა წავიდა დაღისტანს,
დურუჯის დაჯდა წყალზედა.
დურუჯში ანწუხლები
დასხდნენა ღვინის სმაზედა.
წავიდ და ბაკურ კითხულობს:
მოლლა რომელ ზის ჯარზედა.
—მოლლა მანდა ზის ჯარზედა,
ქუდი რომ ხურავს რქაზედა;
თუში ხარ ჭირის პატრონი,
გეტყობა ლაპარაკზედა.
ასრია გამოაგორა,
წამააწვინა ბანზედა.
ახლა ეგ გეყოფათ, ლეკებო,
ხომ შავიყრებით გზაზედა.
ვაჟკაცმა ყველამ აგრე ქნას,
გულ რომ სტკიოდეს ძმაზედა!..

46

არქალოს სჩივიან თუშის შვილები:
მართალია, არ სტყუისათ,
ჩამოქცევასა ამბობენ
არჭალოს შავის კლდისაო.
გარს შემოხვევას ამბობენ
მაგ ქარელთ შვილებისათ,
ქვეშ დატანებას ამბობენ
სამ-სამის წოვაისათ.
თოფის სროლა გაჰკვირებიათ
მაგ ჯანლას მიქაისათ.
თოფს გვესვრის ჯანლას მიქაი,
მანძილზე გვიწვენს მკვდარსათ.
ბრალი ხარ საგის ანთათ,
მარტოს გეხვევა რვანით;
ხმალ და ხმალ ანთამ შაბედა,
ტყვიამ უყო ძალით:
მამადიმ შაისშვილმა

უმაწვილმ დასცადა თავით.
ამხანაგთ ეუბნებოდა:
ფერ ვიღოთ ლეკა მგლისათ,
სასაცილოთაც გვიგდებენ
ჩალმ-გომეწრელთა ყმანით;
სიცილსაც აღარ დაგვაჯერებენ,
დაგვაშაირებენ ქალნით...

47

ინდურთას ხუცის ციხეო,
ქვამც ნუ გდებია ქვაზედა.
მუცალამ ჯარი შეყარა,
ციხევ, შენს მუქარაზედა.
ზავ მისცეს აღმა სამციხელთ,
გზა ნებას დარჩათ ტიალი.
წავიდეთ წოვათ მინდორში,
ციხეს დაუწყოთ ომია;
წოვათ უხოცოთ ბიჭები,
ცამდინ აუშვათ ალია.
წოვათით დაგვრჩეს ქალ-რძალი,
გადვაკვალინოთ მთანით,
გადვიდეთ ალაზნის თავსა,
იქაც მოვავლოთ თვალით.
დავბღერტოთ ალაზნის მთანი,
ცხენ-ცხვრიან-ხაროვანია.
წოვათ ავიღოთ ცხენ-ძროხა,
გზა-გზა გვიკვლიონ კვალია.
ციხევ, შენ ველარ გაგტეხენ,
მუქარით გაშინებენა.
ყანკიავ ყანკიაურო,
ხმლით ცემას გიპირობენა;
სახმლეთაც ვერას გაგბედვენ,
უმაწვილ ხარ, გაშინებენა.
შემოდის ჩალმთა ლაშქარი,
გზა არ სცალდებათ ტიალი.
შეიბნენ შუა ღამისას,
ბორტვი შებღერტეს ცვრიანი.
მაშინ გაიქცა მუცალი,
ქალი მისტიროდ თმიანი.
შეხედვენ, მაკერის მთაზე
თოფების დადგა ტკრიალი.
შეხედვენ, მზე ჩასვლის დროსა.
ხმლებისა დადგებ ჯრიალი.
მუცალის ცოლი ტიროდა:
მუცალს ყვავი სჯობდ ჭკვითაო.
ადგა წავიდა თუშეთსა,

. . . . . . .

48

თუშეთს მოვიდა ლაშქარი,
დიდის დაღესტნის ჯარით,
ჩამოდგა ათორაშია,
არ გადასწვდება თვალით.
რაზმი დააწყეს ლეკებმა
სივრცე-სიშორით განით.
თოფი შაგშვენისთ წოვანო,
ტანთ მოწყობილი მხარით.
შანქიმა შავხელიძემა
ცხენ შამაიბრუნ ჩქარით,
გამოერია კითხულობს:
დენგა სად არის ძაღლით.
თვალით ნახ, სახლმეთ ვერ უწივ,
თოფით დაჰხვია ბოლით;
შანქისა ცხენმა ტიალმა
მუხლთ დაიხვია ქარით;
სახეოს დაწვეს სანგალი,
ცამდინ აუშვა ალით.
შაიტუო ითაბანულმა,

წელს შამაირტყა ხმალით,
სავახშმეთ ლევანს ეწვია:
ბატონ, გვიბოძე უმანით.
მეფე ლევანმა უბოძა
ათასი მეომარით.
დაუნთო მაშხალაები,
ღამით ინათეთ გზანით.
შამოდის ფშავლის თავზედა,
ცხენებ ანათებს ნალით;
ამოვლენ ნაქერლის მთაზედ,
ღვთისა ზედ დადგა თვალით.
გადმოდის გომეწრის უბეს,
როგორც ნაგუბარ წყალით.
ჩამოდგებ ვაკის ძირს მინდორს,
ქალებთ დასწერეს ჯვარით.
გამოდის ციხის ღელესა,
აღარ ნებდებათ გზანით.
ხილთანეს ჩადგეს კარავი,
ღმერთო, დაწერე ჯვარით.
შედიან ჯვარბოსლის ძირა,
ალმ დააბრუნეს წყალით;
გადადის ნაყაიჩოზე,
მიწა ეხევათ პყარით.
ფარსმის ძირ წყალსა ვინ გახვედ,
ვაჟსა ვის მოგწონდ თავით:
იქნებოდ საგინაშვილი,
ვაჟს არდაზიან მქვიანო.
მანდით გაიქცა მურთაზი,
გირევს ჩაყარა ხმანით.
გირევს ამბობენ ქალები:
ვინ შამოგვართვა თვალით.
ის იყო თუშთა მოვრავი,
მგელმ დამიკრიფნა ცხვარნით,
მიჰყვნენ და ისე მიხოცეს,
ჩალად დაყარეს მკვდარით.
ფარსმის ძირ ჩამოდიოდა
სისხლ-ნარევ ალაზანით!..
ქაჩუსა მთაზე გადასტირს
მურთაზი, როგორც ქალით:
თუშთ გამიწყვიტეს ლაშქარი,
შინ მოვალ სირცხვილიანი!..

49

რამ აგაშენა, წოვათავ,
ემაგრე ბედიანით,
საიქმოთ გასულხარ ხმელეთსა,
მეომარ თუ გყავ ავით.
გამრავლებულა ინდურთა
საქონლითა და ხალხითა,
გალმა-გამოღმა ციხეებს
ლიბო ჩაუდგეს რკინისა;
ხატიც დიდი ჰყავს — სამება,
გამარჯვებული უფლითა;
ტანზე ჩაუცვამთ ვეფთარი,
მორთული იარაღითა;
არ გამილახოს მტერმანა,
მუდამ წინ უძღვის უმასათ!..
მაცნე მოვიდა დაღისტნით,
შეურას ამბობენ ჯარსათ:
წავიდეთ, გადავიაროთ,
წოვათას დავცეთ ცანით;
დავლა ხომ ბევრი გვერგება,
სოფლებ მოვსთხაროთ ძირითა;
ნება ხომ ჩვენი იქნება,
ხელით ვარჩიოთ ქალები.
ზოგნი უშლიან: ნუ წახვალთ,
მეომარი ჰყავთ მრავალი,

სოფელში შესვლა ძნელია,
მუჭით ურიათ წამალი.
სოფლის თავს სამი ციხეა,
გალავან ახლავ მაგარი,
გამოღმით, მინდის ციხეო,
ტანით თუ ჩაგაცვეს ჯაჭვიო.
არ დაიმალა ბელადმა,
წინ გამოუძღვებ გზაზედა,
დიდ-გვერდი გამოიარეს,
გადმოვ ალაზნის თავზედა;
სამშაბათ საგათენებლოთ
ინდურთას დასცეს ცანიო;
ინდურთის გაღმით ჩამოდგნენ
დიდ ბუსურბნისა ჯარიო.
გაიგეს ინდურთელებმა,
აისხეს იარაღიო.
გამოღმივ, მინდის ციხეო,
ჯერ შენა გიყვეს ძალიო.
სოფლის თავს, სამო ციხეო,
მემრ შენ დაგხვიეს ალიო.
ომი ასტეხეს უწყალო,
ატირებულა მთანიო.
თოფის ალი ზდგას ინდურთას,
ჩამოქცეულა მთანიო.
ციხიდან გამოჰკივიან
ახლები ინდურთისაო:
„ხლმით გადავიდეთ ჯარშია,
დრო მოგვივიდა ცდისაო;
ვინც კაცი არის—გამოჩნდებ,
სისხლით დაიბანს პირსაო;
ბევრი კაცია ქალური,
კვეხულობს ბიჭობასაო;
ვაჟკაცნი გამოჩნდებიან,
თუ ვინ არ არის ქალიო!..“
გადმოდიანა ციხიდან,
ქალნო, გაგვიღეთ კარიო.
ინდურთის არე-მარეში
დამდგარა სისხლის ტბანიო.
ერთმანეთისა ჯაბრზედა
ბევრმა მოიკლა თავიო;
სისხლის სულისგან ითვრება
ინდურთის მეომარიო.
გაწყვიტა დაღესტნის ჯარი,
მოამბეთ დარჩა სამიო;
სამსავ დააჭრეს ხელები,
გაგზავნეს დაღესტანშიო.
—წადით დაღესტანს უამბეთ
დახვედრა წოათისაო,
როგორიც სეირი ნახეთ,
დახვედრა ახლებისაო.
გაკვირებულა დაღესტან
წოათის მეომრისაო,
ზედ მოდის შუბლ-შეკრულები,
არ ერიდება ტყვიასაო.
ემაგის ფრანგულეების
ცამდის წვდებოდა ალიო.
ინდურთის მანდილოსნები
ნიჩვით ხვეტავდნენ ტყვიასა.
მე მაგის მოლექსებელი
ინდურთის გაღმით ვარიო,
სეირი დიდი ვიხილე,
მეტათ არს შესაზარიო.
წოვათის მენახირე ვარ,
ჩალმა ვარ გომეწრელიო.

50

ამბობენ, არა სტყუიან,
ლეკეთში ჯარებს ჰყრიანო:
დიდო დიდოზე გადმოდის,
დაიძრა დაღესტანიო.
ჩამომდგარ(ა) ხისოს ლაეში
როგორც ნაგუბარ წყალიო;
ამბობს და ლაპარაკობენ:
საით გავიდოთ გზანიო.
ზოგთა სთქვეს, მთაზე გავიდეთ,
გვექოვა ხაროვანიო;
ზოგთა სთქვეს, ცხვარზე დავე- [ცეთ,
შემოვაითერთოთ მთანიო.
მემრე სთქვეს სოფლად ჩავიდეთ,
ხისოს ჩავლეწნოთ ქავნიო...
მეორე დილა გათენდა,
ხისოს დახურეს ცანიო.
შინ დასხვედრიან ვეფხვები—
გამარონ სამნი ძმანიო;
ასრე უხოცავ ლეკები,
როგორც რომ ნადირს ცხვარიო.
დავნატრე დამბადებელსა
ომაის ბაკურისაო,
დედამ რომ შვილი გაზარდოს,
გული უნდ დაუდოს ქვისაო.
მოუკლავ მებაირახე,
ბალღმა რა იცოდ ცდისაო.
ჩივიან ლეკის ნაიბებ:
მეომართ გვიყო ძალიო.
მიუჭიი უერია წამალი,
ტყვია რამ მოდის ჩქარიო,
იძახის ნაცირხრითაი
ქუმელაურთას ხმაიო,
თოფის ხმა ქუმელაურთას,
მანდაც შამოსულ ჯარიო.
გიოსა ბექურაიძეს
ტყვიით მოსტეხეს მხარიო;
ციხე დამრჩალა უკაცოი,
მეომარ არ ვინ არიო.
ძალიან გარჯას ამბობენ
ბექურათ ერთი რძლისაო:
გადმოდის მარილის ქვაი,
ციხის კარ უერავს მკვდ
ჯაოი ბერიკაიძე
ცით ჩამოსული ჯვარია,
იგრე მიდიოდ ტყვიაი,
როგორც რომ ტყვია ცხარიო.
მარტოკა ბერიკაიძემ
შუა ჩახია ჯარიო.
—ჯაო ვარ ბერიკაიძე,
ქალო, გამიღე კარიო.
ციხეში შაუვარდებოდ
ბერიკაიძე ხარიო;
ესროლა, ჩამოაგორა
ბერიკაიძე ვარიო.
მეორეს გამოულიშნა,
ტყვიავ, გამოხარ ძვალიო;
მესამეც თან მიაყოლა:
ლეკებ(ო), ეზიდეთ მკვდარიო.
უკანა თვალი ევლებოდ,
ახლ წოვათ მოსვლის ხანია.
ლაამში იერებიანა
წოვა-გომეწრელთ ყმანია.
მხარი აუკრეს ლეკებსა,
ჩალად დაყარეს მკვდრიო;
ზოგმ ერთი მოკლა, ზოგმა ორ,

ბევრ ჩემისთანაშ სამით.
ჭარაშ სახელის წამღებსა
რისხვიდეს ხახმატის ჯვარით,
კვლავ ნუ გაამარჯვინოს,
საცა წავიდეს ჯარშით!..
მანდ რო ლეკები დახოცეს,
სამასს დააკლდა სამით.
მე მაგის მოლექსებელი
კახეთში ცხვარში ვარით,
თავადებს ჭქონდათ ლაპარაკ(ი),
ხმა შორს გავ(ა) კაი ყმისათ:
„ჩვენ რომ არ გვყვანდნენ თუშე-
ქათმებ ვართ ლეკებისათ, [ბი,
შუა დაღესტანსა დგანან,
გალავანს გვანან ქვისათ“.
თუ მაგით ვერას მინიშნებთ,
ჩუნთიანთ გიო ვარით;
შენდობა ჩუნთიაიძეს,
საც რომ დარიგდეს ჯარით!..

51

(ვარიანტი)

შუა ზაფხულში დავარდა:
დაიძრა დაღესტანით,
ხისოს ლაში ჩამოდგა,
როგორც ნაგუბარ წყალით.
დასხდეს, აზრობდეს ლეკები
საით გავიდოთ გზანით:
ზოგთა სთქვეს ხისოს ჩავიდეთ,
ჩავლეწოთ ხისოს ქვანით;
მანდით მოვრეკოთ ტყვეები—
ლამაზი, ქალი დ ზალნით;
ზოგთა თქვეს, მთებში წავიდეთ,
მოვრეკოთ ძროხა-ცხვარნით.
იძახეს ნაციხვრიდანა:
ქუმელაურთას არს ჩქამნით,
ქუმელაურთასა ციხესა
შემოეხვია ჯარით;
ბექურათ სახლსა, ციხესა
ცამდინ აუშვეს ალით.
ხმალ და ხმალ ომსა ამბობენ
ბექურათ ქალი დ ზლისათ.
კაც მოხკლა ხაჩოს გიორგიმ,
სოფელში დარჩა მკვდარით;
ლეკებ ჩახოცა შეთეს დავითმა,
რად უარმებენ სხვანით,
არმის სახელის წამღებსა
გაუწყრეს პირი ღვთისათ.
ჯაოი ბერიკაიძე
ცით ჯვარი ჩამოგვიჩნდათ,
ცხენ და ცხენ შეღვარდ ლეკებში,
შეხია ლეკის ჯარით!..

52

დღეიმც ნუ გათენებულა,
დღე ოთხშაბათი მზიანი:
დაბერტყეს აბანოს ხორხი
ცხენ-ცხვრიან-ხაროვნიანი.
შეიტყეს ივანაურელთ,
ცხენებთ მოიღეს გრიალი;
მეორეთ ხეცურელთ ბიჭებთ,
აბჯართ მოიღეს ჟრიალი;
მესამეთ წოვათ ბიჭებთა,
ტყვია-წამლითა მრავალნი.
დასწევი წყაროანასა,
ჩალად დაყარა მკვდარით;
ცხენი ურევდა მკერდამდინ,
მხედარი უზანგამდინო.

ვინა ხარ წყაროანასა,
სისხლში ვინა ღრევდ ხმალსო?
მოზაი რაინაული—
ის ღებევდ სისხლში ხმალსო.
გძელ ყანას მიეგებება
მამამთილს თავის რძალიო:
— მამამთილო, შვილი რა უყავ—
თინიბეგ ჩემი ქმარიო?!.
—თინიბეგ იქვე გავწირე
დაჭრილი, როგორც მხალიო;
ფეხთით დაუბი ლურჯაი,
დასტიროდ როგორც ქალიო;
თავთით დაურჭვი სალიშნე—
თუშთ ნამტვრევ შუბის ტარიო!..

53

ვარიანტი

შამილის შვილმა შეკმაზა
სალაშქროთ ცხენი შავიო,
ჩამოვიდოდა ნაქერალს,
ტბათანს დაავლო თვალიო.
ტბათანას ვერას შეუხვალ,
ვეფხვებთ შეგიკრეს გზანიო;
ე მაით დაბრუნებულმა
წყაროანს დაჭხურ ცანიო.
წყაროანაში აილო
ცხვარ-ცხენი კაროვანიო;
ძაღლი თან გაჰყვა ოხერი,
თეთრი ქედანა ქვიანო.
შეგიტყო ივანაურმა,
აბჯარს გაჰქონდა წკრიალი,
შეგიტყვეს გომეწრელებმა,
ცხენების დადგა გრიალი,
შეგიტყვეს წოვათ შვილებმა,
ჭამებას დაჰკრეს ზარები,
წელთა აისხეს აბჯარი,
ცხენით ჩაანათეს ნალიო.
მეეწევიან წყაროანასა,
უწვიმოთ ჭქუხდა ცანიო.
თუშნი და ლეკნი ომობენ,
ნისლით შემოსეს მთანიო;
სისხლისა ღვარი დაბრუნდა,
გაწითლდა ნაწიდარიო,
ალთეს და ჩალთეს ლეკები,
ჩალად დაყარეს მკვდარიო...
ასოცდაათი ლეკისა
თოთხმეტ წავიდა სალიო!..
გძელ ყანას მოეგებება
მამამთილს თავის რძალიო:
—მამთილო, შვილი რა უყავ -
თინიბეგ, ჩემი ქმარიო?
—თინიბეგ წყაროანას გავწირე,
დაჭრილი როგორც მხალიო,
თავთა დაუსვი ნიშნადა
ნამტვრევი შუბის ტარიო.
ფეხთა დავაბი შავრაი,
ტიროდა როგორც ქალიო;
სატირლად ჩამოსდიოდა
შავი ყორანის ჯარიო;
ჩამოსხდებოდნენ თავითა,
ტიროდნენ როგორც დანიო!..

შამილი—განთქმული დაღესტნის იმამი, რომელიც მედგრად ებრძოდა რუსეთს 25 წლის განმავლობაში. შამილის შვილი—ყაზი მაჰამა, რომელიც ღირსეულად მხარს უჭერდა სახელოვან მამას დაღისტანში

და შემდეგ მამასთან რუსეთში წავიდა. რუსეთში სამსახურში შევიდა. 1877 წ. გადავიდა ოსმალეთისაკენ და იქიდან ებრძოდა რუსებს. ომის დროს ბათუმის კომენდანტათაც-კი იყო.

54

ამბობენ დაღესტანშია:
ახლა დავლობის ხანია,
მოვიდა შუა ზაფხული,
თუშთა დავლახნოთ მთანია.
სპეროზას შვიდი ფარა ზდგას,
იქით გავიღოთ გზანია;
ცხვარ-წყემსებ შემოვაყოლოთ,
ადვილი საშოვარია.
დაიძრა, გამოიმართა
დიდი ბუსურბნის ჯარია,
პარასკევს, შუაღამის ხანს,
სპეროზას დაჰხურ ცანია.
დააწიოკა ცხვარ-წყემსი,
ვაი რა ცოდვა-ბრალია.
ვინც დაჰხვდა გულის მტკივანი,
ცხვარზე მოიკლა თავია.
სულ ერთად შემოაქუჩეს
შვიდივე ფარა ცხვარია;
გზა შორს ჰქონდ სახვევრიანი,
კლდიან ხორაჯის თავია.
კაცი მოვიდა წოვათას:
ლეკის დაგვეცა ჯარია;
სპეროზით ცხვარი წაიღეს,
შავად დაბღერტეს მთანია.
გაჯავრდნენ წოვათ ბიჭები,
აბრჯრის გამოდის ჩქამია;
სწრაფ გადიარეს მთის წვერი,
ღმერთო, დასწერე ჯვარია.
წინ უძღვის ბერი სამება,
უნდა გავგლახო მტერია.
თან გაჰყვა ჩალმა პირიქით:
ძმურათ ვუჭიროთ მხარია.
სადილობისას ნაქერალს
ლეკებს მოსტაცეს გზანია.
ნაქერლის თავსა, ვაკეში
შემოდგა ლეკის ჯარია;
შემოდგა, შემოიწიეს,
როგორც მძოვარი ცხვარია.
თუშთა ჩასძახეს ლეკებსა:
ახლა უნდ ვცადოთ თავია,
ხმალ-ხანჯლის ფხანი გავშინჯოთ,
ვის უფრო დარჩებ მკვდარია.
მამაძაღლ ლეკის შვილებმა,
არც მაგათა თქვეს არიო;
დეერუვიან ერთმანეთს,
მზეო, გეჭიროს თვალიო!..
ომია აღელვებული,
ცამან დაყარა ნამიო.
ხმალ-ხანჯლის ჩქამი გამოდის,
იტყვი, დაიძრა ზვავიო.
იმდენი დარჩა ნახოცი,
როგორც რიყეზე ქვანიო.
ხელი დაგრიათ, ლეკებო,
სისხლით შეღებეთ მთანია!..
ტიროდა ლეკის ბელადი:
ვაი დედა ჩვენის ბრალია,
ამდენი ხალხი აქ დარჩა,
დაღესტანს როგორ ჩავიდე.
ნუ სტირი, ლეკის ბელადო,

დავლობისაე წესია.
ოთხასი ლეკის მარჯვენა
შემოაქუჩეს თუშებმა!..
მე მაგის მომლექსობელი
წოვათას თუშის ქალია.
ლადიცა არ ვის გეგონოთ,
ტირილით ვიმჯავრ ჯავრია.
შვიდმეტი შემოგვიჩინეს
საკაცით წოვათაშია,
ოცდათორმეტიც დაჭრილი
ნაქერლის ომობაშია.
ჩალმა-პირიქით ვინ იცის
მომკვდარი ლეკის ხელითა...
ახლანდელ თუშის ტანჯვაში
ნუ ჩავარდება მტერიცა:
არა გვაქვს შინ მოსვლის ხანი,
მუდამ ვართ სისხლის ღვრაშია.
გვაწუხებს ლეკი, ჩაჩანი,
ვართ მუდამ ლაშქრობაშია;
ადარ უხარის დედასა
გაზდილი ვაჟიშვილია.
წავალის სადმე მდევარსა,
შინ მოიყვანენ მომკვდარსა.
ცოტა-და გვაკლავ დიაცებს,
აბჯარ ავისხათ ტანზედა...
ცოტა ვართ თუშის შვილები,
გარს გვიდგა ბუსურბანია;
ხმალ-ხანჯლის ძალითა ვცხოვ-
რაც ვაჟკაცობის წესია. [რობთ,
კახეთს აწუხებს თათარი,
ბეგრათ იღებენ ქალებსა;
ტახტის ბოგირთან თათრები
ახლად მართავენ ქალაქსა;

საზაფხულოთ ბახტრიონზედა
ციხეს აგებენ მაგარსა!..

55

ჯარების მოსვლას ამბობენ,
გატეხას ჩალმის მთისასა;
დადგომას ჟველურთის სოფელს,
უკუღმ ჩახდომას მზისასა;
გადმოსვლას ქვათენთის მთაზედ,
ზედ დახურვასა ცისასა.
ქანქანით შესვლას ამბობენ,
გატეხას გალავნისასა;
შიგ დატანასა ამბობენ
სამოცის ვაჟკაცისასა.
ჩახედევდიან ალაზანს:
პირ-ალმამც ამოლბრუნსო,
ამ ჩვენებს მეთოფეებსა
თოფებიმც დაუგრილაო...
ანამც ვინ წყლითა დაგვაძლო,
ან ძილი დაგვაძინაო.
შორი-შორს სრევას ამბობენ
ქუროეთ სიათისაო,
ციხის კარ არ მოშვებასა,
ნანაის ხიზივრისაო.
ბრალი ხართ, ხევსურთ ბიჭებო,
ადგილსა ხკვდებით სხვისაო,
თვარ თუშეთის ქვეყნის ვაჟკაცნი
ადგილს არს მამ-პაპისაო.
ქვათენთის ციხე მაღალო,
ქავით ქვედ ჩამოღებულო,
შიგ შესრულთ დიაცთ, უმაწვილთა
გზა უკუღმ გამომღებელო.
ხმლითა გამოსვლას ამბობენ

ქოთილათ განაისაო,
გაფრინდებ გოგრულთის
[ჩრდილზე,
მგელი შემოდკრავს ჰწკალსაო.
შენდობა ქვათენთას ნახოცთ,
სად დასხდენ სწორნი სმაზეო.

თუშების გარდმოცემით, დიდი უბედურება სწვევია თუშეთს. დალისტნის ჯარი შემოსევია და მიწასთან გაუსწორებია თუშების სოფლები და მის ავლა-დიდება. ხალხი შეხიზნულა ციხე-კოშკებში და სიმაგრეებში. სამოცი ვაჟკაცი თავიანთ დიაც-ყმაწვილებით შეხიზნულან ქვათენთის ციხეში, რომელიც განთქმული ყოფილა იმ დროს მთელ თუშეთში თავის სიმაგრით. დროთა-ვითარებით მოსულა თუშეთში რამდენიმე ხევსურიც და მომწყვდეულა ამ ციხეში. ლეკებს ალყა შემოურტყავთ ციხისთვის, მიუციათ ნაღმი და აუღიათ. ციხის უფროსი, განა ქოთილაიძე, გამოსულა, სანამ ნაღმს მისცემდნენ, ციხიდან დიაცურად ჩაცმული (ქოსა ყოფილიყო), მოუკლავს რამდენიმე ლეკი და გავარდნილა „გოგრულთის ჩრდილზე“. ქვათენთის ციხის ნანგრევები ეხლაც მოსჩანს.

56

ქვათანას მეცხვარეებმა
ვახშამი ჭამეს გვიანი.
ჯერ შუაღამე არ ქნილა,
ლაშქართ მოიდეს გრიალი.
მანგიას უთურგაიძეს
ხანჯალ წელთ არტყავ ფხიანი.
ამას ჩიოდა მანგია:
„თოფ ვერ ავიღე ხმიანი,
ქოფაკთა მქონდის იმედი,
ოხრებთ არა ქმნეს ყეფანი.
მამას მითქვიდით უთურგას,
ჩემიდ ნურა სწყინს ზიანი,
ცხვარი მთას გადამირეკეს,
მე გწევარ მკლავ-სისხლიანი.
სამისა დედა ვატირე—
იჩუში ქალი თმიანი;
მეოთხე თან გავაყოლე,
მიჭყავისთ ნაჭრევიანი.
კახეთში შამიტყობიეთ,
მიუვარდის ცხენთა გრიალი.
ზეზვაი გაფრინდაული
გორ-გორ ამოდის ხმლიანი;
თუ, ლეკებ, შემოგეწივნეს,
გულის მოგივათ ფრიალი;
თუ სახლმეთ საქმე გავიდეს,
მემრ ნახეთ ხლმისა კრიალი.

57

ლეკო, ვინა ხარ ლეკეთში,
კოხტათ გამოხვალ ჯარზედა;
რამტვენსაც მთებსა გადივლი,
სახლებს შეიყრი მხარზედა;
გადახვალ დიდგვერდისკენა,
მანდ დაიძინებ ძილსაო.
გადგზავნა ლეკმა მზვერავი,
თუშთ სად უდგ ყარაულიო?
წაუა მახარობელი
მამაძაღლ ლეკის შვილსაო:

თუშთ ორწყალს ჭყოლივ ყარაულდ,
ფიქრიც არ ჭქონივ მტრისათ.
ჯერ თიენების ხანი არ ქნილა,
სამყინვრეს ჩამოდგ ჯარით,
გარს შემოერტყა ჯამრულსა
ბიჭები ლეკებისათ.
„ვაჭმე, რა ძნელი ყოფილა
ნაწოლს ზედ მოსვლა მტრისათ;
თარეშისაე მოსვლაზე
დროიც არ მქონდა ცდისათ“.
კიმოთე ამირაიძე
ირემსა ჭგვანდის მთისათ;
ხმალს იქნევს ამირაიძე,
წკეპა გამოდის ხმლისათ.
ფილა არს მეშვლის გაზდილი,
ნაფოტ ამოდის ძვლისათ.
შამლის ბერდ და ლეკი შაბმუ-
რიყე აწითლეს წყლისათ, [დან,
მამა-შვილს დაუხოცნია,
მოუმე აღარ დარჩ ძირსათ.
თუშებს ვინ შაგვიტყობინებს,
იმედ ვისა გაქვსთ მუხლშით?!.
შეიტყეს თუშის შვილებმა,
გრიალ არს ცხენებისათ.
გიგა მოჭქუხის მექვაბაური,
არწივ მოჭკიოდ მთისათ,
ლეკს მიდვარდება ხელდახელ,
სისხლ ხანჯალს ჩამოზდისათ.
ბაბოსა თავბერიძესა
იმედ აქვს სიათისათ;
ესროლა, გამოაგორა,
ქვიშა აჭმია მთისათ.
მთვრალაი, ქისტის გაზდილი,
საჩქაროთ გადადისათ,
ორი მოუკლა ლეკებსა,
ერთ დაჭრილ გააყოლათ.
ცალ-ცალკე ვერას გაქებდეთ,
დედა ატირეთ მტრისათ;
გული თქვენ ბევრსა გერჯოდათ,
ნოტო მოსხლეტა მტრისათ;
მანდით გაქცეულ ლეკებსა
გზა წითლად გადუვლიესო.
თქვენთან დასწრება მეც მინდოდ,
მოკრეფა ბარგ-ბანდისათ.
მაგისი მომლექსობელი
ჩობანი ვიყავ ცხვრისათ;
არცა ვარ გალადებული,
მეც ჯავრი მჭირდა მტრისათ;
მამა მომიკლეს შენაქოს
ცოგიძის ციხეშიგათ!..

58

ორწყალში ყარაულებსა
ქადინი მოზდისთ მტრისათ:
გამარო მოვიდ გოგნელი,
ორწყლით აჭყარეთ ცხვარით.
შაბალი ბაიძის შვილი
ხელ-გულით შაიკვრისათ,
მზე-ამოსვლისას დაეცათ
დაღესტნის ლეკის ჯარით.
ორნი ჩახოცნა მამა-შვილნ,
ცხენ-ცხვარ გადუეენ მთასათ;
ამას სჩიოდა შაბლის ბერდ,
ხანი არ დამცალდ ცდისათ;
ბრალი ხართ ბაიძიანო,
სამარხ არ დაგრჩათ კვდრისათ...
ფილაი, კიმოთ ჩახოცნა,

ხევი აწითლეს წყლისაო.
ხმალ და ხმალ გადმოეტანა
კიმოთეს ვაჟკაცს თუშსაო.
მდევარ მოსწევი ლეკებსა,
ქუხილსა დგვანდის ცისაო.
მიზდევენ თუშნი, მიხოცენ,
ჩალად დაყარეს კვდარიო;
დედა გიტირეთ, ლეკებო,
ჯავრი არ ვჭამეთ მტრისაო!..

59

საქიონელთა ჯარები
წაროს თავს იყრებიანო.
ლაპარაკობენ დიდონი:
ნეტავ გარაი შინ არი?
თუ შინ დაგვიხდებ, იცოდეთ,
სადილს გაგვატანს მწარესა.
შინ არის კეხუს გარაი
ვაი, დიდონ, თქვენი ბრალიო.
მამა აღვიძებს გარასა:
სოფლად ჩამოვიდ ჯარიო.
წამოდგებ კეხუს გარაი,
ჩარდახებმ შექმნეს ჩქამიო;
გამოულიშნა რომელსაც,
იმ წამსვე დასცა ძირსაო.
მამა ჩემ, კარგათ შეხედე,
სისხლი გულიდან ზდისაო.
ჩემ ნახოცთ ეზიდებიან,
ხევი ივსება მკვდრითაო,
ორ ძმას გვიქებენ—აბულის,
ისინი სად არიანო?
ისინ ყოფილან ციხეში,
ლამაზად ომობდისაო.
მაგათ ნახოცთა დიდოებს
მარხილით ზიდევდისაო.
ჩივიან დაღესტნელები
ომობას სამის ყმისაო,
არ სცდება მაგათ ნასროლი,
შამოდის გულის პირსაო.
გავბრუნდეთ, ჩვენთვის წავიდეთ,
თორ დაგვისრულებს დღესაო.
გაბრუნდებ ლეკის ბელადი,
უნდა გადვიდეთ მთანიო.
კანთოს ემდურვენ ბიჭები:
კანთომ არ გვიჭირ მხარიო;
არ ისმის მაგის თოფის ხმა,
არც მაგის მაღალ ჩქამიო.
კანთომან ჩქარა მოსტაცა
მთის წვერი თირთვილიანი;
ესროლა, ჩამოაგორა
ბელადი ჩუქმაიანი.
თან გაიყოლა ბიჭები,
ომი ჰქონია მწარიო;
ახლა ჩეერევ ლეკებსა,
ჯარში ტრიალობს ხმლიანი.
ხუთს გამოიხვევს კალთაში
მარჯვენას ლეკებისაო.
ჩამოვიდოდა სოფელში,
სიცილი მოზდის პირსაო;
თქვენ მეტი დაგიხოცნიათ,
აუგს ნუ იტყვით ჩემსაო.
მეცა ხომ კარგათ დაუხვდი,
ბელადი მოვკალ მტრისაო.
შავალებინეთ სისხლითა
გზები ამ წაროს მთისაო.

60

დიკლოს მოვიდა დიდოი,
დენგამ მაყარა ჯარით;
არ სჯერან დიკლოელებსა,
თეთრათ დათოვლნა მთანით.
ორშაბათ საგათენებლოთ
დიკლოს დაეცნეს ცანით;
დიკლო აიღეს, შენაქო,
ომალო ნავლად ქნიანა;
კესელო ჩამოაშავეს,
ქალ-ვაჟიანი თქვიანა;
მანდით გამოსულ ლეკებმა
ბოჭორმა ცეცხლად ქნიანა.
სახეოს დასწვეს დარბაზი,
ცამდის აუშვეს ალით.
კაცის ყურს ნულარ სმენია,
ნულარცა ნახავს თვალით!...

61

(ვარიანტი)

ჯარი იყრება დაღისტანს,
დაღუპვა ღგულავს დიკლოსი,
გადმოდის ხუშეთის ღელეს,
ნამ არ დასწვდება ცისათ.
შემოდის ბიჭეხის პირსა,
პირ დახკრა თენებისათ;
ოთხშაბათს თენებისასა
დიკლოს ჩაგვეცნეს ცანით;
ხელ-უქცევს სიკვდილს ამბობენ
ნარჩევის ვაჟკაცისათ.
ომობდა ოსურაიძე,
სანგალს იხვევდა კვდრისათ;
ხეცო და ცოტო ამბობდნენ
ერთმანეთ მეტობაზეთ:
ძმისწული მტერმა მოგვიკლა,
მზე წითლად ამოდისათ.
რადამ გვიანად ამოდის
სიათა ქურაძისაო?
მტრისა ხოცვასა ამბობენ
ვარდიძის ჯამრულისაო,
გიოი მოზაიძეი —
ვაჟკაცი თავსა სცდისათ,
თავიც იძია, სხვაცათ,
სულს იხსნის მამ-პაპისათ.
სულეთს აძლევენ სალამსა
გიოსა მოზაშვილსაო.
დაო, ამბობდა ქოთაძე,
სისხლისა ტბაში ზისათ.
სულეთში ღვთისოს იჩუა
ჩივილით შემოდისათ:
„ხანჯლით დაგხოცენ ცოლ-დანი,
სულეთს არ მომესვლებათ“.
ომობდა კახიძის შვილი,
თოფის ხმა გამკვირდისათ.
ბეროს ნახოცთა ლეკებსა
დაღისტან გახკვირდისათ.
ბარაქალ, კახიძის შვილო,
სახელ ხქენ ადგილისათ;
დაღისტანს ქარუმიშვილი
ტირილით შმოდისათ:

ჯარი გავსწირე დიკლოში,
სამ-სამი ნაიბისაო.

შენდობა დიკლოს ნახოცთა,
სად დასხდეს ხალხი სმაზეო!..

თუშების გარდმოცემით, ორმოცი საპატიო ვაჟკაცი გამოეტყუებიათ ლეკებს, ვითომ მოსალაპარაკებლათ, და ღალატით ყველასთვის თავები გაეყრევინებინათ.

62

(ვარიანტი)

შენაქოს მოვიდ დიდოი,
დენგამ შაყარა ჯარიო;
არ სჯერან შენაქოელებს,
თეთრად დათოვლნა მთანიო.
ოთხშაბათ თენებისასა
შენაქოს დასცეს ცანიო.
ქვე უბანს შემოუკივლეს,
ზე უბანს დახკრეს ზარიო;
ხელაიძისა ციხესა
ცამდინ აუშვეს ალიო.
ბეროსა ხელაიძესა
ჩაეხვევიან ცხრანიო;
დასტრიალდ ხელაიძეი,
მკელმა დაივანტა ცხვარიო.
ახალს უბანსა გადგიდეთ,
ელანს მოვავლოთ თვალიო.
—კარათ გამოდი, ელანო,
ხელთ გამოიყოლ ხმალიო.
—მე გარეთ ვერას გამოვალ,
კვდარი ბევრ მიყრი კარზეთ.
კარათ გამოვიდ ელანი,
შუა გახია ჯარიო,
მომკლავს-კი, გარეთ მოვხკლავდე,
ვადაზე გაწყდა ხმალიო.

63

(ვარიანტი)

დიკლოს დალევა ვინა სთქო,
ან განრისხება ღვთისაო,
ცოგიძის ციხის დაქცევა,
შედება ქანქანისაო?!.
შიგა ზის თისო ცოგიძე,
გვეფხვია სალის კლდისაო.
ეუბნებოდა ბიჭებსა:
ტირილ მაწუხებს დისაო;
ცოლს ამას უჯავრდებოდა:
რას მეფერები პირსაო,
ტყვია თუ გამხთავდება,
ფარგულს აგაჭრი დილსაო.
შეთემ სთქვა ქუმელაურმა:
დღეს დღე არ მირჩევს ცდისაო.
ხმლით გავალ, გადავერევი,
ჯავრი მჭირს ლეკებისაო;
ხუთამდინ თქვიდით ნახოცი,
გაჭრა ვინ იცის ხმლისაო.
დიკლოს შამოვლენ ლეკები
ახალ წლისა დღესაო;
ხელშია დიკლო, შენაქო,
ომალოს დარეკ ზარსაო!..
ომალოს, ბროლის ციხეო,
შიშით გაქანებს ქარიო;

შიგ სხედან თუშის ბიჭები,
პირს ასდის თოფსა ალიო.
ღმერთმან გაცხონოს, საბედო,
სული იალაღმთაც არიო!
მანდილი უკან გაიგრა,
წელს შემოირტყა ხმალიო,
გამეერია ლეკებსა,
ჩალად დაყარა მკვდარიო;
თანაც გამოჰყვნენ ბიჭები,
დააყრევინეს მკვდარიო;
ეშველებ წასნის გიორგი,
ლეკებს შაუკრა გზანიო;
არ შამოუშვეს ომალოს,
დაბრუნდა დაღესტანიო...

64

ზამთარმა გამოიხმელა,
ვინ იცის ვისად ჭირადა.
ბაგვაზში ლეკებ ამბობენ:
ლუხუმს მოვავლოთ თვალია.
ოთხშაბათს თენებისასა
ბაკის გაგიღეს კარია,
— წამოდექ, ლუის ლუხუმო,
ხელთ აიყოლე ხმალია.
ვერას წამოდგებ, ლუხუმო,
ძილმ დაგატანა ძალია;
მძინარს დაგაწვა ლაბაზან,
ცხრან დაგეხვივნეს თავზედა;
ხელებს შეგიკვრენ, ლუხუმო,
გაგამგზავრებენ გზაზედა;
უცხო ქვეყნებსაც გაივლი
დაღისტნის არე-მარესა,
წინ ცხვარსაც გაგირეკავენ,
იმგზავრებ შორის გზაზედა.
ქიბდურის მთაზე, ტიალი,
უკან გაბრუნებს ქარია,
არცა გაბრუნებს ქარია,
ცოლ-შვილთ გქონდ ცოდო-ბრალია.
ბაგვაზს ჩამოგსვეს შუ უბანს,
გარს მოგეხვია ჯარია.
გადახედ ლეკის ჯარებსა,
თვალზე ჩამოგდის ცრემლია,
არც გქონდა ხელი ნებასა,
მუხლთ წაეკვეთნეს წვერნია.
ქალმა შეხედა, ასტირდა:
მეც შენაქოელ ყარია,
ლუხუმ, აქ რაღამ მოგიყვან,
შენაქოს მყვირალ ხარია.
მაგ ქალის ცოდო-ბრალითა
ალმური აგდის სახესა...
აქ ჩაგდეს თოფის სალიშნეთ,
მწვავეთ გესროდენ ტყვიასა.
დღეს ლეკებ დაალამებენ,
ერთ ვერა დაგკრეს ტანზედა.
— სალიშნეთ, წამოიძახა,
ჩემი მესროლეთ თოფია!..
თოფმა, ტიალმა, პატრონსა
ლუხუმს დაჰხვრიტა ტანია.
უთხროდეთ დიკლო-შანაქოს,
ხვარშნელთ ნუ მისცენ ზავია;
თუ სოფლად ვერას გამოხვალთ,
მთაში უხოცეთ ცხვარია.
ამ ლექსის მომლექსობელი
შენაქოს გზივარ ქალია,
მომაგონდება ტიალი
დიკლო-შენაქოს დრონია;

ვზივარ და მწარეთაა ვსტირი,
თვალებზე მამდის ცრემლია.
დიკლო-შენაქოს წახდენით
დაბრუნდა ცოდო-ბრალია,
აღარ ვინ დარჩა კაცის ძე,
ვაი დაგვეცა, ვალალა.
სოფლად ბუდობენ ყორნები,
მწარედ დაჭყეფენ ბრალადა;
ნურც დავესწრობით ამ დროსა,
კაცი ნუ ნახავს თვალადა!..

დიკლო და შენაქო ახლო-ახლო მდებარეობენ. ორივე სოფელი ერთ დროს ააოხრეს ლეკებმა.

65

(ვარიანტი)

ზამთარმა გამოიხმელა,
ნეტარ ვისიმე ჭირადა;
ქიბდურში ლუის ლუხუმი,
ე მაგისთვის არს ცუდათა.
ბრალი ხარ, ლუის ლუხუმო,
მტერმ შამოგართვა თვალია;
არა ქნილ შუაღამეი,
ბაკის გაგიღო კარია;
ხელი მოავლე თავის თოფს,
ტიალ, გამართულ ხარია,
ლეკებმ შეგიკრეს ხელები,
ცდის აღარ მოგცა ხანია.
ვებუსა მთასა გადადის,
მუხლით იკეთებ ულვაშსა;
თოფის სალიშნეთ ჩაგდგიან,
სამოც გესვრიან სამიო.
ბაგვაზში ქალი ასტირდა:
შენაქოს სოფლელ ვარია;
აქ რათ მოსულხარ, ლუხუმო,
შენაქოს მყვირალ ხარია.
ხელ-შაკრულს ნუ ხკლავთ ლუხუმსა,
ხელ-შაკრულ სიკვდილ ბრალია!
ლუხუმის თოფმა, ტიალმა,
პატრონს მოსჭვრიტა ტანია!..

66

(ვარიანტი)

გადაიარა ზამთარმა,
ნეტავ ვის თუშის ჭირადო;
ბოსელთას ლუის ლუხუმი,
ავაი, თუ მაგის ჭირადო.
მთაზედა მოუკიდებავ
ლეკთ მონადირეს თვალიო,
გაუღეს შუაღამის ხანს
ლუხუმის ბოსლის კარიო.
გამოიძიეს ბოსელი,
ლუხუმ მოხელეს კარიო.
— ავაიმე თქვენსა ლუხუმსა,
თოფსა დამიწყეს ტალიო,
აღარც გადმომყვა ხანჯარი,
მედინ სისხლისა წყალიო.
გამოიყვანეს ლუხუმი,
ვიწროთ შეუკრეს მხარნიო;
გამართეს ლეკეთისაკენ,
წინ დაუყენეს ცხვარნიო;
შემაახდინეს მთაზედა,
თუშეთს დასწერე ჯვარიო.
— ავაიმე, ჩემო თუშეთო,
ველარ მოგივალ მთელიო.
ჩამოიყვანეს ლეკეთში,
შემოეხვია ჯარიო.

—ეს თუ იყო ლუხუმი,
ჩვენ იყო ნიადვარით.
იყიდა ჭირის პატრონმან,
სულ გაიტანა რვალით;
სათვალავზედ შამაახდინეს,
როგორც ნაკურთხი ხარით.
ქალმა შეჰხედა, ასტირდა:
—ლუხუმს ნუ მოჰკლავთ ბრალია!
—ქალო, შენც თუში, მეც თუში,
ჩემი სიკვდილი გწყენია,
კიდევ დარჩება თუშეთში,
მაღლა შეირტყას ხმალია!..

თუშნი და ლეკნი ომობენ
აქვერის სოფლის პირსა;
სისხლისა ღვარი დაბრუნდა,
დადგა სოფლისა ძირსა.
ლეკთ ხოცავს მანჭარაული,
მარჯვენას არა სჭრისა,
აქვერელთ დიაც-ყმაწვილნი
ბედლით გამოუდისა;
აქვერელთ ცხვარ-კაროვანი
თუშეთში გადმოდისა;
უკან მოსდევენ დიაც-ყმაწვილნი,
ცრემლით იბანენ პირსა!..

67

აშაკანიძის ლაშქარი
თავს ყიდურს გროვდებისა,
გაგვიძეხ, ბექურის ძეო,
შენ უფრო იცი გზისა.
გაუძღვის ბექურის ძეი,
გზა პირკვან შეჰხარისა;
აქვერის მთაზე გადადის,
ხმალს სწუნობს, გაუცვლისა.
თოფსა სწუნობდა, შაშხანსა,
ჭრელს დაზდევდ კირიმისა.
ბექურის ძისი ლაშქარმა
ფიცი ჰქნა მეუფისა:
ნუ ვუღალატოთ ერთურთსა,
დროშის ქვეშ ფიცავდისა.
თუშნი ჩაცვივდნენ სისხლშია,
ფშავლებ შორით ხედავდისა;
ემაით დაბრუნებულნი
შინ ცოლებს რას ეტყვისა.
შინ ცოლებს მოატყუებენ,
გარეთ სწორში რას იტყვისა?!.

68

მთასა შავხედე—მშრალია,
ჭალას ჩამოწვა ზვავია.
ყველამ გამართა აბჯარი,
თუშთა გალესეს ხმალია.
კაცი გაგზავნეს სოფლადა:
თუშნო, გავიდეთ ველადა,
მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა,
ახლა ველობის ხანია.
სოფლად შეყრილან თუშები,
ლაპარაკობენ ჭკვაზედა:
წინა გაგვიძეხ, ქავთარო,
თუშო, გაგვიღე გზანიო;
ქვევითა ჩვენა ჩავიდეთ,
ლეკთ მრავალ უდგა ცხვარიო.
წინა გაუძღვა ქავთარი,
თუშთა ნარჩევი არიო.
ქარის თავს თუშნი ჩავიდნენ,
მთა-მთა ჩაიღეს გზანიო.
ჭარის თავს ჩაითარიშეს,
დილა ბინდისა ხანია.

ცხვარი ბევრი მოაქუჩეს,
ექვსასი ფაროვანია;
წყემსებიც ბევრი დახოცეს,
ბაკებს გაუღეს კარია,
ცხენი და ძროხა მოაქუჩეს,
მრავალი საშოვარია.
გამართეს თუშეთისაკენ,
ღმერთო, მოგვმართე გზანია!..
თილისძემ—დედის ერთამან,
სიზმარი ნახა ძნელია:
თუშებო, გელიშნებოდესთ,
დღე გაგვითენდებ ცდისაო.
თუშების მუქარაზედა
შეყრილ დაღისტნის ჯარია,
მაღლა ანწუხის მთაზედა
თუშებს მოუჭრეს გზანიო.
შორიდან ლეკებმ იძახეს:
თუშნო, გაწირეთ ცხვარიო!
უარს არიან თუშები,
ლეკნო, დაგვიგდეთ გზანიო!
ძალზედა დგანან ლეკები,
თითვისა დადგა ალიო...
ბაჩოი, თუშის გაზდილი,
წოვა თუშების თვალია.
ბაჩომან ლილის ფრანგულსა
ნაქებს უშინჯა ფხანია:
—ფრანგულო, გასჭერ, გამიძეხ,
ახლ გაჭირების არია!..
ხმალ და ხმალ თუშნი ჩავიდნენ,
ღმერთო, დასწერე ჯვარიო!..
ხმლის ქნევას ეცილებიან,
წკრეზე დაყარეს მკვდარიო;
დახოცეს ლეკის შვილები,
ჩალათ დაყარეს მკვდარიო;
ლეკნი მანდავე დალიეს—
დიდი დაღისტნის ჯარიო;
ცხვარიცა თუშეთს გარეკეს,
მაგ ლეკთა მონაგარიო...
ეგე შეიტყეს ლეკებმა,
თავზე დაეცათ ცანიო:
—თუშნო, თქვენცა ნუ იქნებით,
ნურც თქვენი სახლის ქვანიო.
მოკუთი რაღათ მოკალით,
ეგ დაღესტნის სარდალიო;
უფროსი იყო დაღისტნის,
ვინღა გაგვიღოს გზანიო!..
ჭარის თავს დაჰკრეს მილარი,
თუშთა დაიგდეს მთანიო;
მთებს ჩამოითარიშებენ,
წინ დამდგომ ვინღა არიო!

თუშები რომ სამტაცებლოთ ქარამდის ჩადიოდნენ, გვიმტკიცებს ის, რომ თუშეთიდან დაწყებული ქარის თავამდის სულ მთა-მთა, უმთავრეს კავკასიონის ქედის ზურგზე ჩადის საცალფეხო ბილიკი, რომელსაც „სათუშო ბილიკს“ უწოდებენ. ეს ბილიკი ეხლაც ატყვია. ქარის თავში ერთ მთაზე დევს დიდი ქვა, რომელზედაც თუშები თარეშობის დროს სჭედავდნენ ცხენებს

69

თუშეთს შესწუხდნენ თუშები:
გვიან გამოდის მთანიო,
მიდიან ქედოიძესთან:
გულუხვ, გაგვიძეხ წინაო.
ქუმელაურთას გასძახეთ

ჯაოს ბერიკაშვილსაო:
ადექ, ჯაო, ველად გავიდეთ,
ერთხელ გაუძღვეთ მზირსაო;
აგეურთასა გასძახეთ,
იმ ქოროღლისა შვილსაო:
ადექ და გულად გამოდი,
მაყარ გადიკიდ მხარზეო.
ხისოს შექუჩდეს ლააში,
დილა ამოსვლის მზისაო,
დღე მანდვე დაუღამდებათ
თოფების მართებსაო.
მზირიც მანდ მოუქუჩდება,
ჯოგი მაურილი მგლისაო;
გადვიდეს ვადაით მთასა
ღამ დაბნელებას მზისაო;
ჩავიდეს ქაბლის ხეობას,
მარჯვე არს ადგილ მტრისაო.
არ ქნილა შუადღის ხანი,
ლაშქარ ლეკთ შაიმწყვდისაო;
გულუხვათ ჩეოს ბიჭებთა
ხიდიც მოსტაცა წყლისაო.
ლეკებ ხიდს ვერას გამოვლენ,
ზვავ შორად მოუხვევსაო.
გულუხვამ გადუშვ ბიჭები,
ჯაომ დასწყრა ჯვარიო;
ჯაომა ქოროღლიშვილმა
მაყარს გადაავლ თვალიო.
თოფ დახკრა ლეკის ბელადსა,
სულ მაიხსენა ძმისაო:
„ლეკომც, იქნები გიოსად,
შინ რომ მომიკალთ მჯდომიო“.
ნაკუდა გულუხვაიძე—
ირემ წყალს გავარდისაო:
აცა, ლეკო, ვერას წამიხვალ,
ქვიშა უნდ ჭამო წყლისაო!
შეიბნეს ლეკი დ ნაკუდა,
რიყე აწითეს წყლისაო.
ხმალო, მოგიკვდეს მჭედელი,
ვადის ვინ აგაგო ტარიო!..
მიქა ომობენ ჯუმაალ,
ერთკვადის მჯობობაზეო.
თოფ დახკრეს ლეკის გაზდილსა,
სულსაც ხსენობენ ძმისაო:
„იქნები ჩაგაათ გუგოსად,
ორხევთ რომ მოხკალთ გზაზეო“.
დაბრუნდეს ნასახელები,
დაჭრილ მძიმედ უავთ გზაზეო,
დედას მაგ ნაკუდაისად
ვინ გაუბედავს პირსაო:
შვილიც დაგიჭრეს ნაკუდა,
ნაჭერ მძიმედ არს ტანზეო!..

70

წაროს იურება თუშები:
სამტროთ გავიდეთ ველადა,
მოგვწყინდა სოფელში სხდომა,
იარაღ ვისხათ ტანზედა;
ჩავიდეთ ქარ-ბელაქანში,
შავზვეროთ ლეკის შვილები;
წინა გაგვიძეხ, დილოიძევ,
ნასახელარო მტერზედა.
ლაშქარს შეჰყრიდა დილოიძე,
იარაღს ისხავს ტანზედა,
წინა გაუძღვა დილოიძე,
ღმერთო, დასწყრე ჯვარია!
გაგვამარჯვინე, სამებავ,
მსხვერპლით მოგივალ კარზედა...

ჩავიდა, თვალი დაავლო
ჯარზედა, დაღისტანზედა;
დღე-ღამე ყარაულობენ,
ლეკებს უსხედან გზაზედა.
ავი დრო მაგათ დაეცა,
ჯანღ დაეხვია მთაზედა.
თოვლი თოვლს მაწეხის ღელეს,
ადექი, დილოიძეო;
თუშის ბელადო, ადექი,
კვალი გადადის ლეკისა;
გამოაღვიძე ბიჭები,
გაყოლა გინდა მდევრადა.
ბიჭებს აღვიძებს დილოიძე:
აბჯარ აისხით ტანზედა.
შაათვხიანა ბიჭები,
პირს დაუწერა ჯვარია:
მოდით და მალე მომყევით,
გადაზდენიათ ტყვეები;
ფეხშიშველები ყოფილან,
ქართლისა სჩანან ქალები.
ლეკებს მიზდევდა დილოიძე
შუა დაღისტნის არესა.
თვრამეტი მიზდევს ახალგაზდა,
ვეფხვნი დამდგარან პწკალზედა;
მტრის სისხლი მოსწყურებია,
ომს უპირობენ ძალზედა.
ლეკნი ჩავიდნენ ტყისა პირს,
იქ ანთებდიან ცეცხლებსა.
სტირიან ქართვლის ქალები:
„ვაი, დედავ, ჩვენი ბრალია,
გაბუსურბნებას გვიპირებს,
გვაჭამოს ცხენის ხორცია;
როგორ უნდ გავძლოთ დაღისტანს,
დავითმოთ ჩვენი ქართლია!..“
შვილნი ყოფილან, სტირიან,
ცხარე უყრიათ ცრემლია.
ლეკნი უყურებს სიცილით,
მასახელარნი მტერზედა.
აღარც ფიქრობენ მდევარზე,
გამოყოლვასა კვალზედა.
დამსხდარან პურის ჭამაზე,
ბედის უქროდათ ქარია.
შამოჩნდებ სერის პირზედა
ბელადი თუშებისაო.
დაუტივ დილოიძემა,
ლაშქარს არიგებს ჭკვაზედა:
„დაჰკარით, თუშის შვილებო,
სახელ ვის გინდათ მტერზედა,
მიუკდეთ მეფე ერეკლეს
სახელოვანი მტერზედა!..“
ჩვეთამაშებ თუშები,
ლეკებს კუწავენ ძალზედა;
გადიან თითო-თითონი,
მკვდარი მოგორავს კლდეზედა;
ომობენ თუშნი, ლეკები,
მიწა შაიძრა პყარია.
ბარაქალ, თუშის შვილებო,
ჩალად დაყარეთ მკვდარია;
დახოცეთ, აღარ გაუშვით,
ნაქები დაღესტანია,
ოცდაცამეტი მარჯვენა მოსჭერით-
სახელი დაღესტანისა.
ბრალი ხართ, დაღესტნელებო,
ელდა დაგეცათ ცისაო,
არა გეგონათ ზარალი,
თავზე დაცემა მტრისაო;

გეწადათ, ვერ აასრულეთ
გარეკვა ტყვეებისა.
წინ-წინ მოგიკლათ ბელადი,
ბინაზე დარჩა მკვდარიო,
ქართვლები არას გეგონოსთ,
თუშის შვილები არიო.
დავლა აიღეს თუშებმა,
რაც ლეკის ბარგი არიო;
ტყვეთაც გაუხსნა ხელები,
თვალთა შაიშრეს ცრემლიო;
გამაამგზავრეს კახეთში
ქალები ქართვლებისა.
მოუვლენ მეფე ერეკლეს
სიცილით თუშნი კარსა:
„მეფე ერეკლევ, მოვასხით
ქალები თქვენი მხრისა,
დავაურევინეთ ლეკებსა,
როგორც ჩიტები ქორსა“!..

დილოიძე ის ვაჟკაცია, რომელმაც ისეთი ვაჟკაცობა და გმირობა გამოიჩინა ასპინძის ომში, რომ მეფე ერეკლემ, როგორც გვაუწყებს გადმოცემა თუშებისა, შეაძლია მთელი წალკის ხეობა საშვილისშვილოთ, მაგრამ მან არ ინდომა ეს წყალობა და სამაგიეროთ სთხოვა ერთი ხევსურის ხმალი. ერეკლეს აესრულებინა თხოვნა. ეს ხმალი დილოიძის შვილის-შვილებიდან გადავიდა ერთ თუშის ხელში, რომელსაც დღესაცა აქვს.

სხვა ვარიანტით ომიდან შინ დაბრუნების დროს ერთს თავადიშვილს მოეკლა დილოიძე უჯარმის ახლო-მახლო ღალატით ხმლის გულისათვის.

71

გულადნო ომალოელნო,
რად ენდობოდით ძილსა;
რად არ იცოდით დიდონ დაგ- [ლევდათ,
არ გენდობოდათ პირსა?!.
თუშთაც ვერ შავატყობიეთ
ნაცადი სიათისა.
ბრალი ხარ, იპირაულო,
ღვინისა ძალი გწირსა.
ხუნჩალე იპირაულთა
ძმათ უარესად სცდისა:
თავიცა სცადა, ძმებიცა,
თავს იოგისასა სცდისა.
ხუნჩალეს ცოლის ნაცადსა
დაღისტან გაჭკვირდისა.
ბრალი ხარ, თურქოს ღვთისიავ,
ვერ დაერჩიე ძილსა.
გიჩალე გოჩიკაიძე
დათვის სოროში ზისა;
დღეიმცა გაგვთენებიყო
ჩვენის და თქვენის ცდისა,
ან თუშებ ჩამოგვიჩინდენ,
მორთულნი ცხენ-აბჯრითა.
ხვედეგსა თიბელაიძეს
ჩაეხვევიან გმირსა;
გაჲ დედას ხვედეგისასა,
ფრანგულიც აღარ სჭრისა.
ჩივიან ხვედეგის ძენი:
რაღაა ჩვენის ცდისა,

ერთი რა მოსაკლავია
ბელადი ლეკებისა:
აქ დავიტანეთ ხუტური,
ნამტვრევი ფოლადისა;
ვაჲ დედას ხუტურისასა,
ვადა არ ეჭირ ხმლისა.
ფშაველაიძის სიათა
გვიანათ გამოდისა,
მოუკლავს თავის მომკლავი,
სულეთს შინ შაუძღვისა.
იკითხვენ თათრულაიძეს,
ჯავრი მაგისა გვჭირსა.
შინ აღარ დახვდაო დავითი,
შვილ მამასავით სცდისა.
გადაერივნენ მოზათ სახლს,
ალი თავს გადაჰხვიესო;
შინ აღარ დახვდაო პატრონი,
დავლათი თქვენი სჭრისა.
თურქია ინაურიძე—
ვაჟკაცი კარგა სცდისა.
ზიდონა ნაბაიძეი
ლამაზს იბრუნებს პირსა.
მთვრალაი თორხილაიძე
ხედავდა მიწა-წყალსა,
ადგილსა გათხრებულსა,
საბნებსა გადმოყრილსა.
შეყარეს დიაც-ყმაწვილნი,
ცრემლ წყაროდ ჩამოდისა;
წვრილთა ყმაწვილთა ცოდვანი
ცის ნამად ჩამოდისა.
შენდობა ომალოს ნახოცთ,
სად ლუდებ იდგნენ სვისა.

72

ხუთშაბათს თენებისასა,
პირია ბინდობისა;
დიკლოს შუ უბან ჩამოსტყდა
პირი ლურჯისა ცისა!..
ზე უბანს შემოხკივიან,
ქვე უბან დახკვრენ ზარსა.
ზე ადგებ ხიოს დართლოელ,
ტანთ აისხამდა აბჯართა,
მოდგუდავს ციხის კარებსა,
ყამი არა აქვს მტრისა:
„შინად შამოდით, ლეკებო,
ხანი მომეცით ცდისა!“
შუ უბანს მოდის თოფის ხმა,
ქურაიძისა არსა.
ჯერ ომობს ქურაძის შვილი,
მერმ დაეცემა მუხლზეთ.
დაი ასტირდებ ნანაი,
შუქ ჩამობნელდებ მზისა:
გზასა როგორღა გაიღებ
ცოდვით ორ-ორის დისა!..
ზე უბანს რა ამბავია,
პირი შემოდგა ზღვისა...
ზე ადგებ ხაჩოს ნაკუდა,
ჯარებს უბრუნებს პირსა;
ნატყვიარ არ ეტყობოდა,
ნაჭერ ძალს ატანს ხმლისა.
ნეტარ თათარა რა იქნა,
ხმა იყო ციხის კარზეთ?
თათარა ჰერხოსა ბრუნავს,
ვეფხვი გმინვასა ჭურისა:
„თოფსა ვინ მომცემს მართულსა,

ან ვადას კარგის ხმლისათ,
ჯალაბნიც ლეკებმ გარეკეს,
როგორც ნოტოი ცხვრისათ“.
თათარაისა ნანელმა
ნაწნავ ჩამაიღ თმისათ.
მოუკლავს ჩვენი ნაკუდა,
მთელა მინდ დაღისტნისათ,
დაი თან მამდევს ბეჩხვი,
ორნ წინ მიდგ მამის ძმისათ;
ბერ დედა აქვე მამიკლეს,
ხელ არ იკადრა მტრისათ...
ომობდა ბეწუნაიძე—
ვეფხვი სალთსა კლდისათ.
თოფი დაგვიკრა ხითაძემ
ლეკსა ბეჭისა პირსათ;
ცალ-ცალკე ვერას გაქებდეთ,
ორნივე თავსა სცდისათ.
მხარ-გვერდზე სვენავ ხაპარი,
დღეს ხედავ სიკვდილისათ.
ასტირდა იჩოს ზობაი,
ცას ცვარი ჩამოზდისათ:
ეს ქნილა, გაგონილაი,
უკულმ გალება გზისათ.
ბერომა კახიძის შვილმა
ხმლით მხარი დაუჭირათ,
გვერდს სტანავ ცოლი თამარი,
ერთგულად უჭირ მხარით;
ლეკსა ბერომა გააყოლ
ნაჭერი ფრანგულისათ,
მაღლა მთის წვერზე დაწვინ
მსახური თავის ძმისათ:
„მანდ დაჯე, ლეკო, ვერ წახვალ,
მანდ ჭამე საგძალ გზისათ“!..

ომობდა მოზას ივანე.
ლეკვი გაზდილი მგლისათ,
სოფლის ნაპირას დაწვინ,
მიწა აჭმია მტრისათ:
ლეკო, იქნები ხაპრისთვინ,
სულეთს მიმტანი წულისათ,
დიკლოსა თავსა ვინ მოხკალ
უფროსი დაღისტნისათ?
შვიდ მამამდ კეუოთ სახელი
შვილთა და შვილის-შვილთათ.
ამ ამბის გამლექსობელი
დიკლოში ქალი ზისათ.

73

ამბობენ, არა სტყუვიან,
უსუფი ჯარებს ყრისათ;
სანადიროში ჩაუვლენ
ლომსა მას ფილაურსათ.
„ვაჲ დედას ივანესასა,
ბინდი მებურა პირსათ,
თორემ შინ ვერას გაგიშვებდ,
სარდალო უსუფისათ.“
ახლ ყველას გეყურებოდეთ,
მთას ნუ ენდობით ძილსათ.
გადადის დიდგვერდისაკენ,
ფარა დაზვერეს ცხვრისათ;
შუ ღამეს ჩაეხვევიან
მეშვლის გიორგის—გმირსათ;
ხუთთ სცემდის მეშვლის გაზდილი,
ვადა უმღერის ხმლისათ!
გიგოლე ვანოს გაზდილმა
ყავლი გაათავ ცხვრისათ.
იძახეს გომეწრის უბით:
ფარა წაიღეს ცხვრისათ.

ჩალის-ფერ მგელაურიძეს
ირემს ჰგავს, გაფრინდებაო;
ზედ იჯდის მგელაურიძე,
თუშმა იცოდა ცდისაო;
მთის ძირზე მიეწეოდა:
საით მირეკავთ ცხვარსაო?
თოფ დახკრა მგელაურიძეს,
ცისკარი ჩაქრა დღისაო.
სანგლითა ვინა ომობდი,
სახელ თქვის ზურაბისაო;
თოფ დახკრეს გორგის ზურაბსა,
ნაპირი მოსტყდა ცისაო!..
წიწო ომობდი, დარქიზან
ბიძაშვილთ მეტობაზეო;
წიწო, ვინ მოხვალ ხადიძე,
ვალ ვინ დაიდევ მგლისაო,
მოგწონდა იარაღზედა,
ქება შორს წავა მტრისაო.
სამდევროთ ჩალმათ ბიჭები—
არწივნ მოხკივინ მთისაო,
ზეთავ დაათამაშე თუშები;
დღე გათენდ ჩვენის ცდისაო.
მტრის გუნდი მიუდიოდა
დავით ბილოძის შვილსაო,
დედაცა ბევრის ატირე,
ცოდო დაიდევ მტრისაო.
ომაი კელესაური—
ქორი მოხკივის მთისაო,
აქის მოუშვით, თუშებო,
ნარჩომი თქვენის ხმლისაო!..
ხუთნ ჩაეხვივნენ ომასა,
მომკლავ ხარ ორ-ორისაო.
ლეკნი ჩივიან უსუფთან
თავის და თუშთა ცდისაო:
თუ ჩვენ თუშთ მთანი დავლახ-
ნოთ,
შვილს დავსწყევთ შვილის-შვილ-
[თაო!..

## თუშების შეტაკება შირაქში ჭარელებთან და თათრებთან.

74

დაიძრა, გამოიმართა
დიდი ბუსურბნის ჯარიო;
ჰყავ გულხადარა ბელადათ,
ალაზანს ჩამომდგარაო.
გაგზავნეს მაგათ მზვერავი:
ჩეთმას დაავლეთ თვალიო.
გალაღებულნი მოვიდნენ:
ადვილი საშოვარია,
შევზვერეთ ჩეთმის მინდორზედ
თორმეტი ფარა ცხვარიო.
გადავიდნენა ქედზედა,
გადააჭრელეს მთანიო;
ორშაბათ დილა გათენდა,
ჩეთმას დაჰხურეს ცანიო.
რად არ გვეხსნებით, ძაღლებო,
ჩეთმა ხომ ჩვენი არიო...
წინ-წინ გოშპარას ეწვივნენ,
მასპინძლად დაზდო თავიო;
წინ მომავალსა თოფი ჰკრა,
ნაწიდარს დაწვა მკვდარიო,
თვითონ თეფეებს შემოურბინა,

თოფის ავიდა ალით.
—შეეშველენით, თუშებო,
ბევრიანა მარტო ბრალია!..
ქავთარმა ოსმალიძემა
ფერი დაიდვა მგლისათ:
—აცალეთ, ჯარელო შვილებო,
დაჭრილი არ გაგყვეთ ტანით;
მანდ ორნი ძმანი ომობენ—
უთურის ძენი ორნით.
გიორგი ეტყოდ გიგასა:
—ძმაო, აიღე თავით,
რაღა დრო არის წოლისა,
მტერმა წაგვიღო ცხვარით;
ჩვენ ვაცებს ყური დაუგდე,
ეჟვნის გამოდის ჩქამით;
ჩვენ ჩვენ ცხვარზე დავილევით,
წუემსნო, ვაი თქვენი ბრალით!..
—თუ თქვენ თქვენ ცხვარზე ილე-[ვით,
თქვენთან ჩვენც გვეთმოს თავით...
წამოიწია გიგამა, წამაიყოლა ხმა-[ლით,
დაერია და ჩაათვრთხო,
როგორც ნადირმა ცხვარით.
წინ-წინ დაგვიკრეს გიორგის,
გიგას მოსტეხეს მხარით.
თოფს დაუმატა წამალი,
ტყვიას გაჰყვება ძალით.
შვიდი გიორგის შესწირა,
სულეთს უზიდეთ წყალით,
თითო წუემსებსაც შესწირა,
აბრუნებინეთ ცხვარით.
მერ ბელად გამოიმეტა,
გულზე დაჰხვია ალით.

შენ ჩემი უმცროს იყავი,
თუ მეც აქ დავსიმო თავით!..
მუღანლოს ფონზე ჩამოდგა
თორმეტი ცხვრისა ფარათ,
დაატრიალეს ვაცები,
დაბორიელდა ცხვარით.
გაქეჩეს გიგას ვაცები,
ეჟვანს გაჰქონდა ჩქამით;
ბელაქანშია ამოჩნდა
გიგაის ვაცის რქანით.
გიგაის ბალთა-ყაწიმსა,
სისხლის დაედვა ფერით;
ემაგის ნათმარშია
შვიდ წელს არ მოვა ბალახი;
თუ მოვა, მწვანეთ არ მოვა,
სისხლის ამოჰყვებ ფერით.
გიგამა ცხენი შეკმაზა,
ლაგმის ჩაუდვა ტარით.
—იარე, ლურჯავ, იარე,
ალვანს დავაგდოთ ჩქამით...
ემაგის მოშაირეთ
ალვანს თუშის ქალ ვარით,
ხელში მიჭირავს ჩხირ-წინდა,
ცრემლი მზდის, როგორც წყალით;
უძმოთ გამზარდა დედამან,
მეც იქ მომიკლეს ქმარით!..

75

განჯას გადიდდა თათარი,
სიტყვას იტყოდა ჭკვაზედა:
შეიყარენით ახლებო,
თულად გავიდეთ ველზედა.
გადვიდეთ, თვალი დავავლოთ
წინა-მხარს — ალაზანზედა.

დაუშლის ქალი და რძალი:
სიტყვა არ მოგდით ჭკვაზედა,
შეგიტყობსთ თუშის შვილები,
არ გატარებენ ჭკვაზედა.
არ იშლის თათრის სარდალი:
მეტი ვინ იქნებ ჩვენზედა?
სარდალმ შეყარა ახლები,
გამოუძღვება გზაზედა;
ძილიჩას გადმოივლიდა,
შამოკდებ ალაზანზედა;
მანდით დასტაცა ცხენები
მზის ჩაბძანების ხანზედა;
შამოკდებ შირაქის ქედზედ
შამკლის ფერების ხანზედა.
გძელია შირაქის გული,
გაუთენდ შუა გზაზედა.
თვალი მოჰკიდეს თუშებმა
მზისა ამოსვლის ხანზედა.
უველამ დაკმაზა ცხენები,
ძუა უნასკვნეს ძირზედა.
ბელადათ, დაღონდებოდნეს,
ვინ უნდ გაგვიძღვეს გზაზედა,
ველად გასულსა ლაშქარსა
რიგება გვინდა ჭკვაზედა.
დემეტრე ბელადიშვილო,
უჯეროდ მოდგნენ შენზედა,
ჯიში მოგდევსა მამა-პაპით,
ნასახელარი მტერზედა.
გაჯავრდებ ბელადიშვილი,
ქორი შეჯდებოდ ცხენზედა;
ლაშქარსა წინ გაუძღვება,
თულებს მიზდევდა კვალზედა.
ნაზარლის უელზედ გამოჩნდა
თათრების მუქარაზედა;
ნაზარლის ბოლოს ჩადგებოდ,
თვალი ეჭირა მტერზედა.
თულებსა თვალი მოჰკიდა
დაბლა თელისის წყალზედა;
ცხენის გაუშვეს თარეში,
დაეწევიან გზაზედა.
დაუბრუნდ თათრის შვილები,
ომი გამართეს ძალზედა.
ლაშქარს დასძახის დემეტრე,
დაარიგებდა ჭკვაზედა:
დაჰკარით, თუშის შვილებო,
სახელ ვის გინდათ მტერზედა!..
გოგიმა ყიზილაშვილმა:
სახელ მე მინდა მტერზედა.
ივანე აფშინაშვილსა
ხელი ზედ ედო ხმალზედა;
თოფს ისროდ შიო ჯანთოს ძე,
ტყვია არ ვარდებ ბანზედა;
აბდულა, ლეკის გაზდილი,
უფრო მეტია სხვაზედა;
სროლა სცოდნოდა თოფისა,
ლამაზად ხმარობდ ცხენზედა;
იწევდა შალაფიშვილი,
როგორც ნადირი ცხვარზედა.
ბელადი გაუჯავრდებოდ,
დაარიგებდა ჭკვაზედა:
ზედ ნუ იწევი, მგლის ლეკვო,
თავს რასა იკლავ ძალზედა.
ნაქებსა ქება რად უნდა—
ზურაბსა ვანეშვილსათ,
ჩავიდოდ ჩაუსგლელშია,
ფეხ-ქვეშ გაუვლის ქარით!..

თავ-თავად ვერას შეგაქებთ,
ყველანი თავის ცდაზედა.
ალთეს და ჩალთეს თათრები,
მკვდარი დაყარეს მკვდარზედა;
ემაგ თათრების ტირილი
მაღლა ადიოდ ცაზედა:
განჯას რაც გვითხრა ქალ-რძალმა,
ახლა გადაგვხდა თავზედა!..
გაბრუნდით თუშის შვილებო,
ნასახელარნო მტერზედა;
თქვენ ხომ კარგნი ყოფილხართ,
ნურც აუგს იტყვით ჩვენზედა...
ამ ლექსის მომლექსებელი
წყემსი ვარ თრიალეთზედა.
დამიდგა ცუდი ამინდი,
ღამეს ვათენებ ფეხზედა:
გარშემომადგნენ თათრები,
მოლოდინი მაქვს ძალზედა;
ცხვარიც არ მიდგებ ბინაში,
მაღლა იწევა მთაზედა...

## ჩილოს წახდენა მტერთაგან.

76

ჩაირიშვილის ლაშქარი
ხმას იგდებს, შამოდისაო,
ოთხშაბათს, თენებისასა,
ღელეზე შამოდისაო;
ღელეზე გადმონადენი,
ჩილოს ძირ ჩამოდისაო.
ჩილოს ქორწილ აქვს კიცვასა,
სტუმარიც ბევრი ჰყავსაო;
სტუმრებს უხვდება კიცვაი,
სიკეთეც აგონდებაო.
ჩილოს რომ თეთრი ციხე დგას,
თოფის ხმაც გამოდისაო,
ქორ-შავარდენთა ჩილოელთ
ალ მხარზე გადაზდისაო.
ჩილოელთ ვაჟკაცთ ნახოცნი
ციხის კარ გადმოდიანო;
ჩილოს ძირ წყალი დაწურა,
აგეურთ ძირ აღარ ზდისაო.
სულეთში ჩილოელები
ჩივილით შამოდიანო:
არ მოგვეშველა თუშეთი,
ჯავრი გვაჭამეს მტრისაო,
ჩილოელთ დაც-ყმაწვილნი
ტირილით მიუდისაო,
ჩვენის წახდენის მიზეზით,
რისხვაიმც გქონდესთ ღვთისაო!..

თუშების გარდმოცემით, ისე აუოხრებია მტერს ჩილოს სოფელი, რომ ერთად-ერთი შვიდი-რვა წლის ბალღი-ღა გადარჩენილა მტრის მახვილს; იმასაც დასძინებოდა და გველის ნაკბენისაგან მო[illegible]არიყო. ამ სოფლის აოხრების დროს თუშეთი არ მიშველებია სიავკაცის მოგონებით...

## ვერხოვანის ციხე.

77

ვერხოვანს, წვრილო ციხეო,
ქვაი ვინ გაწყო ქვაზედა,
ექვს ოთახზედა აგაგეს,
სიპი დაგხურეს თავზედა?
პირდაპირ ჯარის ჩამოსვლა,
რა-კი არ გაგიხარდება,
ქავთარაი და პაპაი
ყმანი გიდგენან ძალზედა.
თოფს ესვრის ჯობინობაზე,
ტყვია გავგერშოთ ტანზედა.
ვერხოვანს, ბუჩაის თოფო,
წამალი დაგიობდება,
მუჭით გაურიან საწყაოს,
გან ტყვია გაგივარდება;
შენი ნასროლი ტყვივისა
ქება არს დაღესტანშია...

## ტყვე ქალის მოთქმა.

78

ტანად ალვი ვარ, ჰირად მზე,
ქალი ნაქები თემისა;
კარზე მიდგენან მთხოვარნი,
ვირჩიე ლერწამ ტანისა.
ვაჟია სახელოვანი,
მებრძოლი დაღესტანისა.
საქორწილეთ მოგვამზადეს,
რაც ქრისტიანის წესია;
ველოდით შაბათ დილასა,
უნდა დაგვწერონ ჯვარია.
შუაღამის ხანს გაგვიღეს
ლეკებმა ციხის კარია;
გამომიყვანეს საბრალო,
ნაქები თუშის ქალია.
გადამავლიეს მთის წვერი,
ცრემლით გავსველე გზანია;
ჩამიყვანიან დაღესტანს,
ლეკის მეხვევა ქალია;
„ნეტავ კიდევ-ლა იქნების,
თუშში შენისთან ლამაზი?"
საქრმო იქ ამომირჩიეს,
ლაღ დაღესტნელთა ყმანია,
მომნათლეს, როგორც უნდოდათ,
დამაკარგვინეს რჯულია;
ტირილით ვერა ვიშველე,
ქალმან მოვიკლა თავია.
ვაბარებ ჩემსა საქრმოზე:
თუშო, რად გინდა ხმალია?
გადმოდი დაღესტანშია,
მტრისა იყარე ჯავრია;
სოფლად თუ ვერას ჩამოხვალ,
მთაში უტაცე ცხვარია.

## ფხიკლიას მიერ ტყვე ქალის გათავისუფლება.

79

დიკლოს ვინამ ხარ პატრონი,
ვინამ დაჰბუი ბანზედა,
ზამთარსა დაჰლევ ჭირითა,
გაზაფხულს ჩახვალ ცხვარზედა?!.
ჰკითხავდი ხახაბოელებს,
მტერი სად დადის გზაზედა.
ვინამ ხარ ჭირის პატრონი,
გეტყობა ლაპარაკზედა;
თუ ჭირის ხარ მაძებარი,
დელეს დაუჯექ წყალზედა;
იქ გადადიან ასახოელნი,
ხაშმით ტყვებ მიუდით ძალზედა.
ქალი მოჰყვანდათ ხაშმელი,
დილას თირთვილიანზედა;
იქნებოდ ფეხშიშველაი,
ცრემლებ მოზდიოდ ყბაზედა.
შეხედა, გაიცინა ბელადმა:
„ბრალი არ ვიცი ტყვეზედა“.
— ნუ სტირი, ქალო, ხაშმელო,
ფხიკლია გიზის გზაზედა;
თუ დეკებს წაგაყვანინო,
წვერი ნუ მსხმია ყბაზედა.
ჯერ თოფი დაჰკრა ბელადსა,
ხელი მოისვა ხმალზედა,
შესწირა თავის მამასა:
„მამავ, გაგზავნე წყალზედა“;
მეორე ნაკუდაიძესად:
„ვებუს დაგვიგდეთ გზაზედა“;
მესამე ივანაიძესად:
„ლაას მოგვიკლეთ ცხვარზედა“.
მეოთხეს ნაჭერ ააყოლ:
„სულეთს იქნები ჩემზედა“!
დააგდებინა ხაშმელი,
მამას მოჰგვარა კარზედა.
დედამა სკამი მოართვა,
ფხიკლი ჩამოჯდა სკამზედა;
მერე მოართვა ხალათი,
ფხიკლიმ ჩაიცო ტანზედა;
მამამა ცხენი უბოძა,
ნაბამი იყო ქერზედა,
გადმოატარა ცივ-გომბორს,
შინ მოვიდოდა წამზედა!..

## ნანოზე მგელოძის ამბავი.

80

ახვას შუ უბან ასტირდა
ნანა მგელოძის ქალიო.
ქალო, ნუ სტირი, ნანაო,
ნუღარ იბარებ ძმასაო,
ნუღარ ძმაილა, ველარა,
ნუღარ იშავებ თავსაო;
მთასა რო ცხვარი გადმოდის,
ფარა არს შენის ძმისაო.

გზათ ნანა მიეგებება:
ხელი მიჩვენეთ ძმისაო,
თუ მომიკალით ძმაილა;
პირი გაგიწყრეთ ღვთისაო!..
—ჩვენ ხელი ვერ გამოვიღეთ,
ხანი არ გვექნა ცდისაო;
კაცი მოგვიკლა ივანემ,
შიში ჰქონდ ნანოზისაო.
ივანესა და ნანოზეს
მზე წითლად ამოუდისო;
მთის ძირზე შემოგვეწია,
მგელოძის ნადირ ვარიო,
დალკივლ და ჯარი დაგვითვთხვინ:
საით მიგიდისთ ცხვარიო;
უერთოდ აღარ დაბრუნდებ,
უნდა ვაწითოთ გზანიო.
მალევე დავაბრუნიდით,
შაუმოკლიდით გზანიო;
დიკლოსა მთაზე გავსწირეთ,
არწივს მოვსტეხეთ მხარიო.
—მე თუშეთს ვეღარ მოვდივარ,
დიკლოს გავსწირავ წილსაო,
შვიდ წელს გიწყემსეთ სამ ძმათა,
ვერ მოვიხმარეთ თავსაო;
ვერც დავიხსენით ტყვენია,
ვერც მოვახმარეთ კვდართაო!..

## ჯ ა მ რ უ ლ ი.

### 81

ალვანში ფუნჩათ ჯამრულ-
შუბო, გითეთრებს ტარსაო; [სა,
ბორბლისა მთებსა დახედავს:
ცხენ ვერ მოხკიდებს ნალსაო,
ტყემან მოისხას ფოთოლი,
მხედარმ დალმალოს თავიო.
ქალო, შენ ქარსამაულო,
ქმარს რად უჭრგავ ტყავსაო?
თუში ბევრია, გულ-დიდი,
ჯამრულ მოგიჭრის თავსაო,
ჩამოგსვამს ალის გორშია,
ჩამოგიჭაპნავს თმასაო;
პირდაპირ ციხეს მიაკრავს
შენის ქმრის მარჯვენასაო;
შემოვიდოდეს, ტიროდეს,
ცრემლით იბანდეს პირსაო!..

## შამილისაგან ყვარელის აღება.

### 82

გვიქებენ ბელეშიშვილსა,
ყაზიზე მეტის-მეტსაო;
დაიარება კახეთში,
ვერა შოულობს ტყვესაო.
დაწვა, დადაგა ყვარელი
ფერისცვალობის დღესაო.
ბევრი დახოცა ვაჟკაცი,
მკვდარს ვერ აუქცევ ფეხსაო;
გარეკა ქალი და რძალი,
გადაასუენა მთებსაო;

სულ ფეხშიშველა გარეკა,
ქოში არ აცვის ერთისაო.
იკვეხის ბელეშიშვილი,
მე ვიბელადე დღესაო,
საბელადოსაც აგიღებ,
შიგ ამოვარჩევ ერთსაო.
შევიდა, გამოიყვანა,
ღამეს ანათებს ბნელსაო.
—შენი ჭირიმე, ლამაზო,
ნუ მოიგონებ ძმებსაო,
ყელამდინ ოქროში ჩაგსვამ,
მარგალიტს ნახავ ბევრსაო.
—დახედე, წუწკსა ალიას,
სიტყვა გამოდის მყრალიო;
ძმებსა დამიჭრა ყელები,
მამას მიცემა ხმ·ლიო;
როგორ არ მომაგონდება
საწყალი ჩემი ქმარიო.

## თუშები რუსთა ლაშქრობაში.

83

ქალაქში ჩვენსა მთავრობას
ქაღალდებ მოუდისაო:
ადექ, ჯარები შეყარე,
ხალხი გადგ ზღვის პირისაო.
შეყარეს რუსის სალდათი,
ხმა მოდის ჩექმებისაო,
თან დაჰყვა ტყვია-წამალი,
პოვოსკებ ზარბაზნისაო.
ადგელდა ფიდაურიძე,
ხმალ შაირტყ მამ-პაპისაო;
ბაბოსა დიდოიძესა,
ჯიშ მოზდევს არწივისაო;
გიოი მარხვაიძეი—
მიმინო მაღლის მთისაო;
დავითი კვესიაიძე—
ერთგული ხემწიფისაო.
წინ გაუძღვება მთავრობა,
პირი ახსენეს ღვთისაო;
ჩავიდნენ ინდოეთშია,
ჯარი დახვდ ბუსურმნისაო.
ვერ სტეხვენ თექის გალავანს,
გარს რომ წყალ ჩამოზდისაო;
ნადბით შევიდნენ თუშები,
კუთხე დაგლიჯეს ქვისაო.
იძახიანა ურასა,
ქუხილ დგა ზარბაზნისაო;
თოფი დაკვიკრეს პეტრესა
ფილაურიძის შვილსაო.
„შვიდობით, ამხანაგებო,
სულეთს ვარ წამავალიო,
არ დამცალდ, ომი მეწადა,
ტყვიამა მიყო ძალიო;
მსახური გამომაყოლეთ,
მოვატანინო წყალიო“.
ბაბო და გიო ომობენ,
თოფის გამოდის ჩქამიო.
რა იქნა კვესიაიძე?
წკეპა გამოდის ხმლისაო;
თათარ და დავით შებმულან,
ადგილსა ბუსურმნისაო.

თათართ, დავითს ვერ მოჰკლავ,
არწივსა თუშეთისათ.
დაბრუნდნენ გამარჯვებულნი,
ყივილ დგა ტყვეებისათ.
წამოვიდ კვესიაიძე,
ნაჭერ გამოჰყვა ხმლისათ.
ჯვრებ თუშებს გამოუვიდათ—
წყალობა ხეშწივისათ,
ტემლაკი კვესიაიძეს,
ვადა განათდა ხმლისათ!..

თუშების და საზოგადოთ ყველა მთიელების რწმენით, მტრის ხელით მომკვდარს ესაჭიროება საიქიოს მსახური, რომ წყალი მოატანინოს და საზოგადოთ იმსახუროს. უამისოდ სული მკვდრისა იტანჯება. მსახური უნდა იყოს მომკლავთაგანი; თუ თვითონ მომკლავი არა, მისი ნათესავი, ან სხვა მისი თანამოძმე მაინც; აქედან წარმოსდგა „სისხლის ძიება, სისხლის აღება“, რომელიც ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი მთიელებს, ნამეტნავათ ბუსურბნებს...

84

არამ დამძრახოთ, ბიჭებო,
სიტყვანი გითხრათ ძმურია.
ვაჟო, სადა ვართ? ალვანთან
დიდათ შორს არის გურია.
მომწყურდა ღვინო კახური,
დიაცთ ნამცხვარი პურია...
და თქვენცა ბძანეთ, მოძმენო,
უმცროსს დაუგდეთ ყურია.
ძმაო, შენც გახსოვს წითელი
სიუმაწვილური ზნეობა;
მოდით, აქ შევიკრიბენოთ,
გვმართებს საქმისა რჩეობა;
ბიჭობით ყველან მჯობიხართ,
გიცდიათ ლეკთა მტერობა.
სახელი დაგვრჩეს გურიას,
თუშებმა ქნესა მხნეობა.
ომის დრო არის, ვაჟკაცნო,
ცხენთა დავაკრათ ნალია;
ადექით, დავემზადენოთ,
ყველამ დავჩარხოთ ხმალია;
ვინც უკან დარჩეს ამხანაგთ,
იყოს ახმატის ქალია,
და მოკვდეს, ქვაზე დავწეროთ:
„სიცოცხლითაე მხდალია“!..
ვაჟო, რას ამბობ, მეწყინა,
დიაცთ წესია რიდება,
ქალის ლეჩაქი დავხუროთ,
ვისც არ უნდ, ომი სწყინდება...
კაცი გავგზავნოთ სარდალთან:
ბიჭებს აქ ყოვნა სწყინდება,
თუ არ გვაჩხუბებ თათართან,
თუშნი აქ რაღად გინდება?!.
ვინცა გავგზავნეთ, მოვიდა:
სარდალმა გაიცინაო;
ებძანა: „დილით ივანე
ჯარს გაუძღვება წინაო“.
ულვაშის გრეხით, თამამად,
საკვირლად მოილხინაო.
მეწინავედა გვიბრძანეთ,
გავსცურავთ, საცა წყალია;

შორით მოვსულვართ, რიგია,
პირველთ ვაცნობოთ ძალია,
თუ ვარგა შენი თუშები,
ან მათი გორდა ხმალია.
ვითხოვოთ, პირველთ მივიდეთ,
ეს არის ჩვენი თხოვანი,
შენი ვართ ალვანთ თუშები,
კაზმულ-იარაღოვანი.
თუში თუ უკან დარჩება,
ვისგან ეღირსოს გლოვანი
და ხომ დაგვძრახავს მოსაზღვრე:
ფშავნი, კევსურნი, წოვანი.
გამოსალმებით დავკოცნოთ,
დღეს არის საომარია,
რაზმით მივმართოთ ერთიან,
საცა ურდიან ჯარია;
ცეცხლათ აუჩნდეთ შუაში,
ავტეხოთ სისხლის ღვარია;
ვაჟკაცად ვინცა მოკვდება,
ღმერთო, აცხონე მკვდარია!..

ეს ლექსი გამოთქმულია „ოზურგეთის ომის“ შესახებ, სადაც თუშები დიდ მონაწილეობას იღებდნენ. ეს ომი მოხდა 1854 წ. საქართველოს ყველა კუთხიდან შეიკრიბა აქ ჯარი და ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის წინამძღოლობით საშინლად დაამარცხეს ოსმალები.

ამ ლექსში მოხსენებული გმირი ივანე არის ივანე ელიზბარიძე, თუშების რაზმის უფროსი. ამ უბრალო, უსწავლელმა მეცხვარე თუშმა ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა შამილთან და სხვა ომებში, რომ კაპიტნის ჩინი და ვლადიმირის ჯვარი მიიღო. თუშების თქმით, თექვსმეტი პრილობა ჰქონია ელიზბარიძეს წელს ზემოთ. ივანე ელიზბარიძე იყო სოფ. ჯვარბოსლიდან.

## მეცხვარის ყოფა-ცხოვრება.

85

საქინქვლეს ხეობაზედა
რა დიდი ნიავღვარია;
სიკვდილმა ჩამოიარა,
მეცხვარეს აკრა მხარია.
„ნუ მომკლავ, ტიალ სიკვდილო,
ალვნისკენ მივალ მგზავრია...
—შენ ალვანს ველარას ჩახვალ,
აქავ გითავდებ დღენია...
დღისა თენებას ადგება,
მუხლთ მოელია ჯანია.
,,სამყურის ღელეს გადადის
ებ ტიალ ჩემი ცხვარია.
შვიდობით, ამხანაგებო,
ღმერთმა დაგწეროსთ ჯვარია.
მითქვიდით ჩემსა ხაზეინს,
ცხვარს არ მინებოს თავია.
ებ ტიალ ბევრი მოკვდება,
თეთრ-წითელ შიშაქ ცხვარია‘‘.
ნაყაიჩოსა გადადის,
უკან აბრუნებს ქარია;
ქარ იყო, არც რა ქარია.

ლევანის ცოდო-ბრალია.
ფარსმას ჩაიქცა ციხე,
ყორნებო ჩამოყარ ჩქამია;
მოგვიკვდა ქავთარის ლევანი,
ცაო, ჩამოყარ ნამია!..

86

შირაქში ერთმა მოუმემა
სიზმარი ნახა მხრიანი:
ამ სამ დღეს ან მე მოვკვდები,
ან ცხვარს მოუვა ზიანი.
ორშაბათ დილა გაითენდა,
ცხვარ გაყო წყემსებთან ზიარი,
დაიჭირ ლურჯა, შეკმაზა,
ზედ შეჯდა ბოროტიანი.
ალვანის ბოლოს შემოვა,
ლურჯა გისია ტიალი...
ცოლმა დახედა და იცნო,
მიეგებ თვალ-ცრემლიანი.
გაუშალ თბილი ლოგინი,
ზედ დაწვა ბოროტიანი.
ლურჯასა ძუა გაუხსნეს
ჟინჟლიანი და ჩხრიანი.
შვიდობით, ქალო და რძალო,
სულეთს ვარ წამამავალი!..

87

ხუთშაბათ ქისტებ გადმოვლენ
თუშის ცხვრის მუქარაზედა,
მოატანენა ხუტისა
შუაღამისა ხანზედა.
თოფი დაგვიკრეს ხუტისა,
ბოლ გაუშალეს თავზედა.
თოფი აიღო ხუტიმა,
ხირიმ გაიდვა მკლავზედა:
„თოფო, მოგიკვდეს მჭედელი,
მარჯვენას გაჰხმი მკლავზედა!..“
სოფელში კაცი მოვიდა:
ქისტებ დაგვეცნენ თავზედა.
სოფლიდან მდევარ გავიდა,
გააკრეს საკაცეზედა.
წინ დედა მოეგებება,
ცრემლებ არ შეშრებ თვალზედა:
„თოფი ვინ დამიკრ ხუტილოს
ზარიმ ვინ დამცა თავზედა“.
—მითქვიდით ბიძაშვილებსა:
თმას ნუ უშვებენ თავზედა,
ნუცა-ღა დიდხანს მიგლოვონ,
ჯდომა მეც მეწად ჯარზედა.
მე წინაგ სიზმარი ვნახე:
გვირგვინი მედგა თავზედა,
ჩვენ სახლში შამოხიზნულნი
ჯვარსა იწერდა სხვაზედა.
მე მეგონ ჩემი პატრონი,
თვალში მეჩვენა ქალადა!..
ვალ დაგიდვიათ, ქისტებო,
ბერის მგლისაე თავზედა.
დემეტრე ისევ ცოცხალ არს,
მალ-მალ ამოვა მთაზედა.
რადამ მოხვედით, ქისტებო,
დედის-ერთაის ცხვარზედა;
გზა სხვაგან მიგიდიოდათ,
ბევრი ცხვარ იდგა მთაზედა...
მე მაგის მოშაირე,
ხვახიდ მივდივარ ცხვარზედა,
თუ სახელდობრივ გინდოდეთ,
მამასახლისის ცხვარზედა...
შენდობა დემეტრეს ხუტის,

საც რომ გარიგდეს ჯარია;
ჩემიცაღ შენდობაი თქვით,
თავად გასწიეთ ღხინია.

88

ქალმანა ჰკითხა მეცხვარეს:
მაგრე რამ დაგაბერაო,
თავს თეთრი გამოგრევია,
ბუნებაც დაგმძიმებია?!.
— როგორ არ დამაბერებდა
ამ ოხერ ცხვრისა დევნამა,
ჩამოთოვლილმა შირაქმა,
ცხვრისა ვერ გადენამანა.
ღამით მოდენა ქურდების,
ძილის ვერ ძინებამანა;
ფარეხში ცხვრისა ყივილმა,
კარში ნაბუქის დებამა;
კალთაში ხვევნა ბატკნისა,
ყელის ჭრა შიშაქ ცხვრისამა;
ცოდვით ნაქონმა ოხრებმა,
ხევების ამოვსებამა.
მემრე წინამხრის მგზავრობამ,
დღე-ღამე ცხვრისა რეკამა;
დადენა მშიერ-მწყურვალი,
ღამის ტეხვაი ბნელისა;
გზაზე ცვივნაი ღუბების,
გულის თან მიდევნამანა!..
იმასა ვინ დააბერებს,
ვინც არ ყოფილა ცხვარშია,
ბნელი არ უნახავ ღამე,
ძილ არ უნახავ ჯოხზედა;
არც სჭირდეს მთაზე გადასვლა,
დიდის გატეხვა თოვლისა...
ქალებსა რა დაგაბერებსთ,
შინ სხდომა-ლამაზობამა;
თქვენი ბოროტი ეს არის —
გონება ბიჭებისათ.
ჩამოიჭაპნავთ ნაწნავებს,
პირზე წაისვამთ ფერსათ:
ნეტავ ვის მოეწონებით,
რომ ჩაუგორდეთ მკლავსათ;
სუყველა მზა შინ მოგგივა,
წესია ქალებისათ.
თქვენ მაგისა გაქვთ ბოროტი,
ჩვენ-კი ცხვრის ჯავრი გვაბერებს!..
მეცხვარე წინა მხარისა,
გადაუდექი მთასათ;
ცუდი მაწუხებს ამინდი,
ცხვრის თრობა იელისათ.
დავჯექ და ლექსი გამოვთქვი,
ამით ვიმჯავრებ ჯავრსათ!..

89

ძნელია სხვათა შვილობა,
შეხედვა ადებისათ,
დღე-ღამე ჯოხზე ყუდილი,
ძოება ბატკნებისათ,
პერანგში მარილის ხვევა,
უსატნოთ კალის ჭამათ,
დაჯდომა თითო წყაროზე, —
წყალია მაღლის მთისათ, —
კალის გაზელა მარილით,
კოჩხოთი ხვრეტა წელისათ,
ახლა გასვლაე იმ გორზე,
ტირილი ქალივითათ,
აგრე ჩამოყრა ცრემლების,
შედარვა ღრუბლებისათ.

ან რად გამზარდა დედამა?
ვედარც ვიკლავდი თავსაო.
რომ მოვკვდე, ვინ-ღა მიტირებს
ობოლსა, სხვათა შვილსაო?!.
უცრემლოთ ჩავალ საფლავში,
დავშორდებ სამზეოსაო;
სამზეოს ისევ ბნელში ვარ,
კორკია წოათისაო.
არცა-რა ტანზე მაცვია,
მალ-მალ შავხედავ მზესაო:
მზეო, შენ მაინც ნუ ჩახვალ,
ღრუბლებ იურება ცასაო,
აირევიან ღრუბლები,
სეტყვას მაქცევენ თავსაო.
ძველი მხურია ნაბადი,
ღამეს ვათენებ ბნელსაო;
გავალ-გამოვალ გორზედა,
ჩავხედავ წოათასაო:
ლხინობენ ჩემი სწორები,
აჯირითებენ ცხენსაო.
მანდ ყოფნის ღირსსა ვინ გამხდის
ობოლსა, სხვათა შვილსაო.
ამომიდუღდა გუნება,
ფერი დამედვა მკვდრისაო,
წავალ და პირქვე დავწვები,
მოვიგონ სიობლესაო.
სიღარიბე და ობლობა,
რად გაუჩინავ ღმერთსაო?
ეს ლექსი მისთვის გამოვსთქვი,
სახსოვრად სამზეოსაო,
მომლექსებელსაც გაიშნები—
სანდროსა ძეოძესაო.

## ჯავრიანი გული.

გულო, ჯავრისგან მოკლულო,
რა დაგაყარო წამალი?
არც დაგეყრება წამალი,
არც მოგედგმება ექიმი.
ეს ჩემი გული ორია:
ერთში სწვიმს, ერთში დარია...
ავტირდი, შევყრი ღრუბლებსა;
რომ გავიცინო, დარია.
ეს ერთი გული მეტყოდა:
მოკვდი, რათა ხარ მთელია!
მეორეც ამას მეტყოდა:
იყავ, აჯავრე მტერია!..
ეს ჩემი გული რასა ჰგავს?
ცასა ჰგავს შემოღრუბლულსა
საწვიმრად მომზადებულსა;
ქალსა ჰგავს ქმარყოფ-მოშლილსა,
მამისას დაბრუნებულსა;
კმალსა ჰგავს პატრონ-მომკვდარსა,
პირყანგიანსა, ოკერსა!..
ცხენსა ჰგავს პატრონ-მომკვდარსა,
სადავე-ჩამოშვებულსა;
წისქვილს ჰგავს მიშლილ-მოშ-
[ლილსა,
სათავე-გადაგდებულსა!..

## ჩქარს მდინარეზე ჩივილი.

91

თურსიელ წყარო მდინარო,
გრილო, მაღლისა მთისაო;
ჩამთქმელო თეთრის ცხენისა,
ზედ კაის ჭაბუკისაო.
ზედ ფერად წამომდებელო
ქუდისა, მათრახისაო,
დღე-ღამე საგონებელო
ქალისა ლამაზისაო.

## მიცვალებულის გლოვა.

92

დალა თქვით, დალაი, მხედრე-[ბო,
დალაი, დალაი!..
ძნელი არს დალაობაი,
დალაი, დალაი!
ბრალი ხარ იჩუკაიძევ,
შენი ულაშქროდ სიკვდილი.
ლაშქარს გიკითხვენ სწორები,
წინ აღარ გაუძღვებია,
მდევარს არ უბრუნდებოდე
თავის სიათის თოფითა...
მტერთან ხმალ-ამოღებულო,
სწორში თავ-გამოღებულო;
სულ მამა-პაპის დროიდან
მტრისთვისა რისხვის მიმცემო.
ჭკვიანო, საქცივლიანო,
გამჭრელო, მოსამართლეო;
იმედო თავის ქვეყნისა,
გამრიგევ თუშეთისაო.
კარზე გიდგენან სტუმრები,
სტუმართ არ დაუხვდებიო?
სტუმართა დღეო მზიანო,
ფერ-წყალო თუშეთისაო,
შენი დედაი ბეჩავი
სანთლებურ ჩამოდნებაო;
ეგ შენი ცოლი ბეჩავი
სუროსვით ექანებაო;
ეგ შენი გვარის ქალ-ზალნი
შავითაც იმოსებაო;
ეგ შენი ნაცომ-ნამოსნი
დარბაზს არ იცვითებაო;
ეგ შენი წვერი, ულვაში
ია-ვარდივით ყვავისო.
ნეტავ შენ, საიქიოსა
შიგ შეხვალ მტრედის ფერადო;
სულეთს გიდგენან კოდები,
გადმომდინარე ფერადო;
სუფრა გიდგ გარიგებული,
გაკეთებული თეთრითო;
ზედ გიდგან მეღვინეები
ხუცითა, დიაკვნებითა;
ამოიღებენ, დალევენ,
ღმერთმა გაცხონოს სულითა!..

აქ გვარი იჩუკაიძეა, მაგრამ საზოგადოთ ამ ალაგას მკვდრის სახელს და გვარს ხმარობენ, ვინც იქნება.

ეს ლექსი სამგლოვიაროა. მკვდრის ხარჯზე (რიგზე) სადოლოთ მომზადებული მხედრები დადგებიან, სადაც ცხედრის, ჩვეულებისამებრ, ტა-

ნისამოსია გაშლილი და ერთი წამოიძახებს: „დალაი თქვით, დალაი, მხედრებო!“ სხვა მხედრები ერთხმად ბანს მისცემენ: „დალაი, დალაი!..“ პირველის ყოველი სტრიქონის წამოძახების შემდეგ მხედრობა „დალაი-დალაი“-თ ბანს აძლევს. გაათავებენ ამ ლექსს თუ არა, გაიმართება დოღი.

მეფე ერეკლეს გლოვა „აღზდეგ, გმირთ გმირო“-ც სამგლოვარო ლექსია. ამ ლექსის დამღერით იგლოვეს თუშებმა თავიანთი საყვარელი მეფის ცხედარი.

## 93

(ვარიანტი მე-65 გვერდზე დაბეჭდილ ლექსისა ხევსურეთში ჩაწერილი მიხეილ შამანაურის მიერ).

შემომეყარა უიფჩაკი
ბოლოსა მუხრანისასა.
პური მთხოვა და ვაჭამე,
ვურჩევდი თავთუხისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა;
ცოლი მთხოვა და არ მივე,
მიმუავდა მამა-ძმისასა.
წამოდგა, ხელი წაავლო
ნაჭაპნსა ქალის თმისასა.
ქალმა შასტირნა, შაჰკივლა:
„იმედს ვარ ცუდი ქრმისასა!“
დაჰრცხვენდა, ხელი დავიდე
ვადას ფრანგულის ხლმისასა.
ჯერ უიფჩაკმ ჩამომიქნია,
რისხვასა ჰგვანდა ცისასა;
მერე მე გადავუქნიე,
წვერი უწვდინე ქვიშასა.
უიფჩაკის თავი გაგორდა,
ვაი დედას უიფჩაკისასა!
ქალ, ავდექ, წამოვიყვანე,
შინ მივიყვანე ძმისასა.

## 94

(ამის ქართლური ვარაანტი ჩაწერილი სოფელ დიღომში იროდიონ სონღულაშვილის მიერ).

ამბავსა მკითხამ, გიამბობ,
ნეტავ იმ ჯიჯიბისასა!
ჩვენ სამნი შავიყარენით
სამზღვარსა მუხრანისასა.
ამბავსა მკითხამ, გიამბობ,
ნეტავ იმ ჯიჯიბისასა!..
პურსა მთხოვდა და ვაჭმევდი,
ვურჩევდი ქაბაბისასა;
ღვინოს მთხოვდა და ვასმევდი,
ვურჩევდი ბადაგისასა;
ხორცსა მთხოვდა და ვაჭმევდი,
ვურჩევდი კაკაბისასა;

ცოლი მთხოვა და ვერ მივე,
მიმყვანდა სიმამრისასა.
ხელი გადასდო, აკოცა
ნაწნავსა გიშრის თმისასა.
ფრანგულსა ხელი გავიკარ,
ნაჩუქებ ცოლი ძმისასა;
ერთი ისეთი შემოვკარ,
წვერმა უწია ქვიშასა.
ერთი იმანაც შამამკრა,
ელვასა ჰგვანდა ცისასა.
აქეთ მე ვკვდები, იქით ის,
ქალი წავიდა ძმისასა.
შანდობას მაინც იტყვიან
მე და იმ ჯიჯიბისასა!

# ხალხური ლექსები

(შეკრებილი 1883—1887 წლებში გარეთ-კახეთში, სოფ. პატარძეულში ზ. გ. პილანიშვილის მიერ).

## ისტორიული ლექსები.

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე [1]) უძოვნია.
დაკარგულა საჩალეში [2]),
მონადირეს უპოვნია.

* * *

მეფე ერეკლეს უთქვამს:
ვინც რომ კაცია, ჩოხაც ჯაჭვია,
ქუდიც ნაბდისა ჩაბალახია.

* * *

ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩაცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია.

### ზაალ თუმანიშვილი [3]).

შენ, ზაალ თუმანიშვილო,
გაზრდილო მეფის კარზედა,
მებალახობა ვინ მოგცა
იმ ზემო-ქართლის ცხვარზედა?
უსამართლობა იხმარე:
ორ-ორს იღებდი რვაზედა.
მივიდნენ, ბატონს [4]) შესჩივლეს
თუმანიშვილის თავზედა:

---

[1]) ზოგი იტყვის: მაშრაველი უძოვნია.

[2]) საჩალეში—ჩალაში, ჩალიან ადგილას.

[3]) თუმანიშვილის ლექსი სრულად არაა ჩაწერილი: ბევრს ვეცადე, მაგრამ არც სოფ. პატარძეულში, არც სხვაგან სადმე არავინ შემხვდა მისი სრულად მცოდნე.

[4]) ბატონს—მეფე ერეკლესაო, ამიხსნა მთქმელმა.

უსამართლობა იხმარა,
ორ-ორს იღებდა რვაზედა.
  ბატონმა მეხლმეს უბძანა:
ხმალი გალესე წამზედა.
დაჯდა, გალესა ფრანგული
ცერი აუსო ფხაზედა.
—წადით [1]) და იქ მოიხმარეთ
თუმანიშვილის თავზედა;
იმისი თავი დაჰკიდეთ
იმავ მეცხვარის კარზედა [2]).

### დათუნი ბოსტაშვილი.

  ერეკლე ჩვენმა ბატონმა
შეჰყარა დიდი ჯარია:
ორ-პირ აავსო ქიზიყი,
ხელთ მისცა წინა მხარია.
ალაზანს გასდო ჯაშირი [3]),
ზედ გადის ჩვენი ჯარია.
ალაზანს გაღმა გავედით,
პატარა ნაბახჩარია.
შიგ იმაში დამალულა
ჭარ-ბელაქნელთა ჯარია.
მივედით,— გამოგვაქციეს,
როგორც ნადირმა ცხვარია.
ბატონსა ცხენი მოუკლეს,
ფერდში ჰკრეს ზარბაზნია.
ქვევითი მოჩანჩალებდა
ჩვენი ერეკლე ხანია;
ქვევითი მოჩანჩალებდა,
ხელში ეჭირა ხმალია.
ეს ბოსტაშვილი დათუნი
ცით ჩამოსული ჯარია:
ბატონსა ცხენი მოართო,
ოთხითაც [4]) დაჭედილია.
—ცხენზე შებძანდი, ბატონო,
თუ გიყვარს ჩემი თავია!
ცხენზე შებძანდა ბატონი,
ქვეშ უქრის ნიავ-ქარია,
ერთი მათრახიც გადაჰკრა,
ქიზიყს ამოყო თავია.
—დათუნი, ქალაქს ჩამოდი,
თუ გინდა საჩუქარია.
ქალაქს ჩავიდა დათუნი,
ეხვევა დედოფალია.
— შენი ჭირიმე, დათუნი,
შენ მამირჩინე ქმარია—
აზნაურობა უბოძა,
მამული საკუთარია.

* *
*

  ამილახვარო, რა ხარო,
  ხარ-კამეჩივით დახვალო! [5])

1) ამ სიტყვებს თითონ ბატონი (მეფე) ბძანებს.

2) ზოგი იტყვის: იმავ ფარეხის კარზედა.

3) ჯაშირი—სამხედრო, სახელდახელო ხიდი.

4) მეფე ერეკლეს დროს იშვიათად სჭედავდნენ ცხენებს ოთხივე ფეხით.

5) ეს ლექსიც სრულად ვერ ჩავწერე; გამოთქმულია იმ ამილახვარზე, მეფე ერეკლეს რომ ეურჩებოდა.

* *
*

ქეენი გაჯავრებულა,
უცემნია ყულისთვინა,
ღორის ხორციც უჭმევია
საქართველოს გულისთვინა.

### ბატონ-ყმობის გადავარდნისა [1]).

ბატონ-ყმობა გადავარდა.
ასე როდი მეგონა,
თუ ხემწიფე ტყუილს იტყვის,
ასე როდი მეგონა.
მეგონა, მეგონა,
ასე როდი მეგონა,
თუ ხემწიფე ტყუილს იტყვის,
ასე როდი მეგონა.

## საგმირო ლექსები.

### შალვასი, ანუ შავლეგოსი [2]).

შალვა იყო ვაჟიკაცი,
ქამარ-ხანჯლით შეჭედილი.
შალვას ჰყვანდა კარგი ცხენი,
კოჭ-მაღალი, გავა-სქელი.
შალვა ცხენს მოაგოგებდა
ვიწროსა და ავს ალაგსა.
შალვას ცხენი წამოექცა
ვიწროსა და ავს ალაგსა.

[1]) ხალხს იმედი ჰქონდა, რომ ბატონ-ყმობა მთლად გადავარდებოდა; არ ეგონა, რომ მეოთხედობა და სხვა ბევრნაირი ბეგარა და ხარჯი დაწესდებოდა ბატონების სასარგებლოდ. ეს ლექსიც ამაზეა გამოთქმული, ეგაა სამწუხაროდ, სრულად ვერ ჩავწერე.

[2]) შალვა, შალვეგო, ანუ შავლეგო. ამ ლექსს მე-70 და 80 წლებში ხშირად მღეროდნენ გარეთ-კახეთში. იმღერება ორპირად ფერხულის ხმაზე. ყოველ მუხლის (რვა მარცვლის) შემდეგ დასძახიან: შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო შავლეგო.

ასე მღერიან: შალვას და ცხენი წამოექცა, შავლეგო.
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო.

ხალხმა შალვაზე მხოლოდ ის იცის, რომ უწინ გმირი ყოფილა, სახელად შალვა და ერთს გმირ თურქს ებრძოდაო.

თავს თურქი წამოადგა
ვიწროსა და ავს ალაგსა.
—დამკარ, თურქო, რასა ჰშიშობ,
თუ გული გაქვს მამაცისა!
  დაჰკრა თურქმა, დასწყრა მალვა
იქოსა და ავს ალაგსა...
დედას კაცი მოუვიდა:
,,შენი შვლეგ მოგიკლესა''.
  შალვას დედა მოტიროდა,
მოიშლიდა გიშრის თმასა:
—ჩემსა შალვას რა მოჰკლავდა,
თუ არ იყო ბედის წერა [1]).
ას-ორასი მაგისთანა [2])
ხორასნიდან ტყვე მოჰყვანდა;—
არცა თოფო, არცა ხმალო,
სულ მათრახიდან გადმოჰყვანდა!
  (დედა მოთქმით ტირის)
  შალვავ, შენი ყაწიმები
გულხადარაზე [3]) ვნახეო;
შავლეგ, შენი თეთრი ჩოხა
შავად შეგიხამებია...

* *
*

  წადი, ჰკითხე დიაკვანსა,
ქოროღლის ხმალი რა სჭრიდა:
კურტნიან აქლემს დაჰკვრიდა,
წვერი მიწასა დასწვდიდა.

## საოჯახო ლექსები.

  იესო ქრისტემ დასწყევლოს ეხლანდელი ქალის რჯული!
სანამ გასათხოვარია, კერაზე ზის გაბუტული;
როცა კი გაათხოვებენ, მაშინ მიეცემა გული:
დედამთილს მუშტი გაავლო, მაზლს გააწირვინა სული.
ქმარი ტყეში გაისტუმრა, ხელში მიაგება ცული:
—,,წადი, ძალზედ იმუშავე, ამოირთვი ძალლი სული''.
კიდობანს კლიტე დაადო, არავის აჭამა პური.
—,,ჩემი ქრმის მონაგარია, გამოიჩიჩქნევით ყური''.

* *
*

  წყალზე ქალი მიდიოდა, თან გავადევნე თვალია.
აავსო კოკა-კუტალი [4]), შიგ გაუყარა თმანია.

---

[1]) ზოგი იტყვის: თუ არ იყო ღვინით მთვრალი.

[2]) ე. ი. თურქისთანა.

[3]) გულხადარა—დაღისტნის ლეკი.

[4]) კუტალი—ხის კოკა, ლულიანი.

მოდის და მოდუდუნებდა: ,,ღმერთო! მომიკალ ქმარია!
ციხის საგებლად გავგზავნო, ზედ დასცემოდნენ ქვანია.
მახარობელი მამსვლოდეს:—ქალო, მოგიკვდა ქმარია.
სამახარობლო გავიღო, სამასი სული ცხვარია;
იმასაც არ დავაჯერო, გაუგდო ნიშა ხარია,
მერე სხვა ქმარი შევირთო, მას შევაყვარო თავია!“

* *
*

ახალი პატარძალი ვარ, ჭკუა ვერ მოვიგონეთ;
ჩიქილით [1]) სახლი დავგავე, ცოცხი ვერ მოვიგონეთ,
ადგილზედ ცომი მოვზილე, კარცლი ვერ მოვიგონეთ;
კედელზედ პური დავაკარ, თონე ვერ მოვიგონეთ;
საცერი ცეცხლსა მოვარქვი [2]), კეცი ვერ მოვიგონეთ.

* *
*

აჰ, ქალო, მძივი, რა მძივი, სათმეულისა მინათ,
—არ მინდა, შენი ჭირიმე, მიჯავრდებიან შინათ:
ქმარი მცემს, მაზლი მამწარებს, მული მილესავს დანასა,
თუ დედამთილმაც შემიტყო, გამომასალმებს ყველასა.

* *
*

ზოგიერთი წუწკი კაცი
ცოლით გაეურება ძმასა,
წავა და გომში დადგება,
გვერდზე გამოუღებს კარსა.
ძმა მაშინ მოაგონდება,
როცა წავა უანის მკასა:
თითონ წყალზე [3]) გაიქცევა,
ხელეური მიაქვს ქარსა.

* *
*

ძმაო, რაი სჯობს ძმობასა,
ერთმანეთისა ყმობასა.
ერთმანეთი ვერ ვიცანით,
დახე ჩვენს უგონობასა.
ძმა მაშინ მოგაგონდება,
შვიდნი რომ გცემდნენ მარტოსა,
მაშველებელი არ იყოს,
ეფარებოდე ფლასტოსა.

---

[1]) ჩიქილა—ლეჩაქი.
[2]) მივარქვი—მივადე.
[3]) წყალწე გაიქცევა—წყლის მოსატანად გაიქცევა.

* *
*

ვაჟკაცსა ცოლის სიავე
შუა გზას მოაგონდება,
საფიქრობელი წაიღებს,
წავა, კლდეს გადავარდება.

* *
*

ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა
ცოლსა უბედსა და მძინარსა:
ის შეჰშლის, ის დააბერებს,
ის მისცემს წყალსა მდინარსა.

* *
*

ქალი, ქრმის დაწუნებული,
სამშობლოს მიშავდებოდა;
სამშობლომ შინ არ შეუშო,
პირი რომ უშავდებოდა.

* *
*

ლამაზი ცოლის პატრონსა
უნდა ჰყვანდეს ძაღლი ფრთხილი,
ან უნდა ძაღლი ფრთხილობდეს,
ანუ ცოლის დედამთილი.

* *
*

პირად ხიჩური[1]) ცოლი სჯობს
ლამაზსა, სხვისა ზიარსა.

* *
*

კაცი მოკვდება ცოლზედა,
მამულსა საკუთარზედა.

* *
*

ასეთია კაცის გული,
ვით მორევი შავის ზღვისა:
რაც უნდ კაი ცოლი ჰყვანდეს,
მაინც მოუნდება სხვისა.

* *
*

კარგისა უმისა ცოლობა
ნუ გიხარიან ქალათ:
წავა და ლაშქარს მოკვდება,
დარჩები ცარიელათ.

* *
*

დავწვრილშვილდი — დავიწიე,
მომეზარდნენ—ავიწიე.

* *
*

დიდ-ჯალაბობა—დიდ-ბატონობაათ.

* *
*

დალალმე, ქვრივის ქორწილო,
ჩუმ-ჩუმად გინდა ღიღინი.

* *
*

სიძისა მავგრემანობა
სიდედრს უმძიმდა, ნანობდა,
მაგრამ რადას უშველიდა,
ცხენს ეჯდა[2]), გზასა მურობდა.

---

[1]) ხიჩური—ულამაზო, გონჯი.

[2]) იგულისხმება: სიძეს თავისი ცოლი (სიდედრის შვილი) ეჯდა ცხენსაო.

* *
*

ედემისა მინდორზედა
ღურჯი ცხენი მოგოგავდა;
ზედა იჯდა ვაჟიკაცი
ულვაშ-კოკობა; ქერაო.
უკან მოსდევს კოჭლი ქალი,
ეხვეწება, მომიცადეო.
—მე შენ როგორ მოგიცადო,
კოჭლი ხარ და ვერ მომდევო!
—სიკოჭლითა რაზე მწუნობ,
კურდღელს ხომ არ მადევნებო!
ჯამ-ჭურჭელს კარგად დაგირეცხ,
თაროს ჩაგიკრიალებო.
ახალუხს კარგად შეგიკერ,
ღილებს ჩაგიწკრიალებო.

* *
*

მობძანდი, მჭადო კორიელ [1]),
თუ ჩემი ბედი ღირსაო;
წისქვილში ზურგით წაგიღებ,
აღარ გაკადრებ ვირსაო.
—მე მადრიელი [2]) არა ვარ
ზოგიერთ პატარძლისაო.
ისე მიმირევს-მომირევს,
არც-კი მოიხოცს ცხვირსაო;
მალი-მალ შემომაგინებს:
„საჭმელო ძაღლებიისაო!“

* *
*

შენ ჩემო კარის ვენახო!
რა დიდი რთველი გდიოდა,
გცემდი და გიბრაგუნებდი,
წვეთი არ გამოგდიოდა!
—არ იცი ბარი, ნიჩაბი,
ნეხვი არ შემომდიოდა,
შენ რომ სტუმარი მოგდევდა,
მე ცხარე ოფლი მდიოდა!

## შინაურ და გარეულ პირუ-ტყვებზე.

ხარო, ხარო [3]) ვინ დაგარქო,
ხარო, სახე მშვენიერო,
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო,
ქედ-ნაკურთხო, ღონიერო!

* *
*

ხარო, დადგა მაისი,
ახლა ხორცით გაივსი.
წყალია და ბალახი,
გასუქდი და გალაღდი.

* *
*

მოზვერი ვიყავ, მოზვრუკი,
ულელს მოვწივი, მოვდრიკი.

---

1) კორიელი—გამხმარი.

2) მადრიელი—მადლიერი.

3) გლეხ-კაცებს ჰგონიათ, რომ ხარის სახელი წარმოსდგება შემწეობით ზმნის აწინდელ დროის მეორე პირისაგან: **ხარ**-ი.

* * *

მოზვეურო, მოგაგონდება
დეკეულების [1]) დევნაო.

* * *

ისევ გერჩივნა, კამეჩო,
მუხრანს გეძოვნა ბალახი,
გენახნა ხილად და ხილად
ავლაბარი და ქალაქი.

* * *

კამეჩო, ღონიერი ხარ,
უღლივ აჰზიდავ გუთანსა,
თუ გაგიჭირდა, წაიღებ
თავისასა და სხვისასა.

* * *

ჰო ტჰრუ, კამეჩო ლომაო [2]),
შეკრულო ვარდის კონაო.

* * *

მოკვდა კამეჩი ბეხია [3]),
შეუშვერია ფეხია.
—წადი, უთხარი ჩემს პატრონს:
დანა გაირჭოს წელშია.
მე მაშინ მოგაგონდები,
დიდი აღმართის ყელშია,
შეგებას წვრილი მოზვრები,
იგრიხებოდნენ წელშია,
„ატა-ტატას", იძახოდე,
,,სული მოვიდა ყელშია!''

* * *

ქვეშით მხრიდან ცხვარი მოდის,
მწყემსი მოსდევს მხარ-აკვრითა,
ხანდახან ჯოხსა აუქნევს,
ხან დასძახის წვრილი ხმითა.

* * *

შე, დალოცვილო მეცხვარევ,
ძაღლებს არ დამაგლეჯინო,
პატარა მატყლი მაჩუქე,
გოგოებს დავაჩეჩინო.

* * *

ღმერთო, შეასწარ დროებას—
წინ დაუძლოდე ღორებსა,
საჭმელი ბევრი ეყაროს,
ვიჯდე და ვთლიდე სოლებსა.

* * *

გაღმიდანა ცხვარი სძოვდა,
გამოღმიდან მგელი ბჭობდა:
— მეცხვარევ, ცხვარი მაჩუქე,
ე მანდ ნაპირას რომ სძოვდა.
—გუშინაც ერთი წამართვი,
სამს მაგისთანასა სჯობდა.

[1]) დეკეული—ორი წლის ძროხა.
[2]) ლომა—კამეჩის სახელია.
[3]) ბეხია—კამეჩის სახელია.

* *
*

ორღობე ამოვიარე [1])
ჩემის ყომრალის ჩოხითა,
ბურვაკებს წამოვეპარე,
სალამი მივეც ჩოქითა.
უკან მედორე მომდევდა
თავის ჭრელ-ტარა კომბლითა.
—მე ხომ შენსას პირს არ ვახლებ,
ყურსა მოჭრილსა მორვითა [2]).

ნ ა დ ი რ ო ბ ი ს ა.

ქალო, რას გამოგადგება
მონადირისა ცოლობა:
გაემო თბილი ლოგინი,
ნისლიან მთასა სწოლოდა.

* *
*

რას დასდევ ნადირობასა?
გამოგიხტება მშველია,
გაცრუებული წამოხვალ,
გაწუწული და სველია.

* *
*

ტყეში ღორმა დაიკვეხა:
ყველგან გავიკეთე ბინა;
მე რომ კბილებს გავილესავ,
ვერვინ დამიდგება წინა;
ვერცარას თოფი დამაკლებს,
თუ არ არის ყარაბინა.

* *
*

აი, სესიავ [3]), სესიავ,
შენ წამიყვანე ტყეშია,
ნადირის ქებას მომიყე
თეთრობიანის [4]) ფერდშია!
სესიამ უთხრა ტურიას: [5])
„იარ [6]), წავიდეთ ტყეშია,
ღორი გასწავლო ისეთი,
დიდი არის და მრეშია! [7])
მე მაღლა სერ-სერ წამოვალ,
შენ წახვალ ფერდობებშია“.
ტურიას ღორი აუდგა,
დიდი არის და მრეშია.

---

[1]) ეს მგლის ლექსია.

[2]) ე. ი. შენს ღორებს ყურის წვერი მოჭრილი აქვთ მორივით სწორედაო.

[3]) სესია—სახელია: სესე, იოსები.

[4]) თეთრობიანი—მთის სახელია.

[5]) ტურია—კაცის სახელია.

[6]) იარ—იარე.

[7]) მრეში—გარეული ღორი მომეტებულ ნაწილად სულ მრეში ფერისაა.

თოფი დასცა, არ გავარდა,
ხანჯალი წაჰკრა ფერდშია.
შემოუქნია 1), შემოჰკრა
ამ სისხო ბარძაყებშია.
ასი გვერდა აირბინა,
ერთი არ დაუხვნეშია 2).
შინ მოვიდა, დაიხვნეშა:
ვაიმე, დედავ, წელშია! 3)
—შვილო, დედამ რა გიშველოს,
მონადირის წესია:
შენისთანა მონადირე
ტახს ბევრი გაუსრესია...
ტურიას ცოლი ტიროდა,
გამომჯდარიყო მზეშია:
—ვაი, შენ ჩვენო სიათავ 4),
ჩაყანგებულო ჭერშია,
რამდენი ირემი მოჰკალ
მარიამობის თვეშია!
ვიღას დაუცხოთ პურები,
ვის გავატანოთ ტყეშია!..

## ს უ ფ რ უ ლ ი.

ჩვენი მასპინძლის სასახლე
ტურფად ნაგები ხეაო;
შიგ არის სმა და ღრეობა,
ნიადაგ კარი ღიაო.

* * *

ჩვენი მასპინძლის კარზედა
ხეივანი ამოსულიყო,
ზედ ბუდეშური დაჰსხმოდა,
საჭმელად შემოსულიყო 5).

* * *

პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ,
სიმღერას არ იტყვიანო.
არ ვიცი, რასა გლოვობენ,
არ ვიცი, არ იციანო.

* * *

ღვინოსა ვსვამდი მარგულსა,
არც თავსა მტკენდა, არც გულსა.

* * *

მთას ირემი არა დგება,
ბარში იკეთებს ბუნაგსა.
თუ ჩემი ღვინო არა სჭრის,
ეს სტუმარი რათ ბლუნავსა?

* * *

შენ, მეღვინევ, ღვინო მასვი,
შენი ტიკის ნაპირალი.
—არცა შენი ღვინო მინდა,
არცა შენი ნაპირალი.

---

1) ტახმა ეშვი შემოუქნია ტურიას.

2) ტურია გაექცა ღორსა და ასი გვერდა ისე აირბინა, რომ ერთი არ დაუხვნეშია.

3) ე. ი. ტახმა ეშვი გამომკრა წელშიო.

4) სიათა—ერთნაირ ჯურის თოფია.

5) საჭმელად შემოსულიყო—საჭმელად დამწიფებულიყო.

* *
*

სმა უმღერალი არ ვარგა,
ჭაბუკი დაუთრობელი.

* *
*

ღმერთო, ნუ მოჰშლი ამ სახლში
ლხინსა და თამაშობასა,
ვაჟების ქორწინებასა,
ქალების გასტუმრებასა.

მ უ შ უ რ ი.

შენ ღვინო დამალევინე,
ყანაც მომკილი გეგონოს;
ნახა [1]) წყალს დამალევინებ,
ნულარც მომკილი გეგონოს.

* *
*

ბიჭები მკიან ყანასა,
ნარიასა და ჩალასა;
სიცხეს შეუწუხებია,
ველარ ატანენ ძალასა.
მალი-მალ შეაგინებენ
მარიამსა და ნანასა.

* *
*

ასე ჰგონია დუშმანსა,
არცა ჰხვნენ, არცა სთესვენო,
არცა უბიათ ხარები,
არცა კალოსა ჰლეწვენო.

* *
*

მომეწყინა მეხრეობა,
ლალვა შავი ხარებისა.

* *
*

ღმერთმა ხომ იცის, გუთანო,
შენი მიყოლა ძნელია:
დღისით გიგრიხო წნელები,
ღამე გავტეხო ბნელია!

* *
*

შენი ჭირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა,
წამოუწვები ფლასტოსა,
მოყვანა იცი ქერისა.

* *
*

შენი ჭირიმე, გუთანო,
გათლილო სუფთა ხისაო,
შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა,
დამმარხველი ხარ მკვდრისაო.

* *
*

ურემო ფერსო-მალალო,
ღერძი გიყრია გიშრისა,
ხარი, კამეჩი კარგი გყავს,
მაგრამ ტალახი გიშლისა.

[1]) ნახა—რახან, რაკი.

## სალოცავი ადგილები და მათი ძალა.

წმინდი გიორგის შვენება
შორს მიადგება გორასა,
შორით მოიყვანს მლოცავსა,
გაიხდის თავის მონასა.

* *
*

ქალი რომ ავად გახდება,
იქ წაიყვანენ არბოსა,
ერთს მაინც შეითამაშებს,
რაც უნდ რომ არა არგოსა.

* *
*

წმინდი დავითის უდაბნო
გამოჭრილია კლდისაო;
იქ რომ ბერები არიან,
მადიდებელნი ღვთისაო,
წირვა და ლოცვა იმათი,
გალობა გერონტისაო.

* *
*

ქალებო, თქვენი დღეობა—
ხვალ არის მარიამობა.

## ლექსები და ანდაზები სხვა-და-სხვა მხრის ხალხზე.

ჯატარძეულო ნაქებო,
წყლითა, წისქვილით მარჯვეო,
წინ მინდორო, უკან ტყეო,
გვერდზე ტაშირო ვაკეო.

* *
*

კაკალი და მაჭარიო—
კახი კაცის საგზალიო.

* *
*

აგერ მოდიან ბიჭები
ხოდაშნელები აწყვერსა [1]).
—ჩვენ კაკალი მოგვიტანეთ,
პური და ყველი გვაწყენსა.

* *
*

მანავურმა [2]) კაცმა იცის:
გაძღება და გაგორდება;
რაც უნდ კაი ღვინო ასო,
მაინც წველა [3]) აგონდება.

* *
*

ქართლელი კაცი მგელსა ჰგავს,
კახელი კაცი ტურასა;
კახელი კაცის ჭირიმე,—
ჩაარაკრაკებს კულასა.

* *
*

ზემო ქართლელ კაცს გამგზავსე
ჩოხა ბოლო-განიერსა;
რაც უნდა გასო, გაჭამო,
ვერ გაგგზავნი მადლიერსა.

---

1) ხოდაშენი და აწყვერი, ანუ აწყური—სოფლებია შიგნით კახეთში.
2) მანავი—სოფელია გარეთ კახეთში.
3) წველა—მაწონი.

* *
*

იმერეთს ბევრი ფუტკარი,
კახეთში ბევრი ღორია.

* *
*

კამეჩო, ღოღით[1]) გარდილო,
შე იმერელო—ღომითა.

* *
*

იმერელი ვარ გაზრდილი
[ღომითა;
ქართლელი კაცი ვერა მჯობს,
გინდა რომ მოკვდეს ღონითა.

* *
*

მე იმერეთში ნავალი
ქალი მინახავს მრავალი,
ჩაცმული და დახურული
მოვის[2]) ჭერანგით ნავალი.

* *
*

მიჭყივილსა-მოჭყივილსა, შენ—შენი და მე—ჩემიო, უთქვამს იმერელს.

* *

იმერელმა სთქვა: ცარიელ პურს რათა ვჭამო, მოვიითლი და ისე ვჭამო.

* *

ღმერთო, ცეცხლს ნურც სააქაოს მომაკლებ, ნურც საიქიოსაო, უთქვამს იმერელს[3]).

* *

იმერელმა წალდი დაკარგა და ცულიც თან გადააყოლა.

* *

იმერელი (რაჭველი) რომ გაუჩენია ღმერთს, თან ცული დაუტანებია.

* *

მხდალ იმერელს უთქვამს: საცა ცხელი ღომიო,
ნახე ჩემი ომიო;
საცა ხმალი შიშველიო,
მე იქ ვერას გიშველიო.

---

[1]) ღოღი—ახლად ამოსული, ქორფა ჩალა. ძლიერ უყვარს კამეჩს.

[2]) მოვი—წმინდა აბრეშუმის ფარჩაა.

[3]) ეს ანდაზა იმაზეა ნათქვამი, ვითომ იმერლებს ცეცხლი და სითბო უყვართ ძლიერაო.

* *
*

ლეკი მეგონე ჭარელი,
შე წუწკო გულხადარაო [1]).

* *
*

თათარსა თარაქამასა
ცხვარი ჰყავს მეტის მეტია;
იმას ვერავინ წაართმევს
მაღალი ღმერთის მეტია.

* *
*

თათრის სიტყვა [2]) დალოცვილია.

* *
*

სომეხო, რჯული ვინ მოგცა,
წიგნი ვინ დაგიწერაო.
შაბათი საჭმელად მოგცა,
კვირა არ გაგითენაო [3]).

* *
*

ჩემს მტერსაც დაუდამდება
არეზის აღმართებშია.

* *
*

ფიქრი არ არის გურჯისა [4]),
წამოიკიდებს ხურჯინსა.

* *
*

ქართველი რომ გასომხდება,
სომეხზე უარესი გახდება.

სხვა-და-სხვა წოდებაზე.

აზნაურობა მიყვარდა,
გვერდზე დახურვა ქუდისა,
სოფელში გავლა-გამოვლა,
ყველგან ატეხა ჩხუბისა.

* *
*

აზნაურო, განა გლეხო,
კაი-კაი გაგაგრიხო.

* *
*

ამილახვრიანთ ბიჭებსა
შორით იცნობენ ქუდზედა [5]).

*
* *

ქართლი იმისთვის დავაგდე,
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს;
რაც რომ მოსავალი მოვა,
მოვა ბატონი, წაიღებს.

---

[1]) გულხადარა—დალისტნის ლეკია.

[2]) სიტყვა—აქ იგულისხმება ანდაზები, აფორიზმები, იგავები და სხ.

[3]) სომხები იხსნილებენ დიდ შაბათს (მწუხრის შაბათს) და აღდგომის გათენებას აღარ უცდიან.

[4]) გურჯისა—ქართველისა.

[5]) დაგლეჯილი ქუდები ეხურათ მუდამაო.

* *
*

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს
აღები-დამეს ღვინოსა,
მჭადი ჭამოს და წყალი სოს,
დაწვეს და დაიძინოსა.

* *
*

ზღვაში ხომალდი რათ მინდა?
მოვუცურდები, გავალო;
არც არავის ბატონი ვარ,
არც არავისი ყმა ვარო.

## ო ჩ ხ ა რ ი [1]).

ერთს თავადიშვილს ოჩხარი ჰქონია. გაუმართავს დიდი წვეულობა, დაუპატიჟნია საქონლის პატრონები. მოსულან თავადები, აზნაურები და გლეხები. ყველანი თავ-თავიანთ საკადრის ადგილას დაუსხავთ სუფრაზე. ბოლოს მოსულა ერთი გლეხი, ტანზე ძველმანები აცვია, თავზე ნაბდი-ძველა ჩამოუფხატავს. ესეც სულ სუფრის ბოლოში დაუგდიათ. ჩამოუვლია კაცსა და უკითხავს სტუმრებისთვის: აბა, ვინ რას შეაწევთ თავადიშვილსაო. ყველას თავის საქონლის დაკვალად შეუწევნია: ზოგს თორმეტი ცხვარი შეუწევნია, ზოგს—ათი, ზოგს—ხუთი და ასე ამნაირად. ბოლოს კაცი მისულა იმ საწყალ გლეხთანაც, სუფრის ბოლოში რომ დააგდეს და სიცილით უკითხავს: აბა, აბა, შენ რაღას აჩუქებო? გლეხი წამომდგარა, თავადებისკენ მიუხედნია, წელში გასწორებულა და ომახიანად დაუძახნია:

რა მოგახსენოთ, ბატონო,
არრატი [2]) დიდი მთა არის.
სამასი [3]) სული ძროხა მყავს,
იმისი ხბონი სხვა არის.
ათასი სული ცხვარი მყავს,
იმის ბატკანი სხვა არის.

ექვსასი სული ღორი მყავს,
იმისი გოჭი სხვა არის.
ორმოცი სული მწყემსი მყავს,
მოშაღავათე სხვა არის.
ასე მეც მომირთმევია,
ვითომ თავს ჯდომა რა არის?

ასე კი შეარცხვინა თურმე გლეხმა [4]) თავადები.

---

[1]) ოჩხარი—ჩვეულებაა კახეთში. უსაქონლო კაცი მოიწვევს საქონლის პატრონებს, გაუმართავს სადილს და სთხოვს ცო-ცოტა საქონლის ჩუქებას. საქონლის პატრონებიც აჩუქებენ, ვის რამდენი შეუძლიან, და ამნაირად უსაქონლო კაცი საქონლის პატრონი ხდება.

[2]) არრატის მაგივრად ზოგი იტყვის ალგეთს.

[3]) საქონლის რიცხვს სხვადასხვანაირად იტყვიან ხოლმე.

[4]) ზოგი დაატანს ხოლმე, რომ ეს გლეხი ფშაველი ყოფილაო.

* *
*

აფსუს, ბიჭო ახალგაზდავ,
რომ შენ დასდევდე ღორებსა,
უნდა იჯდე თავადებში,
უწრუწუნებდე ქორებსა.

* *
*

მეხრე უნდა მეხრეობდეს,
ქარავანი ქარავნობდეს,
შენისთანა კარგი ბიჭი
ქალაქს უნდა ფალავნობდეს.

* *
*

შე დალოცვილო ზაფხულო,
მომწყინდა შენი ლოდინი,
როდის იქნება მეღირსოს,
გარეთ დამეგოს ლოგინი.

* *
*

მოდი, თუ მოხვალ ზაფხულო,
მომწყინდა შენი ლოდინი,
როდის იქნება გათენდეს,
გარეთ დამეგოს ლოგინი!

## წელიწადის დრონი.

ეს კათათვე მობძანდება
ქვეყნის დამადგინებელი:
ვაჟკაცებსა დამიძახეთ,
ნამგლებს წამოავლონ ხელი.

* *
*

შემოდგომა მობრუნდება,
იმას მოსდევს ღამე გრძელი;
მაშინ რაღა გავაკეთოთ?
ქალებს უნდა მივყოთ ხელი...

* *
*

იანვარსა რვასა,
ნუ გამოხვალ კარსა,
ნურცა წახვალ დისასა,
ნურცა ცოლი-ძმისასა.
თუ წახვიდე დისასა,
ხელი გაჰკარ ქისასა.

## სატრფიალო ლექსები.

—ბიჭო ბრიყვო, ხელს ნუ მახლებ,
თორემ დედა გაჯავრდება.
—სინამ დედა მოვიდოდეს,
ჩვენი საქმე გათავდება.

* *
*

—სადაური ხარ, სად მიხვალ,
საითკენ მიეშურები?
მობძანდი, ყურძენი ჭამე,
თითა და ბუდეშურები.
—არ მინდა, შენი ჭირიმე,
მივალ, გზას მივეშურები.

* *
*

მიხვიდოდე, მოხვიდოდე,
განა წლისა სავალია?
ცოტა რასმე მომიტანდე,
უკვდავების წამალია!

* *
*

გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო გალობა.
როგორც მე დამწვი-დამდაგე,
დაიწვას შენი ქალობა.

* *
*

ამოიქროლე, ნიავო
ქვევითი მინდვრებისაო,
თან მოიტანე სურვილი
ლამაზი ქალებისაო!

* *
*

პატარა ხეობაზეა
პატარა ღარი-ღართული.
ქალოვ, ნეტავი ჩამაცვა
შენის ხელებით დართული.

* *
*

ავფრინდები, შენთან მოვალ,
შავარდენი შევიქნები,
შენ - ბატონი მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები.

* *
*

პატარა ხარ, ეგეთი ხარ,
გაიზრდები, რა იქნები!
შენ—ბატონი მწყალობელი,
მე—ერთგული ყმა ვიქნები.

* *
*

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გა-
ფრანგის ქვეყნები ვნახეო, [ვედ,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო.

* *
*

ადექ და ჩემკენ წამოდი,
გადმოიარე ბანები,
კარს უკან ჩემი საწოლი,
ღია დაგხვდება კარები,
ასწიე ყუთნის[1]) საბანსა,
ზედ გადმომხვიე მკლავები,
შენი გუნების საქმე ქენ,
მტერს დაუქენე თვალები.

* *
*

ლამაზო, შენსა ხვევნაში
ღილი შემაწყდა პერანგსა,
მიპოვნე, გამომიგზავნე,
მაგ შენი ძმების ლხენასა.

* *
*

გზა სიარულმა დალია,
სიპის ქვა წყალთა დენამა,
ლამაზი ახალგაზდანი
ერთმანეთისა ცქერამა.

* *
*

აჰ, ქალო, ვაშლი, რა ვაშლი,
უბეს ნადები, ნასეტყვი!
ამაღამ შენთან წამოვალ,
გულის ჭირიმე, რას მეტყვი?

---

1) ყუთნი—ბამბა-ნარევი აბრეშუმია. ცალი წვერი აბრეშუმია, ცა-
ლი წვერი ბამბა.

* * *

იმერეთი დამივლია,
ქართლი შემიჯერებია, —
არ მინახავს შენისთანა,
ყელი მოგიღერებია!

* * *

ლამაზო და მშვენიერო,
ღვინის ფერო მდინარეო,
მე რომ შენკენ წამოველი,
თავი მოიმძინარეო.

* * *

ამოდუღდი, მარგალიტო,
ნაგუბარში ჩადექ, წყალო,
არც ეგეთი ლამაზი ხარ,
რა თავს იზვიადებ, ქალო!

* * *

გავალ, გაგიჯდები
გაღმა მზვარესა,
სიტყვას გამოვტყორცნი
მწარე-მწარესა.

* * *

ქალო კრულო, გეხვეწები,
წელიწადი გამოსულა,
გასცვივნია ხეს ფოთოლი,
სხვა ახალი შემოსულა.

* * *

აქამდი გულით გიყვარდი,
ეხლა დამიწყე ძულება;
ნეტავი შემატყობინა,
რამ შეგიცვალა გუნება!

* * *

ანთებულ სანთელს გამგზავსე,
ცისკრის ლოცვაზე გნახეო.
ხელში გეჭირა ყმაწვილი
ფარსაგ [1]) ვერ დაგინახეო.

* * *

დაბრუნდი, თუ დაბრუნდები,
ვით ხარატულის ჯარაო,
მშობელი შენი ვაცხონე,
გამდელი შენი ლალაო.

* * *

შემოგხედავ: ლერწამს ჰგევხარ,
ტანი წვრილად აგიყრია,
ცხრა ნაწნავნი—გიშრის თმანი
ზედ ბეჭებზე გადგიყრია.

* * *

ზღვაში კურდღელი შეცურდა,
თან მელა შეჰყვა ტივითა.
ქალო, შენი სიყვარული
მაბრუნებს ხარატივითა.

---

[1]) ფარსაგ, ანუ ფარსაგად,—რიგიანად. ზოგი იტყვის: სწორედ ვერ დაგინახეო.

* *
*

ხელსახოცსა გადმოგიგდებ,
ოქრომკერდით მოქარგულსა,
ჩემსა გულსა შიგ გავახვევ,
შენგნით დამწვარ-დადაგულსა.

## ა ფ ო რ ი ზ მ ე ბ ი.

წუთია წუთის ქვეყანა,
წუთის წებოთი [1]) იწვება.
ზოგი ლხინსაა, თამაშას,
ზოგი უცეცხლოთ იწვება.

* *
*

სოფელო მიეტ-მოეტო,
საბრუნავისა მახეო!
ზოგსა ცათამდის აიყვან,
ზოგსა უკუღმა დაჰხვევო.

* *
*

კაცსა ვინ მისცა ამ ქვეყნად
სრული ბედნიერობა:
მიდის და მოდის ტანჯვაში
მთელი ქვეყნიერობა.

* *
*

ნეტავ რა ზნე სჭირს სიკვდილსა,
ვერ მიჰხვდა ჩვენი გონება!
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება!

* *
*

წადი და ჰკითხე მცხედარსა,—
ნეტავ რა მიექონება?
სამი ადლი ტილო მიაქვს,—
ის არის მისი ქონება.

* *
*

სინამ ცოცხალვარ, ასე ვიქ:
ვახარებ ჩემსა იასა [2]);
მოვკვდები, გაუხარდება
სამარის კარსა ჯიასა.

* *
*

წუთი-სოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
რაც ერთმანეთს გავახარებთ,
იმის მეტი რა შეგვრჩება!

* *
*

წუთის სოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
კარგი ვსოთ [3]) და კარგი ვჭამოთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება!

* *
*

როსტომ თქვა: ჩემი პასუხი
ჩინეთის ქვაზედ სწერია:
ვისთვისაც ვკვდები, ხმალს ვიქნევ,
ის გახდა ჩემი მტერია.

[1]) წებოთი—შეხებით.
[2]) ზოგი იტყვის: ჭიასა.
[3]) ვსოთ—ვსვათ.

* * *

როსტომ თქვა: ჩემი ქართული
ცინარის ქვაზედ სწერია:
ვისთვისაც ხმალს ვიქნევდი,
ის უფრო ჩემი მტერია.

* * *

კაცს კაცის უსამართლობა,
იცოდე, რომ არ შერჩება:
რაც კაი სახლი აგოს,
დაუწველი არ დარჩება.

* * *

წყალი იქ უნდა მოსძებნო,
საცა რომ მილი მილობდეს.
ან უნდა კაცი კაცობდეს,
ან უნდა გვარიშვილობდეს.

* * *

ჰაი გიდი, მუხრანელო,
შენ მითვლიდი მუქარასა!
არ იცი, რომ დაგხვდებოდი
ფარიანი უფაროსა!

* * *

არ ვარგა ჭირში გატეხა,
თუ კაცი გონიერია:
წავა და ყველგან დარჩება,—
სოფელი ღონიერია.

* * *

არცა ყველასა თქმა უნდა,
თუ კაცი გონიერია:
წავა და სხვაგან დარჩება,—
სოფელი ღონიერია.

* * *

ნამუსისთვინა გამოვა
ულვაშები და წვერია,
რაც გინდა ელაპარაკე,
თუ კი კაცს არა რცხვენია.

* * *

სუფრავ გაშლილო, ლხინი ხარ,
ჭკვავ, ჩავარდი გონებასა!
ნამუსი ყველას სჯობია,
ასის თუმნის ქონებასა.
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა.

* * *

არ გათეთრდება ყორანი,
რაც უნდ რომ ხეხო ქვიშითა,
მტერნი არ შეგვიბრალებენ
ტირილითა და ვიშითა.

* * *

ტირილითა და ვიშითა
მტერნი არ შეგვიბრალებენ:
მოვლენ, დაგვწვენ და დაგვდაგვენ,
მზე იყოს, დაგვიბნელებენ.

* * *

სტუმარო, შენი სტუმრობა
მე გულში არა მდებია;
არც წასვლა შენი მწყენია,
არც მოსვლა გამხარებია.

* *
*

საწუთროს სამი ვთხოვე:
ქნა-პირი ხელოვანი,
ზედ საჯდომად მალი ცხენი,
წინ მინდორი ველოვანი,
საკოცნელად თეთრი ქალი,
ტან-წვრილი და ფეროვანი.

* *
*

ვაჟკაცს რას გამოადგება
სოფელს შვენება თავისა?
ხმალს უნდა აჭრევინებდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა.

* *
*

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისათ,
ხარი, კამეჩი თავისი,
ცოლი უყვარდეს სხვისათ.

* *
*

კარგი ყმა მაშინ კარგია,
ხმალი რომ შეიქს ელვასა,
მოციქულობდეს ისარი,
შუბი აგდებდეს ქნასა.

* *
*

ძნელი ყოფილა სიბერე!
სიპის ქვას შეეწონება:
დაჯდება, ველარ ადგება,
არგანზედ *) დაეკიდება.

* *
*

რას დასდევ შავსა პეპელას;
გაგიფრინდება, წაგივა,
არც ხორცი გამოგადგება,
არც ტყავი ფასად გაგივა!

## ნ ა რ ე ვ ი.

ეს ბიჭი კარგად თამაშობს,
თითის წვერებზე დგებათ.
ამან რომ ფეხი იტკინოს,
ის ხომ ჩვენ დაგვბრალდებათ.

* *
*

ნეტავი ერთი მანატრა,
ეს ნატვრა ამისრულდათ:
ქართლი-კახეთი ყმად მომცა,
ქალაქში დამაბინათ.

* *
*

ჭირო მოგჭამოს დედამა,
შვილო თავ-შეუდებარო,
დაჭრილო და დაკუწვილო,
თავს წამალ-დაუდებარო.

* *
*

სოფლისა თავსა ვესხლე,
განა სოფელი ჩემ თავსა.
ის-კი ითვისა სოფელმა,
მას რომ სოფელი ეთვისა.

*) არგანი—დასაბჯენი ჯოხი, ყავარჯენი.

* *
*

თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე,
კალთა გავაბათ კალთასა.
მტერი ხარ? შემატყობინე,—
ან მთას დაგიხვდე, ან ბარსა.

* *
*

ჩავვარდი საგონებელსა,
ვით რომ კამეჩი მორევსა,
ვიწევ და ვერ ამოვსულვარ,
ვაიმე ჩემსა ღონესა!

* *
*

წყალი მწყურიან, წყალ დავლევ,
დავეწაფები გუბესა.
წავალ და ჩავეხუტები
ლამაზი ქალის უბესა.

* *
*

კამეჩები კამეჩობენ
და მოზვრები მოზვრობენ;
ქალები რა გავამტყუნო,
დედაბრები ბოზობენ.

* *
*

(ქალის ნატვრა)
ქალმა თქო გასათხოვარმა:
ნეტავი ჩემი ლოგინი
ზედ შარა-გზაზე [1]) დამეგო,
გამვლელ და გამომვლელისა
სულ ყველას გული მომეგო.

* *
*

(ცოლის ჩივილი)
რა ვქნა, რა ვუყო თავსათ,
ამ ჩემ პატარა ქმარსათ:
არც შეუძლიან შენახვა,
არც დამანებებს თავსათ.

* *
*

ამას-იმისობაშია,
წავალ თათრის ობაშია,
თათრის გოგოს შევიყვარებ,
ჩავვარდები ყოფაშია.

* *
*

იმერეთს ღორი წავასხი,
მთა და ბარი ჩამომექცა.
ერთი გრუზა ღორი დამრჩა,
ისიც უკან გამომექცა.

* *
*

გაღმიდან დედალი იხვი
გამოღმა გამოჭანჭრობდა,
დაედო ოქროსა კვერცხი,
შუა ბაზარში ვაჭრობდა.

* *
*

რა ვქნა, რა ვქნა, როგორა ვქნა,
როგორ ავილო ცხრა ჩხირი?
ცხრა დედე და ცხრა აილე,
ისე აილე ცხრა ჩხირი.

.....................................................

[1]) ზოგი იტყვის—ჯვარედინ გზაზე.

* * *

წუთი-სოფელმა ჩემი დღე
ძიმწარა დამალევინა,
მატირა ცხარის ცრემლითა,
ზღვისთვინაც შემარევინა,
არც მომკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალევინა.

* * *

თავსა სევდასა ნუ მისცემ,
გულს ხავსი მოეკიდება.
კაცი ცრუ, ამპარტავანი
სილაღეს მოეკიდება.
ის უფრო ცრუ იქნება,
ვინც იმას წაეკიდება.

* * *

ლხინს ნურა გვირჩევნია რა,
სინამ ერთმანეთს ვხედავდეთ;
წადექ და მეც წამოვდგები,
სინამ ხმალს მოვილესავდე.

* * *

ვაი რა დიდი ბრალია,
შავარდენი ჰყავს ძერასა:
გაუფრინდება, წაუყვა,
შორით დაუწყებს ცქერასა!

* * *

შავი ხარ, შავ ცხენზე ზიხარ,
შავი თექალთო გიდგია,
ამხანაგს არა ჰკადრულობ,
ცუდი ზნე შემოგიდია.

* * *

შენი ძმობა, სიყვარული
გუნებაში ჩამიგდია;
ჭორი ბევრი გაგიგონე,
მაგრამ ყური არ მიგდია;
თუ რომ გულით არ მიყვარდე,
ჩემი რჯული დამიგდია.

* * *

ბებერმა წველა [1]) დამისხა,
თითმა ვერ მიყო კოვზობა,
სხვაგანაც გამოგადგება
ეგ შენი ფილოსოფობა.

* * *

ჩვენს მეფეს გაუმარჯვნია
თათვარაგანის ტბაზედა,
მოუკლავს ხარი-ირემი,
საისრე უდევს მკლავზედა.

* * *

შუაღამისა ვარსკვლავი
ეუბნებოდა ცისკარსა:
ღმერთო, მალე გამითენე,
ნუღარ მიმიყვან მტრის კარსა.

* * *

ტყიდან ურემი მომქონდა,
ზედ მედო ვაშლის კალათა.

---

[1]) წველა—მაწონი.

ურემი გადამიბრუნდა,
ქვეშ მოიტანა კალათა.

* *
*

იგი მთასა იგი მთასა,
გორმახისასა[1]).
იგი სძოვდა, იგი სძოვდა
ირმისა ჯოგი.

მას ჩასდევდა, მას ჩასდევდა
თითო ციკანი.
მას ჩავგლიჯე, მას ჩავგლიჯე
თითო ბალანი.
მას ჩავქსოვე, მას ჩავქსოვე
ჩოხა-შალვარი,
რაც რომ იმას გადამირჩა,
წინდა-პაჭიჭი.

# XIII

## ანდაზები და სიტყვის მასალა *)

(შეკრებილი 1883—1887 წლებში გარეთ-კახეთში, სოფ. პატარძეულში ზ. გ. ბილანიშვილის მიერ).

### ა

1. აათვრინე ალალი, რაც არ არი, არ არი.
2. აგანგალა, განგალა.
3. ადამიანს ხან მჭადის სახელიც დაავიწყდება.
4. ადრე ამდგომსა კურდღელსა, მწევარი უნდა ქარისა, მისდევს და ვერ მოსწევნია, იქავ და იქავ არისა.
5. ავადმყოფსა ჰკითხვენ.
6. ავი მუშა კვირა ძალზე გამხნევდება.
7. ავითვურთხავ ულვაშსა, დავითვურთხავ—წვერსათ.
8. ავიც შეუძლიან, კარგიც.
9. ავკარგიანი კაცია.
10. ავ მთქმელს კაი გამგონე უნდა.
11. ალილო და—ხვალათ. (ვარიანტი: აღდგომა და ხვალათ).

---

[1]) გორმახი ჰქვიან უნაყოფო, ტინიან, ქვიან ადგილს.

*) ანდაზები და სიტყვის მასალა გაცილებით მეტი გამიგონია, მაგრამ აქა ვწერდი მხოლოდ ისეთებს, რომლებიც არ არის მოქცეული განსვენებულ პეტრე უმიკაშვილის კრებულში, ან რიმე განსხვავდება.
ზ. ბ.

12. ალხანა წავიდა, ჩალხანა მოვიდა.
13. ამირან გულში მღეროდა.—„ყმანო ბანი მითხარითო!“
14. ამ წუთისოფელს ვინ შეჰბერებია?
15. ამდენი მგელთა ღმუილი [1]) უამბოთ არ გადასწყდება.
16. ამყოლს აჰყე, დამყოლს—დაჰყე.
17. ანაბარი მგელმაც იცის.
18. ანაღვლე ბუღიას, ბზე ქარსა, პური ურიას! [2])
19. ანგელოზები რომ შენკენ იყვნენ, ეშმაკი ვერას დაგაკლებს.
20. ანს დაჰხედე, ბანს დაჰხედე,
სიგძესა და განს დაჰხედე!
21. არას ვარგა სამძიმარი, უსარგებლოთ ცრემლთა დენა.
22. არ ვარგა კაცი უმტერო, არც ეგრე მტერ-მორეული.
23. არ გაგივიდა, თარხანო, ნიადაგ შენი ტყუილი.
24. არზრუმს არა ვყოფილვარ, აზრით ვიცი.
25. არზრუმს ვირი კიტრადა ღირს, ჯორი საგძლად მოუნდება.
26. ასარ-ბასარ-ყურქედანასავით [3]) ეცა.
27. ასე ჰგონია, ალა-ალა იყოს!
28. ასლის პური ჯერ არ მეჭამა, მუცელსა მგვრემდა.
29. ასტყდები, აღარ დაჰდგები ოხერ ზენა-ქარივითა.
30. ასწიე მძიმე-მძიმესა, სუმბუქი რადა მეტია!
31. ასწიე ღონესა ჰქვიან, დაუშვი უღონობასა.
32. აქაო და რბილიაო, აბა ყლაპე, ნინიაო!
33. აქე და ერიდე.
34. აქლემის თამაშობა [4]) ხიდზე გამოჩნდება.
35. აქლემის საპალნე ისე არ დაპატარავდება (ანუ არ დამცირდება), რომ ვირის საპალნესთან (ანუ საპალნის ოდენა) კიდე არ იყოსო.

---

[1]) ღმუილი—ყმუილი.

[2]) რა ენაღვლება ბუღიას (ხარის სახელია), თუ ბზე ქარს მიაქვს და პური ურიასაო (მოვალესაო).

[3]) ასარ-ბასარ-ყურქედანა—ძაღლების სახელია ერთს ხალხურ ზღაპარში; მეტად კაპასი ძაღლები ყოფილან და ვისაც კი მათი პატრონი მიუსევდა, ცოცხალს აღარ გაუშვებდნენ.

[4]) თამაშობის მაგიერად ხშირად იტყვიან: შუშპარი.

36. აქლემს სცერი დაადგეს,—დაწვაო; ააცალეს, —ადგაო [1]).
37. ალუ, ნეკზე არ მიკმინო! [2])
38. ახალი ცოცხი კარგა ჰგვის, ძველი მოატანს ნაგავს.
39. ახალი ცოცხია.
40. ახალს თხოულობს [3]).
41. აჯაფ-სანდალი გახდა! [4])

## ბ

1. ბატონი (ანუ კაცი) გადაგიდგეს, სოფელს შეეხვეწე, სოფელი გადაგიდგეს, მთას გადაიხვეწე.
2. ბატონო, ჩხიკვი მოკვდაო.—თქვენმა მზემ, მე დაბადებაც არ შემიტყვიაო.
3. ბატონს მეღვინე მოუკვდა და რადა ეშველებაო? ვაი მკვდარი მეღვინის ბრალი, თორემ ბატონს ბევრი მეღვინე გამოუჩნდა.
4. ბატონს ყმა უნდოდა უსმელ-უჭმელი, ტანთ ჩაუცმელი, შინ მიუსვლელი.
5. ბებერი ხარისა რქანიც ეწევიან.
6. ბევრის მნდომე ცოტასაც დაჰკარგავს.
7. ბევრის მჭამელს ცოტას მჭამელმა აჯობა.
8. ბევრი ფაცია-კალო გადაჰხედია.
9. ბევრი ხელის ჭირიმე, ერთი პირისა (ე. ი. ბევრი გამკეთებლის ჭირიმე და თანხმობისაო).
10. ბევრი ხელის ჭირიმე, ცოტა პირისაო (ე. ი. ბევრი გამკეთებლის ჭირიმე და ცოტა მჭამელისაო).

---

1) ამ ანდაზის აზრი ის არის, რომ მცირე სიმძიმეს, პატარა საპალნესაც მნიშვნელობა აქვსო.

2) მიკმინო—მიკბინო.

3) როცა ტანისამოსი ან ფეხსაცმელი გაცვდება, ან შენობა დაძველდება, იტყვიან: ახალს თხოულობსო.

4) ვითომ საქმე აჯაფ-სანდალივით აირიაო. აჯაფ-სანდალი მოხრაკული საჭმელია, რომელიც მზადდება პადრიჯნისა, ოქრო-ვაშლისა (პამიდორისა) და ქართოფილისაგან.

11. ბევრი ჭო-ჭოთ ხარს გააგიჟებს. (ვარიანტი: ბევრი ჭაი-ჭუი ხარს უგულმა წაიყვანსო).
12. ბედაურ ცხენს გაკრეჭილ კვიცს არ გაუჭენებენ [1]).
13. ბეჟანმა [2]) თქვა: გაგონილი ნახულთანა არ იქნებაო.
14. ბერიკაცისა სიზმარიც დაიჯერება.
15. ბზობის ყვავილით დაიკარგა.
16. ბოდბელო, შეგიტყე ეგ შენი ძაღლობა.
17. ბრმა ყვავს ღმერთი აუგებს ბუდესა.
18. ბრმა ღობეს მიადგა, შენს იქით გზა არა მაქვსო.
19. ბუტიას შეუჭამენ, მძინარეს შეუნახვენ.

## გ

1. გესმოდეს, თარო-კედელო, ბანიდან მაყურებელო.
2. გოჭსა სიმინდი თუნდა ქეჩოში, თუნდა ცხრა მთას იქით.
3. გაძღომას გაწდომა სჯობია.
4. გოშია აქეს, ძაღლებს შეაჭამეს.
5. გასათხოვარმა ქალმა უთხრა დედასა: სიძე მოგდისო.—აბა სად არიო?—მოგატყუილეო.—შენს თავს მოატყუილეო.
6. გაწყდეს, საცა წვრილია!
7. განა ნინიას ბაკია!
8. გარედამ მტერს უბრმავებს თვალებს, შიგნიდამ პატრონს.
9. განა ბებერი ცხენი ქერს არა სჭამს?
10. გინდ მკვდარი, გინდ შინ მიუსვლელი.
11. გამგები გაიგებს.
12. გარეული მოვიდა, შინაური გააგდოო.
13. გიჟი დასაქმე და შენც თან გაჰყეო.
14. გიჟი ქორწილში შევიდა: ჩვენს სახლს ესა სჯობიაო.
15. გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება ვნებასა.
16. გლახა ამპარტავანი ღმერთსაც სძულდა და კაცსაცაო.

[1]) რომ ვინიცობაა არ აჯობოს და არ შეარცხვინოს.

[2]) ბეჟანი—„ბეჟანიანის“ გმირი, გივის შვილი, როსტომის ძმისწული.

17. გახიე და გაფხრიწე—ორივ ერთიაო.
18. გამოსაშვები სისხლი უნდა გამოიშოს.
19. გამოსარწყავი მუწუკი უნდა გამოირწყას.
20. გული შიგნიდამა აქვს (უდევს).
21. გული გულის ადგილას აქვს.
22. განა ვირს კურტანი მოუხდება?
23. გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

## დ

1. დათვს ვენახი მიაბარეს. შიგ არავინ არ შაუშო, აღარცა რა შიგ გაუშოო.
2. დათვო! პანტა გიმწიფსო და კიდეც გიჭირსო.
3. დათვსა ჰხედავდნენ და კვალს უკვლევდნენ. ახლა ერთმა კაცმა უთხრა: რაღას ეძებთ,—ეს დათვი და ეს კვალიო!
4. დამპალი ვერა უძლებს რა!
5. დედამიწას ვინ შეჰბერებია?
6. დედაკაცს ძაღლიც არ დაჰყეფს.
7. დიბა სტავრა ჩიოდა: ვაი თუ გლეხმა გამცვითოსო, უჯილაგოდ გამომჭრას, უილეთოდ[1]) შამკეროსო.
8. დოვლათი ბრმაა: ბუზივით ხან ვარდს დააჯდება, ხან ნეხვსა.
9. დროც არის პაპიჩემისა!
10. დედაკაცმა გაიწია, ცხრა უღელა ხარმა ვერაო[2]).
11. დავარდნასაც[3]) მიშლი?
12. დასარჩენი დარჩეს, წამსვლელი წავიდეს (ამ ანდაზას უფრო ხშირად თათრულად იტყოდნენ ხოლმე: გელანი გალსინ, ყალანი ყალსინ).
13. დაუკრეფავში ნუ დაჰდიხარ.
14. დაბალი ღობეა.
15. დაჭრილი ირემია.
16. დიდ აღმართს დიდი დაღმართი მოსდევს.

---

[1]) ილეთი—შნო.
[2]) იგულისხმება: ვერ აჯობაო.
[3]) დავარდნა—დაქანცვა, დაღალვა.

17. დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში ლაღე იყოო.
18. დილის შარი სჯობია საღამოს ხეირს.
19. დაადარე მსხალი პანტას, მალაჩინი ¹) მაყალოსა.
20. დედის წინ მარბენალ კვიცს ან მგელი შესჭამს, ან ტურა.
21. დრონი მეფობენ და არა მეფენი.
22. დიდი ძვლიდან დიდი ტვინი გამოვა.
23. დიდ ცეცხლს დიდი ბერვა უნდა.
24. დომხალივით აირია.
25. დიდ საყდარში განა პატარა წირვა არ იწირვის?
26. დროული კაცისა სიზმარიც დაიჯერება.

## ე

1. ერთს ღვდელს ჰკითხეს: ღვდელო, რა გირჩევნია: ქალი, ქადა, ქათამი თუ ღვინოო?—ქალმა ქადა და ქათამი მარანში წამომიღოსო, უპასუხა ღვდელმა.
2. ერთხელაც იქნება ნაგუბარში წყალი ჩადგება.
3. ერთი ალილუია ხუცესსაც შესცდებაო.
4. ერთი ხისა ბარიც გამოვა და ნიჩაფიცა.
5. ერთი ხისა ჯვარიც გამოვა და ნიჩაფიცა.
6. ერთმა პირმა ცხვარმა ხეს შეჰბღავლა და ხე გახმაო.
7. ერთი რომ ჰთქო, მეორეც უნდა ჰთქო.
8. ერთია ცეცხლი, მეორე ნავთი!
9. ეს ძველი და სხვა ახალი.
10. ეს ქალაქი რადა ღირსო?—ერთ გულის ჯავრის ამოყრადაო, უთქვამს ფშაველს. (ზოგი მოკლედ იტყვის ხოლმე: ერთ გულის ჯავრადაო).
11. ერთ ქალს უთქვამს: ნეტავი ზემოდამაც მე მქნა და ქვემოდამაცაო.
12. ეს დღე ხომ კატას არ შეუჭამია!
13. ენაი მრავალმა აჯობა მუხლთ მრავალსაო.
14. ეშმაკი ძლიერია!

¹) მალაჩინი—ერთნაირი ჯიშის კომში, ბია.

15. ერთ ქვეყანაში მუცლის ტკივილი იყო. ვისაცა სტკიოდა, ის ხომ ამობდა და ამობდა: მუცელი მტკივაო; ვისაც არა სტკიოდა, ის უფრო ყვიროდა: მუცელსა მგვრემსო.
16. ერთხელაც იყოს, ათხა მგელთ იყოს.
17. ერთხელაც იქნება, ათხა მგელთ იქნება.
18. ერთი გასათხოვარ ქალს უთქვამს: გასათხოვრად პატარას მეძახიან და წყლის სა'ზიდად კი დიდსაო.
19. ერთი რძალი თავს იბანდა. იმისმა უმძრახმა მაზლის ცოლმა ჯარა დაამტვრია და ცეცხლს შეურთო, ჩემ რძალს არ შესცივდესო.
20. ერთი მთაა, რაც ღმერთს ქვეყანა გაუჩენია, მას აქეთ იმუქრება: გადმოვინგრევი, გადმოვინგრევიო, მაგრამ დღესაც თავის ადგილას დგას უძრავად.
21. ეგრე, ჩემო თინანი, მიყვარს მაგისთანანი.
22. ეკლესიის კარი ღია იყო, მაგრამ ძაღლმაც იმოდენა ნამუსი გამოიჩინა, რომ შიგ არ შევიდაო. (ვარ.: ეკლესიის კარი ღია იყო და ძაღლს ნამუსი არა ჰქონდაო).
23. ერთი დრო არავის შერჩება.
24. ეს სოფელი ასეთია—მიეტი და მოეტია.
25. ერთს ქვეყანაში მეშუშე იყო. შუშები ბევრი ჰქონდა სულ ერთი ზომისა, ალმასი კი არა ჰქონდა. როცა დაუძახებდნენ, მოვიდოდა; თუ გამოადგებოდა ფანჯარას შუშა, ჩაჰსვამდა, თუ არა და ცარიელი უკან ბრუნდებოდა, იმიტომ რომ ალმასი არა ჰქონდა.
26. ეს ბურთი და ეს მოედანი!
27. ენას ძვალი არა აქვს.
28. ენა უძვლო-უფხოა.
29. ეს ქათამი ჩვენსა კაკანებს, კვერცხს სხვაგანა სდებს.

## ვ

1. ვისაც პური არა აქვს, საქმეც არა აქვს.
2. ვისაც სამხთო უნდოდა, ცხვარს ამობდა, ვისაც არა და კამეჩსაო. (ერთ ადგილას სამხთო უნდა გადაეხადათ. შეიყარნენ. ვისაც გულით უნდოდა სამხთო, ის ამობდა, ცხვარი დავკლათო. ვისაც სამხთოს ჩაშლა უნდოდა, ის ამობდა, ცხვარი რას გაგვიხდება, უნდა

კარგი მსუქანი ზაქი-კამეჩი წამოყაქცეოდა, რომ უჯელას ეჭირა. მსუქანი ზაქი ვერ იშოვეს, არც თუ იმისი საყიდელი ფული ჰქონდათ და დარჩა სამხთო გადუხდელი).

3. ვინც თავისი თავის პატივი არ იცის, არც სხვისა პატივი ეცოდინებაო.

4. ვირი ხბორებში!

5. ვინ აგებს და ვინ აქცევს?

6. ვაი თქმავ, ვაი უთქმელობავ!

7. ვაი ქონავ, ვაი უქონლობავ!

8. ვირს რასაც აჰკიდებენ, განა სულ თითონ შეაჭმევენ?

9. ვირს რომ ზურგი აჰქავა, ბატონის კარზე მივა.

10. ვაიმე, დედავ, დედაო, რა დიდი ღორი კვდებაო!
— შვილო, შენ რა გენაღვლება, ჩიჩია ბევრი გვრჩებაო [1]).

11. ვის შერჩენია ერთი დრო?

12. ვისაც სახლი არ აუშენებია, დედაბოძი მიწიდან ამოსული ჰგონია

13. ვისი ტუე, ვისი ხარები, ვისთვის რა საშურველია!

14. ვალი ჭუჭრუტანიდამ შეძვრება და კარებიდამ ველარ გამოვა (ანუ გამოეტევა).

15. ვინც თავი არა თქვა, იმან ბოლო.

16. ვინც თაფლში ხელს ჩაჰყოფს, თითს მაინც გაილოკსო.

17. ვირის წიხლი არ მეწყინება. (ვარ.: ვირის წიხლი კი არ მეწყინებაო, მეტკინებაო).

18. ვინც იცის, იცის, ვინც არ და ბაკლა ცერვი ჰგონიაო.

19. ვაი სიკეთის მქნელსაო!

20. ვირის კუდივით არცა გრძელდება, არცა მოკლდება.

21. ვერიდებოდი ლოლოსა, იქ დამხვდა სოფლის ბოლოსა.

22. ვისი ტიკი-ტომარა ხარ?

23. ვის უთქვამს, დედა-ჩემი ბოზიაო?

## ზ

1. ზოგი თხისკენ, ზოგი მგლისკენ.

2. ზოგი ღვთისკენ, ზოგი ეშმაკისკენ.

---

[1]) ზოგი იტყვის: რჩებაო.

3. ზღვა ფაფად გადმოვარდა, ყველამ ჭამა, მაგრამ უბედურმა კოვზი ვერ იშოვა, რომ მისულიყო და ეჭამა.
4. ზოგჯერ ტყუილი მართალს სჯობია.
5. ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არაო.
6. ზოგი კაცისას ძაღლიც არას შესჭამს.
7. ზენა ქარია! (იტყვიან ყბედზე, ან მყვირალაზე).

## თ

1. თამაშობას ხერხი უნდა, დათვმაც იცის ძუნძული.
2. თუ მეცხვარეს უნდა, ცხვრის ყვერიდან გამოიღებს ყველსაო.
3. თხა გავყიდე, თხა ვიყიდე, სარგებელი ვერა ვნახე.
4. თავის სიტყვის ბატონია, სანამ ულვაშს გამოსცდება (სიტყვა).
5. თვალი სჭამს საჭმელს.
6. თუ იყოს—იყოს, თუ არა და წყალმა რიყოს.
7. თათარს რომ ჩუჩა მოაჭრა—მადლია, მაგრამ განა სულ ძირში!
8. თხა კიკინით გამოვიდა, ცხვარმა ფეხები გაშალა.
9. თავად არ იყო ძმარიო, ზედ გადაასხეს წყალიო.
10. თავის ქება თავის ტეხაა.
11. თუ კაცს გულში არ უდევს, რიყეზე ქვას ვერ დაინახავს.
12. თხამ სანეკრე იშოვა, სახტომი კი ვერა.
13. თუ ის არის ხერხში, არც მე დავდივარ ტყეში.
14. თავს პატივი დასდე!
15. თეთრი კბილი და შავი გული არავისთვის არა ჰშურს.
16. თეთრი ცხვარი მსუქანი ეგონათ.
17. თათარი ჩემს საცალოს თავის ჩუვალს [1] ეძახდაო.
18. თავისი კალო გაულეწნია.
19. თავისი ალო გამოუყვანია.
20. თუ მასპინძელი არ ლხინობს, სტუმარსაც მოეწყინება.
21. თუ კაცს ჭამის შნო არა აქვს, არც საქმის შნო ექნება.
22. თვალს წყალი დაალევინა.

---

[1]) ჩუვალი—თათრულად საცალოა.

23. თითო კაცს თითო რამის შნო აქვს. (თათრულად: ბირ ადამ ბირ უნარ ვარ).

24. თათარმა თქო, ფლავი სჯობსო, სომეხმა— მახოხიო. დანაძლევდენ. თათარმა გააკეთა ფლავი, სომეხმა—მახოხი. სომეხმა აინიყა[1]): არა, მახოხი სჯობსო. თათარმა უთხრა: ქატოში—ბრინჯიო და ამ ერბოსი აღარა გრცხვენიანო?

25. თვალში უჩის.

26. თავის ჭიას ახარებს.

27. თივასთან ცეცხლი არ მიიტანება.

## ი

1. ისევ ის თომაა, ისევ ის ტყავი აცვია.

2. ის თვალი დადგეს, რამაც თვალმა ბუზი ბაღდადამდის არ დაინახოსო.

3. ისევ წახვალ გუდამაყარს, მამა-პაპის ალაგასა.

4. ისეთი ტყუილი უნდა სთქვა, რომ ფეხები ჰქონდეს[2]).

5. იარე, მოგეწევიან, თავი ნუ გემარტოება.

6. იპოვნა კოვზი თაროზე.

7. ირემმა ირემს ბალახი აუშვირა:—მართალია, არც შენ გაგლია, მაგრამ თავაზა კიდევ სხვა არისო.

8. ისე გაება, როგორც ჩიტი კაკანათში.

9. იმის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

10. ისე ეჯავრება, როგორც ურიას ღორის ხორცი.

11. ისე უყვარს, როგორც ურიას ღორის ხორცი.

12. ისე უხდება, როგორც ვირს კურტანი.

13. იერუსალიმში განა ძაღლები არ არიან?

14. იერუსალიმში განა ძაღლი არა ჰყეფს?

---

[1]) აინიყა—აიყინა, ანუ დაიყინა.

[2]) რომ დადგომაც შეეძლოს და სიარულიც, რომ გასჭრას, გავიდესო.

## კ

1. კაი ხარი სახრეს არ დაიკრავს.
2. კაცს თავსა სჭრიდნენ, მუწუკს ჩიოდაო.
3. კაცი კიდეც გაიქცა, კიდეც გაიცრცვნა.
4. კაცი სცადე და სახლი ააზატე [1].
5. კაცი დედამიწას ეუბნებოდა და ცას ემდუროდაო [2].
6. კაცი პატივსა შინა იყო და არა გულის ხმას იყო.
7. კუდა კამეჩი გავყიდე ქებითა და დიდებითა.
   შევხედე, უკან მოჰყავდათ ლანძღვითა და გინებითა.
8. კითხვის კითხვით ინდოეთს წავლიან.
9. კუდავ, ჩემო საყვარელო, გუთნის მაძუგძუგებელო!
   —არც ისე მეხალისება, ძალად მაძუგძუგებენო!
10. კამეჩო, მუხრანელი ხარ, უღელი გეცოდინება.
    —მე მუხრანელი არა ვარ, უღელი მეჩოთირება.
11. კოსე-კოსე სიტყვის გამბარაქიანებელია.
12. კომბლეს [3]) ვირი არა ჰყვანდა, იყიდა და იყოლია.
13. კატის გაქცევა საბძლამდისინა.
14. კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,
    არც ისეთი ეჩო უნდა, სულ თავისკენ გამოჰქონდეს.
15. კაი კაცის ნაცოლარი, კაი ქვევრის ნაძირალი.
16. კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო.
17. კაცია და გუნებაო, თავში ებრაგუნებაო.
18. კაცი ხარ, ქუდი გხურავ.
19. კარგი ხარ, კარგო უღელო,
    კარგო ცხვარო და ძროხაო!

---

[1]) აზატი—თავისუფალი, ე. ი. კაცსა სთხოვე და თუ ხელი არ გაგიმართა, შენი სახლი აზატი გახდება, შენც ნება გექნება, ხელი არ გაუმართო, თუ იმას დასჭირდა შენი თავიო.

[2]) მაგალითად, სოფლელი კაცი ეხვეწება მამულს: კარგი მოსავალი მომიყვანეო და როცა მოსავალი არ მოვა, ცას ემდურის ხოლმე.

[3]) კომბლე—ქართულ ზღაპრების გმირია, თან მოსულელო, თან მოხერხებული.

20. კოჭივით მუდამ აღჩუსა ზის.
21. კიკოსავით [1]) მარტოკა დარჩა.
22. კაცს წართვის სუფრაც მოჰბეზრდება.
23. კაცს ნიადაგ ქორწილიც მოჰბეზრდება.
24. კაცს ქვეშიდან ხალიჩას გამოაცლის.
25. კაცს ყურზე ხელს წაავლებს, წყალზე წაიყვანს, დაალევინებს და ამოიყვანსო.
26. კატას თავში ძეხვი დაჰკრესო.

## ლ

1. ლამაზო ქალო, შენ გეტრფი, ფეთხუმო, გამოჰყვარდები.

## მ

1. მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ, ჩემს მაზლს არა ერგო რაო.
2. მოდღე-ხვალიესა თოვლი მოუვა კარზედა.
3. მორჩა ბერი ცხონებასა, მოლოზანი წაწყმედასა! (ერთს უდაბნოში ერთი სულის საცხონებლად შემდგარი ბერი შესცდა ერთს მოლოზანზე და დაიძახა: მორჩა ბერი ცხონებასა, მოლოზანი წაწყმედასაო. ე. ი. მე ველარ ვცხონდები და მალაზონი აღარ წაწყმდება, რაკი ასეთი მადლი ქნაო).
4. მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდა, თან დასძახოდა: ცოტა ჭამეო!
5. მამავ! გიყვარდა ურემი, დაწექ და დაიძინეო.
6. მზევ, ჩადი და ალოვ, გადი!
7. მე წველას ვთხოვდი, ის დოს მოატლაკუნებდა.
8. მცონარა ადგა და აღარ დადგა.

---

[1]) კიკო—სათამაშო ქალალდის სახელია, ერთი ნიშანი რომ უზის, ეხლა ტუზს ეძახიან.

9. მგელმა ცხვარი მოიტაცა:—„ჩემი სერისა იყოო“ [1]).
10. მგელმა უთხრა ძაღლს: სიტყვა ეგ კი არ არის, რომ მივრბივარ და მომდევო, სიტყვა ის არის, მოგიბრუნდე, მაშინ დამხვდეო.
11. მივდიე—ვერ დავეწიე, დავჯექ და დაუცადეო.
12. მწოლიარე დევს მაწანწალა მელამ აჯობაო.
13. მოყვარე, მოყვრის მოყვარე [2]) მტერზედან უფრო მტერია.
14. მოკლას ხარი თივამა.
15. მკვდარი ფური ბევრს მოიწველისო [3]).
16. მელამ ზღვაში ჩააფსა, შენც აქ ჩაჰხუოდეო.
17. მტერს ხმალი, ვაჭარს თეთრი.
18. მე ქორწილში წავეთრევი, შენ წისქვილში წაბძანდიო.
19. მოტეხილს მოჰტეხიანო.
20. მგელმა თქვა: ეს ოხერი და ეს ტიალი, ჩემს სოროშიაც ვერა ვთქვა რაო!
21. მგორავი ქვა ხავსს ვერ მოიკიდებს.
22. მუცლად მშიერმა აჯობა ტანად ტიტველს.
23. მამალი რომ ფრთას შემოჰკრავს, იცოდე, რომ გათენდება.
24. მასპინძლისა მარილი მეტი წავა [4]).
25. მკვახეს ესროდნენ, მწიფე ცვიოდა.
26. მე რომ ვხედავ ნიშანსა, ხარს დაგვიკლავენ ნიშასა.
27. მოხველი, მოსვლა გვიამა, დანახვა შენი პირისა.
28. მჭადში ნახშირს ვერ გამოარჩევს.
29. მსხვილად დამრთავი და წვრილად დამრთავი ორივ ერთად გამოვიდაო.
30. მსხვილად დამრთავს და წვრილად დამრთავს ერთი ფასი ჰქონდაო.
31. მე რომ კურდღლის გაქცევა მინახავს, ღმერთმა იმისი ხორცი ნუ მაჭამოსო,—უთქვამს სომეხს.

---

[1]) სერი—ნიშანი საქონლის ყურზე.

[2]) შორეული ნათესავი.

[3]) ფური რომ მოკვდება, ზოგი მაშინ დაუწყებს ქებას, ამდენ-ამდენს იწველიდაო.

[4]) წავა—დაიხარჯება

32. მიჰყე-მოჰყე სოფელსა, ნეტავ რა დაგიშავდება.
33. მიჰყე მიხედულობასა, თვალის მიგებულობასა.
34. მთელი ეს ქვეყანა სესხი და ვალია.
35. მუქთ კუბოში ჩაწვება.
36. მჯობთა მჯობი არ დაილევა.
37. მოგება და ზარალი ორივ ძმები არიან.
38. მელიასავით გააგრძელა (ანუ გააბა).
39. მიმპარავი ძაღლია.
40. მეცხვარემ ცხვარი გაუშო, პატრონმა კი არაო.
41. მეტის-მეტი—თავში რეტიო!
42. მუქთად პურს არავის აჭმევს, ბანს მაინც გაატკეპნინებს.
43. მზეს უყურებს, როდის ჩავაო.
44. მიწა გრილია, მალე გააგრილებს გულსა.
45. მარტო კაცი პურიჭამაშიაც ბრალია.
46. მშრალზე ყოჩაღია.
47. მამის ნაჭამმა ტყემალმა შვილს მოსჭრა კბილებიო.
48. მე კი უშვებ, მაგრამ ეს აღარ მიშვებსო. (ერთი მონადირე დათვმა მოიგდო ქვეშა და ჰბუბნის. ამხანაგმა დაუძახა: კაცო, გაუშვი, მოეცალეო.—მე კი უშვებ, მაგრამ ეს აღარ მიშვებ-სო, უპასუხა წაქცეულმა მონადირემ).

## ნ

1. ნისია—სხვისია.
2. ნუ მატყუებ, სარქისაო [1]), აგრემც ღმერთი გაგზრდისაო.
3. ნალოსავით აეთრია.
4. ნაგუბარში წყალი ჩადგება.
5. ნაზუქის სული დაგახრჩობს!

## ო

1. ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშება.
2. ოსტატი მელა ოთხივ ფეხით გაებმება მახეში.

[1]) სარქისა—სომხის სახელია.

## პ

1. პატარძალი ბუოდა [1]), ისევ თითონ ტყუოდა.
2. პატარა ყმაწვილის ნაწლავი ღობეზედ ეკიდა და კიდევ ფართხალობდა.
3. პატარ-პატარაობით პატარძალი დაორსულდა.
4. პატა-პატაო, პატით კვერი გამოცხვაო.
5. პირობა კაცს ცოლს წაართმევს.
6. პატარძლის ქრმით აშინებდნენო.
7. პირში სული ჰშურს.
8. პატარა [2]) კაცს გული ყელში ჰჩრია.
9. პურსა სჭამ, ბალახს ხომ არა სძოვ?
10. პირს მუწუკი მოერიდება.
11. პურ-მარილი ქვაზე დადე; გაიარე, წინ დაგხვდება.

## რ

1. რძლებმა ერთმანეთისა ზვერითა სახლი აავსეს ნაგვითა (ანუ ნეხვითა).
2. როცა გავა გავაო, ფერდიც გავად გავაო.
3. რასაც ვირი ეწეოდა, ორ იმოდენას ვირის პატრონიო.
4. რაცა ვჭამე, ის შემრჩაო, რაც არა—თხრად დამრჩაო.
5. რაც იდგომლა, ის იხტომლაო.
6 რთველში ძაღლსაც მოხსნიან კონკილას.
7. რბილი ეკალია.
8. რასაც კაცი თავის თავს უზამს, ქვეყანა რომ მიადგეს, ვერ უზამს.
9. რწყილს შაშალი ჰკრეს და ჭირათაც ეყო და ლხინათაცაო.
10. რა ჭალი მოედება ენაზე?
11. რაც სახელია, ის სახრავი არ არის.

[1]) ბუოდა—იბუტებოდა.

[2]) პატარა—ტანად დაბალი.

12. როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს.
13. რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.
14. რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო.

## ს

1. საცა მჭამს, იქ კი არა მფხანოდა!
2. სად ახმეტა, სად წილკანი,
   სად თხა სძოვდა, სად ციკანი!
3. სამგორის მინდორზე სამი ბებერი გერ ეტეოდაო.
4. სულ უდედობას დედი-ნაცვალი სჯობია.
5. საციქველი [1]) ვის დაუბრუნებიაო!
6. საქმე მაშინ წახდა, დათვი რომ საძაღლედ გახდა.
7. სევდას ნატვრით ინელებენ.
8. სულელ კაცს ახალწელიწადს რომ ჰკითხო, იანვარი როდის დადგებაო, ვერ გეტყვის.
9. სიკეთე ქვაზედ დადე, გაიარე, წინ დაგხვდება.
10. საუბარ-საუბარაო, ეს დღე კი გაიპარაო.
11. სახლი უარესთა.
12. საზიარო ფეტვი ჩიტმა მოჭამა.
13. სახლის პატრონისა მარილი მეტი წავა.
14. სხვას იტყვის, სხვას მოიგონებს, სხვას გამოაბამს კილოსა.
15. სულს სული იცნობს.
16. საწუთროს მონახევრე ხარ, ჩემო კახურო ჩოხაო! უთქვამს კახელ თავადიშვილს.
17. სიცილით დაკარგული ტირილით ვეღარ დაიბრუნესო.
18. საიდან სადაო, წმინდაო საბაო.
19. სად ერეკლე და სად თეკლე!
20. სახრე სამოთხიდან არის გამოსული.
21. სახრე ღმერთს დაულოცნია.
22. სოფელში რომ მიხვიდე, იქაური ამბავი ყმაწვილს ჰკითხე, ის უფრო სწორეს გეტყვის.

---

[1]) საციქველი—ნათხოვარი ნივთი, ვეჯი.

23. საცა ბოლი მაღალია, ის იმისი მაყარია.
24. სიკეთისთვის სიკეთე ვის უქნია?
25. საქებურმა შავმა ძაღლმა ნიახურზე გადაათფსაო.
26. სტუმარო, ხელი გაძარ, შენი სახეითქიც არისო.
27. სხვისა ხელით ჭგლეჯს ნარს.
28. სხვისა ხელით ნარი არ მოიგლიჯება.
29. სოფელი კაი სათლელი დუმაა.
30. სადაც ბუზი გაიზრდება, იმის პალდადი ის არი.
31. სული კბილით უჭირავს.
32. საწყალი კაცის გაჩენაში ღმერთი როდი გარეულა.
33. საძაღლ-ღორედ გახდა საქმე.
34. სად არის ღმერთი, სად არის სამართალი?!
35. სად არის ქვეყანა, სად არის სამართალი?!
36. სველი ენა რას არ იტყვის!
37. სახელია, სახრავი კი არა.
38. სოფელი გაიქცეს, გაიქე; დადგეს—დადექი.
39. სიბერემდე სიქაჩლე გეწეროსო.

## ტ

1. ტერტერ, ცოლსა გრთამენო, და ჰიმი პიტიო [1]).
2. ტუშებ-ტუშებაში ლევრელებს გაუთენდათ.
3. ტაში, ნინო, ბანი, მარია, თამაშობა გაიმართა!
4. ტაშტი გატყდა, ხმა დიდი გავარდა.
5. ტყეში არ წახვიდე!
6. ტყუილი კაცს შეარცხვენს.
7. ტუშებ-ტუშებით პატარძალი დაორსულდაო.

## უ

1. უფალო! ჩხიკვი მოკვდაო.—თქვენმა მზემ, მე დაბადებაც არ შემიტყვიაო.
2. უხეირო ბუზი ფილტვს დააჯდება.

---

[1]) ჰიმი პიტი—სომხურად ნიშნავს: მეც ეგ მინდაო.

3. ურიგო ტირილი მკვდარს ფეხებს გააქნევინებს.
4. უხნავ-უთესი კაცი ღმერთს ემდუროდა.
5. უგვარო გლეხსაო თავში დაარტყმენ მეხსაო.
6. უგვარო ცხენსა ნუ აჭმევ ქერსაო.
7. ურიამა თქვა: ღმერთო! ჩემს შვილს, პირველად საქმეზედ რომ დადგება, ხელს ნუ მოუმართავ, თორემ წაქეზდებაო.
8. უფეხო ტყუილია.
9. უნახავმა ნახაო, ცხრა მთა გადაღახაო.
10. უნამუსო ვირზე შესვეს: ჭაჩი, არაფერიაო (ანუ: ჭაჩი, ჭაჩის იძახოდაო).
11. უნიფხოსა ნიფხავს ჰხდიდნენ, რაც არ ეცო[1]), რას გაჰხდიდნენ.
12. უჩუმარი ქამანდი იცის.
13. უდედოდ დარჩება.
14. ურმითა ჰდევს კურდღელს.
15. უკვდავ-უბერებელი არავინაა.
16. უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიან.
17. უეკლოდ ვარდი ვის მოუწყვეტია?

## ფ

1. ფაცხამც იყოს, შიგ რამც იყოს.
2. ფია-ფუა ყმაწვილსა, დიდი ლუკმა დედასა.
3. ფური მოკვდა, ხანულობა გადავარდა.
4. ფთხილი მელა ორივ ფეხით გაებმება.
5. ფურმა იწველა, იწველა, ჰკრა წიხლი და სულ დაღვარა.
6. ფეხები უკანა რჩება.
7. ფეხები ფაფისა აქვს.
8. ფაფა კარებამდისაო.

## ქ

1. ქვაცა აქვს და კაკალიცა, თავში შემოსაკრავიცა.
2. ქვა აქვს და კბილი ეწვალის.

---

[1]) ეცო—ეცვა.

3. ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს ეუბნევოდაო.
4. ქალო, შენი სილამაზე, იცოდე, რომ არ შეგრჩება.
5. ქონებავ, სად მიხვალო?—და სადა ბევრია, იქ მივალო.
6. ქალი ქმარსა სწყუნობდა, იყო მის სინამარა [1]).
7. ქმართან დიდი ლუკმა შეჭამე, მაზლთან პატარა.
8. ქალი ქრმითა, ცხვარი მთიითა.
9. ქალი თმითა, ცხვარი რქითა.
10. ქალი ქებით გათხოვდება, რძალი ვის უნახავს კარგი?
11. ქუხილით წვიმა არ მოვა, ხმა დაგდებითა ლაშქარი.
12. ქუდი დადე და სამართალი ისე გასჭერ.
13. ქათამმა თქვა: მარილს ღვდლის ცოლის მეტი ვერავინ მომასწრობსო.
14. ქვეითი [2]) ცხენიანს დასცინოდაო.
15. ქვიდან გამოძვრა, სიპში შეძვრა.
16. ქაჩალი კაი ექიმი იყოს, თავის თავს მოარჩენს.
17. ქოფაკმა ძაღლმა რომ კურდღელი მოგიბრუნოს, დაჭერაში ჩამოერთმევაო.
18. ქვრივი დედაკაცივით წუწუნებს.
19. ქვეყანაა და სამართალი.
20. ქათამივით ორი ფეხი აბია.
21. ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული?
22. ქუდი მტვრიანი მანახეს და სახელი „მეწასქვილე" დამარქვესო.
23. ქრისტე ღმერთი დადიოდა, რით იცნესო?—და ჭკვით იცნესო.

## ღ

1. ღორსა სიმინდი გინდა ქეჩოში, გინდა ცხრა მთას იქით.
2. ღვდელო, ტაბლა მოაქვთო.—მე რაო?—შენთან მოაქვთო.—შენ რაო?
3. ღმერთი დაბერებულა, უნდა გამოვცვალოთო, უთქვამს ქიზიყელს.

---

[1]) სინამარა—ანაბარა, ამარა.

[2]) ქვეითი, ან ქვევითი—ფეხით მიმავალი.

4. ღვდელს ჭილობშიაც იცნობენ.
5. ღვთის წყალობას ვერ ეტყვი, ისეთი კაცია.
6. ღმერთი ჭკუით იცნეს.
7. ღორივით მაღლა ვერ აიხედავს.
8. ღმერთმა ქნას, თქვენს თხას ტუჟი მოეგოს.

## ყ

1. ყვავს მავარდნადა ზრდიდნენ, იმას ისევ „ყრუნტ-ყრუნტ“ გა-უდიოდათ (ანუ: ის ისევ „ყრუნტ-ყრუნტს“ იძახოდათ).
2. ყველამ გულით იხარა, ცეცხლმა კი არა.
3. ყბედი ვინ მოღალა? და მუნჯმათ.
4. ყველი და პური—კეთილი გულით.
5. ყველასთან ქურდი ვარ, შენთან სწორე ვარ, თათრისა არ იყოს.
6. ყველას თავის დრო აქვს, ყველას თავის ვადა აქვს.
7. ყოველ კაცს ერთი რამ შნო აქვს.
8. ყოველ კაცს ერთი რამ წუნი აქვს.

## შ

1. შინ კატა ვერას შეუჭამს, გარეთ ძაღლი.
2. შენს სულგრძელობას ჩემი დღეგრძელობაც უნდა მოსდევდეს-და!
3. შუაკაცის [1]) გული ხალვათიათ.
4. შავ ღორას გინდა ალმა ჩაჰფხანე, გინდა დალმა.
5. შენს მუცელში ქორწილია, ჩემში ნიშნობაც არ არი.
6. შენ რომ სქელი ტანი გქონდეს, ჩემმა შეიდიშმა რა ქნასთ.
7. შვილი მამასა შვილის გაკეთებას ასწავლიდათ.
8. შინაური ქალი ელამია.
9. შენ ვინა გკითხავს ბარი ათ შაურად, თოხი სამ აბაზადათ.
10. შიშველი ასთ ცარცვეს, ცარცვეს, ვერ გაცარცვეს.

---

[1]) შუაკაცი—შუამავალი.

11. შიშველი ასჯერ გაცარცვიანო.
12. შინ რომ ყმაწვილებს ჰშიოდეთ, გარეთ ტაბლას რა უნდაო (ანუ: რა ხელი აქვსო).
13. შენგან არ მიკვირს?!
14. შორს მოუარე, შინ მშვიდობით მიდი.

## ჩ

1. ჩემს დღეში რომ სახლი ვაგო, შიგ როდისღა შევიდეო.
2. ჩხირი კედელს!
3. ჩიტი ნარზედ [1]) იჯდა და ბოლოს არიდებდა.
4. ჩემი ვირი კი მოკვდა და ეს ქალაქი რილის ქალაქიაო.
5. ჩემმა ენა ტიტამა თავში მღრიკაო.
6. ჩემმა გაჭირვებამ დიბა-სტავრა ატლასი მაცვეთინაო.
7. ჩემი შეჭედილი ხატის ამბავი მე უფრო ვიცი.
8. ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწო.
9. ჩვენი წველა ტალივითა, მეზობლისა წყალივითა.
10. ჩაილურის წყალი დალია.
11. ჩიტის სკლინტი აბაზიანი ჰგონია.

## ც

1. ცოლი გაეშო, ცოლის მამიდასა ჰყვარობდა.
2. ცხვარი რომ მობრუნდება, კოჭლი წინ მოექცევაო.
3. ცოდო—პატარძალია!
4. ცხრაასი წელი, ვითარცა ერთი წამიო, უთქვამს ნატუსალას [2]).
5. ცეცხლი და ნავთია!
6. ცოლ-ქმართ გამურელია!
7. ცრუ და მავნე შეიყარა.

[1]) ნარი—ეკლიანი ბალახი.

[2]) ნატუსალა—„დაბადების“ მათუსაილი.

8. ცხენს ვერა დააკლიან რა, უნაგირს გადასწყვდიანო.
9. ცხვირ ზევით არ აიცდენს.
10. ცოტა რამ კვერის [1]) დამკვრელის ხელშიაც არის.
11. ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაჰყოფს.
12. ცარიელ კაცს საბაყოზე მიუხარიდა.
13. ცარიელი სახელია, სახრავი კი არა.

## ძ

1. ძმამ ძმის ხორცი ღოღნა და ვერ ჩაყლაპა.
2. ძაღლს ძვალი არც ეთმობოდა, არც ეხრობოდა.
3. ძმასა ძმობილი რითა სჯობს, ძმაც არის და ძმობილიაცა.
4. ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება.
5. ძაღლსაც დიდი გული აქვს თავის კარებზე.
6. ძალი მოვიდა, სამართალი ბანში ავიდა.
7. ძაღლი პატრონს ვერა სცნობს.

## წ

1. წადგა მშიერი და ვერა ტიტველი.
2. წმინდი-გიორგის ცხვრისთვისა მგელს თვალები სცვიოდაო.
3. წელიწადმა მოიტანა, პეპელები წაიკიდნენ.
4. წყალი წყალია, წყალსაც მოტანა უნდა.
5. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.
6. წითელო ვაშლო, შენ გესვრი, თეთრო, შენ ჩამოჰვარდები.
7. წინანი—უკანა, უკანანი—წინაო.
8. წასვლა სჯობს წამავალისა, არ დახანება ხანისა.
9. წითელ კიდობანში შეინახა (ე. ი. შეჭამაო).
10. წითელო ხარო, ვერ შესძლებ შავი კამეჩის ბრძოლასა.
11. წყევლა უწყევარი არ არის და ლოცვა ულოცველი.
12. წყევლა მაწყევარსა.

---

[1]) კვერი—ჩაქუჩი.

13. წართვის სუფრაც მოჰბეზრდება კაცსა.
14. წითელი კვერცხი აღდგომისთვინაო.
15. წმინდა აზნაურშვილია (არაფერი არ აბადიაო).

## ჭ

1. ჭკუამ მოჭამა სოფელი, ვერც ხმალმა ამოღებულმა.
2. ჭიანჭველას თვალები არა ჰქონდა და ღმერთის ეხვეწებოდა, ფრთები გამომასხიო.
3. ჭკუას ძალას ატანს.
4. ჭირისუფალი არა ტირის, მოტირალს რა ატირებსო.
5. ჭირო, მეზობელთასაო.
6. ჭირი და ლხინი ორივ ძმები არიან.

## ხ

1. ხეკაკუნისა [1]) კაკუნი ბევრი გამიგონია, გათლილი ხე კი არ მინახავს.
2. ხატს შეეპუე, თავისი თავი ცხოველი ეგონება.
3. ხუცესმა უთხრა ხუცესსა: ალაში არის რუსეთისაო. — არ მეშორება-კია, თუკი არ მეჭორებაო.
4. ხუცესმა უთხრა ხუცესსა: ქორწილი არის რუსეთსაო. — შორი არ არი, თუ ჭორი არ არიო.
5. ხმა და რიხი როსტომს გიგავს, ტანადობა ტარიელსა.
6. ხარი სხვისა, სახრე ტყისა, დაჰკარ და გააწევინე.
7. ხემა თქვა: მე ცული ვერას დამაკლებს, ჩემი გვარისა რომ შიგ არ ეჩაროსო.
8. ხელი ფაფასა! (ე. ი. ხელი არ ახლოო).
9. ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო.
10. ხვალაც ამ თვისაა.
11. ხელი ხელსა ჰბანს, ორივე პირსა.

---

[1]) ხეკაკუნა—კოდალა

12. ხოხობივით თავსა ჰმალავს, ბოლოსა ჰშლის.
13. ხილი ჭამე, მეხილეს რას ჰკითხულობთ?

## ჯ

1. ჯერ არ ვარგა ნავში ჯდომა, მერე მენავესთან ბრძოლა [1].
2. ჯერ დედის ხსენი არ შეჰშრობია.
3. ჯერ აკიდებულს არ უვლია.

# სამეურნეო ანდაზები.

1. მამულ-მორეულს მტერ-მორეული სჯობია.
2. პატივმა თქვა: ერთსა ორად კი ვერ გავხდი და ორს კი დავამჯობინებო [2]. (ზოგი იტყვის: და ერთს კი დავამჯობინებო).
3. მიწას მიწა დააყარე, პატივად დაედებაო.
4. მიწა მოხან ნაგზაური, ყანა მოვა აზნაური.
5. ცოტა და კარგი ნახნავი სჯობს ბევრსა ხარვეჯიანსა [3].
6. ყანა უფრო კარგი მოვა ნაღრისაგან ნაზურგზედა.
7. ანეული—არეული, ფეტვი ზეზე მოხნული [4].
8. მიწამ ყანა გაგიკეთოს—ნუ ჩამოეკიდები, მოგიცდინოს—ნუ შემოსწყრები.
9. შვიდს მაისს რომ შვიდი ძირი ყანა იდგეს, ნურც აქებ და ნურც აძაგებ [5].
10. შენ რას იკვეხი, მამულო, ყანა ამინდის შვილია.

[1]) ჯერ არ უნდა ჩაჰჯდე ნავში და თუ ჩაჰჯდები, მენავეს არ უნდა ეჩხუბო, თორემ გკრავს ხელს და წყალში გადაგაგდებსო.

[2]) ე. ი. ერთს რიცხვით ორად ვერ ვაქცევ, ღირსებით კი ორს დავამჯობინებო.

[3]) ხარვეჯი (ქართლში იტყვიან—ხარვეზი, ფშავში—ხავრეზი)—ნახნავში რომ მოუხნავად ადგილი დარჩება, იმასა ჰქვიან.

[4]) იგულისხმება: უნდაო.

[5]) იგულისხმება: ყანასა, ანუ მოსავალსაო.

11. ყანამა თქვა: აპრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავისხი, თი-ბათვეში გული ჩავიდე და კათათვეში მოვიმკეო.

12. ჰოი, ყანაო, ყანაო, შენ აქ რამ მოგიყვანაო?
—ხარმა მხნა, კაცმა დამთესა, მეუფემ მომიყვანაო.

13. გამარჯვებულმა გუთანმა სამოცი [1]) კვალი მოხნაო.
ან ხარმა როგორ შეიძლო, ან მეხრემ, ან გუთნის-დედამ რა ქნაო!

14. აჩეჩამ [2]) უთხრა გუთანსა: გუთანო, პური მიტეხეო.
—აჩეჩავ, მაშინ სად იყავ, მე რომ ყამირი გავტეხეო.

15. გუთანს მომეტებული ხარი, წისქვილს მომეტებული წყალი არ მოსჭარბდება.

16. მტერს—ხმალი, ვაჭარს—თეთრი, წისქვილს—წყალი, გუ-თანს—ხარი [3]).

17. მოკლე მიწა თვალს ახარებს, გძელი მიწა ორმოსაო.

18. მიწას უთქვამს: ცუდად მომხან, კარგად დამფარცხეო.

19. გვიანა ნაფარცხი რომ გაგიკეთდეს, შვილს ანდერძად ნუ დაუგდებ.

20. ოცსა (ენკენისთვეში) ზოგი (თესლი) უნდა ჩადიოდეს, ზოგი ამოდიოდეს.

21. ქერმა თქვა: ლაფში ჩამფალ,—ხოვში [4]) ჩაგფლამო [5]).

22. კაბდომ იცის სამართალი: მაღალს-დაბალს გაასწორებს.

23. ნახნავი ასეთი უნდა, თვალი ვერ გადაგიწვდესო,
გაკეთებულსა ვენახსა ხალიჩაც გადაგიწვდესო.

24. ვაზმა თქვა: ნეტავი მე რომ ყვავილში შევიდე, ჩემი პატრონი ავად გახდეს: ვერც თითონ შემოვიდეს, ვეღარც სხვა შემოი-ყვანოსო.

25. ნაწვენი შემოდგომისა, ნაბარი გაზაფხულისა [6]).

26. კარგი ხარ, კარის მამულო, რომ არა გჭამდეს ქათამი.

---

[1]) ზოგი იტყვის: სამასი კვალი. ჩვეულებრივი გუთანი ჰხნავს 22—30 კვალს.

[2]) აჩეჩა—სახვნელი, ორხელა.

[3]) იგულისხმება: უნდაო.

[4]) ხოვი—ხვავი.

[5]) ე. ი. ქერი სველ მიწაში უნდა დაითესოსო.

[6]) იგულისხმება: უნდა.

27. ვენახში შეხვალ—შეგყვება, გამოხვალ—გამოგყვება.
28. წისქვილი სჯობს ვენახსა, რა გინდ წვრილად დაიფქოს.
აბა მალაპარაკე, სიტყვა სწორედ გაიგე.
29. საგსე ქვევრზე ბამბის ქულასაც არ დაახლიან.
30. თივა მთისა სჯობს, რეგვენო, პური და ღვინო ბარისა.
31. ძველი თივა ცეცხლია, ძველი ბზე - ვერცხლია.
32. სოლი - სამის წლისა, შორგვი—სამის დღისა, ფერსო მოსჭერ და ჩამოაგდე.
33. ფუტკარი ასი თვალი გყვანდეს—ერთი თქვი და ერთი გყვანდეს—ასი თქვი.
34. ხბო უნდა თებერვლისა, ციკან-კრავი მარტისა,
თუ რომ სადმე გაიზრდება, ტახი იანვრისა.
35. კაი მუშა და მძლე ხარი საღამო ხანს მოუმატებს.
36. ხარმა თქვა: ხარი ვერ მომკლავს,
თუ მეხრემ არ მიღალატა,
თუ მეხრე შემხვდა ხვთიანი.
37. ხარმა თქვა: ხართან შემაბი, ხარულად გამაწევინე,
ოღონდ ტოლს კი ნუ დამიდებ, დამკარ და გამაწევინე.
38. ხარმა ხარს დაჰპატიჟა და თივა მიართვა.—ნარი კი არ ურევია და რა გემო უნდა ჩავატანოთ!
39. კაი ხარი სახრეს არ დაიკრავს.
40. ბებერი ხარისა რქანიც ეწევიან.
41. ხარი მჭლე, ორმო მსუქანი [1]).
42. ერთის წლის ბერწობით ფური არ დაიკვლის.
43. კამეჩმა ჰკითხა კამეჩსა: მინდორში იყავი და როგორი ბალახიაო?
— ჭიანჭველა დაიმალებაო.—ოჰ, მაშ გემო აღარ ექნებაო.
44. კამეჩმა თქვა: რაკი ბალახში ჭიანჭველა დაიმალება, გემო წაუვაო.
45. კამეჩსა კალანჩხით ბზე არას უზამსო.
46. თუ გინდა რომ ზაქი კარგი კამეჩი დადგეს, საჯდომში [2]) ნუ შეაბამო.

---

[1]) იგულისხმება: უნდა.

[2]) საჯდომი იმ უღელსა ჰქვიან, რომელზედაც მეხრე დაუჯდება ხოლმე.

47. ცხენი მწოლიარე, ხარი მდგმოიარე [1]).

48. ქოროღლიმ თქვა: ყარაიის მინდორი კარგ ცხენს ეყოფა ერთ გაჭენებაზედაო.

49. ქოროღლის ჰკითხეს: კოჭ-მაღალი ცხენი სჯობია, თუ კოჭ-დაბალიო?—კოჭ-დაბალიო.—მაშ როგორ ყოფილა, რომ კოჭ-დაბალს უჯობნიაო?—ნაბიჯი დიდი ჰქონიაო.

50. კაი ცხენი მათრახს არ დაიკრავს.

51. ბებერი ცხენის თავი იერუსალიმში ცხრა ჯაჭვით აბია.

52. უგვარო ცხენსაო ნუ აჭმევ ქერსაო.

53. ქალი ქრმიითა, ცხვარი მთიითა (ანუ რქითა).

54. ცხვარმა თქოო: ღმერთო, ჩემს პატრონს ისე ნუ გაალარიბებ, რომ შემოდგომაზე მუცელი გამიპარსოსო, და ნურც ისე გაამდიდრებ, რომ გაზაფხულზე არ გამიპარსოსო.

55. ცხვარი შევიდა სახლში, დაინახა სიღარიბე და უთხრა: ადე სიღარიბევ, ამ სახლიდან გამეცალეო. სიღარიბემ უპასუხა: ცალ მხარეზედ მე დავდგები, ცალ მხარეზედ შენაო.—არაო, სულ უნდა დამიცალოვო.—მაშ ერთი ყუნწული მაინც დამანებე, რომ მივიყუნწოო.—არა, არა, ვერც ერთს ვერ დაგანებებ, სულ მე მინდაო.—რათ გინდაო?—აი ამისთვის მინდაო: ცალ ყუნწულში მე უნდა დავდგეო, ცალ ყუნწულში ბატკანს დავაყენებო; ცალ ყუნწულში მატყლი უნდა დავდო და ცალშიაც ყველიო.—მაშინ კი გაეცალა სიღარიბე.

56. მარტი კარგად გასულა და ერთს მეცხვარეს ბღავანი არ დაჰკლებია. მეცხვარეს დაუკვეხნია:

„ისე გავიდა მარტიო,
ვერ მოკლა ციკნის ბღარტიო!“

მარტს მოუვიდა მეცხვარეზედ ჯავრი, წავიდა გაჯავრებული და სამი დღე ისესხა თებერვლისაგან [2]). იმ სამს დღეს მარტმა ააყენა საშინელი ქარიშხალი, თოვლ-ჭყაპი და ბუქი.

---

[1]) ე. ი. კარგია, რომ ცხენს წოლა უყვარდეს, ხარს—დგომაო.

[2]) ამისათვის აკლია თებერვალს დღეებიო. ზოგი იტყვის ხოლმე: აპრილისაგან ისესხაო.

მეცხვარემ ვეღარ გაუძლო ცხვარი ფარეხიდგან და შიმშილით ეხოცებოდა. მაგრამ აი რა მოახერხა მეცხვარემ: ერთი კატა ჰყვანდა, ჩამოჰკიდა ის კატა ფარეხის შუა ბოძზედ, ტრიალებს ეს კატა და ჩხავის. ცხვარმა კატას დაუწყო ყურება: იმ სამს დღეს თვალი არ მოაშორა. ამ ყურებაში გაერთო, აღარ ამოი-ცოხნა, აღარ მოიმშივა და უზარალოდ გამოვიდა. მეცხვარემ აჯობა მარტს.

57. ღორმა თქო: თუ შემინახავ, მეც შეგინახავ, თუ არ შემინახავ და აღარც მე შეგინახავო.

58. ღორმა თქო: დამკალ და დამათვასეო.

59. ერთ კაცს გაუგზავნია მეორისათვის კაცი: კაი ჯილაგის ღორი გყავს და გამიცვალეო. იმას ერთი ხელსახოცი სიმინდი გაუგ-ზავნა: აი ეს აჭამე და შენც კარგი გეყოლებაო.

60. ღორსა ქეჩო უსველდებოდეს, გავა უსქელდებოდეს.

61. გიორგობულა [1]) გოჭიო—გაზაფხულზედ ღორიო.

62. გოჭსა სიმინდი ერთი კოდი უნდა გაუთავდესო [2]).

63. ღორი სადორეში არ შევა, სინამ ზურგზედ თოვლი არ დაე-დინებაო.

64. სამი დღის გოჭი სამი დღის სავალზედ წავაო.

65. ღორმა მოგება იცის კოჭამდის, ზარალი ყელამდის.

## ანდაზები ამინდსა და დროზე.

1. ახალ-წელიწადს დღესა ვირმა ბაგაზე შეატყო, რომ დღეს მო-ემატაო.

2. თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა,
ჩიტმა-ჩიორამა საძირკველი გადგა.

3. თებერვალში დღეს იმდენი ემატება, რასაც ბიჭი-ბატკანი გა-დახტება.

1) გიორგობულა გოჭი—გიორგობისთვის გოჭსა ჰქვიან.

2) სიმინდის ჭამას რომ დააწყებინებენ, იმ დროდამ, ვიდრე გოჭი მინდორზე გავიდოდეს.

4. ბზობასა და აღდგომას ერთნაირი დღე იცის.
5. გაზაფხული არ დადგება, სინამ გურჯი ძვალს არ გასტეხსო, უთქვამს თათარს.
6. მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებ.
7. მარტი ვარ ქალი ლამაზი, დღეში ცხრაჯერ მოვირთვები.
8. დღე გრილი შემოდგომისა, ღამე ბნელია, ტიალი.
9. ქრისტეშობისთვის თოვლი—გამოსული ლორი.
10. ბედნიერს უთოვლდეს (ანუ უწვიმდეს), უბედურს უქროდეს.
11. სინამ ღვდელი ჩაიცომს, ცაც შეიმოსება.
სინამ გაიხდის, ცაც გადიყრის.
12. ცის ელვა და დედაკაცის მუცლის ტკივილი ერთია.

## ზემო-რაჭული ლექსები-სიმღერები.

(შეკრებილი აფრასიონ ჯაფარიძის მიერ).

### I.

დიგორსა დასხდენ დიდი გე-
რჩეული ბადებლუანი, [ზირნი
მათ გამორჩევა შეექნათ:
ღები[1]) გვყავს საქონლუანი.
გზანი და გზანი არჩიეს
სვალად კირტიშოანი[2]).
კირტიშოს რომ ჩამოვიდენ,
გზანი დაუხვდათ წყლიანი,—
წყლიანი, ტალახუანი.
ზემოთით კაცი მოვიდა,
რომელს გაგნია ჰქვიანო,
ფიცხლავ შინისკენ გაფრინდა,
ვით შავარდენი ფრთიანი,
ციხის ხადგურას გავიდა,
მაღლა დაიწყო ხმიანი:
ვაჟებო ფრთხილად იყვენით,
საქმეა ღალატუანი.
ქვემოთით ვაჟნი მოვიდენ
შეკაზმულ ჯაფარუანი;
თან ახლდათ გამყრელუანი.
გამყრელიძესა აქებენ,
რომელს იასე ჰქვიანო,
ფრანგული ხრმალი გასტეხა,
სისხლი უყას აცხიანო.
გაუბედურდენ ოსები,
ლორის ნათხარში ჰყრიანო.

---

[1]) ღები—სოფელია [2]) კირტიშო—ადგილის სახელია.

გიჟობდა ჯანხოთიშვილო,
არ წასრულიყავ დებსათ,
გეჭამოს ქერის ქარჯინა [1].
ქვე მოსდგომოდე ცხვრებსათ.

## II

მაღლა მთას მოდგა
უცხო ფრინველი
თეთრი ფრთიანი.
ყღელეს [2] ჩამოდგა
დიდი ლაშქარი,
დიდი ლაშქარი—ოსი და დვალი.
ომი შეიქნა ცისკრის ჟამსა,
ცისკრის ჟამსა, გათენიასა:
ქნევა ხმალისა, ძგერა შუბისა.
ხმალი ორ პირი სისხლში სცურავდა,
შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა,
მესამე დღესა ჩამოცვიოდა.
ვაჟკაცთ ყვირილით მიწა იძროდა,
სისხლისა ღვარსა კაცნი მოჰქონდა.
ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი,
ოსი მოსდევდა, ვით რომ არწივი.
ჯაფარ, ვერ წახვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან
ლაშქრულს ანბავსა,
ლაშქრულს ანბავსა, წითელ კაბასა.
სიტყვა გათავდა, ჯაფარ წაიქცა,
ჯაფარ წაიქცა ხვეტი ოქროსი.
ომი გათავდა, ომი გათავდა,
აგერ მოდიან მოწითულები.
ჯაფარ მოაყვე:
თავი გოდრითა,
ტანი ლასტითა,
წვრილი წელები—
ხელკალათითა.

## III

### აღდგომის სიმღერა

ქრისტე აღსდგა, გვიხაროდეს!
მადლი მახარობელსათ.
რომელსა და რომელსათ?
ჩვენსა მახარობელსათ.
გაიხაროს ყოვლმა სულმა,
ყოვლმა სულმა—სულიერმა—
სულ ყველამ გაიხაროსო.
ჭინჭველა ფოლორცისმა,
იმანაც გაიხაროსო.
გუშინ ბიჭმა დედა-ბოზმა
ზეცის კარი გადიარა—
ტანსა ეცვა თეთრი ჩოხა,

---

[1]) ქარჯინა—პური ოსურათ—ქერის ფქვილისაგან გამომცხვარი პური. [2]) ყღელე—სოფელია ოსებში.

ქუდი მოქვარდიანა.
ნიავმა შეურხიათ.
ნიავ-წვრილი მზესა ჭყვარობს
და ქარ-ბუქი ავსა დარსა.
ავსა დარსა წვიმიანსა
კარგი დარი გვირჩევნია.
ავსა კაცსა ბიწიერსა
სათნო კაცი გვირჩევნია.
ბერსა ქალსა ბებერასა
ახალგაზრდა გვირჩევნია.
გვირჩევნია, გვრჩევნებია.
დიდსა ქვევრსა ცარიელსა
პატარ სავსე გვირჩევნია.
გვირჩევნია, გვრჩევნებია.

## IV

ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა,
ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედნი.
ბეჭდის თვალსა მოლი მოსრულა.
მოლითა შუა ნაძვი ასრულა.
ნაძვის წვერსა ქორის ბუდე ედგა,
ბუდე ედგა აბრეშუმისა,
კვერცხი ჰქონდა იაგუნდისა.
შვილი ჰყავდა მარგალიტისა.
ღმერთო! ერთი ჩემთვის გაზარდე,
გაზარდე და კარგად მიმყოფე,
სანადიროს გზა გაუწყოვე.
ვისადილე, ვისადილე—
ნასადილევს მოვკალ ირემი.
—ჩემო ცოლო, ხოხობო ჭრელო,
ამ ირემსა ბეწვი წაჰგლიჯე,
შენ იმისი ჩოხა დამირთე,
რა გადარჩეს—წინდა-პაიჭი.
—ჩემო ქმარო, ლომო და გმირო,
ალვის ხესა ტოტი მოსტეხე,
შენ იმასა სახლი დამიდგი,
რაც გადარჩეს—წისქვილ-ბედელი.

(ვარიანტი, ჩაწერილი დ არაყიშვილის მიერ. Народныя пѣсни Западной Грузіи, стр. 122).

ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა;
ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედი.
ბეჭდის თვალსა მოლი მოსრულა;
მოლის პირსა ბოსტანა იდგა;
ბოსტანასა ნაძვი ასრულა;
ნაძვის წვერსა ქორ-ბუდე იდგა;
ბუდე იყო აბრეშუმისა;
კვერცხი ედვა იაგუნდისა;
შვილი ჰყავდა მარგალიტისა.
ღმერთო! ერთი ჩემთვის გაზარდე,
სხვა ათასი სხვისთვის გაზარდე,—
გაზარდე და გზა გაუწადე,
სანადიროთ წასულიყოს,
მოკლას ირემი,
მოიკიდოს, შინ წამოიდოს.
ჩემო რძალო, ლერწამ ტანისა!
ამ ირემსა ბეწვი წაგლიჯე,
ამ ბეწვისა ჩოხა და შართი.....

(ამავე ლექსის ვარიანტი, სვანეთში ჩაწერილი ზ. ფალიაშვილის მიერ).

ქალსა ვისმე ერქვა შურმანა;
ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედი,
ბეჭდის შუა ბოსტანა იდგა,
ბოსტანას შუა ნაძვი ასრულა;
ნაძვის წვერსა ქორს ბუდე ეგო—
ბუდე იყო აბრეშუმისა;
კვერცხი ჰქონდა მარგალიტისა,
შვილი ჰყავდა იაგუნდისა.

---

## ხალხური ლექსები

(სამესხეთში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ).

მკითხავი, მოპასუხე და დამსწავლი,
ეს სამნი ამხანაგნი არიან.

მოდი ვნახოთ ვესახი, რამ შეჭამა ვენახი?
თხამ შეჭამა ვენახი.
თხა, თხა, თხამ ვესახი შეჭამა.
მოდი ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა?
მგელმა ჭამა თხა.
მგელი, მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი?
დათვმა ჭამა მგელი.
დათვი, დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახოთ დათვი, რამ შეჭამა დათვი?
თოფმა ჭამა დათვი.
თოფი, თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახოთ თოფი, რამ შეჭამა თოფი?
ჟანგმა ჭამა თოფი.
ჟანგი, ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ჟანგი, რამ შეჭამა ჟანგი?

მიწამ ჭამა ჟანგი.

მიწა, მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ მიწა, რამ შეჭამა მიწა?

თაგვმა ჭამა მიწა.

თაგვი, თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ თაგვი, რამ შეჭამა თაგვი?

კატამ ჭამა თაგვი.

კატა, კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ კატა, რამ შეჭამა კატა?

მელამ ჭამა კატა.

მელა, მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ მელა, რამ შემჭამა მელა?

ძაღლმა ჭამა მელა.

ძაღლი, ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ძაღლი, რამ შეჭამა ძაღლი?

ვეფხვმა ჭამა ძაღლი.

ვეფხვი, ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ვეფხვი, რამ შეჭამა ვეფხვი?

ვიგრმა ჭამა ვეფხვი.

ვიგრი, ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ვიგრი, რამ შეჭამა ვიგრი?

ლომმა ჭამა ვიგრი.

ლომი, ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ლომი, რამ შეჭამა ლომი?

ხმალმა ჭამა ლომი.

ხმალი, ხმალი, ხმალმა ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ხმალი, რამ შეჭამა ხმალი?

ცეცხლმა ჭამა ხმალი.

ცეცხლი, ცეცხლი, ცეცხლმა ხმალი, ხმალმა ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ცეცხლი, რამ შეჭამა ცეცხლი?

წყალმა ჭამა ცეცხლი

წყალი, წყალი, წყალმა ცეცხლი, ცეცხლმა ხმალი, ხმალმა ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა *).

## ამირანის ლექსი

სანადიროდ გაემგზავრნენ ამირან და ძმანი მისი,
მთას ირემი ჩამოუხტათ, ოქრო იყო რქანი მისი,
ამირანმა ბოძალი ჰკრა, დაუკოდა მხარი მისი,
გაექცა და დაედევნენ, სულ არ გაწყდა კვალი მისი.

*) ეს ლექსი ვარიანტია უკვე ცნობილის და „დედა-ენაში" დაბეჭდილის ლექსისა ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ. რედ.

ცხრა მთა გადაარბევინეს, მეათე არს ასურისი,
მინდორს ერთი კოშკი ჰპოვეს, ცას სწვდებოდა წვერი მისი,
გარ მოუარეს, უპოვნეს დაკლიტული კარი მისი,
ამირანმა წიხლი დაჰკრა, შეამტვრია კარი მისი.

—

კარს უკანა მკვდარი ნახეს, თურმე იყო ადამ წლისი,
ხელშიგანა წიგნი ჰქონდა, დანაწერი ქაღალდ მისი,
წაიკითხა ამირანმა, შიგ ეწერა გვარი მისი,
არც ისე დაკარგული ვარ, ძმის წული ვარ უსუპისი.

—

სანამ ვიყავ მტერი ვსრისე, მე არ წამყვა ჯავრი მისი,
ერთი ბაყბაყ დევი დამრჩა, არ დამცალდა მოკვლა მისი,
ვინც რომ მე იმას მომიკლავს, ჩემი ხმალი იყოს მისი,
ვინც ჩემს ცოლ-შვილს შეინახავს, ჩემი საყმო ჰალალ მისი.

—

მკილდ-ისარი ლახტ-ფარითა მიმიცია, იყოს მისი,
კარებს უკან შუბი არის, იყოს ის შუბიცა მისი,
ყველაფერი მიმიცია, ჯაჭვ-აბჯარიც იყოს მისი,
ყველას ვალი გარდუხადე, წამყოლია არავისი.

—

ამირანმა შეიხედა. მთანი გრგვინვამდენ, კიოდენ,
დადგა მტვერი საშინელი, სულ ქვა და ლოდი ცვიოდნენ,
ამირანი შეიჭურვა, გამარჯვებისთვის ცდილობდნენ,
მტერი მოადგა ანაზდად, კოდალ-ბოძალნი წყვილობდნენ.

—

ამირან დევი შეიბნენ, მთა-ბარს გაჰქონდა გრიალი,
ფარ-ხმალი ლეწეს, ანჩხვრიეს, მოიღრუბლა ცა კრიალი,
ამირანმა დევს აჯობა, ადგილი შეხვდა ფრიალი,
დასცა და ბეჭში მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი.

# ავარული სიმღერა კახეთის დარბევაზე[1]).

ყური დამიგდეთ, ხალხნო, გიამბობ ჩვენის მხედრების მამაცობასა, კახეთში რომ გამოიჩინეს.

შეკაზმეს ინდირეში ნარჩევი ცხენები, დაადგეს უცხო ჩერქეზული უნაგირები, აირჩიეს დაუცდენელი ყირიმის თოფები, შემოირტყეს ბასრი ხმლები, ჩაირჭეს ქამარში დამბაჩები და გასწიეს მცირე რაზმად მორეულ კახეთისაკენ. წინ მიუძღოდათ კოჭლი რაჯაბადინ. მათი მოუსვენარი, ლაგმის მღრღნელი ცხენები კაცებს დასჭამდნენ.

გადავიდნენ ალაზანს, გაიარეს შირაქი, გავიდნენ ქაბრისა (იორსა) და შევიდნენ მამაცნი შიდა-კახეთში. დაარბიეს შიდა-კახეთი და იშოვეს უხვი დავლა. აიკლეს ოქროს ჩარდახიანი კოშკები; შეიპყრეს ლამაზი ქალები, თმა-შეღებილები; დახოცეს ვაჟ-კაცნი, ულვაშ-შეღებილები; შეღორე ბიჭები ხელ-შეკრულნი წინ გაიგდეს; და ლამაზი ქალები კოშკებში ნატყვევები უკან შემოისვეს.

ასეთის ალალის ნადავლით მცირე რაზმი მოკლე გზით რომ შინისკენ მოდიოდა, შეკრთა რაჯაბადინ და სთქვა: „ღმერთმა დასწყევლოს ეს ქვეყანაო!“ ვირმა ქართველებმა თურმე წინ უჟელეს: ცალ მხრივ მეფე ერეკლემ, ცალ მხრივ აზნაურებმა.

მუსალ ადალოვის რჩევით მამაცნი საფრების აგებას შეუდგნენ, და კოჭლი რაჯაბადინის ბძანებით ხმლებს ლესვა დაუწყეს.

შეუთვალის რაჯაბადინ მტერსა: „ძლიერო მეფევ ერეკლე, მოგვეც გზა, დედის ერთანი ვართ! ჩამოდექით, აზნაურებო, ჩვენის ერთგულ ცოლების სასურველნი ვართ!“

---

[1]) ეს სიმღერა გადმომცა ბ-ნმა ფირ-ალი ემიროვმა, ტომით ლეკმა და დაღესტნის ოლქის მოხელემ.

ალ. სარაჯიშვილი.

— თუ დიდის ერთანი ხართ, შუაზე დაგჩეხთ და ორად გაქ-ცევთ: თუ თქვენის ერთგულ ცოლების სასურველნი ხართ, თქვენს ტანს აქ დავაგდებთ, თავებს კი იქ გავუგზავნით.

ასეთი მკაცრი პასუხი რომ გაიგო, შედგა რაჯაბადინ მაღალ გორაზედ და ვაჟკაცებს გადმოსძახა: „თავი გამოიჩინეთ, მამაცნო! ვინც დღეს მტერს შეაკვდება, მისი სახელი სამუდამოდ გაითქმის!“

ხანჯლებით დასჭრეს ბელტები და ააგეს საივრები. სიცა დააკლდათ საფარი, დაჰკლეს ცხენები და ამოავსეს. საივრებზედ ამართეს ბაირაღები.

ვინც შიმშილმა შეაწუხა, ცხენის ხორცი სჭამა; ვინც წყურვილმა შეაწუხა, ცხენის სისხლი სვა; ვინც წყლულმა შეაწუხა საფარებში ჩაწვა. დაიგეს ნაბდები, ზედ წამოყარეს ტყვია-წამალი, და უშიშრად ისროდნენ შორი-შორს, მაგრამ დაუცდენელად.

საკვირლად იბრძოდნენ კოჭლი რაჯაბადინ და მისი მამაცი ამხანაგები მუსალ-ადალოვ, ალიბეკგილოვ და ისალ-მაჰამა. ამ ოთხის ვაჟკაცის გულადობისა და სიმარჯვის მნახველი, გაიხვნა ცა და გაოცებული ჰურიები[1]) და ანგელოზები მათ დასცქეროდნენ.

მათი ბრძოლა უჰუდის ბრძოლას არ ჩამოუვარდებოდა[2].) რაჯაბადინის ხმალი ალის ზურფუყანს არ ჩამოუვარდებოდა[3]).

ასე რომ იბრძოდნენ, მოესმათ ერეკლე მეფის ძახილი: „სადაურია ეგ მცირე რაზმი? ვინ არის და სადაურია თქვენი მამაცი ბელადი?

— ეს მცირე რაზმი უნსუკულებისა და ბალახნელებისაა, და ბელადად გვყავს გულადი რაჯაბადინ.

— არ ვიცოდიით, ეუბნება ერეკლე, რომ უნსუკულები ყოფილხართ, ხუნზახელები გეგონეთ. რომ გვცოდნოდა, ბალახნელები ყოფილხართ, სულაც არ გეომებოდით. მოდი, რაჯაბადინ, შევრიგდეთ, ჩვენს მამა-პაპებსაც ზავი შეუკრავთ. განათავისუფლე ჩვენი ტყვეები,

[1]) სამოთხის ახალგაზდა ქალები.

[2]) უჰუდის მთა, სადაც მაჰმადი ებრძოდა მექელებს და დაიჭრა.

[3]) ზილ-ფუხარ—ხმალი, რომელიც ღმერთმა ჯიბრეილ ანგელოზის ხელით მისცა მაჰმადს. მოციქულმა ეს ხმალი აჩუქა თავის სიძეს ხალიფას ალის.

ჩვენს მამა-პაპებსაც უთავისუფლებიათ. თუ ვერცხლი გინდა, ჩანახით მოგცემ, თქვენი იარაღის შესაჭედად; თუ ოქრო გინდა, მუჭით მოგცემ, თქვენი ქალების საჩუქრად; ქალები გინდა, მზეთ-უნახავებს მოგცემ, უმაწვილი კაცები გინდა, თავადიშვილებს მოგცემ.

— არ მინდა, ვირო ქართველო, არაფერი შენი ზავი. შენ ოქროსა და ვერცხლს იძლევი, ღმერთი კი, ჩვენ რომ დავიხოცებით, ფირდაუზს [1]) მოგვცემს. შენ გოგო-ბიჭებს იძლევი, ღმერთი კი, ჩვენ რომ დავიხოცებით, ჰურიებს მოგვცემს. ჩვენს შორის ზავი გრძელი ხმლებია, ერთმანეთს მიჯახებული. ჩვენი მოყვრობა, მამა-პაპის ნასისხლერძევი, ერთმანერთში გაცვლილი ტყვიაა.

კვლავ გაგრძელდა ომი. მეტად შეაწუხა ჩვენი მამაცები ტყვიამა, ზევიდან რომ მოდიოდა და გულში ხვდებოდა. მეხედეს, ნახეს მაღალს ხეზედ შემჯდარა ამაყი მტერი და ძნელი მაშხანა მოუმარჯვნია. რაჯაბადინს ჰქონდა თეთრ-კონდახიანი, ზარნიშნიანი სტამბული. ახსენა ღმერთი, დაუმიზნა და სტყორცა ტყვია მტერს გულში. იმ წამსვე ყირამალა ჩამოვარდა ხიდან მტერი.

მაშინ დაიკივლა რაჯაბადინ: „აბა, ბიჭებო, გაძარცვეთ ეგა! აბა დაუშინეთ თოფი, გაუსვით ხმალი! ღმერთმა მოგვხედა“! მამაცების მარჯვე სროლამ და ხმლის ქნევამ თავზარი დასცა ერეკლე მეფეს, სრულებით დაიბნა და თავში წაიშინა.

აგერ უგზავნის იფრინდას ქალაქში ლევან ბატონიშვილსა, სთხოვს ჩქარა მოაშველოს რაც რამ ჯარი ჰყავს. მეფის ჯარები დაბანაკებულან ფარაჯის კარვებში და თვით ერეკლეს თავის ხალათების კარავი დაუდგამს. კარვების სიმრავლე თითქო ლურჯ ცაში ვარსკვლავიაო.

ახლად მოვიდნენ ჯარები, სიმრავლით თითქო ფოთოლი ჩანჩის ტყისაო. თან მოაქვთ მრავალი საპალნე ბაჯაღლო ოქრო, სურსათი და ტყვია-წამალი. მოაქვთ ვეება ზარბაზნები ცის კამარის ქვეშ მგრგვინავი, საზარელი ფილთა-მეხები მიწის გამგლეჯი.

რაჯაბადინმაც სწრაფად შეკმაზა ცხენი და თავის ძმას უთხრა: „წადი, ძმაო, ჭარელებთან. ჩემ მაგიერ მოიკითხე. უთხარ, ქართველები კარს შემოგვხვევიან-თქო. ხვალ შუადღემდის აქ გაჩნდნენ, შუადღეს არამც და არამც არ გადასცილონ. ტყვია-წამალი გამოგვლევია

[1]) სამოთხე.

და ხმლებით დაგვმსხვრევიათ-თქო. მეტად შევიწროებულვართ თქვენი მოყვრები-თქო“.

თავით ფეხამდე შეიარაღებული უმცროსი ძმა შემოახტა თეთრ-ქაჩაჩიანს ცხენსა და გაექანა ველის ქარსავით. სამი დღის სავალი შუადღემდის გაიარა. შუადღეს მივიდა ჯარსა, სალამი მისცა ჯარელ ვაჟკაცებს და მათის მოყვრების გაჭირება უამბო.

რა შეიტყეს ჯარელებმა რაჟბადინის გაჭირება, ფერმა გადასჭკრა. დაუწყეს კაზმვა ნასუქს ცხენებსა, თან ხელებს უტყაპუნებდნენ. შუადღემდის დაჭედეს. შუადღის უკან ჯური გამოაცხეს და, რა შებინდდა, გაელაშქრნენ.

ძმის მომლოდინე რაჟბადინ ამბობს: „დაჩოქილი ვისვრი დაუღალავად, რატომ არ მოდის ჩემი ძმა? თავზედ ქუდები დაგვაგლიჯეს, რატომ არ მოაჯენებენ ჯარელები?“ არ ასვენებენ რაჟბადინს ახალგაზდა ამხანაგები, ომის შეუჩვევლნი.

ღმერთს შევედრა: „დიდებულო, ძლიერო ალლაჰო, მოგვეც ძლევა ურანისაგან დაწყევლილის მტრისა! მოგვეც ღონე გავუწიოთ ღაზავათი და დავუხოცოთ ბელადები!“

ამ დროს უცბად მოისმა ქედის ძირს გრიალი. მოიხედა რაჟბადინ, ნახა მოჰქრის ფოთოლსავით თეთრ-ქაჩაჩიანი ცხენი, ზედა ზის უმცროსი ძმა სწრაფი ელვასავითა, უკან მოსდევენ, ვით სეტყვა ელვას, ყოჩაღი ჯარელები.

უმცროსმა ძმამ რაჟბადინს მისცა თუ არა სალამი, დაეცა ვირს-ქართველებსა, ვით არწივი ფრთა-შეკეცილი, და ცხენის ფეხით გასთელა ერეკლე მეფის კარავი.

ჯარელები დაერივნენ ქართველების ბანაკსა, ვით მგლები ფარეხსა, და მათ ბელადებს ყელი გამოსჭრეს. როგორც შემოდგომის ქარი გაახნევს ფოთლებსა, ისე გაიფანტნენ დამარცხებულნი ქართველნი.

იყოს ხსენება გულადის ბელადებისა. მოლლაჩილოვ საუკუნოდ დარჩა შიდა-კახეთში; მუსალ-ადალოვს თავი მოსჭრეს; ალი-ბეგილოვ გაატყავეს და კოჭლს რაჟბადინს ტყვით მუხლი გაუხვრიტეს.

ნუ თუ შენ, მუსალ-ადალოვ, მსგავსო ლომისავ, ოქროს მაგალითო, დარჩი შიდა-კახეთში? ნუ თუ შენ, ნორჩო ლომო, ისალმაჭამა, დარჩი კახეთში? დაიქცეს ალაზნის პირი, სადაც შენ ბევრჯელ გიდავლია! გახმეს შირაქი, სადაც ბევრჯელ გინავარდნია!

## იმავე სიმღერის ვარიანტი

შეკაზმეს მამაცებმა ცხენები, ჩაჩანში ნარჩევი, დაადგეს ლამაზი უაბარდოული უნაგირები.

ამოირჩიეს დაუცდენელი ყირიმის თოფები, შემოირტყეს ბასრი ხმლები და გასწია რაჯბადინ შორეულ კახეთისაკენ.

ალაზნის პირს გარდაიხადა ნამაზი, იორის პირს ილოცა და შეევედრა ალლაჰს მოეცა ლაშქრობის ბედი, როგორც სარდალს ზირარსა მოციქულის დროს.

დაეცნენ მახლობელ კახეთსა და მოხვეჭეს უხვი დავლა.

მერე დაეცნენ შორეულ კახეთს, დატრიალდნენ გრიგალსავით. რაჯბადინმა მაღალ კოშკიდან ჩამოიყვანა ამაყი თავადის ქალი და ცხენზე უკან შემოისვა, სხვებმა შეიპყრეს მისი მოახლეები.

წინ გაიგდეს დიდრონი, რქა-გრძელი ხარები.

ალალის და ძვირფასის ნადავლით წამოსულნი, ულელტეხილის ძირს ჩამოხდნენ დასასვენებლად. დაღალულს მამაცებს მალე დაეძინათ. აი სიზმარში ხედავს რაჯბადინ, კლდის-კარი ზვავით ამოვსებულა, შარა-გზა მტერს საფრებით გადაუჭრია.

შეკრთა რაჯბადინ. ნახა მოდიან აზნაურები, დაუყვირა ამხანაგებსა: „ადექით, მეგობრებო, მოგვეწია მდევარი! არიქა, ძმებო, შემოგვეხვივნენ აზნაურები!“

სწრაფად წამოხტნენ ყველანი, საომრად გაეწყვნენ და მტერს შეუთვალეს: „გაგვიშვით ჩვენს გზას, ნუ დაგვაყოვნებთ, დიდის ერთანი ვართ და ჩვენის ერთგულ ცოლების სასურველნი“.

მტერმა ასე უპასუხა: „თუ დიდის-ერთანი ხართ, შუაზედ დაგჩეხთ და ორად გაქცევთ; თუ თქვენის ერთგულ ცოლების სასურველნი ხართ, თავებს დაგაჭრით და საჩუქრად გავუგზავნით“.

რა ნახეს მამაცებმა რომ მტერი არ დაინდობს, გაიფანტნენ მაღალს გორებზე და გაიკეთეს საფრები. სადა საფარი დააკლდებოდათ, ლამაზს კახელ ქალებს ყელს გამოსჭრიდნენ და ამოაგებდნენ, ან მძიმედ დაჭრილს ამხანაგს დასდებდნენ. მსუბუქად დაჭრილნი კი თოფებს უტენავდნენ.

ვით ლომი იბრძვის ქედზე შემდგარი, ისე იგერებდა მტერსა

ჩვენი კოჭლი რაჯაბადინ, და ვით ლომის ლეკვები ლომის მიხედვით იბრძვიან, ისე ისროდა ამაყად თოფსა მისი მცირე რაზმი.

მათის სროლითა და ხმლის ქნევით გაკვირვებული მტერი იძახის: „ვისია ეგ მამაცი რაზმი? ვინ არის და სადაურია მისი ყოჩადი ბელადი?“ და უპასუხებენ: „მამაცი რაზმი ბალახანლებისა და უნსუკულებისაა, და ყოჩადი ბელადი კოჭლი რაჯაბადინია!“

და კვლავ გაგრძელდა ომი. მტერმა გაგზავნა ივრინდა ტფილისს ერეკლე მეფესთან. აცნობეს: გულადს მთიულებს მაღალი მთები დაუჭერიათ, მიუვალ ქედზე ჩასაფრებულან და ვერ დაგვიძლევიათო.

აგერ გამოჩნდა გულფიცხელი ერეკლე, მოჰყავს ჯარები კორდის მოლსავით მრავალი, მოაქვს ზარბაზნები ცის ვარსკვლავებსავით მრავალი, შეუთვლის მთიულებს მუქარას: „თუ ფრინველებსავით ფრთები არ გასხიათ, თავზე ხომ ვერ გადაგვაფრინდებით; თუ თაგვებსავით მიწაში არ ჩაძვრებით, ხომ ვერსად წაგვიხვალთ, ჩვენი ქვეყნის მძარცველნო!?“

და რაჯაბადინმა: „განა ფრთებად არ გამოგვადგება ჩვენი მისრული ხმლები, ქართველ ქალებზედ გალესილი? განა მიწაში არ გაგვაძვრენს ჩვენი თეთრ-კონდახიანი ყარიმები, ქართველ ვაჟკაცის ფასად ნაყიდი?“ და კვლავ შეება ფიცხლად მტერსა.

რა ნახა მტერმა რაჯაბადინის სიმარჯვე, დაიწყო ყვირილი: „სადაურია ეგ შეუდრეკელი რაზმი? ვინ არის და სადაურია მისი ყოჩადი ბელადი?“

— ეს შეუდრეკელი რაზმი ბალახანლები და უნსუკულები არიან, და მათი ყოჩადი ბელადი კოჭლი რაჯაბადინია!

მტერი ეხვეწება: „თქვენს ელვარე ხმლებზე ხუნძახელები გვეგონეთ, არ ვიცოდით, რომ ბალახნელები ყოფილხართ. არა სჯობს, რაჯაბადინ, შევრიგდეთ? თუ ქალები გინდა, მოგცემთ ლამაზებში რჩეულებს, ტან-წერწეტებს, კაბაში გამოჭიმულებს. თუ ვაჟები გინდა, მოგცემთ თვალ-ტანადს ვაჟკაცებს, ჩექმებიანებს. თუ ხაზინა გინდა, მოგცემთ საპალნეებით, ოქროთი აგივსებთ ყველას ხურჯინებს“.

უპასუხებს რაჯაბადინ: „არ გვინდა თქვენთან არავითარი ზავი. საიქიოს ჭურიები გვირჩევნია თქვენს ლამაზ ქალებს და ვაჟებსა; ფირდოუზ სამოთხე გვირჩევნია ყველა თქვენს ხაზინასა და საუნჯეს. ჩვენს

შორის ზავი იმში ტყვიის გაცვლაა, სხვა ზავი ჩვენს წინაპრებსაც არა სცოდნიათ. კარგი ზავი ჩვენს შორის ხმლის ტრიალით შეიკვრის.

სთქვა და იწვადა ხმალი რაჯაბადინ და გრიგალსავით დაეცა მტერსა, დაერია ვით არწივი გნოლებსა; მას მიჰყვა მისი მცირე და მარჯვე რაზმი ვით არწივის ქულა არწივსა.

რა ნახა მტერმა მთიულების გულადობა და შეუპოვრობა, დაუწყო ფიცვა რაჯაბადინს ჯვრისა და სახარებისა, ამ ჟამად ხელს არ გახლებთ და ავს არას გიზამთო.

დაუჯერა რაჯაბადინმა ურჯულო ფირებს ქართველებსა და თამამად და ამაყად წადგა მტრის რაზმის წინ. გაფითრდა მტერი რა ნახა გმირი. ერეკლემ კი უთხრა: „აბა რაჯაბადინ, გვიჩვენე შენი ბასრი ხმალი, რომლითაც იმდენი მტრის თავი მოგიკვეთია და იმდენა სისხლის ღვარი გიდენია“.

იმ წუთშივე იწვდო ხმალი რაჯაბადინმა და დაუგდო წინ მტერსა. უფრო გაფითრდნენ ურჯულო ქართველები და შიშით აკანკალებულმა მეფე ერეკლემ სთხოვა რაჯაბადინს ისევ ჩაეგო ქარქაშში თავისი საშინელი ხმალი.

ბრძოლის დროს რაჯაბადინს სცვივა ნაპერწკალი, თითქო რკინით შეჭედილიაო; თავზე ასდის ალმური, თითქო გახურებული ქვაბიაო.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ამ სიმღერაში აწერილი დარბევა კახეთისა ერეკლე მეფის ხანგრძლივს მეფობაში მომხდარა და, თუ დავიჯერეთ სიმღერის სიტყვა, ვითომც მეფემ გაჭირებულს ბრძოლაში საშველად იხმო თავისი შვილი ლევან; მაშინ დარბევის დრო მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ლევან ბატონიშვილი მოკვდა 1781 წელს, ოცდახუთის წლის ვაჟკაცი. სამოცდაათიანი წლები იმითაც არის უპრიანი, რომ ამ დროსვე, სახელდობრ 1774 წ., ერეკლე მეფემ დააწესა თავისი მორიგი ლაშქრობა, და შესაძლებელია, კოჭლი რაჯაბადინის ყაჩაღების ბრბოს სასტიკი დამარცხება ამ ახლად დაარსებულმა მორიგემ მიაყენა და იმიტომაც დარჩათ ლეკებს ეს ამბავი აქამდის სახსოვრად.

რაც უნდა იყოს „ქართლის ცხოვრებაში“ არ იპოვება არც ამ დარბევის ამბავი, არც ბელადის კოჭლი რაჯაბადის ხსენება და არც მისის თოხის ამხანაგისა, ამ დარბევის დროს რომ დახოცილან. ალბათ ეს დარბევა ერთი იმ მრავალთაგანია, რომლითაც სავსეა ერეკლე მეფის დრო და რომელიც თავის თავად არაფრით არ გაირჩევა სხვებში.

თუ ზემოყვანილი სიმღერა ვერ გვასიშნებს განკერძოებულს ისტორიულს ფაქტს, მაინც ჩვენთვის საყურადღებოა, მით რომ ტიპიურად გვიხატავს ჩვენის წარსულ ცხოვრების ხანგრძლივს და განუწყვეტელს მოვლენას, ჩვენს საუკუნო ბრძოლას ლეკებთან. ავარული სიმღერა ამოწმებს ამ ბრძოლის საერთო ხასიათს, რომელიც ცხადად სჩანს „ქართლის ცხოვრებაში“ ნაამბობის მრავალ ნარბევებიდან.

პირველი საერთო თვისება ლეკების დარბევისა ის იყო, რომ ყველა მათი მცარცველი ბრბო პოულობდა შველასა და საფარველს ჭარში. ეს ლეკებითვე დასახლებული ღონიერი სოფელი ბრბოს გალაშქრებისათვის საუცხოო სამყარი იყო, კახეთის კარზე მიყენებული.

მეორე თვისება იყო სრული უმწეობა და მოუმზადებლობა საქართველოსი ამ დარბევების ასაცილებლად. ლეკები დაეცემოდნენ დაუბრკოლებლივ რომელსამე მხარეს, აიკლებდნენ, დაატყვევებდნენ ქალსა და კაცს, წაასხამდნენ საქონელს და წავიდოდნენ ნადავლით დატვირთულნი. მაშინღა გამოვიღებდით ხელსა და გამოვეკიდებოდით მძარცველებს და თუ ნადავლს დავაყრევინებდით, დიდს გამარჯვებად მივიჩნევდით. იმისთვის კი რომ არ მიგვეშვა ლეკები აკლებამდე, წინ დავხვედროდით და გაგვეწყვიტა ავაზაკების ბრბო, არა გვქონდა არც შეძლება და არც უნარი. ასე ვიგერებდით უძლურად ლეკების დარბევას და მათზე გალაშქრებასა და მათის ბუნაგების ამოთხვრას ვინღა გაბედავდა!

დასასრულ, შესანიშნავია ის ღვარძლი, მტრობა და ზიზღი ქართველებისა, რომლითაც გაჟღენთილია ეს ავარული სიმღერა: ქართველის სახელს ისე არ ახსენებს, რომ ვირი არ დაუმატოს; თავისი ხმალი ან თოფი ისე არ მოაგონდება, რომ არა სთქვას ქართველის ქალზე ან ვაჟზე გაცვლილი. ეს თავისებური აღებ-მიცემა ლეკებს აქამდინაც არ დავიწყებიათ.

ალ. სარაჯიშვილი.

# ხალხური ლექსები

(ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ)

## ისტორიული ლექსები

### 1

### თამარ დედოფალი

თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ძირს აღარ დავიღე,
სტამბოლს ხმალი ვკარ, დარუ-
შამს საბალახე ავიღე. [ბანდს,
ზღვაში სამნები ჩავყარე,
ხმელეთი ჩემსკენ დავიგდე.
უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარა-გზა გავიღე;
ლადა-ღუდა ტყე ვიარე,
ქვაზედ საყდარი ავიგე.
ამ საქმეების მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

### 2

### რ უ ს უ დ ა ნ ი

ჩვენს იქით ერთი ველია,
ია და ვარდი ჰფენია,
შიგა დგას დევი, თათარი,
გარს ყმანი დაუყენია.
გასწყრა, გაჯავრდა რუსუდან,
სულ დაიფანტა ყმანია:
ჩემსა შიკრიკს დამიძახეთ,
სუ მამიჩემის გვარია!
ვხოცოთ და ვხოცოთ თათარი,
როგორც შულუდა ხალია,
გამექცა ერთი თათარი,
მეგონა ცხენის ნალია,
გამოვუდექი, შემოვკარ,
კბილებში მოვწყვიტე თავია.

### 3

### ქეთევან დედოფალი

ორშაბათ დილა გათენდა,
ღრუბელი, აყი დარია,
მდევები ერთათ შეიბნენ,
მიწა დაიძრა წყალია.
თოფის ხმა ქუხილად მოდის,
ნეტავ რა ქარიშხალია?!
იმისი ცოლი ჩიოდა,
ძრიელ ყმაწვილი ქალია,
ამისი სახელი არის
ქეთევან დედოფალია.

4

### მარიამ დედოფალი და მეფე სოლომონ

ნეტა რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა?
დედის მუცლიდან მობილი —
მარიამ დედოფლისთანა?
მიწაზედ აშენებული —
სომხითში თელეთისთანა?
ულვაშ კოკორი უმაწვილი —
ი მეფე სოლომნისთანა?

5

### ფარსადან ხელმწიფე

ჩვენსა ფარსადანს ხემწიფეს,
ჭკუა რამ შეუშალაო?
ღელეში გზები შეკვიგრა,
კაცი არ გაატარაო.
სამი ათასი თუმანი
თავის ქალს გაატანაო.
გაუხტა როჭიკაანთა,
იწია ხმალ-და-ხმალაო.
—ბიჭო, დაგვეხსენ, ფარსადან,
ხუმრობაი ეგა კმარაო!
გაუხტა ციციაანთა,
წყალს აქეთ გადმოყარაო,
პებნისი იმას აჩუქა,
ქარელი დაიტანაო
კარზედ გამართა წისქვილი,
ზედ წყალი გადიყვანაო,
უსურ-უსური ვაჟკაცი
სკოლაში გააბარაო.

## ერეკლესა და მისა ომების შესახებ მტრებთან

6

### ერეკლე და ფაშა

ეს ურჯული ერის ფაშა
ერეკლეს აეშალაო,
ასეთი ჯარი შეყარა,
თვალი ვერ გადუწვდინაო.
სამასი რუსი გაგზავნა,
იმისთვინ ისიც კმარაო,
დალაბანდი დაუკარით,
გაუწყრა ჯარსა, ჩქარაო.
თითო ზარბაზნის სროლითა
სამოცდა სამი ყარაო.
რაც რომ ზარბაზანს გადურჩა,
ის მეტკვარმა უყო ძალაო.
დაცხა და დადგა ლაშქარი,
აგრილდა, აიყარაო.
დროს ისე ეჭირვებოდა,
რომ ჯარი შეიყარაო.
პირველ მსახურად იახლა,
ცხენ წინაც გაიმძღვარაო,
კბილებში ხმალი შემოჭკრა,
ულვაში დაიტანაო.

7

ერეკლემ ცხენი გაქუსლა,
ცხენსაც ხო გაჭდგა ჩქაფანი,
აივსო ხევი, ხევხუვი,
ცხენს უსველდება ფაფარი,
უკრავად კაცსა მოჭკლავდა
იმისი ცხენის ქაქანი.

8

აზატ-ხან წამომდგარიყო,
თან მოაქვს მთა და ბარია,
თორმეტ ათასი კაცი ჰყავ,
ჯარია შემომარია.
მთაზე დაიცა კარავი,
ქვეშ დადგა ოქროს სკამია.
დურბინდით გამოიხედა:
—სად არის ღორი ჭამია?
წადით, ცოცხლები მომგვარეთ,
ერთსაც არ მოჭრათ თავია.
ეს რო ერეკლემ შეიტყო,
საქრისტიანოს გულისთვის
წელს შემოიკრა ხმალია:
მიშველე, ქართლო, კახეთო,
შვილები ხართ თუ ძმანია,
ერთი ზღვა გადმოვარდნილა,
ვერ გადაწვდება თვალია,
ცოლ-შვილს ყელებს დაგვიჭრიან,
მაშინ დადგება თვალია,
გავიქცეთ, ვერსად წავალთ,
ცხენი არა გვყავს მალია.

9

ისე ადიდდა აზატ-ხან,
თავი ძირს აღარ დაიდო,
აქ მე ვარ, სტამბოლს ხონთქარი,
ყეენი ჩემთან რა იყო!
განჯის ხანს შემოუტია,
სურსათი ბევრი აიღო,
გოქჩის ტბაზედ რო ჩავიდა,
იქ ავღნის ჯარი მდგარიყო.
ავღნებმა შექმნეს ჩოჩქოლი,
გუშინ ერეკლეს თქმა იყო.
ერთი ავღნების უზბაში
ოქროს უნაგირს მჯდარიყო,
—ამისთვინ გურჯები მამკვლეს,
ცხენიდამ ჩამომხტარიყო.
ეს სიტყვა რო დაამთავრა,
ერეკლეც წამომდგარიყო;
საქრისტიანოს გულისთვის
ერეკლემ ხმალი აიღო.
ერეკლემ რო ცხენი გასძრა,
სისხლმა გაიღო თქაფანი,
უკრავად კაცსა მოჰკლავდა
იმისი ცხენის ქაქანი.
სისხლისა შედგა მორევი,
ცხენს შეედება ფაფარი.
ასეთი გარბის აზატ-ხან,
როგორც ხორასნის ჩაფარი.
ერეკლე უკან მისძახდა:
—მოსვლა და წასვლა რა არი!
—რას მამდევ, გურჯო ერეკლე,
რა მიმაქვ შენი დავლათ,
ყველა მანდ გამაშვებინე,
თოფი და ჯაბარხანათ,
იმდენი არა მიმაქვს რა,
სადილი ვჭამო ხვალათ.
—აგრე მოგდევ თავრიზამდე,
ვით წყაზარი გარიელსა,
ცხენ-ჯოხებს დაგაყრევინებ,
ძუა ნალებ ლალიანსა,
სუყველაში გაგაცრუვებ,
გაგისტუმრებ ცარიელსა.
ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა,
მუხლი ვერ გაიტანათ.

კუდ ქვეშა სდებდა ლაგამსა
თავი სად დამემალაო?
—რა დაგემართა, ხუნძახო,
რა სახიდამ შეიმალე,
შენ ეგ ცხენი არ დაგადებს,
ცოტა წელში გაიმალე.
ისე შეშინდა ხუნძახი,
ვეღარ ჩაიცვა ჩუსტური,
მე აქეთ აღარ წამოვალ,
ქართველთ სცოდნიათ ხუსტური.

10

გურჯო ერეკლევ, რად მამდევ,
რა მომაქვ შენისთანაო,
სულაც მანდ დაგიყარევი
თოფხანა, ბაგარხანაო.

11

ნეფე ერეკლემ დასწყევლა
მა თავის გორდა ხმალსაო:
„შენ რადას იტყვი, ფრანგულო,
რატო არა მცემ ხმასაო?
—უშიშრად შამამიტიე,
მკლავში მამეცი ძალაო,
გაკვეთა ჩემზედ მოაგდე,
სად გაუგორებ თავსაო.

12

ერეკლე ჩვენი ბატონი
ერთი პატარა კახია,
ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი,
გაჭკრა ხელი და გახია.

13

ერეკლესთანა ბატონსა
გვიან გაზდის დედა შვილსა,
ჯერ დაჭმართავს წისქვილებსა,
მერე ადვილად დაჭმლისა.

14

ნეფეს ერეკლეს დროშია
შორს მოვიძუე ძროხანი,
დავწექი და დავიძინე,
ზედ დავიხურე ჩოხანი.

15

ერეკლესთანა ბატონსა
ვეღარ გაზრდის დედა შვილსა,
ჯერ ხომ ღვთისა მლოცველია;
მერე დამხსნელია ტყვისა.

16

იერანით ქალებ მოვიდა,
თვალებ უგვანდა ქორსაო;
ქალაქზედ შამაიარეს,
ჭვიცვენ ერეკლეს მზესაო.
ერეკლეს დაუბარებავ,
დებო, ნუ ირთავთ ქმრებსაო,
ჩამოვალ გაზათხულზედა,
ძაღლებს (მტრებს) ავადენ მტვერ-
ქალო, საქმარეს მოგიკლავ, [საო,
ზედ გადაკაფრენ ცხენსაო.

17

ლევან ბატონიშვილი

ბატონიშვილო ლევანო,
აბრეშუმისა მდევარო.
ბატონიშვილს მოუხდება
თეთრი ჩოხა ატლასისა,
ზედ სარტყელი ზურმუხტისა.

18

გიორგი მეფე

გიორგი მეფემ რა გვიყო,
რა საქმე მოგვიხდინა,
გადმოგვირეკა რ...ბი,
ბეგარა გაგვიჩინა.

19

ქართლის მეფემ ააშენა
ეკლესია მთაზედა,
საქართველო სხვას დაუთმო,
თვითონ დარჩა მშრალზედა.

20

გიორგი მეცამეტეს ერთი კოჭლი მხლებელი ჰყოლია გვარად გაბაშვილი. ერთხელ გიორგის უბძანებია ამ გაბაშვილისთვის:

გაბაშვილო, გაბაშვილო!
არ გაცვია კაბა, შვილო!

წადი, მომიცია შენთვის ოქრო-ყანა, დედისი, თხინვალა, წადი, იარე, შენი გამხდარი ცხენით შეტსაც ვერ შესძლებო!

ასე ურიგებდენ მეფეები მამულებსაო",—დაუმატა ამის მთქმელმა.

21

თ ა მ ა ზ - ხ ა ნ ი

თამაზ-ხანი გადმოვიდა,
თან გადმოჰყვა დიდი ჯარი,
უწინ ბაღდადი აიღო,
განჯას შემოარტყა ჯარი.
განჯელებმა კარი მიხურეს,
არ შეუშვეს თავ-ქარი.
თითო გამომცხვარი პური
თითო მინათლული არი.
შუშა რო ველარ იშოვეს,
ფარჩით ხარშეს ბრინჯის ფლავი,
მოტყუებით წამოვიდა.
სულ აიკლო მთა და ბარი.
ღმერთო, შენ მიეც თამაზ-ხანს
ღვთის რისხვა და ზეცის ალი!
უმაწვილის კალო გალეწა,
დედამიწის იძვრის ალი.

22

ზედავედაზედ გადმოდგა
ოსმალო და თათრის ჯარი.
ჯერ დაუშინეს თოფები,
მერე ამოიღეს ხმალი.
სამირისწამლე უხრჩოლეს,
ზეცას ადიოდა ალი.
ქვეითი ბევრი დახოცეს,
ცხენიანი მაგრა არი.
დედას კაცი მოუკვდა,
გადაკიდულს მოგვაქვს მკვდარი;
ლოუას ხელი ჩამოიკრა,
ჩამოდვარა სისხლის ღვარი.
—შვილო, ქორწილს გიპირებდი,
უნდა მამეყვანა რძალი.
ოქროს ქსოვილზედ დამესვა,
თვალ-ყურუნა თეთრი ქალი.

23

ნ ი კ ო

ნიკომ სთქვა: სარდალი ვარ,
თუ რომ ჩემი გაიგება,

შვიდი დღე და შვიდი ღამე
დაჯდა, წვერი მაიღება,
თუ გორის ციხე აგიღეთ,
ქართლი ჩვენი შაიქნება.
მჭადის ჯვარს რომ მიყატანეთ,
საქმე მაშინ გაჭირდება.
იქ რომ ბებერმა *) საქმე ჰქნა,
ის არ უქნია სხვასათ,
ორი ბელადი მოუკლა
მთელ შაურილ დაღისტანსათ,
მესამე რო გამოვიდა,
დახე იმ ჭკუა მდგარსაო!
ესროლა თავის მაჟანი,
მოარტყა შუა ძვალსაო **).
იმისა ჭამა ქელეხი,
მჭადის ჯვარს ედო თავსაო.
ღმერთო, აცხონე ბებერი,
წავიდა თავის გზასაო.

24

## ტყვე ქალი

მანდ რომ ქალი დავიკარგე,
განჯას თათარსა ვეყვარო,
ქიშმიშით გასუქებული
გაბადრულ მთვარეს ვგევარო!
მაცვია სიასამური,
მაშიეებზე ვდგევარო.
ლამაზ-ლამაზნო ვაჟკაცნო —
სულ ჩემო მოსდევარით,
თითო თუმანი მიკრიბეთ,
დამიხსენით, თქვენი ტყვე ვარო!

25

ქუთაისს მოედანზედა
ლაშქარი შეიყრებოდა:
სამოცი ცალ-თვალი მეფე
სუფრაზედ დარიგდებოდა.
ამასთან თვალხილულები —
ნახე, თუ რა იქნებოდა?!

26

ხეკორძულას წყალი მისვამ,
მცხეთა ისე ამიღია,
დამიჭირეს, ხელი მამჭრეს,
კარგათ რისთვის აგიგია.

27

(ვარიანტი)

ხეკორძულას წყალი მისვამს,
ცხეთა ისე ამიგია,
არც მტკვარი და არც არაგვი
ცვარი არსად ჩამიშვია,
დამიჭირეს, ხელი მამჭრეს,
კარგი რისთვის აგიგია?!

28

სამნი ოსტატნი დავსხედით,
თურქი, აფხაზი და მესხი,
სანეფო კაბას ვკერავდით,
მინდა ლილ-კილო დამესხი.
ნეტავი, წყალო, შენ მესვი,
ღვინოვ, ადგილზედ დამესხი,
ცეცხლო, შენ რაღა გაწყინე?
მტერივით თავზე დამესხი?

---

*) ამ ბებერ დედაკაცს თავის ხელით დაუხოცია ის სამი ბელ

**) ისევ ბებერმა დედაკაცმა ესროლა.

29

იმერეთ, ოდიშ, საჩხერის,
გურიის ვიყავ თამაშა,
მას ჟამად შეფე შესაჩშრა
ქალი მივართვი თამარი.
მას ბევრი რამ გაყატანე
უცხო ბურასა ქმარი.

30

ალექსანდრე

ამოტირდა ალექსანდრე
ქალებურის წვრილი ხმითა.
რა ვქენ, რაზედ გაჯავრებდი
ჩემის დედა-მამის შვილსა?
ჩავსულიყავ ქიზიყშია,
ღვინით დავიბანდი პირსა.

31

ბაგრატი

ნეტავი, შვილო, ბაგრატო,
გველი შეშობნა, შენ არა,
მუხასა შემოჰხვეოდი,
ჩერქეზის ქალსა შენ არა.
მუხისა ქერქი გეცვიოსა,
დიბა ატლასი შენ არა.

32

(ვარიანტი)

ტურივა ბალი და წალკოტი
ეკლითა ვილა შენარა.
ნეტავი, შვილო, ბაგრატო,
გველი შეშობნა, შენ არა!
ასკილსა შემოხვეოდი,
ქალ ჩერქეზასას შენ არა.
მუხისა ქერქი გეცვათა,
დიბა-ატლასი შენ არა!

33

ციციანოვი

დაიქადა ციციანმა:
მიხდა ერთი განჯა ვნახო,
არ მინახავს განჯის ციხე,
მინდა თვალით დავინახო.
განჯის ხანმა შეუთვალა,
ჩემთან ხელი არა გაქო;
შენ კარი ღია გგონია,
შე კი დაკეტილი მაქო,
ქეინმა სულ მე მიბოძა
ეს ადგილი, ქვეით ბაქო.
შენისთანა ემაწვილება
განჯას ბევრნი ნახულანო,
ეცქერნიათ შორიდანა,
ამდგარან და წასულანო.
— ციციანიმც მოგიკვდება,
კარი არ გაგაღებინო,
ტახტიდან არ გადმოგაგდო,
თავი არ გაგაგდებინო!
მე შენი მაფრაშეები
ჩემს სომხებს წაგალებინო,
კნეინა გამოგიყვანო,
ხელებზე ედოს ინაო,
ვაზახებს წავაყვანინო,
ეს მიიყვანეთ მინაო!
შეიკაზმა ციციანი,
ჯარის გამართვა წინაო,
თოფი უჭერავ სათას,

ხმალი—ფრანგული რკინსა.
რომელიც უკან დადგება,
დომივით შეუბღვირსა.
წავიდა და იქ ჩამოხტა
განჯის გალავნის წინსა,
შეუთვალა კიდევ ხანსა:
-გარეთა ხარ, თუ შინსა?
მოუმართა ზარბაზნები,
სულ მტვრები აადინსა,
გამოიყვანეს კნეინა,
ხელებზე ედო ინსა,
ჩააბარა ყაზახებსა:
ეს წაიყვანეთ შინსა.

34

იქით შუშა, აქეთ ბაქო
ორთავენი ხელში მაქო,
შენ კარი ღია გგონია,
მაგრამ დაკეტილი მაქო,
შენი ციცამც მოგიკვდება,
კარი ვერ გაგაღებინო,
ტახტიდან ვერ ჩამოგაგდო,
თავიც ვერ დაგაკვრევინო,
შენი სალდათის შუბება
სისხლში ვერ შეგაღებინო.
ჩუ მამკლავ, ჩემო მუსაო,
ცხენს მოგცემ არაბულსაო,
ოქროს უნაგირს დაგიდგამ,
ჩემქეზულ (sic) შეკაზმულსაო.
წამოიყვანა, არ მოკლა
ქალაქშა აცხობს პურსაო.

35

(ვარიანტი)

ზათვხული არი სამოთხე,
ჯოჯოხეთია ზამთარი.
ხელმწიფეს გადაეკიდა
ალი-ოსმალი თათარი,
ზარბაზნები დაუმართა
ტყვია-წამალი მზათ არი,
ქვეიდანა გამორბოდა
წვერ შეღებილი თათარი,
ნუ მომკლავ, შენიჭირიმე,
შენ გენაცვალოს მუსაო,
უნაგრიანს ცხენს გაჩუქებ
შეკმაზულს ოსმანდულსაო,
არ მოკლა, წამოიყვანა,
ქალაქში აცხობს პურსაო.

36

ბარათინცკი

მოგილოცავ, საქართველოვ,
ბარათინცკი მობრძანდება,
ხელმწიფემ წყალობა მოგვცა,
ნამესტნიკად დაბძანდება.
რაც რომ მწუხარება ვნახეთ,
ახლა სულ დაგვავიწყდება.
კავკასიას აღზდილია,
მისთვის უფრო გვეევარება,
ყველას გვიცნობს და უყვარვართ,
სურს ქვეყნისა გაკეთება,
სწავლა, ვაჭრობა და გზები
ჩვენში ახლა განგძელდება.
ამაზედ ვეჭვი კაყკაცსა

მთებიც დაუმორჩილდება,
ხელმწიფის მიებს, საქართველოვ
ჩვენ ვაჩვენოთ მორჩილება,
აბა შეხედით ნამესტნიკსა,
როგორ უცხოთ მობრძანდება,
რა მშვენიერის თვალითა,
რა საყვარლათ იცქირება!
მობრძანდით ჩვენო ნუგეშო,
ჩვენ გულთა კარი გველება,
გულში დაგიდგეს შენ ტახტი,
სიყვარული ფეხით გეშლება.

37

მ ა დ ა თ ო ი

(მადათოვი)

მადათოვმ აიწია,
ჯარი ქვეით შეაყენა,
გატეხა ყარსის ქალაქი,
ალზევანი აამტვერა.
ახალციხეს შეუთვალა:
სამ დღეს ვერ გამიძლებ შენა!
ახალციხეს რა შაეძლო,
ქოსა ფაშა მაიშველა,
მეთოფეებს შეუტია,—
წამალს ვერ აჭარბებთ თქვენა.
მათ წამალი დააჭარბეს,
მაშინ ნახე მათი ხველა.
პასკევიჩი გამოვიდა,
ულვაშები გადიმშვენა,
მაიმართა ზარბაზნები,
ფინთი ბური დააყენა,
საქონელი გამორეკა,
სულ ცხვრის კილოდ დააყენა.
რუსეთისკენ პირი უქნა,
უკან რუსი დაადევნა,
დუშეთზე ამოატარეს,
ჩემის თვალით ვნახე შენა.

## სხვა-და-სხვა გვარეულობის თავადების შესახებ

38

გივი ამილახვარი

ეს გივი ამილახვარი
მტრისაგან შეგვეშალათ,
სამკვიდროები დაგდო—
სამთავისი და ქსალათ,
სურამის ციხე აგო.
ცათამდის აიყვანათ;
შიგ წისქვილი დაბრუნა,
წყალი შიგ შეიყვანათ;
ხუშურ-ხუშურა შეფიოთვე
ანაბრად გამოიყვანათ.
—ჩქარა ჩამოდით, თავადებო,
გორზედ ავიდოთ ბალათ:
სოლომან ჰკითხავს ამბავსა,
გივი რა ემაწვილიათ?
—რა მოგახსენო, ბატონო,
ცოცხალი უმაწვილიათ.
ცხენზედ მჯდომი დაინახო,
იტყვი, რომ შიკრიკიათ,
შეიდანზედ ნაბურთალი

ქორივით გაშყოლიათ,
ისე შოამტვრევს ციხესა
ვითომ ფუტურო ხესა.

39

ამილახვარსა გივსაო,
ციხე უდგია ქვისაო,
შავა და შიგ მოისვენებს,
არ ეშინიან მტრისაო.

40

ქსნის ერისთავი

შენია, ქსნის ერისთავო,
ორჯოცახე და წანკიბე,
ვინც მაგას შემოგეცილოს,
თავი მოჭჭერ და შაჭკიდე!

41

დადიანმა შემოუთვალა ერ.ის-
თავს:

თავადო, ბრძენი ბრძანდები,
რას სტირი და ვახ-ვახ-ვიშობ,
ჭირსა შემდეგ ლხინი მოსდევს,
თუ ბრძენი ხარ, რათა ჭშიშობ?

42

მუხრან ბატონიშვილები

მუხრან ბატონის შვილები
მტრისთვის არის საყვარელი,
გლახის გაკითხვა იცოდენ,
საქონელი ჭყავდათ ბევრი,
მაგრამ ისე დაიხოცნენ,
ვერა ნახეს მეზობელი,
იმათ უნდა გაჭძღოლოდათ
წინ ხუთმეტი წმინდა ღვდელი *)

43

შენ, ჩემო ძმაო დათუნი,
რათ გინდა წუთი სოფელი?
სახლად მოგცემ სამოთხესა,
იქ მოგივა ყოვლისფერი,
სახლიკაცად გეყოლება
მიქელი და გაბრიელი.

44

ქ ს ნ ი ს ხ ე ვ ე ლ ე ბ ი

ქსნისხეველები შეითქვნენ,
—გარდვიქცეთ მტკიცე ძმანია:
ჩავუხტეთ მუხრან ბატონსა,
თავს დავაქციოთ ბანია!
შევიდეთ, გამოვიტანოთ,
თვალ-მარგალიტი, ლალია,
მოვტაცოთ, წამოვიყვანოთ
თვალ-ჟუჟუნ იესარი ქალია.

45

თუმანიშვილი თბილელი
ვინ შეაყენა ბერადა?
მარჯვენა თვალით ბრმა არის,
ფეხი გაჭქონდა ველადა **).

*) ვარიანტი: სამოცდა თორმეტი ღვდელი.

**) როგორც გარდმოცემა ამბობს, ამ თბილელს აუშენებია მეთერამეტე საუკუნეში დიდი საყდარი სოფ. ხელთუბანში ათორმეტთა მოციქულთა სახელზედ, რომელიც დღესაც მთლათა სდგას უგუმბათოდ. სიზმარი უნახია, დაასრულებ თუ არა, მოკვდებიო, გაუნებებია თავი უგუმ-

46

სვიმონ მაჩაბელმა შემოუთვალა მამამზე ერისთავს (ეს მამამზე პოეტობდა და სულ მზესა და მთვარეს აქებდა):

„სად მთვარეა, სადა მზეო?
რას მიჭქარავ, მამამზეო!“ *)

47

მუხრან ბატონი წიგნსა სწერს,
შენ წაიკითხე მდივანო,
ყველა თავადი აქ არის,
სადა ხართ, ერისთავიანო?!

48

თუმანიშვილებისა და ერისთავიანთ მტრობა.

ერისთავმა შემოუთვალა:
ხელთუბანს ჩამოგიხტებით,
თუმანიანო ჭაკებო!
საბძელს და კალოს დაგიწვავთ,
სასახლეს გაგივაკებთო,
შინ რომ უცროსი რძალი გყავთ,
მოზვრულად დაგიმაკებთო! **)

---

ბათოსთვის. რო მომკვდარა, 700 თუმანი ფული დარჩენია და თუმანიანთ შეუჭამიათ, აღარ დაუსრულებიათ საყდარი. ამ საყდრის ამშენებელი შიგა მარხია, დიდი მარმარილოს წარწერაა საფლავზედ.

*) ეს მაჩაბელი ძალიან თავისებური კაცი იყო: ძალიან ეჯავრებოდა თურმე რ...ბი. ბიჭებს ეტყოდა ხოლმე: „აბა გაიხედე, ბიჭო, რ...ბი წავიდნენ, თუ აქვე არიანო?

თავად-აზნაურების შეთქმულობის გამო დაჭერილი ყოფილა ბიძინა ერისთავთან და სხვებთან ერთად მეტეხის ციხეში სამი წელიწადი. რამდენი სტანჯეს თურმე და ვერაფერი ვერ ათქმევინეს. რო გამოუშვეს და ცხინვალში ავიდა, ხიდზედ ერთი თავისი ყმა ურია შეხვდა. მიესალმა, მიულოცა, ძალიან მიამა, ბატონო, თქვენი განთავისუფლებაო, მაგრამ მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე, რაზედა ბქანდებოდით დაჭერილიო?

— შე მამაძაღლო, რ...ბმა სამი წელიწადი მტანჯეს, ვერა მათქმევინეს რა, და შენ გინდა ცხინვალის ხიდზედ მათქმევინოვო?!

**) ერისთვიანი და თუმანიანი—მდივნები გადაკიდებულები ყოფილან. ერისთავი მეფე ერეკლეს ჰხლებია ომში. რომელ ომში, გარდმოცემა არ ამბობს. ეს თუმანიშვილიც იქა ჰხლებია მდივნად. მეფე ერეკლეს დასჭირებია ქალაქში კაცის გამოგზავნა; ყველაზედ სანდოდ ერისთავი უცვნია. ძალიან საიდუმლო საქმე ყოფილა და ერისთავს მოუხსენებია, იქნება მტრებმა დამიჭირონ, მე არ ვიტყვი, მაგრამ ვაი თუ ქაღალდი იპოვონო, ამიტომ აუყრია უკანა ფეხზედ ნალი ცხენისათვის, ის ქაღალდი შეუხვევია, ნალს ქვეშ მოუქცევია და ისევ დაუჭედვინებია ცხენი და წამოსულა. უსარგებლია თუმანიშვილს და თათრებისთვის შე-

49

ქალის სიზმარი

ქალსა სიზმარი ენახა,
გამზრდელსა ერისთვისასა:
„მითომა ჰქუხდა, ელამდა,
სეტყვას ისროდა ქვისასა,
ერისთვის ბაღში ცვიოდა,
ტოტს ამტვრევს ალვის ხისასა!“
ერისთვის სიკვდილს ამბობენ,
დაბნელებასა მზისასა!
სანთელსა გაუმძღვარებენ,
კელაპტარს სამოთხისასა.
ველარ შიუყვა სახლშია
ვაი დედასა მტრისასა!

---

უტყობინებია: „ერისთავი ქალაქში მიდის, თან მეფის ბარათი მიაქვს, დაიჭირეთ, ბარათი ამა და ამ ფეხშია ნალ ქვეშაო“.

თათრებს გზა შეუკრავთ ერისთავისათვის, და როცა ის გულდადინჯებით მიდის, გადმოუხტებიან და დაატყვევებენ. ტყვეც ხომ ძვირფასი იყო, მაგრამ რაც იმას ბარათი მიჰქონდა ქალაქში, ის უკეთესი იყო.

— რა უყავ მეფის ბარათი, უნდა მოგვცეო, დაადგნენ თათრები.

— მე უბრალო მგზავრი ვარ, მივდივარ ჩემ გზაზედ, მე არაფერი ბარათი არა მაქვს, რასა ჰკითხულობთო, დამდგარა უარზედ ერისთავი. მაშინ აუყრიათ ნალი და უპოვიათ ერეკლეს ბარათი. ერისთავს ელდა სცემია. მაშინვე მიმხვდარა, რაშიაც იყო საქმე. აბა რას დაივიწყებდა, დროს ელოდა, თუმანიშვილის ჯავრი ამოეყარა. თუმანიშვილს დიდი სოფელი ჰქონდა ქართლში გორს ზევით, 700 კომლით დასახლებული. ეახლა ფაშას ერისთავი და გამოსთხოვა ჯარი, უნდა ქართლში გავითარეშოვო. მისცა ათასი კაცი და ჩამოვიდა თათრის ჯარით ქართლში. გამოუგზავნა კაცი თუმანიანთ და შემოუთვალა ეს ლექსი.

გარდმოცემა მოგვითხრობს, რომ მართლაც აუკლიათ ხელთუბანი და მიწასთან გაუსწორებიათ. წაუყვანიათ ხალხი ტყვედ, სხვათა შორის, იმისი ცოლიც, რომელმაც ერისთავი გასცა. ტყვეები სკრაზედ გაუტარებიათ. თუმანიანთ რძალს ძუძუთა ბავშვი ჰყოლია, თურმე დავარდა და ველარ მისდევს სხვა ტყვეებს. ერთმა თათრის უზბაშმა უბძანა კაცებს, წაართვით ეს ბავშვი, დაახეთქეთ და მოჰკალით, ხომ ხედავთ, მაგ ქალს ამძიმებსო. შეძრწუნებულმა დედამ სთხოვა, უფროსი მაჩვენეთო. მოახსენეს ერისთავს. მაშინვე მივიდა იმის სანახავად.

— ნათლია, შეევედრა თუმანიანთ რძალი, ნუ მომიკლავთ ამ ბავშვს, ამას არაფერი დანაშაული არა აქვს, მე რაც გინდა მიყავითო (გარდმოცემა ამბობს, ნათლიები იყვნენო). შეეცოდა ერისთავს და უბძანა, ცხენზედ შეესვათ და ისე წაეყვანათ.

## ეპიტაფიები

50

მეფეს, დადიანს, გურიელს
სამთავ ჰყავთ ჩვენი ასული,
სამგანვე მიჯდა დედოფლად,
ცას ქებით ჰყავნდა ასული.
ბოლოს ჟამს მიწად მივიქეც,
ქვეყნიდან ვიყავ გასული.

51

თახი ნივთისა ხრწნილებით
ვარ მტვერი, მტვერად წვეული,
დავტოვე სახლი საწუთო,
მუნიდგან ვიქმენ ეული,
მეგობართ, მოყვართ გაშორდი,
არს განჩინებით ჩვეული.
მე ზურაბ თუმანიშვილსა
არ მივის ძე მემკვიდრეული.
ამ მარმარილოს მიმოსავს
ქარატო, ჩემი წნდეული.
სადაცა ჯერ არს, მგუობდეთ,
ოდეს ტახტს იჯდეს ზეული.

## საგმირო

52

შენ ბიჭო აზამბურელო*),
შენი ხმა ჩამოდიოდა,
შენი ნახოცი ლეკები
არაგვში გამოდიოდა.

53

კაი ბატონის გარდილი (sic)
ბალზამის შვილი ბერია,
ამოიღო და გალესა
თავისი მჭრელი ხმალია;
ერთი მისვლით ათი მოკლა,
ღმერთს მოუმართნა ხელია,
ცალკნით ურჯულო კორავდა,
ცალკნით პატარა ბერია.
თავს ერისთავი წაადგა:
„ბერო, სახელი ჰქენია,
შენი ბიჭობის სახელი
სვეტი-ცხოველზედ სწერია!“

54

პატარა ბიჭი ოსისა
მაკარდენია კლდისაო,
აიღო ხელში სიათა,
ბუჩქის ძირს ამოჯდისაო,
—აბა, მოდით, ქართველებო,
ვისაც გული გერჯისაო!

55

ციციშვილი ზაქარია
ჰკაი რა კაი ბიჭია!
აგრე გადავა ჯავახეთს,
მით მთვარიანი ღამეა.
ჯარსაც წვერი გამოსტყუა,
რა იცის ნაომარია.

---

*) ვარიანტი: „ანანურელო“.

ხელთუბანს რო მოატანეს,
გზაც აერიათ, კვალია.
ეს ჩვენი დიდი ლიახვი
აჩქარებული წყალია.
მოსტაცა ერთი თათარი,
გააგდებინა რჯულია.
მეიდანზე გაარჩიეს
ქალი თუ ჰატარძალია.
ლეკები დააქორწილეს,
მელას დასწერეს ჯვარია*)

56

ბატონის იალაღზედა,
მტერო, რას შეგეჭყები,
მოგიბრუნდები, ხმალსა გკრავ,
ტყემლად არ შეგეჭყები.

57

მთიულო, მთაში გარდილო,
ხმალს როდის მოგიშივდება?
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება,
არ იცი უკან დახევა,
გული რო გაგიხურდება!

58

ბიჭი უნდა ბიჭაობდეს,
ქარავანი ქარავნობდეს,
შენისთანა ვაჟიკაცი
ქალაქს უნდა ფალავნობდეს.

59

თუშისა დედა ტიროდა
თუშისა ნათმარზედა:
დავკარგე წვრილი ობლები,
ვერ გამოვასხი ტბაზედა.

60

თქვენი რიგია, ახლებო,
ხელის დადება ხმალზედა,
ყორნები ლეშით ძღებიან
ჰამების ნათმარზედა.

61

ვაჟკაცო, გულო ჯამარდო,
შენთვის აღმართი ვაკეა,
არა გყავ წვრილი შვილები,
არცარა ცოლი მაკეა.

62

გასჭერი, ხმალო და მკლავო,
გულო, ნუ შემიშინდები
სისხლისა ნაგუბარზედა
ფეხო, ნუ გამიცურდები.

63

ფშავში ხარ, ბიჭად ვარგიხარ,
არავინ გიცქერს ტანზედა,
ფეხს დაჰკრავ და გადაჰხტები
ტრანტიტონ გალავანზედა.

64

კიდევაც დაირდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შეჭამონ მტრისანი.

65

მაშინ კარგია კაი ყმა,
ხმალი რო იზამს ელვასა,

---

*) ამაზედ ვარიანტი:

ციციშვილ ზაქარიასა,
ღმერთო მიეცი ზარალი,
ჯერ სამჯერ გაუყიდნივარ
კიდევ დამეძებს კვალზედა.

მოციქულობდეს ისარი,
შუბი აგდებდეს ენასა.

66

მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი,
ტირილი დიაცთ წესია,
ბევრჯელ ვყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია;
მაცალე, ერთი გავმართო
ჩახმახით ცეცხლის კვესია,
სულ ერთად მოგამკევინო,
რაც ჩვენზედ დაგითესნია.

67

სოლომონ ბუტულაშვილი

სოლომან ბუტულაშვილი
კარგა ინახავდა ცხენსა,
დილითა და საღამოთი
ჯერზე აჭმევს ლიტრა ქერსა,
დღეში ათჯერ დაიურვებს,
გავაზედ გადუსვამს ხელსა.
მიიტანდა ერბოს წყალსა,
იმით დაუზელდა წელსა,
ცხენო, ასე მიტომ გივლი,
აღვილს გამომადგე შენცა *).
სოლომან ბუტულაშვილი
ქვეით ჯარში გამწესდესა,
თარაზაში რო ჩავიდა,
იქ ომი აუტეხესა.
სოლომან ბუტულაშვილი
მაგრა უდგა ზარბაზნებსა,
გაქცევითა ქორსა ჰგვანდა,
სიმარდეში შავარდენსა.
ათოცი მოკლა სოლომანმ,
დაწერეს და გაგზავნესა.
ქალაქში გამოაცხადეს
სუმბათოის მიართვესა.
ერთი კიდევ დავბრუნდები
ხელმწიფის გულისათვინა,
მე შინ ცოცხალი ყერ წავალ,
მე მაინც აქ დავღვრი სისხლსა.
დაბრუნდა ბიჭი სოლომან,
მოაჯირითებდა ცხენსა.
სამა რჯულ-ძაღლი ბელადი
დაბლობში ჩაუსაფრდება,
სამთავ უტყუბეს თოფები.
ორი სოლომანს მოარტყეს,
ერთი ცხენს მოახვედრეს.
სოლომან გამწარებული
ჩვენს ჯარში გადმოვარდება.
მარმარილუანთ ლაზარე
ცხენს დაუჭერს სადავესა:
—ნუ გეშინიან, სოლომან,
კიდევ ნახავ მამაშენსა!
მე მამაჩემს რა მაჩვენებს,
მაღლა ვხედავ ჭრელად მზესა.
ბეჭებში თოფი მომარტყეს,
პირში კომლი გავარდესა.
ჩემს მეუღლეს ეფემიას
ნეტა რა გაახარებსა!
ცოდო არის, ჩემი ლეში
ამ ურჯულოებს დარჩესა,
ეს ჩემი შავი ქოჩორი

---

*) მე-2 ვარ.:
შენი პირიმე, ლურჯაო,
შენ გადმარჩენ განსაცდელსა.

ამ მთა აღვილას დალპესა.
სამი დღე და სამი ღამე
შავს მიწას მიაბარესა,
ჯვარი რო ქვეით დაბრუნდა,
სოლომან ამოიღესა,
მოიტანეს ალმას-დანა,
მით მუცელი გაუჭრესა,
შუშანბარებში გახვიეს,
ეზები არ აყროლდესა,
კალასკაში ჩააწვინეს,
ქვეშ ხალიჩა დაუგესა;
სამოც უღელი ქურანა
კალასკაში შეაბესა,
ერთი კაი დიდი ხარი
შუალა ცხენს დაჰკიდესა;
საცა სოფელში მივიდა,
ის სოფელი დაბნელდესა;
ქალაქში შემოიტარეს,
სულ დუქნები დაკეტესა.
ტოლმა და ტოლმა ბიჭებმა
მოიყარეს თავი თავსა;
ვაი შენ ჩემო სოლომან,
რა მარცხი მოგედო წელსა,
საკარეჯოს თვალის ჩინო,
ვიდა ჩამოივლის ჩვენსა?
ლვდელი სოლომანს ეხვევა,
სოლომანი ხმას არ სცემსა.
დებმა კარგათ დაიტირეს,
დაცადეთ სიძეებსა.
ეფემია მოიყვანეს,
ერთი ჰირი ატირესა,
ეფემია გააბრუნეს—
მუცელი არ წაუხდესა.
ეფემია შინ მოვიდა,
ფიცხლავ ლოგინზე დაწვესა.
დაწვა და ვაჟი ეყოლა,
ნათლიღებულად მონათლესა,
სოლომანი დაარქვესა.
ათი წლისა რო შეიქმნა,
ისიც ჯარში გამწესდესა!..
ვინც ეს შაირი გამოთქო,
ტანზე ჩოხა ჩააცვესა,
ორი მანეთი აჩუქეს,
უბეშიაც ჩაუდესა,
თან ხარ-ურემი აჩუქეს,
ზედაც მეხრე შეუსვესა,
სანამდი ღმერთმა გაცოცხლოსთ,
სანამ ის აქ მოვიდესა.

68

ჩამოვიარე დირბსათ,
ბიჭი უკრავდა სტვირსათ,
იქ რო ქალი თამაშობდა,
ურჯულო დაღისტნისათ
მაღლიდამ გადმოჰცქეროდა,
უკრაჭუნებდა კბილსათ.

69

კაი დედაშენს, ყორანო,
შენ ჩემის ლეშით ჰძღებოდე,
მე შენი არ მეშინოდეს,
შენ ჩემის შიშით ჰქრებოდე!

70

კაცი არავინ გამუა
ბერი დავითის კისრითა,
ათი მოუკლავ ხმალ და ხმალ,
თორმეტი ფეხით მისრისა.

71

წახველ და არ წამიყვანე,
მარტო გამიშვი მე შინა,
ნეტავი მეც წაგეყვანე,
ორივეს მტერი გვეშინა.

72

ახლა თქვენია ბიჭობა,
სოფელს შვენება თავისა,
ხმალს უნდა აჭრევინებდე,
იმედი გქონდეს მკლავისა.

73

მთიელო, მთაში გაზრდილო,
ხმალს როდის მოგიშივდება?
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება,
არც იცი უკან დახევა,
გული რო შაგიხურდება!

74

კაცნი დიდნი ლიახვისა,
თოფები აქვთ ჩახმახისა,
მტერსა მტრულად დახვდებიან,
მოკეთეში ნახვენ ლხინსა!

75

(ვარიანტი)

კაცნი დიდნი ლიახვისა,
თოფები აქვთ ხორასნისა,
მტერსა მტრულად დახვდებიან,
მოკეთეს მოსწყამენ ჭირსა.

76

მთიდან მოსული ვაჟკაცი
გეზელ-ქორიყით კიოდა,
თავი ხმლით ჰქონდა დაჭრილი,
გულს სისხლი გადმოსდიოდა.
სამოცი დევი მოეკლა,
ყვაჟკაცობას ჩიოდა!

77

(ვარიანტი)

ორასი თურქის მომკვლელი
ყომრობასა ჩიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

78

მეტეხს რო ჯვარი მიუხტა,
ვერ გაისარჯნეს ბლუები,
ბოსლებში იმალებოდენ,
როგორც ჩალებში ბუები.

79

მაღლა, მაღალსა მთაზედა
სისხლისა გუბე მდგარიყო,
ჩვენი მტერი და ორგული
სვამდა, ვერ გამაძღარიყო.

80

მოკალ, მოვშხუვი თავდალმა,
როგორც ხეობის დაგრიში,
საომრად მოვმზადებულვარ.
თოკიდამ თავი გამიშვი.

81

რ უ ს ე ფ ი

რუსეფი რომ დაიბადა,
დედა-მამა გახარდესა,
შვიდი წლისა რომ შეიქნა,
ცხენის მხედრად გაწესდესა.
სწერა და სწერა წიგნები
ნერონის ხემწიფესა,
რუსთა ხემწიფემ ჩაიხედა,

რა ძრიენ (sic) გაჰკვირდესაო;
—ეს ამისთანა მხედარი
შინ რაღას აკეთებსაო?!
ერთი კვიცი მეც გავზარდე,
თავლას მიბია მეცაო.
ეგ თუ იმაზედ შეჯდება,
ფეშქაშად მიერთვესაო!
ოთხსა თავხურს მოუჭერენ,
ერთი არ დაადგესაო.
შაჯდა ეს შენი რუსეფი,
რარიგად შეშვენდესაო!
მცას (sic) ეცა, დედამიწასა,
ბუზივით გამოჩნდესაო.
ამ აღმართს რომ შეუყენა,
ეს ცხენი წაექცესაო,
ეწევა კუდსა, არ დგება,
დახე ამ საკურველსაო!

82

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ

ანდუყაფარ სანადიროდ
საქართველო შაჰყარაო,
ტყე და ველი მოიარა,
მთა და ბარი დაღარაო,
მშველიც მოკლა, ჯერანიცა,
უიჭალამ კი დაცარაო.
მაჩაბელო, ჩამომეხსენ,
ნუ ხარ ცუდი მასხარაო,
ცხენი ცხენსა არ მიხალო,
არ მომიკლა ჯაფარაო.
სამას თუმნათ ცხენი მიღირს,
ორას თუმნათ ავშარაო.
მაჩაბელმა გააჭენა,
ცხენი ცხენსა უხალაო.
ანდუყაფარ გადმოვარდა,
თავი ქვაზედ ახალაო.
დედას კაცი მიუვიდა:
„ანდუყაფარ მომკვდარაო“.
—ანდუყაფარს რა მოჰკლავდა,
თუ ღვინით არ დამთვრალაო?
ლოყაზედ ხელი გადისვა,
სისხლის ცრემლი დაღვარაო,
თავზედაც ხელი გადისვა,
გიშერ-თმანი დაყარაო.
კაბაზედ ხელი გადისვა,
მარგალიტი დაყარაო.
მამას წიგნი მიუვიდა:
„ანდუყაფარ მამკვდარაო!“
—ანდუყაფარს რა მოჰკლავდა,
თუ ღვინით არ დამთვრალაო?
მაინც ავი კაცი იყო,
ჯანაბას თუ მომკვდარაო!

## ლექსები ლეკებისა და ქართველების დამოკიდებულებაზე

83

ეშმაკათა კახეთს წაველ,
ლეკს დაეგო ჩემთვის მახე,
ჩემი ლურჯა იქ დავკარგე,
ვიტირე და ვივაგლახე:
ავიკიდე უნაგირი,
წამოველ და ვილახლახე.

84

ლეკებმა რო დამიჭირეს,
იავზე მომაბეს წნელია,
პირიქითოში გამყიდეს,
დაჯექ, თამაში ქნია!
ურჯულო მეუბნებოდა:
— „ეგ შენთვის არაფერია,
შენ უნდა კალო გალეწო,
დაართინო კევრია!“
ავდეგ და გამოვიპარე,
ღამე გავტეხე ბნელია,
ერთსა რუს პირსა მოვადექ,
ჩალა იდგა და ლელია,
მე იქ რა გამაძღებინებს,
ირევა ბევრი გველია.

85

ე კაჭიური ცუცუნა,
მონადირია ტყისაო,
დათვსა ხოცამს და ირემსა,
ღორს უშინჯავდა კბილსაო,
თაღარად ყარყარა უდგა,
არ დაიძინებს ძილსაო.
ცუცუნამ მუშა შეყარა,
აშიავი ქვეყნებისაო,
გადმოუხტება ლეკებსა,
ურჯულო დაღესტნისაო.
ფრანგულსა ხელი მოვისვი,
ელვა რო იქნა ცისაო,
დაჰკრეს და დაჰკრეს ლეკებმა,
ცუცუნა დაჰცეს ძირსაო.
ვაიმე, ჩემო ცუცუნავ,
შე საქებურო ხსნისაო,
საიქიოს რო წავიდა,
ოქროს სკამზედა ზისაო.

86

ქალაქიდამ გამოვთხოვდი,
ქალი ვიყავ თინიაო,
მცხეთის ხიდთან რო მოვედი,
ლეკმა შემამისტვინაო,
მაყრები ისე დამიფთხვა,
როგორც წყალში ჭიჭყინაო.
უხეირო ჩემმა ქმარმა
მუხრანამდე ირბინაო,
დალოცვილმა ჩემმა ძმამა
გარე შამამირბინაო.

87

ტყვედ წაიყვანეს

წაველ ცისსა*) მინდორსა,
კურდღელი მოვკალ ბევრია,
ასე გაველი ლიახვსა,
ფეხი არ დავისველია.
კარბი შევირთე ცოლადა,
ტყვიავი ჩემი გერია.
ის მამაძაღლი მარანა,
ისიც სოფლებში სწერია!
ერთი ძმა იქ დამეკარგა,
მე დავრჩი მარტოხელია.
მეც ლეკებმა დამიჭირეს,
უკან გამიკრეს ხელია.
ვეცადე, გამოვიპარე,
ღამე გავტეხე ბევრია,

*) სოფელია ქართლში.

ყრთისა ჩალას მოვადექი,
ჩალა იყო თუ ლელია,
ქე იმის ეღდამ გამტეხა,
ბველი ცურამდა ბევრია.

88

თრიალეთის მეცხვარეებსა
ლეკები დასხვედრიანო,
თითოს მოუკლავ ათ-ათი,
ბიჭობა მათ უქნიათო.

89

(ვარიანტი)

მცხეთაში ყარაულებსა
ლეკები დასხვედრიანო,
თითოს მოუკლავს შვიდ-შვიდი,
ბიჭობა მათ უქნიათო *).

90

თი შენ კი გენაცვალე,
ჩემო ანდრია მჭედელო!
შენ რო ხმალი არ მოგეცა,
ლეკები დამიჭერდენო.

91

(მე-2 ვარიანტი)

შენი გამჩენის ჭირიმე,
ქალაქში ოქრომჭედელო!
თუ ეგ თოფი არ მოგეცა,
ლეკები დამიჭერდენო.

92

ამხანაგებმა გამწირეს,
გვიან გამოცხვა პურია,
პეტრე ყარაულსა ვკითხე:
„აქ ხომ არ ჩამოუვლია?“
ყარაულმა ასე გვითხრა:
—ბიჭები დაკარგულია!
ბევრი ვეხვეწე, ნუ წახვალთ,
თუ გწამდესთ თქვენი რჯულია;
არ დაიშალეს, წავიდნენ,
დააგდეს თავის რჯულია...
ის ურჯულო ორი ლეკი
ღელეში დამალულია,
ორთავემ თოფი ესროლეს,
ორად გაუგლეს გულია.
კაცები ერიან ურმებთან,
აღარ უდგიათ სულია,
ურმებიც ოხრად ერია,
ბარგი-ბურგი და პურია.

93

ლეკებმა რო დაგიჭირეს,
როგორ იყო ჩემო სოსე?
ხელები უკან გაგიკრეს,
ცხვირი ვეღარ მოიხოცე.

94

არაგვითა ღორი დაიძრა,
საითკენ უზმენ პირსა?
—მანგლისს აქებენ საჭმელსა,
ქოხები ჩავდგათ ხისა,
დავასუქოთ ბურვაკობა,
თეთრითა ავივსოთ ქისა.
გიორგი ნათელაშვილი,
სარდალი მწყემსებისა,
ისე არიგებს მწყემსებს,
როგორც რო მამა შვილსა,
მოჯამაგირეს შეჭვიცა,

---

*) მე-2 ვარიანტი:
თითოს მოუკლავს შვიდ-შვიდი,
სოფელში იკვეხიანო.

ფიცი ჰქნა მეფევისათ:
-გუშინ რო ღორებში ვიყავ,
ჩავალი ვნახე მტრისათ,
დავუჩოქე და გესროლე,
მოვარტყი გულის პირსათ.
ლეკები გადმოგვესივნენ,
ლეკები დაღესტნისათ.
გიორგიმ წამაიწია,
ლეკი მოიდო ძირსათ,
დაჰკა და დაჰკა ხანჯალი,
შაშვივით ალებს პირსათ,
ჰიჭყებთ, გაისარჯენიით,
ვისი ხანჯალიც სჭრისათ!

95

(ვარიანტი)

მეძეული გიორგი

შეღორეშ ღორი გალალა,
ის მიდის თავის პირსათ,
მაღლა ქებენ ხეებსა,
ქოხები ჩადგეს ხისათ.
მოჯამაგირეშ შეჰფიცა,
ფიცი ქნა მეუფისათ:
-გუშინ რო ღორებში ვიყავ,
ჩავალი ვნახე მტრისათ,
ვესროლე თოფი, ვერ მოხვდა,
ვაი, იმ გულის პირსათ!
—შე გადეგდილო, ვერ გიგრავ,
ვაი შენს გიორგისათ!
დაჯდა და ლესვა დაუწყო,
კარგად მოუწყობს პირსათ.
—შე ვიცი ამის ამბავი,
თუ პირი მოიკიდათ,
ფეხზედ არვის დააყენებს,
სულ ყველას დასცემს ძირსათ.
შუაღამე რო შეიქნა,
ელვარე იქნა ცისათ.
ლეკის ჯარი მოესია
ამ საწყალ გიორგისათ.
ქვეშკნით რო ლეკი მოეგდო,
შაშვივით ალებს პირსათ,
შახედა ექვსმაურასა,
ყველივით სთლიდა ლეკსათ.
—შენი ჭირიმე, გიორგი,
მე შენ მოგპარავ ჭირსათ!
ხმალი ხმალზედ გადაყაბათ,
ჯავრი არ გაგვიშვებს მტრისათ.
ღერძულიანთ გიგოლა
ნამტვრევი არის კლდისათ.
ცრემლი სდის ხუშურ-ხუშური,
წყალივით ჩამოსდისათ,
ნამწეწი დანა არა აქვს,
რომ მოიჭრიდეს ფხიდისათ,
ურჯულოს დასცეს ხანჯალი,
შაშვივით ალებს პირსათ.
იქ რომ ორი ბელადია,
ორივე მზასა ზისათ,
ორივეშ თოფი უტყუეს,
ორივე დასცეს ძირსათ.
შინაურებსა ჰგონია,
ლამ-ზახის ქვეშა სხდესათ,
კვირას წავალთ და წავუდგებით
გამომცხვარ თბილსა პურსათ!
შესანდობარი დალიეთ
იმ ლამაზ გიორგისათ!
მტრისაც კი დასანანია,
არამც თუ მეზობლისათ!

## თ ა თ რ ე ბ ზ ე

96

თათარსა თარაქამასა
ცხვარი ჰყავ მეტის-მეტია,
იმას ვერავინ წაართმევს
ჩვენი ბატონის მეტია.

97

გამიარ-გამამიარე,
კვერცხი დამიდე, ქათამო,
რა კარგს სამართალს იძლევი,
დაგექცა რჯული, თათარო!

98

მაღალსა, მაღალს მთაზედა
სისხლისა გუბე მდგარიყო,
ერთი ურჯულო თათარი
სვამდა, ვერ გამაძღარიყო.

99

უბანო, ყური დამიგდე,
გითხრა ჩემი ბედის წერა:
სულ რომ ხორაგი ჩავყარე,
გავწიე ბოლნისისკენა*).
იმ ოხერ არგვეთ რო შიველ,
ჰარიელათ**) ისევ ბნელა,
ურმებს თავი დავანებე,
ცხენით წაველ ნელა-ნელა.
უბედურმა რა ვიცოდი,
თუ თათრისგან მქონდა წერა!
ჯერ ტამბაჩა დამახალა,
მერე ხმალი შეაშველა,
იმანაც რო ვერა მიყვა,
ყელში თასმა წამიჭირა!
გვარის გვარამდენ დავწყევლე,
აღარ ვილოცო ბოლნისი,
ბოლნისო, ისე აშენდი,
როგორც მე შემეწიეო!

100

წყალი გაყინა, გაყინა,
წისქვილი ჩახრახინაო.
ვინც თათარს ხარი მოჰპარა,
ხელ-მხარი შეარჩინაო!

*) სალოცავად.

**) ცოტათი.

## ს ა ს უ ლ ი ე რ ო ლ ე ქ ს ე ბ ი

101

### ს ა ი ქ ი ო

დასწერე, ორო კალამო,
ვიცი არა ხარ ფლიდია,
ეგ შენი სიტყვა-პასუხი
სულ წმინდად დაგითვლიდია.
ასე ზედ გაგვატარებდეს,
როგორც რო დადო ხიდია.
სულ-ხორცის გაყრა ვიფიქროთ,
სათქმელად საზარელია;
დააგდო ფჩხილმა თითები,
ბაგეს ეცვალა ფერია.

მეტადრე ცოდვილისათვის
სულის ამოსვლა ძნელია,
ერთის წლის სავალელ გზაზედა,
ეკალ-უკალი ჰფენია.
დგას კუპრიელის ქვევრია,
გარს უკიდია გენია,
ამხანაგის მოღალატეს
შიგ უდევს ენის წვერია;
ნათლიისა შემცოდესა
გამოსჭრიან სამწყადესა,
გაუხვრეტენ ენის წვერსა,
შიგ უყრიან წითელ გველსა.
დედა ობლების დამურელი
ეფარება კაცის მკვლელსა,
უბეში უსხედს გველები,
ეტანება ძუძუებსა.

### 102

ჯოჯოხეთი და სამოთხე
ორივ ხმელეთზე სწერია;
ჯოჯოხეთში შემიყვანეს,
ამოდის კუპრის გენია.
სამოთხეში გადმიყვანეს,
იეთრად ნათელი ჰფენია.
სამი ქალი მომეგება,
ძმაო, სად მოგვაგენია.
აქ შენ რისათვის მოსულხარ,
ვინ არის შენი ტელია?

### 103

იოსებ რო დაიბადა,
მე მისი მახარობელი,
ერთი ხელი მარწუხისა,
ერთი ურო საცემელი;
გააკეთა რკინის კეტი,
ჯოჯოხეთის სანგრეველი.
ათი კუთხე დაანგრია,
მეთერთმეტეს მიჰყო ხელი.
ადამ, ადამ, ნუღარ ანგრევ,
თორემ დიდი საშინელი.
ქვა ქვაზედა დუღდებოდა,
მზე უკუღმა ბრუნდებოდა.
ხელთ უჭირავს ხის სასწორი,
ცოდვა-მადლი ეწონება.
მე და იგანე კანთელი
სულის საკრეფლად წავედით,
გავიარეთ შორნი გზანი,
არ დამაგდო მე სტიმელი;
სამოთხეში გადვიხედე,
კუპრად იყო დიდი ერი,
ორნი ქალნი გადმოვიდნენ,
თურმე იყვნენ ჩემნი დანი,
ძმაო, აქ რამ მოგიყვანა?
ღვთისგან გადგა დიდი ძალი.
მადლის მქნელი ამას ამბობს:
„ჩვენთვის ხალიჩა ჰფენია“.
ცოდვის მქნელი ამას ამბობს:
„ჩვენთვის ეკალი ჰფენია,
კუპრი ჰდუღს, ალი ამოდის,
გარს უკიდია გენია“.
დედ-მამის მაგინებელსა
შიგ უდევს ენის წვერია,
ამასაც არ დააჯერეს,
ყელზედ დაჰკიდეს გველია.

### 103

სულისა და ხორცის ამბავი

სულის და ხორცის გაყრა ვსთქვათ,
სათქმელად საზარელია!

მეტადრე ცოდვილისათვის
სულის ამოსვლა ძნელია.
დააგდონ ფეხის ფრჩხილები,
ბაგეს ეცვალოს ფერია,
მაშინ რას გამოგადგება,
ბევრიც რომ გყვანდეს შვილები?
მოუხაროდეს ეშმაკსა,
მოჰქონდეს ხელწერილები,
ცოდო და მადლის ბარათი
ეჭიროს დაბლუჯულები,
სულის ამოსვლას ჩქარობდეს,
მწარეთ ეხრიჭოს კბილები.
ვეხვეწოთ წმიდა გიორგის,
ის არის ჩვენი მხსნელები.

104

სულისა და ხორცის ბაასი

**ხორცმა უთხრა:**

სულო, მე არას გემდური,
უდროოდ გამეყარეო,
რაც რომ აქამდი მახარე,
სულ ახლა ჩამამწარეო,
წახველ და შენით ხელითა
საფლავი გამითხარეო,
ჩამაგდე ქვეშკნეთს უძიროს,
ზედ მიწა მომაყარეო.
**სული:** შენს გვამში არ მედგო-[მება,]
ეს ჩემგან გაიხსენეო,
რაც შენს სიმყრალეს მოვშორდი,
პატარა მოვისვენეო,
პეტრეს და პავლეს გვევედრეთ,
სამთავ მომკიდეს ხელით.
**ხორცი:** სულო, შე დალონებულო,
მეც ბევრი აგი გიყავო,
შენს მტერობაში ვალამე.
სანამ ცოცხალი ვიყავო,
ყელამდი ცოდვით აგამსე,
როდესაც კარგი ვიყავო.
მარჯვენას აფაზაკობით,
ღმერთო, წყალობა გიყავო.
—წადი და სთხოვე თომასა,
ინდოეთისა ხუროსა,
გიბოძოს პატა სანთელი,
მადლი მე წამამხუროსა,
ვინრონ სწორე გზაზედა,
ეშმაკს არ მამსახუროსა.
მოვერიდები ცოდოსა,
ვით ეშმაკს ქასქანჯიელსა,
მაგრამ ვინ მომცემს ცხონებას,
მე ოხერსა და ტიელსა.
კიდევ მაქვს ღვთისგან იმედი,
ვაქებთ იესოს ძლიერსა,
ავები მიყოს წყალობა,
როგორც რომ ქზაქიელსა.
მიჯობდა, დღეს აქამდე
მე ჭკუა მამეხმარაო,
დარჯილო სულო, რა გიყავ,
სიკვდილი მამეპარაო!
იმ სოფლის ხამოვნებამ
ტყუილად ჩამიარაო,
დავითის სამსახურშია
სულ ცუდად მოვიმძორეო.
ტყუილი ვილაპარაკე,
ერთი არა გსთქვი სწორეო,
მიშველე, უფალო წმიდაო,

ამ სოფელს გამაშორეთ,
და იესო ქრისტესთანა
შენცა გთხოვ დამეხმარეთ!

105

საიქიოს ცოდვის მქნელი:
ჯერ მჭედელი, მერე მღვდელი,
დაიბარეს მეწისქვილე,
თავში ჩაჰკრეს სარეკელი:
-მინდი წინდაწინვე მოგეც,
წმინდას რათა ჰკარი ხელი?
დაიბარეს მერე მღვდელი,
მაგრა დაუჭირეს წვერი:
—სადაც ტაბლა დაინახე,
იქით გააჭენე ცხენი,
ზოგს უზიარებსა ჰკლავდი,
ბევრს არ გაუსველე ყელი.
უთხრეს თავსა მართებელსა:
—წაიყვანეთ, იქ ჩააგდეთ,
სადაც იყვეს კუპრიელი.
დაიბარეს ფეიქარი,
გადუგრიხეს კიდოს წვერი:
—შალი საქსოვათ მოგეცი,
ფასი გქონდა მიღებული,
ფასი წინდაწინვე მოგეც,
კიდოს წვერი რად გაჰხსენი?
დაიბარეს ეს მჭედელი,
თავში დაჰკრეს დიდი კვერი:
—მე რო რკინა მოგიტანე,
ფოლადს პირი რათ მაჭერი?
უთხრეს თავსა მართებელსა:
—წაიყვანეთ, იქ ჩააგდეთ,
სადაც იყვეს კუპრიელი.
დაიბარეს კუთხის დედა,
თავში დაჰკრეს იფნის სახრე:
—თესლი კალთაში ჩაჰყარე,
მოუხშირე პირველზედა,
პური ცოტა დაგეთესნა,
ღმერთისაც აგინებდი შენა,
ყანა თხელი მოგივიდა,
შენს დათესილს მამულზედა!

106

ქრისტეს ცხოვრებიდან

ქვეყანა იძრა, კლდე გასქდა,
ტირის მარიამ დედათ:
—შენზედა დამოკიდებულს
თვალით როგორა მხედავთ!

107

ი უ დ ა

იუდა ვერცხლის მოყვარე
სიყრმიდან ავის მქნელია,
მისთვის შეუდგა ქრისტეს,
რომ იყო მამის მკვლელია.
პეტრემ იხმარა მახვილი,
მალქოს მოჰკვეთა ყურია.
პილატეს ღმერთი გაუწყრა,
შიში დაეცა ძნელია.
წყალი მოჰკითხა, მოართვეს,
და გადიბანა ხელია:
—მე ამაში უბრალო ვარ,
მან ნახოს სატანჯველია.

108

ცისკრად მოვიდა მარიამ,
სათვალავად ცრემლთა მღვრელია,
სუდარი ნახა მდებარე,
სათვალავი ცარიელია,

წავიდა, პეტრეს ახარა,
„რა ვნახე საკვირველია,
იესო ქრისტე ჯვარცმული
ამდგარა ჩვენი მხსნელია!“

### 109

### საღმრთო წერილის ზოგიერთ პირებზე

#### აბრამის ამბავი

აბრამ იყო ღვთის მლოცავი,
მაგრამ ძე კი ენატრება,
საქონელი ბევრი ჰქონდა,
არვინ იცის, ვის დაჰრჩება?
აბრამს შვილი ძრიელ უნდა,
დღე-ღამე ღმერთს ევედრება:
— „ღმერთო, ერთი შვილი მომეც,
ისიც შენთვის გაიზრდება.
შვიდის წლისა სამღთოდ მითქვამს,
ეს პასუხი არ გატყდება!“
უსტუმროდ პურს არა სჭამდა, —
ჩვეულებად ეს ექნება,
ოცი დღეც რომ გამოვიდეს,
მარტო პურს არ შეეხება.
ეშმაკმა გზა ისე შეჰკრა,
კაცს არსიდამ მიესვლება.
კაცისგან არ შეიძლება, —
ღმერთი მგზავრობს, ესტუმრება.
მეორმოცე დღეს სამება
იმის კარზედ მობძანდება.
აბრამს კაცები ჰგონია,
ყველას სთხოვა დაბძანება.
სტუმრებს სუფრა მოუტანა,
მხიარულად დაუხვდება.
პურს აიღებს ერთი მგზავრი,
გასტეხავს და ილოცება:
„ამ ოჯახს დალოცავს ღმერთი. —
სარას შვილი ეყოლება!“
აბრამსაც დალოცავს ღმერთი,
სარა კარავთან დადგება.
სარა ამას გაიგონებს,
დიდად უკვირს, ეცინება:
დროზეით გადასულია,
გაგონებაც ეზარება.
წინაღმდეგი სიტყვისთვის
სამება როდი გაწყრება.
— არ ირწმუნეთ, ძენი თქვენი
ეგვიპტეში დატყვევდება,
ანგელოზებსაც უბძანებ,
სოდომ-გომორა იწვება.
ლოთი თავის ცოლ-შვილითა
იმ ცეცხლიდან დაიხსნება ..
აბრამს შვილი გაუჩნდება,
სამამულედ დაურჩება.
იმ მეორე წელიწადსა
თავს იმედი დაედება.
ამ მესამე წელიწადსა
ყოველთაგან ეხარება;
იმ მეოთხე წელიწადსა
დედას იმედი ექნება.
ხუთი წლისა რო შეიქნა,
ცხენზე ჯდომა შაეძლება.
დიდად უკვირს ყოველ კაცსა, —
ეს ყმაწვილი რათ იზრდება?!
— შვიდი წლისა სამღთოდ მითქვამ,
ჩემი სიტყვა არ გატყდება.
ამას დედა გაიგონებს,

პირველ დიდათ ეწყინება,
მაგრამ ფიქრში პირველი დღე
ღვთის სტუმრობა აგონდება.
—რაკი გითქვამს, წაიყვანე,
შენი აღთქმა აწ თავდება.
მოწყალესთან სამსახური
არასოდეს არ წახდება.
თუმცა იტყვი და უმტყუნებ,
უფრო ბევრი დაგაკლდება.
აბრამი გზას ემზადება,
ისაკს აზრში არ მაჰხვდება.
ყმანი გვერდსა იახლება,
გაივლიან დიდსა გზასა,
მთაზე ავა, იქ დადგება.
ასეთი ცეცხლი დაანთო,
ალი ზეცას ავარდება,
ქვაბი დუღს და წყალი შრება,
სამსახური არა ჩნდება.
შვილმა უთხრა: „მამაჩემო,
სამღთო არსით არ გვიჩნდება?
ვიცი, სამღთოდ მე გინდივარ,
გული რაზე გიღონდება?
—მაცა, შვილო, ღმერთს ვევედ-
ჩვენზე საქმე მოყარდება. [რო,
ადგა, მამას გვერდთ მოუდგა,
დედამიწას ემთხვეოდა.
ყმაწვილს გული უწუხდება,
ცხელის ცრემლით ატირდება.
—მეუფეო, რას მიპირობ?
ნეტა ჩემთვის რა რიგდება?
—ჩემი სისხლი შეიწირე!
ისაკი ღმერთს ევედრება,
ჩემი დედ-მამის ამაგი
ჩემზედ ვალად ნუ დარჩება!
მიწას ემთხვია და ადგა,
აბრამს ამას ეუბნება:
„მაგრა შემკარ, ისე დამკალ,
სისხლი არსით მოგეცხება.
თუ სადმე სისხლი მოგეცხო,
სამსახური წაგიხდება.
აბრამ დანა გაილესა,
დასაკლავად ემზადება,
ვიდრე ყმაწვილს ხელს ახლებდა,
ჭკუა, ცნება ეფანტება.
ყელში დანა გაუყარა,
ყანყრატოში გაქვავდება.
ციდამ ღმერთმა გადმოხედა,
—დახე, აბრამ რასა შვრება?
ერთი ვერძი გადმოუგდო,
წითლად-ყვითლად აყვავდება.
—ეს დაკალ და ეგ გაუშვი,
შვილი ფეხზედ აგიდგება.
ყოველ კაცსა თავის სამღთოდ
ღვთისგან ესეც მიეთვლება.
ბევრჯელ სამღთოს ღმერთს შევწი-
ღმერთი შემწე შეუოლდება. [რავ.

110

იობის ლექსი

იობ იყო ღვთის ნათლული,
ცოლი ჰყვანდა მართალ გზისა,
თანაც ჰქონდა მორჭმულება *)
და სიმდიდრე ამ ქვეყნისა.
შვიდი ვაჟიშვილი ჰყვანდა,
სამი ქალი - სახე მზისა.

---

*) სახელი და დიდება.

—გადასძახა, მაცხოვარო *),
ის შენსას არ იტყვის ძვირსა?
ათივ ერთ დროს დაეხოცა,
ერთიც აღარ დარჩა ძირსა.
არ მოშალა წყართულობა
ლოცვისა და თაყვანისა.
გარსუდარი გაუგზავნა
შესამოსი სამარისა:
„ნურც იტირებთ, ნურც იგლოვებით,
ნურც იწუხებთ მიწის შვილსა,—
იყო უფლის მოცემული,
ისევ უფალმ მიითვისა!“
იობს კაცი მოუვიდა,
მოციქული მაღალ ღვთისა,
სალაროს ცეცხლი მოედო,
ალმა პირი ნახა ცისა!
ჯორ-აქლემი სულ დაგეწვა
და მინდორში ფარა ცხვრისა,
ციხე-ქალაქი დაგეწვა,
მტვერიც აღარ დარჩა მისა!“
დალოცა და გაისტუმრა,
გზა უბოძა ასტისა:
—თქვენ რა იცით, უგუნურნო,
ბძანება ასრულდა ღვთისა!
ერთი წყეული ეშმაკი
იობს უზის მუხლის პირსა:
—„იობ, ღმერთსა რაი არა ჰგმობ,
თუმც რომ გეშველება მითა?“
—გაბრუნდი, ბილწო ეშმაკო,
ეს საქმე შენით მჭირსა...
იობს მატლი დაეხვია,
ჭია-ღუა ათასფრისა.
სადაც მატლი გადვარდება,
აიღებს და ზედ დასვისა:
—მანამდისინ ცოცხალი ვარ,
ფიქრი ნუ გაქვს სიკვდილისა,
რომელმაც რომ სისხლი წოვოთ,
სახელი გქონდეთ თულგაზისა,
რომელმაც რომ ძარღვი ღოკოთ,
დღე ანათოთ მეუფისა.
რომელმაც რომ ხორცი ჭამოთ,
სახელი გქონდეთ სიმდიდრისა.
ცოლი ჰყვანდა მეტად კარგი,
ალალი და თავდაბალი,
თავისის თავმდაბლობითა
ტევრი ჰქონდა ოქროს თმისა,
წავიდოდა, პურს ითხოვდა,
ძალი არ აქვს სხვა საქმისა.
ეშმაკმა გზა ესრეთ შეკრა:
ტევრი მისცა ოქროს თმისა.
—მე იუდავ, რისთვისა სცდი,
რათ მინდოდა მე ეგ პური,
ნატეხი არს ეშმაკისა.
ანგელოზი მოუვიდა,
მოციქული მაღალ ღვთისა:
—თუ გინდა სულ გაგიცოცხლო,
რაც სიმწარე ჰნახე მკვდრისა!
თუ გინდა ხასუფეველი
ტახტი მოგცე სიმდიდრისა?
იობმა სთქვა: „თუ არ იქნება
დაბრუნება ზარალისა,
რაც უფალს უნებებია,
მე იმადაც არა ვღირვარ.

*) ეშმაკი ეუბნება ღმერთს.

### 111

### სოლომონ ბრძენისა და კუნძუ-ლელისა

სამუხის მინდორზედა
სამი მგზავრი მოდიოდა,
სამსვე წყლის პირს დაუღამდა,
სამსვე ჩვენსა მოამბესა.
შებადემ ბადე გადაგდო,
სამი თევზი გამოჰყვესა,
სამი თევზი ტაფას ჩადვეს,
სახელები დაარქვესა.
დალოცვილი სოლომონი
სიტყვას ბრძანებს მეტად ბრძენსა:
—სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
ხმელზედ ვინადირებ თევზსა,
ყინულზე კალოს გავლეწავ,
მორევში გადავყრი ბზესა.
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ,
კამეჩებს დავუყრი ბზესა.
მიმინოს ბარგსა ავკიდებ,
აქლემს მოუტევებ მწყერსა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზი გაცოცხლდესა.
ერთი თევზი წყალს შეცურდა,
ორი იქვე ტაფას ძევსა,
უფლის სიტყვა არ გატყდესა.
რიგით მოჰყვნენ სამართალსა,
რიგი ვეზირს ხვდებოდესა.
წამოდგა, წამოუჩოქა
ბედნიერ სოლომონ ბრძენსა:
—გამზარდე და გამაკაცე,
მამყარე ამ შავსა დღესა,
თუ გინდ რომ თავი მომკვეთო
შენსა მონა ფეხთა მტვერსა,
დღეში სამჯერ ამას ვამბობ:
„მე მოვკლავ სოლომონ ბრძენსა,
პირად-მთავარე მე დამრჩესა...“
შევაფურთხებ ეშმაკებსა,
გავისტუმრებ ცარიელსა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზიც გაცოცხლდესა.
ღვთის ბრძანება არ გატყდესა,
იმის თევზიც გაცოცხლდესა,
წავიდეს და ზღვას ეცესა.
ერთი ისევ ტაფას ძევსა.
რიგით მოჰყვნენ სამართალსა,
რიგი დედოფალს შეხვდესა.
წამოდგა, წამოუჩოქა
ბედნიერ სოლომონ ბრძენსა:
„გამზარდე და გამაქალე,
მამყარე ამ შავსა დღესა,
თუ გინდ რომ თავი მომკვეთო
შენსა მონა ფეხთა მტვერსა,
თორმეტი წელიწადია
ჰყვარობ კუნძულთ ხემწიფესა,
ის ხომ პირად ვერც კი მოვა,
მთვარის შუქსა ჩამოჰყვესა.
შევაფურთხებ ეშმაკებსა,
გავისტუმრებ ცარიელსა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზიც გაცოცხლდესა!“
გაცოცხლდა და ზღვას შეცურდა,
ტაფა ცარიელი რჩესა.
შიშითა და სირცხვილითა

დედუფალი შესწუხდესა.
გულზე უსმენ ვარდის წყალსა
აფიცებენ მამის მზესა.
—არას გერჩით, პირად-მზეო,
თუ მტერს მომიკიდებ ხელსა!
სოლომონმა მეჯლიში ქნა,
დაჰპატიჟა თავადებსა,
კუნძულელსაც დაჰპატიჟა,
ქაჯუეთის ხელმწიფესა.
მოდიოდა კუნძულელი,
მაარბენდა თავის ცხენსა,
ოქროს ბურთვსა მოისროდა,
ღამეს მაანათებს ბნელსა.
მოჰპატიჟეს კუნძულელსა,
მუხლის პირას დაისვესა.
შუა სმაზედ რომ შევიდნენ,
სოლომონმა უთხრა ესა: [ყვი,
—ყური მიგდეთ, სიტყვას ვიტ-
სიტყვას თქვენთვის სანატრელსა:
ერთი სპილენძის კოკა მაქვს,
მიპარია მემაშხნესა,
ვინც იმას საყმოთ ამიმსებს,
პირად-მთვარე მას დარჩესა.
წამოდგება კუნძულელი:
„დღეს მოვესწარ სანატრელსა!"
ოთხივ კუთხივ კაცებს აფრენს,
დაუძახებს თავის ყმებსა:
„მოდით ყველა, დიდი, მცირე,
ერთი არვინ დააკლდესა!"
მოდიოდნენ დედაბრები,
მოიქნევდნენ ყავარჯნებსა,
უკან ბერები მოსდევდნენ,
მაცმაცუნებენ წვერსა.
სამი დღე-ღამე იდინეს,
კოკას ყელში დააკლდესა.
—კუნძულელო, შენც ჩაბძანდი,
საყვარელიც ჩამოგყვესა!
ჩაიტყუეს კუნძულელი,
ზედ ზარფუში დაადგესა.
მოიყვანეს მომჭედური,
ოთხივ კუთხივ დაჭედესა.
აჰწია მთელმა ქალაქმა,
შუა მტკვარში გადაგდესა.
ათას ხუთას წელიწადსა
მაგნე სული არ გაჩნდესა,
აკვანში მწოლიარესა
გულში ხინჯი არ ჩაჰყვესა!
მებადურსა, მეთევზესა,
ყველას ღმერთი ჰრისხავდესა!
მეთევზემ ბადე გადაგდო,
კოკას ყელზედ გადასდესა,
გამოიტანეს, გასინჯეს,—
დიდი საქონელი სძევსა!
ერთმანერთს ეუბნებიან:
„ხემწიფეს არ მოხსენდესა,
თუნდა შვილის-შვილს ეყოფა,
რაც ამაში განძი ძევსა!"
დაუშინეს დიდი ლოდი,
კოკა ყელში გატეხესა,
ამოცვივდნენ ქაჯნი-ქუჯნი,
მთასა და ბარს მოედვნესა,
რიგი კლდესა, რიგი ხევსა,
რიგი წყალში ჩაცვივდესა,
კუნძულელი გამოვარდა,
იალბუზზე შემოჯდესა.
იესო ქრისტემ დასწყევლა
მეთევზეც და მებადეცა.

მებადეს ბადე ულოცეს,
მელოგინეს დაუდეს.
ამის მეტი აღარ არის,
ეს ამბავი გათავდეს,
ყველას ღმერთი შეგეწიოთ,
დიდებსა და გასაზდელსა!

112

(ვარიანტი)

მებადემ ბადე გადაგდო,
სამი თევზი გამოჰყვესა,
წვრილად დასჭრეს და დარეცხეს,
ტაფაი ცეცხლზედ შემოდგესა.
მოხარშეს და ძირს გადმოდგეს,
თავსახური ახადესა.
მსახურმა წამოუჩოქა
ბედნიერ სოლომონ ბრძენსა:
—დღეში სამჯერ ამას ვიტყვი,
მე მოვკლავ სოლომონ ბრძენსა!
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზი გაცოცხლდესა,
გაცოცხლდეს და ზღვას შეცურდეს,
ჩემი სიტყვა გამართლდესა!“
გაცოცხლდა და ზღვას შეცურდა,
ორი კიდევ ტაფას ძევსა.
სოლომონ ბრძენი დაფიქრდა,
ჭკუას იყო განსაცდელსა.
—ჯერ ხომ ვარ სოლომონ ბრძენი,
მერე მეძახიან ბჭესა,
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზიც გაცოცხლდესა,
გაცოცხლდეს და ზღვას შეცურდეს,
ჩემი სიტყვა გამართლდესა!
გაცოცხლდა და ზღვას შეცურდა,
ერთი კიდევ ტაფას ძევსა.
რიგით მოვყვეთ სამართალსა,
ახლა დედოფალსა ხვდესა.
შიშითა და სირცხვილითა
დედოფალი შესწუხდესა.
გადაბრუნდა დედოფალი,
გულზედ უსმენ ვარდის წყალსა.
—არას გერჩი, პირად-მზეო,
თუ მტერს მომიკიდებ ხელსა!
—„ვაი, რა ძრიელ მოვტყუვდი,
ვუღალატე მკლავსა შენსა,
თორმეტი წელიწადია
ვყვარობ კუნძულ ხემწიფესა,
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზიც გაცოცხლდესა,
გაცოცხლდეს და ზღვას შეცურდეს,
ჩემი სიტყვა გამართლდესა!“
—კუნძულელი დავპატიჟოთ,
ცის კიბეზედ მობძანდესა,
წინ ჭრელი სუფრა გავუგოთ,
არ ენახოს თავის დღესა!
—კუნძულელო, სიტყვას გეტყვი,
დიალ შენსა საამურსა,—
ერთი სპილენძის კოკა მაქვს,
მიბარია მემაშხლესა,
ვინც იმას საყმოთი აავსებს,
საყვარელი მას დარჩესა!
წამოვარდა კუნძულელი,
ფეხი მაშია არ აჰყვესა,
გადადგა და გადასძახა
თავის ნაზირ-ვეზირებსა.
შვიდი დღე და შვიდი ღამე
აკვნიანათ იდინესა,

კოკას ყელში დააკლდესა.
—კუნძულელო, შენც შიგ ჩადი,
საყვარელი თან ჩაგყვესა!
ჩაიტყუეს კუნძულელი,
თავს ზარფუში დახურესა,
ოთხივ კუთხივ შემოჭედა,
შიგნით ზღვაში შეასხესა.
მებადემ ბადე გადაგდო,
კოკას ყელში გამოსდესა, —
ამაში ქონება არის,
ნუ ვინ ეტყვით ბატონ ჩვენსა!
დაუშინეს თურინჯები,
კოკას გვერდი გახვრიტესა:
გამოცვივდნენ ეშმაკები,
ზოგი ტყეში, ზოგი მთაში,
ზოგი წყალში შეცურდესა.

113

წმინდა გიორგის შესახებ

ხატის ძალა

ატოცის წმიდა გიორგი
მაღლა გორაზე ჰსვენია,
სადირი ბევრი მოუდის,
არჩვი, ირემი, მშველია,
დათვს რაღა მაარბენინებს?—
ვაი შიში რა ძნელი!

114

წმიდა გიორგი ცხოველო,
შენს სალოცავად მოველთ,
შამირეკია ცოლ-შვილი,
შენსა წყალობას მთხველი.
დალონებულსა ჩემ გულსა
შენი წყალობა მოეთ!

115

წმიდა გიორგის კარზედა
ალვის ხე ამოსულიყო,
დამწიფებული კურძენი
საჭმელად შემოსულიყო.

116

ღვთის-მშობელზე

ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა
ქვეყნის შენობა ინება,
უბოძა ცასა ღრუბელი,
თავს წვიმის ჩამოდინება.

117

კლახა და ქრისტე

ერთს უღლაგო ალაგას
ერთი გლახა ესახლება,
გლახა ისეთი გლახაა,
ქვა აქვს, კბილთ ეწყალობა.
სანეხვეზედ კონკებს ეძებს,
ტანსა იმითი იმოსება.
ერთი ძაფი გამოიძრობს,
ასი კონკი გამოჰყვება.
ამას ამასობაშია
გლახას შვილი ეთოლება.
შვილის წლისა გაუხდება,
მოუნათლავი უკვდება.
—ყოვლად წმიდა ღვთის მშობელო,
ნათლი მცემელ ეხვეწება:
გლახას შვილი რო მიეცა,
მოუნათლავი უკვდება.
წადით და მოუნათლევით,
მას მირონი ეწამება.
ქრისტე ღმერთი წამობრძანდა,

გლახას კარზედ ჩამოხტება.
—გლახავ, შვილსა მოგინათლავ,
თუ მირონი გეწამება.
ნათლიდედა, ნათლიმამა
კარებს უკან იმალება.
ეს ერთი სვინა ვიშოვეთ,
ესეც მშიერი გვიკვდება.
—გამობრძანდი, ნათლიდედავ,
ჩვენი საქმე კარგად ხდება.
ერთს ისეთს გაგამდიდრებ,
თუ ბოლომდინ შეგერგება.
ნათლიდედავ, წადი ნახე,
ქვევრში ღვინო დაჭანკდება;
ნათლიმამავ, წადი, ნახე,
ორმოში პური ძველდება,
ამ მურასა ლაგამებსა
ანგარიში არ ექნება.
ცხრა ათასი სული ცხვარი
დილას კარზე მოადგება.
—ათის თავი ღმერთის მიართვი,
ოცის თავი შენ დაგრჩება.
ამობრძანდი, ნათლიდედავ,
ცხრა მთახლე გამოგყვება.
ზოგი კაბის კალთასა სწევს,
ზოგი ქათიბს აფრინდება.
ერთს პატარა ქოხში იდგნენ,
დიდი სასახლე გახდება,
ქუდ მოხდილი ცხვრის მეცხვარე
ფარას სულ წინ მიუძღვება.
თავის ალას ეუბნება:
ეს ტყუილი ყოფა არის,
თუ კი ბინა არ შექნება.
სახლში რო სტუმარი გიზის,
თვითონ უფალი იქნება,
წადი, იმას შეეხვეწე,
იმისგან გაგიკეთდება.
წამობრძანდა ნათლიაი,
უკან აღარ იხედება.
შვილს წელიწადს უკან მოვალ,
თუ მირონი გეწამება.

—

შვიდი წელიწადი გავა,
მერე სტუმრად ესტუმრება.
გამოჰხედა მთახლემა,
ნათლიაი მობრძანდება.
ნათლიდედა გაჯავრდება:
„ნეტა რისთვის მოდიოდა,
თვალი მასაც დაუდგება!“
შეიწყევენ ნათლიასა,
კერას უკან დაბრძანდება.
ერთი ცხვარი მოიყვანეს,
ტახიც ფეხით კოჭლი არის,
ორივ თვალით ბრმა იქნება.
—გააბრუნე ნათლიდედავ,
ნათლიაი ეუბნება,
მაგდენი სატკივრისგანა,
მაგის ხორცი არ იჭმება...
ნათლიდედა ეუბნება:
—სტუმარი რო ბჭედ დაჯდება,
საქმე მაშინ გაფუჭდება,
შენს მოტანილს ქათიბებსა
ხასტიკები*) დამიკლდება“.
—ვაჟო ეს ჩვენი გლახაი
რა მალე გაკოხტავდება.

---

*) ახლოტები (ახლუდები).

ჩემი მოცემული სარჩო.
ჩემთვინ აღარ ემეტება!
ხელთ ყავარჯენი უჭირავ,
ზედ ოქროს ჯვარი აჯდება.
მიწას ჯვარი გადასწერა,
მიწას პირი დეედება.
ნათლიდედა, ნათლიმამა
ორივ ქვეშით მოიქცევა.
ნათლული გამოიტაცა,
დღესაც ცაში დაფრინდება,
ანგელოზებში ითვლება.
—მე იმას ვერ გავიმეტებ,
მე მირონი მეწამება.
ნათლიმამის წვერ-ულვაში
მინდვრის ბალახად იქცევა,
იმას საქონელი მოსძოვს,
ჭკივანი შეიქმნება.
ნათლიდედისა ფარჩები
ენდროს ფოჩათ გადიქცევა:
ვინც ამ ენდროს ამოიღებს,
ხელი მკლავზედ შეახმება.

118

მდიდარი და ქრისტე

ქალაქს მისრეთის ხელმწიფევე
კაი მლოცავი იქნება.
იმას რო ვეზირი ჰყვანდა,
კაი მწერელი იქნება.
იმის სახლში პური ცხვება,
ცხრა კარი დაიკეტება.
ხაბაზები პურს აცხობენ,
ლუკმა პური არა რჩება.
მზარეული ხორცსა ხარშავს,
ცორი წვენი არა რჩება.
მეღვინე ღვინოს არიგებს,
უზიარებელი კვდება.
გარმაჰხედა ქრისტე ღმერთმა:
„დახე, გლეხი რასა შვრება?
თუ ჩემის ფეხით არ ჩაველ,
ქვეყანა გამიკერპდება.“
—პატარა პური მაჭამეთ,
თქვენ ბევრი პური გედება;
პატარა ხორცი მაჭამეთ,
თქვენ ბევრი ხორცი გედება;
პატარა ღვინოც მომეცით,
თქვენ ბევრი ღვინო გედგმებათ!
—წადით და გამოუტანეთ,
ნამტვრევი პური ეყრება,
წადით და გამოუტანეთ,
ნახრავი ძვლები ეყრება!
წადით და გამოუტანეთ,
ნაწური ღვინო გედგმებათ...
გამობრუნდა ქრისტე ღმერთი,
ტკბილისა ხმით ილოცება.
ერთსა კაცსა მიადგება,
უმწარისი არ იქნება:
—პატარა პური გვაჭამე,
შენ ბევრი პური გექნება.
შენმა მზემა, ღვთის სტუმარო,
ლუკმა არცით გვებადება!
—პატარა ღვინო დაგვლიოთ,
შენ ბევრი ღვინო გედგმება!
—შენმა მზემა, ღვთის სტუმარო,
ცორი არცით გვეშოვება.
თორმეტი წელიწადია

მარნის კარი არ გველება;
მარნის კარს ხელი მოვავლო,
ფუტურო ხელში შემრჩება!
უფროს ქალს ხელი მოავლო,
პურის გირაოდ ისომდა.
მიდის, მიტირის გლახაი,
ცრემლით გზა უტალახდება:
—შენ დაილოცე, მეუფევ,
შენი ტახტიმც აშენდება!
ზოგსა იმდენს სარჩოს მისცემ,
წვერი ცამდე მიუწვდება.
ზოგსა იმდენსაც არ მისცემ,
სტუმარს პური ეჭმეოდა!
—მარნის კარები გაალე,
მოდი ერთი რა იქნება!
გლახას ერთი ნაბადი აქვს,
საკერებლით არა ჩნდება,
ერთი ძაფი გამოაძროს,
ცხრა ბრასტი*) ჩამოვარდება.
გლახასა თავის ნაბადი
ოქროქსოვილად ექცევა,
მდიდრისა ცხვარი და ძროხა
გლახის კარებზედ მოდგება.

119

ასლი მონასლეთ ხელმწიფე
გადასრული ხმელეთზედა,
სისხლე და სადარბაზე
ედგა ოქროს ბოძებზედა.
ზეცას დარეკეს ზარები.
ქრისტე დადგა ლოცვაზედა,
მლოცავია მლოცავზედა,
ქრისტე ღმერთის თაყვანზედა.
მდიდარს კაცი გაუგზავნეს:
„შენც მობრძანდი ლოცვაზედა!“
გლახა იმას ეხვეწება
თავის ჭკუა და გონზედა:
„მდიდარი კი ადღეგრძელე,
მე დამიხსენ ლოცვაზედა!“
მდიდარმა სული დალია
კვირა ძალს საღამოზედა.
მდიდარს ჯაჭვი გადაუგდეს.
გადაჰკიდეს ციხეზედა.
მდიდრის ცოდვით ჯაჭვი გაწყდა,
ჩამოვარდა შარაზედა.
არც ყვავი მოვა, ყიჭალა,
არც ყორანი მოვა ზედა.
აყროლდა ხორცი, მდინარე
მატლი დაჰქიოდა ზედა.
საწყალი კოჭლი გლახა კი
პატრიარქს ედგა ჩოქზედა:
„ღვთის მადლსა მკვდარი დავმარ-
ნუ გდია შარა-გზაზედა!..“ [ხოთ,
ცხრაკანა სთხრიდენ საფლავსა,
წერაქვს ამტვრევდენ ქვაზედა...
მცხეთას გათავდა წირვითა.
მტერი გაგიძღეთ ჭირითა.

*) ბრასტი—ძონძი, კონკი.

## ადამიანის სააქაოს და საიქიოს ცხოვრების შესახებ

120

ერთი კარ, ერთხელ მოვკვდები,
ერთხელ ვატირებ დედასა,
ერთხელ ჰქონია სიკვდილი,
ნიადაგ დაღონებასა.

121

ჩამოსხდებიან ყორნები,
არ გაირჩევენ ძერასა,
კაცი ვერ დაემალება
ბედსა და ოხერს წერასა!

122

დავიბადე ცოდვისათვინ,
განა სათქმელად ღვთისათვინ!
ვისთვინაც ვიწვით, ვიდაგვით,
იმ ოხერ შავი დღისათვინ,
გადავბრუნდებით, მოვკვდებით,
დაგვრჩება ეშმაკისათვინ.

123

რა გაუჭირდა უფალსა,
დაედგა ეკლის გვირგვინი,
გადმოეფინა თავზედა,
დაუდეველი საწუთრო
დაჰფინა ქვეყანაზედა,
ზოგი ისე გაგვაძღლა,
ჯილა დაგვადგა თავზედა,
ზოგი ისე სწყალია,
მიწა ალოკა ქვაზედა.

124

ვაი შენ, წუთის სოფელო,
რა ტყუილათ გიაშაგე,
სიბერე და სივაჟკაცე,—
ყველა შენზედ გადავაგდე.

125

წუთის სოფელმა დღე ჩემი
სიმწარით დამალეინა,
არც მამკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალეინა.

126

წუთის სოფელი რა არი?
აგორებული ქვა არი,
რამწამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.
დეეხუჭება თვალები,
ზედ გააკრავენ ფიცარსა,
წაიღებენ, ჩააგდებენ,
ზედ მიაყრიან მიწასა.

127

დავეხსნათ ჭორის გრეფასა,
ძრახვასა მეზობლისასა,
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა,
ცივ საფლავში ჩაგვაგდებენ,
ზედ მოგვაყრიან ქვიშასა.

128

რათ გინდა თეთრი ქაღალდი,
შავი კალამი წერადა,
ყველანი დავიხოცებით,
ვაი ჩვენს ბედის წერასა!

129

რა კაცსაცა ღმერთი სწყალობს,
ერთიც არ დაუკვნესია,
ნაფუძარივით მოუვა,
თუმც კლდეზედ დაუთესია,
ხმალიც გაუჭრის დალაბრს,
თუმცა არ გაულესია.

130

არავინ იცის ცის ქვეშა,
ვისი შვილი სჯობს, ვისი ძე,
ვისი მამული მუშაობს,
ოხერ-ტიალად ვისი ძე?

131

წუთისოფელმა რა მიყო!
ჭკუა-გონება გამიყო,
დღე არსად იყო ჩემთვისა,
ღამე შუაზედ გამიყო!

132

დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა
ჩვენთვის ცეცხლი აბოლა,
ახლო-ახლო დაგვასახლა,
ჩვენთვის კარგი მოინდომა.

133

რეგვენ კაცს ისა ჰგონია,
ჩემი სარჩო თან წამყვება,
წუთისოფელი ასეა,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.

134

ალალსა, ალალ მუშასა
ალალი სული ამოსდის,
ერთი დღის ნამუშავარსა
ერთი წლის სარჩო გამოსდის.

135

წუთის სოფელი რა არის?
ადიდებული ზღვა არი,
ვინც რო ჭადის ჯვარს მოკვდება,
მისთვის სამოთხე მზა არი.

136

აჩქარებითა სოფელი
არავის მოუჭამია.
ვინცა რომ აჰჩქარებია,
ბოლოს ყამს დაუნანია.

137

სიბერე ძნელი ყოფილა,
სიპი ქვა აეწონება,
დაჯდება, ველარ ადგება,
ადგომა დაეზარება,
რაც უნდა კარგი სიტყვა სთქვას,
არავის მოეწონება.

138

კაცი არ ვარგა უმტერო,
არც ძლიერ მტერ-მორეული,
კაცი არ ვარგა უცოლო,
არც ძლიერ ცოლ-მორეული.

139

ასე ჰგონია დუშმანსა,
არცა ხვნენ, არცა სთესენო,
არცა უბიათ გუთანი,
არცა კალოსა ჰლეწენო!

340

დახედე ბედის წერასა,
გზას მიმცა, ამარა ჯამა.
ღარიბმა კაცმა მდიდარსა
რა საყვედური აჭამა!

341

ქიენ რად გაგაკვირვებია,
სიმდიდრე სიზმარია?
სიკვდილს რად დაჰღონებულხარ,
სიკვდილი ღვთის ვალია.

142

კარგია რო კაცსა სჭირდეს
გაუყრელად სმა და ლხინი.

143

აჩქრილდი, სულო ცოდვილო,
ხანიც არ დაიგვიანო,
მეც შენი შეტკბობილი ვარ,
შე გონიერო ჭკვიანო!

144

კაცს რო ცოლი მოუკვდება,
დაჯდება და დაღონდება,
მას გაუშვებს, სხვას შეირთავს,
სიყვარული აგონდება.

145

ამ სოფელსა სამი ვთხოვე:
ენა ტკბილი ხელოვანი,
ზედ საჯდომათ კარგი ცხენი,
წინ მინდორი ველოვანი,
გვერდ საჯდომად თეთრი ქალი,
თასით ღვინო ფეროვანი.

146

ნეტავი ჭკუა გვეხმარა,
კლდეშია სახლი აგვეგო,
დღისით გვევლო ფეხშიშველა,
ღამე ლამ-ქვიშა წაგვეგო,
ამ სოფელს ხორცი გვეტანჯა,
იმ სოფელს სული მოგვეგო.

147

სულ-ხორცის გაყრა ვიფიქროთ,
ვაი რა საზარელია!
დაყრა თითის ფრჩხილები,
ბაგეს ეცვალა ფერია.
ვინა მყავს გულის დამწველი,
გულზე მამისვას ხელია!

148

ვაი ავ ცხენსა ჯდომასა,
ვაი სულ ქვეითობასა,
ვაი ავ ცოლის პატრონსა,
ვაი სულ უცოლობასა!
ვაი დოვლათის პატრონსა,
ვაი უდოვლათობასა!
შინ რო არა ექნება რა,
გარეთ დაიწყებს თხოვნასა.

149

აჩქარდი, სულო ცოდვილო,
ხანი ვერ დაჰყე გვიანი,
მე შენი შეტკბობილი ვარ,
გონიერი და ჭკვიანი.
შენ წახვალ, ზეცას იხარე,
მე კი შემჭამენ ჭიანი!

150

ათასი თუმნის პატრონი,
ორი ათასის ქონება,
მივიდეთ, ვნახოთ ცხედარი,
თან რაღა მიექონება?
—სამი ადლი სუდარი—
ეს არის მისი ქონება.

151

ქვახვრელს არიან ბიჭები
მოსაქმელი ნავისა,

არა დროს კაცსა არ უნდა
სიკვდილი თავის-თავისა.

152

ამიერ სოფელს გადაჰყევ,
შევკარ და მიმაქვს ბარგია,
ვინაც ამ ქვეყნად ვიხარეთ,
იმ ქვეყნად არას გვარგია.
ვისაც სიმართლე მიუძღვის,
ის უფრო დიდი მადლია.

153

უფალმა გადმოიხედა,
ზღვაზე გადადო ფანთარი,
რაც ქვეყანაზე ცოდოა,
იმდენი მადლი სად არი?!

154

კაცი გულს აღარ დაუხმობს,
შასძულდება მიროწნცედა,
კაცი კაცს შემოაკვდება
ერთ მტკაველა ტილოზედა.

155

ჩვენ გვგონია ჩვენი თავი
სულ იცოცხლებს, არ მოკვდება,
სიკვდილი ყურს უკან არის,
თუ კაცი გულს დაუხმება.
ახში ერთხელ ჩვენც მოვკვდებით,
თუ არ მოვკვდით, არ იქნება.
იქ არიან მამა, პაპა,
ბებია და იმის დედა.

156

ვაი თუ მოვკვდე, ჩავვარდე
ორმოსა ბნელეთისასა!
დავლონებულვარ სიკვდილსა,
დაბნელებასა მზისასა!

157

ადათია და წესია,
ფეტვი ადგილზედ სთესია,
რამ შეგაშინა ეხლავე,
ჯერ ხომ არ დაგიკვნესია?!

158

სოფელს რა მხარეც უნახე,
სუყველა მხარე ჭრელია,
ძმაცა ვცან და ძმობილიცა,
ფეხებ ქვეშ მიწის მთხრელია.
სადაც მოკეთე მეგონა,
სულ ყველა ჩემი მტერია,
ეს ამისთანა სიცოცხლე
ვაჰ რაღა სანატრელია?!

159

ქვეყანა საგარჯილოა,
ზარმაცი სასაცილოა,
იმის სიცოცხლე, სიკვდილი,
სატირალ-სასაცილოა.

160

გუთნის დედას რა აცხონებს,
რა შეიყვანს საუდარშია?
ლომა კამეჩის ცოდოი
უხვევია კალთაშია.

161

დაეხსენ არმის ჭამასა,
ძრახვასა მეზობლისასა,
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა.

162

ნათლიმამ, რეხის*) წყალზედა
ბუჭულა**) დაგიბრუნდება,
რაც შენ გინდოდეს ჩემთვინა,
ისევ შენ დაგიბრუნდება.

163

ვძებნე და ვერა ვპოვე რა
მჯობნი ამ სწავლა-ცოდნისა:
ბრძენსა აქვს თავისუფლება,
სოფელში წასვლა ნებისა,
ქმრის უმორჩილო დედაკაცს
ცხონება არ ექნებისა!

164

ვერავერს ვშველი სხეულსა,
სასთაულს უძევს თავია,
ამ ჩვენმა ცუდმა ქცევამა
ცეცხლზედ დაგვისხა წყალია.

165

წუთისოფლით სიამოვნება

ციდგან წამოვა მერცხალი,
დაიწყებდა გალობასა.
ჩაიცვი და დაიხურე,
ნუ მოიშლი ქალობასა.

166

ხუცესს

ეგრე არა ჰქნა, ხუცესო,
საქმე არა ჰქნა უწესო!
თორემ ეგ შენი ნაქნარი
შენს შვილი-შვილსაც უწევსო.

## სიკვდილ-სიცოცხლეზე

167

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:
„ვერ მოხვალ ჩემი წონაო:
დაგაწვენ, იმდენს გაკვნესებ,
მოგწყინდეს გვერდზე წოლაო“.
სიცოცხლემ უთხრა: „ნუტავი,
ქრთამსა ვინ მოგცემს მუდამა?
მაინც არ შეგეპოვები,
თავით რო მედოს სუდარა!“

168

სიკვდილი

სიკვდილსა ქრთამი ვაძლიე:
გორი, ატენი, წედისი,
არ დაიშალა, მჯ მამკლა
გვერდ-შემცეჯარი წვერისი.

169

სიკვდილი არის მჟრაზი,
შორს მიუწვდება გონება,
ვაჟკაცებში გამოარჩევს,
რომელიც შოეწონება.

*) რეხა—სოფელია.

**) ბუჭულა—პატარა წისქვილი.

## ზნეობრივ შეხედულობის გამომხატველი ლექსები

170

ნუ უყურებ ლამაზ ქალებს,
ნუ ხარ იმათ გონებასა,
იმათ ხმას რო გაიგონებ,
გული ნუ იქს ლონებასა.

171

უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ
ყამი არა დროს იწირვის,
არცა ვერცხლისა კლანჭითა
არწივი არ დაიჭირვის,
ვისაც კაცს ღმერთი არ სწყალობს,
ცუდია, რასაც იჭირვის.

172

პურად-ძვირმა კაცმა იცის:
მოუჭერს წინა კბილებსა,
ქვევრში ღვინოს დააძმარებს,
პურსაც შააჭმევს ტილებსა.

173

ათასი კაცი გამოვა,
ათასი კაცი რისათვის?
ათასი სული ცხვარი ჰყავს,
ერთსაც არ დაჰკლავს ღვთისათვის.

174

ვაჟკაცო, გულო ჯამარდო,
აბჯარი გინდა ხისაო,
ხარი, კაშკი თავისა,
ცოლი რად გინდა სხვისაო?!

175

ღარიბი კაცის მქებელი,
პურად-ძვირის მძრახველი,
ვინ არის შენი ერთგული,
ის პირქვე დასამხობელი?!

176

ეგრეთი საქმე არა ჰქნა,
საქმე არა ჰქნა უწესო.
ეშმაკი თავის საბელსა
ერთი სწნავს, ერთი უწევსო.

177

ზოგი კაცი ამა სოფელს
ღმერთს ტყუილად ემადლება,
ზარის ხმა რო გაიგონოს,
პირჯვრის წერა ეზარება,
არც მშიერი, არც ტიტველი,
არც მცივანი გებრალება,
ორი გროში რო იშოვოს,
ფეხის თითებზე შედგება;
მამას კარში გამოაგდებს,
დედას წიხლით ზედ შაჰსდგება:
„დაჰბერდი და დაუძლურდი
რადა ხეირი გეჭირება!
ადექი და გამეცალე,
აგრემც თვალი დაგიდგება!“
მეუფეემ რომ გაიგონა,
ამით ძრიელ შეჰწუხდება:
„გაზარდა, ძუძუ აწოვა,
ცემას რადას ემართლება!“
ახლა ზოგიერთა ქალი
რა ამბავებსა მოჰყვება, —
თავის ქმარს ეჩურჩულება,
როცა ლოგინში ჩაწვება:

„სახლი და კარი ჩვენია,
ჩემს მაზლს თვალიც დაუდგება,
მოდი და ცალკე გავაგდოთ,
იმას წილი არ ერგება...“
ასეთს ქალს წიხლი და მუშტი,
თუ ბიჭი ბიჭად იქნება;
ძმას გაიყრი—მტერი გახდა,
ცოლი კიდე იშოვება.

178

რასაც კაცს ღმერთი ჰწყალობს,
ცოლი მიჰყავ ჯვარობასა,
ბედოვლათი ჩემი ქმარი
კარზე იხნავს ნაფუძარსა.

179

არ ვარგა მეზობელშია,
მიროնი მიღებულია:
ყმაწვილი ყმაწვილს გალანძღავს,
ისიც ხომ გახდა ურია.

180

(ვარიანტი)

რად უნდა მეზობელშია,
მირონი მიღებულია,
ერთმანეთს შეაგინებენ,
გახდება ვარა ურია.

181

ნათლიობას ვაპირობ,
არის უფლის ნებათ,
სასულიერო სარწმუნო
მირონს მოუხდებათ.

182

კაცო ძალსა ნუ მოჰკვეხი,
ნუ იკვეხი ვითა გმირი,
არას გარგებს ძლიერება,
თუ არ შეგწევს ღვთისა ძალი,
დიდსა ხესა მოერევის
მცირედიცა ნაპერწკალი.

183

ცა რომ ქვეყნად გადმოგვადგა,
სარჩო მოგვცა მეტად ბევრი...
ზოგი კაცი რო გამოვა,
რა ჭკუა-მიუწდომელი?!
ცუდნი არიან წარმართნი,
კერპნი და რკინის მკვნეტელნი.
დღეს არ იყოს და ხვალ იყოს,
კაცს არ უყოთ მაგიერი.
ამ სამ სიტყვას მოგახსენებთ,
ღვთისგან დასაჯერებელი:
ერთი არის მარხულობა—
მამშვირნო და ხორცი ჩვენი,
და მეორე წირვა-ლოცვა,
ლადი დაუფასებელი.
უცილოდა ემმაკს მოჰკლავს
ცისკრის ლოცვის მომსმენელი.
მეზობელში შვილის ნათვლა—
მტერობაა პირვანდელი:
ერთხელაც არის, შეაგინებს,
წაგვიხდება საძირკველი,
შორით სჯობია ნათლია
და მირონის მამღებელი.

184

ზოგიერთა პატარძალი
წამოწვება ძლივითა,
დედამთილსა, მამამთილსა
პირს დაუღრენს მგელივითა.
საღამოს ქმარი მოუვა,
წამოხტება შველივითა,

შეხტება, შეიფუნდრუკებს
ქერ-ნაჭამი ცხენივითა,
იმას კარგი სახრე უნდა,
გაეგრიხოს წნელივითა.

185

ვაი დედიჩემის ღმერთსა,
თევზი ბადეს აღარ ეცა,
რაც აქამდინ მადლი ვქენი,
ახლა ცოდვად გადამექცა.

186

ახალ-ახალი მეთოფე
კაცს არას გამოადგება,
იყიდის ტყვია-წამალსა,
ყელამდინ ვალში ჩაჯდება.

187

ჩვენსა მოხვალ
ღვინოს ტელურჭავ,
თქვენსა მოვალ—
თვალებს ჭხუჭავ.

188

ალალო, ალალ-მართალო,
შე ბრუტიანო ცალ-თვალო,
გუშინ რო იგინებოდი,
დღეს რაღა ჰირით მოხვალო?

189

ახალი მოდა მოსულა,
ქალები იცმენ პალტოსა,
ზოგსა ორილი აცვია,
ზოგი თითოსაც ნატრობსა.

190

ჩამოვიარე წილკანსა,
თხა მოვაწოვე ციკანსა,
ცოლი ლაშქარში წასულა,
ქმარი ერდოზე ტლინკავსა.

191

შენი ბროლი-მარგალიტი
ალმასივით გაითლება,
გლეხი-კაცის პურ-მარილი
ზღვაზედ ხიდად გაიდება.

192

ტყეში დაუდე ურემი,
მეჯრუხევს არ აუვლია,
ეს ეხლანდელი ბიჭები
დუქნების ყარაულია,
დღე და ღამე გზაში დგანან,
ვის აუვლივ-ჩაუვლია.

193

კაცი იმისთანა უნდა,
რაც არა სჯობ, არა სთქვასო,
თუ რომ სიმთვრალით რამე სთქვას,
სიფხიზლით არ გადასთქვასო.

194

წისქვილი სჯობდა ვენახსა,
რაც უნდა ძრიელ როხავდეს,
წუწკის ცოლ-შვილის პატრონი
უნდა იჯდეს და ოხრავდეს.

195

მე ძილმა ასე მიბრძანა:
„დაწექ და დაიძინეო,
თუ გეყანდეს ქმარი უძლური,
ისიც გვერდით მოიწვინეო.
სიღარიბისა არკანსა
ხელით მოგცემ, დაიბჯინეო.

196

სიდედრს დედობას ნუ ეტყვი,
დედა სიდამ იქნება,
თუ სიდედრი დედა არის,
იმის ქალი და იქნება.
ბატონობით მოიხსენე,
მართებული ის იქნება.

197

ვაიმე, დედის ამაგსა
რო ვერ გადვიხდი, რა ვუყო?
ზურგს ავიკიდო საბლითა?
—რო ვერა ვზიდო, რა ვუყო?
დევეგდო დედამიწასა,
ქვეშკნელ ჯინჯველას ხმა ვუყო!

198

კაცმა კაცი დაჰპატიჟოს,
კაი ქეიფი გასწიოს,
უნდა დაითროს ღვინითა,
დაწვეს და აღარ არწყიოს.
განა სულ უნდა შეჭამოს,
რაც ფულები შეაწიოს?
განა უნდა ისე დათვრეს,
გარეთ ვეღარ გააღწიოს?
სხვასაც უნდა ყური უგდოს,
უნდა ყური შეაჩვიოს.
მოხელე იმისთვის გვინდა,
სამართალი გაარჩიოს,
არ დაწვას და არ დადაგოს,
ცოდოში არ გაახვიოს.
რომელიც კაცი ტყუოდეს,
მის კისერზედ დააჭდიოს.
იქვე შეუკრას ფეხები,
ნაობახტში გააქციოს,
გარს შემოარტყას რუსები,
ბულბულივით გააჩვიოს,
შტრაფი ბევრი დააწეროს,
იმის სახლი დააქციოს,
ყველას უნდა შიში მოგვცეს,
რო სხვაც აღარ დააჩვიოს,
კიდევ გადაახდევინოს,
რომელსაც რომ შეამჩნიოს.

199

დედის ძმა დისწულისათვის,
ვაი, რა ავი თვისია?!
შარაზედ ეგდოს, ტიროდეს,
ერთსა არ ეტყვის: „ვისია?"
მოვიდა დედინაცვალი,
ჩაუკაკუნა თავშია:
- რათა სძლებოდი, სკდებოდი?
რათ ეგდებოდი დათვშია?!

200

ეხლანდელი ახალგაზდა
კერპი, კეშუტი გამოვა,
უფროსი რო დაარიგებს,
იმის ჭკუაში არ მოვა.
წავა, იყიდის ქოშებსა,
შინ ბაკა-ბუკით შემოვა,
კედელს ცერცვი შეაყარე,
ძირს ტკაპა-ტკუპით ჩამოვა.

201

ძვირადა ღირს მოთმინება,
ვისაც უნდა გამდიდრება,
სვინიდისი სჯობს საუნჯეს,
ვისაც კი აქვს გაგონება.

202

მოყვარემა მამიტანა
ჩოხა დალიანდაგული,
მინამ მეცვა მიხაროდა,
როცა გაცვდა დადგა გული.

203

აგერ უივის მამალი,
ნელა-ნელა თენდება,
ცას მოსხმული მასკვლავი
სათითაოდ მოსწყდება.
აწ მეოფნი მცხოვრებნი
ყველა დაიხოცება,
სმა, ჭამა, ჩაცმა, დახურვა
ყველა მუქთად დარჩება,
მაგრამ ერთი სიმართლე
იმ გძელ სოფლად გაგვყვება.
ვინც ირწმუნებს ამასა,
თვით უფალმა დასწერა.
მაშასადამე, სიმართლე
სულ ძვირად დაფასდება.
წუთისოფლის ცხოვრება
ვიციით, მუდამ ტანჯვაა.
აქა ვცხოვრობთ შრომითა,
გძელს სოფელს სიმართლითა,
მაშასადამე სიმართლე
სულ უკვდავად დარჩება.

## ვ ა ჟ კ ა ც ი ს   შ ე ს ა ხ ე ბ

204

თეთრისა თხისა ციკანსა
შორს შეეტყობა კაცობა,
იმ ღმერთა ნუ მოგვიშალოს
ეგ შენი ვაჟიკაცობა.

205

სიმღერას ბანი აშვენებს,
წალკოტსა ვაშლი წითელი,
ვაჟკაცსა ფარი და ხმალი,
გაილამაზოს კისერი.

206

კაცი ვიყავ და ვვაჟობდი,
ქორულად შევქენ ნავარდი,
მეფის ერეკლეს ჯარშია
თავს ვეცი, ბოლოს გავვარდი:
დავხედე სიბერკაცესა,
ბოლოს ყამს როგორ დავვარდი!

207

ვაჟკაცსა თავის სიკვდილი
გული მძინარე ჰგონია,
სამარის კარს მიიტანეს,
თავის სასახლე ჰგონია,
ჭია-ღუა დაეხვია,
თავის ცოლ-შვილი ჰგონია.

208

ცოდოა მოკვდეს ვაჟკაცი,
უდროოდ მოიშალოსა,
იმისი კოხტა ულვაში
შავს მიწას მოეფაროსა!

209

ვაჟკაცს არ გამოადგება
სოფელს შვენება თავისა,
ხმალს უნდა აჭრევინებდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა.

## ა ფ ო რ ი ზ მ ე ბ ი

210

უღონო ხარის პატრონსა
უნდა ჰქონდეს ენა მოკლე,
კამეჩების პატრონს ეტყვის:
„ე სძირე დაუმოკლე“.

211

ცუდი არის სამძიმარი,
უსარგებლო ცრემლთა დენა,
თუ გემართოს, გამოგზავნე,
ნუღარ გინდა უკან დევნა.

212

ახალი ცოცხი კარგა ჰგვის,
ძველი მოატანს ქვიშასა.
ახალიც რო დაბერდება.
ძველი მაუდებს ნიშანსა.

213

არ ვარგა ქინძი ქონდრათა,
არც ნიახური მხლათაო,
არც ვარგა კოჭლი ცოლადა,
არც ბერიკაცი ქმრათაო.

214

კაცი უცხოსა სოფელსა
ვაი რა ძრიელ მეტია,
რაც უნდა ბევრი იცოდეს,
მაინც იტყვიან: „ტეტია!“

215

კაი კაცის პურ-მარილი
ზღვაზე ხიდად გაიდება,
ავი კაცის პურ-მარილი
პირშიაც არ ჩაიშვება.

216

ქათამს მოვკლავ,
ღორსა სჯობდეს,
სიტყვას ვიტყვი,
ორსა სჯობდეს.

217

თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე,
კალთა გადმიბი კალთასა,
თუ მტერი ხარ და მითხარი,
ხმალი დამიდე ვადასა!

218

ღვინის ფერია სოფელი,
უფრო და უფრო დინდება,
რასაც კოკაში ჩაასხამ,
იგივე წარმოსდინდება.

219

შეუგნებელთან ჭამასა,
ომი სჯობს შეგნებულთანა.

220

ქორო, ბევრისა მდევარო,
ბევრჯელ დარჩები მშიერი.

221

ერთხელ ვცდი და შევჯე ვირსა,
გადმომაგდო, დამცა ძირსა.

222

ჯერ გაუშვებ მელასაო,
მერე უწყებ შტვენასაო.

223

ბერსა ნუ ვაჭრობ, არ გინდა,
ბერია, დაგივარდება,
არც ხორცი ხორცად ივარგებს,
არც ტყავი გამოგადგება.

224

ძალი და ღონე დევისა,
სიმარდე შავარდენისა.

225

უშვილო კაცი წაიღებს,
წყალში გადაჭერის ფულებსა.

## ქოფა-ცხოვრება

226

არცევში ურიებმა ჩამოიარეს, ამ დროს აქაურ გლეხის სანდრუას პატარა გოგო სადღაც დაიკარგა, თურმე ბელელ ქვეშ ეთამაშნა და დასძინებოდა. ამათ ეგონათ, ურიებმა მოგვპარესო და შეუდგათ თავში ცემა. გამოეკიდნენ ურიებს და კინალამ სისხლი შეიმთხვიეს. ბავშვი კი თავისთვის ხვრინავდა. ეს ლექსად გამოუთქვამს სოსანა ბერიანიძეს, გარეჯვრელ გლეხს.

არცევიდან*) გიახელი,
ჩამოვიარე ქვეშსაო**),
სანდრუამ ბავშვი დაჰკარგა, —
შემძვრალა ბელლის ქვეშაო.
იმისი მამა სანდრუა
ეხვეწებოდა ძმებსაო:
„გაჭირების დღე მადგია,
მიშველეთ რამე დღესაო!“
ეგ რომ აბრამამ გაიგო,
ჩქარა შეკმაზავს ცხენსაო,
უკან მისდევდა კაკაი, —
„ვაჰ, დედიჩემის ღმერთსაო!
დამიჭირეთ ე ქურდები;
თავზედ და პირზედ დავამტვრევ
ამ სატიელო ჩეკსაო!“
ამისი პაპა ბადღუა
მუჭით იგლეჯდა წვერსაო:
— „ღმერთმა ნურავინ შეგყაროთ
ე მაგისთანა ცეცხლსაო!
აქ ხომ დავკარგეთ ცოცხლებმა,
იქ დაუკარგეთ მკვდრებსაო!“
ამისი დედა მარიამ
ეხვეწებოდა ღმერთსაო:
— „ნეტა ქაბატო ვიპოვნო,
რო ვაწირვინო ღვდელსაო!“
ქოთოლას ცოლმა იპოვა,
ფეხში ჩაჰჭიდებს ხელსაო,
მახარობელი გაგზავნა:
„თქვენი ქაბატო ვიპოვნე,
დედა არ მამიკვდესაო!“
ამ შეირის გამომთქმელი
შუა სოფელში ხირია,
სახელად სოსანა ჰქვიან,
გვარად ებადაშვილია*),

*) გორის ზემოთ არის.

**) ეს სოფელიც იქვეა ახლოს.

*) ეს გვარი მეტად აქვთ დარქმეული.

კარში გამარჯვება მისცეს
და შინ ოჯახში ლხინია.

227

კახური ღვინით დავითვერ,
სამი დღე ვეგდე ლათვშია,
ამამათრიეს იქიდამ,
დამაგდეს დერეფანშია,
მოვიდა ქალი ლამაზი,
ჩამცხო და ჩამცხო თავშია.

228

წავედი ცისის*) შინდორსა,
კურდღელი მოვკალ ბევრია,
მეცელეები მომდევენ,—
სულ ლელამდინაც ჩვენია.
აგრე გამოველ ლიახვსა,
ფეხი არ დამისველია.
ჩამოვიარე მარანა[1]),
ძაღლ-აზნაურა ბევრია,
კარბი[2]) შავირთე ცოლადა,
ტევიავი[3])—ჩემი გერია.
ერთი ძმა იქ დამეკარგა,
მე დავრჩი მარტო-ხელია.
ერთსა ჩალას მოვადექი,
ჩალა იყო თუ ლელია,
მე იმის ელდამ გამტეხა,
გველი ცურამდა ბევრია.

229

იორამი და კურდღელი

იორამ გამხიარულდა, [თო,
სთქვა: „დავსხდეთ, ლხინი ვნახო-
ცხვარი და ძროხა დავხოცოთ,
ქათმები დაუმატოთო!“
(სმა-ჭამა, განცხრომაშია
დებს ის ძმა გაენაზათო).
იორამს უთხრეს:—კურდღელი
გვაკლია სუფრის მაზათო!
ფიცხლავ წამოდგა იორამ,
დაღმართი ჩაირბინაო,
გამოქცეულმა კურდღელმა
მოძებნა თავის ბინაო.
მაგრამ როგორღა წაუვა,
იორამია წინაო,
მსუქან გავაში კურდღელსა
სწვდა, ხელი მიუწვდინაო,
კალთაში გამოიხვია,
ცოცხალი მოჰყავს შინაო,
ქალებს მიართვა სუფრაზედ,—
თავი არ შეირცხვინაო.
იორამ ჩერქეზიშვილმა
ბიჭობა მოიხმარაო,—
დებმა შემწვარი მოსთხოვეს,
ცოცხალი შემოჰგვარაო.
ცოცხლის მორთმევა კურდღლისა
დიდათ იამათ ქალებსა,
ძმას დაუძალეს იორამს,
აკოცეს ორსავ თვალებსა,
ათამაშებენ, ალხენენ,
არ მისცეს ცეცხლის ალებსა.
კურდღელი მოსთქვამს სიმწარით,
იორამს ადებს ბრალებსა,
მაგრამ საცოდავ კურდღელსა
აბა ვინ შეიბრალებსა?!
მოსთქვამს დედალი კურდღელი:

*) სოფელია ქართლში.

[1], [2], [3]) სოფლებია ქართლში.

„დღე დამიბნელდა მზიანი;
თქვენსამც შეხვდება ორგულსა,
რაც მე მამეცა ზიანი!
იორამ ჩერქეზიშვილმა
დამცა ზარი და ზრიალი,
ფეხდაფეხ წამამეწია,
გესმოდეთ ჩემი ზრიალი!
ჯდომა მომწყინდა ბუჩქებში,
ხევ-ხევ ჩამოვყევ ნიაღსა,
წყნარ-წყნარად შევექცეოდი
ლიჯსა ნამით ცვრიანსა.
იორამ ციხით გადმოდგა,
თვალი შემასწრო ტიალსა;
გავექეც, ველარ წაუველ
ფიცხელს და მკლავითა ძლიერსა!
მე იქ დავყარე ბარტყები,
ბუჩქის ძირს ობლად მსხდომია,
რძე წამლის ძუძუებშია,
იმათი მონარჩომია.
იქ იმათ გასწყვეტს სიმშილი,
აქ ჩემს თავს დიდი ომია!
კიდევ უარესს მოველი,
რაც ჯერ არ გადამხდომია,
ჩემთვინა სთლიან მამფურსა,
შინდი არი, თუ თხილია?
ჰოგია დანასა ლესავს,
ჩემზედ სწადიან ლხინია,
პაწუა ძმარსა მიდუღებს,
აგად მეჭმევნის ცხვარია,
მე ვიცი, ცეცხლად მომხვდება
ქინძი და ძმარი გრილია.
ნეტავი იქვე მოვეკალ,
შუბითა, ანუ ხიშტითა,
აქ რად მოვყვანდი საბრალო,
სამსეა გოგო-ბიჭითა.

230

თ ო ფ ი.

[სათავ,

**პატრონი**: თოფო, გემდური,
უხორცოდ დაგდებისათვის,
უნდა მჭედელთან წაგილო
სახნისზე დადებისათვის!
**თოფი**: ეს ერთი დანაშაული
მეც მაპატიე ღვთისათვის,
წამალი გამამიცვალე,
წამილე ნადირისათვის,
იმტელს დავიხოც ნადირსა,
ჰღონობდე წალებისათვის!

231

თოფმა სთქვა: „ჩემსა პატრონსა
ჩემს უკეთესი რა ჰქონდა?
ერთი ისეთი თხა მოვკალ,
თორმეტი ადლი რქა ჰქონდა,
ვინც იმით ღვინო დალია,
ფეხები ველარ დაჰქონდა.

232

ს ა ლ დ ა თ ო ბ ა.

დალოცვილმა ხემწიფემა
ეს რა საქმე მოგვიგონა?!
ბიჭები ჯარში წასხა,
გოგოები დაგვილონა.
**გოგო**: ჩარდახიანი ურემი
ზედ კარებზედ გამიგორა,
ჩაუჯდები და გავევები,
თუნდა იყოს თათრის მოლა.

233

გლეხ-კაცს არ გამოადგება.

ამ ზოგიერთა ვაჟკაცსა
ქოჩოზედ ადევს ინაო,
გლეხ-კაცს არ გამოადგება
ქაშანური და მინაო.
თაროზედ უნდა დაემხოს
თიხის ჯამი და პინაო...
მრავალიმც გაგთენებია
შობა-ახალწლის დილაო!
ისიც შენი შემწე იყოს
ის დღევანდელი წირვაო!

234

გლეხი კაცი.

გლეხი კაცი დაიბადა,
დაიწვა და დაიდაგა,
ხელში ჰქონდა იფნის სახრე,
მტკაველი არ გაიზარდა.

235

ჭ ი დ ა ო ბ ა.

ახალდაბელი 1) კაკაო 2)
თხასავით მაიკაკვაო.
პეპუამ 3) წამაიგიდა,
ერთი ძალიან დასცაო.

236

ქალამანი ამოვასხი
დებეულა: ფერთხელაო, 4)
შენთან ჭიდაობა მინდა,
ვერ გაგშინჯე ერთხელაო.

237

წ ი ს ქ ვ ი ლ შ ი.

წისქვილს პური დავაყარე,
ძირის ქვამ ძრიელ დაიკრო 1),
თან მინდიც ბევრი აიღეს,
ტომარამ ბევრი დაიკლო.
როცა შინ ამოვიტანე,
ჩემმა სახლობამ ამიკლო,
ასეთი ჩხუბი გაშალა,
მთელმა სოფელმა გაიგო.

238

დ ა ლ ა ქ ი 2).

თუ კი პირსაც არ მოგვპარსავს,
რიღასთვის გვინდა დალაქი?
აუკიდნია ტომარა,
დაუჭერია ჩანახი 3).
თუ ნებით არავინ მისცემს,
ვის გამაართმევს ძალათი?!
(თუ ლექსებში გვაჯობებენ,
თავზედ დამასხან ტალახი!)

239

რ უ ს ო ბ ა.

ბატონ-ყმობა გადავარდა,
ბატონი ძრიელ დაგვიტკბა;
[ტომ.

1) სოფელია ქართლში.

2) კაკა—კაცის სახელია.

3) კაცის სახელია.

4) ფერდის ტყავი, ძალიან თხელია. კარგია ზურგი ტყავისა.

1) ნედლი საფქვავი გამოდგა, იმი-

2) ქართლში ყველა მამაკაცი სულზედ წელიწადში ორ ჩანახ პურს აძლევს, ამ დალაქმა უნდა მუქთად კრიჭოს, პარსოს, კბილი ამოუღოს, სისხლი გამოუშოს.

3) ჩანახში 20 გირვ. პური ჩადის.

გამოიცვალა დროება,
წუთისოფელი წაგვიხდა.
რუსთ-ხემწიფე და ხონთქარი
შალალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაყარა სამნები,
მთელ ხმელეთს ხელი ჩაჰკიდა.
ოსებს „ზეკუცია“ მისცა,
ქვეყნას მხთარახი აჰკიდა,
ეს რო აქ გორში გაიგეს,
აქ საქართველო გაჰკვირდა,
ხემწიფე საქართველოში
სულყველას ფულებს დაჰპირდა.

გლეხებმა სთქვეს:
ჩვენც ხემწიფესთან წავიდეთ,
თუ იმას ჯარი დასჭირდა.
—ახლა მიშველეთ, გლეხებო,
ხელმწიფის საქმე გაჭირდა.
—თოფები ჩქარა გვიშოვეთ,
ტყვია-წამალი დაძვირდა.
აქედგან ჩქარა წავედით,
იქიდგან მოსვლა დამძიმდა.
ისეთი სეირი ვნახე,
იმისი ცქერა რათ ღირდა?!

240

გძელი კაბები.

ქალები უკვრენ „ბუზიკას“,
სწავლობენ თამაშობასა,
ჩაიცმენ დიდრონ კაბასა,
ალაგზე სცვეთენ ქობასა,
როცა მალე გაუცვდება,
უყურე იმათ ყოფასა!

241

უხეირო კაცი.

შე მამაძაღლო ღვთისია*),
საქმე რათ იცი ნისია?
უღელში ხარი გიბია,
იმას ვერა სცნობ, ვისია,
მოდი და სწორეთ გაიგე,
შენი არის თუ სხვისია?
დაგიხუჭია თვალები,
ცხვირზედ წაგისვამ ფისია,
არ იცი კაცის გატანა,
შენი ტომი და თვისია.

242

არც მე ვიყავ იმაზედ
კარგი.

დღისით ვაჭრობა დავიწყე,
ღამე სუ გარეთ ვიარე;
შინ მკითხაობა დავიწყე;
მოკეთე გავიძრიალე;
ქალაქში პური წავიღე,
რა ძრიენ დავიგვიანე.
თათარმა ხანჯალი დამცა,
დათვივით დავიღრიალე.
სახლს რო ყური აღარ ვუგდე,
სახლი სუ გაფატიალე;
ჩვენებს გვიანღა გაეგოთ,
ისე რო დავიგვიანე.

243

ს ი ზ მ ა რ ი.

წუხელი ვნახე სიზმარი,
სულ ველარ გავძეღ ძილითა:

*) კაცის სახელია, ღვთისავარა.

ხორცი ხომ ვეღარ შევჭამე
ჩემი ოხერა კბილითა.
მუცელს რო ძიენ მოშივდა,
მერე დავღეჭე ღრძილითა.

244

მურადაანთ მამული იყიდეს,
ეს მეზობლებს არ იამათ.

აიშხნენ მურადაანი[1])
მამულითა და მინდვრითა,
სუყველა ქალაქს წავიდნენ
ტირილითა და ფიქრითა.
შაქარამ[2]) არზა დასწერა,
სოფლები მოსდო წიგნითა.
პეტრიას სახრითა სცემეს,
შაქარას შესდგნენ წიხლითა.
მესაცრეს[3]) მიაქვს ხელები,—
თვალებსა სთხრიდა თითითა.
პეტრიამ იძრო ხანჯალი:
„გამეცალენით იქითა!
ფული ჩემი დაიხარჯა,
მაგრამ შაქარამ იყიდა“.

245

ღორიგლიჯაანთ პეპუამ[4])
ურიებსა სცემა.

ურიები მოვიდნენ—
ისრაელა და მარდახა,
ამ ღორიჯაანთ პეპუამ
რა უსაბუთოდ დალახა!
დაიჭირა, ბევრი სცემა,
სულ ნიორივით დანაყა,
ორივე მგლებს დააჭამა,
საყდართან როდი დამარხა.
პეპუას გორში უჩივლეს,
ცხარე ცრემლით წაიყვანეს;
ისეთი მოწმები ჰყვანდა,
ისევ სახლში მაიყვანეს.
ი მამაძაღლმა მოწმებმა
ხო თავისი გაიტანეს!

246

ხალათაშვილმა მარინე
მოიტაცა.

რად გაიპარა მარინე,
რა ჰქონდა გასაჭირია?
არ აკლდა თბილი საჭმელი,
დილა-სალამოს ძილია.
—თურმე ვაჟკაცი უყვარდა,
ქოჩორი დავარცხნილია.
ხალათაშვილი სიმონა
ყველაში გამოცდილია;
რო მოიტაცა მარინე,
სამ დღესა ჰქონდა ლხინია...
გოგიაშვილის დუქანი
ხალათაშვილის ბინაო,—
ყევარი ხარი წაართვეს
მარინეს მ...ს ქირაო.

247

დ ღ ე ო ბ ა შ ი.

ჩემი ღვინის ხარები
ღვინით არიან მთვრალები,

---

[1]) ეს მურადაანი გარეჯვარში ცხოვრობენ.

[2]) კაცის სახელია.

[3]) ესეც გარეჯვრელია, მეტ სახელად ჰქვიან.

[4]) ესეც გარეჯვრელია.

შიბია გახურ ურემში.
დღეობას მივეჩქარები,
გადამიბრუნდა ურემი,
ქვეშ მოიქცია ქალები.

248

### ჯარში წაიყვანეს.

ყური დამიგდეთ, მსმენელო,
რა სეირი ვსთქვათ:
გიორგიმ თავის ლექსები
ივითონ გამოთქვათ.
დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ნეტა რისთვინათ?
ოცდა ერთი წლისა გახდა,
ჯკუას ჩავარდათ,
შემოდგომისა ხანზედა
კენჭი იყარათ.
„ამოვიღე, კენჭი შემხვდა,
გულსა ეკავრათ,
მოკეთეს ძრიენ ეწყინა,
მტერს გაეხარდათ“.
-- წადი და კაცად იქცევი,
კარგი იქნებათ.
ფოსტი ფული*) და ბეგარა
არ გეთხოვებათ.
განჯაში რო ჩამატარეს,
ბაქო იქნებათ,
გემშიაც რო შემიტყუეს,
იქ დგა დიდი ზღვათ;
გემმა ლაწლაწი დაიწყო,
გული შეღონდათ,
შვიდი დღე ღამე ვიარეთ,
გემი გავიდათ.
ჩაგვიყვანეს ტაშკენტშია,
ვაი დედასათ!
დავიჩოქე და შევთხოვე
მაღლა ზეცასათ,
ზეცა რადას მიშველიდა
მე უბედურსათ?!

*) წინათ კომლეურად ახდევინებდნენ, ჰქონდათ რამე თუ არა არ დაგიდევდნენ, 10—20 მან.

249

### ამაყებაანთ საყდარი ააშენეს.

ამაყებაანთ ქებათ
ქვეყანას გაეგებათ,
იმათ რო საყდარი დადგეს,
ხმელეთად დავარდებათ,
თეთრად გალესეს კირითა,
გუმბათი მოუხდებათ.
იმათ მკვდრებსა მდებიარეს
ნათელი დაადგებათ.
მიქელი და გაბრიელი
კელეჯტრით გაუძღვებათ!

250

### ოსის ქალებს მიეპარა.

გიორგი დვდელმა გაცდინა:
„ოსის ქალები კარგია!“
გამოგიფრინეს გარეთა,
ვით გარეული ტახია.
იმ შენმა ნათლიდედამა
კეტი დაგარტყა თავშია.
მინამ ვერ დაგიმორჩილეს,
სანამ არ ჩაგდეს წყალშია.

კაცი და ძაღლი დაგედო,
ქუხილი დადგა შცაშია!

## 251

## ღარიბი კაცის ქორწილი.

ორი დღისა ქერი მქონდა,
შიგ მოერია წურწაო...
ძალიან გაბრიყვებულა
გვარამაძიანთ[1]) ძუწაო[2]):
დედაკაცი[3]) მაიყვანა,
მათვრაშა[4]) მოეპრუწაო[5]).
—გიორგი, მაგრა დაიჭი,
არ გადმოვარდეს ძირსაო![6])
ნელა-ნელა შეიტანე,
დააგდე ცეცხლა-პირსაო!
თითო ყანწი ღვინო მისცა,
არ ჩავიდა ყელშიაო,
განჯელაანთ მიხამა თქვა:
—„ჭაჭა არის ქვევრშიაო!“[7])

---

1) გვარია.

2) სახელი კაცისა.

3) ცოლი.

4) ლოგინის ჩასაწყობი.

5) სავსე რო ყოფილიყო, აბა პირი რას მოეპრუწებოდა?

6) შიგ კი არა იყო-რა და რა გადმოაგდებდა?

7) ღვინო აღარ გახლავთო.

## 252

კონუა ხათაშვილი კარალელი გლეხი იყო. ქართლის დავაკებაზედ იმისთანა მოლექსე არავინ იყოვო. ქაიხოსრო შატბერაშვილიც, სვენელი აზნაური, კაი მოლექსე ყოფილა. კონუამ უთხრა:

მამაშენს კარგა ვიცნობდი,
დიდი რთველი მოსდიოდა,
ერთი კიკნა ქოცო ჰქონდა,
სამი თუნგი ჩადიოდა,
როცა იმას გაავსებდა,
ღვინო ფასად გადიოდა.

## 253

## ღვინის მოტრფიალე.

ერთმა ოსტატმა გამზარდა,
მეორე მცემდა თავშია.
-ვინ არი ჩემი ყადარი?
სარჩო ამამდის ბანშია,
ოქრო და ვერცხლეულობა
აღარ ეტევა კარშია...
ეს ფინთი ხასიათი მაქვს,
ჭკუა არა მაქვს თავშია.
როცა კაცი დამპატიჟებს,
თავს ვიღრჩობ ღვინის ჯამშია:
აქედგან აღარ დავიძვრი,
კეტი რო მცემო თავშია.
ვანუას რას უჭიბრები
შეირის გამოთქმაშია?
ჯერ კაცს არ უჯობნებია
ამ ახალ გამორდაშია.
თუ გინდა, გამეჯიბრევი,
ერთად ვიაროთ გზაშია.

254

ჩემი ვანუას ცხენი.

ჩემმა ცხენმა ი რა მიყო!
ცოტა წინ ხო გამომასწრო,
მე რო იმას გამოუდექ,
თითქმის სული ამომაძრო.
მაგრამ მე მადლობელი ვარ,
ტალახში არ გადმომაგდო.
ქერი როგორ დაგიყარო,
მე რჯულ ძაღლო, მამაძაღლო?!
უნდა კარგა მაჯირითო,
განა უნდა გამაჯავრო?
მე რო კარგათ შეგინახე,
სხვასთან როგორ დამადარო?!

255

მოჯამაგირის ბედი.

ეს მამაძაღლი კუკია,
ხარი გამოდის წუწკია,
მოჯამაგირის ცოდვითა
ყანები აუტრუსია.
მოჯამაგირის ულუფა
ერთი დამწვარი კუტია,
იმასაც არ აღირსებენ,
თუ არ გაშალა ჩხუბია.

256

(ვარიანტი)

ეს მამაძაღლი კუკია,
ქალაქის პირში კუნტია.
მოჯამაგირის საგძალი —
ერთი დამწვარი კუტია,
დილით გზანიან ხარებში,
ბუჩქის ძირში კუნტია

257

ზარმაცი ბიჭი.

არცა ვჭამ რძესა,
არც წავსხამ თხებსა;
ვჭამ ფამფარასა,
წამოვუწვები მზესა.

258

ჯ ო რ ა კ ა.

ერთი ჯორაკა ვიყიდე,
ყურები ჰქონდა გძელია,
წუხელი რო კარში დამრჩა,
ყურზე მამივლეს ხელია.
ბატონო, მოგეხსენებათ,
მგელი იმისი მტერია.
ხურჯინი ლექსით სავსე მაქვს.
გუდა პირ-მოუხსნელია.

259

ვ ი რ ი.

ქალაქიდგან წამოვედით
მე და ჩემი თეთრი ვირი,
შეტლინკა და გადმომაგდო,
ლაფში მომისვარა ცხვირი.
სტვირმა ტალახი აიკრა
ჩარექი და ორი სტილი.
ჰაი, ჰუი, საყვარელო,
სამი დღეა შენთვის ვტირი!
სით უნდა წაგიყვანო,
სით უნდა გიყო პირი?

260

მილიციაში წავიდა.

გავბრიყვდი და დავეწერე
პირველ მილიციის ჯარსა;

მე მეკონა, კახეთს წავალ,
შევისწავლი მთა და ბარსა.
„ლილიაზე“ [1]) რო გაველით,
გვეძახიან „ნაპრავასა“.
„ნაპრავა“ და „ნაპრიდოტკუ“
არ სცოდნია ჩვენს მამასა.
არც გვინახავს თოფის სროლა,
ვინ გვაჩვენებს ზარბაზანსა?
„კამანდირი გვიკამანდრებს“,
ასკილივით აქნევს თავსა.
იქვე მამაძაღლო რ—ბო,
რად ივიწყებთ დედ-მამასა?
მარხვის ჭამა არის ცოდო,
ნუ აბეზღებთ ამხანაგსა.

261

ხაბელაშვილის წისქვილი

მამაძაღლს ხაბელაშვილსა [2])
წისქვილები აუშვია,
კვირა-უქმით არ აყენებს,
ღარი აღარ გაუშრია.
შესჩვევია მუკა ოსი,
ხრილი აღარ გაუშვია,
საფქვილეში შეეჩვია,
საარაყე წაუღია.
ერთი თუნგი მაიტანა,
შიგაც წყალი ჩაურია.
მაყრებს რო დაალევინეს,
იქვე გული აურია.

[1]) Линія—გამაგრებულ სამზღვარს ერქვა დაღისტანსა და კახეთს შუა.
[2]) ხაბელაშვილები სოფ. სვენეთში ცხოვრობენ.

262

ზარმაცი პაპუჩი.

თვალი გამოკძვრეს, პაპუჩი,
ხარი აძოვე ზაფხულში,
საქმე რომ გამოგელიოს,
დაჯექ და დაფშხვენ ნაქუჩი [1]).

263

მ ი რ ზ ე უ ლ ი [2]).

ჩემანალა მირზეულმა
ჩემგან ისწავლა თაიერული,
შინ კატა ვერას შეუჭამს,
გარეთ გაუდის ფაფხური.
ზარმაცი ცოლი ჰყოლია,
ფთილა არა აქვს დართული.
ბოსლის ბოლოს უნდა ეგდოს,
გამოეპაროს ზაფხული!..

264

ბერელას უბედურება.

ნეტავი, შვილო ბერელავ,
დედას არ გაჰჩენილიყავ!
გიყვარდა ხარი, კამეჩი,
ყველა საქმეში წინ იყავ.
ოსები შემოგეჩვივნენ—

[1]) ნაქუჩი—სიმინდს რომ დასცეხვენ, რაც ფუჩეჩი დარჩება ხოლმე—ანაცეხვი. გურულათ: ნაგულა.
[2]) ეს მირზეული, მგონია, ის მირზეული უნდა იყოს, რომელზედაც ათასი ანეგდოტია დარჩომილი ხალხში. ნამდვილი ქართველების მოლა მასრადინაა და არ ჩამოუვარდება ეგრევე განთქმულს თარხანს. მეტეხელი გლეხი იყო.

ძაღლიანი და თინიკა,
იმათ დაგპარეს ხარები,
სულ ამოგაგდეს ძირითა.
შემბულ გუთანს დაინახავ,
სამ ჯირს იტირებ დილითა.
ნეტამც იმათ არ წაესხა,
შინ დაგხოციყო ჭირითა,
ტყავებს ქალამნად გასცვეთდით,
ხორცს შინ შეჭამდი ლხინითა.

265

ბანდალაშვილს ურემმა გა-
დაუარა *).

გერჩივნა, ბანდალაშვილო,
არ წასულიყავ ძნაზედა,
გეგრიხნა აპეურები
შენი წისქვილის კარზედა.
ხორცი არ მოგაკლდებოდა,
საყასბო გქონდა კარზედა.
პეტინიანთ ბაიყუში
დაგიხვდა მოედანზედა;
დაგიფთხა შავი კამეჩი,
ურემი შადგა თავზედა.

266

უხეირო ვაჭარი.

მე რო ჩემს ამბავს მოგიყვე,
იტყვი: „ვაი შენი ბრალი!“
წალკას დუქანი გავაღე,
დავაყენე დახლიდარი,
ავივლი თუ გამოვივლი,
„უპრაკუნოთ“ გადავკარი.
წლის თავზე მიანგარიშა,
დამდებია დიდი ვალი;
ისიც იმაში წამართვეს,
ის უღელი ნიშა ხარი.
ყველამ მაშინ დამიწყნა,
აღარავინ მომცა ქალი.
დავდივარ დაღონებული,
გადამიგდია ყელია.
ხაშურში ვაშლი წავიღე,
ტყუილი არა ხელია!
ზენა ქარი ამოვარდა,
თოვლი მოვიდა ბევრია.
ოსიაურში ავედი,
ერთ ოსის ქალს ვეხვეწები:
„ამაღამ უნდა მისტუმრო,
შენი ჭირიმე შენია!“
არც იმან მითხრა უარი,
ფული წამართვა ბევრია.
ურმებთან ცეცხლი დავანთე,
სიცივე იყო ძნელია,
ქუსლები ცეცხლს მივუშვირე,
მომაზრა ფეხის ცერია.
როდეს იყივლა მამალმა,
(ღმერთო კეთილი ქენია!)
ხაშურის გზას გავუდექით,
ერთს აღარა გვდევს ფერია.
როდესაც ხაშურს ავედით,
შამოგვეხვია ერია;
სომხები გვეკითხებიან:
„ბიჭო, ე ვაშლი შენია?“
ამოვიღე და ვაჩვენე,
აღარც ვაშლსა სძე ფერია.
ერთმანერის ეუბნებიან:

---

*) ბანდალაშვილები გორში ცხოვრობენ, სომხებია.

„ეს რაღა საყიდელია?“
იერთმეტი მანეთი მომცეს,
ტყუილი არაფერია.
ისიც გზაში დამეხარჯა,
შინ მოველ ცარიელია,
ჩემი ძმა შინ მიშელოდა:
—ფული მომიცა ბევრია.
სახლობა შემეყრებოდა:
„ეგ საგაისოდ ქენია!..“

267

ზ ე კ უ ც ი ა.

ბიას ჩადგა „ზეკუცია“,
„პრიჭტავი“ და „პომპოლიკი“.
ჯერაც კი იქავე ურია
იმათ ცხენის ჩონჩორიკი!
ხალხის ცემა ძიელ იყო,
მაიორახების ტონტორიკი;
მამასახლისს ძიელ სცემეს,
ჩაუმტვრიეს კუდის რიკი.
შვილებს ანდერძათ დაუგდო:
„კვლავაც რუსებს გაუფხილდით!“

268

შატაკიშვილი ზურაბა.

შატაკიშვილო ზურაბა,
არ დაგელია ჯავრია,
რაც ორ წელიწადს გადაგხდა,
სულ ეშმაკს დააბრალია.
ბანზედ მოგიხტნენ ქურდები,
შეინძრა შენი ბანია.
ძალიან შეაწრუწუნეს
შენი ქართლელი რძალია,
ხანდახან ეშველებოდა
ჩვენი შაფალას ქალია.

269

ამ აღამალა შიოსა
რა საქმე დაუწყიათ!
გასულა თხის ალაგზედა,
ფარეხი დაუშლიათ.
—ეს ძველი აღარ კარგია,
ახალი აუგიათ.
წამოაქციეს, გალახეს,
ამ თავის ბოსტანშიათ.

270

მელიას ხაფანგი დაუგეს,
ძაღლი გაება.

მჭედელმა სიზმარი ნახა:
– წუხელ რა გეებმოდათ?
ის კი არ იცის მჭედელმა,
ძაღლი გაება გორდათ.
მოჯამაგირე გაგზანა,
ორპირი დანა ჰქონდათ;
დაჯდა, ტყავება დაუწყო,
იმისი მამა ცხონდათ!
ეს რომ დიმიტრამ გაიგო,
ცერცვივით მაღლა ხტოდათ:
„გაუწყრა ჩემი ღომისა,
ძაღლსაც ველარა სცნობდათ?!“

271

ჩემი გამჩენი გაუწყრა
ეფრემა გარეჯვრელსათ,
უსანეთობას წასულა,
ჩამოუგდია ცხენსათ!

## 272

### ცოლი მოუკვდა ცუდ დროსა.

ცოლი იმ დროში მომიკვდა,—
კალოობა და რთველია;
ობოლი დამრჩა პატარა,
სულ ენით გასარდელია.
ზურგთ ავიკიდე ობოლი,
შემოვატარე თემია,
საძიძო გამივიდა
სულ ჭრელი აბაზებია.

## 273

მოშენას თვალი დაუდგა;
პეტას არ ანდო ხარით,
ზღუდრიდან რომ ჩამოვიდა,
ძიენაც იყო მთვრალით.
შუაღამე რომ შეიქნა,
ტატეს მოჰპარეს ხარით.
მოშენას შეატყობინეს:
„ტატეს მოჰპარეს ხარით!“
მოშენამა სიჩქარითა
საქურდელ*) სიხლიშა თავით!

## 274

### დათვმა დაბეგვა.

მტკვარში დათვი გამოვიდა, კვერნაკი გადმოიარა და სვენეთში ჩამოვარდა. აქ რაკი სოფელია, გვერდი ვერ აუქცია და დაედევნა ხალხი და ძაღლი. დათვი ხელთუბანში შემოვარდა და ვენახებში გაიქცა. აქ, როცა ერთ ღობეზე უნდა გადასულიყო, ამ დროს ქიტესა შიოშვილი ეცა უკანიდან, უნდა დაეჭირა, მაგრამ მოუბრუნდა დათვი და რიგიანად დაბეგვა. როგორც იყო მერე ერთმა კულბნელმა კაცმა მოკლა: აი ეს ლექსი:

სვენეთიდან დათვი მოდის,
ხელთუბნურს ბელი ჰგონია,
გიგოს ვენახში გადვიდა,
საწულეში მოუსვენია.
შატბერაანთ კოტე მოსდევს,
არა სდევს კაცის ფერია.
ე ლეკიშვილი გაბუა
ვაჟკაცად არაფერია,
ბიძასეული თოფი აქვს,
ზალტებით არის ჭრელია:
იმას ტყუილად დაათრევს,
როგორც სამკალში ლვდელია:
ღმერთო, უშველე კულბნელსა,
ქრისტე, შენ დაეხმარია!
დათვი ხომ იმან მოგვიკლა,
ტყუილი არაფერია.

## 275

### ფარჩის კაბა დაეწვა.

დედამ კაბა შემიკერა,
ზედ მამიყლო არშიათ.
—აბა, მაზლო, შემომხედე,
როგორ მადგა ტანშიათ?
—თვალი შენცა დაგიდგება,
შენი კაბის არშიათ!
გავკარ ხელი, გავიხადე,
ჩავდე ზანდუკაშიათ.

*) კარების თავი.

ნაპერწკალი ჩაჰყოლოდა
სახელ-აზღუტაშიათ,
დავჭექ და ბევრი ვიტირე,
იმ ოხერ დარბაზშიათ.
ჩემმა მაზლმა შემომასწრო:
რა გატირებს, ხოშიათ?
—ის მატირებს, ჩემო მაზლო,
ფარჩის კაბა დამწვიათ!

276

ჩვენი ბატონი გამიწყრა,
ზურგზედ ამკიდა ნალარა,
თუ რომ გაწყრომა იქნება,
განა დატკბობა აღარა!

277

მჭედელო, განა რკინასა
სპილენძი არ გაერევა?
თუ ბატონი ყმას უწყრება,
მიზეზი არ დაელევა.

278

ქ უ რ დ ი.

თეთრი ბიჭი, შავი ჩოხა,
გვერდზე ხურამ ნაბდის ქუდი.
„შენ თუ ხარ „მირთი სუდი“,
მე ვარ შენი ცხენის ქურდი.
„კალოშნაში“ რომ შევედი,
ცხენს გაჰქონდა ბრაგი-ბრუგი,
შიგ მეჯინიბეს ეძინა,
აჰქდის ღვინის აღიმული.
თავით ედგა უნაგირი,
ზედ გადეგდო სამკედური.
ავიღე და ცხენს დავადგი,
მოუჭირე მოსართავი.
უზანგში რომ ფეხი გავყავ,
მაშინ ვაგდე ჩემი რჯული.
რუსის ჯარი გავატარე,
გვერდზე დავიხურე ქუდი.
ცხენი ათ თუმნად გავყიდე,
პატრონს დარჩა ცხენის კუდი“.

279

ქურდობიდან ვერა მოი-
გო რა.

მეტრელიანთ ცარიათ
შეირებზე ცხარიათ,
კახეთიდან წამოუსხამს
ასი სული ცხვარიათ.
იმასაც რომ არ დასჯერდა,
მოჰყავს ნიშა ხარიათ.
შუა გზაში რომ მოვიდა,
გამოიჩიჩქნა თვალია:
იქ რომ ლეკები შემოხვდნენ,
შემოაქერქეს ტყავია.
აქ შინაც რომ ამოვიდა,
ჰმართებს თუმანი ვალია.
„რა ვქნა? როგორ გადვიხადო?
ჩვენ მტერს დაუდგა თვალია“.

280

მე რომ დღეობაში წაველ,
უბედურობა ჩემია!
ამ ატოცელსა ვანოსა
მოვპარე თეთრი ცხენია,
ცხენი გავცვალე ცხენზედა,
სართი ავიღე ბევრია.

## 281

### კანი და ბისტი*)

კანი და ბისტი დამსხდარან,
სიტყვას ამბობენ ერთსა,
დავლაობას აპირობენ,
ეხვეწებიან ღმერთსა:
„ღმერთო, ხელი მოგვიმართე,
ჩვენ არ გიმტყუნოთ ესა!“
შეიკაზმნენ და მოასხდნენ
უსანეთობა დღესა.
დარბაზში რომ შეირბანეს,
ღვდელსა წაავლებს ხელსა.
—ღვდელო, ხმას ნუ ამოიღებ,
ხანჯალი გვიდევს გვერდსა!
დედამ წუწუნი დაიწყო:
—რას უშვრებიან ღვდელსა?
ერთი იმასაც შემოჰკრეს,
დააწყებინეს კვნესა.
ქვაბები ბევრი ეყარა,
გზასა ვერ აუქცევსა.
დაჭყლიტეს და გამოზიდეს,
დააკრეს ცხენის მკერდსა.
ლოგინსა ზიდვა დაუწყეს,
ხალიჩეებსა ჭრელსა.
თოთხმეტი თუმანი ჰქონდა
პატარა ეფრემ ღვდელსა.
ისიც ბისტმა ამოიღო,
კანსა ჩაუდებს ხელსა:
—კანო, მაგრა შეინახე,
ვაძლიოთ ქიზგებსა.
მანათი რომ ქიზგას მივცეთ,
ის მოგვეხვევა ყელსა,
ძალიან გასუქებულან,
მკლავები უგავ დევსა.

## 282

### ბაგა და პატრონი.

დიდ ვენახში მივდიოდი,
ბარიითა და ნიჩაბითა,
გვერდით ბაგამ დამიძახა:
„მოდი ჩემთან, მე რა გითხრა!
შენ სასუქი მომამზადე
თითო ჯინი თითო ძირსა,
მერე მოდი და შენ მნახე
გაკეთება ჩემი რქისა!
თავს საწნახელი დამადგი,
პირი მოულესე რძითა,
თალარი კარგი დამიდგი,
იყვეს ორმოცი კოკისა.
ისეთს დავისხამ მტევნებსა,
არ ჩავიდეს კოდრის პირსა,
უცხო და უცხო სტუმრები
გორაობდენ ცეცხლა-პირსა!“

## 283

### მურიამ ვენახი შეჭამა.

ბატონმა ვენახი მომცა,
თავს ჰქონდა ბაგა, ველია,
იმას მარანი ჩავუდგი,
თან ჩავუყარე ქვევრია.
მურია შემომეჩვია
ყომრალი თაგვის ფერია,
ვენახი სულ ამოგვიგდო,

*) ესენი განთქმული ყაჩაღები იყვნენ, ოსები, რუსებმა გორში ჩამოაღრჩვეს.

აგვადებინა ხელია;
მიველ და ჩემს ძმას ვუთხარი,
ფეიცხლავ მოსწყვიტა წელია.

284

ვ ე ნ ა ხ ი.

ვაიმე ჩემო ვენახო.
რა იხრილი შემოგდენია!
გცემენ და გირახუნებენ,
ცვარი არ გადმოგდენია.

285

ხ ა რ ე ბ ი.

ჩემი ღვინია ხარები
ღვინით არიან მთვრალები,
ურემი გადამიბრუნეს,
ქვეშ მომიქციეს ჭალები.
მეურმე ქვეით გარბოდა,
ხეს მაინც მოვეფარები.

286

მ ო ყ ვ ა რ ე.

მოყვარე მინდა ასეთი,
ამ ზამთარ შამინახოსა,
სადილად ხარი დამიკლას,
სამხრად მეუღლე ნახოსა!

287

(ვარიანტი)

მოყვარე მინდა ასეთი,
ამ ზამთარს შამინახოსა,
ორმოცი კოდი ხორბალი
ერთ ღამეს დამინაყოსა,
სადილად ბუღა კამეჩი,
ვახშმად სხვა მამინახოსა.

288

(კიდევ ვარიანტი)

მოყვარე მინდა ასეთი,
ამ ზამთარს შამინახოსა,
სადილად ხარი დამიკლას,
სამხრად მეუღლე ნახოსა,
ვახშმად იმისი თავ-ფეხი,
ზედ ორი ცხვარი ნახოსა.

289

მოყვარემა მომიტანა
ჩოხა დალიანდაგული,
მინამ მეცვა, მიხაროდა,
როცა გაცვდა, დადგა გული.

290

ნათლია და ნათლიდედა

**ნათლია:**
ნათლიდედაო, დედაო,
ჩემთვის რაღასა ჰბედავო?
**ნათლიდედა:**
—ჭრელ წინდა-პაიჭს მოგიქსოვ,
და ქისას ოქრომკედსაო;
ერთსა ვარიას მოგართმევ,
დედლათა გაგერდებაო,
დედალი კვერცხსა დაგიდებს,
სტუმრისთვის მოგინდებაო.

291

ნათლიმამა სვინასა
ბევრი რამ დაჰქდო ვალები,
უდელი ხარი მოჰპარა,
უდლივე შვილის დარები,

ორივე მგლებს დაუჭამია,
გამოუხურა კარები *).

*) ან: წინ დაუყარა ძვალები.

292

ღარიბები

ბერშეული სიძე ვიყავ,
ნიადაგ ქარი მქროდათ,
არცა რა მე მიუტანე,
არცა რა იმათ ჰქონდათ,
გამომისტუმრეს მშიერი,
იმათი მამა ცხონდათ.

293

მამკლა და ცეცხლი მამიდო
მჭადმა, ნაცარში რეულმა,
იმან უარესი მიყო,
ხაში რო ვჭამე სნეულმა.

294

მდიდარი

განა არ იცი, ბატონო,
ბპერნაკი დიდი მთა არი?
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავს,
მოჯამაგირე სხვა არი;
სამოცი ძაღლი ცხვარში მყავ,
ძარკის გოშია სხვა არი,
სამოცსა ცხვარსა გაჩუქებ,
მითომ მუნია თხა არი!

295

მონადირე

ვაჭამე რა ძნელი ყოფილა
მონადირისა ცოლობა!
ემალა თბილი ლოგინი,
ჭირხლიან მთაზედ წვალობდა *).

*) ან: თოვლიან მთასა რჩეობდა.

296

ამხანაგმა მომატყუა,
მარტო გამგზავნა ტყეშია,
თვითონ ცეცხლა-პირს წამოწვა,
მე კი ავედი წვერშია.
იქ რომ ერთი ტახი ვნახე,
ლურჯი არის და მრუშია,
დავუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი დაბლა ფერდშია.
ერთი იმასაც შემომკრა
ამ დაბლა ბარძაყებშია,
დაღმართი ჩამოვირბინე,
ერთი არ დამიკვნესია.
როდესაც სახლში მოველი,
ვაიმე, დედავ, ვკვნესია!
—შვილო, დედამ რაღა გიყოს?
ეგ მონადირის წესია!

297

(ვარიანტი)

ამხანაგმა მიღალატა,
მარტო გამგზანა ტყეშია,
თითონ ცეცხლა-პირს წამოწვა,
მე კი ავედი წვერშია.
გამჩენელსა შევეხვეწე,
თოფსა ვაკოცე ღმერთშია,
წამალი გამოვუცვალე,
მაგრა დავასხი კვესია.
დავუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი ორთავ მხრებშია.

ერთი იმანაც გადმომკრა
იმ სისქე ბარძაყებშია.
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
მიწა ავზილე ხელშია!

298

წამოვალ სანადიროდა,
გადმომიხტება შველია,
გამოვბრუნდები, წამოვალ
გაწუწული და სველია.

299

ო ბ ო ლ ი.

ობოლი დავრჩი დედასა,
გამოვყევ ქარავანსათ.
ურმის ბოლოზე უჯექი,
კასხამდი ქალამანსათ,
წაღმა-უკუღმა ურიდი,
უკვირდა ქარავანსათ.

300

სახელი გამამიცვალეს,
დამარქვეს ავთანდილათ,
რადა ახლა მამატანე,
სად იყავ აქამდინათ?
სარუხან, მინდა შეგაქო,
ვინც არი შენი ნებათ,
შენი სეხნია ჩვენცა გვყავს,
ბანის გვირგვინზე წვებათ,
ღამე გაჰყეფავს მინდორსა,
ნადირი ეგულებათ,
გამეპარება ვენახში,
ყურძენით გამოძღებათ,
იმას ხომ აღარ ამბობდა, —
ეს პატრონს დააკლდებათ.

301

ტინიხიდიდან გიახელ,
გადმოვიარე რეხათ,
იქ რო კამეჩი ვიყიდე,
ყინულზე დამეჩეხათ.

302

პატარა იყავ, გაგზარდე,
ძუძუ გაწოვე სანსალა,
რა კაი ზნისა შენა ხარ,
შენი აკვანიც დამწვარა!

303

როდის მომიხვალ, სიმინდო,
როდის ჩაგყარო ხარშია?
ქალების გათოხნილი ხარ,
ავდარშია და დარშია.

304

პირი თქვენკენ ვქენ სასალმოდ,
გასწყრა ის თქვენი მძახალი,
ვინ არის თქვენი მძრახავი,
ის პირქვე დასამარხავი?!

305

მინდისიდან ჩამოვედი,
ჩამოვიარე გორსათ.
ზამთრისა პირი მოსულა,
სახლში მოვრეკავთ ღორსათ.
ადექით, აიშალენით,
მოსულა ზამთრის პირია,
შენ „სამოვარი“ დაადგი,
ჩავიტკბანუროთ პირია.

306

მამა და შვილი.

„დავბერდი და შემინახე!“
მამა ეუბნება შვილსა.

—აქამდინ რომ გინახავდი,
სხვლა იცოდი ვენახისა.
—ეხლა კიდევ შემინახე,
სიმინდს მოუთოხნი ძირსა.

307

სომხები და ქართვე-
ლები.

სომხეთსა და ქართველებში
განსხვავება ხომ არ არის,
ვინაც რომ პირჯვარს დაიწერს,
თათარიც ჩვენი ძმა არის.

308
(ვარიანტი)

ჩვენსა და სომხებ შუა
განყოფილება რა არი?
თუ კი დაიწერს პირჯვარსა,
თათარიც ჩვენი ძმა არი.
სადა სოფელში მიხვიდე,
სუყველგან ორი გზა არი.
შუაში არის ხმელეთი,
გარშემო დიდი ზღვა არი.
თუ ქალი გვეტყვის დობასა,
ის უკეთესი და არი,
აგრეთი გქონდეს გუნება,
ვით მოწმენდილი მცა არი.

## სწავლაზე შეხედულობის გამომხატველი ლექსი.

309
ნ ა ს წ ა ვ ლ ი.

რო დადგება გაზაფხული,
აყვავდება ყველა ხილი.
მთა და ველი ამწვანდება,
ყველას გაუთბება ძირი.
ფრინველი გალობს ხეზედა,
რაც კი არის ცის ქვეშ სირი.
რას ისწავლის გლეხის შვილი,
ღორებშია გამოზრდილი?
ის დედ-მამა მოვალეა,
ვინც რომ შინ გაზარდოს შვილი.
სკოლაში რო შვილს გაზრდიან,
მიეცემა ჭკვა და ტვინი:
ზოგსა მისცემენ ღვდლობასა,
სოფლებში ექნება წილი;
ზოგს აფიცრობას მისცემენ,
მხრებზედ გაუჩნდება ჩინი.
კიდევ რაშოდონი მოსდის
ხემწიფისგან ჯამაგირი?!

## ლექსები დედაზე და შვილებზე.

310
სალდათის დედა.

ობოლი შვილი გავზარდე
ცარიელ უბით ქვრივმაო,
წამართვეს, სადაც გაგზანეს,
გული მატკინა შვილმაო!
იმედი კი მაქვს, მომივა,
თუ არ მომიკლა ჭირმაო.

ყოჩაღი არი ქართველი,
რუსების წაუყვა წინათ!

311

დ ე დ ა.

ვაიმე, დედის ამაგსა
ვერ გადაუხდი, რა უყო?!
ზურგს ავიკიდო, წავიდო*),
ვეღარც ვერევი, რა ვუყო?
დავემხო დედამიწაზე,
დაბლა ჭინჭველას ხმა უყო?!

312

ვინა სთქვა წილი არ უდევს,
დედა რო დარდის შვილებსა?!
ცხრა თვესა მუცლით ატარებს,
მეათეს მოუხშირებსა.

313

არურუ, დარეჯანათ,
გარეთ გამოდგი ჯარათ!
შინ რო იტიროს ყმაწვილმა,
გარედამ უთხარ „ნანათ“.

314

დედა და შვილი

ჭირი მოგჭამოს დედამა,
შვილო, თავშაუდებარო,
დაჭრილო და დაკუწულო,
შე წამალ დაუდებარო!

315

ბრძენთა ენასაც არ ძალუძს,
შვილო, მგ შენი ქებანი;
მადირსოს შენის ცრემლითა
უფალმა დატირებანი!
როცა შენ გხედავ, გულიდგან
მშორდება მწუხარებანი!
ყელი გაქვს ბროლისა მსგავსი,
სიტყვა კრძალვისა, ნებანი;
ჭკუა გაქვს ჯერეთ ყმაწვილი,
სულ იცის ჩვენი ნებანი.
ღვთის სატრფო, მოყვსისა სატრფო,
მმოწმობენ ბრძენთა კრებანი,
ნურავინ მძრახავთ ამისთვის,
შვილობითა ვთქვი ქებანი!

316

ვაიმე, დედავ, გიკვდები,
ვილა გაგისხლავს ვენახსა?!
დამიპატიჟე ტოლები,
შენდობას ვეტყვი ყველასა!

317

ბოზი დედა.

ჩემს მტერსამც გაბოზებია
თავის ალალი დედათ,
დარია, თუ ავდარია,
შალს არ იშორებს ზედათ.
როცა რო სხლარტას გაადენს,
შალს თვალი დაუდგებათ.

318

დედამა მცემა ჯოხითა,
გამომაგდო კარშიათ,
არც არაფერი მაჭამა,
ნურც შემოხვალ სახლშიათ:
რად უცქერი გოგუებსა
როცა მიხვალ გზაშიათ?

---

*) ან: თავზედ დავისო, ვატარო...

319

დედა ჩემი მარიგებდა:
„ნუღარ წახვალ ქირაზედა!
ჩიშა ხარი გაილახა,
გადაივლის ყირაზედა".

320

ანდრუა დაბერებულა,
ხვედას დაავლებს ხელსაო,
ამ დათას რაღა მოსვლია,
დედას აგლეჯავს თმებსაო?!

321

კახელა ბიჭის დედაო
შეჯდება კურდღელზედაო.
გააჭენ-გამოაჭენებს
მიიყვარიან ლამეზედაო;
გადმოვარდება, გასკდება,
ზედ შუა ჭიშკარზედაო.

322

საყდრის კარს იყო ყრილობა,
იქ იდგა ქალი და რძალი;
საყდრის იქით გადვიხედე,
ცრემლი იდგა, როგორც ღვარი.
დედა ჩემი ბანზე იჯდა,
წამოესხა ძველი შალი.
„დედა ჩემო, რა გატირებს?
ჯერ ხომ მე არა ვარ მკვდარი?"

323

ადე, შვილო ნადირო,
ჭალას ჩაინადირო.
მუხა ფოთლიანია,
ძეძვი ეკლიანია.
დაუჭერიათ ხოხობი,
დაუბიათ ჯაჭვითა;
ჯაჭვი აუწყვეტია,
ცხრა მთა გადურბენია.
დაუნახავ თამარი,
თამარ ჩემი რძალია.
იმის ქმარი ლალია.
ლალზე უარესია,
რკინის დამკვნეტელია,
ოქროს მომგებელია!

## დედინაცვალზე და გერებზე.

324

### დედინაცვალი.

ალალი დედა მამიკვდა,
დამიჯდა დედინაცვალი;
იმას რომ გერები მოჰყვნენ,
თვალში მაყარეს ნაცარი.
ავაგდე ფეტვის მარცვალი,
მამიკვდა დედინაცვალი.

325

მე შენ არას დაგიშავებ,
შენ ჩემო დედინაცვალო!
მინამდი ვიყავ პატარა,
თვალში ნაცარი მაყარა;
გამზარდა და გამათხუა,
ჯვრის წერა აღარ მაცალა!

326

გათენებამდე გიუბნებ,
არ დაგაყენებ ჯანსა...
ღმერთმა დაგიხსნათ ბალღანი
დედინაცვალის ცქერასა,—
მცირე რამ თუ გააფუჭე,
მამას უზიდავს ქალსა.
მამა ჩემიც მიიყოლა,
გვერდ-გვერდ დამიწყებს ცქერასა,
თუ გინდ საქმე არა მქონდეს,
გამომიყენებს ძერასა.

## ლექსები ძმების ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზე.

327

ძ მ ე ბ ი.

ნეტავი ბევრი ძმისასა!
ცხარე მზე არ დაადგება,
ვერც არას მტერი უღაშქრებს,
ვერც ბატონი მიუხტება.

228

ძმა რომ ძმასა გაეყრება,
ველარ დასდგამს დიდსა ძნასა,
ველარც ბევრსა იმუშავებს,
ველარც შეეწევა სხვასა.

329

ძმა რომ გაეყრება ძმასა,
ველარ დასდგამს დიდსა ძნასა.
რძალი ეუბნება რძალსა:
— ახლა დაგიყენებ თვალსა!

330

ვენახში ერთი მსხალი მაქვს,
იმას მოესხა ფითრია,
ორი ძმა რომ ერთად იყოს,
სულ ცალკ-ცალკე აქვთ ფიქრია.
უმცროსი ძმა ასე ამბობს:
„მე ჩემ ძმას რომ გავეყრები,
ცალკე გავიდებ კარსა,
მოკეთეს კარგსა ვიშოვი,
კარგა დავმარხავ მკვდარსაო!..“
რო აიკიდებს ხურჯინსა,
დაივლის კარი-კარსაო,
ზოგიერთი ასე იტყვის:
—დაჰკარით მამაძაღლსაო!

331

ძმაო, რა სჯობდა ძმობასა,
ერთმანერთისა ყმობასა?
ძმა მაშინ მოგაგონდება,
სამი რო გცემდეს მარტოსა,
უკანდა იხედებოდე,
არვინ მოემატოსა!

332

ძმასა ენაცვლოს ძმობილი,
რო გამამგზავნა შინაო,
მოეკლა ხარი ირემი,
გზის პირზედ დაეწვინაო.

333

ჩემმა ძმამ რო საქმე მიყო,
თავი ძალად შემომაკლა;
აღმართზე თოფი გესროლე,
თავდაღმართზე გადიბარკლა.

## ლექსები გათხოვებაზე, ტოლის შერთვაზე, ქორწილზე და მათ შედეგებზე.

334

თამარ ქალი ქალია,
სიტყვის ქომანდარია.
ადგა, ქვევით წაბძანდა,
იქ შეირთო ქმარია,
ისიც რო მაჭკვდომია,
დასდგომია თვალია.

335

ქართლელი ქალის ჩივილი.

ქართლელი ქალი ტიროდა
ქართლისა შუა გზასა:
„დავკარგე წვრილი ობლები,
ვერ გამოვასხი ზღვასა!
იმასი სული კრულია,
რაც ქალი ენდოს ქმარსა,
კოხტასა, აშარტავანსა,
უწვერო ვაჟი-კაცსა!
წუხელი ცისკრით გიახლით,
შემოიძახა კარსა;
ავდექ, ავანთე სანთელი,
ვეიცხლაკე ზეცი კარსა.
ოქროსა სკამი მივართვი:
„დაბძანდი, ხოსროს მზესა!“
— მე ხოსრო-ხუსრო არ გიდო,
გაგაგდებინებ თავსა!
ჩემმას სახლესა გიახლეთ...
ერთი გამარტყა ებასა.
ავდექ და გამოუდექი
ქართლისა შარა-გზასა;
შავ ვიხედე, მამდევდა,
მთავლეჯვებდა ხმალსა.
დავიჩოქე და შევთხოვე:
— ნუ მომკლავ, ხოსროს მზესა!
— მე ხოსრო-ხუსრო არ გიდო,
გაგაგდებინებ თავსა!
შეგიკვრენ თითხსა ფიცარსა,
შეგაცურებენ ზღვასა!
ინია ნალები თიაები
დაუძენძია ქვასა;
ინით ნალები წარბები
გადუკვამია ლამსა.
ცხრა ნაწნავი გიშრის თმანი
თევზს მიაქვს საბუდრათაი!

336

რას მემართლები, დათვარო[1])
შარაზედ გაყლისათვის?!
განა სამტერად მოგსულვარ?
— სამოყვროდ — ქალისათვის.

337

ბერშუელი[2]) რძალი.

ბერშუელი რძალი ვიყავ,
დავივარცხნი დალალ-კავსა:
საუდარში რო წავიდოდი,
ბიჭებს გადავაგდებ თვალსა.

---

[1]) გვარია კაცისა.
[2]) სოფელია ქართლში.

რომელიც მომეწონება,
იმას ვამჯობინებ ქმარსა.
მამამთილი მიჯავრდება,
დედამთილი მიქნევს თავსა.
—ნუ მემუქრი, მამამთილო,
და ნუ მიქნევ მაგრე თავსა!
ღღეში მუჯა თეთრს მაძლევენ,—
შენ მოგიტან, განა სხვასა?
წლეულ გუთნეულს მაგიერი,
სამერმისოდ კალოს ხარსა.

338

ცოლის შერთვა.

**დედა**: ქვრივი ეუბნება შვილს:
—შვილო, რად არ ეძებ ქალსა?
რატომ არ დაქორწილდები
და არ გაახარებ სახლსა?

შვილმა გაიგონა დედის სიტყვა და ცოლი შეირთო.

დედამ რო ცოლი მითხოვა,
შავი იყო, არაბს ჰგავდა.
მე რომ ტყეში წავიდოდი,
ქათამს მაშინ დაიკლავდა;
მე რომ ტყიდან მოვიდოდი,
ჭირს მაშინღა დაიბანდა.

339

ცოლი და ქმარი.

**ცოლი**:
რომელ კაცსაც ღმერთი სწყალობს,
ცოლი მიჰყავს ჯვარობასა,
ე საწყალი ჩემი ქმარი
კარზე იხნავს ნაფუძარსა! [1])

**ქმარი**:
ვისაც კაცსა ღმერთი სწყალობს.
კარზედ იხნავს ნაფუძარსა;
რომელ კაცსაც ღმერთი რისხავს,
ცოლი მიჰყავს ჯვარობასა [2]);
იმას პური არ მოუვა,
ღმერთს დაუწყებს ჯავრობასა.

340

ჭკვიანი ცოლი არ შეხვდა.

სამოცდა სამი ცოლი ჰყავს
ივანე ქიშბერდიანსა,
დადის და კიდევ დაეძებს
გონიერსა და ჭკვიანსა!

341

დედამთილიც ასეთი უნდა.

დაწნა სოსიკამ გოდორი,
შემოუარა მანაო,
ქეთამ რძალი მაიყვანა
პატარა, ჰქვიან ნანაო.

დედამთილი არიგებს:
—„შვილო, კნიაზს დაუჯერე,
ვითამ უთქვილა ვანაო“ [3])!
პატარძალმა უარი სთქვა:
—„არ შეიძლება, არაო!
ვიცი, განიჩკა გამიგებს,
ჯიბეში უდევს დანაო“.

---

[1]) უნდა ვიცოდეთ, რომ რაც ერთ დღიურ ნაფუძარში მოვა, ისე სამი დღის მიწაში არ მოვა.

[2]) აბა ნაფუძარი რო მოსახნავი ჰქონდეს, რა დროს ჯვარობაში წა-

[3]) ვანა ამ ნანას ქმარს ერქვა. [სვლაა?

**დედამთილი**:

—შვილო, კნიაზი არ მოგწონს
ქეციან ვანსიანსა?
შვილო, რათ გეთაკილება,
მეც ვიყავ მაგისთანა!
სახლი ამით ავიშენე,
„კრიმა“ რო გადიტანა;
თუმნიანი ჩამაართვა,
ჯიბისკენ გააქანა,
სამი ჩანახი ლობიო
ოჯახში შაიტანა;
კაკალას სამი ჩანახი
ფოხალი [1]) გამომდგარა.

342

პატარა ქმრის პატრონი.

რა ვქნა? რა უყო თავსა?
ამ ჩემს პატარა ქმარსა?
არცა აქვს შენახვის თავი,
არცა მანებებს თავსა.
კვირამდი კიდევ მოუცდი,
მერე გავყვები სხვასა.

343

სიძე და სიდედრი შეყრილან,
სიძე შეჰტრაბახებს სიდედრს:

„ნამგალთობა მოვიდა,
ნამგალათობა, ნამჯობა;
წრევანდელ მამითადშია
მკაში ვერავინ მაჯობა!“
**სიდედრი**: მეჯრუხეყიდან გამო-
ეშმაკობა და ქაჯობა, [დის
თუ შენ ქრისტიანი იყავ,
რატომ ვერავინ გაჯობა?
**სიძე**: კარებზედ შეშა გიგდია,
უღელი ხარის სათახი...
თუ შენი ქალი კარგია,
გასათხოვარი რად არი?!
**სიდედ.**: ღმერთმანი ქალაქს ჭყო-
მოგიტანია სათალი, [ფილახარ,
შენ იმნაირად გახვედები,
ფილტვი გექნება წამხდარი!

344

სიკოჭლე რას უშლის
ქალსა?

სამგორისა მინდორზედა
თეთრი ცხენი მიგოგავდა,
ზედ იჯდა ბიჭი ლამაზი,
უკან მისდევს კოჭლი გოგო.
—„ბიჭო, უკან მოიხედე!
სიკოჭლეზე რასა მწუნობ,
განა კურდღელს მადევნებო?
შვილებსაც კარგა გაგიზდი,
ერთს არ დაგიზიანებო,
სათვეიქროს ჩავუჯდები,
მაქოს გავუძლიერებო;
ჩოხა-მერდინებს მოგიქსოვ,
ფულებს ჩაგიჩხრიალებო;
ჯამ-ჭურჭელს კარგა დაგირეცხ,
თაროს დაგიკრიალებო;
ახალოხს კარგს შაგიკერავ,
ღილებს დაგიწკრიალებო.
პურსაც მალე გამოგიცხობ,
ჯერს არ დაგიგვიანებო.

---

[1]) ფოხალი—1/2 კოდი=4 ჩანახი.

345

ცოლის დარდი.

ქალსა ქმარი მოჰკვდომოდა,
ბულბულივითა გალობდა [1]),
ისე ქმარს არა გლოვობდა,
როგორც შეიდიშს [2]) ნანობდა!

346

არ არის დასაწუნი,

თუ ვენახი აქვს.

სიდედრო, შავგრემანობით
არ დაიწუნო სიძია, —
სოფელში მიდი, იკითხე,
გძელი ვენახი ვისია?

347

ტერმელაანთ ქორწილი.

ტერმელაანთ ქორწილი ქნეს,
ცხვარი დაკლეს არაბათ,
პატარძალი მოიყვანეს,
ზერტისაკენ გაფარდათ.
დაჩეხილი უკან მისდევს,
შუა გზაში დავარდათ,
ეს გიგა კი უჩიოდა:
„ეს რა ხმები გაფარდათ?“

ცოლები სხვა-და-სხვა ზნისა.

348

ნადარბაზევის ტირილი
ამოდის ზარის ხმაზედა,

[1]) მოსთქვამდაო.

[2]) წინათ ქალები ფარჩის ნიფხვებს იცვამდნენ.

მე ბულბულები მეგონა,
ქალი ტიროდა ქმარზედა.

349

თავისუფალი ცოლი.

შენ რა გინდა, ჩემო ქმარო,
მე რომ ჩემი მოვიხმარო?
ჩავიცვა და დავიხურო,
ჩემ ტოლებში გავიხარო?

350

ღორმუცელა ცოლი.

იმერულო მოსაკიდო,
გოდორ-ყურო, კალათაო,
შენ რო ცოლი მოიყვანე
არ გიქებენ თვალათაო;
ქვაბში ნადებს არ უშვებდა,
კიდობანში გარაქსაო,
მინდორშია ბალახსაო,
ორღობეში ტალახსაო.

351

ჩემი გუნებისა არ გამოდგა.

მამა ჩემმა ცოლი შემრთო,
შავი იყო, არაბს გამდა.
მე რო ტყეში წავიდოდი,
თავად ქათამს დაიკლავდა;
იქიდან რომ მოვიდოდი,
პირს მაშინღა დაიბანდა [1]).

352

(ვარიანტი)

მამა შენმა ცოლი შეგრთო,
შავი იყო, არაბს გამდა,
შენ ცარიელ პურს გაჭმევდა,
თითონ ქათამს დაიკლავდა.

[1]) ნახე ზემოთ ლექსი № 338.

იმას შენ რადაო უნდოდი?
იმას ოცი სხვაცა ჰყავდა.

353

ლამაზი ცოლი.

მე ამის მეტი არა ვარ,
არ გაუთლივარ ხუროსა,
ვისაც ლამაზი ცოლი ჰყავს,
ახარებს თავის კუროსა.

354

კიდევ პატარა ქმარს
უჩივის.

პატარა პატარძალი ვარ,
შემომატარეს კერასა,
პატარა ქმარი შამერია,
გებრალებოდეთ ყველასა!
კისერი გაჰსწვრილებია,
ე... უგავ ჭიაყელასა,
როცა ლოგინში ჩაწვება,
მაშინ მოჰყვება ხველასა,
გენაცვალეთ, ნუ დამძრახავთ,
რომ დაუჯერო ყველასა!

355

ეს პატარა გაათხოვეს.

გემდური, ჩემო დედაო,
რათ გამათხოვე პატარა?
არცა მაქვს ოჯახის თავი,
არცა დავწვები ქმართანა.

356

პატარძლები:

ბინძური.

ზოგიერთა პატარძალსა
კიდეცა სჯობს ნეზვი ღორი,
წავა და ლაფში ჩაწვება,
როგორც მენახშირეს ჯორი!

357

ავი პატარძალი.

ავი პატარძლის ყურებას
სახადი სჯობს სახლშიაო!
ქოთანი გადმოებრუნა,
ციცხვი იცემს თავშიაო,
კოვზებს ფერხული დაუბამთ
გარეთ დერეფანშიაო.

358

ავცხვირა.

ვაი რა ძრიელ ვემდური
ავცხვირა პატარძალსაო!
დილით რო ადრე ადგება,
ხომ არ დაიბანს პირსაო,
საჭამანდს გინებით შესდგამს:
,,საჭმელო ძაღლებისაო!‘‘

359

ეხლანდელი ქალი.

ღმერთმა წმინდად ამოაგდოს
ეხლანდელი ქალის რჯული!
სანამ გასათხოვარია,
სახლში არის გაბუტული,
როცა რომ გაათხოვებენ,
მიეცემა დიდი გული.
მაზლს მუგუზალი მიავლო,
ზედ ეტყობა იმის მური,
მამამთილს წვერი აგლიჯა,
—ცუდათ არის გაბურცული!
დედამთილს წიხლ-ქვეშ წაიგდებს,
აბა ნახეთ იმის ბური!

კიდობანს კლიტე დაადო,
არავის აჭამა პური:
„ჩემი ქმრის ჭინახულია,
გამაიჩიჩქნევით ყური.

360

ეს ჩვენებური ქალები
ქარივით ჩამოჭქრიანო,
დაგვისხდებიან ბატონად,
სახლსაც არ დაგვიგვიანო,
თითო ყმაწვილს გაგვიჩენენ,
ბუზღუნით გამორდიანო.

361

ერსტიანთ ჯიკას ცოლი
შატა-ბუტა, შლეგიანი,
შეჭამანდი დაგვიქცია
ნიგვზიანი, ზეთიანი;
დედამთილი დაგვითეთქვა,
როგორც ძაღლი ცოფიანი.

362

ზოგიერთი პატარძალი
წამოწვება ძილივითა,
პირზე საბანს წაიხურავს,
იცქირება მგელივითა.

363

ეხლანდელი გოგოები
მალ-მალ იგლესავენ ფერსა,
თითონ იკეთებენ საქმეს
და თითონვე ირთვენ ქმრებსა.
სამთვეს კი კარგათ არიან,
არ ამოიღებენ ხმასა.
ლოგინში ქმარს ჩაუწვება,
ჩუმ-ჩუმად იქნევენ ყბასა:
—კაცო, შენს ძმას გაეყარე,
ნუღარ აწუწკეტინებ წელსა!
სახლში რო ძროხა დაიკლას,
გემოთ არა ვნახავ წვენსა.
მხარში კარგათ მოგიდგები
და არ გაყაცინებ მტერსა,
დილასა და საღამოსა
ადრიან მოგიტან ჯერსა!

364

კაბდომ იცის სამართალი,
მაღალ-დაბალს გაასწორებს,
პატარძალი ძროხებს დასწველს.
ხბორებს ვილა დააშორებს?
დედამთილს მუშტსა გაარტყამს,
გოგრასავით გააგორებს.
მამამთილი ამას ამბობს:
„ამ გიჟს რაღა მააშორებს?“

365

ახალი პატარძალი ვარ,
საქმე ვერ მომიგონია,
სახლიც რო დასაგველი მაქვს,
ცოცხი ვერ მომიპოვნია,
ადგილზე ცომი მოვზილე,
ვარცლი ვერ მომიგონია.

366

(ვარიანტი)

ახალი პატარძალი ვარ,
საქმე ვერ მომიგონია,
სახლი ჩიქილით დავგავე,
ცოცხი ვერ მომიგონია.

367

ენაცვალოს დედამთილი,
რძალი რო ადრე ადგესო,

სახლი კოხტად დაეგაოს,
თაროს ნათელი ადგესო!

368

უფლისციხურ პატარძალსა
წველა შეედედებინა,
ისევ თითონ შეეჭამა,
ველარ მოენელებინა,
კერას უკან წამეეფსა,
ცეცხლი დაენელებინა,
მამამთილის ტყავი ეგდო,
ისიც დაესველებინა.

369

რძალი და დედამთილი.

—პატარა რძალო! პატარძალო!
—ბაააატონო! ბაატონო! [ძახე!
—ქათმებს დაუძახე! ქათმებს დაუ-
რძალი უძახის ქათმებს:
ძია! ძია-ძია-ძიაა!
ჯუჯუ-ჯუჯუ, ჯუჯუ-ჯუჯუ!
დედამთილს:
—დაგუძახე, დედამთილო,
დაგუძახე, დაგუძახე!
დედამთილო, აქ არ არი:
თეთრ-ქოჩორა, ჩაცარა,
აქ არ არის დედამთილო,
ტურამ ცააცანცალა.
(ჩუმად):
—რაკი დედამთილი ხარ,
ღმერთმა არ დაგაცალა!
—პატარძალო! პატარძალო!
—ბაატონო! ბაატონო! [ძახე!
—ქათმებს დაუძახე! ქათმებს დაუ-
—დაგუძახე, დედამთილო, დაგუძახე!
აქ არ არის, დედამთილო,
აქ არ არის! აქ არ არის!
დაკარგულან, დედამთილო, დაკარ-
გადასულან ხნულშია! [გულან,
(ჩუმათ):
—შაგო ძაღლო, შენ ჩააკვდი
ჩემ დედამთილს სულშია!
—პატარძალო! პატარძალო!
—ბაატონო! ბაატონო! [ძახე!
—ქათმებს დაუძახე, ქათმებს დაუ-
—დაგუძახე, დედამთილო, დაგუძახე!
სთვლის:
ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა,
ცხრა და ათი... მეთერთმეტე
დაკარგულა, დედამთილო, დაკარგუ-
აქ არ არის, აქ არ არის! [ლა.
წაუღია ძერასა.
ღმერთო როდის მოვრჩები
დედამთილის ქცერასა!
დედამთილი:
აგი პატარძლის ყოლასა
სახადი სჯობს სახლშიაო!
ქოთანი წამოქცეულა,
ციცხვი იცემს თავშიაო,
ჯამებს ფერხული დაუბამთ
გარეთ დერეფანშიაო,
ამისთანა პატარძალსა
დიდი გეტი თავშიაო [1])!

[1]) ნახე ზემოთ № 357.

370

რძალ-დედამთილის ჩხუბი.

უფლისციხიდან წამოველ,
გადმოვიარე გორზედა,
რძალ-დედამთილი ჩხუბობდა
ახლად შედღვებილ დოზედა.
რძალმა აჯობა დედამთილს,
თავი უხალა ბოძზედა.

371

მამამთილი და რძალი.

**მამამთილი:** მე რომ ხარები
მან დამადო კალებით, [ვიყიდე,
სამი ერთად არა ღირდნენ
თონეთელი ქალებით!
**რძალი:** ახალი უბე შეგკარი,
ჩავურიგე ქალებით,
გასაშინჯათ რომ მოხვედი,
ზედ არ გესხა თვალებით?!

372

ბალკონზე გადმომდგარიყო
თვალ-ჟუჟუნა თეთრი ქალი:
ხელს მიქნევს—„ჩემთან წამოდი,
შინ არ არი ჩემი ქმარი!
ციხის საშენებლად ვგზანი,
თავზედ დაეცა ქვანით,
მახარობელი მოვიდა:
ქალო, მოგიკვდა ქმარით!
სამახარობლოდ გავიღე
სამასი სული ცხვარით,
იმასაც არ დავაჯერე,
ფეხით გავგზარე ხარით".

373

კავკავაძიაანთ ქალი.

მე ვარ ქალი—ქვეყნის თვალი,
გრიგოლ ჭავჭავაძის ქალი.
საყდარში რომ წამიყვანეს,
ბიჭებს დარჩათ ჩემსკენ თვალი.
ჩამოდექით, თავადებო,
დამანახვეთ საყდრის კარი!
ვეხვეწები ქრისტე ღმერთსა,
რომ მამიკლას ჩემი ქმარი;
მას შავწირო ულღაი ხარი.
თუ ამას არ დამჯერდება,
ზედ დაუდო თეთრი მცხვარი,
სვიმონ ღვდელი დავპატიჟო,
მას მოუჭრა ბეჭი-მხარი!

374

ქალი ქმრის დაწუნებული
სამშობლოს მიშავდებოდა,
მიდის და ფეხი უკან აქვს,
თან პირი უშავდებოდა.

375

სიძე და სიდედრი.

სიძისა შავგრემანობა
სიდედრს უმძიმდა, ნანობდა.
ქალი ცხენს უჯდა, მიჰყვანდა,
მიჰყვანდა—რადას ნანობდა?
—სიძე ბაღში მიბძანდება,
მიხედ-მოხედვის ჭირიმე,
წელში ტამბაჩა უხდება,
გმირი ბეჭების ჭირიმე!
თავზედ ქოჩორი გადაჰდულს,
მწყაზარი შუბლის ჭირიმე!

376

სიდედრმა უთხრა სიძესა:
—ჩემის ხელიდან გამოგა
ეშმაკობა და ქაჯობა.
—შენმა მზემ, ჩემო სიდედრო,
მკაში ვერავინ მაჯობა!

377

სიძისა შავგრემანობა
სიდედრს უმძიმდა, ნანობდა,
ის არ იცოდა, თუ სიძე
უფრო მეტადაც ნანობდა.

378

ყოჩაღი პატარძალი.

გარეჯვრიდან*) გამოვთხოვდი
კოხტა ქალი მეო,
წარბი წვრილათ შევიღებე,
ფერი ვიჭარბეო.
შუა გზაში რომ მოველი,
ვაშლი გავკბიჩეო,
მაყრიანი მომძახიან:
„ქალ, დაგვიცადეო!“
მე იმათი ლაპარაკი
ვერათ მივიღეო.
დედაბოძს შემომატარეს,
ჯამი გავტეხეო;
მზარეულს წიხლი ჩავეცი:
ჩამჩა აიღეო!
დედამთილი ვჯოხე-ვჯოხე,
შულიც ვიფრინეო.
მაზლი კარებს ეფარება:
„ღმერთო, გადავრჩეო!“
საყდარში რომ წამიყვანეს,
ჩქარა ვიარეო,
მღვდელს კურთხეული*) წავართვი,
თავში ვაწყიტეო.

379

გონჯი სარძლო.

ქალის სათხოვრათ წავედით
მე და ივანე კავთელი:
ქალი შორიდან გვიჩვენეს,
კოჭლი იყო და ავფერი.
შექნა ხუნეფომ კანკალი:
—ცეცხლი ამინთეთ, გავთბები,
თუ ეგ ჩემი წერა იყოს,
აქავე თავი მამჭრით!
მივართვით ღვდელს საწირავი,
ხატებს ავუნთეთ სანთელი.
არ აგვცდა მაინც ის ქალი,
ქრთამში დავხარჯეთ იმტელი.

380

(ვარიანტი)

ქალაქიდგან წამოვედით
მე და ივანე კავთელი,
ქალი გვიჩვენეს ტანწვრილი,
ყვითელი იყო,—ამფერი.
სასიძომ რომ დაინახა:
—ცეცხლი დამინთეთ, გავთბები!
თუ ეს ჩემი წერა იყოს,
ფიცხლავე თავი მამჭრით!

381

როველიაშვილი ურემს აკეთებს,
დაასხა ზეწარ-ჭალები,

*) სოფელია ქართლში, გორს ზემოთ 7 ვერს.

*) „კურთხევანი“.

ქალის გასაშინჯად იყავ,
ზედ არ გესხა თვალები?!

382

აი ჩვენო რძალო,
უცნაურო მკვდარო!
სით მიგაქანებენ?
—სიონისა კარსა.
—სიონი რომ შინ არ არი,
ვინ გაგიღებს კარსა?
—ჩემი მამამთ-დედამთილი
ბოსტანშია ფლავსო,
ზედ კანაფი ამოსულა,
ვარდის ფრათა სჩანსო.

## ქ ა ლ ე ბ ზ ე.

383

მცხეთას ერთი ქალი იყო,
სახელად ერქვა ლელაო.
თორმეტი მჭადი შეჭამა,
ათი ქოთანი წველაო,
კერას უკან წამააფსა,
ნაცარი დაასველაო.
ერთი საწყალი ოჯახი
სუ იმან დაანელაო.

384

ქ ა ლ ე ბ ი.

ამ ჩვენებიანთ ქალსაო
თვალები უგავს ცხვარსაო!
ჩამაივლიდა წყაროზედ,
კოკას გაიდებს მხარსაო;
ამოივლის და ჩაივლის,
ბიჭებს მოავლებს თვალსაო:
—ღამის მე ისე დავბერდე,
რო ვერ ვეღირსო ქმარსაო,
თუ დედამ არ მიპატრონა,
ძალათ მოვიკლამ თავსაო!

385

ქალმა თქვა პირმა ნათელმა:
„ბედსა არ დავიკარგამო,
წავალ, დავჯდები წყლის პირსა,
საყელოს დავიქარგამო.

386

ალალმე, გამათხოვებენ!
დალალმე, წამიყვანენო!
წითელ კაბას ჩამაცმევენ,
საყდარში შემიყვანენო!

387

ქალმა თქვა: პატარა ბიჭმა
გამიტყუილა გზაზეო,
ნეტავი არ გავყოლოდი,
რა ცუდი რამე ვნახეო!

388

გუდამაყრელ ზალიკასა
ერთი კარგი ქალი ჰყავსა,
საჩოხეს და საპერანგეს
სულ ერთ ღამეს დაართავსა!

389

ქალი რო ავად გახდება,
წაიყვანენ არბოსაო,

ერთს მაინც შაიკუნტრუშებს,
თუ სრულად არა არგოს-რაო.

390

გასათხოვარი ქალი ვარ,
ლობეზედ დავილაჯები.
თუ კი არ გამათხოვებენ,
რაღაზედ გავისარჯები!

391

ჩამოვიარე ალებსა,
ფერხული ებათ ქალებსა.
დავჯექ და ყური დაუგდე,
ქურდობა დამაბრალესა,
აბრეშუმი მოიპარეს,
ჯიბეში დაიმალესა.

392

არეულობა შეიქმნა,
არსად დადება ხიდისა,
ლამაზმა არ დაიშალა,
ხელზედ დადება ინისა.

393

ქალი ტიროდა ანაო,
ხუშური ცრემლი ყარაო:
ცვირგვინის ქმარი გავუშვი,
მხარზედ გაუდე ჩალაო.

394

ქალო, თავს ნუ გამოიდებ!
დასჯერდი რაც რამ ღონეა,
ქერი-პური თქვენ ბევრი გაქვთ,
წმინდა არც იმათ ჰქონია.

395

ლამაზო პატარა გოგო,
დაურჩი დედაშენსაო!
საქმე რო არა გქონდეს-რა,
ამოირბენდე ჩვენსაო.

396

ანანურისა ციხესა
თითით უთხრიან ძირსაო,
ლამაზსა გამოიყვანენ,
ცრემლით დაჰბანენ პირსაო.

397

პატარა გოგო ვიყიდე,
ორი შაური მივეცი,
დავჯექ და მერე ვიტირე,
თავში მუშტები ვიეცი.

398

კალიები რომ მოვიდენ,
წითლადა დებენ მინდვრებსა...
ქალები დაიზდებიან,
მოატყუებენ ბიჭებსა.

499

ქართლელი ქალი.

ქართლელი ქალი შავირთე,
წამოვიყვანე ტივითა,
სამი წელიწადი მყავდა,
მერე მომიკვდა ჭირითა.
განა ტირილით დავმარხე?—
ქამანჩითა და სტვირითა.

400

კამეჩები დამეხოცნენ,
ეხლა ვიყიდე ხარები,
ბიჭებს არ ერიდებიან
ეს ეხლანდელი ქალები.

401

ახალდაბას დგას საყდარი,
უფლისციხეს მაღაზია,

მამაძაღლი რუსის გოგო
ტურფაა და ლამაზია.

402

აგერ მოდის თამარიო,
შემოუკრავ ქამარიო,
ცოტაოი მაგრემანია,
თორემ უცხო რამ არიო.

403

ქალი ვიყავ ქართლისაო,
დედა მყვანდა მართლისაო,
აბა მეტი რაღა გინდა,
გამოთქმისა კარგისაო.

404

მთიულის ქალი.

მთიულის ქალი გითხოვე
ბრიყვი და გაუზდელია,
სამი სარტყელი ვუყიდე,
მეოთხე ჭიათვერია.
წვერი-წვერ გადავაკერე,
კიდევ არ შემოსწვდენია.
იმის გამოყვანაზედა
ცხენსა მოგვიწყდა წელია.
წინ მაქრით გამოგზეგება
ბებერი დედა ჩემია,
იმას ცხვირი მოაკვნიტა,
მოუკვდა გამამცემია!

## ღვდლებზე და ტერტერებზედ:

405

მღვდელდო, დარეკე ზარები,
დიაკვნად მოგებარები,
„მამაო ჩვენოს“ ვისწავლი,
კეთილად მოგეხმარები.

406

მეწულოვი ჩვენი ღვდელი
ტანში არის ცოტა სქელი,
სანამ ტაბლას აკურთხებდა,
მანამ მოისვარა წვერი.

407

სადაური სად მოკვდება,
სად უთხრიან სამარესა?!
ტერტერა ცემით მოუკლავს
ამირაანთ ბაბალესა.

408

დილა იყო და ციოდა,
ტერტერას წვერი სცვიოდა.

409

უფლისციხური ტერტერა
მაღლა გამორბის სერ-სერა,
ნაყიდი ფიჩხი დამიწვა,
არ შემარჩინა კენწერა.

410

ტერტერას ცოლი ელია,
ჰერანგი ჭუჭყინდა ძველია,
აილო და გადაგდო,
— ე რაღა ჩასაცმელია!

411

ხუცესმა უთხრა ხუცესსა,
ალაჲი არის რუსეთსა;

მე წასვლა არ მეზარება,
თუ გამიძღობენ მუცელსა.

4 1 2

რუისში ერთი ღვდელია,
ბებერ თხას უგავ წვერია,
ბევრი შილაფლავი ჭამა,
ამოიზუნზლა წვერია.

413

დევანაშვილი ხუცესი
მე როდი მეხუცებათ,
საყდარში აღარვინ დადის,
„ქალებს ელაქუცებათ“.

414

ზემო-ქართლელი ხუცესი
გადაიპარა ყურძენში;
გამაძღარიყო ყურძნითა,
ატამს იყრიდა უბეში.

415

ღვდელი ერიბილაშვილი
ეხლა სიკეთის დროს არი.
მღვდელი ჰკითხავდა ერის კაცს:
„ეხლა აღდგომა როს არი?“

416

უფლის ციხურ ტერტერასა
მოეპარა ნამგალით:
თუ რომ გაიგებს კინმეო,
სიცილი და გარგარით,
თუ არავინ გაიგებსო,
არის კარგი ნამგალით!

3 1 7

მღვდელს დიაკვნად მივებარე,
ვერ მასწავლა ანა-ბანა,
ამ პატარა ჩემმა სტვირმა
მთა და ბარი დამატარა.
ოხრად დარჩეს ციებაი,
მკათათვეში შემეყარა;
სასიკვდილოდ გამიმეტა,
ჩვენი ღვდელი გაახარა.
ეს ჩვენი ღვდელი კაკანა
თავქვე ჩამორბის ჩქარ-ჩქარა.
ეკითხებოდა ქალებსა,
მესტვირე ხომ არ მომკვდარა?
მე კი ღმერთმა დამიფარა,
საწყალი კი გადიცვალა.

418

დიაკვანსა და ხუცესსა
გველი ჩაუძვრეს მუცელსა!

419

ტერტერა და ვანუა *).

მოდი და კიდევ ისა ვთქვათ,
რაც რომ ჩვენ გამოგვადგება.
მამაძაღლი ჩვენი ღვდელი
წირვაზე ადრე დადგება.
როცა რო შინისკენ წავა,
ვანუა გზაში დახვდება:
ჯერ ხომ ხელით წვერს დაუჭერს,
ცხენიდან გადმობძანდება;

---

*) ეს ვანუა სოფ. გარეჯვარში სცხოვრობს, მეზვერიშვილია გვარად, სომეხი, დიდი მოლექსე. ამან ჩამაწერინა 70 ლექსი, რა ვიცი, თითონ იგონებდა, თუ ნასწავლი ჰქონდა, როგორც სთქვეს, სულ იმის ლექსებია. თან ახლებსაც იგონებდა, თან მღეროდა. წიგნი არ იცის. შუახნის კაცია.

ჯერ კაი მუშტებს დაარტყამს,
მერე წიხლებით შესდგება.
ეს ხომ ტყუილი არ არი,
სულ მართლად გამომადგება.
თუ რომ ის გორში მიჩივლებს,
ვანოც ქუდ-მოხდილ ბძანდება.
ღმერთმანი ისე დავწყევლი,
სახლში ცოლ-შვილით გასწყდება.
ისიც ამ ჩემი ცოდვითა
კარშიამც გამოვარდება.
ის რომ იქ მინდვრად წავიდეს,
თორმეტი მგელი დაჰხვდება.
ზოგმა წვერი დაუჭირა,
ზოგი ფეხებში ვარდება,
ზოგი აქეთ ლაპარაკობს:
„ეს ხომ ჩვენ ხელში ბძანდება,
ჩქარა შევჭამოთ, ხორაგი
ორი დღის შემდეგ წახდება“.
ზოგი რო ნელა მიირთმევს,
ზოგს სიჩქარით ყელზედ ადგება.
არშაკოს შვილი გამორბის,
აქ მამაჩემი თავდება,
დაიხევს ანაფორასა,
ისიც ყირაზედ დადგება.
ის მამაძაღლი მეთოფე
იმ მგლების ი გზაში დახვდება,
იმასაც ჩემი ცოდვითა
ჩახმახი ჩაუჟანგდება.
ნაკვერჩხალი რო დაადოს,
მისთვისაც არ გაუვარდება!

420

მამაძაღლი ჩვენი ღვდელი
ფინთათ აცმაცუნებს წვერსა,
საცა ტაბლას დაინახავს,
იქით მიაჭენებს ცხენსა.
ხორაგს ხურჯინში ჩააწყობს,
ქოთანში ჩაასხამს წვენსა.
დასწერავს თვალშივ ქაღალდსა,
აღარ მოაწერავს ხელსა.
ეს რომ ვანუამ გაიგო,
ჯავრით ელდა გაუჩნდესა.
—შენ ვანუავ, რათა დარდობ?
იმ ღვდელს კიდევ ნახავ ჩვენსა.
ცხენი კარებზე დააბა,
შიშით ვეღარ აჭმევს ქერსა.
დიაკვანი უკან მოსდევს,
შორიდგანვე ჰკარგავს ფერსა.
—თუ ეგ საქმე გაფალშივდეს,
ჩემს ქალს მოგცემ დანარჩენსა,
წადი, ამბავი წაუღე
მამასა და დედა შენსა!
ჩვენი ტერტერა მობძანდეს,
ცხენსა ქერი დავუყაროთ,
„პოლსაპოჩკები“ გავხადოთ,
ალაგობრივ შევუნახოთ,
ჯერ კარგა ღვინით დავათროთ,
მერე გარეთ გავაგდოთ.
ჩვენი ტერტერა რომ მოკვდეს,
ცხარე ცრემლი დავაყაროთ.
შაბათ დილით ადრე მოკვდეს,
კვირა დილით მივაბაროთ.
სუ ჩვენმა მრევლმა ვიტიროთ,
ქართველი არ მივაკაროთ!
—ფოფოლიავ, ნუ იტირებ,
ღვდელი კარგა დაგიმარხეთ,
თუ ის კიდევ ზეზე ადგეს,

გარეკვარი დავგიბარეთ,
ყარაული დავაყენეთ,
ეკლესიას მივაბარეთ,
სუ ჩვენმა მრევლმა ვიტირეთ,
ქართველი არ მივაკარეთ!

421

ჩვენი ღვდელი სულის მტერი,
სუსუნაკი, ტაბლის მტერი,
სანამ კორკოტს აკურთხებდა,
ცხრაჯერ მიატანა ხელი.

422

ამოწყვეტა ვის მიეცეს?
—დიაკვანსა და ღვდელსა!..
ჯერ ჭინახული წაართვა,
მერე აგროვებს ბზესა.
—გებრალებოდეს ღარიბი,
ღვდელო, რაო ართმევ ბევრსა?
—მდიდარი კაცი მიჩივლებს,
დამაგლეჯავენ წვერსა,
მაგ შენი სიღარიბითა
ვერსად გაიგნებ გზებსა,
თუ წმინდა ფურს არ ამიწყავ,
რად დაგჯერდები ქერსა?!
დიაკვანს რაზედ უწყრება,
აგინებს მამის სულსა?
—შენ წილი აღარ გერგება,
რომ არ იკიდებ ბევრსა.

423

გახადელია, დელია!
ეს ქოლოთელი ღვდელია,
ბებერ თხას უგავ წვერია!
დეეხეტება ტაბლებზე,
სადაც მსუქანი წვენია!
ისე შეჭამს ტაბლები,
სულ მოითხუპნა წვერია!
დიაკვანი წეეწოდა,
ცემით მოსწყვიტა წელია.
ტარასტა კარში გამორბის,
ვაი, შიში რა ძნელია!
ბებრები შიგნით ელიან,
სანთლები ასანთებია.
საცეცხლური ძირსა გდია,
საკმელიც ასაკმელია.
ფანჯარა გატეხია,
ბუზები შემომდერიან.
კოლოები ჩაფრენილან,
ქაღალდებში გახვეულან!

## მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ზ ე.

424

ახალმა მამასახლისმა
ეხლავ აგვავსო ვალითა,
რამწამს ეს ხარჯი მოვიდა,
ქაღალდი წერა კალმითა.
„კანცელარიაში“ დასხდნენ,
ფული შეჭამეს მალვითა.
მდიდარს კაცს ვერას რჩებიან,
ღარიბს ართმევენ ძალითა.
მოავრობას გამოვუცხადებთ:
„ეხლავ აგვავსეს ვალითა“.
ეს რომ ხემწიფემ გაიგოს,

წვერს ჩამოჰპარსავს დანითა,
იმათ ციმბირში გაგზავნის
სამ-სამი წლობის ვადითა.

425

მამასახლისის მუშასა
სიმშილით არა უშავს-რა.

426

ამ ჩვენსა მამასახლისსა
ძაღლი დავარქვათ ტურია,
ნახნავ-ნათესი გაუწყდა,
არ მოუვიდა პურია.
სხვებმა რომ კალო შეაბეს,
იმას უსქდება გულია,
როდესაც გადაიცვალოს,
ძაღლი დაუკლათ მურია!

427

ეს ჩვენი მამასახლი
გონებით არის სრულია:
სოფელში არ დააყენა
მეწვრილმანე და ურია;
ბეგრები შემოგვაწერა,
სამჯერ გაწერა ფულია.

428

სუდია-მამასახლისი
მოგვიხტებიან ბანზედა.
ღმერთმანი, იმათ შიშითა
ვერ გამოვდივართ კარზედა.
—თუ შენ არ იცი კანონი.
მე დაგაყენებ გზაზედა,
აგკიდებთ კაი კოკებსა,
ეხლავ გაგზავნით წყალზედა.

429

მამასახლისის კატასა
ფეხი დასწვია საწყალსა;
სუდიეები მორბიან,
წუღულზე აურიან წამალსა.

## თავადი, აზნაური, ბატონი.

430

ამილახვრიაანთ ყმა.

ვაი და ვაი ვასო,
ამილახვრიანთ ყმასო,
წააჰკიდებენ ქვასო,
დაიძახებენ „დაჰსო!"

431

ამილახვრიაანთ მამულში.

ამილახვრიანთ მომსწრეს,
წელი მომწყვიტეს ცემითა,
შავთვალა ცხვარი წამართვეს,
თვალი ამევსო ცრემლითა.

432

ამილახვრიაანთ ნანა.

ნანა, ამილახვარო,
მტრისა ისარ-ლახვარო!
დედ-მამისთვის ია ხარ,
მტრისა ისარ-ლახვარო!

433

ამილახვარი მეწვია,
სამზადისები მზა იყო,
კარის ვენახი იქვე მაქვს,
მარანი ქვევრით მზა იყო,
თოხლი ერთ ლუკმათ შაჭამა,
იმისთვის აბა რა იყო?!

534

ამილახვარის ყმობითა
ჭური ვერ დავდგი გოდრითა,
ვერც გავიტანე გუთანი,
ვერც კალთა ვლეწე მოზვრითა!

435

ა ზ ნ ა უ რ ი.

არა ქვეყანას არ არის,
რაც ტყვიავს აზნაურია,
ქუდი გვერდზე დაუხურავ,
როსტომისი აქვს გულია.

436

მიყვარდა აზნაურობა,
გადაბრუნება ქუდისა,
ბაზარში გავლა-გამოვლა,
გადაკიდება ჩხუბისა.

437

აზნაურის მუცელი.

მუცელი აზნაურისა
ადლი და ნახევარია,
საწყალი გლეხი-კაცისა
არც იმის ნახევარია.

438

აქამდი აზნაურები
უწრუწუნებდენ ქორებსა,
ეხლა იმათი შვილები
უკან დასდევენ ღორებსა.

439

ორი შაური არა მაქვს,
რომ ვაწირვინო ღვდელსათ!
აზნაური და თავადი
სულ გადავყარე კლდესათ,
იმათი ცოლი და შვილი
სულ დავაჭამე მგელსათ,
იმათი სახსენებელი
ამოიწყვიტოს დღესათ!

440

შატბერაშვილები *)

ბიჭებო შატბერაანითო,
უმისა ხორცის მჭამლებო,
კაცისა გაუტანლებო!

441

თოვლო, ითოვლე, ითოვლე,
ჩამოდი ფარტენ-ფარტენა,
კორინთლიანო გაფთხილდით,
თორემ მოვიდა ჰანტელა!

442

ციციაანთ სუფრა შერცხვეს,
ჯავახიანთ კალობათ;
კარებამდინ არ მიგყვება
თარხნიაანთ წყალობათ!

443

საწყალი აზნაურები.

აზნაური გაღარიბდა,
დავითს დაუწყო დავათ;
მიხეილმა იაშვილმა
გულში დაიცა დანათ;
ორი დღის მამული ჰქონდა,
ველარ აიღო ღალათ,
ადგა და ისიც გაყიდა,
ფული ვერ ჩაიბარათ.

444

ბატონ-ყმობის შედეგი.

ჭოდელია, ჭოდელია,
ეს როგორი სოფელია?!

---

*) ს. სვენეთში ცხოვრობენ, აზნაურებია.

ნახევარი ქვრივი არის,
ნახევარი ობოლია.
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,
ბატონის ყმობა ძნელია!

445

ბ ა ტ ო ნ ი.

დასაქცევი მებატონე
ჩამოივლის ვარიანსა,
წიოკობას აუყენებს
ქათამსა და ვარიასა!

446

დასაქცევი მაჩაბელი
კამეჩების პატრონია,
ერთსა ისეთს შემოგიტევს,
თითქო ჩვენი ბატონია!

447

ციციშვილს ზაქარიასა,
ღმერთო, შენ მიე ზარალი!
ცოლ-შვილი ამოუწყვიტე,
თავს დააწვინე მარანი!

448

ბატონ-ყმობა გადავარდა,
გლეხო კაცო, გაიხარე,
აზნაურო და თავადო,
თავში კოხი-ქვა იხალე!

449

კამეჩების არტალათ,
საკნიაზო გამხდარათ,
ბატონ-ყმობა გადავარდა,
სამოვარი ჩამქრალათ.

450

ორი ბატონის ყმა ვიყავ,
ხან ისა მცემდა, ხან ისა,
ორივ ერთ დღეს დაიხოცნენ.
ხან ის ვიტირე, ხან ისა.

451

მოდი, მოუსვი კუდსაო*),
ბატონი მოგვცემს პურსაო,
მოგვცემს და ისევ წაგვართმევს.
ნუ დაგაკლდება გულსაო.

452

პაპიაშვილო პაპუნა,
მაგრე რამ დაგაძაბუნა?
—ამდენმა აღმართ-დაღმართმა.
წელი მამწყვიტა გუდამა!
პური ბატონმა წამართვა,
—შენ მჭადი ჭამე მუდამა!

453

თავადმა და აზნაურმა
თვითონ დაიწყეს პლანები,
ხემწიფემ ქაღალდი მოსცა,
გზაზედ გაუბა ლარები.
ქალაქში რკინა უყიდა,
გამოუგზავნა ბარები.
—შენი ჭირიმე, ხემწიფევ,
არა გვყავს ბეგრის ხარები!
როცა ქაღალდი მოვიდა,
მაშინ დაგვიდგა თვალები.
სახლში ცეცხლს ველარ ავანთებთ.
გამოგვეხურა კარები.
ჩვენ ცოლებს ვერ შევინახავთ.
ტყუილად ვყევართ ქმრები.
უფალო, შენ შეგვეწიე,
ღმერთო, შენ დაგვეხმარები!

---

*) მეორე ვარ.:
ჩვენ სიღარიბე რას გვიზამს,
ბატონი მოგვცემს პურსაო.

454

ქალებო, ქალბატონებო,
უნდა წახვიდეთ როდესა!
თქვენი პატარა ბებელა
უნდა ვადევნოთ დორებსა.

## საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრებთა დამახასიათებელი ლექსები.

455

გაბუნია და იმერელი [1]).

**იმერელი**: მე ქურდობა არ ვი-
შენ მასწავლე, გაბუნია! [ცოდი,
დალა-კუდუხი შესჭამე
ერთიან ხანდაკურია.
შენ ისე სტუში ჩვენიანა,
როგორც უფალთან ურია!
**გაბუნია**: რაჭველი ხარ, იმე-
არ შერჩება არავისა, [რელი
სიცრუე და ორპირობა
არ შერჩება არავისა.
ნეტა თავს როგორ გიყადრებ
მაგ უნიფხო იმერელსა?!
ტან-ჩახვეწილო რაჭველო,
კაცაია გამოგიყვანე,
იმერეთიდან გადმოხველ,

[1]) ეს გაბუნია ჩვენი ნიჭიერი მსახიობის მამა იყო. ეს ლექსი და კიდევ რამდენიმე სხვა „კრუხი და ძერა", „მელია და ძერა" 85 წლის ისაკა ვალიშვილმა მასწავლა ამ 18 წლის წინათ; იასაულად იყო ნამ-ყოფი, კარგად იცნობდა გაბუნიას და ამ იმერელსაც, გვარიც სთქვა, მაგრამ მაშინ ვერ ჩავწერე და ეხ-ლა კი, აბა რაღა მეხსომება.

ხუთ მარჩილად დაგიყენე,
ხუთი ღორი მოგაბარე,
იმათ მწყემსად დაგაყენე,
დასცხერი სიბოროტისგან,
კარგი არა დამაყარე!

456

შენ ბიჭო, ახალციხელო.
რად დაჰდევ ნადირობასა?
წამოხვალ სანადიროდა,
გადაგიხტება შველია,
შინ წახვალ გაცრუებული
გაწუწვილი და სველია.

457

ზემო-ქართლელი ფუჩეჩა
ცხენთას ჩავარდა წყალშია;
იპოვნეს, გამოათრიეს,
მჭადი ეჩარა უბაშია.

458

(ვარიანტი)

ცხინვალთან კაცი ჩავარდა [1]),
იპოვნეს ხიდისთავშია.
ეძიეს, გამოიძიეს,
—ეს სადაური კაცია?
იმითი იცნეს ქართლელი,
მჭადი ეჩარა უბაშია.

[1]) ლიახვში.

459

რას ვაქნევ შავშვებ[1]), ნაწრეტ-
მინდორს ბალახიანს? ს[2]),
წითელი შეშის დამწველი,
უნდა ვწვავდე წივას ტალახიანს,
ვერც ვნახავ ხილს მოსხმულს,
ვერცა მინდორს ტყიანს[3]).

460

(ვარიანტი)

რას ვაქნევ შავშვებს, ნაწრეტს[4]),
ტირიფონაზედ[5]) მამულს?
ვერც ნახავ წყალს, წისქვილს,
ვერცარას ხეზედ მობმულს[6]).

461

ნეტავი თევზი მაჭამა
ქვემო-ხანდაკის წყლისათ[7]),
ზედ ღვინო დამალევინა
მუხრან-ბატონის ზვრისათ!

462

აბა, ბიჭო, შენ რა გითხრა
მაგ თბილის ქალაქისათ?
ზამთარი მოდის ბროლისა,
ზაფხული ზურმუხტისათ.

463

მეჯრუხევში ბევრი შეშა,
კავთიხევში ბევრი კირი,
ბიჭებო, ბანი მითხარით,
ყველამ დაალევით პირი!

464

ახალქალაქო ქვიანო,
სიმინდო ბარაქიანო,
წისქვილის გამლეტელი ხარ,
საჭმელად თავლაფიანო!

465

გომელებო, თქვე პლუტებო,
სახლი გედგათ ალიზისა.
პატარძალი მოიყვანეთ,
ცოტა არის ავი ზნისა.

466

გომური ქუდი მრუდია,
მუშტარი მშვენიერია,
სარტყელი მოჭირებული[8]),
მუცელი ცარიელია.

467

ხოვლელებს წყალი არა აქვთ,
ველარ წავლენ ღოლოზედა.

---

1) შავშვები სოფელია ქართლში, კვერნაკის ჩრდილოეთ მხარეზეა.

2) ნაწრეტიც იქვეა სოფელი, ორივე ურწყავებია.

3) ტყე სრულებით არ არის.

4) შავშვები და ნაწრეტი—კვერნაკზეა გაშენებულები.

5) ტირიფონა დიდი ურწყავი მინდორია გორის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ, შუაზედ ძველის-ძველი რუსხმულია დამრჩალი (დაყრილი რუ). ამ რუთი რწყულა ეს მხარე და სოფლებითაც სავსე ყოფილა, ეხლა აღარაფერია რუს ნაშთის მეტი.

6) ხეხილი და ვაზი სრულებით არ არის ამ სოფლებში.

7) ზოგი იტყვის: ყარაღაჯული წყლისათ.

8) ან: ტანისამოსი მორთული.

ეს ერთი კარგი გიხერხე,
რო მოგიგდე ბოლოზედა!

468

დოელებო, თქვენი ნინო
ნეტა როგორ მოიქცევა?
—ადგომაზედ კეტი უნდა,
დაჯდომაზედ წაიქცევა.

469

კეხველი კაცი მგელსა ჰგავს,
აჩაბეთელი ტურასა,
ჩეითელები მოდიან,
აივხაკუნებენ გუდასა.

470

ოსი ქარჯინით გაძღება
და იმერელი ღომითა,
ოსი რომ შრატსა არ ხვრეტდეს,
ვერავინა სჯობ ღონითა.

471

ეს რა ზნე შემოუღიათ
მეჯრუხევშია დედლებსო?
ერთათ უბიათ ცხენები,
ერთად აჭმევენ ქერსაო.

472

მეჯრუხევს მაყრად იყო.

ქურძენი მეჯრუხეული,
ღვინო დადგება თხელია.
ისეთი ღვინო დადგება,
წითელი ლალის ფერია.
მეჯრუხევ მაყრათ გიახელ,
რა ცუდი საქმე ჰქენია!
ჯერ ერთი არ დამელია,
ფინთათ მეცვალა ფერია.
სამიოდ ჯამი დავლიე,
რა ფინთათ დავითვერია!
მაგრა დაკეტეს კარები,
ბანიდან ამოვძვერია,
ვეხეტე ბნელსა ღამესა,
ბოსელს ვერ მივაგნია;
დავწექ და დამძინებოდა,
სიცივე იყო ძნელია!
მშვიდობის დილა გათენდა—
მიპოვეს მეღვინეებმა,
ცემით მამწყვიტეს წელია.
ერთი ქალი გამოვიდა:
—რას ერჩით თქვე დასაქცევნო,
მოკეთე არის ჩვენია!
—შენ რას ამბობ, დედაკაცო?
წუხელის სუფრაზედა
ღვინო აქცია ბევრია!

473

მანგლელი ქალი და მეცხვარე.

როდესაც შენდა მანგლისი,
წყარო ადინეს მილითა,
სასახლეები დამართეს,
თეთრათ გალესეს კირითა.
იქ რო ერთი ქალი იყო,
ხელებს იღებდა ინითა.
თრიალეთიდან მეცხვარე
ყველს უზიდამდა პინითა.
ის ზაფხული გაატარეს
ქეიფითა და ლხინითა.
ადგა, მეცხვარემ შებედა:
—ნეტავ შენთან დამაწვინა,
შენთან გამაძღო ძილითა!

ქალმა დასწყევლა მეცხვარე,
სულ ამოილო ძირითა.
ახლა მეცხვარემ დასწყევლა
თავის ცოდვილის პირითა:
— ლეკებსამც წაუყვანიხარ,
უკან მოგდევდე სტვირითა,
შენი თავი მე დამეხსნას,
თეთრი დაგყარო ქილითა!
იქიდან წამომეყვანო
სიმღერითა და ლხინითა!

474

ახლო-ახლო ხარო, სოფლებო,
ქვემო-ხანდაკო, ხოვლეო!
წისქვილო, პური დაგვიფქვი,
შენ გამოაცხე თონეო!

475

(ვარიანტი)

ახლო-ახლო ხართ, სოფლებო,
მაღლა წიაბო, ხოვლეო!
მისთვის მინდიხარ, წისქვილო,
რომ საფქვავს დაგვიფქვავდეო.

476

სოფლების ქებას მოგიყვებ,
ამ სატიალე სკრისაო,
წინ ჯალა, უკან მინდორი, —
იალაღია მცხვრისაო;
ნახნავ-ნათესი ბევრია,
სარჩო ვერ მოჭყამთ წლისაო.
უბრუნამს ერთი ბუჩულა,
გვარად მაჩულაშვილსაო,
მიუჩენია ქალები,
თორმეტი იღებს მინდსაო.

477

(ვარიანტი)

მინდა შეერი გამოვთქვა
ამ სატიელო სკრისაო,
ტყე, საბალახე კარგი აქვს,
და საძოვარი ცხვრისაო,
ერთი წისქვილი უბრუნავს,
თორმეტი იღებს მინდსაო,
დედაკაცები შედიან,
არ უყენებენ ხრილსაო.

478

შენ რა იცი გემოვნება
დოიან კარაქისაო?
ნეტა ქება როგორ ითქმის
ამ თბილის ქალაქისაო!
ქალაქის აბანოები
ფასია ხმელეთისაო!
ოთახები ააშენეს,
ნათალი არის ქვისაო,
ფანჯრები დაატანეს
საყურებელი მზისაო,
შიგ წყარო ამაიყვანეს,
ის არის კრამიტისაო;
ქალაქის ხალხი გამოდის
როგორც ფურცელი ხისაო,
ქალი და რძალი ლამაზი,
როგორც ვარსკვლავი ცისაო.

479

არ მინდა მთაში მოყვარე, -
რგო უდგია და წიფელი,
ქართლში სჯობია მოყვარე—
ღვინო უდგია წითელი.

480

ვარიანი—გალიანი,
შტეერ და ქარიანი,
ახალდაბა—გადადაბლდა,
არაშენდა—გადაშენდა,
თელთ წმინდა—ლეკმა წმინდა [1].

481

ახლო-ახლო ხარი, სოფლებო,
გალმა მეტეხო, წიაბო,
მე შენთან როგორ ვივლიდი,
ცხენი არა მყავს იაბო.

482

ტიალო ზედაქსოვრისო,
კარგი სოფელი გქვიანო,
არც წყალო, არსად წისქვილო,
არც მეზობელო ღვთიანო!

483

შავო მუხრანო დამწვარო,
შენ ციხის ძირო, ქანდაო...
გამოგეგზანა მოახლე,
ვერ გიახელი მანდაო.

484

აგრე ახურდა ახრისი [2]),
როგორც მიწაში სახნისი.

485

ბაღდადი არის დიღომში,
რომ არ იცოდეს ქარია,
სიმინდი ბევრი მოსულა,
ყველას დაუდგამ ზარია.
ქალები ასე ამბობენ:
„საუბედურო არია!“ [1])

486

მეჯრუხეო შემკობილო,
წინ მინდორო, უკან ტყეო,
ბიჭების სახარელო,
ქალების სამოთხეო [2]).

487

ჩამოვიარე ავჭალა,
პური არავინ მაჭამა,
იმათი თხა და ციკანი
მშიერმა მგელმა დაჭამა!

488

ბარალელმა კაცმა იცის:
გაძღება და გაგორდება,
რაც უნდ ბევრი პური ჰქონდეს,
მაინც მჭადი აგონდება.

489

მეჯრუხევო მშვენიერო,
წყალ გაღმითა ვარიანო,
ვისაც კარგი ქალი უნდა,
ახალდაბას არიანო.

490

(ვარიანტი)

ახალდაბა, ვარიანი,
ახლო-ახლო არიანო,
ვისაც კარგი ქალი უნდა,
კარალეთში არიანო.

---

[1]) ეს სოფლები ლიახვს გაღმაა, დასავლეთ მხარეს.

[2]) ეს სოფელი მეჯუდაზეა, მეჯრუხევის დასავლეთით.

---

[1]) ვითომ, ჩვენ მოგვინდება გარჩევაო.

[2]) ან: ქალებისა სათამაშოვ, ვაჟებისა სამოთხეო.

491

ყოვლად წმიდა ღვთისმშობელო,
კორელები შიშობენო,
კარებსა მაგრა ჰკეტავენ,
შინ არავის უშვებენო!

492

ზერტელი¹) კაცი მგელსა ჰგავ,
მეჯრუხეველი—ტურასა,
ხელთუბნელები ბიჭები
არაკრაკებენ კულასა.

493

იმერეთიდან ნავალი,
ქალი მინახავს მრავალი,
მორთული და მოკაზმული,
მოვის ჰერანგით ნავალი.

494

იმერეთ ქალი ვითხოვე,
წამოვიყვანე ტივითა,
სამი წელიწადი მყავდა,
მერე მომიკვდა ჭირითა.

495

ზერტელმა კუდიანებმა ²)
ერთად იციან კრიალი,
ჭალას მოსტაცეს გუთანი,
ჩამართას მისცეს ზიანი.

496

გორის სანახავად წაველ,
ხიდისთავს კაველ ფონშია.
ხიდისთაური ქალები
არ მამივიდნენ ჭკვაშია...
(დაბრუნდი, ჩემო წისქვილო,
წყალს ხომ არ მოაქვს თოშია!)

497

იმერელი ვარ ლილღველი,
ზურგზე მკიდია გიდელი,
შიგ საყარცხლები მიწყვია,
ქალაქში გასაყიდელი.

498

ღმერთმა დასწყევლოს ტყვიავი,
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,
რაც მოსავალი მოგვივა,
მოვა პატონი, წაიღებს.

499

ეშმაკათა და ქაჯათა
მაურად წაველი ზერტსათ,
იქ რომ ღვინით ვერ დამათვრეს ¹),
მასმევდნენ მოზვრის წვენსათ.

500

მამა ჩემი მეუბნება:
„მაურად ნუ წახვალ, ხვითსათ,
იქ ჭირვეული ხალხია,
არ გაჩვენებენ ლხინსათ".

501

ღმერთმანი, ამირანელო,
ღვინო დადგება ძველია!
კვარხელებსა და ზერტელებს ²)
ღმერთო, გაუხმე ხელია.

---

¹) ზერტი—მეჯრუხევის აღმოსავლეთით არის და დასახლებულია მომეტებულად სომხებით.

¹) საზოგადოდ ზერტელებს ქართლში კუდიანებს ეძახიან.

¹) ზერტში ძალიან თხელი და მჟავე ღვინო იცის.

²) ეს ორი სოფელი ახლო-ახლო არიან.

502

რა ოხერი სოფლებია
ქვეში, ფლავი და არცევი[1])!
ლუკმა პური არ მოუვათ,
იმათ რათ უნდათ საცერი?

503

წავალ, წავალ ქარელშია,
კაცს მოვითხოვ ქალებშია,
შევყვარდები თათრის ქალსა,
ჩავარდები ყოფაშია.

504

ერთი საყვარელი მყვანდა
ქვემო-ხანდაკსო,
ჯერა ქსოვდა ხალიჩასა,
მერე ფარდაკსაო!

505

ჩამოვიარე ქოლოთი[2]),
გული გავტენე ღოლოთი.

506

ქალაქისთანა ქალები
არ არის ქვეყანაზედა!
დამწკრივდებიან სუფრაზე,
როგორც ვარსკვლავი მცაზედა.

507

თრიალეთის შება გუთანი,
ჯავახეთის მანჭი[3]) მეჭირა,
ქართლიით მოველი მე ჯერსა,
მეხრეებს თვალი ეჭირა.

1) ეს სოფლები პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზეა.

2) ეს სოფ. მეჯუდაზეა, მთაში.

3) მანჭი—ხელის მოსაჭიდი გუთნისა, ხელკუდი.

508

ერევნის ხილმა მაწყინა:
ბადრიჯანმა და ხურმამა,
დღისით ავდარმა-წვიმამა,
ღამე ნაბადის ხურვამა;
წისქვილში სიარულითა
წელი მომწყვიტა გუდამა.

509

რა ვქნა და რა მოვიგონო,
რა ვათქმევინო ენასა?!
საწყალი ბერბუკელები
დაუხოცნია ხველასა.

510

უფლისციხე, ნაციხარა,
ის ეყოფა, რაც იხარა.

511

გულსუნდული[1]) მოსავალი
კარიაში[2]) ჩავყარეთ,
სათესლეც ზედ დავაყარე,
ნახევრად ვერ მოვყარეთ.

512

მე ხომ გორელი არა ვარ,
ჩაი დავლიო სკამზედა;
სვანელი კაცი არა ვარ[3]),
წვენი გიახლოთ ჯამზედა;
მე ხელთუბნელი არა ვარ,
ჩამოვხმე დუქნის კარზედა[4]);
ახალსოფლელი არა ვარ[5]),

1) სოფ. ჯავახეთში.

2) ვარია—სადღვებელი.

3) სვენელებს დათქმული აქვთ წვნიანის სიყვარული. [რიან.

4) ესენი სულ დუქნის კარზე ხი-

5) ამათ სოფელში ბევრ ბატსა ზრდიან.

ბატი ჩავრეკო წყალზედა;
ზერტქლი კაცი არა ვარ [1]),
ნიორსა ვფენდე ბანზედა;
შეჯრუხებელი არა ვარ,
მოვალე მადგეს კარზედა.

513

საწყალ-პუროდ კვარხითი სჯობს,
საპურ-ღვინოდ კირბალ-ზერტი,
ბერმუეთი ყველასა სჯობს,
მაგრამ ბატონი ჰყავთ ცეტი.

514

ხოვლელების ქება გითხრა,
ძიენ კაი ხალხი არი:
ზოგ-ზოგი ძიენ მიშლიდა:
„ღვინით ხომ არა ხარ მთვრალი?!
ყველას ქებას როგორ ამბობ?—
ნახევარი ქურდი არი“.
კოლა მარვაშიძის შვილი
ქურდის უსტაბაში არი.
ისე დაუდის ქურდები,
როგორც რომ მეცხვარეს ცხვარი.
მოუპარავს არ უშვებენ,
სადაც ბერწი ძროხა არი.
წვერტო [2]) გორში გაათრიეს,
ქვეყნის დამღუპავი არი.
ის მეკდიტიანთ დათა
თურმე „რაზბოინიკი“ არი!
მელეში [3]) წამოაქციეს
ამ ოსეფას ნიშა ხარი;
ოსეფა ზედ მიადგება:
—„ღვინით ხომ არა ხართ მთვრა- [ლი!
რვა თუმანი მიმიცია,
ე მოზვერი ჩემი არი!“
—განა თუ უნდა დამეკლა,
მე უნდა შემეჭრა ზარი!

515

ოსო ,გუდუნით მაძღარო,
და იმერელო, ლომიათა,
ბეჩავი არაგვის კაცი,
გაუმაძღარი ომითა.

516

ხეობელი კაცი
კარებს უკან დავსვი,
სიმინდის ფაფა ვაჭამე,
წყალი აღარ ვასვი.

517

არადეთს რომ გამოვედი,
მძლივ გავიგონე ქართული!
რუისელი კაცი მორბის,
მუჭა არა აქვს დაფქული.

518

რას ვაქნევ მავშვებს, ნაწრეტსა,
ნადარბაზევსა ქვიანსა?
მეჯუდის ძირის ჭირიმე,
ირემს ჰგავს ქორბუდიანსა!

519

ოცდა ხუთსა იმერელსა
ერთი ტურა შეეყარა:
მანამ ტურას გაიცნობდენ,
სული ხორცსა გაეყარა;
ხუთი მოკვდა, ხუთი დარჩა,
ხუთმეტს გულს შემოეყარა.

---

[1]) ამათ სოფელში ნივრის თესვა ძალიან არის გავრცელებული.

[2]) კაცის სახელია.

[3]) უბნის სახელია.

ურიამ სთქვა: „დავსწრებოდი,
სანთელივით დავდნებოდი“,
სომეხმა სთქვა: „დავსწრებოდი—
გუთნის კვალში ჩავწვებოდი,
თავზე მიწას დავიყრიდი,
ქრისტესაებ დავდნებოდი“.
ქართლელმა სთქვა: „დავსწრებოდი,
ვაჟკაცურად დავხვდებოდი,
წავიდოდა, წავყვებოდი,
ცხრა მთას იქით გაჰყვებოდი,
ან მომკლავდა, ან მოვკლავდი,
ან სოროში ჩავყვებოდი.

## ლ ო ც ვ ა.

520

ღმერთს დიდება,
ჩვენ მშვიდობა,
ღმერთი მაღალი,
კაცი დაბალი.

521

დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი,
სულ მარცხნივ დამესვენება.

## დ ა ლ ო ც ვ ა.

522

ნეტა რა დედამ გაგზარდა
მაგრე ჭკვიანი და ბრძენი?
ქალაქს სიონი გწყალობდეს
და კახეთში დედა-ძენი!

523

ჯერ ალდეგრძელოს კერათ,
იმას უცქერის ყველათ!
მერე სახლის საძირკველი,
სტუმარი და მასპინძელი!

524

ღმერთმა აგრე აგაშენოს,
როგორც შიოს მარანია!
აგიყვანოთ ცათამდინა,
თავს დაგადგეს დალალია;
შვიდი წელიწადი გაქო,
იქვან კიდევაც ალალია.

525

ღმერთმა დიდხანს გადღე-
[გრძელოს,
შე კაი დედ-მამიშვილო!
ბიჭები შემოგეხვივნენ,
უნდა კარგათ მოილხინო.

526

ლიახვი მოდიდებულა,
მეჯუდა ეტყვის ნანასა,
ცოლი და შვილი გიცოცხლოს,
ნათელი დაგიდგეს მამასა!

527

აგრე დაურჩი დედასა,
როგორც არაგვი ცხეთასა!

528

აი შენ კი გენაცვალე,
რო გიხდება ანაგება!

ცოცხალი ღმერთმა გიცოცხლოს,
მკვდარს ნათელი დაგიდგებას!

529

უფალმა ღმერთმა დალოცოს
შენი მარჯვენა მხარენი!
მე მაშინ გავიხარებ,
ერთად რომ შავიყარენით.

530

დაგლოცა პირმა ღვთისამა,
ნაპირმა ბარძიმისამა,
ცხოველმა ხატმა და ძალმა
ქალაქში სიონისამა!
ის გორიჯვარი გწყალობდეს,
ისიც კარგია ღვთის მადლმა!

531

აი ეშია-მეშია,
ღვინო მიჭირავ ხელშია!
ი თქვენი დედ-მამი-სული
შიგ შუა სამოთხეშია,
გამაძღარიყო ცხონებით,
ამოჰქდიოდა ყელშია.
კაი დედ-მამი-შვილი ხარ,
გენაცვალები ღმერთშია!

532

შენამცა გენაცვალება,
რაც ქართლში თავადი არი,
სულ შენი მაქებარია,
რაც განჯას თათარი არი!
მოგყვანდეს ქალი ლამაზი,
ქალი თავ-ჩიქილიანი,
უბრაგუნებდე ფეხებსა,
თითქმის გაჰქონდეს ჟღრიალი,
მეც უკან მოვჩანჩალებდე
ჩემი სტვირ-ქამანჩიანი!

533

შენი ჭირი არა ვნახო,
სადაც ვნახო, იქ დავმარხო!

534

ეკლესიაში მისდიხარ,
შემესმა კაბის ბიბინი,
იესო ქრისტემ მაჩვენოს
შენი ლამაზი გვირგვინი!

535

მანამდი ღმერთმა გაცოცხლოს.
სანამ გასძლებს მცხეთის ხიდი!
ორას წელიწადს ხომ გასძლებს,
გინდ მაგაზედ ამიხირდი!

536

ბატონო, შენის ქებითა
ტანში დამიწყო ჟრჟოლება,
უფალმა ნუ მოგიშალოს
ეგ შენი ჭკუა-გონება!
გაცოცხლოს და გადღეგრძელოს,
მოგცეს ადამის დღენია,
უწინ შენ მოგაკვლევინოს
შენზედ მოსული მტერია.
გწყალობდეს წმინდა სიონი,
გელათის ღვთის-მშობელია,
გწყალობდეს წმინდა გიორგი,
მცხეთას სვეტის ცხოველია.
იმპერატორმა ხელმწიფემ
გაგვხადა თანასწორია,
მარშან ვიყავით ბატონი,
წრეულ ნაბატონარია.
მოახლეები დათხოვდენ,

მჭადს აცხობ ქალბატონია;
იკადრე წისქვილში წასვლა,
ზურგს აიკიდეს ტომრები.
ეს ტყე ხომ თქვენს ხელათ არი,
დახერხეთ კაი შორები
და ჩადგით კაი ზორები *).
ორი ძროხა იყოლიეთ,
დაარდგინეთ ხბორები,
ერთი ჯორიც იყოლიეთ,
არ დაგჭირდებათ ცხენები.
ზოგმა სახლსა მოუარეთ,
ზოგმა გარეკეთ ღორები,
დაასუქეგით კარგათა,
მაღლა შეჰკიდეთ ღორები!

537

დაგლოცოს პირმა ღვთისამა,
ნაწილმა ბარძიმისამა,
ათასმა ხატმა და ჯვარმა,
ქალაქში სიონისამა!

538

დაგლოცოს პირმა მზისამა,
ნაწილმა ბარძიმისამა,
ურბნისში წმინდა სტეფანე,
რუისში ღვთაებისამა,
გორიჯვარმა შეგინახოს,
გადმომცქერალმა მტკვრისამა!

539

ხატი და ჯვარი გწყალობდეთ,
მიქელ და გაბრიელია,
გორ—გორიჯვარი გწყალობდეთ,
მტკვარზედ რომ გადმოსცქერია.

*) შეშები.

იმის მადლიც შეგეწიოთ,
იქ რომ მწირველი მღვდელია!

540

ყველიერში ყველი ვჭამე,
აღდგომაში ჩიტებით;
დედა შენსამც დაუჩნდება
ქოჩრიანი ბიჭებით.

541

მოდით, ბიჭებო, ვიმღეროთ,
არალალო ვთქვათ მხრიანი,
იესო ქრისტემ გვაჩვენოს
გვირგვინი ლალის-ფრიანი.

542

თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო.
რო გილილინებსთ ქელია,
მრავალი მოგიჭამიათ
ჯერ კალო, მერე რთველია.

543

დალოცვილი ქრისტე ღმერთი
დადიოდა მთა და ბარა,
ზღვა გალავნათ შემოგვარტყა,
ცა ქუდად გადმოგვაფარა.
ღმერთმა ისე აგაშენოს,
როგორც აბრამი და სარა,
სადაც მოხნა და მოთესო,
მოგივიდეს კარგი ყანა.
ეგ შენი წუთისოფელი
სულ ლხინით გამოგატარა,
ასი კოდი ოქრო მოგცეს
და ორასი კოდი ფარა,
დაბრძანდი, იანგარიშე,
დასათვლელად ისიც კმარა!

544

ზემო-მხარე დავიარე,
ქვემო-მხარე ქვიშიანი,
გვენახოს შენი გვირგვინი
წითელი ლალი-ფრიანი.
მეც უკან მოვტუნტულებდე
ჩემი სტვირ-ქამანჩიანი,
საჩუქარი გამოგედოს,
ჯიბეს გაჰქონდეს ჩხრიალი.

545

ადგილია ნაფეტვრის ხვნა,
თუ გუთანი მართულია,
იესო ქრისტემ გვაცოცხლოს,
მოგვიყვანოს ზაფხულია.

## ქ ე ბ ა.

546

ნეტა რა დედამ გაგზარდა,
ეგრეთი კაი გულისა?
ჯერ კი მეგონე თათარი,
ჰყოფილხარ ჩვენი რჯულისა!
უნდა დახარჯო ფულები,
მოიგო კაცის გულიცა...
არაყი კარგი გამოდის
სიმინდისა და პურისა.
დამიბლეტია თვალები,
ცნობა არა მაქვს ფულისა.
ვინ ეჯიბრება ვანუას,
ენა აქვს მოქარგულისა!
სახელად მქვიან ვანუა,
არა ვარ დაკარგულისა.
ყოველთვინ ქალი კარგია
თავადი-აზნაურისა.
რათ ვარგა კლეხის გარდილი,
ყვინთია მეტად გულითა!
შემოუდია სიწუწკე,
არ გაგონება ყურისა.
მეტად გამოდის ფეთხუმი,
გამოფუჭებელი პურისა...
მე რომ ლექსები დამაკლდა,
აქ დადგა ცოდვა-ლულისა.

547

ნეტავი შენსა დედასა,
რომ გაუზდიხარ შვილათაა,
არ გინდა პირის დაბანა,
არც უმარილი ხშირათაა.

548

ანთებულ სანთელს გამსგავსე,
ცისკრის ლოცვაზე გნახია,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახია.

549

ძმაო, შენსა უკეთესსა,
ვისა ვნახავ მამავალსა?
მხარ-ბიჭები, მხარ-კისერი
როსტომს გიგავ, ფალავანსა,
ახლო მტერსა არ მიუშვებ,
შემოირტყამ გალავანსა!

550

შაქრისაგან უფრო ტკბილო,
სანთელივით ჩამოსხმულო,

ცხენზედ ზიხარ ლურჯაზედა,
უნაგირზედ აშოსულა.

551

ვაი, შენ კი გენაცვალე,
სიტყვას ამბობ გამტკიცულს!

552

შორით მესმა ქება შენი,
უცხო თემსა მიამბეს.
შენი ბედი, შვილო ჩემო,
ღმერთმან იცის, მიამება.
გულს უნდოდა გადმოფრენა,
მაგრამ ჯაჭვით დამაბეს,
ხელთ ბორკილი, ფეხებს ხუნდი,
ვაჰ თუ დამიგვიანდეს!
თუ ვერ გნახავ, შვილო, მაინც
შეგავედრებ ზენარესა! *)

553

(ვარიანტი)

შორით მესმა ქება შენი,
უცხო თემსა მიამბეს,
გულს უნდოდა გადმოფრენა,
მაგრამ ჯაჭვით დამაბეს:
ხელთა ბორკილი, ფეხთა ხუნდი,
ვაჰ თუ დამიგვიანდეს!

554

მოდიან მონადირენი
ქარელისა და სკრისაო,
ყველასი საყვარელი ხარ,
ბატონისა და ყმისაო!

555

პატარა ხარ, მაგრეთი ხარ,
გაიზდები, რა იქნები?
წახვალ, ცაში გაფრინდები,
შავარდენი შეიქნები,
შენ ბატონი მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები!

556

მაღლა მთაში ხარ გარდილი,
წვერი გიხდება ხმლისაო,
სუყველას საყვარელი ხარ,
ბატონისა და ყმისაო!

557

გაქო, გაქო, როგორ გაქო?
თეთრი დევის ღონე გაქო!
შუბლზედ ნაკვერცხი ქორჩორი,
თვალი შავარდენი გაქო.
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გულში ფიქრი არა გაქო!

---

*) ეს ლექსი სოლომონ გულიშვილმა მიძღვნა. ამან ბევრი ზღაპარი და ლექსი ჩამაწერინა. ქართლში ჩაწერილი ზღაპრები ნახევარი თითქმის იმისი ნათქვამია. მე რომ სემინარიაში ვსწავლობდი, იქ იყო მებაღედ. ვუყიდდი ხოლმე 3 კაპ. თამბაქოს, დავსვამდი და ვაამბობინებდი. სამწუხაროდ, „კრებულში“ ყველა იმის ნათქვამ ზღაპარს არ უწერია იმისი სახელი. დიდი მეტყველი კაცი იყო და რაც შაეძლებოდა, ეტყობოდა, თვითონვე სთხზავდა. ძალიან ნავალი კაცი იყო.

ომში შესვლა მოგიხდება,
ლამაზ ქალზე თვალი გაქო.
იარაღი მოგიხდება,
თოფი შეკაზმული გაქო! *)

558

თაფლის ფერი ულვაშები,
წითლად გიდებავ წვერია,
ღმერთმა იცოდეს, უცხენოდ
შენი მოდევნა ძნელია.
დღისითა გდიო და თანაც
ღამე გავტეხო ბნელია!

559

მეც ვიცნობდი მამაშენსა,—
თავთხელს ესვრიდა ბადესა,
შენც იმის შვილი იქნები,
ის გასწავლიდა ფანდებსა!

560

ატენის ხეობაზედა
წყალი ჩამორბის ტასაო,
დედამ რომ შვილი გაზარდოს,
რა არის იმისთანაო?!

## ს ი მ ღ ე რ ე ბ ი.

561

### ი ა ვ ნ ა ნ ა.

იაგუნდის მარანშია
ღვინო დგა და ლალი სჭვივსო,
შიგ ალვის ხე ამოსულა,
შავარდენი ფრთასა ჰშლისო.
ნეტავი თქვენ, ბულბულებო,
მაღლა სხედხართ, ღუღუნებთო!

562

აქ ბატონები გვეწვივნენ,
გვეწვივნენ და გაგვახარეს.
შვიდნი და-ძმანი მოვდივართ,
შვიდ სოფელს მოვეფინებით,
შვიდგან დავეცით კარავი.

563

შვიდი ბატონი და-ძმანი
შვიდ სოფელს მოეფინესო,
შვიდგანვე დასცეს კარავი,
შვიდგანვე მაილხინესო.

564

ბატონების მამიდასა
ქვეშ გაუშლიათ ხალიჩასა,
იმასაც არ დავაჯერებთ,
ზედ გაუშლიათ ორხოცასა,
წინ დაუდებით შაქრის თავსა.
უდგიათ ჩარხის აკვახი,

---

*) მეორე ვარიანტი მერე ჩავწერე, ასეა ბოლო:

მხართ სიმაღლე მოგიხდება,
ლამაზი, ჯავარიანი,
ჯაჭვი გაცვია, ჯავშანი,
ცხენი გყავს ლაბაბიანი.
ხარ შევარდენი მქროლავი,
არწივი კანჭებიანი,
შენ მტერი ვერ შემოგივა,
სულ ტირის თვალ-ცრემლიანი.

მიგ უწევთ ბატონის შვილი,
უსხიაი ოქროს ქოჩორი.

565

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
მარსკვლავებს გამუქრახე,
მთვარეს კაცი მოეგზავნა:
—აქ იყავ და არა მნახე?! *)

566

ადანდალი-დანდალით,
შენ ხარ ოქროს შანდალით,
აგოგებული მწყერით,
შემოჩვეული მტრედით.

567

კ ო ნ ა.

სახლო, ღმერთმა აგაშენოს,
ჯერ ჭურჭელო, მერე თარო,
ოჯახში კაკაძრიელოს,
ჯერ ვაჟკაცო, მერე ქალო!

568

დაითვმა ყანა მოგვიძოვა
თავის ორი ბელითაო,
ადე, გოგო, კვერცხი ჩადე,
შენი ორი ხელითაო.

569

ალაიასა, მალათასა,
ჩამოვკიდებ კალათასა,
გოგო, ერთი კვერცხი ჩადე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა!

---

*) იავნანაში იმღერიან.

570

სიმღერები მკის დროს.

სოფლის ბოლოს ყანას ვმკიდი,
ნამგალს გაჰქონდა ჟრიალი,
სამხარი გადმოგვიტანეთ
ეგ ოხერი და ტიალი.

571

გლესავ, გაგლესავ, ნამგალო,
ნამგალო ჩემო რკინაო,
გაგლესავ სალესავითა,
გაჰჭერ, გამიძეხ წინაო!
გადგიყვან სათემოშია,
გამოგიჩნდება იქაო.

572

ამ ყანას ბადელოვანსა
არ უნდა დახედულობა,
გავლა უნდა და გამოვლა,
ნამგლისა მოლესულობა.

573

ვარიანელო მჭედელო,
ვაცხონე შენი გამდელი!
შენი შეკრული ნამგალი,
ყანას მიურბის მას წვერი.

574

ბიჭო, გამოჰკარ მარაგი,
აადებინე ალაგი!

575

მაშინ დამძახე, გუგულო,
„ჭოპუნა“ დავაგუგუნო.

576

აგრე უნდა ვაჟი კაცმა
სადამომდინ ყანა მკოსა,

სალამოზედ შინ მოვიდეს,
ლოკინს ხელი გადასდოსა.

577

სიმღერები ხვნის დროს.

გ უ თ ა ნ ი.

პირველად ამას დაიძახებს მეხრე,
დილით რომ გუთანს შააბმენ.

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია,
დიდება იმის სახელსა,
ის უფრო მართებულია!

578

ხარმა იცვალა მხარია *),
ღმერთო, შენ დაგვეხმარია!
გუთნეულს მიეც ძალია,
მტერს დაუქენე თვალია!
საქორწილო პური ვაცხოთ,
გადავიცილოთ ვალია.

579

დიდება, მადლი უფალსა,
მიწა მოუხნავს გუთანსა!

580

ერეკე ხარსა გუდასა,
ღონიერსა და მუდამსა,
ერეკე ხარსა, კამეჩსა,
მოზვერსა ხამუშიანსა!

581

გადი თავსა, გაჰშმევ ფლავსა!
გადი ბოლოს, გაჰშმევ ღოლოს!

*) სამხრობის შემდეგ საქონელს
გამოჰცვლიან რომელიც კვალიდან
ება ველიდან შეაბამენ დ რომელიც
ველიდან ება—კვალიდან.

გადი-გამოდი, ერთია,
ჩვენი მშველელი ღმერთია!

582

ღმერთო, შენია ქვეყანა,
შენ მოიყვანე ქერ-ყანა!

583

მეხრეო, ხართა მღალაო *),
ნიადაგ მოუღალაო!

584

გუთანო, შენი ჭირიმე,
გათლილო წმინდა ხისაო,
ცოცხლის მჭმეველი შენა ხარ,
დამარხველი ხარ მკვდრისაო.

585

გუთნისა მიყვარს გუგუნი,
მეხრისა შემოძახილი.

586

მაღალმა ღმერთმა შენ მოგცეს
გუთანში ბევრი ხარები,
ბევრი ხნა და ბევრი თესო,
მტერს დაუქენო თვალები!

587

გამარჯვებულმა გუთანმა
სამოცდასამი იარა **),
ნეტა ან რა ხარმა გასძლო,
და ან რა მეხრემ იარა?!

588

შენი ჭირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ქედისა,
წამოუწვები გვერდზედა,
ადება იცი ველისა.

*) ვარიანტით: ნანაო.
**) შემოუარა

შენა ხარ პურის მამყვანი,
დამძველებელი ჭირისა!

589

ჩემი ამბავი.

მე რომ ჩემს ამბავს მოგიყვე,
იტყვი: „ვაი შენი ბრალი!"
მეზობელს გუთანი ება,
შიგ შევუბი ერთი ხარი!
შვიდი დღისა თითონა ხნა,
არ გამივლო ერთი კვალი,
პარასკევს შემატყობინა:
— შაბათს შენი ალო არი!
მეხრეები დაარიგა:
— „გვიან მოლალევით ხარი!"
ერთი დღისა მზრალი მქონდა,
ერთი დღისაც ფეტვი ვხანი.
ჩემ ბედად ღმერთი გამიწყრა,
არ ეღირსა ციდამ ნამი.

590

უმადური გუთნის დედა

მე რომ ჩემს ამბავს მოგიყვე,
იტყვი: „ვაი შენი ბრალი!"
მეზობელსა შეურიგდი,
ალოზე შევუბი ხარი.
ათი ალო თითონ იხნა,
ჩემთვის ერთიც არსად არი.
მეხრეებს უჯავრდებოდა:
— „ნელა გარეკვით ხარი!"
სამხარი რომ მივუტანე,
ერთი კვალიც არსად არი!

591

ზედაობითა *) გუთანო,
დიდი მაისის დღეაო,
მეხრესა დაეძინება,
ხარს ყური წაუგდიაო.

592

გუთანო, შენი ჭირიმე!
შენი მიყოლა ძნელია,
ვინც შენ მოგყვება, გუთანო,
პური აქვს ძველის-ძველია.

593

მეტივური სიმღერები.

ჩემო ტივო, მაშინ გაქებ,
სატიოზე გასულიყო,
თავს მუშტარი დაგხვეოდეს,
სხვაზედ მეტად გასულიყო.

594

სატიოზე ტივი შევკარ,
ტივი არი ნაძვი ხისა,
ორთაყვირები მოვასხი,
მოსასმელი არი წყლისა.

595

(ვარიანტი)

ქარელში ტივი ავუშვი,
ტივია ნაძვი ხისაო,
დავასხი ორთაყვირები,
მოსასმელია წყლისაო.

---

*) ვიწრო კვალი როცა მიაქვს.

## საქორწილო და საერთოდ სალხინო სიმღერები.

596

ქ ო რ წ ი ლ ი.

ქორწილია და ქორწილი,
ტყუილი ნურვის გგონიათ!

597

ქორწილია და ბვეწვიე,
ცოტა რამ შემოგვაწიე.
წინ რომ ხატი დაგვისვენე,
იმის მადლი შეგვაწიე.

598

ჭოი მდადეო, მდადეო,
თევზს გადაუგდე ბადეო,
ეს ჩემი საწყალი თავი
შენს ძუძუებში ჩავდეო.

599

ღმერთო, ნუ მოჰშლი ამ სახლში
ლხინსა და ლხინის სუფრასა!

600

რად არა ლხინობ, დარბაზო,
დარბაისლებით სავსეო?

601

მძახალო, ნურას შემდური,
ღვინო ვერ გასვი თასითა,
ვერცარას ისე გამოგრჩი,
ვერცარას ჩემი ფასითა.

602

მეფეო, შენსა გვირგვინსა
ღვთისაგან ჯვარი სწერია!
ვერც არა მტერმა იხარა,
ნურცა რამც გაუხარია!

603

ღმერთო, გვიცოცხლე ესენი,
ვისაც ვახლავართ თავსაო!
პურსა და ღვინოს არ გვაკლებს,
კარგად გვასწავლის თარსაო.

604

ეშმაკათა და ქაჯათა
კახეთს წავედი მაყრათა,
რაც მასმიეს და მაჭმიეს,
ამომადინეს შხამათა.

605

ბალხამიშვილის ქორწილი
მიკვირს და გამკვირვებია,
სამი დღე ვიყავ ომშია,
ისე არ გამჭირებია!

606

ბიჭო, აიღეთ თოფები,
ავდგეთ, წავიდეთ წყალზედა.
მოვკლათ დედალი ხოხობი,
გადავიკიდოთ მხარზედა.

607

მოდით, ბიჭებო, ვილხინოთ,
არხალახლე ვთქვათ მხრიანი,
უფალმა ნუ გაგვაგონოს
თქვენი მარცხი და ზიანი!

608

ჩეტაი ნეფის დედასა,
ვარდნი უსხედან კერასა!
კაი დედუფლის დედასა,
თაგვნი ურბენენ კერასა!

ჩვენი დედუფლის მაყრებსა
ნეტა რა მოუტანიათ?
—კატის ტიკჭორით არაყი,
თვითონვე დაუდევიათ,
ქვა დამწვარი ლავაში,
გასაზედვე დაუხევიათ!
ფეხმოტეხილი ქათამი,
იქავე შეუჭამიათ!

609

მასპინძელ კარგა გვმასპინძლობს,
გულითა მხიარულითა,
მწვანე ქოშები გაცვითა
სუფრაზე სიარულითა,
წითელი ქვევრი მოხადა,
დაგვიხვდა სიყვარულითა.

610

ბევრი ადგილი მინახავ
ქვაშიანი და კლდიანი,
შენი გვირგვინი შენახოს
წითელი ლალის-ფრიანი!

611

ეკლესიაში მისდიხარ,
შემესმა კაბის ბიბინი,
იესო ქრისტემ მაჩვენოს
შენი ლამაზი გვირგვინი!

612

ეხლა იქიდან გიახელ,
გადმოვიარე რაჭაო,
თქვენსა რო ღვინო დავლიე,
ქეიფს ჩავატანე ჭაჭაო.

213

აგრე მითხრა მამა ჩემმა:
„მაყრად ნუ წახვალ ხევისსაო,
ამაყი ხალხი ასხია,
დაგამწარებენ ლხინსაო!

614

თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო,
არიგება-ჩარიგება,
ღმერთმა მანამდი გაცოცხლოთ,
სანამ იყოს თქვენი ნება!

615

ნათლიავ, სუფრის ლხინი ხარ,
ცამა დაიწყო ბიბინი,
იესო ქრისტემ გვიჩვენოს
შენი წითელი გვირგვინი!
ლამაზი ქალი გვერდს გეჯდეს,
პირს მოგდიოდეს სიცილი!

616

ჩამოვიარე კიდდაო,
მე პური აღარ მინდაო.

617

ახალი ქერივი არა გვყავს,
ტუჩილად იგრეჭ კბილებსა,
ახალქალაქში გაგზანით,
გამოგიყენებთ ვირებსა.

618

ცეცხლო, ქენთე, ქენთე,
ბოლო, შენ ადი აყარსა *),
დალიე, დამალეინე,
ჯიხვი დაარტყი მაყარსა!

619

ქენთი, ცეცხლო, ქენთი,
ბოლო, შენ ადი აყარსა,

---

*) კერის თავზედ რომ ბოძებში ორი გძელი ლატნებია გაყრილი, ზედ საკიდელია ჩამოკიდებული.

დაუსხით, დაალიენეთ
ჩვენი დედუფლის მაყარსა!

620

ჩემო მძახალო კიკნაო,
კურტუმი ჩემსკენ გიქნაო.

621

ასე გადავრჩით მაყრები,
არავინ ჩაგვკრა თავშია,
ე ჩვენი მეღვინეები
ცოტა იწევენ ქრთამშია,
უოველთვინ ცოტა დაასხეს
ყაზარას ბიჭის ჯამშია,
მე ვიჯექ ადგილობრივა,
სხვა გადიოდა კარშია*).

622

ეს სახლი დაჩვეულია
ქორწილითა და ლხინითა,
რომელიც ჩვენი მტერია,
ის გაძღეს ჩვენი ჭირითა!

623

ღვინო, ქეიფი, სტუმარ-
მასპინძლობა

გულისა საგრილობლადა
ღვინის სმას არვინ დაგიშლის,
ცოტა რამ მოჭარბებული
ჭკუას თავიდან შაგვიშლის,
მოყვარეს მტრად გადაგვიქცევს,
დავიდარაბას აგვიშლის.

*) ღვინის სმაში ვინც ადგება და შარდისთვის კარში გავა, დამარცხებულად ითვლება.

624

სანახავად ლამაზია
მინდორს ერთი მრგვალი ლოდი,
ზედ ასხია მარგალიტი,
სულ არ მოვა ერთი კოდი,
დალიე და ნუ მოიწყენ,
ალავერდი ჩემთან მოდი!

625

კაცსა სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არ ნახულისა,
დასწვას ფიწალი, არნადი,
ზამთრისა შენახულისა,
ურმისა მორგვი დააპოს,
ცეცხლი დაანთოს გულისა,
სუყველა მუქთად ჩაუვლის,
თუ არ ასმევდეს ღვინოსა.

626

(ვარიანტი)

სტუმრისა მიყვარს სტუმრობა.
სტუმრისა არ ნახულისა,
დააპო ურმისა მორგვი
ზაფხულის შენახულისა,
დაწვა ფიწალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთო გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ამოდის,
დახე დახვედრა სტუმრისა!

627

კაცმა კაცი დაჭპატიჟოს,
დასვას, დაანადიმოსა,
ატლასის კაბა ჩააცვას,
ცხენსა რომ შესვას პილოსა, —
ყველა ტყუილად ჩაუვლის,
თუ კი არ ასმევს ღვინოსა!

628

გორიჯვარი შეგეწიოს
და კარალეული საუდარი,
ვინც ღვინოს კარგა არ დალევს,
ფირტვი ექნება წამხდარი.

629

ახალი გათათრებული
თავზედ წაიკრავს ტილოსა,
ნამუსიანი კაცი ხარ,
დაგვალევინებ ღვინოსა.

630

პური ვჭამე და წყალი ვსვი,
ახლა მომეცა ხალისი.

631

ვენაცვალე მასპინძელსა,
მე დარდი არ მაქვს სხვისაო,
პური უცხვება შაქრისა,
ღვინო აქვს შარბათისაო.

632

დამალევინე ბადაგი,
ე შენი ნაწვავ-ნადაგი!

633

ახალდაბას იქიდამა
უკუღმა ბრუნავს წისქვილი,
იქვენ რომ არ მოსულიყავით,
მე ხომ მომკლავდა სიმშილი!

634

ორიოდ ბატი გავზარდე,
ერთი პატარა ნადარა,
ორჯელ რომ მე დაგპატიჟო,
ერთხელ შენ რადარ ადარა?

635

ვაჭმე, დედავ, გული მტკივა,
სად ხარ, ხე-ბალახაო?
როცა სტუმარი მოგივა,
ქვევრს მაშინ დაჭტალახავო.

636

მოდი, თუ კაი კაცი ხარ,
მოდი, ვენახი შესარე,
აგრე დაუხვდი სტუმარსა,
თავის ჭკუიდამ შემალე.

637

ნუ მოუწყენი მასპინძელსა,
ღვინოს გვასმევს ლალის ფერსა!

638

ჩემთან მოხვალ, ღვინოს ტელურჭავ,
შენთან მოვალ—თვალებს ხუჭავ!

639

დავლევ და დაგალევინებ,
ფეხებსაც აგარეინებ.

## ს ა ა რ შ ი ყ ო.

640

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი ადგილზე გოგდება,
ქალო, რათ გინდა ეგ ქმარი,
სნეულია და მოკვდება!

641

მინდორშია დამეძინა,
დამეხვია ჭინჭველაო,
ჩაუგორდი ლამაზ გოგოს,
ლოგინშია ტიტველაო.

642

ლიახვივით ავდიდდები,
მეჯუდასავით *) დავშრები,
ნეტავი შემატყობინა,
შენს გუნებაში რას შვრები!

643

ჰა, ქალო, ვაშლი, რა ვაშლი,
უბეს ნადები, ნასეტყვი,
სიტყვა რო შემოგითვალე,
გიყვარვარ და რად არას მეტყვი?

644

ზემო-ქართლელი ჭაბუკი
გასპარას ქალსა ჰყვარობდა,
შუაზე დიდი ზღვა ედო,
გასვლასა არა ზარობდა.
ჭაბუკი წყალმა წაიღო,
მთელი სოფელი ნანობდა.
ქალმა აანთო სანთელი,
სანთელი კელეპტარობდა.

645

ქალებო, თქვენი ქმრები
როგორ არიან თქვენზედა?
—ისე არიან ჩვენზედა,
როგორც მიმინო მწყერზედა.

646

ჩამოვიარე სურამსა,
მარხილი გვერდზე ცურამსა,
ურიის ქალი თამაშობს,
ყელი მიუგავ სურასა.

647

დილით ვარდი გაიშლება,
სალამოზედ—სოსანით,
საყვარელის ნახვა მინდა,—
ტალახია, შორს არით.

648

აქედამ გორი შორია,
თვალ-მარგალიტი, ბროლია,
უშენობა და შორს ყოფნა,
სიცოცხლე არა მგონია!

649

შენი ვარ, შენმა ლხენამა,
შენმა პირმა და ენამა.

650

ქალო, ქალო, შავთვალაო,
ბიჭმა შემოგითვალაო:
„ან მოგვეც ჩვენი დანაო,
ან წამიყვანე თანაო.

651

მინდორში ბაღი ვაშენე,
ღობე ჩავავლე ჯალჯისა,
დავთესე ოქროსა კიტრი,
ლობიო მარგალიტისა.
მოვიდა ქალი ლამაზი,
ხელი შემოუო მინისა,
მოგლიჯა ოქროსა კიტრი,
ლობიო მარგალიტისა.

652

(ვარიანტი)

მინდორსა ბაღი ვაშენე,
ღობე ავავლე ჯარჯისა,

---

*) მეჯუდა მეჯრუხევის ხეობაზედ მოდის, ქართლში, ამ წყლით მრავალი სოფლის მიწები ირწყვის, ამიტომ ზაფხულში მეჯრუხევს ქვევით სულ შრება, თუმცა გაზაფხულზედ ძაანა ღრიალებს ხოლმე.

კარები ვაბი კაკლისა,
ამყოლი ალუბლისა,
კიტრი დავთესე ოქროსი,
ლობიო მარგალიტისა.
მოვიდა ქალი ლამაზი,
ხელი გადმოყო ბროლისა,
კიტრი მოკლიჯა ოქროსი,
ლობიო მარგალიტისა.

653

ფითის თითი ჰტკიოდა,
ნუნა *) გაშავებიაო,
ჩემის დაწყნებისათვინ
სიყმეც გაშავებიაო.

654

კატარინა ქალო,
რა ლამაზი ხარო,
ცოტა შუბლი მაღალი გაქვ,
სათავადო ხარო.

655

თინაო თითის ტარაო,
კაბა ვინ მოგიტანაო?
— ჩემის გიორგის გაზდამა,
მიხაკამ მომიტანაო,
სარტყელში ხელი წამავლო,
კიბეზე ამიტანაო,
სამი ისეთი მაკოცა,
ქვეყანა შემიყარაო.

656

ხევსურეთის ოქროს ლოგინო,
შიგ სამნი დანი წვანანო;

ar ვიცი, რომელს შევუყვარდე,
სამივ ერთმანეთს ჰგვანანო.

657

რას მიედებ-მოედება
ნაღვინარი მთვრალივითა,
ჩემს თავს არ დაგანარჩუნებ,
რო ჩამოჰხმე სარივითა.

658

ადექ, ქალო, ითამაშე
ოქროს სინის ლანგარზედა,
ყელი ბროლის მინას გიგავ
ჩამოსხმულსა ფარგალზედა.

659

წასვლა სჯობ წამავალისა,
არ დახანება ხანისა,
კოცნა ჰჯობ თეთრი ქალისა,
ჩახვევნა შავგვრემანისა.

660

შენ ბიჭო, დეეხსნებოდე
შენ ჩემსა უკან დევნასა,
გაგიგდებს ჩემი პატრონი,
თოფით დაგიწყებს დევნასა.

661

ყანა ვარ, ყანა ყამირი,
კორდი ვარ გაუტეხელი,
გოგო ვარ ძუძუ-კოკობი,
ჯერ ბიჭის მოუდრეკელი.

662

ქალო, ამ ქალაქ ლამესა
შენთვინა ვდგევარ ბანზედა,
როდის იქნება გათენდეს,
გამოხვიდოდე კარზედა,

*) ფჩხილი რო წაჰძვრება, ნუნაზე დადგება.

გადაგეხვიო, გაკოცო,
მარჯვენა ლოყის თავზედა.

663

შენ რად გინდა კოხტა გოგო,
ოქროს ინის ხალებით,
რო დაცხება, გაიქცევი,
ლიახვში ებანებით.

664

მინდორ-მინდორ კოშკი დავდგი,
ზედ მოვადგი ნარიყალა,
შენმა შუქმა მზე დაბნიდა,
დღის შუადღე გადიყარა,
სადვინეთი ღვინო გედგა,
შიგ თურინჯი ჩაგეყარა,
ათსი თითნი ბროლისანი
ზედ კალთაზედ დაგეყარა.
ერთი აქეთ შემომხედე,
შენი ჭირი შემეყარა.

665

აქედანა მე გახლავარ,
მანდეთ მეგულები შენა,
უბე ვარდებით სავსე გაქვს,
და ბულბულის პირში ენა.

667

გოგო, გოგო გულქარათ,
პირ-ბადდადა, მსუქანათ,
შენი ქმარი შინ არ არის,
მე წამოვალ შენსთანათ.

668

ძირში მოუსვი ნამგალი,
თორე თავთავი ცვივათ,
პატარა გოგოს დაეხსენ,
ცრემლები ჩამოჰცვივათ.

669

ხელეური გამოვიღე,
თავი დაუკაუჩეთ,
საცა კარგი გოგო ვნახე
არშიყობა დაუწყეთ.

670

სად მიხვალ, სად იარები,
შენ ჩემო გულის ლახვარო?
მობრუნდი, გოგო, გაკოცო,
წავიდე, დედას ვახარო.

671

ანთებულს სანთელს გამსგავსე,
ცისკრის ლოცვაზედ გნახია,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეა.

672

ბალა, ბალა ბალიშია,
თეთრი თუთა ასხია,
ზედ პატარა კეკელაა,
თეთრი კაბა აცვია.

673

ქალო, ქალო, ქალთაია,
თეთრი კაბა გაცვია,
გაიხადე, მე მომეცი,
მითომ გაგიცვეთია.

674

ახლა შენ წადი ცხვარშია,
წითელ-პერანგა ქალათ,
მე შენკენ ჩამოუძლვები,
სურვილმაც მამიარათ.

675

ურემსა შეშა დაუდე,
დაუდე და დამეშალა,

გოგო, იქით გამეცალე
სადერდელი ამეშალა.

676

ადგა ქალი, დაძრა ტანი,
დადგა ვარცლი, ზედ საცერი,
შუშკი ცრა და ადვა ზილა,
აცხო მისი ქადა-პური,
ერთი კოხოვე, ორი მომცა,
ღმერთო მიეც გაყიშგილი,
ჯიბეში ხელი ჩაიყო,
ამოიღო ლეღვის ჩირი,
—სანამ მუშა მოვიდოდეს,
ამით გაისვენე პირი!
—ვაი, თუ მამატყუელო,
გვერდით მოიდო დიდი ცული,
აილო და თავში დამცხო,
უღვთოდ ამამართვა სული!

677

ადი, ქალო, მაღლა ხესა,
გადმოყარე ბროწეული,
ერთი აქეთ გადმომიგდე
შენის ხელით მოწეული.

678

მინდა ქალო, გეშეირო,
მაგრამ გულში ხანჯი მაქვსო,
ვამექცევი, ვერსად წავალ,
გასავლელი სადი გაქვსო.

679

ლამაზო, შენის ცქერითა
თვალი ამევსო ცრემლითა.

680

გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა წყალთა დენამა,
დალია გოგო და ბიჭი
ერთმანეთისა ცქერამა.

681

ჩავჯექ ხომალდში, ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
ხმელეთი სულ დავიარე,
ვერ ვნახე შენი სახეო.
ანთებულ სანთელს გამსგავსე,
დილის ცისკარზედ გნახეო,
ხელი ყმაწვილი გეჭირა,
ფარსაგ ვერ დაგინახეო.

682

შენ, ქალო ამპარტავანო,
რომელი ხელთა პირი ხარ,
უკვდავებისა წამალი
გაქვს და არ მაძლევ, ძვირი ხარ.
ნეტავი შენთან მამყოფა,
შენთან გამაძღო ძილითა.

683

გადმიდან ქალმა ლამაზმა
ჩიქილა დამიქნიაო,
აქ მომკლა შენმა სურვილმა,
იქით ის წააქციაო.

684

ქალ, ვარდი მოგიკრეფია,
უმზეოდ დაგიფენია,
აკრიფე, თორემ დაჭკნამავს,
ცას ღრუბელი ჰფენია!

685

ქალ, შენეული ბარათი
ვერ ვნახე ამის მეტაია,
დავინახე და დამადგა
გულზედ ნათელი სვეტაია.

686

გოგო, უნდა გეშეირო,
მაგრამ გულში ხინჯი მაქვსო,
აშარი დედიშენისა,
მამიშენის ხათრი მაქვსო.
გაგექცე, ვერსად წაგივალ,
გასარბენად ხიდი მაქვსო.

687

ქალო კრულო, შენს სალამსა
ველარ დავითმობ მე ძალათა!

688

გულქარაო, გულქარაო,
ჭირ-ბალდადა, მსუქანაო,
შენი ქმარი შინ არ არის
ჩამეხუტე გულთანაო.

689

წუთის სოფლის სინათლეო,
შენ გიყურებ ჩემო მზეო,
არ მასხია ვაჰმე მხრები,
გადმოვფრინდე შენსკენ მეო.

690

ჩემო შაქარივით ტკბილო,
სანთელივით ჩამოსხმულო,
ერთი კიდევ შემომხედე,
მე თვალ-წარბით დახატულო.

691

ქალო, მაგ შენსა ქებასა
შორით შევუთვლი სალამსა,
შორით მედება სურვილი,
როგორაც ცეცხლი წალამსა,
საწყალი ჩემი თვალები
რას ნახავს შენისთანასა!

692

დალალე, დილის ნიავო,
მე შენთვის მიტირნიაო!
—შენ ჩემთვის რა გატირებდა:
მე შენთვის რა მირგიაო?

693

მინდორ-მინდორ კოშკი დავდგი,
ზედ მოვადგი ნარიყალა,
გოგოვ, შენმა სიყვარულმა
ნაფუძრიდამ მამიყვანა.

694

ანეულობა, ქერობა,
ლამაზ ქალს უნდა ფერობა.

695

მაგდანაო, მაგდანაო,
არ დაჰწყვები ქმართანაო,
ჩაიცვამ წითელ-ყვითელსა,
გაჰქანდები სხვასთანაო.

696

ნეტავი, გოგო, შენი ხმა
ავადმყოფს გამაგონაო,
დამადებინა პირი პირს,
ძუძუებს ჩამაკონაო.

697

ნეტავ, გოგო, შენმა ქმარმა
გულში დანა ჩვენ დაგვცესა,
წაიყვანონ, გადაკარგონ,
შენი თავი ჩვენ დაგვრჩესა.

698

იამა გშობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,
დეემსგავსები სულითა.

699

ნეტავი, გოგო, ნეტამცა
მე შენთვის ხელი მეტაცა!

700

ახლა შენ წადი ცხვარშია,
წითელ ჭერანგა ქალაო,
ჩამოვირეკო შეც შენკენ,
ვიაროთ მხარდამხარაო *).

701

მადლიანი ხარ, თამარო,
ადრე დაგებ ლოგინსა,
კარებს დაგდებ ღიასა,
ბიჭებს დაგვიწყებ ლოდინსა.

702

ხვედურეთისა, ხვედურეთისა
ბაკი დაგვახვეტინესა:
გამორეკეს გოგოები,
ძალად დაგვასხვრეტინესა.

703

გენაცვალე, აქ ნუ მომკლავ,
სხვაგან წამიყვანე სადმე,
იქ მომკალ და იქ დამმარხე,
ცხარე ცრემლი დამაღვარე.

704

დილის ვარდო, ტან სურათო,
თავ-ბოლომდე მურასაო,
ყელი გათლილ ბროლ მიგიგავ,
ტანი ოქროს სურასაო.

705

ლამაზო, ლამაზობასა,
ნუ მომშლი თამაშობასა.

*) ეს ლექსი ვარიანტია მე-674 ლექსისა.

706

ნეტავ მაგრე რამ დაგხატა,
თუ არ ციდამ გადმოსულმა,
სამოთხეში გაიხაროს
შენი დედა-მამის სულმა!

707

სულისათვის სულს მოგართმევ,
თუ რომ მოიტანდეს ქარი,
მაგრამ ქარი არ მოიტანს,
მისთვინა ვარ ასე მკვდარი *).

708

მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი,
ბარად ჩამოველ — მაჭარი,
ნეტავი, გოგო, გაგყიდონ,
მე ვიყვე შენი ყაჭარი!

709

საყვარელო ვარდის კონა,
მე გავხდები შენი მონა,
შენი უკან დევნისათვის
დამიხარჯავს შენი წონა!

710

მიყვარდი და შემიყვარე,
ვიყავ შენი მუდარაო,
შენ კი აღარ შემინახე,
მღალატობდი მუდამაო.

711

ქვრივი მიყვარს, ქვრივი მე,
ქვრივის სულის ჭირიმე.
ქვრივსა უყვარს ფულები,
თეთრი უზალთუნები.

*) ან: ამას ვწუხვარ მე საწყალი.

ქვრივი აგებს ლოგინსა,
ბიჭს დაუწყებს ლოდინსა.

712

მე გვარი გვარ*) დაგეძებდი,
შენ ლერწამსა გეძინა,
ღილის საკინძე გაგეხსნა,
ბროლისა მკერდი გეჩინა,
გიშრისა თმანი გაგშლოდა,
სართაულზედა**) გეფინა!

713

მაღლიდან გადმოვიხედე,
მოედანს დიდი ერია,
ის ჩემი მკვლელი მიჯნური
სამოცს ვაჟკაცში ერია,
თავს ედგა ოქროს გვირგვინი,
შიგ იაგუნდი ერია,
შავხედე, არ შემომხედა,
თვალს ცრემლი გადმაერია.

714

ადგა ქალი, დასძრა ტანი,
დადგა გობი, ზედ საცერი,
ფქვილი სცრა და ერბო ზილა,
აცხო მისი ქადა-პური,
თითონ სჭამა, მეც მაჭამა,
მით აცხონა მამის სული.

715

იმ ოხერა ქარელშია
გვიან დადგა მენახირე,
გოჯეების გადამკიდე
თვალი ველარ გავახილე!

*) ვარიანტით: კარი კარ.

**) ვარიანტით: სასთაულზედა.

716

დილა ადრიან გამოველ,
ჯერ მზე არ ამოსულიყო,
შევხედე ციხისა კარსა,
ლამაზი გამოსულიყო.

717

ცალგნით ცანი და ქვეყანა,
ცალგნით დაგინახე შენა,
ტანში ხარ გამოკანკლული,
პირში გაქვს ბულბულის ენა,
შენისთანა ანგელოზი
სიზმარშიაც მამეჩვენა.

718

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
ვარსკვლავებს გამოვეძრახე.
მივარეს კაცი მოეგზავნა:
„აქ იყავ და არა მნახე?“ *)
არ მეცალა, გენაცვალე,
ქალის ქუდსა ვკერამდით,
გარს ვუვლებდი მწვანე მძივსა,
შიგნით ვმარგალიტავდით.

719

ნიადაგ საგონებელო,
ვაშლივით გაგორებენო,
გაგორებენ და არ მიხვალ,
ნახე, რას გიპირობენო!
შენ, ჩემო დამტირებელო,
გცემენ და გატირებენო.

720

მშვენიერი ხარ, ხოხობო,
თუ ბოლო ქამანდალია,

*) ეს ნაწილი გამეორებაა მე-565 ლექსისა.

შენი ჭკუა და გონება
ლამაზმა გოგომ დალია!

721

ქალმა აილო, ქვა დამცხო,
რამ გულმა გააბედინა,
შიგნითა გული მამიკლა,
გარს ცეცხლი მაადებინა.

722

წელიწადი თორმეტი თვე,
მარხვა წმინდათ შევინახე,
გამითხოვდა საყვარელი,
ჩემის თვალით დავინახე.

723

ხელთუბნელი ქალი ვიყავ,
ახრისული პატარძალი,
ქალო, ერთი შემომხედე,
რომ ჩამომდის ნაკადული.

724

ეშხით გავხდი ავადათ,
მოდი სანახავადათ,
მოვკვდები და ვერა მნახავ,
დაჭრჩები პირ-შავადათ.

725

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ციხე ამაშენებინა,
შენისთანა ლამაზ ქალთან
ღამე გამათენებინა!

726

ვერა ხილი ვერ სჯობია
აყვავებულსა ატამსა,
შენ რო თვალით დაგინახავ,
გული დაიწყებს კანკალსა!

727

ბერშუეთის ფერდოზედა
რამ ფურმა მაისვენოსა?
ბიჭი რო გოგოსთან იწვეს,
რამ გულმა მაისვენოსა?!

728

დალალმე კოჭი მეყარა,
წინ გოგო შემომეყარა.

729

ხელთუბნელი ქალი მიყვარს,
თეთრად კოჭი ებანოსა,
იმის შედგმულ შეჭამანდსა
კოჭ-მარილი ეყაროსა.

730

ვერავინ დაგიკილოვა
უსანეთობის ერშია,
აქამდი გულით მინდოდი,
ეხლა ჩაგიგდე ხელშია.

731

წავალ, წავალ, არ დავდგები,
განა ხიდი გამტეხია,
სხვას ვიშოვნი საყვარელსა,
განა გული გამტეხია.

732

არ ვიცოდი თუ მომკლავდი,
თორემ საფლავ გავითხრიდი,
მოვიყვანდი გულ-დამწვართა,
გულზედ მიწას დავიყრიდი.

733

შენ რო წიგნი მოგეწერა,
ჩემი რათ არ წაიკითხე,
ობოლი ვარ და გლახა ვარ,
ღვთის გულისთვის გამიკითხე,

აგრე როგორ მამიძულე,
ერთხელ აღარ მამიკითხე?!

734

ქალო ეგ შენი ელფერი!
ამომავალს მზეს შეჰფერი.

735

უშენოთ ღმერთმა ნუ მომცეს
სიცოცხლე ქვეყანაზედა,
თუ მომცეს ისევ წამართვას
ამ ერთი წამის ხანზედა.

736

ხეობაში ხე გამხმარა,
ვინა გაუნედლებს ძირსა?
ამ ჩემს დამწვარ-დადაგულსა
ვინა გაუმთელებს გულსა?

737

რას მიედებ-მოედები
ნაღვინევი მთვრალივითა?
მაინც აღარ შეგიყვარებ,
რო ჩამოხმე საჩივრითა *).

738

შენ, ჩემო სულის ბატკანო,
მოდი და დასა დამკარო,
ერთი კი უნდა გაკოცო,
მერე თუ გინდა მამკალო.

739

მაღლა მთაში ყინული
აპირობს ჩამოდნობასა,
გასათხოვარი ქალები
ელიან შემოდგომასა.

740

მსურდა შენსკენ გადმოფრენა,
მაგრამ ჯაჭვით დამაბესო,
იქით და აქეთ დამიდგნენ,
წინაც მახე დამიგესო,
რამდენიც წამოვიწიე,
კალთა ლურსმით დამიკრესო,
მინდოდა, შენკენ ვიწევდი;
წინ დარაჯად დამიდგესო.

741

სულსა სულისთვის მოგართმევ,
შეგკრავ ნარგიზის წნელითა,
შეგკრავ და გამოგიგზავნი
შენის საყვარლის ხელითა.

742

შენ, შორეულო სტუმარო,
ადგილზე ზიხარ ხმელასა,
ადეგ და ჩემთან გადმოდი,
ფეხი არიდე კერასა!

743

მინდორშია თეთრი ქვაო,
ავწიე და არ ამყვაო,
გოგო, შენი სიყვარული,
საცა წაველ თან წამყვაო.

744

ობოლო პირ მარგალიტო,
შროშანო, ენა მრავალო,
შენსა ქებათა წავიდებ,
ქვეყანათაზე გავალო.

745

საყვარელო კისკისო,
აქ ჩამოდი წყლის პირსაო,

---

*) ეს ლექსი ვარიანტია მე-657 ლექსისა.

ღვინოს გასმევ კულიითა,
გაგახარებ გულიითა!

746

ირინეო, ირინეო!
გვერდზე ჩამოგირბინეო,
ძუძუზედ ხელი გადგისვი,
ვერ შეგატყე სირბილეო.

747

ქალო ანაო, ბანაო,
ხელ-პირი დაგებანაო,
შენი ხელ-პირის ნაბანი
ცივ წყაროს ამოჰქონდაო.
შიგ დაიკვანა დაიხრჩო,
საწყალი დედის ერთაო.
იმისი დედა მარიამ
შემოსილიყო შავითა.
წინ კაცი შემოეყარა,
—დედი, რათ მიხვალ შავითა?
—კაცო, რა შენი დარდი მაქვს,
შვილი მამიკლეს დანითა,
წყლიდან რომ ამოვათრიე,
პირი ამსიეო ლამითა,
საქოჩრე ჩალაბულითა,
ციხეზე გადაეკიდნა
ცალ-წვერი აბრეშუმითა.
ჩამოვარდა და დაიმტვრა
კამხმარი ჩინჩხვარივითა.

748

აქედამ გორი შორია,
შორს არი, ახლო მგონია,
შენს სანახავად მოველი,
სხვა საქმეც არა მქონია.

749

ქალო, ბაღში ჩამობრძანდი,
ჩაუარე კვალებსაო,
ჩვენსა რო გამობრძანდები,
დაგიგოცნი თვალებსაო.

750

ქალო, ვარდი მოგიკრეფამ,
ხელთ გიჭირავ კალათითა,
ერთი გთხოვე და არ მომეც,
დაჯექ მაგის ბარაქითა!

751

ქალი წავიდა წყალზედა.
თან გავადევნე თვალია,
აამსო კოკა, კუტალი,
შიგ გაუყარა მკლავია.

752

მაღლიდამ გადმომდგარიყო
ქალი ლამაზი, ტან-წვრილი,
შენს უნახავს ნუ მამკლავ,
ახალგაზდა ვარ უმაწვილი.

753

სურვილით გავხდი ავადა,
მოდიან სანახავადა,
ზოგსა მოჰქონდა ატამი,
ზოგსა კალათით ბალები,
შეხედნებითვე შავატყობ,
რომელსაც შავებრალები.

754

გოგომ სთქვა: პატარა ბიჭმა
გამიტყუილა გზაზეო.
ნეტავი არ წავსულიყავ,
რა ფინთი რამა ვნახეო.

755

შენ ია ხარ და მე ვარდი,
სხვა ვარდი რაშ მევარდება?
შენს უკეთესი მიჯნური
კლდეს იქით გადმივარდება.

756

არ მოგეშვები გენაცვა
სანამ არ მამკლავ სანამდი,
ეგ შენი ფირუზის დანა
გულში რო დამკრა ტარამდი.

757

შენ მტრედს ჰგევხარ სართს ტანის,
მეც შევქენ უსურ ვაზობა,
აქამდინ ძიენ გიყვარდი,
ახლა დამიწყე ნაზობა.

758

იქით ვეცი, აქეთ ვეცი,
ცეცხლზედ მივაყუდე კეცი,
გოგომ ვაშლი გადმომიგდო,
მოვტაცე და გავექეცი.

759

მარგალიტი ავადულე,
გადმოვიდა გუბე წყალი,
კალთაშია მოგიკვდები,
შენის ხელით მასხა წყალი.

760

დაო ქშხითა მორთულო,
დღისით მზევ, ღამით მთვარეო,
ბრწყინვალე შუქურ ვარსკვლაო,
შენ ხმელეთისა მდარეო,
ვარსკვლაო, სურვილითაო
სული შენ მიიბარეო.
აით თითი ბროლისანი,
მუდამ ქაღალდის მწერაო,
ნეტავი შემატყობინა,
რას ამბობს შენი ენაო!

761

ზიხარ აზიზად ნაზარდო.
მსუბუქად არ იხსენები,
გასხია წამწამი ხშირი
და ღაწვი ლალის ფერია,
ღვთის მადლმა გულით მიყვარხარ,
ტყუილი არაფერია.

762

თვალი მიჭირავს შენზედა,
ვით რომ მიმინოს მწყერზედა,
გამოგიქროლებ, აგიყვან,
წაგიყვან ცის იერზედა.
ჩაგაცმევ ფარჩის კაბასა,
არ დაგსვამ ცარიელზედა.
ნუშით, ქიშმიშით გამუოფებ,
აზნაურისა ხელზედა.
ზარბაბის სარტყელს გიყიდი,
შენ შემოგარტყამ წელზედა.
გავლა-გამოვლა გიხდება,
ლერწამი წელის ჭირიმე,
სიმღერას რო დაიძახებ,
ყარყარა ყელის ჭირიმე,
მიჯნურს რო გვერდზე შეხედავ,
ჟუჟუნა თვალის ჭირიმე!

763

იაგუნდო და ზურმუხტო,
და დამბარო შაქრისაო,
საქრისტიანოს მნათებო,
მზეო დასავლეთისაო,
სურვილობის ხმა გაგსვლია,

ქება ყოვლის ქვეყნისათ,
სილამაზე და სიტურფე
გაქვს მშვენიერი მზისათ.
მთვარე ხარ მანათობელი
იალბუზისა მთისათ.
შუქი ანათებს ქვეყანას
მაგ შენი თვალ-წარბისათ,
ვისაც შენ ჰყავხარ, მასა აქვს
წყალობა მაღალ ღვთისათ.

764

შენი წიგნი მამივიდა,
რო წავიკითხე—მიამა.
გული ამევსო ლხინითა,
უშენობისა ლახვარი,
გულსა მასვია ხევითა,
სანამ შენ შეგეყრებოდე,
სული ამოვა ფრენითა.

765

ჩემო ამ სოფლის სიცოცხლევ,
მაცოცხლებელო გულისა!
შენი თვალ-წარბის ჭირიმე,
მაგ შენი წმინდა სულისა.
მიამბობენ შენსა ქებას,
სილამაზეს თავისასა,
გავლასა და გამოვლასა,
სიდერწამე ტანისასა.
ისე მოვკვდე, რო ვერ გნახო,
რას მიბრძანებ ამისასა?
ამართე სამანი ბროლი,
როცა რო ნახოს იამა,
იდინოს ცვარმა ოქროსმა,
სარდაფის კარმა ღიამა,
სამთავემ ერთად ვიაროთ
ლალმა, ბროლმა და იამა.

766

ნეტამც ის კოშკი დამიდგან,
ნეტამც ის ქალი შიგ დასვან,
შიგ ღვინის წყარო დიოდეს,
მე იმის კულუხჩად დამსვან!

767

გამგზავნე ბროლის მინდორში,
ჩემი მაჟარი თან მაქვსო,
იქ მოვკალ ოქროს ირემი
თორმეტი ადლი რქა აქვსო,
შენ მე როგორ მეჯიბრები
ფეხები ვეღარ დაგაქვსო.

768

თხუთმეტი დღის მთვარეს გევხარ,
ქალო, აგრე რამ გაგავსო?
თვალი გიგავს შელნის ტბასა,
და წამწამი ხშირი გაქვსო.
ერთი შენი შემოხედვა
ათას სევდას დაჰკარგავსო!
სიცილი გიგავ ელვასა,
როდესაც გაგეცინება,
სითეთრე გიგავ ქაღალდსა,
თოვლი ვერ შეგეცილება.
ნეტავი იმის დედასა,
ვისთანაც დაგეძინება!

769

ჩარდახიდამ გადმოხედე,
დაგხედე მწოლიარესა,
გაშლილს ვარდს გამოგიგზავნი,
წალკოტსა მსხმოიარესა.

ნეტავი შენსა მიჯნურსა,
შენს გვერდით მწოლიარესა!

770

რა შენ გაგშორდი, მე აღარ
შემიხედნია მზისთვინა,
ხოშორი ცრემლი მდენია,
შემირევია ზღვისთვინა.

771

პირ-მზეო, პირი მას გიგავს
დილით ვარდს ნამი ეყაროს,
მთვარეს გამსილსა პირიდან
ღრუბელი გადაეყაროს,
ნეტავი შენთან მამეყოფა
გულს სევდა გადამეყაროს!

772

აგრე უნდა, პირმზე იჯდე,
გარს გეხვიოს დიდი ჯარი,
წამწამისგან შებურვილხარ,
გიშრისაგან გიქრის ქარი.
ყველა-წმინდამ ვაჟი მოგცეს,
გიდღეგრძელოს კარგი ქმარი!

773

წუხელის სიზმარშია
მზე წითლად ამოსულიყო.
შვიდი წლისა უნახავი
ვნახე, ჩემთან მოსულიყო.
ხვევნასა და კოცნაშია
თვალზე ძილი მოსულიყო,
ავიხედე, არსად იყო,
საყვარელი წასულიყო,
დღენი ჩემნი დათვლილიყო.

774

ტურფა ტანი ლერწამს გიგავს,
შეკრული ქირმან შალშია,
კბილი მარგალიტს მიგიგავს
იაგუნდისა ლალშია.
შენ ვერავინ ვერ გაჯობებს
ხელით ნაკერ ქარგაშია,
თითები გაქვს მოყვანილი
ჩამოსხმული ფარგალშია

775

წუხელ სიზმარშია გნახე,
ჩემო თვალის სინათლეო,
ჭკვა და მცნება შენ წამართვი,
მოდი, შენვე დამმარხეო!
დამარხვასა ვილა ჩივის,
ნეტავ თვალით გენახეო!

776

შენ, ქალო, ეგრე იეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირია,
თვალ-წარბი გადაგხატვია,
მთვარეს მიგიგავს პირია.
სიზმარში მომაგონდები,
წამოვდგები და ვტირია,
ნეტა როდის მეღირსება,
შემეყროდეს შენი ჭირია!

777

თქვენ წიგნი გამოგეგზავნათ
სურნელობისა იაო,
ერთხელა გნახე, ასე ვთქვი,
ძვირფასი ფირუზიაო,
ვარდსა გამსგავსე გაშლილსა,
ვით რო ედემის ხეაო,

მე თქვენთან ყოფნით გამაძლო,
ნიადაგ მინატრიათ.

778

ვაი თქვენი სიყვარულით!
ბევრსა რასმე მომაგონებს,
წამს სურვილი წამომივლის,
ხალიჩაზედ გამაგორებს,
თვალთა ასე დამიბნელებს,
ყურით არას გამაგონებს.

779

არა ვარ უცხო ფრინველი
არცა ვარ უცხო ჩიტია,
იადონი და მერცხალი,
ვერა ხმობს ჩემთან გვრიტია;
მე ვიტყვი უცხო ენებსა,
ვით სასმენელმა მიტია,
ან მომკლა შენმა სურვილმა,
საკლავად შემომიტია!

780

ყოვლად წმინდა კარს ჰადგია,
შენ გეტყობა ქალობათ,
ანგელოზნი კარს გისხედან,
წკრილად გესმის გალობათ,
ერთი წიგნი შენც მომწერე,
მიყავ ერთი წყალობათ.

781

მე ერთი ჩიტი გავზარდე,
ელვარე იყო სოსანი,
ფეხები ჰქონდა ნარგიზი,
ყელ-ყური ნისკარტ შვითელი,
დღისით იყო მგალობელი,
ღამე იყო მეტად ფრთხილი,
ნიადაგ ქეიფში ვყვანდი,
მე არ მაკლდა მისგან ლხინი.

782

შენ ქალო ასე გაშლილხარ,
ვით რო მაისის ვარდია,
ტანად, თვალად, პირად მზე ხარ,
სიტყვა-პასუხი მარდია,
გოგოვ, მე შენი სურვილით
მე შენთან გადმოვარდია.

783

ქალი არკვევდა ნარკვევსა *),
ტურფად უქცევდა ცხრილსათ,
სიცილით გამოუჩენდა
მარგალიტივით კბილსათ,
აქ მოდი, მანდა რას იქ?
მარტო რას აქნევ ძილსათ?
გიჩვენებ ბროლისა მკერდსა,
გაგახსნევინებ ლილსათ.

784

შემოგხედავ, ლერწამ გეგხარ,
ტანი წვრილად აგეყარა,
ცხრა ნაწნავი გიჭრის თმანი
მხარ-ბეჭებზე გარდგეყარა,
ადეგ და ჩემკენ წამოდი,
შენი ჭირი შემეყარა!

785

იარე და მოდი მნახე,
თან წამალი მამიტანე,
მოვკვდე ტკბილად დამიტირე,
ცხარე ცრემლი დამაყარე,

---

*) ნარკვევი — ტაბაკზედ დარჩენი-ლი ხორბალი კენჭ და მიწა ნარევი.

შენი ქოჩრის მონაგლეჯი
დამწვარ გულზედ დამაყარე!

786

კაცი რო კაცს დაჰპატიჟებს,
ასმევს და ანადიმებსა,
ცხენს შესოს კარგზე ლურჯაზედ,
მინდორი ანადიროსა.
სალვინით ღვინო მიედგას,
ქალს უჯდეს კარგსა ნინოსა,
როდეს ქეიფში შევიდეს,
უხსნიდეს კილო-დილოსა.

787

ეჰა განთიად ალდგები,
ცისკართ ნარგიზ ნარევო,
წარბთ აყრილო მშვილდურად,
ჰირ სუფთავ მოცინარეო,
დაო, რო წიგნი მოგწერე,
ღვთის მადლსა შემიწყნარეო.
დაო, ამ თვალთა ნათელო,
დაო, სახე გაქვს მზისაო,
დაო, მშვენება ვინ მოგცა
სამოცი ვარსკვლავისაო!
ცაში ნაბანო ვარსკვლავო,
ხელთ დასაჭერო მზისაო,
გახსონდე, მამიგონებდე,
მე შენთვის ცრემლი მდისაო.
წიგნო, იახელ იმ ქალსა,
იმ ჩემი გულის წამალსა,
ენა ბულბულსა, შაქარსა,
ხმა ტკბილსა, მოულალავსა,
თვალი გიმსგავსე სამოთხეს,
ჰირი მზეს, ტანი საროსა.

788

მე მონატრე ვარ ნახვასა,
შავი წამწმის ხშირისასა,
მიყვარხარ, ნუ დამივიწყებ,
ნუ გამხდი მტრის გულისასა.

789

წადი, უსტარო, იხილე
ქალი შვენებით ქებული,
ის არის სასძლოთ მორთული,
სალხინოთ მომზადებული,
მიუყვანიათ კეკლუცი,
მნათობად სახელდებული,
მე დამა როგორ შევამკო
თავ-თმით და დახატულობით,
ჰირის სიბტყე და სითეთრე,
ბაგისა გაწყობილობით,
სანდომიანათ სიცილი,
წარბისა უცსოთ ყრილობით.

790

სიცილი ელვას მიგიგავს,
როდესაც გაგეცინება,
სილამაზითა მზეს ჰგევხარ,
დილით რო მოეფინება.

791

როდის იყოს სათამაშოდ
ცალკე ვისხდეთ ნარდისათვის,
სამძიმარი თვალსა ცრემლი
მოგდიოდეს გაყრისათვის,
სიხარული, ჰირს სიცილი
მოგდიოდეს ნახვისათვის.

792

თქვენ ჩემთვის წიგნი გებოძათ,
სუნნელობისა იაო,

მამძულებია შორს ყოფნა,
ნახვა მომინდომიათ.

793

ლილას სიზმარშია გნახე,
ცას ღრუბელი აეყარა,
ხელთ გეჭირა ოქროს თასი,
შიგ ნარგიზი ჩაგეყარა.
აქით გიგონებ, მგონიხარ,
თვალ-მარგალიტი ბროლი ხარ.

794

ვინ ღირსა შენსა არესა,
რო ვინმე მამიყვანდესა,
ჭირსა მამიკლავს მწარესა
და სევდას გამიქარვებსა.

795

თვალ-ჟუჟუნავ, წარბით ხშირო,
წამწმის ჯარო, კალმახურო,
პირო ბროლო, მინაქრულო,
მუშკის სულო, ამბრის გულო,
ხელის თითნო დახატულნო,
სამთელივით ჩამოსხმულნო.

796

ქალო, გაქებენ ყოველნი,
ადამიანთა ენები,
ბრძანდები კარგი გაზრდილი,
სუბუქად არ იხსენები.

797

ანა ხარ ბროლი, ან ლალი,
ყირმიზი ჩამონათალი,
ობოლი მარგალიტი ხარ,
ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი,
თუ გძულვარ თავსა მოვიკლავ,
შემომითვალე მართალი.

798

შემოგხედავ, მზეს გამსგავსებ,
ინდოეთიდამ მოსულსა,
ბროლ-მარგალიტსა უფასოს,
მთვარეს ბადრსა ამოსულსა,
სიცოცხლეს შენ მირჩევნიხარ,
ნუ შეიცვლი ჩემზედ გულსა!

799

არ ნახულა სხვა შენები
დედის მუცლით დასახული,
პირ-გავსილი, მშვენიერი,
მოხდენილი ჯავარ-სრული,
ხელი, მკლავი ჩამოსხმული,
ტანი ალვად ამოსული,
თქვენმა მზემა თქვენი ნახვა
ჩემთვინ მზეა ამოსული.

800

ალმასის ფანჯარაშია,
მზევ, დაგინახე პირი მე,
დღისით მკლავს შენი სურვილი,
ღამით ვზივარ და ვტირი მე,
ნეტავი როდის მეღირსოს
შენთან ჯდომა და ლხინი მე.
გადმოგხვეოდე, გკოცნიდე,
შავი თვალ-წარბის ჭირიმე!

801

ეს სოფელი მისთვის მინდა,
შენ გიცქირო, ჩემო მზეო,
ახლო ნახვა არ მეღირსა,
შორს გიგონო, რა ვქნა მეო?!

802

შავი თვალი, შავი წარბი,
პირი ბროლის მსგავსი გაქო;

თეთრი გული, თეთრი პირი,
ზედ პატარა ძუძუ გაქო;
ალვის ტანი, ლერწმის მკლავი
ზედ სურათი თითი გაქო;
ნახვა თქვენი, ჩემთვის ლხინი,
ენა შაქრიანი გაქო;
ფირუზის კაბას იკერავ,
ლალსა სარჩულად უდებო,
იაგუნდის ზორტებს ასხამ,
მარგალიტს ქობად უდებო,
ლამაზად, სანდომიანად
სახელში ხელს გაუგდებო.

803

ტურფა ბალი და წალკოტი
ეკლითა ვინმე შესარა,
რკინისა კარი შეაბა,
კლიტე მე მომცა. შენ არა.
სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ,
თავსა მე მივცემ, შენ არა,
ვაჰ თუ ზედ ისაც დამერთოს,
მე მიყვარდე და შენ არა!

804

კოშკი ხარ მარმარილოსი,
მძიმეთ ნაგები კირითა,
უკვდავებისა წყარო ხარ,
მოდიხარ ოქროს მილითა.
უცხო რამ კაბა გაცვია,
ჩაყოლილია დილითა,
ნეტავი თქვენთან მამყოფა,
ყოველ დღე მუდამ ძილითა.
დავკარგო ყოველი დარდი,
გული ამევსოს ლხინითა.

805

საუდრიდამ რო გამობრძანდე,
ტურფად წარბი აგეყაროს,
დასტარაკი წინ დაგეგოს,
ზედ ვარდები გადგეყაროს,
ათი თითი ბროლისანი
ზედ კალთებზედ დაგეყაროს,
იმა ნაწნავი გიშრისანი
ზედ მხარ-ბეჭზედ გადგეყაროს.
ოქროს თასით ღვინოს სვამდე,
შიგ შაქარი ჩაგეყაროს,
ერთი აქეთ შემომხედე,
შენი ჭირი შემეყაროს.

806

ნეტავი ამა სოფელსა
სახელად გორი ჰქვიანო?
აქა მყავს საგონებელი,
სახელად ლომი ჰქვიანო,
მაღ-თვალ-წარბ გადახატული,
ტანით ლამაზი ჰქვიანო,
თუ რომ ჩემ სახელს იკითხავთ,
მეც მოგახსენებ, ღვთიანო.

807

მე ბანი ბანად ჯადმოვდეგ,
გადმოვიხედე სვეტადა,
მე, ტურფავ, მემშვენიერე,
თქვენს ამხანაგად მეწადა.
ეს წიგნი თქვენი ნაწერი
ვერ ვნახე ამის მეტადა,
წავიკითხე და დამადგა
გულზე ნათელი სვეტადა.
მე ამა წიგნსა თქვენეულს
ვაკოცებ და მოვგზამ ჭირსა,

უბეში დებისაგანა
ასრე გავხდი, ვით რომ რთვილსა.
ღამე მე აღარ ვიღირსებ,
უკუ ვიყრი დილის ძილსა,
მოვკვდები და თან ჩავიტან,
არ დავაგდებ ამა წიგნსა,
სუფრაზედა წინ გავიშლი,
ამაზედა ვნახავ ლხინსა.
სიცილი გიგავს ელვასა,
რომელსაც გაგეცინება,
ეგრე სითეთრე ქაღალდსა,
თოვლი რას დეეფინება;
სიმშვენიერე მას გიგავ,
დილის მზე მოეფინება,
ნეტავი ბატონს ჩემს სიძეს,
რომ შენთან დეეძინება!

808

შენი ყანა, ჩემი ყანა,
გუშინ გოგომ შემიყვანა,
სარტყელში ხელი ჩამავლო,
შიგნით შიგან შემიყვანა,
ჩემი მონაგარი ფული
სულ ჯიბეში ჩაიყარა.

809

ორღობიდამ გადმოფრინდა
ბოლო გაშლილი ბულბული,
შენ მანდა ხარ და მე აქა,
რითი მოვიკლა სურვილი?

810

ერთსა ქალსა წყალი ვთხოვე,
წყალი იყო მეტად ძვირი,
გაუცინე, გამიცინა,
გამოუჩნდა ბროლის კბილი.
მოდი, ჯვარი დავიწეროთ,
შევაეროთ ერთად გული,
ისეთსა ადგილს წავიყვან,
რომ ყვაოდეს ხილი-ხული,
ქვეშ წყარო გამოდიოდეს,
ჩვენ გვეძინოს ტკბილი ძილი.

811

ატენის ხეობაზედა
წყალი ჩამოდის მერთული,
ნეტავი, გოგო, ჩამაცვა
პერანგი შენი მორთული.

812

გაცინება მოგიხდება
დილის გაშლილ ვარდივითა,
როცა თვალით ვერა გნახავ
შევიქნები მკვდარივითა.

813

ყველასი შენ დაგნატრობენ,
შენ მაისო გაზაფხულო!
გაშლილხარ იასამანო,
ვარდის კონა, თაიგულო!

814

დავესწარ ცისა გახსნასა
მასკვლავის გამრავლებასა,
შენ რომე თვალით გიყურებ,
ნეტა ჩემ გახარებასა!

815

შევარდენი გადმოფრინდა
თავის ოქროს ბუდიდამა,
გადმომიგდო ქალმა ვაშლი,
ამოიღო უბიდამა:
—ჩემეულადა შეინახე,
არ გადმიგდო გულიდანა.

816

ხურჯინი რო აიკიდე,
ნეტა საით აიბარგე?
გოგო, მაგ შენი ცქერითა
დავიწვი და დავიდაგე.

817

გოგო სთქვა: „ჩემი ლოგინი
ნეტამც შარაზე დამეგო,
გამვლელ-გამომვლელისა
ვაჟკაცის გული მამეგო.

818

გოგო, ზიზია პერანგი
ჩაუცმევია დედასა,
სიცილი დაგვიწყებია,
გული მეეკლა სევდასა.

819

პიტნა, პიტნა, პიტნიცაო,
კოხტა ქალი წაიქცაო,
მინდოდა ერთი მეკოცნა,
წამოხტა და გაიქცაო.

820

ქალმა დამწყევლა ლამაზმა,
ხელ-შელებილმა ინითა,
ნეტავი ერთათ შეგვყარა,
ზარხოშათ ვიყოთ ღვინითა.

821

ქალო, შენმა სიყვარულმა
ბაქანიდამ გადმომაგდო,
არც მასვა და არც მაჭამა,
შენთან სული ამომართო!

822

გოგო, ძრიელ მოგიხდება
ბალკონიდამ გადმოდგომა,
წაუყვანელს არ გაგიშვებ,
თუ მობრუნდა შემოდგომა.

823

წყლის პირსა დგანან ბალები,
გარს ეხვევიან ქალები,
ერთი შეხედვით შევატყობ,
რომელსაც შევებრალები.

824

ტურფამა ბაღი ააგო,
შიგ ჩაურიგა ხილნარი,
თურმე იქ კაცი ვერ შევა
დაღრეჯილ, გაუცინარი.

825

ატენის ხეობაზედა
გავეკარ ძირობაზედა,
გოგო, შენ რო სიტყვა მითხარ,
როგორ ხარ პირობაზედა?

826

გოგო, შენმა დანიშნულმა
მოკითხვა დამაბარაო,
სული თან გამომატანა,
წამაიყვანე თანაო
თუ არ გამოგყვეს თანაო,
აკოცე ძუძუსთანაო.

827

მაღლა ცაშია წყარო დის,
ნარინჯის ფერად გამოდის,
ლამაზი ქალი გვერდთ უზის,
მუშკამბის სუნი ამოდის.

828

ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა*),
მე შრომანი მეგონაო,

*) ვარიანტით: მოგოგავდა.

სადაც ლამაზ ქალსა ვნახავ,
ყველა ჩემი მეგონაო.

829

ჭარალალე, თეთრო ქალო,
გვერდზე მოგითოხნე კალო,
სასიმინდო ახლო გიხან,
დაიყარა ადლი ტარო.

830

მაღლა იხვი მოფრინავდა,
ბოლო გაშლილი ბულბული,
შენ მანდა ხარ, მე აქა ვარ,
რაით მოვიკლა სულ-გული!

831

მინდორ-მინდორ დავდიოდი,
ალაგ-ალაგ ჭოჭი იყო,
მე საწყალმა რა ვიცოდი,
თუ ეს ქალი კოჭლი იყო!

832

იმერეთი დამივლია,
ქართლი შემიჯერებია,
არ მინახავ შენისთანა,
ყელი მოგიღერებია.

833

მე შენ ხელსახოცს მოგართმევ,
ოქრომკერდით მოქარგულსა,
მაგ გაგიხვევ ჩემსა გულსა,
შენთვის დამწვარ-დადაგულსა.

834

ლამაზმა სთქვა: „ბნელსა ღამეს
მე რად მინდა ფარანიო,
მე ისეთი ბიჭი მინდა,
პირს არ ესხას ბალანიო.

835

აგერ მოდიან ქალები,
სიმინდის სათოხნელადა,
დასწითლებიათ ლოყები
ბიჭების საკოცნელადა.

836

იქით ნუში, აქეთ ნუში,
შიგ კარავი ამოუშვი,
მაშოს დედას ვეხვეწები:
„მაშო კარში გამოუშვი!“

837

ბიჭები მკიან ყანასა,
სამნი არიან უცოლო,
ქალო, ერთი შემომხედე,
შე დედა-მამა პირცოლო!

838

გოგონაო, გოგონაო,
შენი საქმე როგორაო?
ისე იყო, ისე იყო,
როგორც ურმის გორგორაო.

839

მცხეთას იახა მამალმა,
ავჭალას ვარიამაო,
მობრუნდი, ქალო, გაკოცო,
შავივალა მარიამაო.

840

სნეული ვარ, დავიწვი,
მარილი ვარ, დავდნები,
სადაც ლამაზ ქალსა ვნახავ,
მკვდარი ვიყო, ავდგები!

841

გონებაში შენა გკოცნი,
ჩემო ტურფავ, ჩემო მზეო,

მე ხო ფრთები არ მასხია.
გადმოვფრინდე შენთან მეც.

842

მაღლა იდგე, დაგინახე,
შემოგხედე ქორივითა,
დაგინახე გული, მკერდი
თეთრი გქონდა ბროლივითა.

843

ქალო, ძრიელ მოგიხდება
ბალკონიდამ გადმოდგომა,
თვალ-ტანათ არა გიჭირს-რა,
ღმერთმა იცის გამოდგომა.

844

მინდორში ბალახ-ბულახო,
პატარავ ნარის ეკალო,
გოგოვ, ვისი ხარ ლამაზი,
ძუძუებს ამოგეკარო!

845

ვაჟკაცო ულვაშ-კოკობა,
ქოჩორი შენი მიყვარსო,
თუ შენ არ მოხვალ ჩემთანა
მე შენთან რა მომიყვანსო?!

846

მაღლიდგან გადმომდგარიყო
თვალ-ჟუჟუნ თეთრი ქალია,
უჟრიალებდა საყურე,
ყურში გაუდგა ქარია.
ხელს მიქნევს, აქეთ წამოდი,
შინ არა ჩემი ქმარია,
ციხის სანგრევად წავიდა,
თავს დაჰცემია ქვანია*).

847

წადი წიგნო, პირად მზესთან,
პირად მთვარემ წაგიკითხოს,
ჩემი გკითხოს, მოახსენე,
ნახვა მინდა, გამიკითხოს,
ამ სოფელში შენით მკვდარსა,
რომ გულ-ხელი დამეკრიფოს.

848

(ვარიანტი)

წადი, წიგნო, პირად მზესთან,
პირად მთვარემ წაგიკითხოს,
გკითხოს ჩემი, მაახსენე,
ცოცხალი ვარ, გამიკითხოს...
თუ რომ გულით არ მიყვარდე;
საიქიოს ღმერთმა მკითხოს.

849

ქალო, ქალო, პეიტარო,
ღობე-ღობე გაეკარო,
ვინაც ვაჟი მოგეწონოს,
ჩაჰკოცნე და ჩაეკარო.

850

აკი გითხარ დედამთილო,
ნუ გამგზავნი წისქვილშია,
იქ ბიჭები დამხვდებიან,
ჩამაგდებენ სირცხვილშია.

851

გოგოვ, შენი სიყვარული
გუნებაში ჩამიგდია,
ჭორი ბევრი გავიგონე,
მაგრამ ყური არ მიგდია,
თუ რომ გულით არ მიყვარდე
ჩემი რჯული გამიგდია.

*) ეს ვარიანტია მე-372 ლექსისა.

852

შენ ია გამოჰგზავნა,
მე ბროწეული, შენ შინდი,
ამ ჩემსა სწორს დეეხსენ,
ნუ იარები, შეშინდი!

853

შემოგხედავ ბროლის პირსა,
წარბი ხშირათ გადგიურია,
ცხრა ნაწნავი, გიშრის თმანი
ზედ ბეჭებზე გადგიურია *).

854

თეთრი ხარ, თოვლის ნამქერო,
გადმოტანილო ქარისა.

855

ქალო, თუთის სადალახას(?)
ბულბულის ბანი მინდოდა.
სიზმარში წამლად მასწავლეს,
ვარდის ნაბანი მინდოდა.
შენმა ძებნამ გამათავა,
სისხლი ოფლად დამდინა,
ნეტავი ერთი ჩემი გქნა,
შენ კალთაზე დამაძინა.

856

ქალი და ვაჟი.

ვ ა ჟ ი:

წუხელის სიზმარშია,
ხეივანს ქვეშ წამეძინა,
ქვეშ მეგო ლალი ორხუა,
ზედ გილანური მეხურა,
გვერდთ მიწვა ქალი ლამაზი,
მკლავი მკლავს გადაგვეხვივნა.

ქ ა ლ ი:

ბიჭო, რას სტყუი, რას სტყუი?
სალორის კარსა გეძინა,
ქვეშ გეგო ჩალა-ჩულანი,
ზედ ნაბდის ჩულა გეხურა,
გვერდით გიწვა შავი ლაგაზი,
ტოტი ტოტ გადაგეხვივნა!

857

ვითა ბულბული დარისა
ვარდისა ჭვრეტა ჰსურთსა,
ეგრე მე ვეტრფი ტურფასა,
აშიკთა შესაშურთსა!
სულს ვანაცვალებ, გულს მივცემ
მას ჩემსა სამიჯნუროსა;
მის ტყვექმნილს მისი სიახლე
ნუ მამეშლების ნუროსა!

858

ცაში ნაბანო ვარსკვლავო,
სახე გაქვს პირი-მზისათ,
შენს ნახვას ნუ დამიძვირებ,
დამტირებელო დისათ!

859

მთად ერთგან ბროლი გამოჩნდა,
დავეზიდე, არ ამყვათ,
გოგო, შენი სიყვარული
სადაც წაველ, თან წამყვათ.

860

შენ გოგო, ეგრე თეთრი ხარ,
როგორც საუდარში კირია,
გამოხვალ, გამოანათებ,
მთვარეს მიგიგავს პირია.

---

*) ეს ლექსი ვარიანტია მე-784 ლექსისა.

861

წიგნი არ მიმიწერია
ჯერ ამის მეტად მზისათვის,
მოკითხვა არ შემითვლია
პირ-მთვარე, ლამაზისათვის.
მოძულებულსა ამბობენ,
ნეტავ ვიცოდე, რისათვის?!
ნუ მამიძულებ, ჭირიმე,
მადლია შენი ღვთისათვის!
სახე შენი ვის ვამსგავსე?
მე დახატულსა მზესაო,
თითქმის ბროლი ხარ გაზრდილი,
არავინ მოგიდგესაო!
—შენ რომ წიგნი მოგეწერა,
რა ღირს ვიყავ მე, საწყალსა?
დაეწერა ბროლის თითსა,
მარგალიტის ბაგე-კბილსა.
ვის ხელში გაიზარდევი,
ბრძენო უცხო და ჭკვიანო,
საითაც რომ მიბძანდები,
ფიანდას გაგიშლიანო!
ტკბილის ენით ჭიკჭიკებდი,
სიტყვა და პასუხიანო,
ეშხით კაცს გააგიჟებდი,
მე ბროლის ღაბაბიანო!

862

ანთებულ სანთელს გამსგავსე,
ცისკრის ლოცვაზე გნახეო,
გემში ჩავჯექ და ზღვას გავედ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
ხელში გეჭირა ყმაწვილი,
კიდევ კარგათ ვერ გნახეო.

863

შემოგხედავ თეთრსა პირსა,
წარბი ხშირათა გეყრება,
ცხრა ნაწნავნი გიშრის თმანი
მხარ-ბეჭებზე გადგეყრება,
ერთი ასრე შემომხედე,
შენი ჭირი შემეყრება.

864

შენ ქალო აგრე თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირია,
ვინ მოგიხატა, ლამაზო,
ე კოხტა გულის პირია?
ნეტავი შენთან მწოლელსა
ტკბილად მოუა ძილია,
ჯერ ჩაგიკოცნო თვალები,
მერე ეგ ბაგე-კბილია.

865

ატენის ხეობაზედა
წყალი ჩამოდის შერთული,
ნეტავი, გოგოვ, ჩამაცვა
შენი ხელებით დართული!

866

ასე ვსთქვი: ჭალას ჩავიდეთ,
ჩავკრიფოთ მარგალიტები,
ლამაზმა ქალმა ჩაგვასწრო,
კარს წაუყარა კლიტები.
ბროლისა ხელი გამოყო,
მარგალიტისა თითები.
შიგნიდგან გამომძახოდა:
„შენგნით არ გავიღლიტები!“

867

გოგოვ, გიხდება ძირს ჯდომა,
ჯარის რთვა, ტარის გუგუნი,

ვაი თუ ხოვლეს გათხოვდე,
ძრიელ შეგმურავს მკვრის მური!
შიგნით მე გული მამიკლა,
გარს ცეცხლი მომადებინა.

868

დაო, ვინ მოგცა შვენება
მაგ შუქურ ვარსკვლავისათ?
ნახვას ნუ დამიგვიანებ,
დამტირებელთ ძმისათ!

869

დილა ადრე ადგებოდი,
დილის ნამი მოგეყაროს,
ხელთ გეჭიროს ოქროს თასი,
მიგ მაქარი ჩაგეყაროს,
ჭერი გამოიცვალე,
გულს ჯავრი გადაგეყაროს!

870

ყოვლად წმიდის კარზედ დგეხარ,
მუდამ გესმის გალობათ,
ერთი წიგნი შენც მამწერე,
შენი მქონდეს წყალობათ!

871

მშვენიერია ზაფხული,
ოდეს მაისი დადგება,
მოირთობიან ქალები,
გამოვლენ, ბანზედ დადგება,
იმათ ვაჟკაცი შეხედავს,
ძვალსა და რბილში დადნება.

872

შენ ია ხარ და მე ვარდი,
სხვა ვარდი რად მევარდება?

873

ქალმა აიღო, ქვა დამცხო,
რა გულმა გაბედინა?!

874

ვისია მწვანე კარავი,
კარვებში არ ერეოდა?
ვისია ქალი ლამაზი,
ქალებში არ ერეოდა?
გვერდს ეჯდა კარგი ვაჟკაცი,
ჰკოცნის და ზედ ელეოდა;
გვერდს ედგა საღვინით ღვინო,
სვამდა და არ ელეოდა.
გარედან ხალხი შეჰნატრის:
„ნეტავი მაგის დედასა,
სხვა რაღა დეელეოდა!"

875

ქალი და ვაჟი.

ქ ა ლ ი:

სტუმარო შორიელაო,
ლოგინსა სწევხარ ხმელასა,
ადე და ჩემთან გადმოდი,
ფეხი არიდე კერასა.

ბ ი ჭ ი:

მე აქაური არა ვარ,
ქვენაური ვარ ბარისა,
ნათესაობას ამბობენ,
ვართ ერთმანეთის გვარისა.

ქ ა ლ ი:

რა ვქნა, გამღლიტე, სტუმარო,
მაგ შენი ფლიდი ენითა,
ე ჩემი ლურჯა თან მიგყავ,
მაძღარი თივა-ქერითა.

876

გაცინება მოგიხდება
დილით გაშლილ ვარდსავითა,
თუ რომ თვალით არ გიყურებ,
მე გავხდები მკვდარსავითა.

877

ქალო, ამაო-ბაშაო,
წამწამ გიშერო, თმა-შავო!
საწოლი შენი მასწავლე,
ია და ვარდი გაყმალო!

878

კოკოს ქალა გამოეცხო,
ქერქი მოეზილა რძითა,
ერთი ვთხოვე, ორი მომცა,
ღმერთო, გაახარე ძითა!

879

მიყვარდი, ჩემი მეგონე,
მზესაც შენზედა ვფიცავდი.
თუ კი არ შამიყვარებდი,
თვალით არ დაგინახავდი.

880

ქალი წავიდა წყალზედა,
წყლის პირზედ დასდგამს კოკასა,
წაილებს ხელის საპონსა,
იქვე დაიბანს ლოყასა.

881

კინდა დამარტყი ურთო,
ქვეყარაც მომამდუროთ,
გამარტყა, მაინც აგიტან,
ოღონდ შენ კი გიყურთო!

882

ქალმა თქვა ჩემონალამა:
„ვაჟმა ვერ მომალორაო,
ვერცა გამიხსნა ხონჯარი,
ვერცა რა მომიგონაო".

883

ჭერიო, ბიჭო, ჭერიო,
ქალებში გადავერიო!

884

შე მარგალიტო ობოლო,
პროშანო, ენათ მრავალო,
წავიღებ შენსა ქიასა
და „გრანიცაზედ" გავალო!

885

ცაში ნაბანო ვარსკვლავო,
სახე გაქვს პირიმზისაო,
შენს ნახვას ნუ დამიძვირებ,
დამტირებელო დისაო!

886

ბორბალახტშია კოშკზედა
ზის ყორანი მბუდებელი,
მაგ ალაგის მნათობი ხარ,
სხვისა გამაცუდებელი.

887

აგერ მოდის მაშინა,
უკან მოსდევს ვაგონი,
დაიწვას და დაიდაგოს
სიყვარულის მამგონი!

888

ქმრიანი ქალი და ვაჟი.

ვ ა ჟ ი:

ადი, ქალო, მაღლა ხესა,
ჩამოყარე ბროწეული,
ჩამოდი და გვერდთ მომიჯექ,
ქამხა*) მოგცე დაწერილი.

---

*) აბრეშუმის ქსოვილი ფერადი.

ქ ა ლ ი:

არცა მინდა შენი ქამხა,
არცა შენი დაწერილი,
ისევ ქმარი მირჩევნია,
გვირგვინშია ჩაწერილი.

889

შენ რად გინდა, ლამაზო,
ოქროს წილის ღალები,
რო დაცხება ლამაზო,
ლიახვში ებანები.

890

ყოვლად წმიდის კარზედ დგე-
ბეჟურის გალობათ, [ხარ,
ჩაიცვი და დაიხურე,
მოგიხდება ქალობათ.

891

იმერეთი დამივლია,
ქართლი შამიჯერებია,
არ მინახავს შენისთანა,
ქელი მოგილერებია,
წამწამსა და წამწამ შუა
ბადი გაგიშენებია,
შიგ სურვილი დაგინერგავს,
კაცი მოგიყენებია!

892

მიყვარდი, ჩემთვის მინდოდი,
და მზესავით გსახავდი,
იმას რა მომაგონებდა,
შენ არც კი შემომხედავდი.

893

მივიარე, მოვიარე,
ტურფა ვნახე მწოლიარე,
თავით ერთი ხილი ედგა,
ფეხთით უფრო მსხმოიარე,
ერთი ვითხოვე და არ მომცა,
ძმაზედ იყო მგლოვიარე.
იმ გულითამც ის დამჯდარა,
რაც გულით მე გავიარე.

894

შენსა მოსვლასა მზე მოჰყვა,
შენს წასვლას — მავი ღრუბელი.

895

ქალო, შე კეკელუაო,
ნეტა ვინ შეგედარება?!
თუ ჩემი თავი შენ გინდა,
ქმარი შორს გაგეგზავნება.

896

ქალო, მინდვრიდან მოდიხარ,
მაათრიალებ კაბასა,
ნეტავი გამაგებინა,
როგორ ათვალებ მაგასა?

897

ქალო, კრულო, გეხვეწები,
წელიწადი გამოვსულია,
ხეს ფურცელი გასცვივნია,
სხვა ახალი გამოსულია.

898

ქველა ხეხილი აყვავდა,
შენ რადასა იქ, კიტრიკო?
გოგოვ, ერთს მაინც გაკოცებ,
თუ გინდა ბევრიც იტლინკო.

899

რუსები რომ გადმოვიდნენ,
ურემს დაარქვეს „არაბა“,
ქალო, იქით გამეცალე,
ნუ გინდა დავიდარაბა.

900

მე შენის მოლოდინითა
სული ამომხდეს ღამისა.

901

აი მთვარეო, მთვარეო,
ლამაზ ქალს მიმაპარეო,
გათენებამდე მამყოვე,
გათენდეს — გამაპარეო!

902

ჩამოვიარე ჭალასა,
ბიჭი ურემსა ჰჭალავსა,
ვაი რა ცოდვას იტყვიან,
გოგო რო ბიჭსა ჰძალავსა.

903

იამა გშობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ბულბულმა ძუძუ გაწოვა,
გვრიტმა გაგზარდა ენითა.

904

ქალო, რას სტირი, რას სტირი?
რას დაგითხრია თვალები?
მინდორში შენის ცრემლითა
სავსეა ნაგუბარები.

905

ქალი წავიდა წყალზედა,
თან გავაყოლე თვალია,
აამსო კოკა, კუტალი,
შიგ გაუყარა თმანია.

906

ქვეყანა ჩალად არა ღირს,
ცხოვრება ფარად არა ღირს,
რაც უნდა გქონდეს ქონება,
ერთ ლამაზ ქალად არა ღირს.

907

სამსალასა ვსვამ თასითა,
გული ლახვარზედ მიგია,
რაც შენ გაგშორდი, მიჯნურო,
საკუთრად ეს მამიგია:
მაცვია ნავთის პერანგი,
ზედ ცეცხლის კილო მიგია...

908

არ მოგეშვები, გენაცვა,
სანამ არ მამკლავ, სანამდი,
ეგ შენი ფირუზის დანა
გულში რომ დამკრა ტარამდი.

909

ქალი და ვაჟი.

ვ ა ჟ ი:

ქალო შენი ეგ მიყვარდა,
ეზო-ეზო სიარული,
ტანთ ჩაცმა და თავ-დახურვა,
თეთრი პირი მხიარული.
წარბიც გიგავ ვაზის წალამს,
წამწამი მელან-თალგამსა,
საითაც შენ გათხოვდები
ნეტა იმ სოფელ-ალაგსა!

ქ ა ლ ი:

ისეთ ალაგს გავთხოვდები,
რომ ყვაოდეს ყველა ხილი,
ქვეშ წყარო გამოდიოდეს,
სასმელათ კი იყოს გრილი.
ადრიან ჩავირბენინო,
კოხტად დავიბანო პირი!

# შ ა ი რ ე ბ ი.

910

შაირები და ლექსები
სულ ეხლა მომაგონდათ,
თქვენებურ ქალიან მიველი,
ლოგინზე გამიგორდათ.

911

კახეთის მოურავია
ჩვენი პატარა გორდათ,
სიმღერას ვერავინ იტყვის,
თუ არ შეხურდა გოგრათ.

912

ხშირათ ლექსებს მოგახსენებ,
ტირიფონაზე გძელია,
თუ გინდა, შინაც გაგატან,
მოგაწუვეტინო წელია.

913

ბერშუეთიდან წამოველ,
გადმოვიარე ქოჩორა,
რაც არა გამეგონა რა,
სულ იმ ბიჭებმა მოჭორა.

914

ეს ბიჭი კარგა თამაშობს,
ამშვენებს არე-მარესა,
ამან რო ფეხი იტკინოს,
მესტვირეს დაარბალებსა.

915

ვილექსოთ, ბიჭო, ვილექსოთ,
მინამ მამალი უიოდეს,
ისე გაგიხდი საქმესა,
კბილებში ოფლი გდიოდეს.

916

ბიჭმა დამიგო კოჭები,
ზედ გამოვიდა ქლიპურსა,
თუ ჩემი ამხანაგი ხარ,
სიტყვას ნუ იტყვი ღლიტურსა.

917

ქალაქს ვიყიდე ხარები,
მცხეთას დავკიდე ზარები,
თუ შაირები არ იცი,
მე რად არ მამებარები?

918

მაღლიდანა წამოველი,
გადმოვიარე გოხათ,
სულ იმას ჩამოკჩიჩინებ:
„ნუ იცი ცუდი როხვათ!"

919

ადიდებულა მეჯუდა,
დაუგლეჯია შინდები,
ბიჭო, რას გაგკვირებია
ეგ ნაითხოვარი წინდები?!

920

(ვარიანტი)

აგრე ადიდდა მეჯუდა,
სულ გადაგლიჯა შიბები,
რა ძრიენ გაჰკვირებია
ეგ შენი ჭრელი წინდები?!

921

ანასინ, გორის თათრებო,
ქალაქში უიზილბაშებო,
ბევრი ლექსები მოთქვალე,
შენ ჩემო პირის ლაშებო!

922

დილის სანახავად წაველ,
გადმოვიარე გოხაო,
ბიჭო, ვერ დაგამშვენე
ეგ ნათხოვარი ჩოხაო.

923

ამდენი ლაპარაკითა
ენას არა აქვს სისველე,
ღვთის-მშობელო, შეგვეწიე,
ნათლიმცემელო, გვიშველე!

924

თქმა იყოს და გაგონება,
შემოკვრა და გაგორება!

925

მოდით, ბიჭებო, ვილექსოთ,
ნუ გაგვაცინებთ მტერსაო,
კაი ნათელი დაადგეს
დედა და მამა შენსაო.

926

ქალაქიდან წამოველი,
წამოვიღე გიდელაო,
სულ იმას გეჩიჩინები:
„თავში არა გიდე რაო!“

927

ორღობე ამოვიარე,
დავჭერ და დავჭერ წნელები,
შენ ჯამში ამოვათრიე
დამპალი კატის წელები!

928

შენი ჭირიმე, ძმაოჯან,
ნუ გამომიღებ ხელსაო,
თუ გამომიღებ ხელსაო,
დაგაკარგვინებ ფერსაო.

929

თავი ნუ გამოგიდვია
ნიახურის ფოჩივითა,
მუცელი გაგსიებია
გაზაფხულის გოჭივითა.

930

შენ ნათლიდედა კატოსა
მუცელი უგავ ფლატოსა,
ისე მიიქნევს-მოიქნევს,
როგორც საცერი ქატოსა,
მე კარგა გავაქნევინებ,
თუ მოვასწარი მარტოსა.

931

ხელთუბანს ერთი ბებერი
წაღმა-უკუღმა ფსამდაო,
თორტიზას ედო ღარები,
რეხას მიწებსა რწყავდაო,
ისეთი კიტრი მოჰყანდა,
შაქრუა ვერა სძრავდაო.

932

ნანინა, ნანა, იაო,
რა პირი დაგიღიაო?
ან ჩაგიძვრება ბაყაყი,
ან მოწამლული ჭიაო.

933

მე მამაძაღლის ოხერო,
მე ჩემთან როგორ ედრები?
ერთი ბოსელი გიდგია,
თომას თაგვივით [1]) ჩაძვრები,

---

[1]) თომას თაგვი თითქმის ვირთაგვას ტოლაა, ყამირებში ბუდობს ამოხვრეტავს სოროს პირდაპირ მაღლა.

ოსის გოგო მოიყვანე,
კორაკასავით შავდები.

934

დედამთილი მწვადს არა სწვამს,
მამამთილი ლახანასა [1]),
შენ შეირში ვერ მაჯობებ,
თავი გიგავ ჩალხანასა [2]),
წვერი გიგავ მერცხლის ბოლოს,
ულვაშები ფამფარასა [3]).

935

უღელი ხარი დავკარგე,
უნდა მოვძებნო მთაზედა,
ალბად შენი ეგ არი,
ნაკლებადა ვარ ხმაზედა,
სიკუას როგორ აჯობებ
ლექსების გამოთქმაზედა.

936

ახალი გუთნის დედა ვარ,
მეორედ მოვხან ხნულია,
ვინც რო ლექსები ამოთქვას,
სუ სიკოს გამოთქმულია.
სამოცდა სამი ძირძიტა
სიკუას გამოუკვიდა!

937

გაზაფხულისა პირზედა
ყანაში წავიდე ცელი,
რაც შენ ლექსებში მაჯობო,
იმითი იყიდე ცხენი:
როცა მოყვრებში წახვიდე,
იმითი წაიღე ძღვენი,
მალმალე გვერდზედ მოხედე,
გავაზედ გადუსვი ხელი.

938

მე ხომ მთიული არა ვარ,
ტყეში გავთალო ფიცარი,
ჩემი მოკეთე ჰყოფილხარ,
ღმერთმანი ეხლა გიცანი!

939

მე ხომ სნეკველი არა ვარ,
ტყეში გავთალო ფიცარი,
შენ ჩემი მტერი ჰყოფილხარ,
ღმერთმანი ეხლა გიცანი.

940

ზევიდანა წამოველი,
გზაში მოვკრიფე აკშანი *),
არ ვიცი, ვისთან იქნება
ამაღამ ჩვენი კახშამი?!

941

მთიდან ოსები წამოვლენ,
წამოიღებენ ლოდოსა,
მოდი, თუ კაი ბიჭი ხარ,
სიმღერა მიითხარ ბოლოსა!

942

ნახევარ კოდი პური მაქვს,
ის თქვენს წისქვილზედ ჩამოვფქვი,

---

1) ლახანა—თავდაუხვეველი კომბოსტო. გურულათ ლახანა კომბოსტოს ჰქვია და თავდაუხვეველ კომბოსტოს კეჟერა ფხალს ეძახიან.

2) ძველი ქვაბი. გურულათ ჩალხანა თუჯის ქვაბს ჰქვია.

3) ფამფარამ გძელი გადაშლილი ფოჩები იცის, მცენარეა.

*) საცოცხე ბალახი.

აბა, თუ კაი ბიჭი ხარ,
მოდი, შაირი გამოთქვი.

943

აუგაკებულა უაუაჩო,
ფურცელი შალა იამა,
შენ რო თვალით დაგინახე,
მე გუნებაში მიამა!

944

წრეულს გაკრეჭილი კვიცი,
მერმის გაიქცევა ვიცი.
რაც ვიცოდი, მოგახსენე,
მაგის მეტი აღარ ვიცი.

945

ბერბუკსა და სვენეთ შუა
ბევრი კაი რუებია,
შენისთანა მოშაირე
ბევრი გამიცრუებია.

946

იმერეთიდან გიახელ,
გადმოვიარე გოხაო,
რათ ამბობ მაგდენ ტყუილებს?
ნათხოვარი გაქვს ჩოხაო.

947

ლიახვი ადიდებულა,
მტკვარსა გააქვს რახა-რუხი,
ადე, დროზე გაიხადე
ნათხოვარი ახალუხი.

948

მოდი, ახლა გავათაოთ,
სიმღერად კმარა ესაო,
ჩემი ყურით გავიგონე,
მასხარად აგვიგდესაო.

949

გამოერია ყანასა
მახობელი და ჭიოტა,
ჩვენი მტერი და დუშმანი
სიკვდილმა დაგვიწიოკა.

950

მე ამის მეტი არა ვარ,
არც გაუთალივარ ხუროსა.
ღამაზი ცოლის პატრონი
ახარებს თავის კუროსა.

951

აქამდე მთაში ვიყავი,
ეხლა ჩამოველ ბარადა,
ეს ლექსი სიკომ გამოთქვა,
ჭალიძე ჰქვიან გვარადა.

952

დილას კარში დავინახე
და დაგამსგავსე ქალადა,
ხელში გეჭირა სალვინე,
ზურგზედ გეკიდა კალათა.
სიკოს სიმღერა არ უნდა,
სულ თქვენ აუბედებთ ძალადა.

953

თვალი დაგიდგა, ზალიკო,
რაც ჩემისთანა არ იყო.

954

მე ხომ სნეკველი არა ვარ,
ტყეში გავთალო ფილია,
სულ იმას გეხვეწებოდი,
ნუ ხარ მაგეთი ვირია!

955

ახალსოფლელი ბიჭები
დაუჭამიათ რწყილებსა,

სიმღერა არა სცოდნიაო
იმ მამაძაღლის შვილებსა.

956

სამი სიტყვა გუშინ გითხარ,
სამი დღესა — გახდა ექვსი,
შენთან ვერა გავუძლე-რა,
ვერც შაირი, ვერცა ლექსი.

957

ისემც მოგივა ზამთარი,
როგორც შენა სთქვი მართალი!

958

უნდა გამოვთქვა ლექსები,
რა დამემართა, რა იყო,
კამეჩი მყვანდა ურწანა,
ნიკორა ზაქი მოიგო,
უფრო ფასად გაიყიდა,
რაკი ქვეყანამ გაიგო.

959

თედუასა და ვანუას
არავინ სჯობდა ქართლშია,
კაი ქეიფი გასწიეს
ამ ჩვენ მაქრუას სახლშია,
მზარეულებს შეუკვეთოთ,
ხორცი ჩაყარონ ქვაბშია.
დიდათ ვართ მადლობელი
ეხლა ამ ქვეყანაშია!

960

შენ მე როგორ შეჯიბრები
შაირის გამოთქმაშია,
იკითხეთ ჩემი ამბავი,
შეიტყეთ ქვეყანაშია.
სუფრაზედ არ დაგაყენებ,
გარედ გაგაგდებ კარშია,
კაპიკი რომ არ გემართოს,
ყელამდე გაგხდი ვალშია,
ღამე გაგგზანი ტყეშია,
დღე კი გაგაგდებ კარშია,
იკითხე ჩემი ამბავი
პატარა გარეჯვარშია.
მე შენი არ მეშინიან,
გინდ რომ დამიხვდე გზაშია.

961

წრეულ დიდი გვალვა იყო,
სულ წაგვიხდა ვენახები,
გამაჯავრებ და ჩხუბს მიზამ,—
თვალით აღარ გენახვები.

962

ე მაქრუა და ვანუა
არიან ყანთარიფითა,
ვანო რა მაგის ღირსია,
მაგია თათარიფითა,
სუ მოიღრუბლა თავ-პირი,
აქა ზის არაბივითა.
იქნება ლექსი დამაკლდა,
მაწვება ვარამივითა,
ეს მეზვრიანთ ვანუა
გაუჩნდა ალალივითა.

963

შედიატორე იყავი,
წადი, მამული გაუყავ,
ვანუას რო გაეჯიბრე,
ჭკუა-გონება რა უყავ?!
წუწკი ლექსები რომა სთქვი,
კაი ლექსები რა უყავ?
ხამი ბოჩოლა შააბი,
უღელში თავი გაუყავ;

ზედ შარა-გზაზედ მოგიკვდა,
იმისი ტყავი რა უყავ?
ხორცი სულ მარტომ შესჭამე,
შენს ძმებსაც აღარ გაუყავ,
იმათ სულაც ხმა არ გაგცეს,
შენ სვინიდისი რა უყავ?
მორეკე შუაკაცები,
სამ დღეს მამული გაუყავ.

964

შაქრუას*) ლექსი დააკლდა,
ძალიან შეიქს კოტვასა,
ვანუა ძრიელ დაითრო,
ახლა დაიწყებს როტვასა.
წელმოწყვეტილი ცოლი მყავს,
ის არ მიწველავს ძროხასა;
საგარეოთ შევისახოთ,
ნუ გავაფუჭებით ჩოხასა,
ღმერთმა ყოველთვინ დაგასწროთ
აღდგომასა და შობასა!

965

ლიახვი ადიდებულა,
მტკვარი დასძახის ნანასა,
ვინც კაი ლექსი არა თქვას,
შვილი მოუკვდეს მამასა!

966

ხნულებში ქერებს დასთესავ,
ვინ მოგცემს წმინდა ყანასა?
დაგიჭერია ჩანახი,
ვერსად ვერ იღებ დალასა.

შენ მე როგორ შეჯიბრები,
ბიჭს მე აქ ჩემისთანასა?
სუფრაზედ არ დაგაყენებ,
მოგიშლი არიფანასა,
თუ ბევრი ლექსები იცი,
ვის ნახავ ჩემისთანასა?

967

ჩქარა გამოითქვი ლექსები,
მეც მეჯავრება ნისია.

968

ნეტა სიტყვა ამოვიგნო,
სიტყვა გითხრა კილოზედა,
ამ მუცელს კარგა გავიძღობ
აქ უფასო ღვინოზედა,
თუ აქ ცხოვრება მოგწყინდა,
გინდ გაგზანო ლილოზედა?

969

იმ მღვდლებსაც ჩხუბი მოს-
იმ ოხერა ფილონზედა, [ვლიათ
გენაცვალე შაქრუასა
მაგრა არის ღვინოზედა,
ვანუაც კაი ბიჭია,
ლექსებს იტყვის კილოზედა!

970

ხეზედ ფრინველი შეჯდება,
გამოვუდგები თოფითა,
თუ თქვენ ვანუას აჯობებთ,
აქვე დაახრჩეთ თოკითა.
შენ იყავ ხემწიფის ჯარში,
ძიენ იომე ომითა,
მთელი სოფელი მობძანდით,
რა გამიხდებით ორითა!

*) ამ შაქრუასთან ვიყავი სადილად და იქა მღეროდა, თან მღეროდა, თან შაირებს იგონებდა.

სოფელს თავი დავანებოთ,
გინდა მობრძანდით გორითა!

971

ქველა ფრინველი ხეზედ ზის,
მწყერი ადგილზედ გოგდება,
მაგას რო ლექსი დააკლდა,
ამადამ ჯავრით მოკვდება.
მაგის მტერი იმას ამბობს,
„აი დარდი, თუ მოკვდება?!“
თუ რო ეს ბიჭი მოკვდება,
სარჩო სუ გაუოსრდაბა.

972

ერთაწმინდას ვანუამა
შვიდი არაყი დალია,
მაშინვე ძრიელ დაითრო,
დაწვა, გზა ველარ გალია.
სუყველას ლექსი გამოთქვა,
რაც ქვეყანაზედ ქალია.
ხან მოდის ქვეყნად ავდარი,
ხან ისე კაი დარია.
გააძრიალა მოკეთე,
მტერს დაუყენა თვალია.
ჩემი ლექსების გამოთქმა
არ არი დიდი ხანია.

973

დილით მზე ამოკაკანდა,
მასკვლევებს გააქ ჭყრიალი,
ქვეყანაზედ რამდენია
გიჟი და ოხერ-ტიალი!
ჩემთვინ აქ შუაღამე
გათენებული დღე არი!
მე რო აქ ღვინოსა ვსვამდი,
ტკბილია. თითქო რძე არი!
ხან თუ ავი დარი მოვა,
ხან ისევ კაი მზე არი!
კამეჩებს როგორ მოვამშევ,
თუ კი საბძელში ბზე არი?
თუ საბძელში ბზე არ არი,
ისიც ხომ ავი დღე არი!

974

საქონლის ჭირი ამიტყდა,
ველარ გავზარდე ბოჩოლა.
მე ბევრი ბიჭი მინახავ
მაგ შენისთანა ქოჩორა.
თვითონ მე მყავს სახლი კაცი.
სახელად ჰქვიან „ჩოჩორა“.
მიგ გარეჯვარშიც ქვისლი ჰყავ,
იმასაც ჰქვიან „ქოთოლა“.
რაც საჭმელები მოვიდა,
შენმა მუცელმა მოტორა.
დაგსხვილებია კისერი,
თავი გაქვს როგორც კოტორა;
წაგიყვან და წამოგიყვან,
როგორც ლიახვმა ლოგორა*).
თუ გინდა ისე გატარებ,
როგორც ურემმა გორგორა.
ქართულს ვერა ლაპარაკობ,
შენ ლექსებს მეტყვი როგორა?!
გინდ ლექსს თავი დავანებოთ,
ახლა ვიმღეროთ „გოგონა!“

975

ანეულები შევაბი,
კაი გუთანი გავტეხე,
ახლა მე მოგირიგდები,

*) ჯირკვი წყლის წამოღებული.

რაკი ლექსებში ამტეხე.
რაც რომ ვანუას დააკლო,
წადი, სახლში დაიკვეხე!
თუ შენ კაი ბიჭი იყავ,
თავი რაზედ გაიტეხე?!
სამი თვე სულ ავათ იყავ,
საქმე ვეღარ გააკეთე,
ეგ შენი წუთისოფელი
ძალად რისთვის დაიბნელე?
ცეცხლის პირას წამოწექი,
შინ საბანი დაიგძელე;
ჭინახული სულ შეჭამე,
ღვინო ვეღარ დაიძველე.
ეს ხო ტყუილი არ არი,
კამპანია, დაიჯერე!

976

ავი ამინდი დაგვიდგა,
რაღა დათვარცხავს ხნულებსა?
ქალსაც არავინ მაძლევდა,
მე ვთხოულობდი ფულებსა.
თუ რომ ლექსები დაგაკლდა,
მოდი, გაგგზანი უულევსა,
ხარი-კამეჩი კარგი გყავ;
ბლომად მოიტან ფულებსა.
შენ მაგის ჯავრი რათა გაქ,
შენი ძმა მოარწყავს ხნულებსა.
თუ გინდა ტყეში გაგგზანი,
გაგალესინებ ცულებსა.
დაგიხვდებიან ოსები,
არ შეგარჩენენ რჯულებსა;
ჯიბეებს დაგიჩხრეკავენ,
არ შეგარჩენენ ფულებსა.
გაიგებს შენი პატრონი,
შინ დაიხეთქენ გულებსა.
თუ გინდ ღვინო არ დავლიოთ,
მით გვეძახიან სულელსა.
მარტო წახვალ ჯვარობასა,
ცოლს არ შეუბამ ურემსა;
არც ტიკში ღვინოს ჩაასხამ,
არც ჩაალაგებ პურებსა.
მე რომ თქვენ ტყეში წინ დაგხვდეთ,
გადაგიბრუნებთ ურემსა;
ხელებზედ ძრიელ შესცივა,
ვერ შეხსნის აპეურებსა;
ჭინახულს ბლომად მოიყვანს,
სადაც დათვარცხავს ხნულებსა.
გაჰვიჩნდა რუსის ბეგარა,
ჩქარა შევაბამთ ურემსა;
აქ რო შაქრუა გაიგებს,
ძალიან ცქვეტავს ყურებსა,
წინ კაი სუფრას გაგვიშლის,
ზედ დაგვილაგებს პურებსა.
თუ თქვენი ნებაც იქნება,
შევაქებ მზარეულებსა.
ამ მეზვრიაანთ ვანუას
ლექსში ვინ გაახუნებსა?
ვინც იმას გეეჯიბრება,
თვინთათ ჩამოჰყურის ყურებსა.

977

ერთი მანეთი მომეცი,
თუ ქალალდი დაგიწერო;
გუთნეული კარგი მოგცე,
საყედარი დაგიგძელო,
პური-ღვინო დაგიძველო;
აღდგომა და ამაღლება
სულ მშვიდობით გაგითენო;

ისიც ღმერთმა გიდღეგრძელოს,
ვინც რო ღამე დაგიჯეროს,
ეხვეოდე, ჭირსა სჭამდე,
ცოტა გვიან გაგითენოს!

978

ითოვლე, ითოვლო, ითოვლე,
ისროლე ფარტენ-ფარტენა!
შენ ძალიან დამაყარე,
მე როდი ვიცი მაგტელა;
მშობელი შენი ვაცხონე,
და მერე შენი გამზდელი,
მამაშენს კარგა ვიცნობდი,
იმას დაადგეს ნათელი!
ჭვირა ძალი რომ მოვიდეს
იმას აუნთე სანთელი,
ხელში გეჭიროს ბურვალი,
ზედ დაუყარე საკმელი!
ნეტავი ზოგი გავყიდო,
ლექსი რათ მინდა ამდენი!

979

კისერი დამსხვილებია,
თავი მიმიგავ ხვედასა,
მე რომ ჯვარი არ დამწერა,
ჩვენ ღვდელს ვაგინებ დედასა.
მე ვიცი კარგა დავბეგვავ,
სულ დავუკარგავ ცნებასა.
ახლო აღარ მივუდგებით
ავჭალასა და მცხეთასა,
წამოდგა და ძრიელ შფოთობს,
კაცს თვალით ვერა ხედავსა.

980

ჯერ ჩემი მაჯობნებელი
ქართლში არ დაიბადება,
არც ჩემი მჯაბნი გამოვა,
არც ფეხზედ გაიარება,
წადი და სხვაგან იკითხე,
კაცი არ დაიძრახება*).
ვინც რომ ვანუას აჯობებს,
თვალით არ დაინახება.
დედას ატირებს ცრემლადა,
დაიწვის, დაიდაგება.
თუ გაუთხრიან საფლავსა,
საუდარში დაიმარგება,
ზედ მიაყრიან მიწასა,
ფქვილივით დაინაყება.
იმას თვალით ვინღა ნახავს,
წავა და დაიკარგება,
ვინც ვანუას იჯიბრება,
ლექსებში დაიტანჯება.
ეს მეზვრიაანთ ვანუა
ესეც კი გაისარჯება.

981

რა დიდი გულით მადგეხარ,
რას იყურები მკლავზედა?
შენ რომ ეგ ჯოხი გიჭირავს,
სუ დაგამტვრიო თავზედა.
ვანუას ვინ ეჯიბრება
შაირის გამოთქმაზედა?
სუყველას ლექსს გამოუთქვამს,
რაც მოხდეს ქვეყანაზედა.
ძალიან კაი ბიჭი ვარ,
ჩოხა მაცვია ტანზედა.

982

უამინდობა შეიქნა,
ვერ გავატანე ტალახსა,

*) იგულისხმება: კითხვისთვის.

სიბერე აგრე ძნელია.
ძლივას ამოველ აღაგსა.
თავში რომ კეტი დამარტყა,
ველარ წამოვალ ქალაქსა.
ჩვენი ადათი ის არის,
ეხლავე დავლევთ არაყსა.
მით კაცი არ გაკეთდება,
რომელიც შესვამს არამსა,
მაღლა არის დიდი ღმერთი,
ზევიდან მისცემს ზარალსა;
როცა ამინდი მუშაობს,
კაცი კვეხულობს ძალასა.
ნეტა თავი დამანებო,
მოვრჩე ამ ხათაბალასა!

983

თქვენში წისქვილი გამართეს,
დაატრიალეს ქარითა,
ღმერთმა მოგცეს მკლავში ღონე,
ღმერთმა გაცოცხლოს ჯანითა.
თავადსა და აზნაურსა
სულ შენა სჯობდე ძალითა,
ხელში გეჭიროს საღვინე,
ღვინოსა სვამდე ჯამითა.
შენი მტერი და დუშმანი
ნუ გამოლიოს ჟამითა,
სახლობა სულ გაუწყვიტოს,
შენ უცქეროდე თვალითა.
ვინც რომ შენ გადაგეკიდოს,
სულ გასწყდეს თავის გვარითა.
სათვლავებზედ მიდიოდნენ
ნიჩაფითა და ბარითა.
უკან მისდევდნენ კუბოსა
ტირილითა და ღვარითა.
განა მარტო თვითონ გასწყდენ,
კამეჩითა და ხარითა.
მამული ბევრი გქონია,
ორმო აგევსოს ღალითა.
ნურც აგრე გამეტყუდარჭები,
ნაყიდი გქონდა ვალითა!

984

ეს მეზვრიაანთ ვანუა
ძრიელ დაითრო ღვინითა,
სიმღერაც კარგი სცოდნია,
ველარ მოღალეს ლხინითა.
ნეტავი ავად არ გახდეს
ყოველ ორშაბათს დილითა*).
სასახლეები დაედგას,
თეთრად ელესოს კირითა,
იასული თავს ადგეს,
ადრე დგებოდეს დილითა.
თუ საქმით არა გცალიან,
ვილაპარაკოთ კვირითა,
დავისწროთ შუაკაცები,
ვინც გამტყუნდება პირითა.
ქვევით ბაღში მიდიოდეს
სახედრითა და ვირითა,
გადაეკიდოს ხურჯინი
სულ გატენილი ფქვილითა!

985

რახან სიმღერას აქ ვიტყვი,—
ზედ გამოვაბამ კილოსა:
ცოტა ხორაგი არა გვაქვს,
არა უჭირს რა ღვინოსა.

---

*) ხარმაცი ვარ და ორშაბათს
რომ მუშაობა არ მამინდეს, ავად
გავხდები ხოლმეო.

ე რომ მაქრუამ გაიგო,
ძალიან შამამიბღვირისა,
სახრეები მომაყოლოს,
კარები გამარბინოსა.
მაგის მტერმა და დუშმანმა
ძილი არ დაიძინოსა,
ორივე თვალით დაბრმავდეს,
შილი არ დაიძინოსა,
დამე დააწვეს ძილქუში,
დილით ვერ გაიღვიძოსა!

986

ვანუას რად ეჭიბრები,
შე უბედურო საწყალო!
თუ შეირები არ იცი,
მოდი ჩემთან და გასწავლო!
თითქო ყველას შენა სჯობდე,
ამ ხალხში ისე დახვალო! [1])

987

ისე გაგიხდი საქმესა,
ლექსები დაგათვლეინო;
ცოცხლები აქ ადღეგრძელო,
მკვდრები სულ დაგათხრეინო;
აქვე გიყიდო თამბაქო,
ჩიბუხი მოგაწეინო;
რაც სჭამე ამოგაშხამო,
ცვარი არ დაგალეინო;
ჭანდური კარგი გაახლო,
კარები გაგარბეინო;
რაც აქ ფსონი მოვიტანე,
ისიც თან წაგაღებინო;
ე ჩემი წუწკი ლექსები
შენ სწორეთ გაგაგებინო;
სულ აქვე დაგახარჯვინო,
განა შინ წაგაღებინო!
გაგგზანო სავაჭროზედა,
ფული არ მოგაგებინო;
შეხვიდე სავსე ვენახში,
ხილი არ მოგაკრეფინო!

988

კაი დედ-მამის შვილი ხარ,
სულყველგან კარგი გამოხვალ.
აქა ხარ, არა მეპატიჟობ,
ჩვენსა როგორღა წამოხვალ?!
უნდა დაითრო ღვინითა,
ფეხიზელი აღარ გამოხვალ,
დაითრობი და დასწვები,
სახლში ხომ ვეღარ ჩამოხვალ.
რო ეჭიბრები ვანუას,
ნეტა აგწონო, რა მოხვალ?
შე კიდე კაცს მეძახიან,
შენ უსვინდისო გამოხვალ!

989

ამდენს დაგითვლი შეირების,
როგორც ფოთოლი ხესათ.
გავაბამ და გამოვაბამ,
რო ფეიქარი ქსელსათ [2]).

990

შეირში ვერავინა სჯობს
კონია კარალელსათ.

---

[1]) ვანო მეზვრიშვილის ნათქვამია.

[2]) ეს და ამას ქვემოთ მოყვანილი ლექსი იოსება ზაქარიაშვილის ნათქვამია, ახალქალაქელია, თვითონ იგონებს ლექსებს, ამისი ნათქვამი ლექსები სხვა ალაგასაც მიწერია.

—მობძანდი, ღვინო დალიე,
შენი შვილების მზესაო!
—ჩვენ ვიყავით ღარიბები,
თქვენც შეგხვდით ქასტებსაო.
—მგონია თქვენს ჯიბეშიაც
კაპიკი არა დევსაო,
ახალ-ახალს მოგახსენებ,
ერთს არ გავურევ ძველსაო!..

991

ქარელში ტივი ავუშვი,
ქალაქს დავუკარი თავი,
არც ისეთი სულელი ვარ,
ნეტა ჭკუა რა უყავი?

992

შენიჭირიმე ყელშია,
როცა წახვიდე ტყეშია,
ხელში გეჭიროს მათარა,
არაკრაკებდე ყელშია.

993

ქალაქს ვიყიდე ბარები,
მცხეთას დავაგე ტარები,
აქ შენამც ამოვარდნილხარ,
იქ მამა შენის გვარები.

994

მამა შენი ცხონებული
ორი კეტით დადიოდა,
ერთი ქოცო ღვინო ჰქონდა,
ასი კოკა ჩადიოდა,
როდესაც იმას მოხდიდა.
სულ ქეიფით დადიოდა,
პირში ეჭირა ჩიბუხი,
ჩაჩში ბოლი გაჰდიოდა.

995

ციება და მანანა.

მანანავ, დაგშორებივარ,
აქედან გაღმა დიციო,
მე შენ არ მიმიპატიჟებ,
შენი ამბავი ვიციო.
—შენ გატიალდი, ციებავ,
რა შენ მე შემეყარეთ,
შვიდი თვე მაცივ-მაცხელე,
კარგი არ დამაყარეთ.
ვინც რო შენ მიგიპატიჟოს,
ვაგლახი მივაყარეთ.
—მანანავ, დაგაშლეინებ,
მაგ შაირების თქმასაო,
სულ ოხრად დაგინარჩუნებ,
ჯერ ჯარას, მერე ტარსაო.

996

გადი, გამოდი, მანანო,
თურქნი ამ ჭალას დგანანო,
ექვს უღელი ხარ-კამეჩი
დაწკეპილები დგანანო.

## მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

997

ეს ჩვენი ბიჭი ზაქარა
თქვენი მიწა და მტვერია,
გუშინა გორსა გიახლა,
შეაჭყვიტინა სტვირია,
ქალი ბევრი ათამაშა:

მარიკელა და თინია.
თინიამა სთქვა ვერ ავყე:
მო—ნ მამის წვერია!

998

მინდა შეგაქო, შეგაქო,
ყელზე შეგაბა ბალდადი,
იაფლის ფერი ულვაშები,
კოხტად მოგიხდება წვერი.
შენ გეტყობა თვალებშია,
შენა ხარ ქალების მტერი,
ცოტა წვრილი გოგო შეგხვდა.
მაგრა დაუჭირე წელი,
ხანდიხან პროშტი უყავი,
როგორც გინდა, ისე ქენი.

999

შენი გამჩენის ჭირიმე,
რომ გიღიღინებს ყელია,
ბეჭები არსენას გიგავ,
შენ რას დაგაკლებს მტერია!

1000

სუ რო ჩვენ ვილაპარაკოთ,
დაგვიძახებენ უბედსაო,
ზოგი გვეძახის სულელსა,
ზოგი ჭკუაზედ თხელსაო.

1001

შენი ჭირიმე, შენაო,
სახლი ვინ აგიშენაო?
დერეფანი ვინ დაგიდგა,
იარო ვინ დაგიმშვენაო?

1002

ვედრებისა ღვთის-მშობელი
ქრისტე ღმერთის ოლარია,
ღმერთმან იცის, არ გასხია
ავი კაცის ბალახია,
მოწყალებით შემომხედე,
მოიშორე ყალხია.

1003

იქვენი ჭირიმე, ბიჭებო,
რომ გიღიღინებთ ყელია,
მრავალი მოგიჭამიათ,
ჯერ კალო, მერე რთველია!

1004

ოი შენი ჭირიმეო,
ყელი გადმომიჭიმეო,
შენი ვერცხლისა ქამარი
წელზე შემომიჭირეო.

1005

ასე ჰგონიათ ბიჭებსა,
ლექსები გამომელია,
ერთი გუდა გავათავე,
ორიც პირ-მოსახსნელია.

1006

მოდიან მონადირენი,
ქარელისა და სკრისაო,
ყველაის საყვარელი ხარ,
ბატონისა და ყმისაო.

1007

ოი შენ კი გენაცვალე,
შენი დავარცხნილი იმისა,
წვერ-ულვაში გამოგსვლია,
ჯერ არა ხარ ოცი წლისა.

1008

ბიჭი მოსულა გაგუჩა.
ლექსების გამამჩარხველი,
ქართლ და კახეთში ნამყოფი,
ბევრი ქვეყნების მნახველი.

1009

წმიდის გიორგის კარებზედ
დავადუდუნე სტვირია,
ბევრი ქალი ვათამაშე,
მარიამი და თინია.

1010

შენი ჭირიმე შენია,
ჯიბეს გაიკარ ხელია,
ან ამოიღე აბაზი,
ან უზალთუნი ჭრელია.

1011

ეს არის ეხლა გიახელ,
სიტყვამაც შენსკენ იარა,
კარგმა სიტყვა და პასუხმა
მე გული მომიკალათა.
ეს იყო ღვთისა ბძანება,
მე არ მოვსულვარ ძალათა.

1012

სად მოიცალა იმ ღმერთმა
შენის თვალ-წარბის წერადა?
ან სად იშოვა კალამი,
ან საწერელი ხელადა?!

1013

შენიჭირიმე შენია,
პატარა ბატის წვენია,
პატარა კიდევ დამისხი,
გავაცმაცუნო წვერია!

1014

ახალი გათათრებული
თავზე წაიკრავს ტილოსა,
ნამუსიანი კაცი ხარ,
დაგკალეინებ ღვინოსა.

1015

სულ ერთიან დავიარე
კახეთი და კარდანახი,
ვენაცვალე მეუფესა,
შენ რომ თვალით დაგინახი!

1016

ჩემი ხელობა ეს არის,
ვილაპარაკებ ბევრსაო,
სოფელში დავიარები,
ხალხი მეძახის უბედსაო,
ზოგი მეძახის სულელსა,
ზოგი ჭკუაზედ თხელსაო.

1017

დაუკარ, ბიჭო, დაუკარ,
დასძახე ნელა-ნელაო,
ავი პატარძალივითა
არ დააყენო ენაო.

1018

ახლა დავჯექ ცეცხლა პირა,
ახლა დამიამდა გული,
ამოიღე და დახარჯე
ეგ ოხერა თეთრი ფული.

1019

დაბნელდა ცა და ქვეყანა,
დღე დაგვიდგა ბური,
ღმერთო, სარწმუნოებაზედ
მოგვიბრუნე რჯული!
აღარ წახვალ ტაბახმელას,
გახმეს იმათ პირი!
ორ აბაზში სტვირს მართმევენ,
სამ აბაზში — ვირი!
თითო კეტი დაეჭირათ,

მამაძაღლის შვილი!
თითო-თითო რომ ამომკრეს,
დამიპნიეს ტვინი.
მამასახლისი მოვიდა,
გავაჩაღე სტვირი.
ტაბახმელმა პატარძლებმა
არ გაიხარესო,
სტვირის გუდა დამიხიეს,
ნიფხვად ჩაიცვესო.
ფეიფინურები დამიხსნეს,
ძილად დაისხესო.
გაიარ-გამოიარეს.
დააყდარუნესო!..

1020

დაუკრათ, დავიწყოთ ქება,
ქარასხამ დააკაკანა,
ეგ თქვენი წუთი სოფელი
სიტკბოთი გამოგატარა.
კეთილო დედ-მამიშვილო,
ღმერთმა გაცოცხლოს დიდხანა,
შენი მშვიდობიანობა
შენმა სალოცავმა ბრძანა.
ბევრი ეს დღე გაგითენა,
გასახარელი ღვთისგანა.
გახარებული გამყოფა,
ბევრი ზამთარი მოგგვარა.
შენმა და ჩემმა გამჩენმა
შენ გუნების ცოლს შეგყარა!
ერთ ბალიშზედ დაგაბერათ,
ადამის ხანში მოგყარა;
საით მხარეზედ წახვიდეთ,
სულ გამარჯვებით გატარა!
ოთხივ კუთხივ ანგელოზნი
იმყოფებოდნენ შენთანა.
შინ მშვიდობით მოგიყვანა,
შენი გული გაახარა.
დედამ რომ შვილი გაზარდოს,
მაგრე უნდა შენისთანა!
ის შენი კარგი გამზდელი
სამოთხეში მიებარა.
გაღარიბდა შენი მტერი,
საოფლითა და ჭირითა.
ვირზედ უკუღმა შაესვათ,
გუდი ცჭირის კბილითა.
როგორ გაქო და გადიდო,
შნო გქონია და ბაზარი,
ღმერთმა მრავალჯერ მოგგვაროთ
შემოდგომა და ზამთარი;
აღებასა, ყველიერსა
შენ მრავალჯერ დაესწარი.
მარგალიტის ტახტი შეჰკარ,
ზედ ვარდები გადგეშალა,
ოქროს ბურთს ათამაშებდე.
ყველამ გითხრას „ბარაქალა!“

1021

ნეტა რა ღმერთმან დაგბადა,
თუ არ ციდამ გადმოსული?! *)
შენი ჭირი შემეყარა,
მაგ თავიდან გამოსული.

1022

შენ შენი შუქი გეყოფა,
რად გინდა კელაპტარები?
შენ რატომ თვალს არ გაახელ?
მკვდრებს ხომ არ დაედარები?!

*) ან: ლალი, წყნარი, პირმცინარი,
თუ არ მციდან ჩამოსული.

1023

პეტრია საზანდარი ვარ,
ლექსების გამამჩარხავი,
აზნაურებში მავალი,
ბევრი თავადის მნახავი.
პურად-იაფის მაქები
და პურად-ძვირის მძრახავი.
თქვენი მტერი და ორგული
სულ პირქვე დასამარხავი!

1024

მე რომ ღმერთმა გამაჩინა,
თან დამაყოლა სტვირია,
კუკიას გამოვიარე,
ბაზარში დიდი ლხინია.
იმ მამაძაღლმა სომხებმა
დამიფთხეს ჩემი ვირია,
წიხლი მკრა, ლაფში გადმაგდო,
ზედ დამაჭეჭყა ცხვირია.

## წელიწადის დრონი.

1025

ზამთარი ვარდსა გაახმობს,
ზაფხულს გვალვასა ჩივიან,
შევხედავ შემოდგომასა,
ხესაც ფურცელნი სცვივიან.

1026

თ ვ ე ე ბ ი.

იანვარი მოწუწუნებს,
როგორც რომ მშიერი მგელი;
თებერვალმა დაუბერა,
როგორც კარგი საბერველი;
მარტმა სთქვა: „ქორწილს ვაპირებ,
ყველამ მომიმართეთ ხელი!
ცხვარი და ძროხა გავწყვიტე,
არ გავუშვი ჭაკი ცხენი,
ორ შაურათ გაგიხადეთ
კამეჩების გაგა სქელი“.

1027

იანვარი მოწუწუნებს,
როგორც რომ მშიერი მგელი;
თებერვალმა დაუბერა,
როგორც მჭედლის საბერველი;
მარტმა სთქვა: „ქორწილს ვაპირებ,
ყველამ მომიმართეთ ხელი!
ცხვარი და ძროხა დავხოცე,
არ გავუშვი ჭაკი ცხენი.
აპრილი წინ წამოუდგა,
სიტყვა ბრძანა საკურველი:
„ძველი ღორი ბევრი დამრჩა,
ახლა ახალს მივყავ ხელი,
ორ შაურათ გაგიხადეთ
კამეჩების გაგა სქელი“.
მერე მაისი დადგება,
ყველა კაცის საძირკველი;
მერე თიბათვე დადგება,
ნამგალს გაულესოთ წვერი,
კალოში კევრი შევაბათ,
თივა დავდგათ ბევრის-ბევრი.
მარიამობისთვე დადგა,
ქალებმაც იცვალეს ფერი.
ენკენისთვე რო დადგება,
მაშინ არის კალო-რთველი,

ყოველი სული გაძღება,
ქველას გაეშლება წელი.
ღვინობისთვე რო დადგება,
მაშინ ღვინო მოვა ბევრი.
გიორგობისთვე დადგება,
ქორწილები არის ბევრი,
ბიჭებს ძიელ უხარიანთ,
ქალებმაც წაისვეს ფერი.
ბებრებიც მიჩანჩალებენ:
—ჩვენ ღვინო დავლიოთ ბევრი!
ქრისტიშობისთვე დადგება,
დღე მოკლე და ღამე გრძელი [1].

1028

იანვარი მოსისინებს,
ვით რომ ენკენისთვის გველი,
ლობე, საბძელი სულ დაწვეს,
აღარ შეარჩინეს წნელი.
თებერვალი რო დადგება,
ყინვა ჩამოვარდა ძნელი [2],
გაიარა სულ დარობით,
ედო გაზაფხულის ფერი,
გოდრები წამოიკიდეს,
საჭმელს აუხარეს ხელი [3].
მარტმა ერთ კვირას უკანა
გადმოაგდო საგდებელი,
საგდებელი ასეთია,
მოიარა ტყე და ველი;
როგორც ჩვენმა პატარძლებმა,
დღით ხუთჯერ წაისვა ფერი.
ხან თოვლის ბური ტრიალებს,
ხან მზე გამოჩნდება ცხელი;
გაწყვიტა ხარი და ძროხა,
არ გაუშვა ჭაკი ცხენი.
აპრილმა შემოუთვალა:
„მარტო ნუ ხარ ჭკუა თხელი!
შენ შენი გაკვირვებია,
ახლა მოინახე ჩემი:
შენს ორხარში ფულად იყო
კამეჩების თავრიელი,
ჩემს ორხარში ბისტად არი
კამეჩების თავრიელი!“
მაისმა სთქვა: „სახლს ვაშენებ,
ჩამიყრია საძირკველი,
კაცი რომ მზეს გაუწვება,
მაშინ გაუთბება წელი“.
ეს თიბათვე მობძანდება,
ცოტად არი პურად-ძვირი:
—დამიძახეთ ვაჟკაცებსა,
ცელებს წამოავლონ ხელი,
თივა ბევრი გამითიბონ,
სამყური და ლალის ფერი!
ეს მკათათვე მობძანდება,
ყანამ მოიღერა ყელი;
—დამიძახეთ ვაჟკაცებსა,
ნამგლებს წამოავლონ ხელი.
ურემს უღელი დააკრან,
შიგ შეაბან კამეჩები,
ძნა კალოზედ მოიტანონ,
ყანა იყოს, გინდა ქერი.
მარიამობისთვეშია
სიცხე ჩამოვარდა ძნელი,

---

1) ეს ლექსი სოლომონ გულიშვილმა გვიამბო.

2) ყინვამ იკლოო.

3) საქონლის საჭმელი აღარ დაზოგესო.

ციებაც მაშინ გაჩნდება,
ცხელება მოჰყვება ძნელი.
ენკენისთვე მობძანდება,
ხილი მოაქვს მეტად ბევრი.
სიმინდები მოიჭრება,
მაღლა შედგით თივა, მტკველი.
ღვინობისთვე რომ დადგება,
ქვენახში გაჩნდება რთველი.
იწურება ყურძნის წვენი,
ღვინო არის მეტად ბევრი.
დამიძახეთ ვაჟკაცებსა.
გამორეცხონ საწნახელი,
მოამზადონ ღვინისათვის,
ქვევრებს მოუღერონ ყელი.
პატარა რომ შემყავდება,
საკლავს დაედება ფერი.
ქორწილობაც მაშინ არის,
ბიჭი იყოს, გოგო ბევრი.
გიორგობისთვის ლამენი
გძელია და მეტად ბნელი,
მაინც არა კეთდება-რა,
ქეიფს და ლხინს მივყოთ ხელი!
ქრისტიშობისა თვეშია
თოვლი მოგვივიდა ბევრი,
ტყე სულ თოვლით დაიბარდნა,
დაეკიდა თეთრი წვერი.
ძალიან წმინდა თვე არის,
ქრისტე ეხლა იშვა ჩვენი.
გამარჯვება იანვარსა,
ახალ წელსაც დაესწრენი!

## ლექსები ბუნების მოვლენებისა და მათი შედეგების შესახებ.

1029

### მიწის ძვრა

ჯავახეთელი კაცი დადიოდა, მღეროდა და ფულებს აგროვებდა. თუმცა ვერ არის მოწყობილი, მაგრამ როგორც იმანა სთქვა, მე ისე ჩავწერე.

ჩვენის ცოდვით მიწა იძრა
ქრისტიშობის ცხრამეტშია,
ბევრი მოკვდა ქალი, რძალი,
ახალგაზრდა ვაჟიკაცი.
შეკმაზული აკვნიანი,
დახატული ყმაწვილები.
ორშაბათს მოვიდა ჯარი,
ამოყარეს ბევრი მკვდარი.
დედა-მამა დასტიროდა,
უარესად—და და ძმანი.
რო დავიდნენ სამარკველში,
იქ მოვიდა წვრილი ხმანი.
საწყალ მეფემ დაიძახა:
—მამაშველეთ ჩემი ძმანი,
წაიყვანონ პატარძალი,
გვირგვინითა შეკმაზული,
ან ცოცხალი, ან თუ მკვდარი.
ოხრად დარჩა გიშრის თმანი!
წაიყვანეს პატარძალი,
ხალხსა გადაავლეთ თვალი,
მაშინვე სული დალია.

მაშინ დასწერეს გაზეთი,
წავიდა შავი ამბავი.
მესტვირე ვიყავ ნაქები,
მე ამ ლექსების მამთქმელი.
რომ გავიარე კარები,
მაშინ დამიდგა თვალები.
დამეცა ლოდის ნაპობი,
დამემტვრა მხარი, მკლავები,
ტიროდენ ჩემი ძმანები,
იგლიჯეს ქოჩორ-თმანები.
მოვიდენ ცოლი და შვილი,
იმათ ჩაიცვან შავები.
სახელად ჰქვიან იოსებ,
გვარადაც გახლავთ ბლიაძე.
—მამეცით ლექსის ქაღალდი,
ზედ მოვაწერო ხელია,
სული და ხორცი შეწუხდა,
იმათი გაყრა ძნელია.
უფალმა ღმერთმა აცხონოს
ამ ლექსის გამომთქმელია!

1030

სეტყვა

ხიდისთავს სეტყვა გროვდება,
ნაშქერი მოდის სყეტათა,
უფლისციხური მინდვრები
დასეტყვა მეტის-მეტათა.
ხიდისთავს ქვევრი მოგლიჯა,
დაუდო კარებს კეტადა.

1031

რთვილი

იმ წყეულმა იალბუზმა
გადაიყარცხნა წვერია,
კალოობა მოიყვანა,
აღარ გვაჩვენა რთველია! *)

1032

კიდევ რთვილი

უფალმა იესო ქრისტემ
ქვეყანას ხელი დარია,
მაისში რთვილი მოვიდა,
ვაი ქვეყნების ბრალია!
სულ დაგვირთვილა ვენახი,
აგვალებინა ხელია.

1033

სეტყვა

გორაზე ჩადგა ღრუბელი,
ეთამაშება მზესაო.
ახლო წავიდა ატენში.
სარებს დაუწყო გლეჯაო.
უყურეთ, ჩვენო ბიჭებო,
დედაკაცების წეწვაო!
ზოგსა წაუხდა მუცელი,
ზოგი კი გააბერწაო!

1034

ზენა ქარი

შენ ამოდი, ზენა ქარო,
უნდა ხვავი ვახორხარო,
გამოვაცხო თბილი პური,
უმაწვილები დავახარო.

---

*) ქართლში გაზაფხულზედ ვე-
ნახებს, ბაღებს, ფეხის მოსავალს
ხშირად ახდენს ხოლმე რთვილი.
ამის ბრალს იალბუზს (ბურთსაბ-
ძელსა) და რაზმითის მთას სდებენ
ხოლმე.

## ქართლის მდინარეების დამახასიათებელი ლექსები.

1035

ადიდებულა ლიახვი,
მოუმატნია მტკვარსაო,
სამკოდიანი ტომარა
თავქვე მოექანდა წყალსაო.

1036

ლ ე ხ უ რ ა

ამილახვრიანთ ლეხურას
ქვა მოაქვს და ქვიშა ბევრი,
ორი სომეხი დაარჩო,
ერთიც პაწაწინა ლეკელი.
მცხეთას საყდარი მოგლიჯა,
შიგ ბუტბუტებს ორი ლეკელი.
ზემო-ავჭალას გიახელ,
იქ სწირავდა ორი ლეკელი,
ქვემო-ავჭალას გიახელ,
იქა ვნახე ქალი ბევრი.

1037

ლ ი ახ ვ ი

ლიახვმა სთქვა: „ავდიდდები,
არაგვს არ დავედარები,
მოვალ, მოვხუე თავდაღმა,
ფეხებს არ მინდა ნალები.
ქურთაში ჩამოვიარე,
მომაქვს ოსური ტუავები,
აქებდენ ლიახვის ხიდსა,
ზედ კადავხვიე მკლავები.
ისე მოვხადე ქვევრები,
არ მოვანდომე ჩარები,
პატრონი გორაზე მირბის,
იქ მაინც დავიმალები!
ქალაქს მივუიდე მებაღეს
ფეშანგიშვილის ღარები.
მცხეთის ხიდთან რო მივედი,
შორს მივაბჯინე თვალები.

1038

ლიახვი და მტკვარი

რას მოტუტუნებ, ლიახვო,
რა ფრთები გაგიშლიაო?
მე შენზე ბევრით დიდი ვარ,
კაცი არ დამიღრჩვიაო.
ჩულურეთი და კუკია
ნარიყით ამივსიაო.

1039

მ ე ჯ უ დ ა

მეჯუდამ თქვა: „ავდიდდები,
მტკვარსაც არ დავედარები,
მოვალ, მოვხუვი თავდაღმა,
მამაქვს ოსური სკამები.
ბეგიაშვილ ნინიასა
მე დავუყენე თვალები;—
მოვტაცე კარის ვენახი,
შუაზედ დავსხი სამნები,
ხომარურიანთ კლდეს ვეცი,
ვერსად ჩავავლე ბჩხალები,
დაითუნას გოგო ბიჭებსა
გორაზედ მიველალები.
ჭაი დაითუნავ, დათუნავ!
დაგიჭყეტია თვალები!

1040

ა რ ა გ ვ ი

ყველა წყლისა უფროსია
მტკვარი, არის ხემწიფენი,
არაგვმა შემოუთვალა:
შენ ვეზირი იყავ ჩემი.
შენ სამწვადე წამაილე,
შამფურები მომაქვს ბევრი.

## ლექსები მეხრესი კამეჩების შესახებ.

1041

კამეჩო, შენი პატრონი
პატარა ოძახიანი,
წელზე არტყია ხანჯალი
ოცდა ხუთ მანეთიანი.

1042

კამეჩი ღონიერია,
უღელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება, წაიღებს,
თავისასა და სხვისასა.

1043

კამეჩო, იცი გაპარვა,
მეც მოგიგონებ ხერხებსა:
დავგრეხამ რცხილის წნელებსა,
მაგრა შეგიკრავ ფეხებსა.

1044

იცოხნის კამეჩი, იწევს,
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია.

1045

შავი კამეჩი გავყიდე
ქებითა და დიდებითა,
შევხედე ისევ მოჰყავდათ
დანძღვითა და გინებითა.

1046

ჰერჩივნა, შავო კამეჩო,
გემოთ გეძოვნა ბალახი,
ხილად და ხილად გენახა
ღართიკარი და ქალაქი.

1047

კამეჩმა ზაქი მოიგო
ურქო, უკუდო, უყურო,
ი რო გუთანში შევაბა,
უნდა დაჯდე და უყურო.

1048

კამეჩო, შენი მეხრე ვარ,
სახრე მიჭირავ ბალღამი,
ისე გაგიხდი გვერდებსა,
როგორც წითელი ჭარხალი.

1049

ჰოტუ კამეჩო, კუდაო,
ვენახს მოლობვა უნდაო.

1050

კამეჩო, შენი გვერდები.
რა უკემურად ჰბერდები.

1051

კამეჩი მყავდა ლულია,
დასცხა და ველარ უძლია.

1052

მიდიან ატეჰელები,
მოუდის ირმა ზაქები,
ყროშანეთს ეუბნებიან:
„სად დაუკვეთოთ ბაკები?"

1053

ჭოტუ, კამეჩო ლუდია.
სად დამიკარგე ჩულია?
ბალების ბოლოს დაგეგდო
ქარშიკი მოქარგულია.

1054

ჭოტუ, შე შაო კამეჩო,
შავი ზაქების დედაო,
შენი დაზდილი ზაქები
მიდიან მარილზედაო.

1055

კუდა და მარტი შაიბნენ,
კუდამ აჯობა ხერხითა,
შევიდა კუდა ბოსელში.
მაგრა დაება ფეხითა.
საკმიდან მარტი ჩასძახის:
„კუდავ, გაგხეთქავ ხვნეშითა!"

1056

(ვარიანტი)

კუდა და მარტი შეიბნენ,
კუდამ აჯობა ხერხითა,
თბილად შევიდა ბოსელში,
მაგრა დაება ფეხითა.
ბანიდგან მარტი ჩასძახის:
—კუდავ, გამოდი კარშია!
—შიგ მაისობას გამოვალ,
გადავგორდები ლაფშია!

1057

თომასეულმა კამეჩმა
ძიენ დაიწყო გელობა,
ორიოდ წელი ვათარხნე
ანეულობა, ქერობა,
შევაბით მერე გუთანში,
ძრიელ დაიწყო წვერობა*).
—რა გინდა ძრიელ მიშალოთ,
ეს არის ჩემი ხელობა.

1058

კამეჩო, მუხრანელი ხარ,
გაწევა გეცოდინება?
—მე მუხრანელი არა ვარ,
უღელი მეჩოთირება.

1059

კამეჩო, შენი შაძლება
აქ გამოჩნდება ლაფშია,
ურემი ვერ აიტანე,
ხომ ისევ დაგკრავ თავშია.

1060

სამ უღელს ხარს და კამეჩშა
გამოგარჩიე, ლომაო,
მეუღლემ ვერ გაგიწია,
მე რა ვქნა საბრალომაო?

1061

დაცხა და დადგა ლუღია,
კამეჩებს ველარ უვლია.

1062

კამეჩო, შენი პატრონი
ყელში გიურიდა დანასა.

*) ცალ უღლივ რომ გაათრევს გუთანს.

—ვაი თუ ვეღარსად შევხდე
მე კიდე შენისთანასა!

1063

კამეჩმა თქვა: სიშავისგან
ტყავი მიმიგავს ბერსათ,
ზამთრის სიცივეს ვერ ვიტან,
ზაფხულში სიცხეს ბევრსათ;
ეს ცუდი ხასიათი მაქვს,
ვერ გავეწყობი კევრსათ!
ბევრიდან კი გამომიშვი,
გინდა მაბრძოლე ძელსათ,
მალ-მალე ტბეში გამაგდე,
ნულარ მამკიდებ ხელსათ.
მგელისა არ მეშინიან,
ხროვას არ შევხვდე ბევრსათ,
ძალიან სქელი ტყავი მაქვს,
თხელი ტყავი აქვს ცხენსათ.

1064

კამეჩი კვდება ბეხია,
შეუშვერია ფეხია,
—წადი, უთხარი ჩემს პატრონს:
წაიღოს ჩემი ლეშია!
მეც მაშინ მოვაგონდები,
როცა რო წავა ტყეშია;
შეებას წვრილი მოზვრები,
იკლაკნებოდენ წელშია,
საწყალი იმის ცოლ-შვილი
იქაქებოდენ ცეცხლშია.

1065

ეტჰით, შავო კამეჩო,
რა დავაშავე შენზედა?
ზაფხულით ველზედ გაძოვე,
ზამთრით დაგაბი ბზეზედა.

1066

ცხენი პატრონს ემდუროდა,
სამდურავს ეტყვის ბევრსათ:
„შამკმაზმავდი, შამჯდებოდი,
სახრეს მირტყამდი ბევრსათ;
ჯინის ბოძზე მიმაბამდი,
არ დამიყრიდი ქერსათ,
მარტო შენა ჰქეიფობდი,
ამ ცხენს კი არაფერსათ!“

## ლექსები მეღორეზე და ღორებზე.

1067

მინდორში არ იარება
მეღორისთანა ცუდია,
დადის და დეეხეტება,
ჩამოუფხატავ ქუდია.

6068

იმერეთს ბევრი საჭმელი,
კახეთში ბევრი ღელია...
ღედაღორობა დავკარგე,
თან ბურაკობა ჭრელია.
დავდივარ დაღონებული,
გადამიგდია ყელია!

1069

შენ ჩემო ღორო ქედაო,
თორმეტი გოჭის დედაო,
საბალახოზედ გაგიშვი,
კვრინჩხების ბოლოზედაო,
ნეტავი, ღორო, გიპოვო,

მოგაჯდე ქეჩოზედაო,
მოგდო და მოგდო კომბალი
მაგ ცხვირის ნეშტოზედაო.

1070

საწყალი ბიჭი მეღორე
დაგეძებ ჩლიკებშიაო,
ნეტავი, ღორო, გიპოვო,
მოგაჯდე ქეჩოშიაო.

1071

მეღორეები ჭალასა
ზიდიან ბუილიითაო,
თავისი ღორის ფარები
დაუდით შხუილითაო.

1072

ჩემ ფეხებს, ჩემმა ღორებმა
ჩემი ვენახი თხარონო,
ზამთარში გარეთ მატარონ,
ჩემი დღე დამამწარონო,
აიღონ ერთი ვენახი,
სულ ადრე დაგვიბარონო,
უოველ წელს ას-ასი კოკა
სულ ქვევრში ჩაგვაბარონო.
ისე გახადონ ქვევრები,
მიწა არ ჩაგვიყარონო,
რაც იმას მიწა ეყაროს,
ძრიენ მორს გადაყარონო,
მეც კარგა დგინით დამაძღონ,
მინდორში წამიყვანონო,
შიშველა ფეხით მატარონ,
წინდა არ მომაკარონო.
ეს ჩემი ტანისამოსი
ღორებს შინ მეეტანოთო,
იქ გაეთხაროთ სათვლავი,
ზედ მიწა მიეყაროთო.
ბეებოს ჩემსა პატრონსა,
იქ ღვდელი აეყვანოსო,
იქ სათვლავი ვერ აკურთხა,
ჩვენ როგორ მივებაროთო?

ლექსები მეცხვარეზე და ცხვარზე.

1073

ცხვარო, შენსა ბატკნობასა
ბევრჯელ შეჰქენ ნავარდები,
შინ დაგაგდებ, შიმშილი გკლავს,
თან წაგიყვან, დავარდები.

1074

ადექი, ცხვარო წავიდეთ,
თორემ ნადირი მოდისო,
აგერა ჩვენი პატრონი,
შეღონებული მოდისო.

1075

დიცის მინდორზედ ცხვარი მყავს,
მგელი მამიხდა, ვჭყიოდი,
სადა ხარ, ჩემო ქამანჩავ,
მამასახლისთან ვჩიოდი.

1076

მეცხვარეები ჩიოდნენ:
„ცხვარი დარჩა ნართაული,
ღამე ძილი არა გვძინავ,
ქვაა ჩვენი სართაული!“

1077

ღმერთო, სათქმელი ბევრი მაქვს,
მაგრამ არ მაძლევს ხელსა,
მეცხვარე ვარ, ცხვარს ვაძოვებ,
ბატკანს არ მივცემ მგელსა.

## ცხოველთა შესახებ.

1078

მგელმა სთქვა: გუშინ გორს ვი-
ატენს ავიდე ვალია, [ყავ,
გადავიხედე ვენახში,
დამწიფებულა ბალია,
ატამი გაყვითლებულა,
ყურძენს შესვლია თვალია;
გავხედე ჩემსა ძმობილსა,
გადმოეშალა ცხვარია,
დავთვალე, მეტი მოყიდა
და ის ურჯულო თხანია,
მე და თხა დავიტაკენით,
თხამ დაიძახა „ვაია!“

1079

მ გ ე ლ ი

მგელმა სთქვა: „ქორწილს ვაპი-
ღვინო ჩავასხი ნასეტყვი, [რებ,
წავალ, მეცხვარეს ცხვარსა ვთხოვ,
ციკანს მამცემს, თუ კრავს მეტყვის.
არ მამცემს, ძალად წავართმევ,
თუ იტირებს და ბანს მეტყვი.

1080

ვაჰ დედას ჩვენის მტრისასა!
თაგვნი ყანასა მკიანო,
მოგროვდებიან მელები,
კუდებით კალოს გვიანო,

1081

ატირდა დათვი, ატირდა,
რისთვის დავაგდე მთა-წყალი?!
შემომელია საგზალი,
მუცელმა იწყო ჯანჯყალი;
გავედი ოხერ მინდორსა,
მე არა მყამდა სარდალი.
დამიხვდა წინ კიკოლიკი,
ტანად მორჩილი დაბალი,
ვეცი და ქვეშ ამოვიდე,
შევხუთე ყეძო-ბარკალი.
—არიქათ, მოეშველენით,
ობოლია და საწყალი!
კარს შემოუნთეთ ცეცხლები,
თავს წამოხურეთ საბანი.
ჩქარა მოგვარეთ ექიმი,
თორემ მოუსწრებს ზამთარი!

1082

დათვმა სთქვა: „სიზმარი ვნახე,
რაც რომ თავს გადამხდებოდა,
წითელ-პერანგა ბიჭები
თოფ-იარაღში სხდებოდა,
ასეთ კლდეზედ გადამაგდეს,
ყვავი ვერ ჩაფრინდებოდა,
შიგ დადგა სისხლის მორევი,
ნავი ზედ მოცურდებოდა.

1083

ხოვლეში სამი რწყილია,
გასუქებულან ხრილითა,
ისეთი გასუქებულან,
დობეს ამტვრევენ კბილითა.

1084

მთაში არიან ირმები,
იქ იკეთებენ ბინასა,
ჩამოდიან, თამაშობენ
სალამოსა და დილასა.

1085

თაგვეპისა და კატის ომი.

ქრისტე ღმერთი რომ მობძან-
ხუოდა მთა და ბარია, [და,
თან მოჰყვა ანგელოზები,
უკრეს ბუკი და ზარია.
თაგვთ დაებადათ ხემწიფე,
დაარქვეს კანათვარია*).
სამარხუები მოზიდეს:
თხილი, ჩირი, კაკალია,
ზედ შემწვრები მიაყოლეს,
ზეთის ფლავი და ყალია.
ქვეიდან კაცი მოვიდა,
უცხო და უმეცარია,
თან მოიტანა ამბავი:
—ითხოვე ჩემი ქალია!
ძიენ გაჯავრდა აბეზარი,
გაყარა ცეცხლის ალია:
—რად გვინდა ჩვენ კატის ქალი,
ის ჩვენი მოსისხარია!
ახლა თაგვმა სთქვა: „რად გვინდა
ეს ამოდენა ქონება,
უნდა აბეზარი დავესხათ,
რაც ხმელეთს ჩვენი ჯარია,
ქვეყნები ისე დავიხაროთ,
როგორც რომ ნათუძარია“.
ახლა კაცი ჩაუვიდა:
„დაგვესხა თაგვის ჯარია,
უნდა ქვეყნები აიკლონ,
როგორც რომ ნათუძარია!“
გაწყრა, გაჯავრდა აბეზარი,
გაყარა ცეცხლის ალია:
„გარშემო შემოუარეთ,
გარს შემოუგდეთ წყალია,
დილას შაიტყობს ორშაბათს
ვის ცხენი უფრო მალია?
დილა გათენდა ორშაბათ,
რა საომარი დარია!
ამტვრიეს ფარი და ხმალი,
რა მშვილდის ქარიშხალია!
სჭრეს და სჭრეს თაგვის ლაშქარი,
სისხლისა ნიაღვარია!
აგრე გაკაფეს აბეზართ,
როგორც ქუდუნა მხალია,
და კანათვართან მივიდენ,
ველხინოს სატკივარია!
ამოიღო და შემოჰკრა
ის თავის გორდა ხმალია.
სულ ერთმანერთში გაართხო
ძვალი, რბილი და ტყავია.
კაცი მიუვა პეწენიკს*):
„მოგიკლეს კანათვარია!“

---

*) ნართაულად—თხუნელა.

*) ნართაულად—თრითინა

—ჩემს კანაფარს რა მოჰკლავდა,
თუ არ მიუგდეს წყალია?!
მაშ ლაფვორთიხინს დამიბარეთ,
ლაღი, მუხლმალი, ჩქარია.
უნდა გავგზავნო ინდისტან,
იქ უკვდავების წყალია!“
ლაფვორთხინ ჩაძვრა მარანში,
მაგრა დაკეტა კარია.
—როდი მევლება ინდისტან,
თუ არა სწვიმს ავდარია!
მანამ წავა და მოვა ის,
მოგვიკვდეს კანაფარია!
და კანაფარის სიკვდილით
დაბნელდა მზე და მთვარეა! *)

1086

(ვარიანტი)

შეიკრა სუსნელობითა,
შაიკრა მთა და ბარია.
თაგვსა კაჟი დაებადა,
დაარქვეს კანაფარია.
დალოცეს და ტახტზედ დასვეს,
გარშემოარტყეს ხმალია,
წინ სუფრა გამოუშალეს,
ია და ვარდი ჰფენია.
ზედ პურები ჩამოყარეს,
ყაბაზის გამომცხვარია.
შეიბნენ ციცა და თაგვი,
გადაჰქდის ნიავქარია.

---

*) ეს ლექსი ისაკა დალაქიშვილის ნაამბობია.

1087

მელიას ბედი.

ესო. მესო,
მელა ჩიოდესო:
—გამიგდეს და გამომიგდეს,
სოროს შამაგდესო,
შამაშიბოლესო,
შიგ გამომალრჩესო,
კავი შემოუყვესო,
გამომათრიესო,
შინ ამიტანესო,
მალლა დამკიდესო,
ჩამომატყავესო,
ურემს დამიდესო,
ქალაქს წამიღესო.
ამატარეს, ჩამატარეს,
ივასი ძლივს დამდესო.
წვრილად დამწუწესო,
ქაიიბს დამიდესო!

1088

მელიას ნადირობა.

ორშაბათ დილა გათენდა,
—რა ავი დარი დგებათ!
ეს ჩვენი წუწკი მელია
სათმრად ემზადებათ.
სორუები დაუთხრია,
საცა მამალი ჯდებათ.
მამალმა უთხრა: „ვერ შემჭამ,
ყელს ძვალი დაგადგებათ.
ერთს ისეთს დავიჭყრიალებ,
ჩემი პატრონი ადგება,
თოფი უჭირავს სიათა,
მეხივით გამოვარდება!

—„მეც ვიცი მისი ამბავი,
რა კაჟიკაციც ბძანდება,—
თოფი უჭირავს საათა,
ჩახმახიც ჩაუჟანგდება,
მუგუზალიც რომ დაადოს,
მაინც არ გაუვარდება!“

## ფრანგელების შესახებ.

1089

ძერა და კრუხი.

დაილოცე, გაზაფხულო,
ყველამ ამოიდგა ენა,
შაშვი ღობეზედ შემოჯდა,
იან დასძახა ნელა-ნელა.
ხევიდამ წამოვა ძერა,
კრუხს სალამი მოახსენა:
„გამარჯობა, კრუხო შენა!“
—შენი სალამი არ მინდა,
ნეტა გამეცალო შენა!
—ნაპირას რო წიწილა ზის,
უნდა მომცე ხელდახელა!
—ჩემი პატრონი გაიგებს,
თოფი ფეხზედ დააყენა.
—მე იმის თოფი ვერ მომკლავს,
თუ არა მაქვს ბედის წერა.
ძერამ წიწილა წაიღო,
ქვევიდამ გამორბის მელა,
მე და ძერას შემოგვხედეთ.
წიწილა წავიღეთ ჩვენა!
ძერა კლდეზედ შემოჯდება.
ქვევიდამ შესცქერის მელა,
ეს მონადირემ გაიგო
მწევრები ზედ წააყენა;
გასწიეს და გამოსწიეს,
ზურგზე ბური დააყენა!

1090

ძერამ წაიღო წიწილა,
კრუხმა ვერ უყო ჩხუბია,
თუ მე ეს შენ შეგარჩინე,
ჩემი სილაჩრე ცუდია.
თავს დაიხურა ჩაჩქანი,
ვით რო ბოხოხი ქუდია,
წელს შემოირტყა ხანჯალი,
ხელში აიღო შუბია.
ზევიდამ ძერა მოვიდა,
ძირს გაიმართა ჩხუბია.
კრუხმა სცა ხმალი ფრანგული
წავიდა სისხლის გუბეა.
იხმარეს შუბი და ფარი,
ლახტების ტკაცა-ტკუცია.
ძერამ თქვა: „წავხვდი სილაღით,
თვალი შემექნა ბრუდია;
მთას დამრჩნენ წვრილი ობლები,
ინით ნალები ბუდია.
ისინი დაიზდებიან,
იმათი კანჭიც ბრუნდია!

1091

მინდორში დაიარება
ერთი პატარა ალალი,
უყურე, როგორ თამაშობს,
ერთი მტკაველი არ არი!

1092

ჭარია, მაღლა დარია,
ქორმა წაიღო ვარია.
წამოდი, გავაგდებინოთ,
ცოცხალთა, თუ მკვდარია.

1093

საწყალი მტრედი ქედანი
შორს წავა საბუდარადა,
ჩამოვარდება, მოკვდება,
გახდება საჩხუბარადა.

1094

ალალის შიშით ვერ წავა
ტორუა ჯვარობასათ,
წავა და ველარ ჩამოვა,
იქ იტყვის გალობასათ.

1095

(ვარიანტი)

ალალის შიშით ვერ წავა
ნიბლია ჯვარობასათ,
თუ წავა, გაიპარება,
მაღლა გაეკვრის ცასათ.

1096

(ვარიანტი)

ალალის შიშით ვერ წავა
ნიბლია ჯვარობასათ,
თუ წავა, დაიგვიანებს,
დაიწყებს ჯავრობასათ.

1097

ყ ა რ ა ნ ა*).

ყანაშია ყარანათ
ტურფად გასუქებულათ.
წავალ, ყარანას დავიჭერ,
თოკ მოვაბამ ყელზედათ.
შევჯდები და შეჯაგოგებ
ამ პიტალო კლდეზედათ.
წინ კაცი შემეყარება:
„გამიცვალე ცხენზედათ“.
—ყარანას მაინც არ მოგცემ,
ორი მომეცე ერთზედათ!
ამოვიღე და დავკალი
თათრის მოედანზედათ,
ფრანგული ცული გავტეხე
იმის ყელის ჭრაზედათ,
ფრანგული დანა გავტეხე
იმის ტყავებაზედათ.

*) პატარა მინდვრის ჩიტია.

1098

თეთრი ქათამი.

თეთრო ქათამო,
საით მიჰფრინავ?
—რაჭას მივფრინავ, ბატონო!
—რაჭას რა გინდა,
თეთრო ქათამო?
—ყაჭის საყიდლად, ბატონო!
—ყაჭი რად გინდა?
—სიძეს მოვიყვან.
—სიძე რად გინდა?
—შეშას მომიტანს.
—შეშა რად გინდა?
—ცეცხლს ავიბოლებ.
—ცეცხლი რად გინდა?
—წყალს ავიდუღებ.
—წყალი რად გინდა?
—თავს მოვიფუფქავ!

1099

ბატო, ბატო, თეთრო ბატო,
ეხლა რაღა მოგიმატო?
ე ბუმბული მაინც მომეც,
ე ოხერი თავი დავდო!

## ლექსები მგლებზე და მგლებისაგან მოტანილ ზიანზე.

1100

გლახას ცხენი მგლებმა გამოხრეს.

გლახამ რომ ცხენი იყიდა,
დაჭედილი ნალიანი,
ეს სოფლები მაატარა:
კავკავი და ვარიანი.
ატამი ბევრი აჭკიდა,
ახალდაბას გადიყვანა.
ცხენმა ჩიჩვირი დაჭკიდა,
წყლის პირას რომ მიიყვანა.
აიღო თოკი, აფშარა,
გორისკენ გამოაჩქარა.
აგერ მაღლა გორაზედა
სამი აუშენდილი მგელი
ერთმანერთს ეუბნებიან:
„აგრა ჩვენი გლახას ცხენი!
ზოგმა წინით მოუაროთ,
ზოგმა ძუას გავკრათ ხელი.
ასე გავუხადოთ ზურგი,
როგორც შავი სამოსელი!
პატრონს კაცი გავუგზანოთ:
აღარ გინდა თივა, ქერი!“

1101

მ გ ლ ე ბ ი.

ხო იცი ვერხნული ჭალა,
როგორი წვრილმანი არი.
იქ დამიხვდა სამი მგელი,
სამ-სამი კვირის მშიერი.
მეოთხე უკან მოსდევდა,
კბილებს გაჭქონდა ყღრიალი.
აცა, მგლებო, მე ვერ შემჭამთ,
არა ვარ ოხერ-ტიალი! —
მამა მყავს—ბატონთან არის,
ბიძა მყავს—ისიც იქ არი.
იმდენსა თოფებს გესვრიან,
რამდენიც კვირა დღე არი.

1102

ბატონი ბირახი (მგელი).

ბირახმა ჩამოიარა
თავისი დიდი ჯარითა,
მურია გამოუვარდა,
როგორც ხემსური ფარითა.
მურია წამოიყვანეს
ყმუილითა და ზარითა.

1103

ამასაც მგლებმა შეუჭამეს ცხენი, თუმცა ღმერთს ჩააბარა.

ქალაქიდან წამოველი,
ჭალაში გავაგდე ცხენი,
მოსაძებნად რომ წავედი,
ვერ ვიპოვნე მიღრი ცხენი.

მერე ღმერთსა ჩავაბარე:
„ამანათი იყოს შენი!“
ღმერთი მწყემსად არ დამიდგა,
გაუჩინა ათი მგელი.
სამმა ცხვირი დაუჭირა,
ექვსმა გავას გაჰკრა ხელი,
ერთი წელზე მოჰქცევია,
ის მეათე დიდი მგელი.
ისე გაუხდიათ წელი,
როგორც ლურჯი სამოსელი.
პატრონს კაცი გაუგზავნეს:
—„აღარ გინდა თივა, ქერი!“
—ვაიმე, ცოლო და შვილო,
ახლა გამოგზჭერით ყელი!

1104

ამასაც ნაქირავებელი ცხენი
შეუჭამეს მგლებმა.

შინდისში მაყრად წაველი,
მეზობლის ვითხოვე ცხენია,
შევჯექი და შევაჭენე,
ის ოხრად დასარჩენია!
ერითავზე რო გადავველ,
ღამე შეიქნა ბნელია.
ქაჯებმა შექნეს წრუწუნი,
იმაზე შეფთხა ცხენია,
შეტლინკდა და გადმომაგდო,
როგორც ტომარა ძველია.
—წადი, მოგიკვდეს პატრონი,
ებები შეგხვდეს მგლია!
შინდისში რომ გადაველი,
იქ იყო ორი ღვდელია.
ქალები იმას იძახდენ:
„ე ბიჭი ბევრჯელ გვინახავ,
რათა სძე ცუდი ფერია?“
ავდექ და წამოველია,
გზაზედ ეჭიმა ტყავია.
ავიკიდე, წამოვიღე,
გასურსული და სველია.
პატრონიც უკან მომდევდა,
ხელში ეჭირა ჟვერია*).
- შე წუწკო და საძაგელო,
რა უყავ ჩემი ცხენია?
—განა აღარ იშოვება
იმ შენი ცხენის ფერია?
იმ წამსვე ვალში ჩავდექი,
გამოვიჭერი ყელია.

## ლექსები კალიისაგან მოტანილ ზიანზე.

1105

კ ა ლ ი ა.

ორიოდ დღის ყანა მოვხან,
სულ ამოვწყვიტე ხარია,
რაღაც რამ გვალვა დაუდგა,
ქერმა არა ქნა ტანია,
ავდექ და ლიახვზე წაველ,
მოვჭერ ცხრა ადლი ლარია.
ჩავდექ და მაგრა შევკარი,
გამოვიყვანე წყალია.
ორშაბათ დილა გათენდა,
ნამგალს დავასხი ტარია.

*) კეტი. გურულათ ფოთლიანი შტო ხისა.

ჩავიჩანჩხარე გვერდაზე,
ჩამოსეულა კალია.
სულ ერთიან იქ წავასხი,
სოფლის ქალი და რძალია.
ერთი პატარა იეფში მაქვს,
ისიც იქ ჩავიტანია.
მალ-მალე დავაწკარუნებ,
ეგებ წავიდეს კალია.
გაბრუნდა და გამობრუნდა,
როგორც ლილოზე ცხვარია!
ვენახში გადაყიარე,
მოვწყვიტე დიდი სარია,
დაუქნიე და დავკარი,
მოვწყვიტე ცალი მხარია.
ალმასივით კბილი ჰქონდა,
ღმერთო, შენ დაგვიფარია!

1106

დიდება და მადლი მკლავსა,
რო ბძანება იქნა ღვთისა!
კალია რო გაგვიჩინა,
კბილი მისცა ალმასისა.
ყანები სულ შეგვიჭამა,
ერთი აღარ დარჩა ძირსა.
საქონელი სულ გაგვიწყდა,
ეჭიდება ნარის ძირსა,
მთას ნადირი აღარ დადგა,
ბარად ჩამოვიდა ძირსა!

1107

ერთხელ კალია გაგვიჩნდა,
ხემწიფემ შეკრა ქალაქი,
ქვაბები სულ დაგვიბეჭდა,
აღარსად არი არაყი.
ჯერ წაგვიხდინეს ყანები,
მერე მოძოვეს ბალახი.
ძროხამ ველარ მოიწველა,
ვერ ამოიღეს კარაქი.

## ნარევი.

1108

ჩემი ამბავი

მე რო ჩემს ამბავს მოგიყვე,
სულ ენით დასათვლელია,
ტყე და მინდორი მე დამრჩა,
ჭალა და დიდი ველია.
ბევრი ვალების წყვეტაში
გუნება გადამელია,
ბოლოს დავენიშნე საბუა,
არ გავახარე მტერია,
ლადუა გადამეკიდა—
აალებინე ხელია.
ქვევრები სულ ამოცალეს,
რაზედ გამიშრეს ყელია.
წადი და ლალო, მიჩივლე,
გორს დიდი სამართალია,
არ მოიყვანო პრისტავი,
არ ამიწყერო ცხვარია.
შუაკაცები დავისხათ,
ვიანგარიშოთ ვალია.
სახლი რო ავიშენევი,
ჩემთვის შევაბი კარია,

ფანჯრები დავატანევი.
არ გაუწირე ბანია!

1109

ზ ე მ ყ რ ე ლ ო.

ზემყრელო იმას იძახდა,
ვერ მოვისვენე სულითა,
ერთხელ მისასა ვცემე,
გია ვიფრინე ცულითა.
ნინუას ალაგი მივე,
სახლი დაიდგა ფულითა.
ჩვენს მაღალს ნაკოასა
ვინა სჯობია ჭკუითა!
ხარ და კამეჩი კარგი ჰყავს,
აღელვებულა ფულითა.

1110

თამარაშნელი ქაბუკი.

თამარაშნელი ჭაბუკი
ასპინძას ქალსა ჰყვარობდა,
ტბა ჰქონდა წინად სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა.
ცალ ხელში ჰქონდა გედაზი*),
შედის და ნიავქარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა.
ერთი სულძაღლი ბებერი
აქრობდა, აბეზარობდა.
თან ამას ეუბნებოდა:
„წინათაც ეგა გუვარობდა!“
ჭაბუკი მორევმა დათქა,
მორევი ბორბოქარობდა!
წითელი მოდის პერანგი
ზევიდამ დაჰფარფარობდა;
წაიღო, მშრალზე გარიყა,
ზედა ზის ორბი, ხარობდა!

*) დიდი დოლაბი.

1111

გალმიდან კაცი იძახის:
—მე ვარ კიკნაძე ბერიო!
სამას ულელო ხარი მყავს,
სულ ნიშა, მურა, ჭრელიო,
სამასი პირი ცხვარი მყავს,
თან მოაქვს მთა და ველიო,
სამოცი სული ძროხა მყავს,
სულ ღილით დასაწველიო,
სამოცი პატარძალი მყავს,
სულ საუდარს გასაყვანიო.

1112

ს ი ზ მ ა რ ი.

—ალვი ხე რო წამოიქცა,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, შენი ტანი არის,
ვაჰ შენ დედასაო!
—იმას ტოტები ემტვრევა,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო შენი მკლავებია,
ვაჰ შენ დედასაო!
—გაზს რო ფურცელი სცვიოდა,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, შენი ქოჩორია,
ვაჰ შენს დედასაო!
—ლურჯი წყალი მოდიოდა,
ნეტავ, დედავ, რაო?
—ის ხო შენი ცრემლი არის,
ვაჰ შენს დედასაო!
თან კიდობანი მოჰქონდა,

ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, შენი კუბო არის,
ვაჰ შენს დედასა!
—შიგ რო ვერცხლის თასი იყო,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, შენი სახე არის,
ვაჰ შენს დედასა!
—ზედ რო მარგალიტი ჰყრია,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, შენი კბილებია,
ვაჰ შენს დედასა!
—ეზოში რო ძროხა ბღავის,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, დედა შენი არის,
ვაჰ შენს დედასა!
—ტყეში ირემი ჰყვიროდა,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, მამა შენი არის,
ვაჰ შენს დედასა!
—თონე ხურს და ალი ბრუნავს,
ნეტავ დედავ, რაო?
—შვილო, შენი გვამი არის,
ვაჰ შენს დედასა!
—ზღვასა სარტყელი მოჰქონდა,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, შენი სული არის,
ვაჰ შენს დედასა!
—ერთი ფლასტე ჩანგრეულა,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, შენი სამარეა,
ვაჰ შენს დედასა!
—კაცები რო მეხვევიან,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, მაყრები მგონია,
ვაჰ შენს დედასა!
—წინ რო დვდელი მიმიძღვება,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, მეჯვარე მგონია,
ვაჰ შენს დედასა!
—ყელზედ გველი მომეხვია,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, ის შენი ცოლია,
ვაჰ შენს დედასა!
—ჭინჭველა რო დამეხვია,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, შენი შვილებია,
ვაჰ შენს დედასა!
—თავით რო ქვები დამიწყეს,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, კალმეხის ქუდია,
ვაჰ შენს დედასა!
—ფეხით რო ქვები დამიწყეს,
ნეტავ, დედავ, რაო?
—შვილო, ჩექმები მგონია,
ვაჰ შენს დედასა!

1113

—გოსტიბეს კვარიაშვილი
აშენებს სარაიასა,
ბერიკაცო, ცოლი მამე,
ჩაგიცმევ დარაიასა!
—თუ გამიცვლი და გაგიცვლი,
სართის მოგცემ ყარაიასა,
თუ არა ჩაცმა-დახურვას
არ ვაკლებ ქალაიასა.

### 1114

ახალგაზდა და ბერიკაცი.

შენ ბერი ხარ, ვერ აჰდგები,
მე შინ შემოგივარდები,
გამოგივლი და წიხლს ჩაგკრავ,
კარში გამოგივარდები.

### 1115

კედელს ვაშენებ,
ურიგებ ქვასა,
წელზედ შემოვიკრავ
ჩემ ფრანგულ ხმალსა,
გზაში დაგიდგები,
მოგიკლავ ქმარსა!
სულ შენზედ ვატირებ
მთასა და ბარსა,
ტყესა, მინდორსა,
მწვანე ბალახსა,
ხელში მოგცემდი,
შავსა ნამგალსა!

### 1116

ისაია ლეკრი იყო,
ქართველების ბათალია,
გორში ქირა დაიჭირა,
იყო შუა ზამთარია.
ჩუღურეთში რომ ჩავიდა,
დაიჭირა ქათამია,
ფეხები მაგრა გაუკრა,
მალხაზა კი მზათ არია.
მეიდანზე გაიყვანა,
შეხვდა ერთი თათარია.
—ე ქათამი როგორ არი,
ფასი დაჰდე მართალია!
—ერთი წყვილი დოში იყო.
ერთი წყვილი სათალია,
თუ ასი ტყუილი იყო,
ერთი სიტყვა მართალია.

### 1117

აკრატელი-მაკრატელი,
მე ვარ კოკროჭინატელი.
ცხენი მყვანდა ცხენ-ჭედილა,
უნაგირი შეჭედილა.
თუ ის ცხენი მამიკვდება,
სამ წელიწადს პურს არა ვჭამ,
ხოხბის მეტსა, კაკბის მეტსა,
გამტკიცული შოთის მეტსა.

—

ჩავიარე ბაზარშია,
ქალი იჯდა ჩარდახშია.
ქალსა ვაშლი გადავუგდე,
ქალმა ვაშლი არ ინდომა,
მაქრის შუშა მამინდომა.
მაქრის შუშისა პატრონმა
ძაღლი დამისისინა:
—გადი, გადი, შე ოხერო!
ბაზუანთან მივდივარო.
ბაზუამა ცხენი მომცა,
ავაჭენე, ჩავაჭენე,
ქუსრეული მოვაჭენე.
ქუსრეულის ბოლოზედა
ჯორი სძოვდა ყანასა.
—ჯორო, ყანა ვისია?
—ასისა, ბასისა,
გალმაური კაცისა.

—

აგრე მოდის თათარი,
შოაქვს დოში, სათალი,

აბულაბული ქათამა
თრღობეში ჩაგკალი,
დავით ნეფეს გაზუგზანე
იმის კურტუმ-ბარკალი.
წყალში ფეხი ჩამიყარდა
წინდა-ქალამნიანი,
ჩავყავ ხელი, ამოვიღე,
ორაგული ფთიანი.
ისიც ნეფეს გაზუგზანე,
მუშამ შექნა ღრიალი *).

## 1118

### პური, ღვინო და მჭადი

პურმა სთქვა: „მე ვარ ქებუ-
სუფრაზე ჩარიგებული, [ლი,
უჩემოთ არვინ არ გარგა,
არც მეფე, არც დიდებული,
ყოველგან მოხსენებული,
სადაც არიან კრებულნი;
მკვდრისადა ცოცხლის ნუგეში,
მღვდლისაგან მოხსენებული,
ვარ უფლისაგან ნაკურთხი,
ნაწილში ამოღებული;
მეტადრე მშიერისათვის
ვარ სულით განათლებული“.
ღვინომ სთქვა: „მეც ვარ ქებული,
სუფრაზე ჩარიგებული,
უჩემოთ კაცი არ გარგა,
თუ არის მირონ-ცხებული;
ჯირგემოვნება კარგი მაქვს,
სახით ვარ გამშვენებული;
უჩემოთ ლხინი არ გარგა,
ქორწილი შემოკრებული;
მკვდრისა და ცოცხლის ნუგეში,
მღვდლისაგან მოხსენებული;
ვარ უფლისაგან ნაკურთხი,
წირვაზე შეზავებული;
კაცს მოვაშორებ ცოდოსა,
თუ კი ვარ შემზადებული;
სიკვდილის დღეს საგზათ ვარ,
თუ მიდის გამზადებული“.
მჭადმა სთქვა: „ერთსა მეც ვიტყვი,
მეც მოსავალში ვწერივარ,
პურთან კი არ დავედრები,
არც პურთან დასადრელი ვარ,
მე არც არავინ მაკურთხებს,
არცა ნაწილში ვწერივარ,
მთოხნიან, ძირს მიჩიჩქნიან,
წვალებით მოსავლელი ვარ.
ქართლელი კაცი არ მყუარობს,
არცა მაცხობენ ფეჩშია,
იმერლისთვის ვარ ცხონება,
რო გამომაცხობს კეცშია,
გურიაშიაც მაქებენ,
გავდივარ აფხაზეთშია,
ყველგან ვარ წარჩინებული,
სრულიად იმერეთშია.
იქ თავალით არ გამიცდიან,
იმ ოხერ სათავადოში,
ამ ქართლს რადა დაუშავე,
მაგდებენ თონის ცეცხლშია,
ლხინ-ქორწილს არ მაჩვენებენ,
არც წამიღებენ რთველშია,

*) ეს ლექსი ჩამაწერინა პეტრე საათაშვილმა, სოფ. სკოლის მოწაფემ.

ვინაც ღარიბი კაცია,
გუდით დაჰყევვარ ტყეშია,
მშიერი კატა კი მნატრობს:
„ნეტავი მომცა ხელშია“.
თუ ახლათ გამომცხვარი ვარ
ტკბილათ ჩავიგდი ყელშია *).

1119

საწყალი დედაბერი.

საწყალი დედაბრისასა
თაგვნი ყანასა მკიანო,
დევნი იქმოდენ ულოსა
და გმირნი შეუკვრიანო.
კურდღელი მოურავია,
სამეულებსა სთვლიანო.
ირემი ურემს აბია,
კალოზე ძნასა ჰყრიანო.
მგელნი კალოში შეჰბათ,
რა ტურფად დაუვლიანო!
მგელი წისქვილში გავგზავნოთ,
უჯეროთ დაგვიფქვიანო.
სალამოთ მოვლენ მელები,
კუდებით კალოს ჰგვიანო.
წეროჩი ანიავებენ,
ბატები აცხავიანო.
ტრედი ჩააკრავს თონეში,
კვრიტები ამოჰყრიანო.
ტოროლა ცაში გავგზავნოთ,
ფრინველნი ჰპატიჟიანო.
მყვარდენი და გავაზი
ზემოთავს დასხდებიანო.

ჩვენ ჩხიკვსა, მადლსა, ნუ გვიწყენ,
სუფრასა აგვიშლიანო *).

1120

იმ სატიალო გუდეგსა
იქ რალა მიმაშურებსა?
სახლში ამბავი დაუგდე:
—ბლომად მოვიტან ფულებსა!
ქუთაისს გავხდი ავადა,
ნაბადი წამახურესა.
ციება შემომეჩვია,
გამომიბერტყამს ყურებსა,
ცხრა დღე და ღამე იქ ვიწექ,
გავყე გალმამხრულ ურმებსა,
შევხედე ჩემსა ხარებსა,
წელებში დაკაკულებსა!
შავი კამეჩი დამდგარა,
ნიკორა იქნევს ყურებსა.
ეს რომ ჩემმა ძმამ გამიგოს,
ძალიან მომინდურებსა,
მაგრამ ვენაცვალე ღმერთსა,
გუნებას მოიბრუნებსა,
გამართამს კარგათ ურემსა,
ქალაქში გაგვისტუმრებსა.

1121

ქალი მიდის ხელთუბანსა,
ხელში მაძლევს ერთ თუმანსა.

1122

სიდედრი მყავანდა იელი,
სიმამრი ქასქანჯიელი,
ცოლი მყავანდა კუდიანი
არც მე ვიყავ ქრისტიანი.

---

*) აროზელი გლეხი ხატიკაცის-ვან გაგონილი.

*) ვანო მეზვრიშვილის ნაამბო-ბია სოფ. პატარა-გარეჯვარში.

1123

მაღლა იხვი მოფრინავდა,
მოატანდა დაბლა ქორსა,
ერთი კაცი ჭურსა სჯამდა,
ზედ იყრიდა თამბაქოსა!

1124

კაბდომ იცის სამართალი,
მაღალ-დაბალს გაასწორებს.
დედა ჩემი ძროხებს დასწველს,
ხბორებს როდი მოაშორებს.

1125

ხილსა რადა ხდით საუბრად,
არცარა საუბარია,
რომელი ხილიც არ ისხამს,
მებაღეს მიაბარია,
ის ძალით არას მოისხამს,
რასაც მოისხამს, მწარია.

1126

ალმასად ღირხარ იმდენად,
რაც ჴმელეთს შეეწონება,
შენი სიტყვა და პასუხი
სულყველას მოეწონება.

1127

ერუსალიმს მიმავალი
ეუბნება გზაზედ ბერსა:
„შენი სულის ცხონებასა,
არას ეყვის ბერი ბერსა?“

1128

ე ღვინო დაგვალეინე,
ქათალიკოზო ანტონო!
—როცა ეს გაგვითავდება,
მაშინ რაღა ვქნათ, ბატონო?

1129

საკიდელი რომ გაწყდება,
ქვაბი დაბლა დავარდება,
ქოთანი რო წაიქცევა,
შეჯამანდი დაიქცევა.

1130

ბევრი ვეცადე, ვერ დავწნან
გოდორი ეჟმანიკისა,
ვერც გამოვაბი მას ყური
გამხმარი კოწახურისა *).

1131

ამოსავლეთი დაინგრა,
ჩასავლეთია მზისაო,

---

*) ერთ ქვეყანაში ჩვეულებათ ჰქონიათ: მამა რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდეზედ დააგორებდნენ. ერთი კაცი ჰხედავს, რომ იმისი შვილი გოდორსა წნავს.

— რათ გინდა, შვილო, გოდორიო,—ჰკითხავს მამა.

— შენთვისა, მამა, უნდა ჩაგსვა და დაგაგოროვო.

— შვილო, ეჟმანიკის გოდორი დაწნან, მალე არ გაცვდება, არ დაიმტვრევა და შენს შვილსაც აღარ დასჭირდება შენთვის ახლის დაწვნა, ძველი გამოადგება შენს დასაგორებლადაო. შვილი დაფიქრდა და დაანება გოდრის წვნას თავი. მამამ ნახა, შვილი გოდორს აღარა სწნავს.

— რა ჰქენ, შვილო, დასწნან თუ ვერაო?

მაშინ ამ ლექსით უპასუხა შვილმა.

სიტყვა კეთილად ნათქვამი
არ დავარდება ძირსა.

1132

დღეს არ იყოს, ხვალ არ იყოს,
ტივი ნაპირზედ გარიყოს,
ე უფულო სოვდაგარი
გინდ იყოს და გინდ არ იყოს!

1133

ცუდია ბერვა გოდრისა,
მეტადრე ულესელისა!

1134

ულელი ხარის პატრონი
ვერ წავა ჯვარობაშია,
თუ წავა ჯვარობაშია,
დარჩება შუა გზაშია.

1135

საკვირველი მოვიხილე:
დაბლა იხვი მიაქვს ქორსა,
ერთი კაცი თავს იპარსავს,
იყო სამოცი წლის ქოსა,
ერთი კაცი თავლსა სჭამდა,
ზედ იყრიდა თამბაქოსა!

1136

იმერეთს რად გამათხოვე,
შენ ჩემო კარგო მამაო,
იქ მამკლა ღომის ჭამამა,
სად ხარ, თეთრო ბაბაო!

1137

ჩვენ ნეფეს გაუმარჯვნია
პაზალეთისა ტბაზედა,
მოუკლავს ხარი ირემი,
გადუკიდნია მხარზედა.

1138

ლობიო და ლოლო.

თაროდგან გადმოხტა ლოლო,
ლობიოს წამოჰკრა ბოლო:
— შენ უნდა კაცი გაბერო,
გოგრასავით გააგორო!
- მაგას როგორ მეუბნები,
შე შავო და ოჯახქორო!
უნდა ნიორი დაგასხან,
მერე კაცი ააყროლო!

1139

ჩემი საყმო და მამული
სულ შენთვის მომირთმევია,
გებრალეებოდეს ღუშეთი,
შეუძლებელი თემია.
ეს ლეკებმა გაიგონეს,
ოთხით დაჭედეს ცხენია,
ზედ დააკვერეს ნალზედა,
ლურსმანს უგრიხეს წვერია.

1140

ახალი ლექსი გამოვთქვათ
ახალ ხელმწიფის ხელშია,
სუდიეებს იბარებენ
ამ სატიალე გორშია,
ერთმანეთს ეხვეწებიან,
მოდი ვიყიდოთ დოშია,
ამოვიღოთ და დავხარჯოთ
ეგ სატიალე გროშია.

1141

სიდედრის დაწუნებულო,
შე საწყალო შიო ბერო,
შენის ნადბის უჭმელობით
გინდა ერბო დაიძველო?

1142

დასაქცევი კაჭაური
კამეჩებით პატრონია,
ერთსა ისეთს შემოგვიტევს,
თითქო ჩვენი ბატონია.

1143

მინდორში წაველ სწორებო,
მზე წითლად ამოსულიყო,
იმას რა მომაგონებდა,
იქ მტერი გამოსულიყო.

1144

მაღლა მთებო მამატარე,
ჩემო ელჩო და ჯერანო,
ვაიმე დღე დამეთვალა,
წუთი სოფელო ვერახო!

1145

ყოვლად წმინდა ღვთის მშობელმა
ცოლი ავად გამიხადა,
არც მოკლა, არც მაარჩინა,
სადოსტუროდ გამიხადა.

1146

წმინდა გიორგი მიშველე,
ეშმაკმა არ მიხუმროსო,
ჯოჯოხეთში არ ჩამაგდოს,
კარი გამამიხუროსო.

1147

შენი მარილზე წასვლაი
ბევრი არაფრის ხანია,
ვარსკვლავები კაშკაშობდა,
და გაანათა მთანია.

1148

სიცხეობა ჩამოვარდა,
დადგა სიცხე და ღულია,
კამეჩები დამისიცხა,
ხარებს ვაფარე ჩულია,
ვისაც რო მე არ ვუყვარდე,
წაუწყდეს მამის სულია.

1149

ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი,
ცაში კაჭკაჭი, ძერაო,
შენ რომ იმ ქალსა ჰყვარობდი,
ვინამ დაგიწყო ღრენაო?
დედა შვილს ეუბნებოდა:
„ქალო, გაჰხედე შენაო“,
ქათამო, შენსა კაკანსა
ეგ ჩემი გული სჯერაო,
შორს ნუ წაასხამ კრუხ წიწილს,
თორემ დაგიჭამს ძერაო.

1150

წისქვილო, კარი გამიღე,
შენი პატრონი მოვალო,
ზურგზედ მკიდია გუდურა,
სირცხვილით ვერ შემოვალო.

1151

(ვარიანტი)

წისქვილო, კარი გამიღე,
შენი პატრონი მოვსულვარ,
ზურგზე მკიდია ქუმელა*),
სირცხვილით ვერ შემოვსულვარ.

1152

გერისთობას მივდიოდი,
უნდა მენახა ლხინია,
იმისი ძირიმც გამხმარა,
გზაზედ რომ მუხა ჰხირია.

---

*) დახალული პური.

1153

იესო ქრისტემ დასწყევლოს
ე სომეხების მარხვათ,
ამ სატიალე ხველამა
ყელი ამამიხახათ.

1154

აღმოსავლეთი დაბნელდა,
ჩასავლეთი პირი მზისა,
ჩარხი უკუღმა დაბრუნდა,
ხალხი შესწუდა ყველა მხრისა!

1155

ამოთქვი, ბანდალაშვილო,
პირში არა გდევს აფშარა,
მოსულა ქუთაისს ჯარი,
ფოჭტის ქალაქი აშალა.

1156

ნადარბაზევის ტირილი
რეკა(დ) ჩამოდის ზარისა,
ბევრი ჩიქილა გაძვდა
ძუძუ კოკობი ქალისა.

1157

ივანე, თოფით ნუ მამკლავ,
თოფი მშიერა მგელია,
თუ მამკლავ, ისევ ხმლით მამკალ,
ჭკვიანია და ბრძენია.

1158

დასხდენ, დალაგდენ ხევსურნი,
არიგებ-ჩარიგებული,
წინ სუფრა ვარდით სავსეა,
ზედ მინა გარიგებული.

1159

გადადიან გალავანსა,
ვით ღობესა ფიჩხისასა,
გადადიან, თავსა ჰკრიან
შენისთანა ბიჭისასა.

1160

მაიქნა არეულობა,
მიდენ-მოდენა, ძახილი,
არიქა მეტეხელებო,
წაასხეს თქვენი ნახირი!

1161

მჭედელთან ჩამოვიარე,
გამიკეთა მანგანათ,
მე კი თავი დავანებე,
შენ იცი და მაგანათ.

1162

კოჭლი ქოთანსა დოკდა,
თავში დავკარ და მოკვდა.

1163

იქით ნუში, აქეთ ნუში,
შუა ვარდი ამოვუშვი,
ყმაწვილებო, გენაცვალეთ,
ჩემი ბიჭი გამოუშვით!

1164

თეთრო ირემო, ქოსათ,
გუშინ რად იყავ გორსათ?
გეჭირა ხელში ქოთანი,
და თხოულობდი დოსათ!

1165

იორდანე, იორდანე,
მუცელს დაგგვრემს, ნიორს დალევ!

1166

მთას ირემი გაიზრდება,
ძირს ჩამოვა ღიჭობასა,
ბევრი სახლი ავაშენე
ჩემ პატარა ბიჭობასა

1167

ქალაქში დაიარება
ფეხ-მოტეხილი სარქისა,
იმას ჰგონია "ვერავინ სჯობია",
სახლი უდგია სარკისა.

1168

დაღამდა, ჩიტი დაღონდა,
გაითენდა — გაიხარაო,
ერთი სულელი ბებერი
გაძღა და გაიპარაო.

1169

ყურბელა მიდის ყურშია,
მიდის და მიუხარიან,
ვინაც ნახოს და არ მოკლას,
ნურცარამც გაუხარია.

1170

დაუკარ, ჩემო ჩონგურო,
მაღლა მოჭრილო მსხლისაო,
შე მამაჩემის ნაქონო,
შე პაპაჩემის ხნისაო!

1171

ხ მ ა ლ ი

ხმალო, ფრანგისა ნაჭედო,
ვაჟმა გაგლესა, დაგფერა,
ერეკლემ ჩვენმა ბატონმა
საომრად ჯვარი დაგწერა!

1172

ჩვენ კალოზე ამოსულა
მატიტელა, ღრინჭოლაო,
წამოდგება, დაიყვირებს
გაბერილი ტიკჭორაო.

1173

შენ გენაცვალოს გამდელი,
მერე შენი მამიდაო,
შენი წილი შეჭამანდი
თაროზე დგა ჯამითაო.

1174

დალალმაქო, დალალმაქო,
დიდუბეში ყანა მაქო,
შიგ მუშები მიყენია,
ცვარი ღვინო არა მაქო.

1175

ბაღში არის ვარდებიო,
შენამც გამეზარდებიო,
მე ხომ მუდამ არ მექნება
ესე გულის დარდებიო.

1176

ბერბუკში ერთი კაცია,
ეძახიან აბალაკსა,
ახალ გუთანს გააკეთებს,
გაუკეთებს ფამფალაკსა,
თავის დღეში არ დაიშლის
უხეირო ლაპარაკსა.

1177

ქ ა ჩ ლ ე ბ ი

ქაჩალმა უთხრა ქაჩალსა:
„ძმაო, რათ გვინდა დალაქი,
ორი ძროხა გავიჩინოთ,
ზურგით უზიდოთ ბალახი,
ჩვენ იმათ წველა გვეყოფა,
თავზე წავისვათ კარაქი.

1178

წაველი მთაში,
წავიღე ცელი,

შემომხვდა მგელი,
მოვწყვიტე წელი.
ვინც თამბაქოს არ მიყიდის,
გაჰცვივდება წვერი!

1179

ბებერო, შენი ჯარათ
დაბერდა, არა გჯერათ?
აიდო, კედელს აწყვიტა,
ნეტა ვინ გააჯავრათ?!

1180

ეს მიქელაანთი ბიჭები
ტივის ხეებსა სთლიანო,
მეზობლის ქათმებსა ხოცვენ,
უთავუებსა ჰყრიანო.

1181

მელა-მელა, ჩიკოტელა,
შუა ყანას შევარდნილა,
მენახირეს მიყაბარე,
არ მომიკლა სიცივითა,
უშობელსა წიხლი ეკრა,
გაეხეთქა ტკიპივითა.
ტიკი ტიკათ გამომადგა,
პოჭი-ჭიკი საკრავათა.

1182

სულ ერთიან დავიარე
ქართლი, კახეთი, ხეითი,
მინდა შევჯდები ცხენზედა,
მინდა გავივლი ქვეითი.

1183

არ გაგივიდა, თარხანო,
სულ მუდამ შენი ტყუილი,
უნდა იდისთან გაგზანო,
ტყუილად გაგაქვს ბღუილი.

1184

მე რომ შენ სტუმრად გეწვიო,
რა ბევრი დაგეხარჯება?
დავუკრავ ტურფად ჩონგურსა,
ყმაწვილებს გაეხარდება.

1185

ახალი წელი მოვიდა,
მოგვიკაკუნა კარები,
ყველამ ვიხაროთ ერთობლივ,
მტერს დავუყენოთ თვალები!

1186

თამრიკო, კარი გამიღე,
ხელში მიჭირავ ქადათ,
გემრიელია, მსუქანი,
ბებიამ გამიმზადათ.

1187

ციება

შე სატიალო ციებავ,
რაი მამიგე ცუდი მახე?!
ვაჟკაცურად გამომცადე,
ერთი თვალით დამენახვე!

1188

მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლითა გამიძღლითი,
საიქიოს ცხონებითა! *)

1189

ბაღჩაშია გადვიხედე,
ვერხვი ვერხვსა ეხვეოდა,

*) ზღაპრის გათავების შემდეგ იტყვიან ხოლმე.

სიკეთე და სიხარული
მასწავლებელს ეხვეოდა.

1190

ერთი საყვარელი მყვანდა
ქვემო ხანდაკსა,
ჯერა ჰქსოვდა ხალიჩასა,
მერე ფარდაგსა.

1191

ვაი შენ, დანახარულო *),
ვეღარ დაგლიე მინითა.

1192

იობა მიდის დასთანა,
მიდის და მიეჩქარიან,
ვინცა ნახოს და არ ნახოს,
ნურცარამც გაუხარნია.

1193

შე ბერო, დაბერებულხარ,
დაუკბენიხარ ჭიასა,
სადა შენ დაიმარხები,
ნეტა იმ ეკლესიასა.

1194

არია მამასახლისო,
პირველ ღორების მდევარო,
შენ რომ ღორები დაჰკარგე,
იმათი ქურდი მე ვარო.

1195

არ ვიცი ჯოჯოხეთისა
სიცხე რა ბრუნავს ალისა!

1196

სადილობიდან სამხრამდი
ღამის აიკლონ ქალაქი.

1197

გადამიბრუნდა ურემი,
ვეღარ შევაბი ხარია,
იმ სატიალე წისქვილსა
არსად აბია კარია.

1198

ქალაქიდან რომ წამოველ,
დავიწყებ პირჯვრის წერასა,
ღმერთმა შენცა გადეგრძელოს,
ის ჩემი ბედისწერ ცა.

1199

ქალაქში რომ პური ვჭამე,
თან მწვანილი შევატანე,
დავწექი და დავიძინე,
ავდექ, ვეღარ ავატანე,
ქამარ-ხანჯალი შემომხსნეს,
ხურჯინი თან გავატანე.

1200

აღდგომა სჯობს ნამიანი,
ამაღლება დარიანი,
სხვა კი არაფერი ვიცი,
პური მოდის გვარიანი.

1201

მებადეს გადავეპარე,
ხახვს ამოვუგდე ძირია,
გადმოსავალსა ღობესა
ფეხში შემერჭო ჩხირია.

1202

შე ვერანო შავო ხბოვ,
აჰყე-დაჰყე მიჯნასა,
ნუ გადახვალ სხვისასა.
თუ გადახვალ სხვისასა,
იოთვს დაგარტყამ ხისასა.

---

*) ვაზია, შავ ყურძენს იცხამს.

1203

ოსი კვდება, ჩოხა რჩება,
იმის ქიზგა მე დამრჩება.

1204

ვაზი გახმა, მოიბა მტევანით,
დავპატიჟე, არ მეწვია ლევანით.

1205

სიცხეობა ჩამოვარდა,
სომხითს გაიჭრა ყანათ,
მოდიან მათუშკები,
სალდათი მოსდევს იანათ,
ნამგალსა დავატრიალებ,
როგორც რომ კაკლის ხალათ,
სამი აბაზი მომეცი,
მუშად წამოგყვე ხვალათ.

1206

იმ ოხერა ქარელშია
ფეხი მომტყდა ქალებშია.

1207

ოლეხამ მოიწადინა
შავ ჩოხის ლეგის სიკვდილი,
ოჯახში აღარა დგება,
ქალებში უყვარს სირბილი.

## ზ ა რ მ ა ც ი  კ ა ც ი.

1208

გაღმით არის ტანიხიდი,
გამოღმით არის გორით,
ხელში მიჭირავს ჩიბუხი,
პირში ამომდის ბოლით.

1209

ეს რა მიყო პაატამა,
როგორ მომიგონა ხერხი!
იმერელი მღვდელივითა
იმან აიტკია ფეხი.

1210

მე დროებას გავატარებ,
ვინ დამიწყებს დავასა,
დილით ჩაის გიახლები,
საღამოთი ყავასა.

1211

კოვზები ჩაფუნდრუშებდენ
წუნწუხში და ლაფშიაო,
ციცხვი უკან გამოუდგა,
ჩამჩა იცემს თავშიაო,
მე რაღათ გამომარჩიე
ამდენს ჯამაათშიაო?!

1212

მეჯრუხევში ერთი კაცი
აპირობს კაი სახლებსა,
წამოწოლილა ჩრდილშია,
აღარ აკეთებს საქმესა.

1213

მეხრეობა მომეწყინა,
ლალვა შავი ხარებისა,
სტვირის დაკვრა კარგი ვიცი,
თამაშობა ქალებისა.

1214

გაღმით არის ხიდისთავი,
გამოღმით არის გორია,
ხელში გეჭირა ჩიბუხი,
გამოჰდიოდა ბოლია.

## ნ ა ტ ვ რ ა.

### 1215

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდინაო:
გორის ციხე მჭადათ მამცა,
დიდი ლიახვი ღოთაო,
აჩაბეთის გალავანი
წინ დამიდგა ჯამათაო,
მცხეთის ხიდი ამიყუდა,
ხელში მომცა კოვზათაო!

### 1216
(ვარიანტი)

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდინაო:
მებადეს ცოლსა აქებენ,
იმასთან დამაწვინაო.
ეს ლიახვი ღოთ მიქცია,
გორის ციხე მჭადათაო,
აჩაბეთის გალავანი
წინ დამიდგა ჯამ:თაო,
იწვის ხიდი ამიყუდა,
ხელში მომცა კოვზათაო!

## დ ა ც ი ნ ვ ა.

### 1217

თუშმანიანთ სამი ქალი
კაცმა ნახოს -- იამება,
ერთი ბრმაა, ერთი კოჭლი,
ერთი ძლივას იარება.
ერთი გუშინაც მოუკლავთ,
ვერ მოასწრეს ზიარება.

### 1218

შე დალოცვილო კახეთო,
ნიადაგ ღვინის ალაგო!
თუ გქონდეს, მომაწევინე
ერთი ჩიბუხი თამბაქო.
ამთენი უთამბაქობით
ფეხები კედარ დამაქო.

### 1219

აკოლაანთ ქორწილი ჰქნეს,
დაჰკლეს კუდა თხაო,
ჟანგიან ქვაბში ჩაჰყარეს,
წვენი არა ჰქნაო,
პატარძალი ათამაშეს,
გახტა-გამოხტაო.

### 1220

შენი ჭირიმე რა ხარო,
ხარ-კამეჩივით დახვალო,
საცა დუქანს დაინახავ,
თავს დაჰლუნავ და შახვალო,
ჩარექას არ დაჰჯერდები,
ნახევარ თუნგზედ დახვალო,
თუ გინდა ლაფში ჩაწვები,
თუ გინდა მშრალად გახვალო.

### 1221

ნათლიამ თავის სვინასა
ბევრი დაადო ვალები,
უღელი ხარი დაჰპარა,
უღელი შვილის დარები,

სულ დაუჭამს ქათმები,
წინ დაუყარა ძვალები.

1222

მოლოზანმა წიგნი გახსნა,
მზე რო ჩავა—დაღამდება,
მამალი რო ფრთას შემოჰკრავს,
იყივლებს და გათენდება.

1223

ასკინკილა მივლიათ,
ბალჩა შემომივლიათ,
ბახოს მეგო ლოგინით,
შიგ ჩამიწვა დობილით,
დობილს ვაჟი ეყოლათ,
ალალ მუშკის ოდენათ.

1224

დაიკარგე შე ჯამჯულა,
რაღათა ხარ ჩვენთან სულა?
დეეთრევი ყველას სახლში,
მასხარა ხარ შეყრილს ხალხში,
ციკანი ხარ მეტის მეტი,
მინდა თავში დაგცხო კეტი,
გაწეწილხარ, გევხარ თხასა,
ყველას აცლი თვალის ფხასა.

1225

უღელი ხარის საიარი
ჩემთვინ ყოველთვინ მზაი არი,
ე გლახუნაანთ კატუა
გასათხოვარი რად არი?
არიქა, ჩქარა დანიშნეთ,
თორემ მოგვისწრობს ზამთარი!

1226

ვარიანელო მჭედელო
მამა ვაცხონე შენია,
შენ რო ნამგალი შემიკარ
თხუნელას უგავ წვერია.

1227

ტერბელაანთ ქორწილი ჰქნეს,
ცხვარი დაჰკლეს არაბათ,
პატარძალი მოიყვანეს,
ზერტისკე გავარდათ,
დაჩეხილი უკან მისდევს,
შუა გზაზე დავარდათ.
ეს გიგა კი უჩიოდა,
ეს რა ხმები გავარდათ?!

1228

სოსიკა მთაში წავიდა,
ღმერთო მოუმართე ხელი!
ქსნის ბოლოს რომ მიატანა,
მაშინ წამოექცა ცხენი.
დედაკაცმა კუდში სტაცა,
მაგრა დაუჭირა წელი.
—შე ოხერო, შე ტიელო,
რაზედ გამოგვჭერი ყელი?!

## მცენარეებზე.

1229

ვარდისა ბუჩქი ჩიოდა,
ზამთარმა მამცა ზიანი,
უცებ, დამაჭკნო, დამადნო,
დღეც კი არ მამცა მზიანი.

1230

შენი ჭირიმე, სიმინდო,
ლობიოს შეჭამანდოვო,
სანამ შენ არ მოგიყვანე,
ქალი არავინ მანდოვო.

1231

ხილთა ქება

ბ ა ლ ი:

მბალმა უთხრა: „ამხანაგნო,
თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა,
ხესა თეთრად აგაყვავებ,
დავიმშვენებ ჩემსა ძირსა,
შაქრის მსგავსად გადვიქცევი,
რაკი ჩამიდებენ პირსა“.

მ ს ხ ა ლ ი:

მსხალმა სთქვა: „მე რა ხილი [ვარ,
გვარი მაქვს თავადისაო,
სწეულის მარგებელი ვარ,
გული მიგდის ქვისაო“.

კ ო მ შ ი:

კომშმა სთქვა: „მე რა ხილი [ვარ,
დაბადებით ვარ მაგარი,
მოვწუდები, ჩამოვგვარდები,
ძირსაც გამძვრება ბრაგვანი*),
ვისთანაც სული მიდგის,
ღვთივ ანგელოზი საუდარი“.

ლ ე ღ ვ ი:

ლეღვმა სთქვა: „მე რა ხილი [ვარ,
წალმა-უკულმა მოსხმული,
ვერ შემჭამს ტყეში ნადირი,
მისთვინ არა ვარ ადვილი.
ენკენისთვეში მომნახე,
თუ არ გაჭამო სადილი!
სულ ჩემ ამარ ნუ დასდგები,
ცუდია ჩემი ცადილი“.

თ უ რ ა შ ა უ ლ ი:

„თურაშაული ვაშლი ვარ,
ძეძვი მავლია ერთ პირათ,
არამც თქვა ნათესაობა,
არც მომინდომე მე პირათ.
სულ შენთვის მომირთმევია
ტყე და მინდორი ერთ პირათ,
წადი და ღორი ასუქე,
რკო დააყენე ვეზირათ“.

ტ ყ ე მ ა ლ ი:

ტყემალმა უთხრა: „შეგარცხვენთ
ეგ თქვენი საუბარია.
დარბაზის კარს იძახიან,
აქ მოიტანეთ ყალია!
შენგნით ჩივიან, ტირიან,
ვჭამეთ და მოგვჭრა კბილია“ *).

1232

ვ ა ზ ი:

მიგრეხილო, მოგრეხილო,
ზედ მიკრულო, მაგრა ხეო,
ცოცხალი ვარ, შენ მაცხოვრე
მოვკვდები, შენ დამმარხეო!

## ან-ბანის ლექსი.

1233

ან, გიამბობ, შენ ყმაწვილო,
გეშინოდეს ოსტატისა.
ბანი ბაკეს ეუბნება:
..............................
მიმოკლე ცრუ ფიცისაგან.
განი გირჩევს და გიბძანებს, [გან.
სულს ნუ წაწყმედ ბოროტის-

*) ან: სულით მეძებენ, სად არი?

*) ჩაწერილი მღ. დავით კავკასიძის მიერ.

დონ, დედ-მამის სამსახურსა
ნუ დააგდებ ხელისაგან
ენო, ენის დაწყნარებას
გვედრებ ცრუის ფიცისაგან.
ვინო, ვინაც რო დაგძრახოს,
მოითმინე გულითაო.
ზენო, ზოგმაც რო დაგსაქმოს,
გაიგონე ყურითაო.
ჱაე, ჱოე ამ სოფელთა
ცრუ ნაშიაესთა საძირკველთა!
თანო, თვალსა ნუ დახუჭავ,
სჯობს ბოროტის შეხვედრა-
ინო, იმ სოფლის ამბები [სა.
სრულად იცი წიგნიდანა.
კანო, კაცსა ნუ დაძრახავ,
მოითმინე გულიდანა.
ლასო, ლოცვის მოყვარულო,
იყავ მუდამ ფიცხიაო.
მანო, მუხლსა თუ მოიყრი,
ცხონებისთვის კარგიაო.
ნარო, ნურვის ნუ ეჩხუბი,
ნურც აგინებ ბაგითაო.
ჲიე, იმედს ნუ გადიწყვეტ,
თუ რომ ცოდო გიქნიაო.
ონო, ოსტატ ვალდახატსა(?)
ყურ მოუგრეხ ხელითაცა*).
ჟანო, ჟამი და სოფელი
შეიურვება იმითაცა.
რაე, როცა რომ დააკლდე,
არ მოხვიდე დილითაცა.
სანო, სიცილს დაგავიწყებ,
სულ ტიროდე მიყმითაცა.
ტარო, ტყავსა გუდად გაგხდი,
თუ თამაშობ წყლის პირსაცა.
უნო, უცხო კაცის სახლში
ნუ შეირბენ უმეცრათა.
ფარო, ფიქრი დაადევნე,
ნურასა იქ უმეცარსა.
ქანო, ქვეყნის საქმეცა ქენ,
გაიკეთე საუნჯეთა.
ღანო, ღმერთსა დაემსგავსე,
მოწყალესა ხელითაცა.
ყარო, ყველას დამორჩილდი,
ნუ იქნები ამაყათა.
შინო, შინ როცა წახვიდე,
დაჯექ, როგორც მუნჯიაო.
ჩინო, ჩუმათ თუ იქნები,
გაქებს ყველა კაციაო.
ცანო, ცემა ოსტატისა
შეგირდისთვის კარგიაო.
ძილო, ძნელსა რას გასწავლი,
მიგდე კარგად ყურიაო.
წილო, წიგნი გეუბნება,
დამიკიდე ყელზედაო!
ჭარო, ჭკუას თუ სწავლულობ,
ეს გასწავლის ძალზედაო.
ხანო, ხარბობას დაგიშლი
ამხანაგის ჯამზედაო.
ჯანო, ჯავრსაც ნუ ჩაიტან,
ინადობით სხვაზედაო.
ჰაე, ჰოე, შენ ყმაწვილო,
წელ ჩაგხატამ ტანზედაო *).

*) პარის შე! ახებ ლექსი არ იყო დედანში. რედ.

*) ძველი რვეულიდან გადმოწე-
რილია. ეს რვეული ეკუთვნოდა

## ზღაპრები ლექსად.

1234

შევკერე ერთი ტიკჭორა,
შვიდი კამეჩის ტყავის,
შვიდასი კოკა ჩავასხი,
ტიკჭორა ისევ ხმელია,
შვიდასი კიდევ ჩავასხი,
ძლივას მოვკარი უღელია,
წინ კაცი შემომეყარა,
აღმართი ასასვლელია.
—მაგ ტიკჭორას მე ავიტან,
თუ გამისვლა უღელია.
დაეჭოჯა და დაცალა,
ტიკჭორა დარჩა ხმელია.
კაცი ჩექმაში ჩაისვა,
მაგრა მოაკრა უღელია.
აბა ეს სიტყვა ახსენით,
რა უფრო საკვირველია?!

1235

(ვარიანტი)

ტიკჭორა შევაკერინე
სამოცი ხარის ტყავისა;
სამასი კოკა ჩავასხი,
ტიკს ვერ გაუსვლა უღელი,
სამასი კიდევ ჩავასხი,
ტიკჭორას მოვკარი უღელი.
მინდორი გავარბენინე,
აღმართი გვაქვს შესარბენი.
წინ ერთი კაცი შემომხვდა,
(ღმერთმა მოუმართოს ხელი!)
—აღმართს მე შეგირბენინებ,
ოღონდ ჩამისვლე უღელი!
ერთი უღელი ჩაუსვლე,
ტიკჭორა ძირს დარჩა ხმელი.
—შე რჯულძაღლო, მამაძაღლო,
რაზედ გამომჭერი უღელი?
—ეგ რა ჭნახე, ეგ რას გიკვირს?
ახლა ნახე დედა ჩემი!
გავიხედე, დავინახე,
მისი მართა დედაბერი,
გუთანზედ მაჰქონდა ჯერი:
ორი შემწვარი კამეჩი,
ერთი შებრაწული მკელა.
გავექანე და მოვტაცე
ერთი შებრაწული მკელი.
გაექანა და მოგლიჯა
ერთი დიდი მუხის ძელი.
—ნეტავი დაგეწეოდე,
ერთი ჩაგაგრიხო წნელი!

1236

(ვარიანტი)

დევ-გმირი.

ერთი დიდი კაცი იყო,
დიდისაგან სავაცელი,
ღვინის საყიდლად წავიდა,
ღმერთით მოუმართე ხელი!
ტიკები შეაკერინა,—
სამოცი კამეჩი მთელი.
სამასი კოკა ჩავასხი,
არც კი გაუსვლა უღელი,

---

გლეხის დედაბერს მართა მელქუა-
შვილს.

სამასი კიდევ ჩასხა,
მაშინ კი მძლივ მოჰკრა ყელი.
მინდორი გაარბეინა,
მინდორი აქვს შესარბენი.
წინ კაცი შემოეყარა:
—კაცო, გამისველე ყელი!
კაცმა რო პირი დაადო,
ტიკჭორა კი დარჩა ხმელი.
კაცი ჩექმაში ჩაისვა,
მაგრა მოუჭირა ყელი,
ცოლ-შვილში დაიტრაბახა:
„აბა მე ვარ ამის მქნელი!“
გუთნისა ჯერი მოჰქონდაო,
სამოცი კამეჩი მთელი,
პური ვთხოვე, არ მაჭამა,
სხვაგან გამიშვირა ხელი.
წავუარე და წავართვი
ერთი შემწვარი და მთელი,
წავუარე და წავგლიჯე
ერთი წითელი და ძელი.
—ნეტავი წამოგეწიო,
ზურგზე წამოგარტყა წნელი!

1237

ჭინჭველას ნალი აუყარე,
სახნის-საკვეთი დავპირე,
რაც იმას რკინა გადმირჩა,
თუმან ნახევრად გავყიდე.

## ხალხური ვეფხის-ტყაოსანი.

1238

შალვა მტრის გადმოსვეწილი
გეზელ-ქორივით კიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
გულს სისხლი ჩამოსდიოდა.
ზედა და ზედა აურიდა
გულ-დალეული ვადასა.
—სისხლში გასვრილი პერანგი
ვერ გავირეცხე, ვაჰ დასა!

1239

მინდვრად ვნახე ერთი მოყმე,
ჰგვანდა გმირსა ნასტირალსა,
მთელი ველი დაეთარვინა
ცრემლსა მისგან ნამდინარსა;
ვეუბნე და არ მეუბნა,
ხელი მიითვარა პირსა.

1240

ეგრე შეჰყევი დელესა,
მანდ კვამლი ამოდენსა;
მანდა სდევს მთელი ირემი,
მწვადნი იწვიან ნებასა.
დანა დამრჩა და სალესვი,
იპოვნე, გამომიგზავნე
მაგ შენის ძმობის ლხენასა.

1241

მეწყერსა და მეწყერს შუა
თეთრი ორბი ამოფრინდა,
ტარიელმა ბორძალი ჰკრა,
გულზე სისხლი გადმოჰდინდა.
ტარიელმა ფრთები ასჭრა: —
„ისრის ასაკვრელად მინდა“.

1242

ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე:
გინდოდა ლერწამ-დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე?
სისხლი ხორასნელთ ნეფისა
თავზედ რად დამადებინე?
არც შენ მოგცემ, არცა სხვასა,
ორივეს დაგათმობინებ.
დავიბარებ ხუროებსა,
კიდობანს შევაკვრევინებ,
შიგ ჩავსვამ ლერწამ-დარეჯანს,
წყალს მივცემ, წავალებინებ.

1243

შავი მთიდამ გადმოვხედე,
დიდი ჯარი დავინახე:
ვინცა მკითხა: „რას მირბიხარ?“
—ცხენი დამიკარგავ მაკე.
ავდექ და ჩქარა წამოველ,
თავი მოვიყიზილბაშე,
დავერიე დიდს ჯარშია,
ჩავკარ, ჩავაყუთურლაგე.
სასიძოსა ხელი ვტაცე,
თავი ქვაზედ მოუნაყე,
თუ ჩემსას არ დაიჯერებ,
გაბრძანდი და თავად ნახე.

1244

ქალმა სთქვა:

მოვესწარ ცისა გახმასა,
და ქვეყნის დამყარებასა,
თუ მართალია, რაცა სთქვი,
ნეტავ ჩემს გახარებასა!

1245

აი შენ, წყალო, შენ წყალო,
შენ წყალო არეზიანო!
არც თოფი გერჩის, არც ხმალი,
არც შუბნი გეცემიანო.
სხვას თუ არაფერს დაგაკლებ,
წყალო, არ დაგლევ, ტიალო!

1246

მე რო ტარიელ მინახავ,
ნეტავ რამ გააბრიალა?
თითით აიღო ირემი,
შუბივით დაატრიალა,
ის არაბეთის ქვეყნები
მარტოკამ გაატიალა.

1247

ერთი ვინმე მოყმე ვნახე,
ნამტირალი წყლისა ჰირსა,
ვეუბენ და არ მეუბნა,
ხელი აიფარა პირსა;
დიდი ველი დაენამა
იმის ცრემლსა დანაღინსა.
საყვარელი დაჰკარგვია,
ის საწყალი იმას სტირსა.

1348

შავი ხარ და შავს ცხენს ზიხარ,
შავი იექალთო გიგია,
სალამს აღარა ჰკადრულობ,
ცუდი ზნე შამოგიდია.

1249

თეთრი ხარ და თეთრს ცხენს ზიხარ,
თეთრად რასმე შაჰბურვილხარ,
მის ამარას უკან წადი,
შენი დღიდგან დაჰწურვილხარ.

1250

მამა თქვენი მიცხონდება,
მაბარებდა ტარიელი,
რაში ქაჯებთან გაუშვი,
შენ შინ მოდი ცარიელი.

1251

ტარიელისა ამბავსა
ენა იტყვის, ადვილია,
მოვიდა, შემოგვიტია,
—გამიკეთეთ სადილია!
ისე გულდიდად მაიქცა,
თითქოს თავის ადგილია.
მემცხვარებმა დაუძახეს:
„შენ ვინა ხარ? სად გივლია?!“
მობრუნდა და თავი მოსჭრა,
სუ ჭკუიდგან გადირია.

1252

ჩვენი პატრონი, გამდელი,
სამუშაბოთა გვზრდიდიან,
გვასწავლეს კარგნი საქმენი,
იმასა გვახვდუნებდიან.
ისე გავიბით სახელი,
თვალნი ვერ გადუწვდიდიან,
ვინც რო გვიჭვრეტდენ მჭვრეტელ-
ყველა ჩვენ მოგვნატრიდიან. [ნი,

1253

მომქონდა ტყიდამ ურემი,
ზედ მედო ხილით კალათა,
ზედ მეჯდა ერთი ბებერი,
მომიხაროდა ქალადა,
ავდექ და კბილი უნახე,
ერთიც არ ედვა წამლადა.

1254

საქარე სერზედ შემოვდექ,
სევდა გავქარე გულისა,
დავაგდე ქაჯეთს ქვეყანა,
სისხლისგან გაბასრულისა,
ვინ არის მათი მოყვარე,
იყოს მაჰმადის რჯულისა.

1255

მაღლა მთაზედ რო წაველი,
ღამე დამიდგა ძნელია,
ქალის წიგნი მამივიდა,
წაუსვლელობა ძნელია.
შევჯექი ჩემსა ლურჯასა,
სულ დავარბინე ველია;
შევხედე, ტახტზედ დაუსვამი,
ის ჩემი გულის მკვლელია,
მიველი და ხელ დავტაცე,
ფირცხლავ მოვწყვიტე წელია.

1256

პირდაპირ მიჯდა იგი მზე,
გული მისთვისა კვდებოდა,
მალვით მიჭვრეტდა, ვუჭვრეტდი,
სხვად არას მიამებოდა,
თვალი მოვწყვიტე, ამითა
გულსა დამიამებოდა.

1257

(ისაკა დალაქიშვილის ნასწავლები).

ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ დაგაჯობინე,
ცული გაგედო მხარზედა,
შუშა ვერ გაგაპობინე.
გინდოდა ლერწამ-დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე?

სისხლი ქიქაოზ ნეფისა
თავსა რათ დამადებინე?
აღარც შენ მოგცემ, არც იმას,
ორთავ ხელს აგაღებინებ,
დავიბარებ ხუროებსა,
კიდობანს შევაკვრევინებ,
შიგ ჩავსვამ ლერწამ-დარეჯანს,
წყალს მივცემ, წავაღებინებ.
შიგ სამი გველი ჩაუსვეს,
ერთი თავს, ორი ბოლოსა,
ერთი ამბობდა: „შევჭამოთ!“
მეორე: „მოთმინებითა!“
მალ-მალე ამბობს მესამე:
„ტარიელ მოდის თოფითა!“

1258

მინდორო, არა მინდორო,
მტკვარო შე არეზიანო,
ჩემი მზე რა უყავ, წყალო,
შენ წყალო მიზეზიანო?
არც ხმალი გეკვრის, არც თოფი,
არც შუბნი გეცემიანო,
იმასაც გამოგაჯავრებ,
როდიღა დაგლევ, ტიალო!

1259

წყლის პირსა ვნახე მოყმე,
ნამტირალი ჰგვანდა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი
ლაგამ-ავშარ-უნაგირსა.
უთხარი და როდი მითხრა,
ხელი მიითვარა პირსა.
საყვარელი დაჰკარგვია,
დანა არ უხსნიდა პირსა!

1260

თქვენსა ბძანებას ველოდი,
სიტყვასა თქვენსა გვამთაგან,
ადვილი სამსახურია,
ერთის მოყვანა სამთაგან.

1261

მე რომ ის კაცი მინახავ,
ღმერთმა რად გააძრიალა?!
არაბეთს ქვეით ქვეყნები
შეჰყვა და გაატიალა,
ეეგო ნეკით ირემი,
მწვადივით დაატრიალა.

1262

ბრძენი თუ ბრძენი, რა ბრძენი,
ხელი ვითა იქს ბრძნობასა?!
ეგ საუბარი მაშინ მწამს,
როცა მე ვიყო ცნობასა.

1263

თუ ბრძენია, აშა ბრძენი
აპირობენ ამა პირსა:
ვით მამაცი მამაცურად
კაცი რამდენს ნახავს ჭირსა.
კაცი თავის გრძნობისგან
ბოლოს ჩავარდება ჭირსა.
ჭირს უნდა გამაგრება,
როგორც წყალში იმ ქვითკირსა.

1264

ვინ დადის ფრიდონის ჯოგში?
ვინ არჩევს უკეთესებსა?
ფრიდონ ისეთი კაცია,
პირით ქვას დააკვესებსა,
იმისი ნაკრავი კაცი
ერთს აღარ დაიკვნესებსა.

1265

ცხენი ცხენსა, კაცი კაცსა
ცხენ-კაცისა შედგა გორა,
ჩემი გასროლილი კაცი
მიიფრინავდა, როგორც ბორა.

1266

ნესტან-დარეჯანისგან მიწერილი წერილი:

კოშკი დგას მარმარილოსი,
წვერი ცას მიუბჯენია,
ალმასის კიბე წინ უდგა,
ასვლა-ჩამოსვლა ძნელია.
წინ მიდგა ოქროსი სინი,
ზედ კვიცის ხორცი ჰფენია,
ალმასის დანა ზედა ძევს,
გალესილი და მჭრელია.
მშიან და ვერ მიჭამია,
მე ღვთისგან შველას ველია.
ეს გაიგონა ტარიელ,
თვალს ცრემლი გადმაერია;
ციხეზე ისე აიფრინდა,
ხელი არ დაუჭერია.
სულ ერთიანად გაჰწყვიტა,
რაც გალავანში ყრია,
ისე ავიდა ჩარდახში,
არ დაეკარგა ფერია.
მივიდა, ლერწამ-დარეჯანს
ზედ გადაჰხვია ხელია:
„გიპოვე, ჩემო სიცოცხლევ,
ველარასა იქს მტერია!“

1267

ნელა ამოდი, ტარიელ,
რა თავი გიაშრებია,
სხვებსაც ჰყოლია მიჯნური,
თავი არ უნაცვლებია*).

## რუსთველის ნათქვამები.

1268 [სიტყვას

რუსთველმა სთქვა: ამ ჩემს
ასე ვიტყვი, ძირს არ დავცემ—
კაცმა კაცი ჩემთან მოჰკლას,
ღმერთს ვიმოწმებ, არსად გავცემ.

1269

რუსთველმა სთქვა: განა თხა ვარ,
გაზაფხულზე გავიკრიჭო,
ეს სოფელი იმით მინდა,
გავიცინო, გავიკრიჭო.

---

*) ეს ისაკა დალაქიშვილი ძალიან მეტყველი კაცია და ბევრი სხვა ლექსი და ანდაზა ჩამაწერინა. ბარემ ზღაპრად მიამბო „ტარიელის ამბავი“, მაგრამ მაშინ მე მხოლოდ ლექსები ჩავწერე და ამ რიგად ეს ვარიანტი დამრჩა ჩასაწერი. თუმცა ის კაცი დღესაც ცოცხალია და ვიცნობ მაგრამ ისე აღარსად შემხვედრია, დაბერდა კიდეც, გაღარიბდა და არ ვიცი, ახსოვს რამე კიდევ, თუ არა.

1270

რუსთაველმა სთქვა: ჩემს ძალს ვჰვეხი,
ცასა ადგილას თავს უკრავ;
ზღვას დავეწაფო ეჭვითა,
სულ ამოვიღებ, ულაპს ვუზამ.

## ლექსები როსტომის შესახებ.

1271

როსტომ სთქვა: სიბერკაციითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
ნაკრავი ბერი კაცისა
წადით, გაშინჯეთ, რა ჰჭირდა.
ჯაჭვი პერანგათ გავცვითე,
ახლა აღებაც გაჭირდა,
ამას ვინ მაიფიქრებდა,
თუ რუსის ხმალიც გაჰჭრიდა!

1272

როსტომ სთქვა: სიბერკაცითა
სიტყვას არ უნდა რბილობა;
სიკვდილთან ქრთამი არ გავა,
არც დიდი გვარის შვილობა,
მალი-მალ მეტყვის: „წამოდი!“
სულ დამიკარგა ზრდილობა!

1273

როსტომ სთქვა: სამი ქართული
ჩინეთს ქვაზედა სწერია:
ვისთვისაც მოვკვდი, ვეწამე,
ის უფრო ჩემი მტერია.

1274

როსტომ სთქვა: სიბერკაცითა
სიტყვას არ უნდა რბილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა.

1275

როსტომ სთქვა: სიბერკაცითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
სადაც რო ომი გაჭირდა,
შუშა ხმალივით გასჭრიდა.
წადი და ჰკითხე დიაკვანს,
თუ ჩემი ხმალი არ სჭრიდა.

1276

როსტომ სთქვა: დავბადებულვარ
მთვარის ბნელსა და ლევასა,
ჩემს დღეში ვერ მოვრჩომილვარ
თავის ბედსა და წერასა.

1277

როსტომი ქაქაოზ ნეფეს ფალავანი ყოფილა, ბეჭ-წახრილი, კბილ-კარიანი, ცხენზედ რო ზის მარცხენა ფეხს ათამაშებს.

ბეროკაცო, ჩამამეხსენ,
გული რასდაც მეყოუმება.
მე დედეურთა ჩიშანი
მე ნიშანი მენიშნება,
კბილს კარი და ბეჭთა წახრა
მამეულთა მემსგავსება.

როსტომი ეტყვის:

არცა ვარ როსტომიანი,
არცა იმათის გვარისა,

ვარ ერთი თურქი მოლაშქრე,
მომკვლელი უხსნოვარისა.
ბატონის გამოგზავნილი,
კარჯილო ცხენოსნისა,
აქ ფალავნისა მომკლელი.
დამლევი მუჯა სისხლისა.

შვილი ეუბნება:

ეგ რა მითხარ, ბერიკაცო,
დამიკოდე წყლული გული;
ნეტავი კი არ მენახე,
შინვე დაგელია სული.

* *

როსტომი ქაქაოზს ეტყვის:

ერთი ჭაბუკი მოსულა,
ყველა მტრისათვის მახია,
ომშიაც ვნახე, ლასტშიაც,
ყველა იმისთვის ჩატია,
იმისი ფეხის ნადგამი
სამარის კარსა გვანდია.

ქაქაოზმა ბარგი აბარგა, უნდა იმ ქალაქიდამ წასულიყო. როსტომს იმ ღამეს არ სძინებია.

ქაქაოზ ბარგი აქ დადე,
საცა რო უწინ გდებია,
იმ ფალავნისა სიკვდილი
ახლა მე მისაზმრებია;
მხამში გავლესე ხანჯალი,
ჩექმაში ჩასადებია...

კიდევ მივა როსტომი და გამოითხოვს. შვილი ისევ იმ პასუხს მისცემს. როსტომმა უთხრა იმ დილას:

ჩვენში ასეთი წესია,
ფეტვი ადგილზედ სთესია;
ფალავანი ფალავანსა
ერთხელ დასცემს, აუშვებსა,
თუ მეორედ წააქცია,
ცოცხალს აღარ გაუშვებსა.

დაიჭიდნენ ზურაბმა უფრო ძრიან წააქცია წინანდელზედ. როსტომი მუცელში დანას დასცემს.

ზურაბი ეტყვის:

შე ბერიკაცო, რად მამკალ,
ხმალი რად დამე ვადამდე?
შენ მამაჩემსა როსტომსა
საით წაუხვალ, სადამდე!
ან უნდა ცაში წახვიდე,
ვარსკვლავთა ერი აიღო,
ან უნდა მიწაში წახვიდე,
ნადირთა კვალი გაიღო.
შენ მამაჩემის ყმობითა
ხმელეთზედ ჭირი გაიღო.

როსტომი ეტყვის:

შენ ბოზო, ბოზისა შვილო,
სადა გაქვს როსტომთ ნიშანი?!
—აჭწიე მარჯვენა მხარეს,
შუქი გამოვა მზისანი.
აჭწია მარჯვენა მხარსა,
ელვა გამოტყვრა მზისანი.
აფრთოლდა ფურცელივითა *)
მიწას დაეცა რევითა:
—ახ, შვილო, ჩემგან მოკლულო,
ტირილით ვიტყვი ვაისა!
ჩემო ქაქაოზ მეფეო,
შენთვის შევემბი დევს მეო,

*) როსტომი.

წამალი გამამიგზავნე,
მეცდება ზურაბ ხელი მეო.
მაარჩინო—ბედმა შენმა
ვამსახურო შენს ტახტს მეო.
წამალი გამაუგზავნა
გიჟის დიაკვნის ხელითა.

ქიქაოზი ეუბნება:

როსტომ გულჩქარი კაცია,
ტანი წაილე რყევითა,
ფეხი ფეხზედ გამაიკარ,
წამალი დაიქცევისა!

ცოლმა შემოუთვალა:

უბედურო სახედარო,
წადი, ძოვე მაღლა მთასა;
ნურც მიუშვებ შორით ნადირს,
ნურც ვაჟიკაცს მუხლად მალსა.
როგორ მოჰკლას მამამ შვილი,
დაიკარგოს უცხო მთასა*).

1278

დიდება და მადლი ღმერთსა,
როსტომ გამოვიდა ზღვასა,
ცალი ხელით მოცურავდა,
ცალით მოიქნევდა ხმალსა.

## ბ ე ჟ ა ნ ი ა ნ ი.

1279

არ გაიკითხვენ გლახაკთა,
თურმე ჰერანელთ წესია,
თუ გაიკითხვენ, ჭირი სჭირს,
სიკვდილზე უარესია.

1280

ბეჟან, გივი და გოდერძი
ჰერანელთ თავადებია,
მოვლენ, შეგსვამენ, შეგჭამენ,
ხანძრულად მოგვედებიან.

1281

გათენდა და გაანათა
ცა, საწუთრო, მთა და ბარი,
ადგა ბეჟან, შეიკმაზა,
ტანთ ჩაიცვა საომარი,
ბეჟან ცხენსა შეუტია,
ტვინი ადგილს დაუნთხია,
ტახმა ბეჟანს შეუტია,
ჯაჭვის კალთა დაუხია.

1282

აფრასიაონთა მანიჟა
მზე არის ამომავალი!
მზეა და მზე დაბნელა,
ცისკარი ამომავალი.
მდინარე წყალი დაშრო,
ქვიშაზედ გადამავალი,
ვინაც რომ იმას არ იცნობს,
იმის სიცოცხლე რა არი?!
ვინაც ჭადი-ჯვარს მოკვდება,
მისთვის სამოთხე მზა არი.

---

*) ისაკა დალაქიშვილის ნაამბობი სოფ. უფლისციხეში, წიგნი არ იცის, სომეხია.

## ეთერიანი.

1283

ეთერო, შენის ნდომითა
ჩოხა გავცვითე ძველური.
მაინც ვერ დამემდურები
სხლი დაიდგა ჰნელური,
თუ კარით ვერ შემოგივალ,
ჩაძრომა ვიცი ბჳელური.

## ამირანზედ.

1284

ამირან, იქით ნუ წახვალ,
გუშინ რო ქარი ხვიოდა,
ან იყო დევის ნაბრძოლი,
ან ქვა და ლოდი ცვიოდა.

1285

ამოდ იარე, თამარო,
მინდორს ვერ გახვალ რბენითა,
არ წაიხდინო შუცელი
მაგდენი ტანის რევვითა'

1286

ამირან, მდევი შეიბნენ,
ამ მთას გაჰქონდა გრიალი,
დასცა და ბეჭი მოსტეხა,
ადგილი დახვდა ქვიანი.
—აცა, ამირან, ნუ მომკლავ,
ნუ გინდა ჩემი ზიანი!
წყლის გაღმა ქალსა ჯასწავლი,
ამომავალი მზე არი,
წადი და წამოიყვანე,
სახელად უამარ ჰქვიანი.
—უსიპი, რაში მაითხოვე,
წყალში გავიდე რუევითა,
გამოვიყვანო უამარი,
მანათობელი მზე ვითა.

## სხვა-და-სხვა ლექსები.

1287

ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან,
ზოგსა კაცსა—კაცუნაო,
ზოგს დედაკაცს დედაკაცი,
ზოგსა—დედაკაცუნაო.

1288

მარტო სმა-ჭამა რა არი?
საქმე ფანდურის კვრა არი!

1289

ერთსა ვატყვი,
ორსა სჯობდეს,
ქათამს დავკლავ,
ღორსა სჯობდეს.
წავალ, ქვეყნებს სულ დავივლი,
ქალაქს ვნახავ,
გორსა სჯობდეს.

ზოგიერთია ავი კაცი,
ჩხუბს გააჩენს, ომსა სჯობდეს.
ზოგი გამოვა ვაჟკაცი,
უთუოდ რო თოფსა სჯობდეს.

1290

ბოზი სახლში შეუშვით,
კარი ღია გაუშვით.

1291

რაც რომ სიმთვრალით წამოთქვა,
სიფხიზლით აღარ გადათქვა.

1292

აზვავდება კაცის გული,
არ მოიგონებს ღმერთსაო,
არ იტყვის: „ნაკლები ვნახე“,
არ აუქავრებს ხელსაო,
ხათრიანი კაცი შერცხვეს,
ენას იმოკლებს გძელსაო,
უხათრო ამით სჯობნის,
რომ როშავს ყველაფერსაო.
ნეტარება იმისა,
ვინც ევედრება ღმერთსაო,
შაიბრალებს ნაკლებ კაცსა
და აუქავრებს ხელსაო!
ჭკუა უნდა და გონება
შეირის გამომთქმელსაო,
თქვენს მოლოდინში ვიყავით,
მძლივას მოგიგდეთ ხელსაო.

1293

დაუნდობლობა.

ზღვაში ყვავილი ჩავყარე,
შიგ ამოვიდა კამარა,
იქა მყავს გულის მოკეთე,
სახელად ჰქვიან თამარა.
დახედე ჩემსა იღბალსა,
ძმამ კი დამინდო, დამ არა.
სხვა პირი რას დამინდობდა?
რაც მივაბარე დამალა!

1294

ზოგიერთა ეკლესია
შეძვრებოდა ეკლებშია,
მდიდარ კაცს ვერაფერს უზამს,
ღარიბს წაუჭერს ყელშია.

1295

ბრძანა სოლომონ მეფემან,
შეუფერმ გამოჩინეთო.
ვარჩინოთ ქვრივი, ობოლი,
ბრმას თვალი ავუხილოთო,
შვიდი წლის სმელი მამალი
ხეს შევსვათ, დავაყივლოთო.

1296

რ..თ ხემწიფე და ხონთქარი
ორივე თავადებია,
მოვლენ, დაგვწვავენ, დაგვდაგენ,
იელად მოგვედებიან.

1297

ჭარში ლეკმა დაიკვეხა:
წავალ, კახეთს შევისწავლი,
იქ რო ლამაზი ქალია,
იმის სახელს დავისწავლი.
კახის ბიჭმა თავში ჩაჰკრა:
— შენ კახეთს ვერ შეისწავლი,
ან დაგარჩობს ალაზანი,
ან იორი შავი წყალი,
თუ იმასაც გადაურჩი,
კახეთს მოგეჭრება თავი.

1298

საქართველოს ბედი.

მაღლა მაღალსა მთაზედა
სისხლისა გუბე მდგარიყო,
ჩვენი მტერი და ორგული
სვამდა, ვერ გამაძღარიყო *).

1299

კამეჩს რქა მოსტეხა.

მე რომ საქმე მომივიდა,
ის არ მოსვლია სხვასო,
სამხრის ხარი წამოვასხი,
კამეჩს ვასხამდი წყალსო.
ჯამი ხელიდან გამვარდა,
დაეცა კამეჩს რქასო,
ავიღე და ხურჯინს ჩავდე,
დავაბრალებდი სხვასო.

1300

უ რ ე მ ი.

ურემო ფერსო მაღალო,
ხუნდი გიყრია გიშლისა,
კაი ხარები გიბია,
მაგრამ ტალახი გიშლისა.

1301

ოროველაში გაქებენ,
კარგა დაუტარებ კევრსა,
საწვრილმანოს წაიღებდი,
ქალებში გაჰყიდი კევსა.

1302

ჩიტის ბოლოს რქასა
ჩიტი მოეხარშა,
ეცა, ბეცა,
მეც მაჭამე, მეცა.
საბძელშია შავიხედე,
თივაც იყო, ბზეცა,
ერთი ქალი თამაშობდა,
მთვარეც იყო, მზეცა.

1303

კოჭლო, კოჭლო ჩალუხაო,
შენი ცხენი რა უყავო?
— ერთი მგელმა შემიჭამა,
ერთი ბატონს დავუკალო.

1304

დიდება მამასა და ძესა,
რა საჯობია მაწონსა და რძესა?!

1305

კაცი მოვიდა ზეციდან,
მჭადი მოვიდა კეციდან.

1306

შე მამაძაღლოვო,
უნდა მეც გამაძაღლოვო?!

1307

იობა მიდის დასთანა,
მიდის და მიეჩქარიან,
ვინცა ნახოს და არ ნახოს,
ნურცარამც გაუხარნია.

1308

ერთხელ მეც ვიყავ მეცხვარე,
ცხვარი გავრეკე ლილოსა,
სულ თავზე შემოვიკრავდი
მთელი ლეჩხუმის ტილოსა.

1309

ვაჟო, ეგ შენი ქებაო,
არა ვსთქვა, არ იქნებაო

*) ეს ლექსი ჩამაწერინა შაქრო გაგნიძემ ს. ხელთუბანში. ამის ვარიანტი „ფშაურებში“ მაქვს.

ჯურის ჭამაზე მარდი ხარ,
საქმეზე წელი გწყდებათ.

1310

კორიჯვრის წმიდა გიორგი
გადმომცქერალი მტკვრისათ,
ტივი ბევრი ჩამოივლის
ქართლისა და სკრისათ.

1311

ორი მაური ფული მაქვს,
იმას არ ვეტყვი ქონებას,
ერთიც მაურიც მაჩუქე
იმ ჯაჯამენის ცხონებას!

1312

კოხტა ქალმა დამჯატიჟა,
დო დამისხა პინაზედა,
ჯინა იქით გადავაგდე,
შავაყენე ყირაზედა.

1313

რუსთ ხემწიფემ და ხონთქარმა
შეყარეს დიდი ჯარები.
—ხონთქართ, ჩემო მოყვარევ,
ჩემთან რას დაედარები?

1314

ესო, მესო, ჩახმახო და კვესო,
აგატარეს, ჩაგატარეს
სილა გაგაკრესო,
გლეხის კარზედ მიგიყვანეს,
თავლით გაგაძღესო.

1315

ს ა ხ უ მ რ ო.

ალექსანდრე პომპოლიკო,
შენი საქმე როგორ იყო?
—ქალას ჩიტი მომკვდარიყო,
მაღლა შევდე—გამხმარიყო,
დაბლა დავდე – დამპალიყო.
დიდ ქვაბში არ ჩამიყიდა,
ჯატარაში ლაღად იყო.
ასმა კაცმა ვერ შეჭამა,
ჯატარძალმა ლუკმად იყო.

1316

(ვარიანტი მე-1270 ლექსისა)

რუსთველმა სთქვა: ჩემს ძალსა ვკვე-
ცასა ადგილსა თავს უკრავ; [ხი,
ზღვას დავეწაფო ეჭვითა,
სულ ამოვიღებ, ელაპს ვუზამ,
რკინასა ასსა ლიტრასა
კბილს ქვეშ წავაგდო, კნატს ვუზამ,
ამ დედაკაცსა ბოროტსა
არ გავეცალო, რას ვუზამ?!

# ხალხური ლექსები

(კახეთში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ).

## ისტორიული ლექსები.

1

ელი ელამდა, ზღვა ბიბინებდა,
ზღვისა კიდესა კარავი იდგა,
შიგ ქალი იჯდა, ზარი ეხურა.
ავხადე ზარსა, სამი ვაკოცე,
სამმა კოცნამა ფერი უცვალა,
ფერმა ნაცვალმა წიგნი დასწერა.
ვის გაუგზავნა?—დავით ნეფესა.

— რა მოუგზიდა?
— ქამხა, ატლასი.
— რით მოუვიდა?
— ჯორ-აქლემითა.
— როგორ გამოსჭრა?
— ბროლის თითითა!
— რითი შეკერა?
— ნემსის წვერითა.
— როგორ იცმევდა?
— სიხარულითა.
— როგორ იხდიდა?
— ხორცის გლეჯითა.
— რაში გარეცხა?
— სისხლის ზღვაშია.
— რაზე გააშრო?
— ალვის ხეზედა.
— რაღამ გააშრო?
— ნიავმა-ქარმა.

2

მანდ რო ქალი დავიკარგე,
განჯას თათარსა ვყევართ,
ჯეილ-ჯეილო ბიჭებო,
სუ ჩემო მოსადევარო!
მოკრიფეთ თითო შაური,
მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო.
თუ არ დამიხსნით, თქვენ იცით,
ისევ თათრების ტყვე ვარო.
მაცვია ნავთის პერანგი,
ზედ ცეცხლის ალი მიბია;
წინ მიდგა ოქროს ტაბაკი,
ზედ კვიცის ხორცი მიგია;
მშიან და ვერ მიჭამნია,
რჯული ვერ გადამიგდია!
შენი ალმასის დანა მაქვს,
ფირუზის ტარი მიგია!

3

ყეენი რომ წამოვიდა,
ქვეით ჯარსა დაუძახა,
აჰწივა ავლაბრის ხიდსა,
ფიცხლავ წყალში ჩაუძახა:
ჩაყარა რკინის უღელი,
გაჰკრა, რუსეთს გაუძახა!
წყალი და ღვარი ადიდდა,
ღელეები ღვარმა დახრა;
ასი-ორასი თათარი
ერთ ღელეში ჩაიმარხა.
ოთხშაბათს და პარასკევს
იყო მაშინ მჭადით მარხვა,
ორ აბაზად ცხვარი იყო,
სამ აბაზად დიდი ძროხა,
ლეწა უმაწვილების კალო,
ოროველა შემოსძახა.
ცოდვის კითხვა მაშინ იყო,
დედამ შვილი ვერა ნახა!

4

დემურ ყაენი.

დაიძრა დემურ ყაენი,
დააგდო ხორასანია,
წყალი არ ეყო სასმელად —
მტკვარი და ალაზანია,
ბალახი საძოვნელადა —
თრიალეთისა მთიანია.
ავლაბრის ბაზარს ჩამოხდა,
ადგილი უებარია,
დასცა და დასცა კარავი,
სვეტი ოქროსი მკავრია;

შიგ დაჯდა დემურ ყაენი,
რა ტურფა სანახავია!
სამი ბიჭი შეიკაზმა,
შალვა, ივანე ძმანია,
წავიდეს, გადაიარეს
ის ურჯულოთი მთანია.
შალვას ცხენი წამოექცა,
ვიწრო სავლელი გზანია.
სამი ქურთი ზედ მიადგა,
სამნივ ძალიან მთვრალნია.
—დაჰკა, ქურთ, ნუ გებრალები,
თუ გული გქონდეს ავია!

5

კოზმანიშვილი.

კახეთში კოზმანიშვილო,
შენი ხმა თუშეთს ამოდის!
გაგიმაგრებავ კონდოლი,
ჯარი ველარსით შემოდის.
ეგ ჩვენი ცხენი ლურჯაი
თელავში მალმალ შემოდის,
ეგ ჩვენი ხმალი ფრანგული
ქარქაშში ლაღად ამოდის.
ეგ ჩვენი აზნაურები
გაღმით ხმა გამოღმ გამოდის.

6

არა ქნა ჩვენმა ბატონმა,
შეჰყარა დიდი ჯარია,
ორპირ ქიზიყი აავსო,
ხელთ მისცა წინა მხარია.
ალაზანს დადგა ჯიბირი,
ზედ გადის ჩვენი ჯარია.
პატარა ნაბაღჩარია,
შიგ დამალულა ჯარია.
მიველით, გავიქციენით,
როგორც ნადირმა ცხვარია.
ბატონსა ცხენი მოუკლეს,
თავში ჰკრეს ზარბაზანია.
ბატონი ქვევითი მოდის,
ხელში უჭირავს ხმალია.
მომეშველენით, ბიჭებო,
ვის გინდათ ჩემი თავია!
ეს ბოსტიშვილი დათუნა
ცით ჩამოსული ჯვარია,
ცხენზე ზის ბედაურზედა,
ქვეშ უქრის ნიავქარია.
გადმოხტა, ბატონს მიართვა:
„შენი სანაცვლო არია!“
გუმბათის თავში მოვიდა,
კითხულაობა შეიქნა:
„ეს ცხენი ვისი არია?“
—შენი ჭირიმე, ბატონო,
ბოსტაშვილისა არია!
— დათუნავ, ქალაქს ჩამოდი,
თუ გინდა საჩუქარია!
დათუნა ქალაქს ჩავიდა,
ეხვევა დედოფალია:
—„შენი ჭირიმე, დათუნავ,
შენ მამირჩინე ქმარია!“
აზნაურშეებსი ასხა, 
ზედ შემოარტყა ხმალია,
მამულიც დიდი აჩუქა,
წისქვილიც საკუთარია.

7

ტყვე ქალმა ბელადს ყელი გამოსჭრა.

აქებენ მელიქიშვილსა:
ტანი მიუგავ ბუღასა;
თვალები მინდვრის მწყერსათ;
დაიარება ქვარელში,
ბევრსა მოუღობს ტყვესათ.
გაჯავრებული წავიდა,
მუხლზედ იცემდა ხელსათ.
ჯარები შემოუსია
ფერისცვალობა დღესათ;
დაწვა, დადაგა სახლები,
მკვდრებს ვერ აუქცევ ფეხსათ.
ქალი და რძალი წაასხა,
გადაუყენა მთებსათ;
სულ ფეხშიშველნი ატარა,
ქოში არ ეცვა ერისათ,
ერთ სასახლეში შეუძღვა
შვიდი დღე-ღამე დღესათ.
ლეკებსა ეუბნებოდა:
„შიგ გამოვარჩევ ერისათ“.
შევიდა, გამოარჩია,
სახლს ანათებდა ბნელსათ.
ქვეშ ორხუა გაუშალა
თავისა ორხუაზედა.
—მოდი, დაბძანდი, ჯამაზო,
გადაუსვამდა ყელზედა.
—შე წუწკო მელიქიშვილო,
შენ როგორ გადაგეხვიო,
უკუღმა იწერ პირჯვარსა,
ქმარი და მაზლი დახოცე,
მამა აჩეხე ხმალითა;
კიდევაც მამაგონდება
ვაჟკაცი ჩემი ქმარია.
ღმერთო და წმინდა გიორგი,
მაჩვენე შენი ჯვარია,
ბელადსა ყელი გამოსჭრა,
წავიდა სისხლის ღვარია.
ადგა ქალი, წამოვიდა,
სამშვიდობოში არია!

8

(ვარიანტი)

სულძაღლი მელიქიშვილი
დაიარება მთებსათ,
ქვარელში ჩამოჩვეულა
ფერისცვალობა დღესათ,
დაწვა, დადაგა სოფლები,
ბევრსა უტირა დედათ.
ქალიჭ ჯარი დაარჩია,
გადაუყენა მთებსათ,
საბელადოში გამოვდებ,
შიგ გამოვარჩევ ერთსათ

## ს ა გ მ ი რ ო ნ ა.

9

იარე, ბიჭო, წავიდეთ,
გზა შევკრათ ჩვენი მტრისათ,
ტყვეები გავაყრევინოთ,
მადლი გვეყოფა სხვისათ.

10

ბელაქანი წავახდინე,
მინდა წავიდე ჭარშია,
ცხენი მგელმა შამიჭამა,
კვიცი ჩამეფლა ფშაშია

ტანად დაბალო, ლამაზო,
მანათებელო ცაშია,
მახედრულობა კარგი გაქვს,
თუ უნარი გაქვს მკლავშია.

11

## გელანაშვილი გიორგი.

გელანაშვილი გიორგი—
სარქალი მწყემსებისათ.
მოჯამაგირებს არიგებს,
როგორც დედ-მამა შვილსათ.
მაჭთვიცა მოჯამაგირემ,
ფიცი ქნა მეუფისათ:
„გუშინ რო ღორებში ვიყავ,
ნავალი ვნახე მტრისათ,
ურჯულოჭ თითვი ვესროლე,
მოვარტყი ძუძუს პირსათ“.
—ვერ გისროლია კარგათა,
ვაი შენს გიორგისათ!
მაგ თითვის ამბავი ვიცი:
სადაც მოაბამს პირსათ,
არ დააყენებს ფეხზედა,
ფიცხლავ დაარტყამს ძირსათ!
ბიჭებო! ღორი ავყაროთ,
სხვა გორს მიუდგეთ ძირსათ.
ეს მეძეული გიორგი,
ნატეხი სალის კლდისათ,
დაჯდა და ლესავს ხანჯალსა,
ტურფად მოუწყობს პირსათ.
—გაისარჯენით, ბიჭებო,
ვისიც ხანჯალი სჭრისათ.
სამი ურჯულოჭ ბელადი
გიორგის დააწვესათ.
წამაიწია გიორგიმ.
ლეკი მაიდო ძირსათ,
დასცა და დასცა ხანჯალი,—
მაშვიკით ადებს პირსათ.
—გაისარჯენით, ბიჭებო,
ვისიც ხანჯალი სჭრისათ!
ფოლად-ნარევი რკინაა,
ტარი კამეჩის რქისათ.
კაფა და კაფა ლეკები,
როგორც ტოტები ხისათ,
აგეთი დატრიალდება,
როგორც ბორბალი წყლისათ!

12

## გამოპარული ტყვე.

ლეკებმა რომ დამიჭირეს,
მაგრად შამკრეს, ვაჰ მეთ!
აგეთ ციხეში ჩამაგდეს.
მზე არსაით მადგა მეთ.
იქ რო ქალი შემოვიდა,
ღმერთო, მიე დიდი დღეო!—
გამატარ-გამომატარა,
ზოგან დუზი, ზოგან ტყეო.
ყვავმა დაიწყო ჩხავილი:
—„ლეკო, გეგეპარა ტყვეო!“
სანამ ლეკები გაიგებს,
სამშვიდობოს გაველ მეთ.
სამშვიდობოს ქორწილია,
ვიკითხე და შევველ მეთ.
ბოლოში რო ადაგი ქნეს,
თავში წამოვჯექი მეთ.
ყანწით ღვინო მომაწოდეს,
თასით ჩამოვარიკი მეთ.
ნეფე კარში გამოვიდა,
დედოფალი დამრჩა მეთ.

ერთი იმასაც ვაკოცე,
სიავკაცე შემრჩა მეო.

13

სოლოღას ლექსის ვარიანტი.

არაბი მოდის, მოხუის
შავარდენისა მთაზედა,
ჯირითსა დაიტრიალებს
გაშავებულსა მკლავზედა.
სოლოლას კარგად აქებენ,
ჯირითის გასროლაზედა.
—მოდი, სოლოღა, გამექე,
ერთი ჯირითის კვრაზედა!
ერთისა მეტსა არ გესვრი,
მასაც ღვთის ბედობაზედა.
ადგა სოლოლა, გექეცა,
მისდევს არაბი კვალზედა,
რამწამს ერთი წამოუსვა,
სულ არა ეკრა ტანზედა;
მეორე თან მიაყოლა,
მოხვდა ცალ უზანგაზედა.
მოსწყვიტა ცალი უზანგი,
დადგა ცალ უზანგაზედა.
მოდი, არაბო, გემექე,
ერთი ჯირითის კვრაზედა,
ერთისა მეტსა არ გესვრი,
იმას ღვთის ანაბარზედა.
რამწამს ერთი წამოუსვა,
დაჰხირა ბეჭის ფთაზედა;
არაბი ძირს გადმოვარდა,
ცხენი გაიქცა წყალზედა.
ალალ-ალალი თათრები
ქისას აბერტყენ თავზედა.
ბატონს კაცი მიუვიდა:
„შენი არაბი მოჰკლესა!“
—ჩემსა არაბსა ვინ მოჰკლავს,
გაიქმულსა თურქისტანზედა?!
არაბის მკვლელი მაჩვენეთ,
გავიცნო კაცობაზედა.
სოლოლას ხელი წაავლეს,
ფეხები მაქვს განზედა:
აგრე ჰგონია სოლოლას,
თავსა მომჭრიან ტანზედა.
ხალათი გამოუცვალეს,
დედის ნაშობსა ტანზედა,
კალმუხის ქუდი დაჰხურეს,
ახლად მოპარსულს თავზედა.

## სასულიერონი.

14

დენთი, დენთი, როგორ დენ- [თი,
დეინო დგება, როგორც ზეთი!
დალოცვილი ქრისტე ღმერთი
ოქროს სკამზედ დაბძანდება,
ხელთ უჭირავ სასწორები,
ცოდვა-მადლი ეწონება.
მე და ივანე კანთელი
სულის საკრეფლად წაველით;
არ მინდოდა წამეყვანა,
შორი გზები გამატარა;
სამოთხეში გადვიხედეთ,
ტურფა იდგა ქალის ჯარი.
სამი ქალი შამეგება,

სამნივ იყვნენ ჩემნი დანი.
—წამო, ძმაო, პური ჭამე,
თბილი პური, ცხარე ძმარი.
—არცა შენი პური მინდა,
არცა შენი ცხარე ძმარი!
სამი დღის ნაყანობშია
ქკალ-უკალი ჰფენია.
მადლიანი ამას ამბობს:
„ჩვენთვინ ბუმბული ჰფენია!“
ცოდვიანი ამას ამბობს:
—ამაზედ გავლა ძნელია!

15

მეორე ვარიანტი.

დენთი, დენთი, როგორ დენთი...
დალოცვილი ქრისტე ღმერთი
ძირს მიწაზედ ჩამოაძანდა...
შამკობილი იმერეთი...
ჯაგის ძირას დაიბადა
დალოცვილი ქრისტე ღმერთი.
მიბრუნდა და მღვდელსა ჰკითხა:
—შენ ხუცესო, დღეს რა არი?
—რას მიჰქარავ, ბერო-კაცო,
პური არი, განა ფეტვი!
დასწყევლა და ჩააძვრინა,
დღესაც მოდის დანაშრეტი;
ხან ბარი ამოვარდება,
ხან ნიჩაფი, მუხის კეტი.
ადე, ქალო, ჩქარა წადი,
უკან აღარ მაიხედო,
ნუ გკჭირს თავში გიჟი, ტეტი! *)

## ს ა ზ ნ ე ო ბ ო ნ ი.

16

### მ ი რ ო ნ ი.

არ ვარგა მეზობელშია
მირონი მიღებულია:
ყმაწვილი ყმაწვილს გადასძლავს,
ისიც ხომ გახდა ურია.

17

### უფერი ცოლ-ქმარი.

იადონი ვარდსა ჰყვარობს
და ბულბული ავ-საგანსა **)
ნეტავ როგორ შეეყრება
კაი ქალი ავსა ქმარსა?

18

დიდება ყოვლად წმინდასა,
სოფლის შენება ინება,
ცასა უბოძა ღრუბელი,
მას წვიმა მოედინება.

—

ღმერთი დიდად გაისარჯა,
ჩვენი დაბადებისთვინა,
ახლო-ახლო დაგვასახლა

*) ეს ლექსი წარმოადგენს ნაწყვეტს თქმულებისა ახტალის ტალახების შესახებ კახეთში. უფრო ვრცელი ვარიანტი ერთი ხელთნაწერიდან მე უკვე დავსტამბე (იხ. *Описаніе рукописей Общества грамотности. т. II, стр. 514*). რედ.

**) დედანში სწერია: ავსა განსა(?). რედ.

ერთმანერთის ნახვისთვანა;
პირში სველი ენა მოგვცა
ერთმანერთის ძრახვისთვინა.

19

საკვირველი საქმე.

შენ რა იცი, მამა ქოსა,
რა გემო აქვს თამბაქოსა?
ერთი კაცი პირს იპარსავს,
არი სამოცი წლის ქოსა;
ერთი კაცი ხარს წყალს ასმევს
ურქოსა და უყუროსა;
ერთი კაცი პერანგს იცვამს
უსახლო, უსაკინძოსა;
კაცი რომ ჯარში წავიდეს,
თავი არ უნდა იქოსა.

20

ბებერი რომ დაბერდება,
მაუჯდება კერასაო,
კრუხ-წუწულას მიაბარებ—
დააწმევდა ძერასაო.

21

უხერხული გუთნიჯ დედა
მეხრეებს ემუქრებოდა,
ცოტას მხვნელი და მთესველი
მაღალ ღმერთს ემდურებოდა.

22

სუფრავ, გაშლილი ლხინი ხარ,
ჩავარდები გონებასა,
ერთი ნამუსი სჯობია
ასი თუმნის ქონებასა.

23

როსტომ სთქვა: სიბერკაცითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
კურტნიან აქლემს ჩამოვკრი,
ცხრა ადლსა მიწას სხვას სჭრიდა.
ამას ვინ გაიფიქრებდა,
თუ რუსის ხმალიც გასჭრიდა!

24

ბევრი ღვინო მოგვივიდა
ჩვენ კახეთში წელსაო.
კაი გამგონე კი უნდა
კაი სიტყვის მთქმელსაო

## ყოფა-ცხოვრება.

25

მღვდელი.

ჭერემში ერთი მღვდელია,
ციკან შაუკავ წვერია,
ის ხომ იმას არ კითხულობს,
რაც რომ ქაღალდში სწერია.
დარი და გოლვა დაუდგეს,
გაითხელებოდეს წვერია.
ღმერთო, შენ ამოუწყვიტე
შინდორში ლურჯი ცხენია!

26

(ვარიანტი)

კახეთში ერთი მღვდელია,
ჩებიჩს*) შაუკავ წვერია,

*) მამალი თხა.

წირვა და ლოცვა არ იცის,
რომელ კუთხეში სწერია!

27

მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე.

სხვისა მოჯამაგირობას
ადვილად იტყვის ენაო,
დილიდან საღამომდისინ
არ მქონდა მოსვენებაო:
დილით ძროხაში გამგზავნეს,
საღამოს ღორისკენაო,
თან მწევრები გამატანეს,
—„იქ ინადირე შენაო!
თუ კურდღელი დაიჭირო,
ხორცი ჩვენ, ტყავი შენაო,
და თუ მელა დაიჭირო,
ტყავი ჩვენ, ხორცი შენაო!“

28

კიკნაძე ბერის ქონება.

გაღმიდანა გამოვსახლდი,
მე ვარ კიკნაძე ბერია;
თორმეტი ფარა ცხვარი მყავს,
თან მიაქვთ მთა და ველია;
თორმეტი ხვედა ძაღლი მყავს,
არსად გაუშვა მგელია.
თორმეტ უღელა ხარი მყავს,
სუ წინ და უკან ჭრელია;
თორმეტი ნიშა ფური მყავს,
ერთ დილას დასაწველია:
თორმეტი ნიშა კვიცი მყავს,
სუ ერთად დასახედნია;
თორმეტი პატარძალი მყავს,
სულ აკვან დასარწველია;
ზღვაში გოდორი ჩავაგდე,
თევზები დასაჭერია;
ორი გოდორი თეთრი მაქვს,
სუ უზალთუნი ჭრელია;
თამარ დედოფალ მეწვია,—
მჭადით ვარ მასპინძელია.

29

მეცხვარის ჩივილი.

თოვლი სთოვს, ცხვარი ვერ გადის,
ვაჰ გულო პატრონისა!
პატრონსაც არა უჭარს-რა,
ვაჰ ბრალი მწყემსებისა!
ელდრაზედ დამრჩა ბინები,
ტუილად ქარი ჰქრისა,
შავწირე ათასი ცხვარი,
ბრალი მაქვს ოჯახისა!
სადღა წავიდე? რაღა ვქნა?
არც იმედი მაქვს ძმისა.
საკუთარ ბინის პატრონსა
ახლა მწყემსობაც მინდა!

30

შამყულაანთ გიორგი.

შამყულაანთ გიორგი ვარ,
საქართველოჰ *) თვალი ჩინი,
ზამთრი გაწყვეტი ღორები,
გაზაფხულიჰ გავიჩინი **).
სადაც გრილო მომეწონის,
იქ დავწვე და დავიძინი;
საით თოფი გავარდება,

---

*) ს მაგივრად გამოღმა მხარე-ში ქიზიყისაკენ ჰ ხმარობენ.

**) იპარავდა, ქურდი იყო.

ხელი იქით გავიშვირი;
თუ მთელი არ მოვიტანი,
ფეშხვა არც კი ავიცდინი,
შინ რომ სტუმარი მჯდომოდა,
პირი არც კი შავირცხვინი.

31

ქიზიყს ფეტვები მოსულა,
წაველ, მეველედ დავდექო,
ერთი პირღის თოფი მაქ,
არც იმას გადავაგდეფო.
ბიჭები დავაწიოკე,
იმათ ცოდვაში ჩავდექი,
საცა ლორებს დავინახავ,
მივახვედრებ და დავდეფო.
თუ მთელი ვერ წამოვიდე,
ფეშხოს ხო წამოვიღეფო!

32

თ ა გ ვ ი.

ორმოში პური ჩავყარე,
ზედ დავაყარე ქერია,
ერთი თაგვი შემეჩვია,
ამალებინა ხელია,
დავიჭირე, ბევრი ვცემე,
კუდზე მოვაბი წნელია.

33

კ ა ლ ი ა.

იმერეთ ბევრი ფუტკარი,
კახეთში ბევრი ღორია,
სამი დღის ფეტვი მოვხანი,
შიგ ამოვწყვიტე ხარია.
დარი და გოლვა დაუდგა,
იმან არა ქნა ტანია,
დავთალე დიდი დარები,
მიუგდე დიდი წყალია,
იმას რო წყალი მიუგდე,
მაშინ მაყარა ტანია.
იმან რო ტანი მაყარა,
მეც წელში გავიმალია.
მარიანობა გათენდა,
დავკალი წყვილი ვარია,
მჭედელ ნამგალი მიუტანე:
— მაგრა დააგე ტარია!
შაველ და შავაჩხარუნე,
წამოიშალა კალია.
- არ დაიშალე, კალია,
ვენახში გაიშალია?!
მოვგლიჯე დიდი სარია,
ერთსა მივტეხე მხარია,
მეორეს თეძოს თავია.
რატო შემჭამდა ტიალი?!
ღმერთო, შენ შემიბრალია!

34

მელიამ ვენახი შეუჭამა.

პატრონმა ვენახი მომცა,
ახალი გასაშენია,
შიგ გავაკეთე მარანი,
მოვმართე საწნახელია.
ჩემი ძმა მეუბნებოდა:
„ღვინო მოგვივა ბევრია!“
მე ჩემ ძმას ვეუბნებოდი:
„გაგვეზება ძველის-ძველია!“
შემოგვეჩვია მელია,
უომრელი თაგვის ფერია,
კაჭა და კაჭა ვენახი,
აგვალებინა ხელია!..
წაველ და ჩემს ძმას უთხარი, —

ჯოხს წამამივლო ხელია:
—რატო თოფი იქ არა გაქ,
ის ოხრათ დასარჩენია?!
ჩემმა ძმამ ხერხი მასწავლა:
გოდორს შემიბა ყურია...
დავდგი შესავალ კარებში,
შიგ ჩაუკიდე პურია.
აქა მაქ ჩემი მაჯარი,
ქალაქში გამართულია.
გავარდა ჩემი მაჯარი,
გააგდებინა ყურია.
—აგაგა, ძაღლო მურია,
სად მიგაქ ჩემი პურია?! *)

35

ადე, კარში გაიხედე,
კარზე მოსულა მელაო,
ჭუჭულები დაგვიჭამა,
კრუხები შაგვიითხელაო.

36

მონადირე სესია ბ ღორი.

ვაი სესიავ, სესიავ!
შენ წამიყვანე ტყეშია,
ნადირის ქებას მომიყვა,
თეთრობიანა ველშია.
შენ მაღლა-მაღლა წამოხველ,
მე—ამ სქელ ლანჭახებშია.
წამოწოლილა გრუზუნა,
ეშვები დაულესია!
შევხედო,—წამომიფრინდა,
კუდა არის და მრეშია.
თოფი ფეხზედ შევაყენე,
ვერ მომიგდია კვესია;
გავხედე, თოფმა იელა,
გაუმტვრევია გვერდია;
გავიქე და ზედ დავაწექ,
ყბაში ამოვდე ხელია.
ერთი იმანაც ამომკრა
ამ სისქე ბარძაყებშია,
სისხლი ღვარათა მივარდა,
ჩავიდა დაჭრილებშია.
აღმართიი ამოვიარე,
ერთი არ დამიხვნეშია;
წაველი და შინ მიველი.
ერთი იქ დავიკვნესია:
—ვაიმე, დედავ, წელია!
—ნუ გეშინიან, სესიავ,
მონადირისა წესია,
შენისთანა მონადირე
ტახს ბევრი გაუსრესია!

37

(ვარიანტი)

ეს რა საქმე მიყო ტახმა,
მამიჭამა ენდროს კაკრა,
მე რო თოფი გაუწოდე,
იმან ფეხი აიკაკლა.

38

ყვავმა დასჩხავლა.

—ვენახს უნდა მოუარო,
ხელში ავიღე ავშარა.
ვენახებს შემოურბინე,
ყვავმა კაკალზე შაჰჩხავლა.
—ყვავო ტიალო, ვერანავ,
ვინ არი შენი მასხარა?!
ზევიდგან მგელი მორბოდა,

*) მელია ეგონა და ძაღლს მოარტყა თოფი.

ჭირში ეჩარა კანჩალა:
—შენი ცხენი მე შევჯაშე
ზემო ვენახის თავთანა!

39

ავი რძალი.

მე რო რძალი შემეყარა,
ისიც იყო თარაქამა,
მე რო იმას ავყოლოდი,
გახდებოდა ხათაბალა.
მე რო ქვევით დამიცილა,
შუაკაცი მეეყვანა,
დანჯღრეული ქოში მომცა,
იმას არა ჰქონდა კალა.
ერთი კუდა ხარი მამცა,
იმას არა ჰქონდა ძალა,
იმ ოხერმა შუაკაცმა
რა ნაჭირას გამიყვანა!

40

უხეირო ქმარი.

ქალმა თქვა: ის ჩემი ქმარი
ვერაფერი კაცი არი,—
დღისით კარში ვერ გამოდის,
ღამე დერეფანში არი.
ერთხელ გამოვიდა კარში,
უწინ ჩხირი ეცა თვალში.

41

დამწვარი არშია.

ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო,
რას დამძახი ძრიანაო?
დედამ კაბა შამიკერა
დარაია შრიალაო.
ავკეცე და ჩამოვკეცე,
ჩავდევ ზანდუკაშიაო,
ხელ აღებით ტაშიაო(?).
ნაპერწკლები ჩაჰყოლოდა,
გამოჰწვოდა არშიაო.
მოდი, მაზლო, მომიტანე
ჩემი კაბის არშიაო!
წავიდა, აღარ მოვიდა,
ყურძენი მოიტანაო,
ყურძენი მე არ მაჭამა,
ბატონსა გაუგზანაო,
ბატონმა კაცი მოგზანა,
სამარე გამითხარაო,
სამარე ვიწრო მოვიდა,
გვერდები ჩამათალაო,
ჩემი გვერდების ნათალი
სიმშილობასა ჭამაო,
ოთხას და ოთხი ნაწნავი
სუ გულზე დამათვალაო.

42

ლამაზი ცოლი.

ლამაზი ცოლის პატრონსა
უნდა ჰყვანდეს ძაღლი ფთხილი,
ან უნდა ძაღლი ფთხილობდეს,
ან იმისი დედამთილი.

43

სამდურავი.

გემდური, დედავ და მამავ,
რად გამათხოვეთ პატარა?
რაც უნდა დიდად მინდოდეს,
ვერ დავწოლილვარ ქმართანა.

44

უნამუსო ქალი.

მინდორსა ცეცხლი ედება,
მინდორსა უპილპილოსა,
მაროსა ქალი გაუჩნდა,
მაროსა უგვირგვინოსა.

45

უ ს ა ქ მ ო ბ ა.

ალაზანი ადიდდაო,
აქეთ-იქით დახევდაო,
ჩვენ ამდენი უსაქმობითა
ბევრი საქმე გვაკლდებაო.

46

ეხლანდელი ქალები.

ეხლანდელი ქალებით
დალესილი ხმალებით,
დედ-მამას ეუბნებიან:
„მალე შეგვრთეთ ქმრებიო!“

47

ნეტავი შენსა დედასა,
შენ გეეზდები შვილადა,
არც გინდა პირის დაბანა.
არც უმარილი ხშირადა.

48

ქათამი ზის ქანდარაზე,
ბიბილო გაშავებია,
შენი შვილების დამწყევსა
ჩიქილა გაშავებია.

49

მაღლისა მაღალ მთაზედა
ქორ-შავარდენი ბუდობდა,
ქალ, ჩემი ქმარი მართალი,
შენი ქმარი კი მრუდობდა.

50

ობლისა დედა ტიროდა:
—შვილი მამიკლა ძეძვმაო!
– არცარა ჩემი ბრალია,
მინდორმა მოკლა გძელმაო.

51

სტუმარ-მასპინძელი.

მასპინძელო მხიარულო,
მარნის კარი გვიჭრიალე,
გამოგვიტა ვაზის წვენი,
პირი ჩაგვიმაჭრიანე!.

52

კურდღელი წამოვახტუნე
შამბსა და ყინტორაშია,
დამისხი, დამალევინე,
თუ გედგეს ტიკჭორაშია!

53

მთაზედ ურმები ბუდობენ,
იქ იკეთებენ ბუნაგსა,
თუ ჩემი ღვინო არა სჭრის,
სტუმარი რათა ბღუნავსა?

54

წამო, ბიჭებო, წავიდეთ,
მინდორს ყანები ვნახოთო,
პური და ღვინო წავიღოთ,
დავსხდეთ და ლხინი ვნახოთო!

55

გლეხ-კაცის ავლადიდება.

თარიმან, შენსა ვენახსა
ჭიგო უდგია მსხლისაო,
რაც იმას ღვინო მოგივა,
ნახევარია სხვისაო.

56

მახუკაანთ ქორწილი ქნეს,
ათამაშეს კატებით,
ხელი მკრეს და გამომაგდეს,
—აქ რას დაიკაკვებით!

57

ჩიჩათვაანთ ქორწილი ქნეს,
დაკლეს ბატი გულიათ,
პატარძალი აათამაშეს,
მეტად დანაგლულიათ.

58

მამალმა დამწვა, დამდაგა,
ომანმა მიუთ ძალათ,
კოჭბით შეჭამანდი შევდგი,
ლობიო ჩამითვალათ.
მე იმას რა დღეს დავაყრი,
თუ ღმერთმა დამაცალათ!

59

აგერ მთაზედ გავიხედე,
გამომეურეს ეშმაკებმა,
იმათ გაგვაძრეს ჩვენ ტყავი,
იმ ჩვენგან გასაწყვეტებმა.

60

შვინდა და ლალიკო
კამეჩები.

შვინდა ლალიკო იძგერნენ,
შვინდა ატანდა ძალასა.
მაიქედურა ლალიკომ,
გვერდები დაჰკრა ალაგსა.
ჩოკინამ ლოყინი შაქნა,—
მე ვერა ვზიდამ ამასა.

61

მდინარე ჰერემი.

ჭერემმა თქვა: „ავდიდდები,
არა წყალს დავედარები,
მუკუზანში რომ ჩამოველ,
იქ დავიხადე ნალები.
ველის ციხეს რომ ჩამოველ,
დავალე ბოსტნის კარები;
ისე გავმარგლე ბოსტნები,
არ მოვანდომე ქალები.

62

თ ო ფ ი.

თოფმა სთქვა: „ჩემსა პატრონსა
ჩემს უკეთესი რა ჰქონდა:
ზედ მესხა ვერცხლის ჩახმახი,
ოქრო უბებით*) დამქონდა.
ჩემი ნახოცი ნადირი
ყვავსა და ყორანს გაჰქონდა.
ერთი ისეთი თხა მოვკალ,
შვიდი მტკაველი რქა ჰქონდა!“

63

ვ ი რ ი.

ორშაბათ დილა გათენდა,
ვირებს გავუღე კარია:
—„წადი, ვირო, ქალაქს ჩადი,
სვი წყალი, ხვრიმე ნარია!“
—ჯერ ნარი არ შეეხვრიმა,
მგელ გემოეყო ტუჩია.
—მე მგელო ძუნძულიანო,
სად შემასწარი თვალია?
ამტელი ამიკიდნია

*) კონტახი.

სამი მარილის ქვანია.
ერისა შენ გამოგიგზავნი,
რომ შაინელო მხალია!
— მე მხალი-მხული არ ვიცი,
არა სჭამს ჩემი გვარია.
ქვავი, ყორანი იქ არი,
სადაც რომ ვირი მკვდარია!
კისალა მოჭრიხჭრიხებდა:
„შეც ჩამიდევით წილია!“

64

დაითკმა სიქვა ბადადრიანმა:
„ჭალა მოვჭამე მსხლიანი,
ავდექ და ქვევით წამოველ.
თავი მეგონა ჭკვიანი;
მივიხედე და მომდევდა
ხოზანა ნაკოდლიანი.
მიმინაშვილი ფირანა
ამოსჯდომია ძირკვსათ,
იჭექა თავის სიათა,
ელდა მეგონა ცისათ,
სამი დღის სავალს გაჰქონდა
ჩემი ნამტვრევი ძვლისათ.

65

თაგვების ხემწიფე.

თაგვთ დაებადათ ხელმწიფე,
დაარქვეს კანათვარია,
დალოცეს და ტახტზე დასვეს,
წელთ შემოარტყეს ხმალია.
იმას რომ ცოლი მოჰგვარეს,—
პეწენიკ დედოფალია.
ციცას კაცი მიუგზავნეს:
—„ომი გვწადიან ხვალეა!“
შემოუთვალა ციცამა:
— „არა მაქვს თქვენი ჯავრია,
არც შამიერია ლაშქარი,
არცა მაქვს თქვენი თავია!
ფეშქაშათ მამირთმევია
კარდილი ჩემი ქალია!“
გაწყრა, გაჯავრდა პეწენიკ,
ზეცას აუშვა ალია:
— ჩვენ იმიჭ ქალი რად გვინდა,
ის ჩვენი მასისხარია!
წავიდეთ და იქ დავკეცეთ,
სადაც რომ მეელანია!

დაუთვალავი გავიდა
ყომრელი თაგვიჭ ჯარია...
იქ დახვდა მარტოკა ციცა,
მოუხდათ დიდი ომია;
სულ გაუწყვიტა მხლებლები,
გადარჩა კანათვარია.
— ეხლა გემექე, კანათვო,
ვისი ცხენია ჩქარია?
ადგა, გაექცა კანათვარ,
თავში მოარტყეს ხმალია,
უკან კოჭლი თაგვი მოჰდევს,
ი გულ-ნატკენათ არია...
გაწყრა, გაჯავრდა პეწენიკ,
ცაში აუშვა ალია:
—შენ აქ რისათვის მორბოდი,
იქ დაგრჩენია ჯარია?
— სულ გაგვიწყვიტეს მხლებლები,
დაგვიჭრეს კანათვარია.
გაწყრა, გაჯავრდა პეწენიკ,
ცამდის აუშვა ალია:
—კანათვარს როგორ დაჰჭრიდენ,
მძლავრი ხელმწიფე არია!

ლოკოკინას დამიძახეთ,
ის უფრო მუხლში ჩქარია!
უნდა გავგზავნოთ ინდისტან,
იქ უკვდავების წყალია *).
ლოკოკინამ გაიგონა,
ციხეს დამალა რქანია,
გარს გალავანი მოივლო,
მაგრად ჩაკეტა კარია:
—«არ იქნება და ვერ წავალ,
არ წავა ჩემი გვარია;
იქნება კიდე გავიდე,
თუ არი დიდი წყალია!»
ამას ამისობაშია,
მოდის კანათვარ მკვდარია.
ოცი მღვდელი გაუმძღვარეს,
სამოცი დიაკვანია,
ძროხა ბევრი დაუხოცეს,
უანგარიშო ცხვარია.
ადგა და ციცა წავიდა,
ვნახო, როგორი ლხინია!
მივიდა და გადიხედა,
გადადო თეთრი პირია.
გამოუხულეს მაჯარი,
შემოალეწეს ცხვირია.
ციცა წაიქცა დაჭრილი,
ცრემლი დაჰცვივდა წყვილია:
—თაგვებო, თქვენი ხორცითა
ვეღარ ჩავიტკბე პირია!

---

*) ეს ორი სტრიქონი ჩვენ დავუმატეთ ამავე ლექსის ქართლის ვარიანტის მიხედვით. იხ. ზემოთ ლექსი 108ა. რედ.

66

თაგვმა შეუთვალა ციცას:
ციცავ, რას მემუქარები
მაგ შენი ორის კნოტით?
სახლი შვილებით სავსე მაქვს,
საბძელი შვილი-შვილითა,
სანამ შენ იმათ დამიხოც,
სულ ამოგაგდებ ჭირითა!

67

ს ო მ ხ ე ბ ი.

სომხებსა რჯული ვინ მისცა,
წიგნი ვინ დაუწერათ?
შაბათი საჭმელად მისცა,
კვირა არ გაუთენათ.

68

და დის მტერი.

დაო, დაო, დისა მტერო!
ძუძუ ძაღლო მეძებარო!
წამოგისვი ქანდარასა,
მოგიწოვე პატარასა.

69

კ უ რ დ ღ ე ლ ი.

კურდღელმა თქვა: პატარა ვარ,
მინდორი ამოვიარე,
სოფელი თქონთქორდებოდა,
ლამაზ-ლამაზი ვაჟკაცნი
თოფ-იარაღში სხდებოდა,
ლამაზ-ლამაზი მწევრები
ფეხის ბწკლებზედა დგებოდა,
აგეთ მინდორზედ გამიგდეს,
თვალი არ გადასწვდებოდა,
აგეთ ბარდებში ჩამაგდეს,

ქორი ვერ ჩაფრინდებოდა,
მოვარდა სისხლის მორევი,
შიგ ნავი გაცურდებოდა.

70

### ქმრის მკვლელი.

ოდოფაანთ ქალი ვიყავ,
მარაბდიანთ პატარძალი,
მე რომ ქმარი არ მინდოდა,
საყვარელი მყვანდა კარგი.
საყვარელმა ასე მითხრა:
„ქალო, მოკალ შენი ქმარი!“
—როგორ მოვკლა ჩემი ქმარი,
ქრისტიანი—ცოდვა არი!
ავდექ, მოვკალ ჩემი ქმარი,
მე დავღუპე ჩემი თავი!

71

### თამამი პატარძალი.

(ირონია)

მანავიდამ *) გამოვთხოვდი
მანავ ქალი მეო,
უმარილი ბევრი ვისვი,
ფერი ვიჭარბეო,
წარბი წვრილად შავიღებე,
თვალი ვისურმეო.
ქურანი ცხენი მომგვარეს,
ზედ გადავჯექ მეო,
უზანგშია ფეხი ჩავდგი,
გადავალაჯეო,
საყდრის კარზედ რომ მივედი,
ლიტრა გავტეხეო,
მღვდელსა შავძახეო:
—კარი გააღეო!
მღვდელმა კარი არ გამიღო,
ის მიამა მეო.
მღვდელმა წიგნი ვერ იკითხა,
ხელში წავგლიჯეო,
თავში ვაწყვიტეო.
ხრიკი უგდე, ქვეშ მოვიგდე,
ზედ დავაწექ მეო,
საოხრო წამოჭდგომოდა,
ზედ ჩამოვაგეო.
მანამ მაყრიანი მოვა,
ცხენზედ შავჯექ მეო.
სახლი კარებთან რომ მივედ,
ნიტრა გავტეხეო.
მაყრიონი მომძახოდა:
— „ქალ, მაიცადეო!“
მე იმათი ტრაკა-ტრუკი
არად ჩავაგდეო.
დედამთილს პირი ვარიდე,
ნიტრა გავტეხეო.
პირში მაქარი ჩამიდვა *),
თითი მოვკვნიტეო.
დედამთილსა წავჩურჩულე:
—პური მშიან მეო.
ერთი მწვადი რომ შემიწვა,
ის მეწყინა მეო.
ასი კვერცხის ერბო-კვერცხი
მარტომ შევჭამეო.
მაშრაპით ღვინო მომართვა,
ის მიამა მეო.
მამამთილს წვერი ვაგლიჯე,

*) სოფელია.

*) დედამთილმა.

ლობეს მივფინეთ,
დედამთილს თმები ვაგლიჯე,
ბანზედ დავფინეთ.
ნეფეს წიხლი მოვახვედრე,
კარებს ვაწყვიტეთ.
ერთი კოჭლი მაზლი მყვანდა,
ქვევით გავაგდეთ.
ორი კვირის პატარძალმა
შვილი მოვშობეთ,
მემრე ქალებში წაველი,
ქალებს უამბეთ.

72

საყდრის გამტეხი.

ეო, მეო,
ძმაო დემეტრეო,
წმიდა გიორგის კარები
როგორ გაალეთ?
—საყდრის კარზედ რომ მიველი,
ხელი შავყავ მეო.
ვაჭაჭუნე, ვაჭაჭუნე,
კლიტე გავტეხეთ.
მღვდელმა კარებზე მომასწრო,
თოფი დამცა მეო.
სისხლიანი ახალუხი
კარებს უკან ძეო.
დედავ, საცა წახვიდოდე,
თან წაიღებდეო.
ტირილზე რომ დაჯდებოდე,
მომიგონებდეო.

73

ქალი ანა.

ქალო ანაო, ბანაო,
ხელ-პირი დაგებანაო,
შენი ხელ-პირის ნაბანი
ავჭალას ჩამოდიოდა,
ორი ავჭალა ავსილა,
მესამეშია დიოდა.
შიგ დიაკვანი დამრჩვალა
საბრალო, დედის ერთაო.
გაღმით ეძებენ ნავითა,
გამოღმა რკინის კავითა.
იპოვნეს, გამოიტანეს,
პირი ამსოდა შლამითა,
ქოჩორი ალაბულითა,
ყურები ჩალა-ჩულითა.
იმისი დედა მარიამ
შაკმაზულიყო შავითა.
წინ შვილი შემეყარა:
—დედავ, რად დახვალ შავითა?
—შვილო, შენ რასა კითხულობ?
შვილი დამიკლეს დანითა,
ალმასის წვერზე ამიგეს,
მაყურებინეს თვალითა.

## კახური „იავნანის“ ლექსები.

74

ნანი-ნანი ემაწვილო!
თეთრის პურის ნაწილო!
მამის ოქროს გუთანო,
დედის ჩიქილ-მანდილო!
ბიძას ქამარ-ხანჯალო,

ქალოს წითელო ვაშლო!
სუფრას საგორებელო,
ქვეყნის მომგონებელო!

75

ლილით მზე ამოსულიყო,
ბარბარე გამოსულიყო;
ეხურა დიბის საბანი,
შიგ ეწვა ბატონიშვილი,
ბატონიშვილი ლევანი,
მარგალიტისა მტევანი.
ზედ ეცვა მოის პერანგი,
გაზნაპოლის ახალოხი,
მთვარე გრეხილად მოევლო,
მასკვლავი ლილად ეკერა.

76

ია ვკრიფე, ვარდი ვშალე,
წინ ბატონებს გაუშალე.
იაგუნდის მარანშია
ღვინო დგება ლალის ფრისა.
შიგ ალვის ხე ამოსულა,
ტოტები აქვს ნარგიზისა.
ზედ ბულბული შემომჯდარა,
იადონი მხრებს უშლისა.
იავ, ნანა, ვარდო ნანა,
იავ, ნანინაო!

## დ ა ლ ო ც ვ ა.

77

ქალაქიდან წამოველი,
გადმოვიარე ზიარი,
ღმერთმა ნურცა გამაგონოს
შენი მარცხი და ზიანი!
სინამდი ღმერთმა გაცოცხლოს,
სანამ მთვარე და მზე არი!

78

ელმუსარეთ *) კოშკი მედგა,
ზედ მირონის გუბე იდგა.
დაგლოცოს პირმა ღვთისამა,
საყდარმა გელათისამა!
ას ორმოცმა ანგელოზმა,
თორმეტმა ბარძიმისამა,
სიონის ხატმა და ჯვარმა,
კადმამცქერალმა მტკვრისამა!

*) ერუსალიმს.

79

დამათროს შენმა ღვინომა,
გამაძღოს შენმა პურმაო,
სამოთხეში მოისვენოს
შენი დედ-მამის სულმაო!

80

ღმერთი შენ როგორ წაგახდენს
შენი დედ-მამის შვილსაო,
კაცი რო გეჩხუბებოდეს,
სიცილი მოგდის პირსაო.

81

სასახლე იორამისა
ნათალი წმინდა ხეაო,
შიგ ამოსულა ვარდები,
გარს ახვევია იაო.
შენს დედ-მამასამც დახვდება
სამოთხის კარი ღიაო!

82

ქალაქიდან წამოველი,
ცამ მოიხვია ბურია.
ჯიბეში ხელი ჩაიყავ,
ქისას ინახე ფულია.
ან ამოიღე აბაზი,
ან უზალთუნი ჭრელია.
ფარა არ ამოაყოლო,
უსუსური და თხელია,
მისი მამჭრელი დასწყევლოს,
მისი აქ გადმამტანია!

83

აჰა ველია, ველია,
რა ჯოჯოხეთი ბნელია!
მშვიდობით მოგიჭამნია
ჯერ კალო, მერე რთველია;
წითელი ღვინით ეგემსოს,
სამი საპალნე ქვევრია,
სომდე და სომდე ძალზედა,
ისევ ხელ-უხლებელია!

84

ის კედელი, ეს კედელი,
შუაზე არის ამბარი
ამბარი და ამბრის კუთხე,
ქრისტე ღმერთო, შენ აკურთხე:
ვინც იყოს ხუთმეტი წლისა,
ჭამა იცოდეს გულაბი მსხლისა,
მანახვა სიყვარულისა.

## შ ა ი რ ე ბ ა.

85

ტყეში მარხილი წავიღე,
გაუბეთე ჭალი, კოფა *),
თუ შაირები არ იცი,
ახლა ნახე შენი ყოფა.

86

ორი კაცი წაიჩხუბა:
ალექსა და მინესაო,
თუ შაირები არ იცი,
ჩაგამტვრევ მა კბილებსაო.

87

ერთი პატარა შაშვია,
აფაჩუნებდა ჯაგია,
თუ შაირები არ იცი,
ადე, გამოდი კარშია.

88

ალაზნის პირას მოსულა
ორი პატარა ბაყილო **),
ერთი შაირი შენაც თქვი,
სუ მუდამ მე არ მაყვირო!

89

ორი კაცი წაიჩხუბა:
ალექსა და კვირიაო,
თუ შაირები არ იცი,
დააყენე პირიაო.

*) ქართლში—კოფო, ჩუბ. კოფო უწერია.

**) ახალგაზდა ხე, ორი ან სამი წლის ნაზარდი, გინდა ცოტა მეტისა.

90

სომეხები წაიკიდნენ,
აბაშიძე ნონიათ!
ერთი კიდე ჩამასხი,
კარგი ღვინო გქონიათ!

91

პატარძალმა კერა მორწყო,
მე კედელთან დავცუცქდით,
ის რო ჩემსკენ გამობრუნდა,
მე სიცილით დავსუსტდით.

92

დედა შენი, მამა შენი,
შენი ცოლი, ჩემი და,
აგე, იქ რო გოგო დაჯდა,
გუნებაზე მამინდა.

93

უნაგირი მცხეთას დამრჩა,
მოსართავი არაგვზედა,
ღმერთმა ყველას გაგიმარჯოთ,
ვინაც სხედხართ ალაგზედა!

94

ბიჭო, რაჭ ჩამამეკიდე
ჭირსა და ბოროტივითა?
დედაშენს ამოუვარდი
ბოსტანში ბოლოკივითა!

95

ამ მაჩხანურ ჯაჯანასა,
ეძახიან არაბასა,
მოდი, თავი დავანებოთ,
ამთვენ დავიდარაბასა.

96

სიდედრმა წველა დამისხა,
თითმა არ მიყო კოვზობა,
ჩემთან არ გამოგადგება
ეგ შენი ფილაფოზობა.

97

დილაზე გამოვიხედე,
შემოგხვევიან ათრები,
საწყალო, ჩემის შიშითა
სულ დაგფანტვია დავთრები!

98

ეს ბიჭი კარგა თამაშობს,
ამშვენებს გარემამოსო,
ამან რო ფეხი იტკინოს,
ამ ქალებს დაბრალოსო.

99

წნულის სახლი ჭაკაკეთე,
ზედ დამიწყვია იხნები *),
შენ რო შაირში მაჯობო,
მე რაღა ბიჭი ვიქნები.

## მ ე ს ტ ვ ა რ უ ლ ი.

100

მესტვირეს დარდი.

გაცოცხლოს ჴ გადღეგრძელოს,
მოგცეს ადამის დღენია!..
აქ რო პატარძალი ვნახე,
წაუწედა მამის ყელია!
კალოზე გადავლისათვინ
ჯოხს წამამივლო ხელია,
ჯერ ამხანაგსა მიცემა,

*) საგვერდულის ხეები.

მერე მე მომეც ხელია,
თურმე იმასა რა ექმნა, —
ცეცხლში ჩაეკრა კვერია.
მე იმას არ ვეცილები,
ცეცხლი ჭამოს და გენია!

101

გადმოვიარე ალესა,
ფერხისა ება ქალებსა,
ქალებმა ცილი დამწამეს,
ქურდობა დამაბრალესა.

102

ჭავჭავაძემ დამპატიჟა,
ღვინო მასვა ტკბილით.
იქიდამა წამოველი,
მემერივა ძილით,
ერთი ბარდი მემეწონა,
იქ წავყავი ცხვირით.
ერთ მეღორეს ჩემეევლო,
მეეპარა მტვირით.
ჩემი მტვირის მომპარავსა
დაუსივდეს ცხვირით.
იმის ცოლი დემენახოს
დღეისწორზე ქვრივით!
ჩემი ძმისთვის მემეყვანოს,
გემეწვიოს ლხინით.
მზითევშიაც მოჰყოლოდეს,
ჩემი ჭრელი მტვირით!

103

ალაზანი დიდია,
შიგ ბებერი ჰკიდია,
პური ვთხოვე, არ მაჭამა,
ჩემი ცოდო ჰკიდია.

## საარშიყონა.

104

თრიალეთს ოქროს ლოგინო,
შიგ სამნი დანი წვანანო,
არ ვიცი, რომელს შევუვარდე,
სამნივ ერთმანერთს ჰგვანანო!

105

ქალ, გუშინ, გუშინწინადა
დედა რას გეჩხუბებოდა?
—დავკარგე ოქროს საყურე,
მცემდა და მემართლებოდა.

106

გუშინ გაყვა შენმა ფერმა,
ჩვენი ეზო გადმოლახა,
ტანთა ეცვა თეთრი ჩოხა,
ქუდი მოეკვარდიანა.
ნეტამც აქეთ არ გეევლო,
გული დამიდარდიანა.

107

ნეტავი, ქალო ლამაზო,
წელში ხარ ლაკარტანაო, —
წუხელის შენმა სურვილმა
მაცია, მაკანკალაო!

108

წუხელის სიზმარშია
მთვარე გორიან მისულიყო,
ერთი ვინმე საყვარელი
ლამე ჩემთან მოსულიყო;

ვეხვიე და ვესურვილე,—
ადგა, ისევ წასულიყო!

109

მინდვრისა მამშვენებელო
მშველო, ირემო, ჯერანო!
ქალო, შენს თავსა მწამებენ,
ვფიცავ და არა მჯერანო!

110

ჩიტი-გვრიტი მიფრინავდა,
მე შროშანი მეგონაო,
თვალი სხვასაც დაუდგება:
ორივ ჩემი მეგონაო.

111

იარე, ბაღჩას ჩავიდეთ,
ჩავკრიფოთ მარგალიტები,
—ლამაზმა ქალმა ჩაგვისწრო,
კარს გაუყარა კლიტეები;
ბროლისა ხელი გამოყო,
მარგალიტისა თითები.
ვეცდები, ქალო, გავადო,
შენგან არ გავიცვითები!

112

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენიაო,
ლამაზ ქალსა ძუძუები
გულზე დაუფენიაო.

113

ქალო ისეთი თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირიო,
მომაგონდები სიზმარში,
წამოვჯდები და ვტირიო.

114

ყველა ხილი აყვავდება,
შენ რას შვრები წიფელაო?
ერთი კიდევ შემომხედე,
ჩემო ლოყა-წითელაო!

115

წყალში ფეხი ჩამივარდა
წინდიანი, ქალმიანი,
მე ისეთი ქალი მიყვარს,
წითელ-კაბა ქმრიანი.

116

მათვათვრის ხევსა ვაკესა
ხოხობს უგებდი მახესა.
ლამაზი შემომჩვეოდა,
თურმე ის მიშლის მახესა.
—ლამაზო, ნუ ჰშლი მახესა,
თორო შაგიშლი სახესა!

117

ვაყო, შე დედის ერთაო,
დადიხარ მინდორ-ველთაო,
დაეხსენ მონადირობას,
არ გადავარდე კლდეთაო,
მარავანდელო ბეჭედო,
საკეთებელო ხელთაო,
წითელო თურამაულო,
მაღლა ნაბამო ჩესაო?

118

იაო, ჩემო იაო,
შენი რა წამილიაო?
შენი კოკა და კუტალი
ცივ წყაროს დამიდგიაო,
სახლი ცივი წყლითა მომირწყავს,
ზედ ვარდი გამიშლიაო!

119

დილით აყდგები მზიანსა,
ხევ-ხევ ჩავყვები ნიავსა,
შიგ გულში ჩავეკონები
ჯერ გაუშლელსა იასა.

120

წითელო ვაშლო, შენ გესვრი,
შავო, შენ ჩამოვარდები,
ლამაზო ქალო, შენ გეტრფი,
შავო, შენ გამოჰყვარდები!

121

არ მეგონა, მოვკვდებოდი
მეგობრისა ღალატითა,
დილით ყურძენს დავკრეფავდი,
მოგართმევდი კალათითა!

122

არცა მცხელა, არცა მცივა,
არც მწყურია, არცა მშივა,
მხოლოდ შენმა სიყვარულმა
უდრო-უდროდ გამასივა.

123

ხომალდში ჩავჯე, ზღვას გავქე,
ფრანგის ქვეყნები ვნახეთ,
სუ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეთ!

124

ბაღში ვარდი გაშლილაო,
იის ფერი სოსანიო,
საყვარელთან წასვლა მინდა,
მეზარება, შორს არიო.

125

ის ყვავილი ველისა,
მსგავსი ჩემის მწველისა,
როდის აღმოცენდება,
გული იმას ელისა!

126

თამარო ჩიქილიანო,
ვაჟები გიჩივიანო.
არ ვიცი, არვინ მინახავს,
წყალშიამც ჩაცვივიანო!

127

ქალმა ვაშლი გადმომიგდო,
ამოიღო უბიდამა:
— ჩემეულად შემინახე,
არ გადმიგდო გულიდამა!

128

საფრანგეთისა ატლასო,
ალისგან გადამეტი ხარ,
უძირო ზღვაში ნაშობო,
ლალისგან გადამეტი ხარ!
სამოთხის ველის ყვავილო,
კვალისგან გადამეტი ხარ!
კვესით აბედის დამწველო,
ტალისგან გადამეტი ხარ!
სირმა-ვერცხლისა ტაბაკო,
ჩინეთით მოტანილი ხარ!
მკლავები შიმშას მიგიგავ,
გულ-მკერდით დახატული ხარ!
ტანი ალვის ხეს მიგიგავ,
თითები ვერცხლის ლულასა,
პირის სახე მზეს მიგიგავ,
ლოყები ბამბის ქულასა!

129

მაღლა აფრინდა ხოხობი,
დაბლა დახედა ვაკესა,

ქალო, ეგ შენი ხუმრობა,
მე ვიცი, დაგამაკებსა!

130

ფანჯარას კენჭი ვესროლე,
გაიგონე, ფიცარათ,
საყვარელო კარში გამო,
დამინახე, მიცანათ!

131

ბიჭმა ტყეში წამიყვანა
შაშვის ბუდის გულისათვინ,
შაშვის ბუდე არსად იყო,
ეშმაკობის გულისათვინ!

132

ნეტავი, გოგო, კოკა მქნა,
ზურგზედ აგეკიდებოდი,
კოკას პირი მაჭტყდებოდა,
მე შენ დაგეკონებოდი!

133

წავალ, წავალ, არ დავდგები,
ჩავჯდები ქალებშია,
რომელიც მამეწონება,
ვაკოცებ თვალებშია!

134

მე აქედამ ვერა გხედავ
სიცხისა და ბურისაგან,
შენ უჩემოდ როგორა სძლებ,
მიკვირს შენი გულისაგან!

135

ანაგის ხეობაზედა
ბაყევარ ძირობაზედა,
ქალო, შენ რომ სიტყვა მითხარ,
როგორ ხარ პირობაზედა?

136

ქადაქის აქეთ სოფლები,
მარტყოფვია და ლილოთ.
ველ-ყურზე შემოგახვიე
ლამაზი ქალი ნინოთ,
სადაც გრილო*) მეგეწონოს,
დაჭწვე და დაიძინოთ.

137

კამეჩმა წიხლი ისწავლა,
კამეჩმა გაგორებათ,
მოდი, ქალო, ჩემთან დაწევ.
ნუ იცი დაღონებათ.

138

ქალო, ეგ რა შამოგიკრავ,
რა ძალიან გიხდებათ,
ერთი მეც რომ მაკოცნინო,
იმით რა წაგიხდებათ?

139

ბინდი-ბუნდი რომ შაიქნა,
კენჭი უგდე კარზედათ,
გამოდი და მოგეხვევი
მა ბროლივით ყელზედათ.

140

ნეტავი, ქალო, მე და შენ
ერთმანერთს დაგვატოლათ,
რომელიც მეტი მოვიდეთ,
მაკრატლით გაგვასწორათ.

141

დასტაბალი**) ჩამივარდა
პირმოტეხილ კოკაშია,

---

*) გრილო — ჩრდილი, ჩრდო.

**) ხელსახოცი, კოკებს პირში უცობენ ხოლმე, რომ წყალი არ დაიქცეს.

მაშო, ერთი მაკოცნინე
მაგ შენ წითელ ლოყაშია!

142

ა ის მთა იმ მთას უყურებს,
შუაში წყალი უღუღუნებს,
საცა რომ კარგი ქალია,
ყმელა ხომ იმას უყურებს.

143

ბიჭი და გოგო.

ბ ი ჭ ი:

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი ადგილზე გოგდება,
ქალო, ეგ ქმარი რად გინდა,
ხანშალია და მოკვდება!

ქ ა ლ ი:

ბიჭო, რას ჩამომეკიდე,
ავად არის და მორჩება.

144

ენკენისთვე რომ დადგება,
ვენახში გორავს კალათა,
იასული არა ვარ,
შემოგივარდე ძალათა.

145

ბულბულმა სთქვა: გამიკვირდა,
მე რომ ვარდი წამეკიდა,
გამლანძღა და გამათრია,
ძლიერ ავად მემეკიდა!

146

შენ ბიჭო, დეეხსნებოდე
მუდამა ჩემსა ცქერასა,
ჩემი პატრონი შეგიტყობს,
თითვით დაგიწყებს დევნასა.

147

ხელთა მიმინო მეჭირა,
დაუსიე მწყერსაო,
მწყერი შეჯდა ხესა,
ქალი მიქნევს ხელსა
— აქ წამოდი ჩვენსა!
პურსა გაჭმევ ბევრსა,
ღვინოს ძველის-ძველსა.

148

ერთი პაწა საყვარელი
საცა წაველ, თან დამყვანდა,
ის რო წყალში ჩამივარდა,
ამოვიღე — ეშმაკს ჰგავდა.

149

მინდორ-მინდორ დავდიოდი,
დავეძებდი ვარიასა,
განა მართლა ვარიასა,
ჩემ საყვარელ ვანიასა.

150

ნეფევ, ღმერთმა გადღეგრძელოს,
დედოფალო, შენცაო,
შენ ქვევიდამ რო ქალი ზის,
იმას ჰქვიან მელაო.
კარს უკან მამიყვანევი,
იქ არის ძრიან ბნელაო.

151

ქალო, გეგხარ ალვის ჩესა,
სამოთხიდამ გამოსულსა,
ყელი — ცხენსა ბედაურსა
არაბულად შეკმაზულსა,
სიარული წყაროს წყალსა,
მდინარეს და არა მდგომსა,

ენა ჭიკჭიკ მერცხალს გიგავ,
ინდოეთიდან მოსულსა.
კიდევ გნახავ, ჩემო ტუროფავ,
ჩემს ლოკინსა შამოსულსა?!
ნეტავი შენსა არესა,
ვინც შენთან გამატარებსა,
დაწვებს მითი დაგიკოცნი,
შაგსა მელნისა თვალებსა,
შენი ნახვით გავიხარებ,
ჭირსა მოვიკლავ მწარესა.

## ნ ა რ ე ვ ი.

152

ბული-ბული გამოხრული,
გამოსარსარაკებული.
ჩიტმა შაქნა აქლემი,
გამაასხა ბახლები,
სანსარაკმა დაუჭამა,
უი, ბაბლო, გაქრები!
ბაბლო ქალი მორთულიყო
შამდგარიყო ბანზედა,
ქვეშ მიხედა შეჰდგომიყო,
—ჩქარა მამე ტრაფზედა.

153

რაი უნდა მეცხვარეს
სტვირი-ქამანჩა?
მას უნდა ჰქონდეს
სავსე დამბაჩა.

154

ერთი ელენი-ბელენე,
ფეხ-მოტეხილი ბერძენი,
ადგა, კეკოსთან წავიდა,
კეკომ ცხენი ათხუა.
ააჯენა, ჩააჯენა,
გორგომიჯი მააჯენა.
გორგომიჯის ბოლოსა
ვირი სჯამდა ღოლოსა *).
—ასლისა და მასლისა,
გაღმაური კაცისა.
გაღმაურმა კაცმა
ძაღლი დამისისინა:
პატარძალი გამოვარდა,
ის დეეცა კუნძივითა,
შვილი შავქენ გვრიტივითა.

155

(ვარიანტი)

მაგისთანა ქათამით
ორღობეში ჩავფალით,
მაგის კურტუმ ბარკალით
დავითელას მივეცით.
დავითელამ ცხენი მამცა,
ავაჯენე, ჩავაჯენე,
გასაღები დავამტვრიე,
გასაღების ბოლოსათ
ვირი სძოვდა ღოლოსათ.
—ვირო, ყანა ვისიათ?
—ასისათ, ბასისათ,
კოტაშური კაცისათ.
კოტაშურმა კაცმათ

*) აქ უნდა აკლდეს: „ვირს ჰკითხავენ, ვისი ხარო?“

ძაღლი დამისისინა,
მგლიჯა, მგლიჯა,
ვერ დამგლიჯა,
ცოტა სისხლი მადინა.
პატარძალი გამაიქცა,
ზედ მემეკრა ტკიპივითა,
ბიჭი შავქენ გვრიტივითა.
მენახირეს მივაბარე,
მენახირემ წიხლი მიკრა,
გამიხეთქა ტიკივითა,
ტიკი ტიკად გამამადგა,
პოლორჭიკი *) საკრავადა.

156

ჩიკრიკისა მიასხედა
გვერი იწვა ქვაზედა.
მიველ, ტყავი ავხადე.
შიგ აბაზი ვიპოვე.
მიველ, დედას ვახარე,
დედამ კვერი დამიკრა,
მამამ ტყეში წაიღო,
მამამ გვრიტი მამგვარა,
გვრიტმა კვერცხი დამიდო.
ამიგორდა, ჩამიგორდა,
ხუცის ცოლთან მიმიგორდა.
ხუცის ცოლი შინ არ იყო,
კარს უკან ფურსა წველავდა.
ფურმა წიხლი გაიქნია,
ჯამ-ჭურჭელი დაამტვრია.
მამამთილმა ვაშლი დაჰკრა,
უმაწვილები დააჩუმა.

*) ხარატული.

157

დანდი, დანდი, დანდი კუჭუ,
ვარდს მაიხვევ, ვარდი კუჭუ.
ატმის სახე-ჩაყელო,
სოორთ მოსულო,
რა მიე მა ჩოხაშია?
გარს ავლია არშია,
ჩადი პოოსკაშია,
გასწი კაზარმაშია!
ხელ საფუხრების დაგიქსოვ,
გაიშლები წელიშია *).

158

ქ ო ნ ა.

ადე, ადე, ადულაო,
იეთრად გაიენებულაო,
ერთი კვერცხი გამოგვიტა,
ვითომ გალაყებულაო.

159

კიდევ ქონა.

ტყიდამ მგელი გამოვარდა,
იხა შამიჭამა ნასლა,
ერთი კვერცხი გამომიტა,
სხვაგანაც მინდა მისვლა.

160

კიდევ ქონა.

თეთრი ფური ნახირშია
ადრე გამაკებულა,
ერთი კვერცხი გამამიტა,
მითამ გალაყებულა.

*) ეს ლექსი ჩავწერე კი და მე ამისი აზრი ვერ გავიგე, ვიზედ არის, ან რაზედ.

161

რ წ ყ ი ლ ი.

წუხელი რწყილმა მიკბინა
გაითენებისა ხანსაო;
ავდექ, ავანთე სანთელი,
გაუდეგ იმის კვალსაო.
გავიხედე და გასულა
აზამბურისა თავსაო,
დაუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი ბეჭის ფიასაო.
ასსა ურემზე დაუდებ,
სამას უღელსა ხარსაო.
მიჰქონდეს გაჭირვებიითა,
ამტვრევდეს ფერსო-ჭალსაო.
ამას ქალაქში ჩავიტან
დიდი ვეზირის კარსაო,
ლიტრას აბაზად გავყიდი,
უმურე მოგებასაო!!.

162

ბოსტანშია გადვიხედე,
კამამ ჰირი წამ მწვაო,
ვის გინახავთ, ბატონებო,
დამა ქმარი წამართვაო!

163

გათენდა და გაანათა
ცაში ადის ალიმული,
თივლიაანი მეღორესა
გუდა დააქვს ცარიელი.

164

საყვარელო ჩემო ძმაო,
იმყოფები სადაო?
—ბნელაში ვარ, გევედრები,
წამიყვანე მანდაო.

165

ყიყლიყოო, მამალო!
ტორიაანი დედალო!
მუხლი მიყარ-მოყარე,
სამია ჩამომიყარე.
სამი წელიწადია
ფური არა მყოლია.
ქალაქის ფურის ერბო
ქალაქს ჩამიტანია.
ქალაქურა ბებრები
ახტიან, დახტიან,
ოქროს ჯამებს დაჰყურიან.
მიგა ქალი მოწიოდა,
ქალსა ვაჟი ჰყოლია,
აბრამ დაურქმევია.
აბრამ, ადრე აჰდგებოდე
ჭალას ჩაინადირებდე,
ჭალა ეკლიანია,
მუხა ჯაჭვიანია.
დაიჭერდე ხოხობსა,
დაასბამდე იჟვითა.
იჟვი(?) აუწყვეტია,
მთანი გადურბენია.
მთასა ვიყავ მაღალსა,
გადავძახე თამარსა.
თამარ ჩვენი რძალია,
ნეკს ბეჭედი აცვია,
გაიძრე და მომეცი,
ვითომ გაგიცვეთია.
იმის ქმარი ლალია,
ლალზე უარესია.
კირის დამკვრეტელია,
ოქროს მამგებელია.

166

სანთლის გუთანს გავაკეთებ,
შიგ შავაბამ უღელ თევზსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
იქ მოვიყვან ჩემ წილ ქერსა.
ყინულზე კალოს გავლეწავ,
მორევში გადავყრი ბზესა.
ჭინჭველას გიდორს ავკიდებ,
კამეჩებს დავუყრი ბზესა.

167

ფანჯრებს გავაკეთებინებ,
ვასხმევინებ მინასაო,
წავალ და წავეკონები
დიაკვნის ქალს ნინასაო.

168

კუთხეში სანთელს მივაკრავ,
მე დავუკრავ „ბუზიკასა“,
მორიდამ გაყურებინებ
ქალების თამაშობასა.

169

უთხარ, უთხარ პავლესა,
რათ არა სჭამს პურსა?
—მით არა ვჭამ პურსა,
ცომი მადგა გულსა.
სამჯერა ხელი ჩაუსვი,
ჩავარდება ძირსა.

170

ქადაგიანთ ნახირი,
ტურფად გადაგრეხილი,
მადიოდა ნადირი,
გამოჰქონდა სადილი.
ქადაგიანთ ახალბედას
გვერდზე ჰქონდა მანდილი.

171

იორდანე-დანეო,
ცოლი მაიყვანეო,
სამი კუკუ ამოჰკარ,
აქვე წაიყვანეო.

172

ნეფე ტყეში შეგვივარდა,
როგორც ზამთრის თრითინაო,
იპოვეთ, გამოიყვანეთ,
თავს დახურეთ ჩიქილაო.

173

არჯეკელი ჯაკვდებოდა,
ქალსა გული უკვდებოდა,
ქალო, გული ნუ გიკვდება,
შაბათს ქმარი მოგიკვდება.
შენი მაზლი დიაკვანი
სააქიმოდ გაგიხდება.

174

ქალ თებროლა დაინიშნა,
იმასა აქვს ზითევიო:
კასკი, კუსკი, კარალეთი,
ცხრა სოფელი ბაზარეთი,
ატენ-გორი, გორს წისქვილი,
დიღომს სამი პირი ცხვარი,
სამ უღელა სამი ხარი,
ქევარი და იმის ცალი.

## ნ ა ტ ვ რ ა.

175

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ნატრული ამიცხადაო:
ოქროს ჩარდახი დამიდგა,
გარს მინა შემოარტყაო.
აფხაზიანთ საწნახელი
წინ დამიდგა ჯამათაო,
ალაზანი დოთ მიქცია.
ყორანის კლდე *) ჭადათაო,
ხიმშიაანთ დიდი ვერხვი
გამითალა კოვზათაო!

## ნ ა წ ყ ვ ე ტ ე ბ ი.

176

ამბრი-ხამბარ ხემწიფესა
სარჩო აქვს და მადლი ბევრი,
ამას ერთი ბაყაყი ჰყავს,
წყალში გასაცურებელი,
იმას ერთი ზენარი ჰყავს,
ხელზე სათამაშებელი.

177

მაღლა მთაში ღორი ჭყივის,
დაბლა მთაში ირემიო,
გულხადრები მოდიოდნენ,
ხელთ ეჭირათ სტვირებიო,
მეტის-მეტი სტვირის კვრითა
ჩაჰცვივნიათ კბილებიო.

## ხალხური ვეფხის-ტყაოსანი.

178

ტარიელ, მისთვის გიყვარდი,
გავზდილვარ შენსა მკლავზედა,
თუ შენს თავს მომამშორებენ,
თოკსა მოვიბამ ყელზედა,
წავალ და გადავვარდები,
დიდსა მაღალსა კლდეზედა.

179

დარეჯან, შენი ქლიბები
შაიქნა დაკარგულები,
აკი არაბეთს გავგზანე
ხმალ და ხმალ აკინძულები.
ძრიელი ომიც ავტეხე,
ვადინე სისხლის ღვარები,
დავლაც ბევრი მოვიტანე,
ჯორ-აქლემს აკიდულები.

180

გორს იქით კაცი ნაბძოლი
გორს აქეთ გადმოდიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
გულს სისხლი გადმოსდიოდა.

---

*) კლდეა გომბორის ქედზე.

181

ბერი მომყვანდა ბებერი,
მომიხაროდა ქალადა,
დავჯექ და კბილი ვუნახე,
ერთიც არ ჰქონდა წამლადა.

182

ტარიელ, ნაზირ-ვეზირო,
სიტყვა ვერ დაგამჯობინე,
გინდოდა ლერწამ-დარეჯან,
რატომ არ შამატყობინე?
უცოდო ხელმწიფის სისხლი
კარზედ რათ დამანთხობინე?
არცა შენ მოგცე, არც იმას,
ორთავე დაგათმობინებ;
დავიბარე ხუროები,
კიდობანს შევაკერვინებ,
შიგ ჩავსვი ლერწამ-დარეჯან,
წყალს მივე, წავადებინე.
შიგ ჩაუსვამ სამსა გველსა:
თეთრსა, წითელსა და შავსა.
შავმა გველმა სთქვა: „შეჭამოთ!“
წითელი—მოთმინებასა.
თეთრი გველი ამას ამბობს:
„მზე არის ტარიელისა!“

183

ტარიელ ეტყვის.

ოგსური ჩოხა ვიყიდე,
მხარზე შავიყუთურმაჯე,
ომში ჩაველ, ჯარში გაველ,
თავი მოვიყიზილბაშე.

184

ტარიელი ეძებს თავის მზეს, მიჰ-
ყვება მდინარის კიდეს და ტირის:

—მინდორია, არა მინდორო,
შენ წყალო არაგვიანო,
არც თოფი გეკვრის, არც ხმალი,
მაშ რითღა დაგაზიანო?!
იმ ქალის დაკარგვისათვის
მწუხრვალე დაგლევ, ტიალო! *)

მოეწაფება ტარიელი და ზღვას
მოსწყვეტავს.

185

კოჭლი მონა ზღვისა პირსა
მოტირის და იცემს თავსა.

ტარიელი ჰკითხავს:

—კოჭლო მონავ, რა გატირებს?
ძალს ითხოვ, თუ სამართალსა?
—მე ძალისა რა შამიძლავ,
გამიყვანე ამ შავ წყალსა.

ტარიელი წყალს მოსწყვეტავს,
კოჭლი მონა გავა და წავა, ხელ-
მწიფეს ეტყვის:

ერთი ვინმე მოყმე ვნახე
მომტირალი, ჰგვანდა გმირსა.
ვეუბნე და არ მეუბნა,
ხელი მიიფარა პირსა,
სხვა ვერა შევამჩნიე-რა,
საყვარელსა სტირდა ისა.

ხელმწიფე ეტყვის თავის მონებს:

ადექით, აიყარენით,
ჩემო ლომო და ლომგმირო!

---

*) მეორე ვარ.: ყაბარა დაგარ-
ქვიანო.

აიყარნენ ლომი და ლომგმირი, ხელმწიფის კაცები, მივიდნენ მტირალ მოყმესთან და ჰკითხვენ:

—შენ კაცო, კაცო, ვინ ხარ?
შენი სახელი გვითხარო,
ბატონ გიბძანებს, აქ მოდი,
ჯარის წინ-მძღომი შენ ხარო?

მოყმე უპასუხებს:

—ემაგ ალაგთა კოშკები,
კარს ახვევია თასები,
ახლო მობძანდით, ყმაწვილო,
ჰერც შორით დაგეფასებით!..

186

ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი კაცსა,
გორა დადგა ცხენ-კაცისა;
ერთი ცისკენა გაგზანა,
ჯერ:ც არ მოსულა ისა *).

187

თითქო ქამანდი ვიცოდი,
ჩაგდება საგდებელისა,
ჩარბენა, ჩაკისკისება,
ამოსხმა ლამაზებისა **).

## ამირან-დარჯანიანიდან.

188

ამბრის ყადარო ამირან,
კილო არ იცი ომისა.
ზევით რას ერჩი სპილოსა,
ქვევით დაუშვი რბილოსა,
ჩარდახს ფეხები შეაჭერ,
მაშინვე მიაწვინოსა.

—უყურე ქალსა კამარსა,
კურო ირჩივა მამასა!
რისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეუბნა ნანაო?
—ამირანმა ხელი მამკრა,
ცხრა მთა გადამატარაო.

---

*) ეს ვარიანტი სახალხო „ვეფ ტყ.“, როგორც ეტყობა, მეტისმეტად დამახინჯებით არის წიგნიდან დახსომებული. რამდენადაც ბევრი ვარიანტი თვალსაჩინოდ განსხვავდება რუსთველის „ვეფ. ტყაოსნის“ ლექსისგან, იმდენად ეს ლექსები ამტკიცებენ, რომ პირდაპირ წიგნიდან არის გავრცელებული გადამახინჯებით. ჩაწერილია 1889 წ. ს. ვეჯინში.

**) ეს ლექსი ცალკეა ჩაწერილი, მაგრამ ფრიდონის „თათბირს“ მოგვაგონებს

# ხალხური ლექსები.

(ჩაწერილი ია კარგარეთლის მიერ. ყველა აქ მოთავსებული ლექსები ნაამბობია გიგლო კაკალაშვილის მიერ, რომელიც ცხოვრობს სოფ. ქვემო-ხანდაკში, გორის მაზრაში და დროებით ჩამოვიდა ტფილისში).

## მეფე-დედოფლის ჩვეულებრივი დალოცვა უწინდელს დროს.

1

გაცოცხლდოს და გადღეგრძელდოს,
როგორც აბრამი და სარა!
გამრავლდოს, როგორც ზღვას თევზი,
ცას ვარსკვლავი, არ თუ კმარა!
დიღმის მინდორი მოგეცეს,—
სახნავ-სათესავად კმარა;
შვიდი გუთანი შეგებას,
იყვე არც ამის ამარა:
ას-ოცი საძნე ურმითა
ზედ კარზედ აგედოს ღალა,
შვიდი ფარა ცხვარი მოგცეს,—
ესეც სათვალავათ კმარა!

## ოდეს იესო ქრისტე გააკრეს ჯვარს, მარიამ—მისი მშობელი ილოცდა ესე:

2

(ლოცვა ან-ბანზედ).

ან, არუ გაქებ.
ბან, ბევრი ქებით,
გან, გეხვეწები,
დონ, დიდო ღმერთო,
ენ, ესრობილიყა.
ვინ, ვერა მიხვდეს.
ზენ, ზედ ცას ტახტი,
ჱაი, აშენდა ცათა ქვეყანა.

თან, თითონ ბრძანებს
ინ, ისრაელი,
კან, კარგი საქმე:
ლას, ლოცვას ვიყვნეთ
მან, მის დღეშია,
ნარ, ნიადაგ ჟამს.
ჲე, იმედო
ონ, ორსავ სოფლის,
პარ, პატრონ იყავ.
ჟან, ჟამთა ვიყვნეთ,
რაე, როგორ ვქნათ?
სან, საყდარს წასვლა,
ტარ, ტირილობა
უნ, უფალს უყვარს,
ფარ, ფიქრით ვიყვნეთ
ქან, ქვეყანასა.
ღან, ღამე გვძინავს,
ყარ, ყველა წმინდა,
შენ, შეგვეწიე!
ჩინ, ჩინთანო,
ცან, ცაში რომ ხარ,
ძილ, ძალოვანო,
წილ, წაწყმენდილსა
ჭარ, ჭირს ნუ მომცემ,
ხან, ხანდისხანო.
ჴარო, მოდი ვჴნათ,
ჯან, ჯანოვანო,
ჰაე, ავათ ვარ,
ჰოი, მიშველე!
მ—მომეცი შვება
ა—ასეთის ტანჯვის,
რ—რაოდენ გვედრებ,
ი—იყავ წყალობით,
ა—ალახვენ მონას,
მ—მადლი მუნ ზეცით,
ა—ამინ, შენ გეტყვი
მ—მონა მლოცველი,
ი—ისრაელთ დედა
ნ—ნაზარეველის.

## სოლომონ ბრძენი და კუნძულელი.

3

დიდება მაღალსა ღმერთსა!
მეფე წყალსა ჩამოხდესა.
შებადემ ბადე ესროლა,
სამი თევზი გამოჰყვესა;
დასხდნენ და წვრილად დაკაფეს,
ტაფა ცეცხლზედ შემოდგესა.
მოხარშვა რომ დააპირეს,
გადმოიღეს ძირს დადგესა.
იტყოდნენ: „ზეცად ნაკურთხ არს,
ეს თუ გაგვასამართლებსა".
მოვლენ და თავსა დაუკვრენ,
სალამს ორათ მიიღებსა.
ნაზირ-ვეზირნიც თან ახლდნენ,
ამალას დაუმშვენებსა.
ფეხზედ წამოდგა, ზრდილია,
მათ სიტყვას მოახსენებსა:
—ჯერა ვარ სოლომან მეფე,
მერე შეძახიან ბრძენსა,

სათქმელად რამე მებადვის,
მეც მოვასმენ ყურსა თქვენსა:
გუშინ ვნახე ერთი კაცი,
შესულიყო საწოლს ჩემსა;
ხელთ ეჭირა ოქროს ვაშლი,
ტურფად იწვა სარეცელსა.
რიგით მოვყვეთ სამართალსა,—
ყველას თავის სკედრი ჰხვდესა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ა ის თევზი გაცოცხლდესა.
გაცოცხლდა და ზღვას შეერთო,
ორი ისევ ტაფას დევსა.
რიგში ჩადგა სამართალი,
ახლა ნაზირ-ვეზირს ხვდესა:
—დაგვზარდე, დაგვავაჟკაცე,
დღეს შეგვასწარ სანატრელსა,
დღეში სამჯერ კი ვიტყოდეთ:
„ჩვენ მოვკლამთ სოლომან ბრძენ-
მაგრამ ეშმაკს უკუ ვაგდებთ, [სა“.
გავისტუმრებთ ცარიელსა.
ვერ გიმეტებთ ნაამაგევს,
ამას ვერც ესა ამხელსა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ა ის თევზი გაცოცხლდესა.
გაცოცხლდა და ზღვას შეერთო,
ერთი ისევ ტაფას დევსა.
რიგით მოსდევს სამართალი,
ახლა დედოფალსა ჰხვდესა.
შიშით და სირცხვილითა
დედოფალი შეწუხდესა,
პირზედ ასხმენ ვარდის წყალსა,
აფიცებენ მამის მზესა:
სიმართლისთვის მართალი სთქვი,
არავინ არ გახლებს ხელსა.
· თორმეტი წლიწადია
ვევარობ კუნძულით ხელმწიფესა,
ნუ შემრისხავთ, ეს მაკმარეთ,
დღეს ნულარ გამიხდით ძნელსა!
კუნძულელსა დაიბარებს,—
ეშმაკების თავის მურელსა;
არ დაახანა, იახლა,—
წარუდგა სოლომონ ბრძენსა.
—კუნძულელო, სიტყვას გეტყვი
შენთვის საამურ სასმენსა:
„ერთი სპილენძის კოკა მაქვს,
მიბარია მემაშხლესა;
თუ იმას თავს გადმოადენ,
საყვარელი შენ დაგრჩესა“.
აგრე უხარის კუნძულელს,
ვითა ბავშვსა ჭკუა ძნელსა.
კუნძულელი თავქვე გარბის,
არ კითხულობს მარშიებსა.
შვიდი დღე-ღამე ადინა,
კოკას ყურში დააკლდესა.
—კუნძულელო, ვერ აამსებ,
რომ ჩაჰყრიდე პაპის ძვლებსა,
თუ გინდ შენც შიგ ჩაჯდებოდე,
თან ლამაზიც ჩამოგყვესა.
კუნძულელს ჩაიტყუებენ,
ზარფუში გადააცვესა,
შემოჭედეს ოთხივ-კუთხივ,
შუა ზღვას გადააგდესა.
მებადეს ეტყვის, გაგრისხამ,
თუ კიდევ ქსვრი ბადესა.
მაღალი ღმერთი გაუწყრეს,
ვინც ეურჩოს ბატონს ჩვენსა!

## თვეების დახასიათება.

4

იანვარი მობრძანდება,
მას სიცივე მოსდევს ძნელი,
ხან დარი ქნა, ხან ავდარი,
ვერა ქნა-რა ვერაფერი.

—

თებერვალი მოწანწალებს,
როგორც ენკენისთვის გველი,
სულ გაწუწვიტა ძროხა, ცხვარი,
არ გაუშვა ჭაკი ცხენი.

—

ახლა მარტი მობრძანდება,
ყველას დამადგინებელი,
აჭყარე ხარი, კამეჩი,
კიდევ ჩახონ მინდორ ველი.

—

მარტს აპრილიც თან მოჰყვება,
მზესა დეედება ფერი,
დავფეროთ სახნის-საკვეთი,
მუშაობას მივყოთ ხელი.

—

მაისიც დიდებულია,
შრომობს, მღერის ყველაფერი,
კაციც მაშინ გამთელდება,
მაშინ გაუთბება წელი.

—

თიბათვე რომ მობრძანდება,
თივა ვთიბოთ ლალის ფერი,
სიმინდსაც თოხნა დაუწყოთ
და დავძახოთ: «ჰერი, ჰერი».

მკათათვე კარზედ მოგვადგა,
ყანებს მოუღერა ყელი,
დაუძახევით ბიჭებსა,
ახლა კი მკას მივყოთ ხელი.

—

მარიამობის თვეშია
სიცხე დაგვიდგება ძნელი,
კაცი მაშინ დახაშმდება,
მაშინ წაერთმევა ფერი.

—

ენკენისთვე ჩამოუვლის,
დაამწიფა ბაღი, ველი,
ტყეს მოედვნენ გოგოები,
ხელთა ჰქონდათ კალათები.

—

ღვინობისთვეც მისთვის მომწონს,
ვაზი სდგება მასპინძელი,
დაიმსება საწნახლები,
ქვევრებს შეღერდება ყელი.

—

გიორგობისა თვეშია
სახლში შეგვაქვს ყველაფერი,
გახშირდება ქორწილები,
პატარძლები მოვლენ ბევრი.

—

ქრისტიშობისა თვეშია
ღამე გარდაგვექცა გრძელი,
სხვა საქმე კი არა გვაქვს-რა,
დედაკაცებს მივყოთ ხელი.

ღმერთმა ნუღარ მოიყვანოს
შარშან ყოფილი ზამთარი!
სალეკ-მალეკ, იანვართ,
ანგარიში მოგეც ბევრი.

## ს ო ლ ო მ ა ნ.

5

სოლომან სწერა წიგნები,
სწერა, ჩაიდო ჯიბესა,
ადგა და ქვევით წავიდა,
დადგა სტამბოლის კიდესა.
შვიდი დღე-ღამე იარა,
ხონთქარს მიადგა კარზედა,
ხონთქარი შინ არ დაუხვდა,
ვეზირი დახვდა კარზედა;
ვეზირმა შეიპატიჟა,
დასვა ტახტ-ხალიჩაზედა,
მასპინძლობა გაუწია,
მსახურნი ადგნენ თავზედა.
—სოლომან, ძრიელ გაქებენ
ჯირითის ხმარობაზედა,
შენსავით ნახმარ შვილდ-ისარს
ვერ ნახავ დუნიაზედა.
—მე ჯირითისა რა ვიცი,
მოყვრათ მოვსულვარ კარზედა,
დღეს თუ ხონთქარს ვერა ვნახავ,
გზას წავალ ანაზდაზედა.
—მაგას არ გათქმევინებენ,
გაგიყვანებენ ხვალ-ზეგა.
—რახან აღარ მეშვებიან,
ცხენიც არა მყავს ჯანზედა,
წადით, რაში მომიყვანეთ,
რქეს რომ ასმევენ მთაზედა.
შვიდ მეჯინიბეს ეჭიროს,
კიდევ დგებოდეს ყალხზედა;
შვიდნივ ერთად გადმოთელოს,
გადმოხტეს მოედანზედა.
ერთი ისრიც მიბოძეთ,
ალმასი ჰქონდეს თავზედა,
ორშაბათ დილა გათენდეს,
გავიდეთ მოედანზედა.
ორშაბათ დილა გათენდა,
გამოვლენ მოედანზედა,
დაფი, საყვირი გუგუნებს,
ქალაქი დადგა კარზედა.
მოდის, მოქშუის არაბი
ამ მაყარდენის მკლავზედა.
უკივის: „გამაგრდი, ბიჭო!“ —
ქორულად, არა ხმაზედა.
—გამექეც, ვაჟო სოლომან,
გაგშინჯო ბიჭობაზედა!
დეზი შემოჰკრა, გაფრინდა,
არაბი მისდევს კვალზედა,
სამი ზედი-ზედ ესროლა,
გადაცდინა თავზედა.
—გმირო არაბო, გაქებენ,
განა რა გითხრა რაზედა?

ეხლა გამექეც! შორს გადგა,
სოლომან ჩადგა კვალზედა.
—მე ერთის მეტსა არ გესვრი,
მაღალ ღვთის სამართალზედა.
თუ ეს ერთი არ გაკმართო,
ხელი ავიღო თავზედა.
გადის არაბი, თან მისდევს
სოლომან თავის რაშზედა,
ერთი ესროლა სოლომან,
დაასო ბეჭის ფერთაზედა,
არაბი ძირს გადმოვარდა,
ცხენი გარბოდა წყალზედა.
ხონთქარს კაცი მიუვიდა,
არაბი დასჭრეს ძალზედა.
—ვინ მოჰკლა ჩემი არაბი,
ვინ იყო ქვეყანაზედა;
ის კაცი მალე მანახვეთ,
კაბა გავაკრა ტანზედა.
აქა ვსთქვი ესე ამბავი,
ჭირი დავაგდე კარზედა!

## ს ვ ი მ ო ნ ი.

6

გაჯავრდა ბიჭი სვიმონი,
ჯიროდგან ცეცხლსა ჰყრისა,
საჩქაროთ ჯარი შეყარა
ცხინვალის ხეობასა.
ჩამოიარა დრელშია,
მეხივით გაჰკივისა:
—სულ ქუდზედ კაცი გამოდით,
ძალიან საქმე ჭირსა.
უნდა ჩავუხტეთ ხიიცას,
იმათი ჯავრი გვჭირსა,
აჰყარეთ გზაში ხიდები,
ლეკს გამოადგებისა.
მოგროვდნენ თამარაზედა,
ზედ გამოდიან ხიდსა,
ქართლი შუა გადმოთელეს,
დადგნენ იმ ჭალის ჯირსა,
დაივი, ნაღარა გამართეს,
ნავალი იყო გზისა,
კვირაცხოველშიც ავიდეს,
მადლი ვახსენოთ ღვთისა;
ბებელაშვილსა კაკოლას
ღვინოს უქებენ ტკბილსა,
ვეწვიოთ სახლში იმასაც,
გვიჩვენებს კაი ლხინსა.
ქალებმა შეჰქმნეს კივილი,
აბა ვინ გვიშველისა.
—არიქა *), ჯარი მოვიდა
ურჯულო დაღისტნისა!
აბა, თქვენ, ცხინვალელებო,
გული გაქვთ მამაცისა,
დახვედრა კარგი იცოდით
მოყვრისა, მერე მტრისა.
ხმალ-და-ხმალ მოვლენ, არ მალვით,
თავს სისხლი ჩამოსდისა.
შეუტიეს გააქციეს,
როგორც რომ ფარა ცხვრისა.

*) ვარიანტით: დახედეთ.

ლეკნი გავიდნენ წყალ-გაღმა
და იქ ფიქრს ჩაცვინდისაო;
სხვა ვერა მოიგონეს რა,
სროლა ასტეხეს ქვისაო;
ჩვენებს კი ასე ჰგონიათ,
პურებს ესვრიან თბილსაო;
**ზოგი იჭერდა ხელშია,**
**ზოგი უდებდა პირსაო.**

ამ ჟამათ ბევრი დაობლდა,
დედა იტირებს შვილსაო,
ბევრი გდია უპატრონოთ,
თავს სისხლი გადმოსდისაო.
შველა უნდა ქვრივს და ობოლს,
საწყალს ცოლსა და შვილსაო,
ნეტა ვინ უხსნავთ გუთანსა,
ან ვინ მოუტანთ ფქვილსაო?!

## ა ნ ა გ ი ს  ც ი ხ ე.

7

ანაგის ციხევ, მაღალო,
შეუპოვარო მტრისაო,
შიგა ზის ბატონის შვილი,
ამომავალი მზისაო.
ხელში უჭირავს სიათა,
ვერცხლი უვლის პირსაო,
რამდენსაც გამოუმიზნა,
იმდენი დასცა ძირსაო.
შვილზედ ნამტირალ დედისა
თვალი არ გაშრებისაო,
ქვა ქვიშას ეუბნებოდა,
სიპი-ქვას ცრემლი სდისაო.
მაყარი ზეცით მოიმღერს,
დუზანს არ დასცდებისაო;
ჩაქოლა მტერი მინდორში,
გმინვაა ვაჟებისაო.
ქარი გუგუნებს ქარალი,
კლდე ბანს ეუბნებისაო,
შავი ყორანი ყარყატებს,
ხროვა ჩანს ყვავებისაო.
დაჰკრა, დაკვესა ჩახმახმა,
მტერი იფარებისაო,

სიათას რომ ვერ გაუძლო,
ბოლომდის იყრებისაო.
ვაჟკაცობს ბატონიშვილი,
ხმალს არ ემტყუნებისაო,
ამხნევებს დიდს და პატარას,
ლხინია ობლებისაო.
გაღმა-გამოღმით მოსულნი
ყმანი ეუბნებისაო:
„გაახლეთ თავი სათმრად,
თუ ჩვენც დაგჭირდებისაო,
დედამც ეტიროს უცრემლოდ,
ვინც ომს ემტყუნებისაო,
ცის ნამი მატლად გარდექცეს,
ნურც ლხინს ეღირსებისაო!“
ალხენდეს ბატონის შვილსა
კარგი თქმა გმირებისაო,
ქორულად სიკვდილს დასდევდეს,
ჟღერაა ჩანქნებისაო.
ხმალსა ეტყოდეს: წაიწი,
გზა ნახე მშობლებისაო,
ქარქაშით ამონამღერი
გულსა ეკვეთებისაო.

## ახლანდელი დროება.

8

თავისუფლად მივდიოდი,
ვიღაც მეცა, წამაქცია;
შევეკითხე: „ვინა ხარო?“
მიპასუხა: „რეაქცია“!
ჟანგიანი ხმალი ჰქონდა,
მიცხუნა და გამაქცია;
აგერ, ქალსაც ხელი სტაცა,
აკოცა და წააქცია.
გავიხედე ჩემს ეზოში,
სულ დამწვა და დამაქცია;
„პროპაგანდები“ მომთხოვა,
ყბაში მკრა, არც კი აცია!
ბორკილები შემიყარა,
არხანგელსკში გამაქცია;
ღმერთმა დასწყევლოს რ—ბის
მოგონილი რეაქცია!
სანამდისინ მოვიდოდა
ოთხჯერ-ხუთჯერ გამაცია!

# ხალხური ლექსები

(სამესხეთოში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ)

## ისტორიული ლექსები.

### სოლოლას ლექსი.

1

სოლოლა სტამბოლს წავიდა თავის სიმამრის ბარზედა,
ოცი დღე-ღამე იარა, ჩავიდა ხვანთქრის კარზედა.
სოლოლა ჰკოცნის კალთაზედ, ხვანთქარი ჰკოცნის თავზედა.
—სოლოლავ, რისთვის გარჯილხარ, განთქმულო გურჯის ტანზედა?
მეცა მყავს ერთი არაბი განთქმული ქვეყანაზედა,
შენ თუ იმას ეჯირითე, თუღებს დაგადგამ თავზედა.
ფაშობასა ხელში მოგცემ იმ ახალციხის კარზედა!
მან თავისი მოახსენა, მისულიყო რაც ჰჯანგზედა: - -
სიმამრის ფაშობას სთხოვდა, ეხვეწებოდა მასზედა.
ხვანთქარი სწორედ დაჰპირდა, არ უგდო სიტყვა ბანზედა,
მაგრამ—არაბის შებმასო ნუ გაუდგები განზედა.
სოლოლამ თამანა უყო, შეიდვა თავის თავზედა,

თქვა: „ცხენი მინდა ასეთი, რომ ორი იყოს სხვაზედა“.
შევიდნენ, გამოიყვანეს ნაბამი ოთხკეც ჯაჭვზედა,
ოთხსა სეისსა უჭირამს, ვერ იმაგრებდენ გზაზედა.
სოლალა შეჯდა, აფრინდა იმ დიდს ათი მეიდანზედა,
გაატარ-გამოატარა, ხალხი გაოცდა ძალზედა,
ბევრ ჩიგიდთ თვალი რჩებოდათ, მის მოსულ გმირულ ტანზედა.
არაბი მოდის, მოჭკივის, ვით ნიავ-ქარი მთაზედა,
სამი ჯირითი უწყვია იმ გაშავებულ მკლავზედა,
სამსავ სოლოლას უქადის, რა გადახდება თავზედა.
ერთი ჯირითი ესროლა, არ წაიკარა ტანზედა,
მეორე რომ დააყოლა, გადიროვინა თავზედა,
მესამე რომ შემოსტყორცა, მოხვდა ცალ ავჟანდაზედა,
ცალი ავჟანდა შესწყვიტა, გადგა ცალს ავჟანდაზედა.
—ახლა გამექეც არაბო, მოგყვე ღვთის სამართალზედა.
შავარდნულებ შემოჭკივლა, ფერი უცვალა ტანზედა,
ცხენი ცხენზედ შეაჯდინა, ჯირითი დაჰკრა ბეჭზედა,
არაბი ძირს გარდმოიდო, სული არ დაჰყვა ტანზედა,
მოლულიები, თალიბები ყურანს აბერტყდენ თავზედა.
—მაგას ყურანი არ უნდა, ქურქი დახურეთ ტანზედა.
ხვანთქარს იამა სოლოლას გამარჯვება არაბზედა,
გააცნო ოჯახლთ, დიდ-კაცთა, ვინცა რომ იყვნენ კარზედა,
დაასაჩუქრა საკადრად, პატივ-სცეს ყველამ ძალზედა,
გამოისტუმრეს, სულ ლხინით მოვიდა თავის კარზედა *).

## შ ა რ ი ფ ფ ა შ ა.

2

შარიფ ფაშამ რომ საქმე ჰქმნა, სტამბოლს ხვანთქარი გაჰკვირდა,
ძმამ ძმას ჰღალატა, აცდინა, საშინლად ატყდა, აყვირდა,

---

*) სოლალა იყო კოპაძე. მისი ნასროლი ჯირითი ერთ ვერსამდის მიდიოდა. ამის სიმამრი ჰაჯი ფაშა იყო, ამშენებელი ციხის ჯამისა აია-სოფის ჯამის გეგმაზედ, ახლა რომ ჯარის ეკლესიად არის ახალციხეს.

გაჯავრდა, მოჰკლა ხანუმი, ბოლოს თვითონვე ატირდა,
ფაჰლევან ალა მიაკლა, კვლავ მოახლებიც დაჰკიდა!
შევიდნენ ურალი ლაზები, ჯალათად დაადგნენ თავსა,
ხელმანდილი გარდააგდეს, სახე-ლამაზს გიშრის თმასა.
მაშინ ატირდა ხანუმი, ცრემლნი გარდმოსდინდა თვალსა:
„ვაი შენ ჩემო ქალობავ, გაფუჭდი ამ ქვეყანასა!
იჯედ და სვამდი ყავასა, სულ არ გახვიდოდი კარსა,
არვის თავსა უყადრემდი და არც შეხედემდი სხვასა,
დღემ-ღამ გულს სისხლი გდიოდა, ვერც დებს ხედემდი, ვერც ძმასა“.
ეს სიტყვები მაშინ მოსთქვა ტკბილის სულის ამოხვლასა:
„წამიღეთ აი იქ დამმარხეთ, სხვილისის კლდის კაპნის გზასა,
გამვლელნი და გამომვლელნი მაუვრიდნენ ვაგლახს და ვასა,
ფაშამ რომ მნახოს ატირდეს, თუნდ თავი ახალოს ქვასა,
რომ უმანკო ასე მომკლა, ერწმუნა თავის ბილწ ძმასა“.
დაჯდა და წიგნად დასწერა, მტერთაც დასწვემდა გულია,
მოკითხვა და ნახვის ნატვრა, სასიყვარულო ვრცელია,
ყაფლასიანთ გაუგზავნა, წასაკითხავად ძნელია:
„მე ხელმანდილით დამახჩეს, ხომ არ გამომჭრეს ყელია“ *)!

## რაჯაბ ბელადი.

3

რაჯაბ ბელადი ჰჩიოდა, ნახეთ რა ვუყავ თავსაო,
არ მომკლა სოლომონ მეფემ, მიმცა ერეკლე ხანსაო,
ერეკლეს ხელზედ ვაკოცე,—„ნუ მომკლავ შენსა მზესაო!“
—რაჯაბავ, როგორ არ მოგკლა, შენ რომ მითხრიდი თემსაო?
მიკლამდი და მიოხრებდი ქალაქ-სოფლებს, მთა-ბარსაო,
არ მასვენებდი დღე-ღამე, მივლიდი ყველგან გარსაო,

---

*) 1800 წ. შარიფ ფაშამ რომ ზაბით ფაშაზედ გაილაშქრა, მისმა ძმამ მუსალიმმან გაბედა დაახლოება ფაშის ხანუმთან, მან უარი უთხრა და არ მიიღო, ამის გამო ცილი შესწამა რძალს და აცნობა ფაშას, ფაჰლევან ალას ესიყვარულებაო. ფაჰლევან ალა ბაკაკოშვილი იყო ხოსპიო ბეგების პაპის პაპა. ბაკაკოშვილი კათოლიკეც არის.

ტყვეებს იჭერდი, მიჰიდდი ხან არტანს და ხან ყარსსა,
წაქეზე მთლად ლეკობა, გვიტეხვენ ერდო-კარსა.
—ბატონო, ოღონდ ნუ მომკლავ, თათრებს გავჟლეტ მგელივითა,
ძილს გავუფთხობ, შევეჭრები, კუდს მოუქნევ მელივითა.
—შენ თათრებს ვილა გაჩვენებს, თვალებს დაგთხრი ხელივითა,
გაგხდი ქვეყნის სამასხროს, გათრევდნენ მკვდარს ძაღლივითა.
—ბატონო, ოღონდ ნუ მომკლავ, შემოგხიზნივარ შენს მკლავსა,
გეხვეწები, გემუდარვი, ბევრი რამე გულს მიკლავსა,
ოთხი ბათმანი ოქრო მაქვს, აწყვერს მიბარია ქალსა,
იმას აქ მოვატანინებ, თუ დამახსნევინებ თავსა *).

## აბდაულა და ერეკლე.

4

აბდაულა შეიკმაზა ჯაჭვითა და ჯინჯილითა,
თქვა რაც არ ეძლო, ლაღ იყო ტომ-მოდგმობით სინსილითა:
„ჩავალ თბილისს, შემოვსდგები, შევაჭირვებ სიმშილითა,
ისე გავუხდი საქმესა, სულ იწოდნენ სირცხვილითა,
მეომრებს ხელ-ფეხს შევუშლი, გულს გავუტეხ სიწბილითა!“
ეს რომ ერეკლემ შეიტყო გადაბრუნდა სიცილითა:
„მეფე ერეკლე მოგიკვდეს, ვერ გაგხეთქო სარბილითა,
კოჟორი გაგარბევინო, მონასტერი ტირილითა!“

## ერეკლემ შემოუთვალა ფაშას.

5

ერეკლეს შემოუთვლია, დიდის ბატონის შვილსა,
ლეკები გამომეპარნენ ქრცხინვალის ციხის ძირსა,
აიკლეს და აოხრეს, ბევრი ცოლ-შვილსაც სტირსა,
თან თოფი გამოიტანეს, სახსარი არის ტყვისა,
თორმეტი ოქროს სალტა აქვს, ვეცხლი აკრია პირსა,
გაისარჯეთ, მომიკითხეთ, ჩემთვის ძვირფასად ღირსა,

......................................................

*) ისე ჰგავს, შეუბრალებია ერეკლე მეფეს და გაუთავისუფლებია, რომ მერმე ახალციხეს და იმერეთში ყელია ხშირად.

თუ ნახეთ, გამომიგზავნეთ, ფაშავ, ნუ მიზამთ მტრისათ,
ნუ მომიმდურებ ამაზედ, თვარემ გაგიფთხობ ძილსათ.
არ მოგასვენებ არას დროს, გიოხრებ ნათესს, ხილსათ,
ცხვარ-ზროხას წაგგვრი, ცხენის ილხს, ჭირზედ დაგირთობ ჭირსათ,
დღისით წაგიღებ ქვეყანას და ღამით ცოლსა, შვილსათ,
სიავეს სიტკბოთ სჯობია, სიტყვას ნუ მიგდებ ძირსათ!"

## უ ს უ ფ ფ ა შ ა.

6

უსუფ ფაშამ უთხრა შაჰს, წავალ, ვნახავ ფადიშახსა,
წავიდა და გვერდით მიუჯდა, მოჰყვა ტკბილად საჩივარსა:
„შენი ჭირიმე, ხელმწიფევ, რისთვის მართმევ ფაშობასა?
შენც იცი კახთა ბატონი, ორთავ გარდაგვიწვდენს მკლავსა,
მას ტკბილობით ვერ გაუვალთ, მელობით ვუზამთ ბევრს ავსა,
თუ მიბრძანებ, ცოცხალს მოგგვრი, თუ არა და მოვჭრი თავსა".
—მაგას თუ მიზამ, უსუფო, გაგიახლებ ფაშობასა,
ტანზედ ქურქსა წამოგასხამ, მოგცემ გურჯის ქვეყანასა.

## აზატ-ხანი და ერეკლე.

7

ალაშენა ერევანი, შიდ განჯის კარი გაიღო,
აზატ-ხანმა მოაშურა ჩუმად, სულ ხმა არ გაიღო,
ეს რომ შეიტყო ერეკლემ, ცხენს შეჯდა, ხმალი აიღო,
მსუბუქის ჯარით წავიდა, ჯაბახანა არ წაიღო.
ავიდა მაღალ მთაზედა, ზედი-ზედ ხანი მდგარიყო,
ერთი ლევანდის უფროსი ოქროს უნაგირს მჯდარიყო.
ჩვენმან ჯარმან შეუტია, ლაშქარი შუა გაიყო,
ას-ორასი ზარბაზანი, სულ მოკაზმული, მზა იყო.
ერეკლემ ცხენს შეუტია, ხევს გაადინა ჩქაფანი,
ხევ-ღელე მძორით აავსო, ცხენს შეუღება ფაფარი,
წინ ვერაკინ ვერ დაუდგა, მტერს სრესდა მისი ნაფარი
და რაღას თავს ქვას ახლიდა ისაული, ჩაფარი?

აზატ-ხანს შემოუთვლია: „ერეკლე რა კაცია?"
—რა მოგახსენო, ბატონო, ყმაწვილია პაწია,
გული უდგია ალმასის, გარედგან სალი კლდეა,
ასრე დაანგრევს ციხესა, როგორც ფუტურო ხეა.

## ასპინძის ომი.

ა

დიდება და მადლი ღმერთსა, რომ გამოჩნდა ქრისტეს ჯვარი,
ოთხი კუთხე სულ შეიძრა, თავი რუსთ ხელმწიფე არი,
ერეკლეს შემოუთვალა სალამი და საჩუქარი,
ასრე მიყვარხარ, ერეკლე, როგორც ჩემი და და ძმანი.
მანც მადლობა მოახსენა, მეგობრობა შენი ვსცანი.
ეს ფაშები მაწუხებენ, ლეკია თუ ენგიჩარი.
ცოტა რამ ხანს მოიცადა, შეიყარა გურჯის ჯარი,
ადგა და ქართლი შემოვლო, გაამაგრა ტაშის კარი,
ხეობაზედ შემოწკიპა, აწყვერს მოვა წინა ჯარი,
აწყვერის ციხეს შემოადგა, შეუშალა ცალი მხარი,
ესროლა და ჩამოყარა ბურჯებიდგან ბაირახტარი,
ზეითგან ტყვია ზუზუნობს, ოხერში წყალი არ არი.
ბაგალოი გამოკარდა, ყელ-ყური ჰქონდა დამწვარი,
სულ გაგვიწყვიტა ლაშკარი, ეს რაღა ღვთის რისხვა არი!
რუსის ჯარი შემწედ ჰყავდა, სულ არ დაუჭირეს მხარი,
ისევ უკან მიდიოდნენ, რაღაზედაც განაცხარი.
შუამავალთ ვერა ჰქმნეს რა, სულ ვერ გარდიხადეს ვალი,
ტოტლებანმან უღალატა, სხვას დაადვა თავის ბრალი,
ზარბაზნები არ ახმარა, გაბრუნდა შურისგან მთვრალი,
მეფემ არაფრად ჩააგდო იმისთანა წუწკი, მურალი,
აწყვერითგანა გარდავიდა, ასპინძას მიადგა მწყრალი,
რაც იქ დაუკლია ლეკ-ოსმალთ, აქ შეუთავა ზარალი,
ბევრი მოწიფული ჰყავდა, ხელ-ფეხით უავლა მარალი,
იმ ღამეს ხიდი აჭყარეს, გაჩნდა იქ ჭარალ-თარალი.
თათრებმან შემოუტიეს, სულ არ იცოდნენ ყარალი,

ვერც წინ დაუდგნენ, ვერც უკან, გაუცუდდათ ჰალლა ჰალი,
ვერ შეუტყეს ხიდის აურა, არავინ იყო ჰალალი,
იმვირეს პირი, ხიდს ეცნენ, აურილ იყო გასავალი,
პანტ-პუნტით წყალში სცვიოდნენ ქალ მაჰმადა და სარალი,
სალავათიც ვერ მოჰქონდათ, ისე გასტეხოდათ თვალი,
ხრამი შეეკრათ თვითანვე, ვერა ჰქმნეს რა, იყვნენ მხრდალი,
იქ დახვდა კოხტა ბეჟანი, მას გავარდა ორივ თვალი.
ეს ერეკლემ გაითხოვა: „აგერ არის საბურთალი“.
ნეტათქო როგორ შებედა, როგორ გაუმართა თვალი!
ორნივ ხმალ და ხმალ შეიბნენ, მწვე გაათამამდა მერტალი;
ჩქედ შევარდა მოურიდლად, ვაი მისი ბედის ბრალი,
ისრე გადასჭრა ცხენზედა, წყალივით გაავლო ხმალი,
რომ თვითონაც ვერ შეიტყო, გადავარდა ლეკი მყრალი,
მოდით, ბიჭებო, გავიყოთ ოქრო, მარგალიტი, თვალი,
ფარის ანგარიშს ვინ იზამს, სულ ზოლათაა ახალი.
შენ ერეკლევ ჰოქმიანო, ცხენ მაღალ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,
ყვავი, ყორანი ლეშსა სჭამს, კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო,
ვაი იმათ გაჩენასა, რა გონჯ ალაგას ჰყრიანო! *)

## მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში.

9

ერეკლე, ჩვენი ბატონი, ასრე პატარა კახია,
ტანს რკინის პერანგი ეცვა, გაჰკრა ხელი და გახია,
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა, ჰალალია და ჰახია,
ხრამი შეუკრეს თვითანვე, თავსა მოუდგეს მახია.
ერეკლემ არ მოიშალა ის თავის მუცლის ჩხვერათ,
ადგა და წინ წამოუძღვა, მთვარე არ იყო ბნელათ,
ხერთვისის ხიდსა შემოდგა, თოფებს არ გააქვს ძგერათ.

---

*) სეხნია და იასე გვარამაძენი აქ დაიხოცნენ და საფარას დასაფლავდნენ პატივის ცემით სხვებთან ერთად. ვ. მ.

თათრებმან თავი დაუკრეს, წინ ვერ დაუდგნენ ვერა*),
მიიღეს პატივისცემით, დალაგდენ იმ დღეს ჯერათ,
ხანუმებმან გარდმოხედეს, პირზედ გადაჭკრათ ფერმათ,
თქვეს, ვაი თუ ჩვენ დაგვიმძვირდეს ამ სასაითგან ცქერათ,
მერმე რომ ისევ წავიდნენ, უწყეს შორითგან მზერათ.

## ბაშ-ალა და აბდულ-ალა.

### 10

დალონებული მამულა დაკურჩხულია ქარისა,
დაწვა და ნახა სიზმარი, ზალუმის თავის ალისა,
ბაშ-ალა ჩვენი ბატონი, მოყვარულია ფარისა,
ფულის ესაბი არ იცის, მარგალიტის და თვალისა.
სამასი ბილორის შუშა წამოწკიპული კარისა,
ცხვარი, ზროხა ჰყავს სულ ბევრი, ცხენის ილხი მთა-ბარისა,
თიხასი ქვიჯნის ქურქი აქვს ხარიხეს გარდაკიდული,
ოქრო-ვეცხლის ნივთეული თაროებს გარდახიდული.
ქამალ-ოღლი აბდულ-ალა ჰყავს ძველად გარდაკიდული,
ახალციხით დაიბარა აჭარლები, მოყიდული,
მიშველეთ, აგერ ფაშაც მტრობს, სანჯალი ჰყავ მოზიდული,
თეთრი ამ შავდღისთვის მინდა, არ ვარ მართლა მოქადული.
წამოვიდნენ აჭარლები, მით თავი არ გაესალა,
სასამ ასპინძას მოვიდნენ, თავს დაესხა აბდულ-ალა,
მწოლიერეს შინ შეუხტა, შინაურებს ემტროთ, რალა,
ჩასძახა: - ადეგ, რას წევხარ, შენ თავს უშველე, ბაშ-ალავ,
აგერ მოდის ფაშის ჯარი, — თვითან ხელით დაანახა.
ბაშ-ალა საჯაბხანესა პერანგითა გავარდება,
გულდებს აყარა ბარუთი, უწყო ლალუმსა მზადება.
ნაჯვრეტითგან აბდულ-ალამ ფიშტო დაცალა, ვარდება,
შახვდა ბარუთს, აითეთქა, ბაშ-ალა კადავარდება,
გაათრიეს, ცეცხლთან დასვეს, კანკალობს და ცეცხლს ვარდება,

---

*) ერთ კვირას ჰპერიათ ციხე ხერთვისისა და მერმე დაუცლიან და წასულან. ვ. მ.

ჯინი მოსდის, ბრაზიანობს, ავ-გულობითა ცხარდება,
ტყვია ჰკრეს და თავი მოსჭრეს, ასე მიწასა ჰბარდება *).

## თამაზ ხანი და იგდიჯ ხანი.

11

თამაზ ხანმა დასძრა თემი, ვითა კამეჩმა ძელია,
იგდიჯ ხანს შემოუთვალა: „ციხე დამიგდე ჩემია!“
იგდიჯ ხან დადგა, დაფიქრდა, პირში ჩაიდვა წვერია,
კარის კაცსა დაუძახა, რომელიც ჰყავდა ბრძენია.
იმას შეჰკითხა ეს საქმე, უყურებს პირში, მტერია,
—რაზედ შეშინდი ბატონო, რაზედ გეცვალა ფერია,
ამ ციხესა ვერ აიღებს, თუნდ რომ მოატყდეს თემია;
შვიდი წლის სარჩო შიდა გვაქვს, შეშა და კვარი ბევრია;
მეციხოვნები კარგი გყავს, მარჯვე ვაჟკაცნი, მშვენია,
მსწრაფლ ხელ-ფეხიანი, გამრჯე, დიდათ თავ-გამომჩენია,
ჯაფხანა ხომ სულ ბევრი გვაქვს, თოფ-ზარბაზანი ჩვენია,
დღე-ღამ ვისროლოთ ზედი-ზედ, ცაში ავიდეს გენია!

## დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი.

12

დავითისთანა ბატონი არ გამოსულა გვარშია,
ადგა და ქვეით წავიდა დიდის ყაენის კარშია,
ყაენმან წყალობა უყო, ლაშქარი მისცა ხელშია,
იქითგან წინ წამოუძღვა, ვით ორაგული ზღვაშია,
მაგრამ ხელი არ მოეწყო, არ დაინდო არავინა,
არც ქართლში, არც იმერეთში, უორგულეს გარ თუ შინა,
ახალციხის ფაშამ იძმო, გაუჩინა მტკიცე ბინა.

---

*) ხიზაბავრელი მამულას ნათქვამნი, ეს ოსმალობისავე გაქრისტიანდა თავისი მიმხდურობითა მღ. ანტონ გოდებაძისაგან უშიშრად. ვ. მ.

## ჩახალ-ოღლი.

13

აჲგიდი, შენ ჩახალ ოღლი, ერთ ხანად გიქროდა ქარი,
ოლქაობა შემოილე, რომ ვერ ჰქმენი კაი ქარი,
ფაშას ყულა დაუნგრიე, მოუკიდე ცეცხლის ალი.
ეს სელიმ ფაშამ შეიტყო, ჰერსისგან შეიქმნა მთვრალი,
ჩახალ ოღლი დაიბარა და იმისი ბაირაღტარი,
მოითხოვა, რაცა ჰქონდა, თან კარისა ანახტარი,
ბევრი არაფერი ჰქონდა, არც რა თეთრის განაღდარი,
წამოვიდნენ, მთა გარდმოვლეს, ახლდათ სხვანიც ამაგთარი.
ადიგვენს საუზმე ჭამეს და მეიდანსა სამხარი,
შევიდნენ ახალციხეში, ნახეს ქალაქის ამქარი,
აჭარლები მოეგებნენ, ვერ დაუჭირეს ზურგ მხარი,
შუბაშ ხანაში ჩამოხტნენ, იწყეს სიცილი, ხარხარი.
დილაზედა ფაშა ნახა, ჩახალ ოღლიმ დაინახა,
უკან დადგა ოლქისაგან, სწორედ ხელი დაიბანა,
—გაწყინეო, მომიტევე,—ფეხთ საკოცნად გაექანა,
გაშავდა და გარკინავდა, სასიკვდილოს დაეგვანა.
ფაშა დამშვიდდა, რომ ნახა ამისთანა სანიშანი,
მოილაპარაკეს ერთად, აღარ დასჭირდათ მაშვალი,
თავიანთ მოფიქრებითა გააკეთეს ბარიშალი,
რომ აღარაფრის შინებოდათ, ეს იყო მისი საშვალი.
გამოუშვიდნენ ფაშასა, ფაშა გამოჰყვა განგება,
ამოვიდნენ სოფელ ვალეს, არ ჰქონდათ არფრის გაგება;
დიდის ამბითა დაუხვდნენ, სოფელი წინ დაეგება,
ამის მეტი რა უნდოდათ, მოსწონდათ თავიანთ ქება.
ჩახალ ოღლთა ფაშა ნახეს, მათ გავარდათ ორივ თვალი,
ფიშტოები დაუწყვლეს, აადინეს ცეცხლის ალი,
სამივ ერთად ამოწყვიტეს, ორი ძმა და ბაირახტარი,
ორღობეს შუა ეყარნენ მთელ დღეს ის საბრალო მკვდარნი.

## ლეკებთან ბრძოლა.

14

წერეთელმან დაიბარა ოსმალო და ლეკის ჯარი,
სხვაც მოკრიბა, წაიყვანა, ჯაყელის სარასკარი,
ალის საყდარში ილოცა, წინ იახლა წინამძღვარი,
კოხტა ბელადი მიუძღვის, მას გავარდეს ორივ თვალი!
კორტოხტის გზა გადიარა, ხევ-ღელე და ავი გზანი,
რაჭას სოფლები დაგლიჯეს, სულ ქალი და პატარძალი,
ზედ ზამთარმან მოუსწრათა, თოვლი მოვიდა დიდძალი,
რაც უნდოდათ, ვეღარა ჰქმნეს, ერეკლემ დასცა თავზარი.

15

ბარალელ ადუა შვილსა სუფრა გაეგდო გძელია,
ლეკები წამოუცვინდნენ, კარზედ დაუბეს ცხენია,
ცხვარი, ძროხა სულ წაუსხეს, ცოლ-შვილის წაგვრა ჰრცხვენია,
—ადე ვაჟო, გაიხედეთ, ჩვენი აქ დგომა ძნელია,
თუ აგვაოხრებს ერთიან, მოგვწყდება ზურგი, წელია,
თუ არა და თავს უშველოთ, გვიფყრამს სახლს კარძელია,
შევმაგრდეთ და დაუშინოთ, ტყვია-წამალი ბევრია,
გათენებამდის ვისროლოთ, ცას მიადგება გენია.
მართლა ლეკებს გაუჭირვეს, გაცვინდნენ, წავიდნენ მწყრალად,
დიდი ჯავრი მოსდიოდათ, რომ დარჩნენ ასე პირ-მშრალად,
ტყვედ ვერვინ ხელში ჩაიგდეს, როგორმე და ვერცა ძალად,
ერთმანერთს ეკამუკებდენ, ამა-იმას სდებდნენ ბრალად.

16

ორშაბათს დილა გათენდა, ცამ იგრძნო მზისა ძალით,
ლეკები შემოგვიცვივდნენ ქორწილში, მეტად მწყრალით,
ქალი, სძალი ტყვედ წაასხეს, მათთან ბაბუნაი სძალით,
ვერ გაძლა ქმრის სიყვარულით სამი დღის პატარძალით.
გოკიას ცეცხლი ეკიდვის, შიდ მოიხალა ქერით,
ააოხრეს ერთიანად, ძლივ მორჩნენ თითო ღერით,

ვაჟიკაცები დახოცეს, სულ ცხრულებ დასჭრეს ყელით,
არ შეიბრალეს წვრილშვილი, მოხუცთა მოწყდათ წელით!
გაჰქონდათ ტირილ-ხრიალი, ფაშისკან დაყიდულია,
მუხლ ეურებოდათ, კვდებოდენ, ფერ მკრთალ თავ დაკიდულია,
გულს უკლემდათ შემოსევა, ასე ლეკთა ქურდულია,
მიდიოდნენ სავსენი ტყვით, ალხენდათ მათ ტუტულია*).

## ერეკლე მეფის გამარჯვება ლეკებზე.

17

დაღისტანი შეიყარა, ჭარი და ბელიქანით,
აცხო და აცხო ხინკალი, გუდასა ჩაიყარათ,
აგზავნა მარჯვე ლეკები, მორიგად გაითვალათ,
შემოცვინდნენ საქართველოს, ზოგი კიდევ ერჭოთ იყალათ.
ერეკლემ ჭკუა იხმარა, ურმები აიფარათ,
ჩაუსხა გულ-მხნე ბიჭები, ესროლა ჩქარა-ჩქარათ,
რაც ზედ მოვიდნენ მოშალეს, ვაჟკაცნი გაახარათ,
სულ კი იმას იძახოდნენ ცოტა ვართ, არა კმარათ!
ერეკლემ გადმოიძახა: „შემოკმაზეთ ბერი კვიცი,
ამ უბანში დამიძახეთ, სადაც იყოს კარგი ბიჭი".
შეჯდა, მათრახი გადაჰკრა და იქ მოხვდა ჭანდრის ძირში.
თქვა: „დამაცადეთ, ლეკებო, მე რომ თქვენი სჯული ვიცი".
ლეკებმა შეჰქმნეს ჩოჩქოლი, მოგვეწია არჩილ გიჟი,
ზოგს მოგკვლამს, ზოგსა დაგვარჩენს, ღორის ქონსა გვასხამს პირში,
თავს ვერ მოუვალთ, შეგვარცხვენს, ყველას ჩაგვყრის ჩვენ დიდს ჭირში,
სჯობია ახლავ გავექცეთ, მოკერილოთ ერთ კლდის ძირში.
ზურ მაჰმადი იქით გახტა, აქეთ დაუხვდა ჯარია,
შეუქენა ხოცვა და ჭრა, მიჰფანტ-მოჰფანტა, დარია,
ბევრთ თავი ქვასა უხალა, ტვინი სისხლს შინა გარია,
მაშინაც ბევრი დახოცა, ოღონდ იყარა ჯავრია.

---

*) ახალციხის კათოლიკებმა რომ ლეკი ფაშად გახადეს, იმის ჯავრით გოკია მოაოხრებინა ახალციხის უსუფ ფაშამ. ვ. მ.

## სასულიერო ლექსები.

18

ღმერთო, შენი დაილოცოს სასწორი და სამართალი,
გააჩინე ცა, ქვეყანა, ზედ გამართე მთა და ბარი.
ცა უბოძოდ დააყენე, სულ არ მიეც გასაყარი,
ზედ ვარსკვლავები გამართე, ბნელი ღამის მნათობარი.
მზე და მთვარე ზედ დადიან, ღრუბლები აქვთ გასავლელი,
სასუფეველიც იქ არის, მეტად ძნელად საშოვნელი,
ანგელოზებს ზეცა მიეც, სახსენებელ, საგონელი.
ადამიანთ—დედამიწა, ცხვარი, ზროხა, საქონელი.
გააჩინე ჯოჯოხეთი მიწის შუა, კაცთ მტანჯველი,
უფსკრულსა კიბე არ უყავ, არ ძირი, არცა ნაპირი,
რა გინდ ყვიროდეს საყვირი, ვერ გაიგონებს ცოდვილი,
თუ გინდ იყოს ძლიერ ბერი, თუნდა ახალი ყმაწვილი.
დასაბამისა მოგიყვე, თუ ქვეყანაზედ რაც არის,
ქვეშ რომ დედამიწა არის, ზეით უყურამთ, ცა არის,
ადამის ჩამომავალი ათას ნაირი სხვა არის,
ჯოჯოხეთი და სამოთხე ორივე ჩვენს ხელში არის.
ცოდვა-მადლის გამჩენელსა ხელში სასწორი უჭირავს,
აცა, მოკვდები ცოდვილო, შენ გნახამ, თუ ვინ გიტირამს!
მღვდელს მისცემენ საწირავსა, არ გავა, ტყვილად გიწირამს,
მადლის საქმეს შენ არ შვრები, ცოდვაზედ თვალი გიჭირამს!

19

პირველ გამჩენელმა ღმერთმან ადამ, ჰევა გააჩინა,
მისცა ედემის სამოთხე, ლხინ-სიხარულით არჩინა.
უყურეთ პილწსა ეშმაკსა, თუ როგორ მალე აცდინა,
ამუშავა გველის ენა, ევამ ადამსა აწყინა!
რა წაუღენა წიგნები, ცოლი ქმარსა დაამტერა,
შეაძულა გამჩენ ღმერთსა, გააფუჭა, გაამტვერა,
ახლა ის შენ მითხარ ძმათ, წიგნს ბოლოს რა მოაწერა,
ეს რომ გცოდნია, არ ამბობ, მე შენი აღარა მჯერა.

ხუთი ათას წელიწადს სასუფეველი დაკეტა;
გამრავლდა ურჯულოება, ჯოჯოხეთი დაახვედრა,
არ გატყდენ წყალ-რღვნით, არც ცეცხლით, ყველა კაცსა დააყვედრა,
ადამის ჩამომავალი ეშმაკებს ყმად დაევედრა.
წყეულიმც იყოს ეშმაკი, ღვთის პირისგან დაიწყევლა,
ჩამომდგარია კაცთზედა, სულ არ უვლის მუცლის ჩხვერა;
შურისგან თვალები სცვივა, ზოგიერთს კი ეს არ ჰსჯერა,
რომლისაც რომ თვალს დახუჭვენ, მაშინ ნახვენ სწორედ ყველა!

20

ღმერთი ჩვენი გამჩენია და ადამი მამა არის,
იმისი მაშვალობითა; ევაც ჩვენი დედა არის,
უსამართლო სამართალი, ვაი რა დიდ ძნელა არის!
ავი კაციც იმას მისდევს, საწყალ კაცთა მკვლელი არის.
გამჩენელი მოწყალეა, მონანულთა მხსნელი არის,
დაუძახებს ცოდვილ კაცთა, ვინც დიდ ბრალთა მქნელი არის,
ცოდვა-მადლსა აუწონვენ, დასძლევს ცოდვა, ჩვენი არის,
ხორცსა შეუკვრენ კუბოსა, ძევს საკაცეს, ცხენი არის.
სულს აგდებენ ჯოჯოხეთში, სატანჯველი ძნელი არის,
ხორცი დალპება მიწაში, ჯერ არ იცის, თუ რა არის,
ნელნელა ჯეჯლივით იხეთქს, თესლის პნევასავით არის,
მეორე მოსვლისა ყველა გაცოცხლდება, სწორედ არის.
ცეცხლით მწვარი, წყალში მშთვარი, შეკრბება ყველა ნაწილი,
მართალთ სასუფეველი აქვთ, სიხარულ, ლხინი, სიცილი
და ცოდვილთა ჯოჯოხეთი, სულ არ მოუვათ თვალთ ძილი,
სულით, ხორცით ჩააგდებენ, ვეშაპებით სავსე არის.
ჰგლეჯენ, ფრეწვენ ეშმაკები, მხეც-ნადირი, გველი არის,
ცეცხლი ჰწვამთ, კუპრს ეკიდება, ნავთი და გოგირდიც არის,
ღმერმან დაგიხსნათ ყველასი, გაგონებაც ძნელი არის,
არც აქვთ იმედი, საშველი, სინათლე მწვე, ბნელი არის!
ცოდვილი ჰწუხს და სტირისა, ცრემლი ჩამოსდის თვალზედა,
ნეტამც არ გავჩენილიყავ, არ მევლო ქვეყანაზედა,

სულ მელოკა ენით მიწა, ძაძა ჩამეცვა ტანზედა,
რომ ამ დღეს ავცილებოდი, არ დამწვარვიყავ ძალზედა!

### უცნაური პატარძალი.

21

მერჯახეთიდგან წამოველ მე პაშტა ქალით,
უკან მაყრები მომძახდენ, დაიცა ქალით,
სოფლის ბოლოს რომ მოველი, ავჩარდი მალით,
სახლში თავს გარდამიყვანეს, ავალე თვალით,
ოთხად მოვკეცე ნაბადი, ძირ დავჯებ სძალით,
ერბო-კვერცხი გამიკეთეს, მოასხეს თავლით,
დადესა ამოვეფარე, დუკმას ვსდე ხელით,
მეორე დღეს ვინცა მნახეს, კარზედა გავჭქეთ,
კერასა ჩამოუყვარე, ჯამი გავსტეხეთ,
თაროზედ კოჭობი დამხვდა, თავლი გავლოკეთ,
დედამთილი წავაქციე, შული გავჯოხეთ,
მამამთილს წვერი ვაგლიჯე, თავზედ ვაყარეთ,
მამასახლისსა ვაგინე, პირი გავალეთ,
გზირს გავუწყერ, შევუტიე, კარზედ გავაგდეთ,
მღვდელ-დიაკვანს არ ვაწყინე და კარზედ გავკეთ,
სამის დღისა პატარძალმან ვაჟი ვშობე მეთ *).

### ქმრის მაწყევარი ქალი.

22

ქალი წავიდა წყალზედა, თან გავაყოლე თვალით,
ავსო კოკა, კუტალი, შიდ გაუყარა თმანით,
ორად მოკეცა ნაწნავი, ერთიან ერთი მხარით,
წამოვიდა წარბ შერჭმით, აემღვრა ორივ თვალით.
მოდის და მოტუტუნებდა: „ღმერთო მიმიკალ ქმარით,
დაუდევარი, ცუღლუტი, უოვლიფერში უხმარით,
არ გამიკეთა საკიდი, დამაწყვეტინა თმანით,
მტერ-მოყვრებში გამომაკლო, ცხვირსა მდირს ცხარი ძმარით“.

---

*) შეადარე ზემოთ დასტამბულს ქართლის ვარიანტის № 378

## ქმრის მოძულე ქალი.

23

ზეითგან გადმომდგარიყო ივალ ყუყუნ თეთრი ქალით,
ხელს მიქნევდა, აქ ამოდი, შინ არა მყავსო ქმარით,
ციხის სანგრევლად წავიდა, თავსამც სწოლია კარით *),
მისგან გულ კლულს მიშველე რამ, მირჩიე გზა და მხარით.
მახარობელი მოვიდა, ქალო, მოგიკვდა ქმარით,
სამახარობლად აჩუქა სამოცდა სამი ცხვარით,
იმასაც არ დააჯერა, გაუგდო ნიშა ხარით,
მერმე მე მითხრა, ვინატრი, შენ დაგრჩეს ჩემი თავით.

## უვარგისი ქმარი.

24

რა ვქმნა, რომ არა ვტიროდე ხიზაბავრელი ქალით,
პირდაპირ ჩამომჯდომია სიკვდილის ფერი ქმარით,
თავი აქვს მეტად მუგეჯა, პირზედ არა აქვს წუხლით;
მოაძულა ყველას თავი, არ იცის მთა და ბარით.

## შ ე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ნ ი.

25

ერთი გოგო ვნახე წახნის წყაროსა,
პირი მზეს მიუგავს, ტანი საროსა,
გამჩენს ვეხვეწები შემიყვაროსა,
კარგ ტოლ-ამხანაგად შემიყაროსა.
გამიგონეთ, რომ რამ დამეგვაროსა,
დედა ჩემს უთხარით, ის ამგვაროსა,

---

*) აწყვრელმან ქალიმანჯ აფენდმან ჯერ იწყო ციხეთა და ეკლესიების მტვრევა და ნგრევა, მერმე მგზავრთა და ბეზირგნების ცარცვა და კვლა, ქრისტიანების თავ-დასხმა აქა-იქ. აუმჩივდნენ ახალციხის მაჰმადიანები, 1675 წ. გააშავეს ხვანთქართან იქამდის, რომ მის საფლავის ქვებზედ წარწერაც არ აღირსეს, ჰფლია აწყვერს. ვ. მ.

მამაჩემს უთხარით, შინ მაშგვაროსა,
როველზედ ჯვარ დავიწერ, გამახაროსა.

26

მთათვარავნელი ჭაბუკი ასპანას*) ქალსა ჰყვარობდა,
შუაში ერთი ზღვა ჰქონდა, იმაში გასვლას ზარობდა,
ზღვის გაღმა ერთი სანთელი გამოღმა კელაპტარობდა,
ერთი კუდური ბებერი სანთლის გაქრობას ჩქარობდა.
მანამ ჭაბუკი შეცურდა, თევზივით ქამანდარობდა,
დაჰკარგა ფონი, შესჭირდა, თავსა იცემდა, მწარობდა,
ჭაბუკი ზღვამან დაარჩო, ზედ ორბი იჯდა, ხარობდა,
ქალმან ის ბევრი იგლოვა, ბებერს სწყევლიდა, ცხარობდა! **)

**მ ო ნ ა დ ი რ ე.**

27

ბიჭი ვარ გოგიტაული, თოფი მაგდია მხრიანი,
აწყვერში დავიარები, როგორც ირემი რქიანი,
ნადირსა ვწყვიტამ, მუსრს ვადენ, არ გარდმირჩება ფხიანი,
ვეფხვი, ფოცხვერი, მგელ-კაცა, პირ გაბდღეშკილი, ღიანი.
ერთ დღეს დათვს თოფი ვესროლე, დაიწყო დიდი ღრიალი,
მომვარდა, ტოტი შემომკრა, ქოჩორზედ შევქენ ტრიალი,
ზედ შემჯდა, ბეჭი მომტეხა, დამიწყო ტანმან ჟრიალი,
სატევარს ხელი გავიკარ, ღლიას ვჰკარ, შექმნა წიალი.
იმან მე ჩემი დამმართა, არ ვებრალები ბევრსა,
დათვსაც ვაი დაეყარა, გარდაკვდა იმავ დღესა,
ქალებსა გახარებოდათ, დათვი მოგვიკლა ტყისა,
აღარც მოგვიჭამს ჟოლოსა, არც მოცხარს, არცა თხილსა.

---

*) ფოკის ტბის ნაპირს უნდა იყოს ნასოფლარი ასპანა. ე. მ.

**) შეადარე ქართლის ვარიანტები № 644 და 1110.

## მეცხვარეს ვირი.

28

ანდუსელი ფეხოშვილი მეცხვარე არის ძველის,
თივის თიბა კარგად იცის, გარედ გაედკა ცელის,
ნამცხვარი რომ გამოაცხო, პური ჩააწყო ცხელის,
ხარაპატასში წავიდა, სიზმარი ნახა ძნელის.
გოლუგი წინ გაიმძღვანა, დუმანა ნისლის ფერით,
კოდიანზედ რომ ავიდა, ჭელი ჩაყარა სქელით,
ვირი ნათიბში დააბა, არ მოეპაროს მგელით,
ვირს ბუზები დაეხვივნენ ბორათ, სისხლის ფერით,
იქავე გადააბრუნეს, მშრალად მოსტეხეს წელით,
დანა რომ ველარ მოასწრო, ხანჯლით გამოსჭრა ყელით,
ყასპობა იმით უხდება, ყაშა მოუკრამ გძელით,
ტყავი გაძრო, მგლებს ყურბნად მიარიგა ისე მთელით

## გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალი *).

29

ასპინძის მეზობლის ქალსა სამიჯნურედ მოვეკიდე,
დამიბრუნდა, ასე მითხრა:—ვაჟო, რას გადამეკიდე?
წადი მთაზედ, თივა ჰთიბე, საქმე-ყოფას მოეკიდე,
ჩემი თავი თუ არ დაგრჩეს, უკეთეს სხვას მოეკიდე **).
—მთას ვიყავ, ცივი წყალი ვსვი, ბარად ჩამოველ მაჭარი,
გავსრულდი და გავაჟკაცდი, არავისზედ ვარ ნაჩარი,
აწ რაზედ ვარ დასაწუნი, სამართალი შენ გასჭარი,
ქალო, რატომ არა იცი, რომ მე ვარ შენი ვაჭარი?!

---

*) ძლიერ კარგი იქმნებოდა, რომ ასპინძის ქალ-ვაჟის პოეზია მრთლად დარჩენილიყო და არ დავიწყებოდა ჩვენს ერობას. როგორც სჩანს, თავითგანვე კარგად მიღებული ყოფილა ჩვენ წინაპართაგან, რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტნი მუხლნი ზოგი სრული და უსრულონი, აკვრა-ჩაკვრით, აქა-იქ დარჩენილან მთელ საქართველოში სახალხო სამღერელად. ვ. მ.

**) ვაჟი ლაშიხეველი ყოფილა, სჩანს მჭედლობა ჰსცოდნია. ვ. მ.

—ცული გაგედვა მხარზედა, შუშა ვერ დაგაჭობინე,
ჭირი მარიდე, საქმეზედ ხელი ვერ მიგაყოფინე,
გულში იმღერი, ჭირად ჰდუმ, სამდურავი მაითხრობინე,
თუ ჩემი თავი გინდოდა, რატომ არ შემატყობინე?

—ჩიტ-გვრიტივით დაფრინეშლი, მე შროშანი მეგონევი,
სრულის გულის, სრულის ჭკუის, სიკეთების მექონევი,
სადაც რომ დაგინახემდი, სულ საჩემოდ მეგონევი,
სიზმრებშიცა თვალში მეევხარ, გულ-მკერდზედა მეკონები.

—მიჯნურობას არ ეყოფა სმა-ჭამა, ნებიერება,
ქესას იეთრი, გულს ძალ-ღონე, ჭირად ტან-შვენიერება,
ჯარჯვა, გამოცდა, სიმარჯვე არს კაცის ბედნიერება,
უამისოდ ვერვინ ირგებს, ყველგან ჰქრება ძლიერება!

—მთას თივა მომითიბია, წამიხდა უდარობითა,
ჩემს საქმეს მე არაოდეს არ ვახდენ უთავრობითა,
სხვა საქმე რომ არ მაქვს, შენ გმზერ სიწყნარით, მეუდარობითა,
წელი და ზურგი გარდამწყდა მე შენის მუდარობითა!

—ვაჟო დიდგული ყოფილხარ, მოთმინება არ გქონია,
ტან-სახით არა გიჭირს რა, ჰსჯობს მთიკრიფო გონია,
რიგიან საქმეზედ დადგე, განიმტკიცო ძალ-ღონია,
რომ გეძლოს რიგზედ ცხოვრება, გქონდეს დიდ წულებზედ ფონია.

—ქალო შინდა გეშაირო, მაგრამ გულში დარდი მაქსო,
ვთქვა ბევრი და გათქმევინო, გლახ თუ თქვა: „მომშორდი ნახსო!“
თავს ვერ გახვიდე, წაავო, ველარ გაუძლო ჩემს ბაქსო,
გაიქცე, სადღაც წახვიდე, გასავლელი ხიდი გაქვსო!

—ჯერ ძილო, მერმე სიზმარო, მიძაბუნე თურმე აგრე,
შენ თუ ვაჟი ხარ, მეც ქალი, გული რითა გაიმაგრე?
რომ ეგრეთი სიტყვა მკადრე, წყალს მიმეცი და გამაქრე,
კაცთ სამიჯნურო ქალი არს, უნდა იცოდე შენ მაგრე!

—ბალჩაშიგან გარდვიხედე, გარდამოწია იამან,
ყაყაჩო აუგავებულა, ვარდი გაშლილა, მიამა,

გული დამიტკბო წალკოტმან, ყვავილთ ფეროფინმან ლაამა,
შეხედვით რომ შენ გამგზავსე, სული, გული დამიამა!

—კარგი ვაჟკაცი ყოფილხარ, შუბლზედ გწერია ჯვარია,
მაგრამ სცდები ჩემს თხოვნაზედ, არა გაქვს სახლი, კარია,
არც მამულ-დედულ, მინდორი, არც ტყე-ღრე, მთა და ბარია,
რომ როგორმე დამარჩინო, არ გავხდე საკიცხარია.

—ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია.
წამწამსა და წამწამს შუა ბალი აგიშენებია,
შიდ ჩაგითესავს სურვილი, კაცი მოგიყენებია,
შენ მოგიკლამს ჩემი გული, სხვისა აღგიშენებია!

—ძალად ბედს ვერვინ იშოვნის, არცა რა ვარგა ხელობა,
დასჯერდეს თავის ბედს, იღბალს, უნდა რომ ჰქონდეს მსჯელობა,
ჰჯობს, ვაჟო, საქმე გააწყო, ისწავლო წიგნი, ხელობა,
მეცნიერება, შეგნება, ყოვლისფრის სიმხნე, ქველობა.

—დავივლი მთელსა ქვეყნებსა, საბერძნეთს, მისირს, ალამსა,
ვისწავლი წერა-კითხვასა, ხელობას და კარგ კალამსა,
უსტარით მოგწერ მოკითხვას, ნახვის ნატვრას და სალამსა,
ვერ ვიშოვნი შენისთანას, მე ჩემის გულის წამალსა.

—ვაჟიკაცო, მე რა გაქო, თეთრი დევის ძალა გაქვსო,
იარაღი მოგიხდება, თოფი მოჭედილი გაქვსო,
შუბლზედ კუშკუში ქოჩორი, თვალი შავარდნისა გაქვსო,
წადგები და წამოდგები, ტანადობა კარგი გაქვსო.

—ქალო შენი მე ეგ მიყვარს, ადგი-გოგდი, სიარული,
ტანის ჩაცმა, თავდაბურვა, თეთრი პირი მხიარული,
ენა-პირი სუფთა, ბრძნული, თაფლივითა დაშაქრული,
მსმენელთა სულს-გულს წაუღებ, გულს გაიმღის დაჩაგრული!

—ვაჟკაცო, გულად ნავარდო, ქოჩორი შენი მიყვარსო,
რომ დაგინახამ მეტკბობი, გული მეშლება, მიხარსო,
თვალის სინათლედ მახდები, სურვილს მიმატებს მიხმარსო,
გულითგან არ გამომდიხარ, მოთხოვნილებას მიგმარსო.

-ვერ რა ხილი შეჰადარე ალექავებულის ატამსა,
ვერვინ გედრება სიტურფით, შვენივრად არხევ მაგ ტანსა,
სინარნარით, სინაზითა თვალ-მარგალიტი გხატამსა,
შესანიშნი ხარ იმითაც, გაქებენ ჭირ-ლხინით ამტანსა!

—ვაჟკაცი ხარ მხნე, მარდი, ლაშქარს ქორულად გავარდი,
ადრეც იყავი, რომ კიდევც თავს შეხვედ, ბოლოს გავარდი,
ახლაც ეგრეთ გიჯობს, თავი ისახელო გულ-ნაკარდი;
ვერავინ გიდგება შენ წინ, ვერც დიდი, მხნე, ვერც ჯომარდი.

—დღე-ღამ შენი სურვილი მკლავს, სანანელად გამხდენია,
მოულოდნელი სიზმრები საკვირველად ამხდენია,
მუდამ ყარზედ მიდგიხარ, ვტირი, ცრემლი დამდენია,
თუ არ მწყალობ, მიჯობს მოვკვდე, გიხოვეთ რამდენ რამდენია!

—სიზმარი არ გამოდგება, სინათლე ჰჯობია ბნელსა,
შენთვის კარგებს ფიქრობ და მე თავზედ მახვევ საქმეს ძნელსა.
აგრე კაციც სიადვილით სულ ვერ მოქნის ტყეში წნელსა,
შენ კი გინდა რაც სთქვა სწრაფლ ჰქმნა, არც ჰკვირდები ყანის მხვნელსა.

— ყველა ხილნარი აყვავდა, შენ რაღას იზამ უზანო?
ჩემს თავსა შენ განაცვალებ, შენ იცი რასაც მიზამო,
ჭკუა-ცნობით მდიდარი ხარ, წეს-რიგების მომიზანო,
როგორმე მაბედნიერე, სულის მდგმელო, გულთამისანო!

—ჭკუა არ მიჭრის ძნელია, დედ-მამა მყავს უკარია,
რძლები ჩამოკიდებულნი და ძმებს სულ არ უხარია,
არავინ მიბრალს, ხელს არ მიწყობს, ვარ მე ასე უხმარია
და რა სული მიგდის ჩემზედ, არვინ მყავს ზურგი, მხარია!

## II

—მინდორს შინა თეთრი ქვაო, ავსწიე და არ ამყვაო,
ნაღველისაგან აღარა ვარ, რაც მინდოდა არა ვჰყაო,
ვაჟო, შენი სიყვარული სადაც წაველ, თან წამყვაო,
გული არვისზედ გამითბა, ველარსად ველარ დავჰყავო!

—შავარდენი გადმოფრინდა აბრეშიმის ბუდითგანა.
გოგომ ვაშლი შემომტყორცნა, ამოიღო უბითგანა,
ეს ჩემ მაგიერ შენ გქონდეს, არ გადმიგდო გულითგანა,
მიყვარხარ, მაგრამ ვერ ვბედამ, ხელს ვერ ვიღებ სულითგანა.

—შავარდნის თვალო ლამაზო, შენ ჩემთვისა გიტირნია,
შენ ჩემთვის რა გატირებდა, გაღონებდნენ რა ჭირნია?
ყოვლიფერსა საშვალი აქვს, ამ წუთს ვართ ყველა მწირნია,
როგორც მოვდივართ, მივდივართ დიდი, პატარა, მცირნია!

—შემოგხედე თეთრსა პირსა, წარბნი წვრილად შეგეყარნა,
ათივ თითნი ბროლისანი წინ კალთაზედ დაგეყარნა,
ცხრა ნაწნავნი გიშრის თმანი მხარ-ბეჭზედა გარგეყარნა,
ოქროს თასით ღვინოს სვემდი, შიდ შაქარნი ჩაგეყარნა!

—ვაჟო, ეგ რა ლამაზი ხარ, დაურჩი დედა შენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა, ჩამოხვიდოდე ჩვენსაო,
სადილს გახვედრებ პურ-ღვინით, მეც მოგიჯდები გვერდსაო,
დავლევ და დაგალევინებ, ღმერთს შეჭერი ორსავ ხელსაო!

—აქეთგანა მე შენამდის, ვარდი მასხია ენამდის,
გულს მიშლის, სურნელით მატკბობს, ავდივარ მაღლა ზენამდის,
თუ კი რომ შემომითვალე, ფრენით მოგივალ შენამდის,
შენს მეტი მე ამ ქვეყანას თვალით არაფერი შემომდის.

—შენი დაბრა დავაპირე, მაგრამ სახლში არ მიყვესა,
არ მაღირსეს შენი ნახვა, მომდგნენ, შუა გამიყვესა,
აღარა მათქმევინეს რა, ყველამ პირი დამიყვესა,
რაღა მექნა, დავჯექ ჩუმად, სამდურავი დამიწყესა.

—ბაღჩაში გადმოვიხედე, ტურფად გნახე მწოლიარე,
პირი ვარდებრ გარდაგშლოდა, გეწყო კავნი მწყობიარე,
თავსა გედგა თეთრი ვაშლი, ფერხით მხალი მსხმოვიარე,
ერთი კიდევ დამენახე, ნუ გამიშვი მგლოვიარე!

—ამ ბაღჩას წითელი ვაშლნი, გარშემო შავი ქლიავი,
წალკოტს სურნელნი საამო, ქონდარი, შაშპრა, კვლიავი,

შენგნით მოკლულსა ამ ჩემ გულს, წარმოდგე, მეცეს ნიავი,
გამიგრილდეს სული, გული, ტკბილის დილის ნიავი.

—წითელო ვაშლო შენ გესვრი, თეთრო შენ ჩამოვარდები,
მწიფის წილ კუხე ხელთ მრჩები, ორ წყალსა შუა ვარდები,
თავი ვერ გამიტანია, წყლის ღელვა-ზვირთებს ვბარდები,
ძვირად ჰყიდი სიტურფესა, გულში ჩამიგდე დარდები!

—ხელმანდილსა გარმოგიგდებ, ბოლო ჭრელსა, მოქარგულსა,
ათას ფერად აყვავებულს, დახატულს და დასახულსა,
შიგ ჩავახვევ ჩემს სულ-გულსა, შენგნით დამწვარ-დადაგულსა,
ნუ დამივიწყებ მე ასრე ერთიანად დაკარგულსა!

—სიცოცხლის სახსრად მივიჩნევ მე ხელმანდილს შენეულსა,
არ გავცვლი მთელს ქვეყანაზედ მე სიხარულს ჩემეულსა,
დღეს რაც რომ ვისიამოვნე, ვრაცხ ჩემ თავს აშენებულსა,
არ ვსტოვ არსად მე ჩემს გზა-კვალს, ერთხელვე აჩემებულსა!

—ორკეც დამაკალიანა მე შენმან დიდ სიყვარულმან,
გულში ვეღარ დავიტიე, ამიტანა სიხარულმან,
ჭირ-ჭმუნვას აღარაფრად ვთვლი, წამიტყვილია ძილ-რულმან,
ვტკბები საამურ სიზმრებით, მომისვენა სულმან, გულმან.

—ბულბული ვარდსა შემოჰჯდა, ენით ამბობს გალობასა,
მფრინველნი სულ მას შესტრფიან, არ იჩენენ მკრთალობასა,
მოირთე და მოიკმაზე, ნუ მოიშლი ქალობასა,
მანუგეშე, შენგან ველი მე მუდამ ღვთის წყალობასა.

—სევდიან გულის გამშლელო, წამლის დამდებო წყლულზედა,
შენი ქება გავიგონე, ვარდი მეშალა გულზედა,
ვერ გამოგიღებ გულითგან, შევჰჭირდე; ვიყო სულზედა,
ცოცხალიც შენი ვარ, მკვდარიც, მტკიცე ვარ მე ჩემს რჯულზედა.

—წითელ ვაშლს ჰჯობხარ, თეთრსაცა, მათის ფერ-სურნელებითა,
ვერ გიდრის ვერც ერთი ხილი გემოთი, მხურვალებითა,
ვერც გიდრის ვერვინ ექიმი უძველის მკურნალებითა,
ჰჯობხარ მთელ საწუთო საგნებს მაი მათის ჟუნალებითა.

—წითელ ვაშლსა და თეთრ ვაშლსაც ორსავ შენ მოგაკრებინებ,
სიკვდილის დღესაც დაგიბრი, გულ ხელს შენ დაგაკრებინებ,
სათლავ მითხრი, ჩამდვამ სათლავს, ზედ მიწას დაგაყრევინებ,
ქვას დამადებ დაწერილსა, ზედ ბევრთ ცრემლთ დააყრევინებ.

—გუშინ და გუშინის წინად დედა რას გექადებოდა?
გაცეცხლებულიყო ძალზედ, სულ არას გეხათრებოდა,
გიწყრებოდა და გლანძღავდა, განა შენ გეკადრებოდა?!
რა იყო რა იმისთანა, რომ აგრე გეფათრებოდა?!

—ოქროსა ღილი დავჭკარგე, მიღირდა, მენატრებოდა,
თვალ-მარგალიტ მოჭედილი მიბრწყინდა, მენათებოდა,
ჯავრისგან ველარ მითმენდა, მცემდა და მემართლებოდა,
ბრალი მაქვს, ადგილი ჰქონდა, მისთვის არ მემადლებოდა.

—ყველა სოფელს ნალია დგას, ასპინძის ბოლოს ამბარი,
არვის გაუსწორებია ეს ამოდენა მთა-ბარი,
ტყე, ღრე, ხევი, ღელე, ღულე, კლდე, ქვაბნი თავ-შესაფარი,
ნეტარ ვინ შემატყობინა, ქალ, შენი გულის ხაბარი?

—წახვიდოდე, მოხვიდოდე, განა წლისა სავალია!
ყველა კაცსა თავის საქმე ბუნებითად ავალია,
აღმართ-დაღმართი ბევრი გვაქვს, ასავალ-დასავალია,
შენ მინდოდი სიყრმე ფუჭო, თვარემ ვაჟი მრავალია!

—დღემდის კარგ თვალით მხედემდი, აწ კი დამიწყე წუნება,
ვერ გავიგე მე სრულიად ბეჯითად შენი ბუნება,
ნეტარ ვიცოდე, რამ გიყო, ვინ შეგიშალა გულ-ნება?
რომ დავრწმუნდე ჩემს სვე-ბედზედ, ბეჯითად ვცნა ურგუნება.

—იმ დღეს ვაჟმან, დედა ბოზმან, ჩემი ერდო გარდაარნა,
ტანზედ ეცვა თეთრი ჩოხა, ქუდი მოევარდიანა,
უცხოდ გამოწყობილიყო, გული დამიდარდიანა,
ნეტამც თვალით არ მენახა, ცხარის ცრემლით მატიარნა.

—გავალ ხესა, გავჭკრამ ხელსა ქერქეჭინას პატარასა,
არ დავზოგამ ზაფხულის სთვლის, არც ზამთრის, არც მარტისასა,

არ მივხედამ ტყის ხე-ტყესა, არც არა ხეს ბარდისასა,
არც ვიკადრებ შეხვევნას მე შენისთანა პრატისასა!

—ავალ ხესა, გავკრამ ხელსა ქერქეჭინა ფიჭვისასა,
არ მივხედამ ნარ-ეკლების კბენა-სობას ხვიწისასა,
მე ჩემსას ვიქ, თავს გავიტან, შედეგს ჩემის ნიჭისასა,
არ ვიკადრებ მე შერთვასა შენისთანა ბიჭისასა!

## III

—თხის ტყავი მოიხმარება ქვაცხრილადა და ცხავადა,
გაწმდება პური, სიმინდი, დადგება სუფთა ხვავადა,
ვწუხვარ, რომ შეუფერებლად მოგეპყარ მეტად ავადა,
ჩემგან შენ სიტყვა გეწყინა, მე დაგრჩი უკაცრავადა.

—ხელ-ტარმან ხელი დამგალა, იმ შუა გასატეხელმან,
სიტყვა გკადრე და გაწყინე მე ენა მოსატეხელმან,
დაუფიქრებლად, გულმოსვლით გასჩხლებულ, განახელმან,
შემაწუხა ამ შეცდომამ და არა თუ მართლა ხელმან.

—ნეტარ თუ მე მამკლა ვინმემ, ასო-ასოდ ამკლა ვინმემ,
არ შემიბრალა არაფრით და ტანჯვითა ჩამკლა ვინმემ,
ჩემი მძორი ყვავ-ყორანსა, სისხლი ირემს ასვა ვინმემ,
ამას კვლავ მოვინელებდი, ნეტარ შენსთან დამსვა ვინმემ!

—ვაჟო, ართათვის, ბართათვის, თოვლი მოსულა, ბარსა წვიმს,
რაც რომ მოგშორდი მე შენგან არ შემიხედავს სხვისთვის სხვიმს,
სისხლისა ცრემლი მდენია და შემირთვია ზღვისთვის, მრცხვინს,
სულ პირზედ ვერ შემიხედამს მე შენთვის, ისე მეტად მწყინს!

—ნეტარ თუ, წყალო, შენ მესვი, ღვინოვ ადგილზედ დამესხი
მკვდრების შესანდობელად, ქართველს, იმერი თუ მესხი,
რა ვჰქმნა ბაღ-ვენახ-ხილნარო, რაც რომ გინდ ბევრი მომესხი,
ცეცხლო, შენ რაღას გერჩოდი, მძინარეს თავზედ დამესხი!

—შენ ვაჟო, გაღმა უბნელო, თეთრად გათლილო ქასრითა,
გაუფრთხილდი, არა თქვა რა, პირითგან სიტყვის დაძვრითა,

ჩემს მოცემასა ამბობენ, არვინ გაგტეხოს აზრითა,
შენი შენ იცოდე, სხვათ არ, სახლი არ იწვა ხანძრითა.

—ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, არ ვიცი თუ ეგ რას ჰგავსო,
მე მაძინებ ტკბილის სიტყვით და არ ჰყურობ დათქმულ ზავსო,
ჩემთან ჰყიდი სიტურფეს და სასურველი კი სხვა გყავსო,
გულში რაც გაქვთ პირათა ჰთქვით, ავცილდე ქვეყნის დავლავსო!

მიჯნური სიტყვით კი არა, საქმისაგან გამოჩნდება,
მათი ყველა სვლა, ნაბიჯი, თვითოულად დამოწმდება,
უბრალო ტრფიალობისგან არაფერი გამოდნება,
ასრე მოსდიან მრავალთა, ტყვილდებიან რამოდნება.

—ქალმან თქვა, ახალ ვაჟკაცთა სიცილით შევუყვარდები,
მორითგან დავსწვამ, დავხრაკამ, ხელში არ ჩაუვარდები,
ვალხენ და ვამხიარულებ, მოწყენილთ გავუხარდები,
მოვსწმენდ გულითგან კაეშანს, განექარვებათ დარდები!

მე შენთვის ზუბუნსა ვკერამ, ახლო-ახლო ლიანდაგად,
ეჭვი ნუ გაქვს, გამოიღე გულითგანა ზიან-დალად,
გაისწორე გული ჩემზედ, ნუ მახვეწებ ნიადაგად,
თუ არ ვართ ჩვენი სიტყვისა, სახელები გვქვიან რაღად?

—შენ, ქალო, ასრე თეთრი ხარ, როგორც საედარში კირია,
თვალ-წარბნი გარდაკხატნია, სარკეს მიგიგავს პირია,
ყოვლიფრით შემკობილი ხარ, ქება-დიდება გჭირია,
ნეტარი შენსა პატრონსა, შენთან მოუვა ძილია!

—ვაჟო, მაგას მართალს ამბობ, ჩამიგდე გულს სიყვარული:
როდის იქნება გველირსოს ერთად ყოფნა, სიხარული?
მისთვის თავი გაგიწირამს, არ გწყინს რა, არც სიარული,
რომ გნახამ ხოლმე, გულს მიტკბობს შენი სახე მხიარული.

—შენსა ერდოსა თეთრი ქვა შიდ ლომის ჩამოდნობასა,
არ დავსდევ მე არაფერსა, ამ ქვეყნის რამოდნობასა,
შენზედ მაქვს გული, გლახ თუ შენ ცდილობდე სხვის მოდნობასა,
ათასიც გყავდეს მიჯნური, ვერ გიზამს ჩემოდნობასა!

—ბროლის მინდორს გავიხედე, იუ ლამაზი მოჩანს სადმე,
დავინახე, მოდიოდა სანავარდოდ მინდორს სადმე,
დავეწიე, შემოუჯეგ ცხენის გავას, ბორდას სადმე,
დამენდურა, აქამდისინ რატომ არ ჩამაგდე რადმე?

—წყალ გადმა იხვის დედალი გამოღმა გამოსჭანჭრობდა,
ოქროსა კვერცხი დაედვა, შუა ბაზარში ვაჭრობდა,
ერთი დუქანი აეღო, მეორეს ახლა ვაჭრობდა,
სულ ვერ მორიგებულიყვნენ, რაღაცაზედაც ჯანჯლობდა.

—ჯავახეთი გამოჩნდება ამირანის გორითგანა,
არ ისწორებ გულს ჩემზედა, გამდგომიხარ შორითგანა,
არ უკვირდება ბედს, იღბალს, რა გამოვა ჭორითგანა,
სიამოვნე ჰსჯობს ცილობას, ვერას ვირგებთ ბრძოლითგანა.

—ქალო, მე შენსა სურვილსა შემომითვალე, რა ვუყო?
მაგრა მოვკოჭო საბლითა, ზურგს ავიკიდო, რა ვუყო?
დავგემხო დედამიწასა, ქვეშ ჯინჭველს, ზეცას ხმა ვუყო,
მაინც აღარ შემიბრალებ, თავს უარესი სხვა ვუყო!

—ლხინო, ლხინს გამოგიგზავნი, ვარდო, გაშლილო იაო,
მიყვარს შენი პირადობა, გაშლილი გული, დიაო,
ვერვინ გდრის ზრდილობაზედა, მისთვის გაფასებ დიაო,
ნეტარ ვინ შემატყობინა, გულში რა ჩაგიდვიაო?

—აგფრინდები, შენთან მოვალ, შავარდენი შევიქნები,
შენ ბატონი მწყალობელი, მე შენი ყმა შევიქნები,
გულს მოგიგებ, ხელს მოგიწყობ, ბამბის ფთილად დავიქნები,
შენს ურიგოს გავიგონებ, ლუკმა-ლუკმა ავიქნები.

—ქალ, ვარდნი დაგიკრებია, უმზეოდ გაგიფენია,
მარწყვი, ჟოლო, მოცხარისათვის წასულხარ, გაგირბენია,
აკრიფე, თვარემ დანამავს, ცასა ღრუბლები ხვევნია,
არსად წაგივა კვლავ ტყე-ღრე, სავსე არს ღელე-ხევნია.

— მარგალიტისა გოგასა წყალს ჩავაყენებ ცოტასა,
დავლევ და დაგალევინებ, ზედ შემოგაყრი ცოდვასა,

რაც იყო გააშკარავდა ჩვენს ქება, შესხმა, ხოტბასა,
ჯორი ჩვენ, ლხინი სხვას ერგოთ, ვუჩივი გულის კოდვასა!

—წყალ გალმა მიღმა შენ მიხვალ, გამოღმა ბინდი დამეცა,
არცა შენ გაქვს და არცა მე, რომ გულზედ დანა დამეცა,
ჩემი ჯირ-ჯმუნკა, სურვილი, რომ მუდამ შენთვის მომეცა,
არ მაყენეს ჩემს ნებაზედ, რაც შენთვის სიტყვა მომეცა.

—წყალ გალმა ერუსალემი, გამოღმა, მისმან სმენამან,
არ აგვისრულდა საწადი, სულ არ გვადირსა ზენამან,
არ ვიჩნევ წუღდულად, არც გამჩნევ, ჰწყვიტოს სვე-ბედმან ჩვენამან,
ისე დაგვფარამ კალთის ქვეშ, არ გაგვთქვას ჩემმა ენამან.

—ვაჟო, როგორც ადრე გითხარ, რათ არ აიღე ხელია,
წადი, ახლა სხვა მოსძებნე, ტყვილად გდის ცრემლნი ცხელია,
ღმერთმან ჰქმნას და აღმოგიჩნდეს უკეთესი მხნე, ქველია,
რომ ჯირნი ლხინად გიქციოს, იყოს კარგი მოხელეა.

—არ უნდა გექმნა ეგ საქმე, არ შეგეშალა ჯარია,
როგორ გავუძლო მე ნაღველს, ჯირზედა დამრიე ჯირია,
გავუბედურდი, დამხრაკე, მდის ცხარი ცრემლნი, ვტირია,
ვერფრით მომინელდებია, ვზივარ მწუხარე, მწირია.

—შენ ვაჟო, ჩემში რა ნახე სიტურფის მეტი ნავალი,
არას დროს არ მიზრახია მე შენთვის რამე ზავალი,
დღესაც რომ რამე შემეძლოს, არ გიზოგ, მქონდეს წამალი,
თუ არ რა ვქმნა, რით გიშველო, არსით მაქვს გზა გასავალი.

—მაგითი თავსა მართლულობ, გულსა მიკეთებ, მიძლამო.
ჩემს წულულ სულს რადა ეგ უნდა, ის კი არა თუ მკიცხამო,
მიხედე შენს გულის ტანჯვას, სწორეს ჰკეტყვის, თუ ჰკითხამო,
მართალი მოსამართლე არს, კმარა, ნუღარ მაფაცხამო!

—ეგ მე ჩემით არ მიქნია, ხომ იცით მყვანან მშობნია,
სასახელო გვარის შვილნი, მრავალზედა უმჯობნია,
არ მქონდა მე მოსვენება, იყვნენ სულ ჩემი მჯობნია,
რომ ვერ გაუძელ, დავთანხმდი, ძალად მათი ნაყოფია!

—შენც ლამაზი, მეც ლამაზი, ორთავეს გვქონდა წონება,
ვინც მე და შენ განგვაშორა, ნუ ეღირსოთ მათ ცხონება,
ნურც ბედნიერი სიცოცხლე, ნურცა სიმდიდრე, ქონება,
დაიწვან და დაიხრაკონ, სულ ჰსჯიდესა გულის ღონება.

—არ ველოდი მე შენს გაყრას, არცა შენს მოშორებასა,
არ ვიკადრებდი არას დროს სხვა და სხვის მოჭორებასა,
მაგრამ ღმერთმან არ ინება, მამკა ტანჯულ ცხოვრებასა,
გადმაკვანა მტრად მშობელმა, ვჰკარგამ მე სასოებასა.

## IV

—ცას მოწმენდილსა წვიმა წვამს, გესმოდეს თარო, კედელო,
ქმარ-მაზლნი გვერდით მასხედან, შორ გამიარე მხედველო,
დრო-ჟამი უნდა იცოდე მოსიარულე მხეტელო,
არ გაუვა ყოველთვის კაცს, ჩემო სულ-გულის მჭრეთელო!

—რაღა ვთქვა, აღარა მეთქმის, კაცი ვარ, მხურავს ქუდია,
გავჰყევ მე შენს პირ-ტკბილობას, გული გქონია მრუდია,
არც შენ იყავ, არც მშობლები, წინ გედვა გზანი ცუდია,
ღმერთმან ხელი მოგიმართოს, მოგცეს მასდაგვარ წუთია.

—რაც ჰთქვა აღარ გეშველება, გაგითავდა ქრიალია.
არ იქმნას, ჰცდე, გადიჩეხვი, გიხდება წინ ფრიალია,
შენს სარგოს ხელი მოჰკიდე, ვრცელ არს ქვეყნის ტრიალია,
სავსე ბევრ რიგი სიკეთით დუღს, გადმოდის ტიალია!

—ვთქვათ, აღარაფერი გეთქმის, წყალო აღითქვამ, აღარ გსვამო,
მაგრამ სვინდისს რაღას ეტყვი, რომ გულ-ხელ დაკრებილს მსვამო,
გულითგან არ გამომდიხარ, დღე-ღამე ულუმლად მწვამო,
და ვით მივენდო ქვეყანას, ან მე მისი რა ვიწამო?!

—შენ ვაჟო, ხომ კარგად იცი, მე ქალი ვიყავ თმოსანი,
ახლა მე ქმარი შევირთე ლალი, მოლაშკრე, ყმოსანი,
შვიდს შეჰკრავს შენისთანასა ტიტველა პერანგოსანა,
ბაზარშიგან ჩაგატარებს, ვით თაკანს, ის მშვილდოსანი.

—აქეთ გორასა წიხლსა ვკრამ და იქით გორას ძკრას უზამ,
ადიდებულსა დიდ მტკვარსა დავეწაფები ულაჰს ვუზამ,
თვრამეტ ბათმანს რკინას დავღეჭ და კევივითა ულაჰს ვუზამ,
მე ამ ძალისა პატრონი, ქალო, მე შენ ქმარს რას ვუზამ?!..

—ყველა კაცს თავისი მოსწონს, ესახელება თავია,
ევლტის ჩაგვრა-დამცირებას, კილვას, დაცინვას, ავია,
სულ ყველასთან კარგი იყოს, ჰქონდეს მრავალგან ხავია,
ასე ცხოვრობს ქვეყანაზედ, ირჩევა თეთრი, შავია.

—ყველა საქმეს თავის გზა აქვს, დასაწყისთან დასასრული,
კეთილი კარგად თავდება, გლახა კი არს დაბაწრული,
მრავალ ხვანჯით მარცხებისა დალადრული, დანაცრული,
ამას ვინც ვერ გამოიცნობს, წაუხდება დასასრული.

—ეს ქვეყანა ტანჯვისა არს, ავ-კარგი ჩვენი ვალია,
როგორც ღმერთსა გაუგია, მოუცია ჰსჯა, თვალია,
სახლ სამყოფი, საბადელი, ჭინახული, გვაქვს ნალია,
კაცი რასაც ჰთესს, მას მოჰკის, გადახდას, თუ აქვს ბრალია.

—მე აქეთგან ვერა გხედამ, მოშორებულ კუთხისაგან,
კაცი შემიჯერებია შენის ამბის კითხვისაგან,
მოძულებას არ მოველი შენის კარგის გულისაგან,
მომითულამ, კარგად მეავდე, მე მჯირს ჩემის ბედისაგან.

—ვერ მოგიძულებამ, სულ ვერ ვიქ, ვერ მოვიშლი ჩემ პირს, გულსა,
გიგონამ, გაქებ, გადიდებ ძვირფასს ჩემთვის დაკარგულსა,
ჩემს მატკბობ წარსულ სიხარულს, მეყიფანარე სასოს რგულსა,
თვალის სანათლეს, სიცოცხლეს, აიასფრად მკულს, გაქარგულსა.

—დიაღ, ისეც მაგაზედ ვწუხვარ, მქედი მიყვარამს წინარე,
მე შენის სიტურფისაგან მიბნედილი ვარ მძინარე,
სურვილმან ეგრედ მიმწყვიტა, წამოველ, ვეღარ ვიარე,
ეს ჩემი თავი მოგიკვდეს, წერილი ვერ გიზიარე.

—ღრუბლიან დღეს დარბაზს შინაც კვამლი არ ადის, კერას ხჩას,
ამ წუთისოფლის ავ-კარგი ბევრსა ახარებს, ბევრსაც ჰსჯის,

ნეტარ იცოდე, თუ რა და რა დიდი უბედურება გვჭირს,
უძლურ არს კაცის ბუნება, ვერ ჰმართლდება, ღვთის წინა ბრჭის.

— დავწერე წიგნად, მოვართვი, ვარდო, გაშლილო იადო,
სოსანმან, ნეკო-ნარგიზმან შეგამკო ფერად-ფერადო,
სად მოიცალა იმ ღმერთმან შენის თვალ-წარბის წერადო,
ან სად იშოვნა მხატვარი, დაგხატა ათას ფერადო?!

ქალმან თქვა: „ბედი მომეცი, თუნდ გადამაგდე ზღვაშიო,
არც ზღვა დამღუპს, არც ჩამყლაპს ცა, არ გავირჩევი სხვაშიო,
მით ბედნიერი ვიქნები, არ ვვარდები კიცხვაშიო,
თუ არა და დავიღუპვი წუთის ბევრ გვარს რისხვაშიო“.

— უსიამოვნო ამბავი გავიგონე მე შენია,
შენს მოწონებულს საქმროსა ფაიერაკები სჩენია,
არ გწყალობს, არც თვალით გიცდის, მეტად გამხდარხართ, გწყენიათ,
გულს ვარმად შემოგწოლიათ, გკლავსთ თურმე ნაღველ-სენია.

— შენი ცოდვა სად გამიშვებს დაბორკილს ათას კეცადა,
რა კარგი იყო, მაშინვე თავისა დახსნა მეცადა,
არ გავჭყოლოდი მშობლებსა, არ მეწყო გრეხა-ბრეცადა,
აქაცა გავმართლდებოდი, არც შევრცხვებოდი ზეცადა!

— ზოგჯერმე ამოიქროლამს სამოველისა ქარია,
დასწვამს, დახრაკამს ჯინახულს, ეხმობათ ბევრ კაცთ კარია,
ის რაც დიდ ზიანს მისცემს ქვეყანას, ვერ მისცემს აზარქარია,
ასე არის ჩვენი საქმეც, არას დროს გასახარია!

— ჭირ-შავად დავრჩი მე შენთან, გავტეხე აღთქმა, ფიცია,
გიღალატე და გიმტყუნე, გიკოდე გული მტკიცია,
აღარ მაქვს ჭირი, გიტყდები, ყირისხე ღვთისგან, ვიცია,
როგორ გეჩვენო, როგორ ვჩნდე, ეს მხრაკამს, მდაგამს, ვიწვის!

— რა გითხრა, აღარ მაქვს სიტყვა, განუყეშებ მე ვეღარა,
ნაღვლით გული შემომსივდა, თვალნი ცრემლით დამელარა,
წელ-ზურგი მოწყვეტილი მაქვს, თავი საწყლად დამეხარა,
რა კარგი იყო, რომ ჩვენ ორთავეს ერთად გვეხარა!

—ავად ვარ და მოდი მნახე, თან წამლები მომაყარე,
შენის ხელით წყალი მასვი, შიდ შაქარი ჩამიყარე,
სამარემდის თან წამომყევ, მუჭით მიწა მომაყარე,
შენი ქოჩრის მონაგლეჯნი დამწვარ გულზე დამაყარე!

—ამ სოფელმან ჩემი დღენი სიმწარით დამალევინა,
არც მომკლა, არც მომარჩინა, არც წყალი დამალევინა,
შემშურდა ჩემი სიკეთე, რაც წინად მაგალებინა,
სულ მთლად გარდამახდევინა და არ რა მაცალებინა.

—ცისკრის დროს ამომავალსა მზეს ვეუბნები ამოდი,
ჩემო სიცოცხლის მნათობო, მასიამოვნე, ამოდი,
გულ-ხელი შენზე მიკრიბე, აღთქმა შისრულე ამოდი,
ვერ გავძელ შენის ცქერითა, დასჯილო სულო, ამოდი!*)

## ცხენის შემნახველი.

30

შენახირები ქვითოდნენ, შარტა შუაზედ გაიყო,
მამულა ეუბნებოდა: „რა დაგემართა, რა იყო“?
ძმიას ქვასთან ავიდნენ,. იმის იქითკენ ტბა იყო,
ნაბარის ცხენის სიკვდილი, იქ მოსულიყო, მზა იყო.
ცხენი ჩაეფლა ნამშია, მკვებელი იცემს თავშია,
შენახირებს ეუბნება, მეხი დაგეცესთ თავშია!
მე უნდა ჭახი მომეცა, თქვენ ჩაგეყარათ ჯგალშია,
თხუთმეტ ქურუმსა დამპირდა მე იმის შესანახშია.
ცხენი კარგა შემინახე, მერმე მიყურე თვალშია,
თუ როგორს სიკეთეს გიზამ, სულ გასახელებ ხალხშია,
დიდი, პატარა მიგიჩნევს, ჩადგები სწორე კვალშია,
შეგეწევიან, გიშველვენ, არ ჩაგაგდებენ ვალშია.
შეიტყო პატრონმან, ნახა ეს ჩვენებური კაცია,
წაათრია სამართალში, ტანზედ ჩოხა არ აცვია,

---

*) გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალის ლექსებში ჩვენ ყველა ლექსი არ მიგვაჩნია ხალხურად. რედ.

ის თავის ცხენს სთხოვს, ეს საკვებს, საწყალი კიდევც ცაცვია,
სარტყელიც სულ ვერ მოუკრამს, შარვალიც ხომ ჩასჩაჩია.
მოსამართლევ, ნისავი ჰქმენ, ნაკითხი ხარ და ჭაჯია,
შეიბრალე სულ საწყალი, დღე-ღამე სხვის დარაჯია,
შემძლეს კი არა უჭირს რა, გარდიხადოს ხარაჯია,
ნაკარგს ნუ გამოუდგება, დაითხოვე დავაჯია.

## სულელი ლიტო.

31

ლიტოს კამეჩი მოუკვდა, რქაში ხელი წაეკიდა,
მარხილზედ ბრუდეთ დაედვა, თავი გვერდზედ დაეკიდა,
ცოცხალს თავას არ აჭმევდა, მკვდრისთვის ზურგზედ აეკიდა,
სოფელში ჩამოიტანა, შინ მარინეს წაეკიდა.
საცემლად მოინდომა, კიდევც ჯოხით გაეკიდა,
—რას შერჩი, შე უბედურო, ხომ არ ხარ თასთი, ლეკი-და?
ამ ზამთარსა მე ვუყარე, თან ბავშვი ზურგზედ მეკიდა,
უნდა მეჭამა მაწონი, ხანულები მომეკიდა,
ახა ვაგლახი შენს თავსა, მოგტეხოდა ეგ ფეხი-და,
ლიტოს კამეჩის აპოხტი გორასას კარზედ ეკიდა,
ლიტო კი ხერთვის გარბოდა, ხორცი უნდა გაეყიდა,
არ ჰქონდა ერთსახე ჭკუა, რომ წინ ხიდად გაეხიდა.
ლიტომ სახლი ააშენა ვენახშიგან საშურები,
ჩიადაგზედ დაიყვანა, გამოაჩინა ჭურები,
ლიტოს სახლი ჩამოუწყა, ქვეშ დაიტანა ფურები.
ფურები მაკე არიან, დაუტენიან ცურები,
ლობიოს მეჭამადი დუღს, იმით აუხსნა სულია,
მარინემ ბევრი აკინა, სულ დედ-მამა და რჯულია,
შე ქალაქის ზროხი ჭირო, რათ ამოგვხადე სულია,
შე ჰორქვე დასამარხავო, ვით დაიმარხვის ურია.
შარშან მომიკალ კამეჩი, წრეულ ორ-ორი ფურია,
ვაჲ იმ ქალისა შენს ხელში, ვით უნდა ჭამონ პურია,
სულ შენ თავს უნდა სტიროდეს, გულ-მოკლული, მომდურია,
აქ ცოცხლების აკლიხარ, იქ მკვდრების, მკლავს დღე-ღამ შენი შურია.

## ლ ი ა ხ ვ ი.

32

ლიახვმა იქგა ავდიდდები, არაგვსა დავუდარება,
ასრე მოვალ და მოვხუგი, თითქოს ფეხი მეკრას ნალვები,
რცხინვალის ხიდს შეუთვალა, ამას დამ მომეც ვალები,
შუა-ღამე რომ შეიქმნა, აუბნია მას თვალები,
მოასკდა დიდად, საშინლად, გამოიჩინა ძალები,
დაგლიჯა ხევი, წალუკა აქ-იქ გზა-კვალი, ჭალები,
ორი მცურავი დაარჩო, ულვაშ ნალები ლალები,
მათი ცოლები ტიროდნენ: — დაგვირჩა ქმრები დალეჭია.
ურმით მოგვაქვს წმიდა ჯვარი, ავალიანთ მოცემული,
ისიც ლიახვმან წაგვტაცა, ამოგვხადა ჩვენც მან სული,
მაცადე, გნახამ ლიახვო, დაგხვეოდნეს კოლოები,
ბიჭ-ბუჭნი გაჭყაპუნებდენ და გწყუმპლებდენ გოგოები *).

## ახალციხის აღება პასკევიჩისაგან.

33

მამულა მოჰყვა ლექსებსა, კარგ შაირების მთქმელია,
ღმერთო უშველე ხელმწიფეს, შენ მოუმართე ხელია,
ვიზილობაში გაათუჯა, ის თეირანი მთელია,
ახლა აზრუმისკენ მიდის, იქით უჩვენა წვერია.

არ კარგა ყარსისა ციხე, არტანის არაფერია,
აქებენ ახალციხისას, იმის აღება ძნელია,
იმდენი ჯარი მიუდის, ცის ვარსკვლავივით ბევრია,
ახალქალაქი აიღო, ხერთვის სწყდა ჯარის წვერია.

ქოველად წმიდა მოეხმაროს და ის იყოს წინამძღვარი,
პასკევიჩს წელზედ აკრია ღვთისგან დალოცვილი ხმალი,
ახალციხეს შემოერტყა, გაადევნა ციხეს თვალი,
შემოუწყო ზარბაზნები, დააყარა ცეცხლის ალი.

---

*) ეს ლექსი ვარიანტს წარმოადგენს ქართლის ლექსისას № 1037.

თორმეტი დღე გაუმაგრდა, მესამეტეს უყო ძალი,
შეანგრია და შელეწა სანგრება თუ მიწის ზვარი,
შიდ დაერია სალდათი სუნგებს გააქვს ჩხური-ჩხარი,
ხოცეს და ჟლიტეს თათრები, აადინეს სისხლის ღვარი.
იენიჩარი სულ გაწყვიტეს, ამოიყარეს მით ჯავრი,
მეჩითები სულ წაართვეს, შიგან ჩამოჰკიდეს ზარი.
ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს, ცაში ადიოდა ალი,
ხანდრის წვერზედ აიყვანეს, ქრისტიანნი კაცი, ქალი.
აქებდნენ ქოსა ფაშასა, მას დაუბრმეს ორივ თვალი.
ვალის ჭალაში დაყარა იმოდენა დუნგო ჯარი,
სული არ უშველა ქალაქსა, არ ქოშა რუსს დამივთხალი,
პასკევიჩმა გაისტუმრა, ვით გასათხოვარი ქალი,
თავზედ ჩიქილა დახურა და ზედ წამოასხა ჩარი,
უთხრა: — წადი, გამეცალე გინდ მადრაელი, გინდ მწყრალი,
რაც გეწადოს ისა ჰქმენი, შეიყარე დიდი ჯარი,
ამ საქმეზედა გაგზავნე სტამბოლს ხვანთქართან ჩაფარი.
მე ბევრს არ დავიგვიანებ, არ მჭირია ხმალი, ფარი,
ხევ-ღელებს, მთებს გადმოვლახავ, წინ მიძღვის ჩემი ნაფარი,
სულ თამაშობით წამოვალ, მოგივათ თქვენცა ხაბარი,
აზრუმს მოვალ, იქა ვნახამ თქვენ სარასკარს, რაღაც არი!

## საწყალი დედაბრის ყანა.

34

საწყალი დედაბრისასა თავგნი ყანასა ჰმკიანო,
ლომნი უქნიან ულოსა და ვეფხვნი შეუკრიანო,
დევთ მოაქვანან ურმები, კალოში მჯასა ჰყრიანო,
კევრებს შებმული ირმები კალოსა დარბენიანო,
ზედ ანგელოზნი უსხედან, ხმა-წვრილად დამღერიანო,
ჭინკები კალოს უქცევენ, ბუზ-ფუტკრებს დახვევგიანო,
ტახნი მისწევენ კალოსა და მელნი შეაგვიანო,
წერონი ანიავებენ, ძერძერუკთ მიუყრიანო,
გაცხავებენ, გასწმედენ და ბატნი დაჰკმაზიანო,

დაიკსა ავჭკიდოით ტომრები, ორმოშა ჯურსა ჭურიანო.
მგელი გავგზავნოთ წისქვილში, ბუჭყულზედ დაუყურიანო,
ტოროლა ცაში ჰაფრინოთ, მფრინველები შემოგრბიანო,
როჭო ქბილს მტკიცავს, გნოლი ზელს, კაჭკაჭნი ამოჭქნიანო,
ტრედნი ჩააკვრენ მოიებსა და გვრიტნი ამოჭყრიანო,
ყარიანნი ამზადებენ და ჩხიკვნი ხონჩას ჭმლიანო,
ბულბული გალობს, შაშვი მღერს, მეტის ეშხით სხდებიანო,
ამინარი და გავასი მხარ და მხარ დასხდებიანო,
ხოხობსა სილამაზითა შუაში ჩაისმიანო,
თვალთან ჰსმენ, ჰჭამენ, ძაღლ-კატას ბოლოში მოაკდიანო,
გვერდით მოისმენ მროშანსა, ჭიანურს დამღერიანო *).

## ოჯორჯლელი ხუცესი.

35

მე ოჯორჯლული ხუცესი ჭალას კიკავ მიმავალი.
ჭორატს ჭან-მგლებს გარდვეუარე, დამიბნელდა ორივ თვალი,
ზადენს ყელი გარდაყუგდე, იცით რომ სულ არ მაქვს ბრალი,
ხელი ვჭკარ ქვას, აქ გავქვავდე, მოვკვდი, გარდვიხადე ვალი,
ვინც ჩემი სისხლი იკითხოს, ჭორატს ქვას აჩნია მშრალი **).

36

ყვავო, უგავო, ყვანჩალაო, დედა შენი ჩანჩალაო.
წყალითგანა დამრჩვალაო უბედური ცარცალაო.

## ხ ა რ ი.

37

ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა.
გარს გალავანი უვლია, ცა ახურია თავზედა.
ადამიანის შენახვა სულ ვერვინ იდვა თავზედა,

*) ამ ლექსის ქართლის ვარიანტი იხ. ზემოთ № 1119.

**) მართლა ხუთივ თითი ხელ ეტყობოდა წითლად სისხლში ამოვლებული იმ ქვაზედა ცხადათ, ჭორატში. ვ. მ.

ხვნა-თესვა, ფარცხვა და ზიდვა გასჭირდა მეტად ძალზედა.
ხარმან თქვა ჯირმა ნათელმან: „მე დავიწერავ თავზედა".
მოცვინდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა,
ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა,
—წადი, ხარო, იმუშავე ერთგულად მთა და ბარზედა,
ყანა, ჭალა შენი არის, ტყე-ღრეც არის შენს ბედზედა,
ექვსი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწვე მხარზედა,
მოისვენე შენს ნებისად, შენს მიდამოს, შენს კარზედა,
ვინც კვირა-უქმით შეკაბას, ხელი შეახმეს მკლავზედა.

38

წყალის მოჰქონდა ნაფოტი, ალვის ხის შემონათალი,
დადეგ წყალო და მიამბე მოყვრისა შემონათვალი!
—შენი მოყვარე ტან-წვრილი, შუა გზას ვნახე დაჭრილი,
დავჯექ და ბევრი ვიტირე, ზედ მივაყარე ქვა წვრილი.

## მგლის სიზმარი.

39

მგელმან თქვა: „მიაზედ მეცხვარეს შემოეშალა ცხვარით,
თიკანს რომ ჯირი დავაგდე, იხამ დაიძახა ვაით,
იმ ჩამოსახჩობ მურასა ჩემკენ ეჭირა თვალით,
მეცხვარე გარდმოეშველა, ეჭირა შინდის კავით,
გადმომკრა, გადმომიჭირა, მომტეხა თეძოს თავით,
ძლივ გავასწარი რა ყოფით, დღე დამაყენა შავით.
მაცადე, შვილო მეცხვარევ, მოგკლოდეს ტკბილი ძილით,
ტკბილ სიზმრებში ქეიფობდე, მოგწონდეს შენი წილით,
ძაღლები შინ გაგჯარვოდნენ, მეტი რად გინდა ჭირით,
ღია დამიხვდეს საცხვარე, არ დაგეკეტოს კარით,
შევსულიყავ და მეწყვიტოს ურიდლად თხა და ცხვარით,
ღილაზედ გამოსულიყავ, გეგლიჯოს თმა და წვერით,
კაჭკაჭები დაგჩხაოდნენ, ბედვას საკვდილის ფერით".

## თ ა გ ვ ე ბ ი.

40

წისქვილს საფქვავი წავიღე, ავჭკიდე სამსა კატასა,
წინ თაგვნი შემომეყარნენ, ჩამისხდნენ ალაგ-ალაგსა,
ერთსა ვჭკარ, ფეხი მოვტეხე, მეორე ადგა ალასა,
მესამე მემუქრებოდა, კიდევ დათესამ ყანასა,
ისე მოგიჭამთ ერთიან, ცელს ვერ ავლებდე ჩალასა.

## თაგვი და კატა.

41

თაგვი აგად გამხდარიყო, ტახტში იყო ლეწვითაო.
დაეგო თავის ლოგინი, ბუმბულს იწვა ბეწვითაო,
კატამან ეს რომ გაიგო, ღმერთს შეჰკნავლა ხვეწნითაო,
მუხლებზედ ბევრი იცემა, თმა იგლიჯა წეწითაო.
ადგა კატა, წამობრძანდა თავის დიდის ჯარითაო,
თაგვის კარზედა ჩამოხდა ფირუზის კარავითაო,
თაგვი იწვა მხარ-თეძოზედ, ფიცხლავ ფეხზედ წამოხტაო,
მაშინვე კარი შიგნითგან საჩქაროთ დაიკეტაო,
—რა გინდაო, ყურდიდაო?—შენთან მოველ, ყურცქვიტაო.
—რა გინდა რომ აგად ვიყვე, შენი ნახვა არ მინდაო!
კატა უკან გამობრუნდა თავის დიდის ჯარითაო,
თავ-ჭირი გამოიტყვეპა, სულ თაგვები დაგვითხაო.

## ოს-ჩერქეზთა დამარცხება.

42

ერისთავს ცხენსა გიქებენ, კვიცია სამი წლისაო,
ზედ შეჯდება ერისთავი, ლერწამი ზღვის პირისაო,
წელში ურჭვია ქარქაში წითელი კემუხტისაო,
შიგ რომ ისრები უწყვია, ნარჩევი გველი ფხისაო.
ხევს ჩამოვიდა ლაშქარი ოსისა, ჩერქეზისაო,
გადგა-გამოდგა მეთოფე, ორ-ორი ჩიგვის ძირსაო,
ბიჭმა დაცეცეცხლა სიათა, როსტომი დასცა ძირსაო,
როსტომის ქალო, ბარბარევ, ველარ ასცილდი ჭირსაო,

მოკიკლეს გმირი როსტომი. ქვეყანა ჰგლოვობს, სტირისა,
ქვეყანა კი მას არა სტირს, მხოლოდ ჰსტირს თავის თავსა,
რომ ასცილდეს მტრის მძლავრობას, შავბნელს დღესა და ავსა,
შეცხუნდნენ, სროლა გახშირდა, ყველას მეშველი ჰყავსა,
ძალა დაადგათ ოს-ჩერქეზთ, ვინ გაუვა მათ დავლავსო!
იძრა ჯარი, წინ წავიდა, მოესვა ხმალი და ხმალი,
მოკლჯდა მტერი წინ-უკანა, ომით ძლიერ დაიღალა,
თავ-პირ მტვრევით ვერ გასწრეს, ვერც ვინ თავი დაიმალა.
ბევრნი აწყდნენ, სხვაც ტყვედ დარჩნენ, ვალზედ ვალი დაიკალა.

## კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე.

43

კოსტანტინე დაიჭირეს, წელთ შემოხსნეს ოქროს ხმალი,
ცხრა-კლიტულ სახლში შეაგდეს, გარედ გარდუზირზეს კარი.
კარს შეხედა, რკინად იქცა, ქვეშ გაპთ მიწა მხარი,
ზღვაშიგან ცურვით გავიდა, ხმელეთ გარდაავლო თვალი,
სადაც თათრებს შეეყარა, მუშტით აურევინა თავი.

## კიკნაძე ბერის ქონება*).

44

გადმიდგან გადმოვესახლე, მე ვარ კიკნაძე ბერია,
ცოლ-შვილით გამრავლებულვარ, შვილის-შვილნი მყავს ბევრია.
სამოც ულელა ხარი მყავს, სამოცსაც მოზვრებს ვეძია,
თხა-ცხვარს-ზროხა-კამეჩებსა ჰყავთ მთა-ბართა მომწველია.
ასი თავი ფუტკარი მყავს, წისქვილი ათი თვალია,
სანთელს ეკკლესიას ვსწირავ, საკმელი ჩემი ვალია,
ღმერთს ვევედრები დღე ყოველ, მაჩუქოს ჩემი ბრალია,
ქვრივ-ობერ-გლახაკთ ვმსახურობ, ვსტირ, არ მაქვს მშრალი თვალია!
წელს სეტყვამან გამიოხრა, ბაღ-ვენახნი. ყანა, ჭალა,
აღარ მარგო არაფერმან, აღარც გამომადგა ჩალა,

*) ამ ლექსის ვარიანტი იხ. ზემოთ კახეთში შეკრებილ ლექსებში № 28.

მოვსწყდი ერთიან, არ მომდევს უწინდელი ღონე, ძალა.
რომ როგორმე სახლს ვუშველო, ყველა ნაკლი ამეცალა.
მაგონდება ჩემი დღენი, მიწვდებოდა ყველგან ხელი,
არ ვის ვმტრე, არც ვის ვაწყინე, კიდევ ვიყავ მარტო ხელი,
ერთი სტუმარი მესტუმრა, დღეს ჯადით ვარ მასპინძელი,
გარჯილო სულო, ამოდი, რადა სიცოცხლეს მოელი!

### ი რ ე მ ი.

45

—ირემო, მთასა მევირალო, რაი ჩამოსულხარ ბარათა?
—მეუღლე ჩემი დავკარგე, დავეხეტები ცალათა,
თუ სადმე ნახოთ შითხარით, სადაცა იყოს გარათა,
მივალ, მივესურვილები, შევუერთდები ჩქარათა.

### ო რ ბ ი.

46

მფრინველების ქებას მოგიყვე, ორბია დიდის ხნისაო,
ხანდისხან გაჭაბუკდება, გახდება სამის დღისაო,
გაზაფხულს მოვა მერცხალი, შროშანი იმავ პირსაო,
მერმე მოჰყვება ოფოფი, გუგული ჰკივის, ყვირსაო.

### ხალხური როსტომიანი.

47

კონსტანტინე გორსა იჯდა, გარსა ეგდო გალავანი,
მარჯვნივ უსხდნენ მას თავადნი, მარჯვნივ ომარ ფალავანი.
მამა და შვილი შეიბნენ, ვერავინ გააშველაო,
ხმალნი ასტვრიეს, ანჩვრიეს, ასე რამ გაახელდაო!
წამოიტაცა ერთიან, შეიმალა, აურია,
გველის ფხიანი ალმასი მუცელში გამოურია.
—შენ ბერიკაცო, რად მომკალ, ხმალი შემომეც ვადამდი,
შენ მამა ჩემსა როსტომსა სად დაემალკი, სადამდი?
ზღვას შეხვალ, შემოგყვება ზღვას,

ხმელის ვერ მორჩები მის რისხვას.
—შე წუწკო, წუწკის შვილო, სად გაქვს როსტომ ნიშანი?
—ასწიე ლდია, მინახე, იქ არის როსტომ ნიშანი,
თოლობეს შემომავალმან ბებერმან შემხსნა ნიშანი.
არვის თვალი არ გეცესო, გრძნეულ იყოს თუ მისანი.
რომ დაგინახე, გავოცდი, არავინ გავავდა ტოლია,
მუქი შენი შემომადგა, ბროლივით თეთრი, თოვლია!
რა გაიგონა როსტომმან, თავზარ ეცა, გადირია,
წელი მოსწყდა, ველარ ადგა, ვით ნაკოდი ნადირია.
შველა სიხოვა ქვეყანასა, მოეხმარა ვერავინა,
სულ ყველას გული ეწოდა, ბევრმან ცრემლი დაადინა.
სანავო ფაშა ქემქავო, შენივის შევები დევსაო,
წამალი გამომიგზავნე, ზურაბ მეცლება ხელსაო.
დედას წიგნი მოუვიდა ზურაბისა დავთარდარი,
იკითხა და ვერ დალია, მზესა წაუვიდა ძალი,
შენ, ბრძენო, რად ვერ იცანი შენი შვილი ზურაბია,
მშვენიერი, საუცხოვო, სიცოცხლე და მურაბია!

## ანდაზები და აფორიზმები

(სამესხეთოში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ).

### ა

1. აგ კაცს კაცი ვერ ენდობა, მუდამ უნდა გეშინოდეს.
2. აგსა კაცსა აგი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.
3. აგი კაცი თავის-თავის მკვლელია.
4. აგი პაპა იყავით, აგი ჭამაც გიყავით.
5. არ გაიხარა გაუხარემანო.
6. არ გინდა, ბერო, ცხონება და ღმერთამანცა ნუ მოგცესო.
7. არ გინდოდესთ ჭირით, შეიჯგვირე ჩხირით.
8. არსიანის მთაზედა პატარძალი თამაშობდა,
   არც ცა იყო მადელირი და არცა რა ქვეყანაო.
9. არცა ვიყავ ქალი კარგი, არცა შემხვდა ქმარი კარგი.

10. არც ვჭჭამ რძესა, არც გავუწვები მზესა.
11. აქეთ მოსწყდი ყოვასა და იქით ქორწილობასა.
12. არა შეჯდა მწყერი ხესა, არ შემჯდარა გვარი მისი.
13. აქ მე ვარ და გორს ამინარით.
14. აღდგომა და ხვალათ.
15. ახლანდელი პატარძლები რწყილს დააწვენენ და აქლემს აშობინებენო.
16. აქლემის კუნტრუში აღმართში გამოჩნდებაო.

## ბ

1. ბატონს ბატონურად მოუპყარ და ყმას ყმურადაო.
2. ბებერი ბებლი კი არა მონახულიაო.
3. ბევრი უოყმანი კაცს წაახდენსო.
4. ბელოტს ჰცივა და ხახამს წვერი ჰცვივაო.
5. —ბერო, სული გიყვარს, თუ ლამაზი ქალიო?
—საქალს ქალი მიყვარს და სიქილს სულიო.
6. ბრმა რას სტირის და თავის უსინათლო თვალითაო.
7. ბევრი ვოიში ხარს უკულმა წაიყვანსო.
8. ბევრი გსდიე, ვერ მოვეწიე, დავდევ და დავუშურეო.
9. ბევრი მგელი ნაგნებს ვერ იზამსო.
10. ბუზი მკრალი კი არ არის, საძულველიაო.
11. ბოლოკის ძირი თხელი ჰჯობიაო.

## გ

1. გავიქეცი ქაჯიანი, მითხრეს და დავდევი ლაჯიანიო.
2. განცხადების თვეში ბებერმან მარწყვი მოინდომაო.
3. გაცივება, გაცხელება ორივ ერთიაო.
4. გაწოდილო ქალო, მოთრეულო კუტალო,
არც გსვამ წყალო, არც შეგირთავ ქალო!
5. გეჭირებოდეს—გელირებოდესო.
6. გვარი რას არგია კაცსა, თუ თვითან არ არის!
7. გვარიშვილობა სახელით კი არა, საქმით გამოჩნდებაო.
8. გიჟი და ტრფიალი ორივ ერთიაო.

9. გიჟი ზოგჯერ მართალსაც იტყვისო.
10. გიჟი ქორწილში შევიდა, თქვა: „ჩემს სახლს ეს სახლი ჰჯობნებიაო!"
11. გოგო-ბიჭური მოჭყრობა არის დროების ოხრობა.
12. გონიერი კაცი ქვეყნის შვენებაა და უგუნური კაცი დედამიწასაც ემძიმებაო.
13. გულ-მოსული კაცი და მთვრალი ორივ ერთიაო.
14. გული როსტომისა და ბარგი ლოკოკინისაო.
15. გული რომ გულობდეს, ქადა ორივ ხელით იჭმევაო.
16. გცემ და არ გატირებ, არც გაჭმევ და ყბასაც მოგტეხამო.
17. გველის კუდს რა გაასწორებს, ხვრელშიც კლაკვნით გააცურებსო.

## დ

1. დაბადებითი დაჭყოლია თამაზასა ტიკჭორასო,
სწორე მითხარ, გამაგონე, სხვა ნურასა მიჭორამო.
2. დაბალს რომ ტყავი მოეწონება, მიწაზედ დაახეთქამსო.
3. დაადარე მსხალი პანტას, ბროწეული ბიასაო.
4. დარჩი მუშაობდნენ და მუშები იკვეხდნენო.
5. დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, ძმანი ყველას მირჩევნია,
მაგრამ ერთი უცხოს შვილი თემ-ქვეყანას მირჩევნია.
6. დიდ სიყვარულს დიდი სიმძულვარე მოსდევსო.
7. დიაკვანს რომ ღვინო მოსწყურდება, მღვდელს მიჰკერძამს, რომ მერმე რიგი იმაზედ მოვიდესო.
8. დიდკაცს მუდამ კრძალვა უნდა.

## ე

1. ენად მრავალმან მუხლად მრავალს აჯობაო.
2. ენამ რა გიყო და თავში კაკუნიო.
3. ერთი არაობა ათას გამარჯვებას ჰჯობიაო.
4. ერთის შემხედავი—წყალში ჩამხედავიო.
5. ერთის ყვავილით გაზაფხული არ მოვაო.
6. ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს არ მოიყვანსო.
7. ერთის ჭირითგან თბილიც ამოვა და ცივიცაო.

8. ერთი ხელი ხმას არ გაიღებს, ორი ხელი კი გაატკაცებსო.
9. ეშმაკური ყოფა-ქცევა კაცს წაახდენსო.
10. ეშმაკი თუ არა ხარ, მანდ რას ეყუიხარო.
11. ეშმაკები ურთიერთს ჰმტრობენ, კაცის წასახდენლად კი ერთდე-ბიანო.

## ვ

1. ვაიმე, დედავ, დავიბადე, დავიწვი და დავიდაგეო.
2. ვარდი მოკრიფე და ეკალს ცეცხლი მიეცით.
3. ვარდი უეკლოდ არ იქმნებაო.
4. ვინცა ვისი მახარია, ესა მისი მაყარია.
5. ვისი სახლიც მაღალია, ეს იმისი მაყარია.
6. ვინც არის ნებათ ჩემი, ის არის მამა ჩემიო.
7. ვინც აიკიდა გოდორი, იმან შეჭამა კოტორი.
8. ვინც სხვასა ორმოს მოუთხრის, თვითან ის ჩავარდებაო.
9. ვისაც სახლი არ აეგო, სვეტები შიგ ამოსული ეგონაო.
10. ვისაც ჭირი უნახია, წამალიც იმას ჰკითხეთო.
11. ვდიე, ვდიე, ვერ მოვეწიე, დავდეგ და დაუყურეო.
12. ვირის მადევარი მის ტლინკსაც უნდა უძლებდესო.
13. ვირს რომ ზურგი აჰქავდება, დარბაზის კარს მიადგება.
14. ვირზედ შეჯდომა ერთი სირცხვილია და ჩამოჯდომა მეორეო.

## ზ

1. ზოგჯერ თქმა ჰჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებაო.
2. ზარმაც კაცს თავის ხელ-ფეხი ნათხოვნი ჰგონიაო.
3. ზოგს ხუცესი უყვარს, ზოგსაც ხუცის ცოლიო.
4. ზუზუნ-წუწუნი ქვრივისა და ბუზისა ორივ ერთია.
5. ზღვაც ზღვიობით დაილევაო.

## თ

1. თავ დადებული, კუდ გაბზეკილიო.
2. თავი ქვას ჰკრას ბიამან და მუცელი სამართებელსაო.
3. თვალი დაუდგეს ხუროსა, დაჯდეს და არახუნოსა.
4. თვალი ვინ მოგთხარა და სვინამა, იმისთვის ღრმად მოუთხრიაო.

5. თვალი სარკეა კაცისა, შიგ ბევრი რამ ხატიაო, ბევრს რამეს ამოიკითხამთო.
6. თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამან სამი კვერცხი დადვაო,
ორი ყინვამ გაუხეთქა, ერთი თვითან დარჩაო.
7. თოვლი მისთვის მოვა, რომ კაცს ფეხს მოსძრამსო.
8. თოხი კიკოსა, წალდი ნიკოსა, თოკი ჩემს ცოლსა, ძაღლი ჩემს სულსა (აჭარლის ანდერძი).
9. თიკას რომ ცეცხლი ეკიდებოდეს, მეც ხელს მოვითბობო.
10. თუმც ერთის ხისაგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიც, მაგრამ ორსავეს ტარი კი ერთიაო.
11. თეთრი ჩოხა, შავი ქუდი, მეგრელები ყველა ქურდი.
12. თხა თავს სტიროდა და ყასაბი ქონსაო.
13. თხას თხის ფეხებით დაჰკიდვენ და ცხვარს ცხვრითაო.

## ი

1. იმერელი ვარო, არას გარგივარო,
შევჭამ, შევსვამ, ისევ წაგივალო.
2. იმერელს სახლში ნუ შეუშვებ, სიძობას მოინდომებსო.
3. იმერელმან ქოჩორზედ ნემსი დაიკიდა, სიცივეს დაიკავებსო.
4. იმედით ცოცხლობს ყოველი კაციო.
5. იეფის ფასისა, ძაღლის წვენისაო.

## კ

1. კარგის მაძებარი ავს შეეყრებაო.
2. კარგ კაცობა კაცს არაოდეს წაახდენსო.
3. კარგის მთქმელს კარგი გამგონიც უნდაო.
4. კაცი რასაც დასთესს, ღმერთიც იმას მისცემსო.
5. კაცი სიკეთისაგან სიავეს უფრო აიტანსო.
6. კაცის აშენებული სახლი ქალმან დააქცია და ქალისა კი ვერც ეშმაკმანო.
7. კაცმან ძაღლს დასაქმა და ძაღლმაც კუდსაო.
8. კაცს თავის ბრალი ზურგზედ ჰკიდია და სხვისა კი ცხვირზედაო.

9 კაცს ზურგზედ ჰცემდნენ და იძახდა: „ვაიმე, მეცელიო“.
10. კედელს ცერცვი შეაყარე და მგელს კრავი შეაყვარეო.
11. კრავის თავს მოკელოდი და ძაღლის თავი გამომიგორდაო.

## მ

1. მამის სული გაეშვათ და პაპის სულს ჰფიცევდნენო.
2. მარხვის ჭამა დამეწამა, ნეტარ რამე შემეჭამა!
3. მარხვა ვჭამო, დოსთვინაო? ქურდობა ვქმნა ხბოსთვინაო?
4. მას წააგლიჯე, მას წააგრიხეო (იმერელს უთხრეს, ცხვარი რომ გაექცა).
5. მაღლა-მაღლა ყვირის შვილების პატრონი.
წელ-ღია დადის წისქვილის პატრონი.
სულ თავში ჯდება პურის პატრონი.
6. მეტის-მეტმან სიწმიდემან საბერძნეთი დააქციაო.
7. მირბის, მორბის გაბრიელი,
ხელთ უჭირავს კუპრიელი,
არვინ არ ჰყავს მადრიელი.
8. მე ვსვამ ღვინოსა და შენ კი თვრებიო.
9. მელას უკან ურმით არ ჰდევენო.
10. მესხი მოვიდა და მკვიდრი აჰყარაო.
11. მიხვდა ბერი ცხონებასა და მისი მღვდელი ქონებასა.
12. მიწა იყარე დიდის გორისა და ქალი ითხოვე დიდის გვარისა.
13. მკაკანა კაკაბი მახეში ჩავარდებაო.
14. მკბენარ ძაღლს პურს მიუგდებენ.
15. მკვდარმან გაა..აო.
16. მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.
17. მკვდარ ლომსა ცოცხალი ძაღლი ჰჯობიაო.
18. მოკვდა სომეხი, მოიტანა სხვა მეხი.
19. მომღერალი თავს არ იცხელებს და მობანეს რა ჰსჯისო?
20. მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახე.

## ნ

1. ნათლის დედა ენაცვალოს თავის ბატონს სვინასაო,
რომ მოუტანს ახალ-ახალს ფერ-უმარილს, ინასაო.

2. —ნათლის დედავ, მშვიდობით!—ღმერთმან მშვიდობა მოგცეს!
—ჩემი ნათლული სად არის?—აგი მოკვდა, გენაცვალე!
—ნათლი მამა სადღა არის?—ისიც მოკვდა, გენაცვალე!
—ქორწილში რადად მოსულხარ?—დამპატიჟეს, გენაცვალე!
—ჭრელი კაბა რად გაცვია?—მომიხდება, გენაცვალე!
—ხელები რად შეგიღებამს?—ნოჩნა მტკივა, გენაცვალე!
—ყვერხულში რადად ჩამბულხარ?—არ მამეშვნენ, გენაცვალე!
—ქოშებზედ რადად შემდგარხარ?—ქმარი მინდა, გენაცვალე!

3. —ნეტარ შენ, უვაგო, დარდი არა გაქვს!—როგორ არა მაქვს, თავი მელამაზება, ცოლი მეჩირქინება, გვერდით რომ მომიჯდება, გული ამომიჯდება, სიცოცხლე მიმწარდება!

4. ნორის ქალი გაიპუტა, ლორის ხორცსა არა ვჭამო,
რომ შეჭამეს, პუტპუტებდა, წვენი მაინც გეჭმიაო.

5. ნიორმან თავის სიმყრალე შვიდ წელსა შეინახაო.

6. ნიორი თუ არ გიჭამია, პირი რად გიყარსო?

7. ნიორის ნაყვა ხაშს მოუხდებაო.

8. ნუ რა გინდა ეშმაკისა, ნუც ეშმაკი და ნურცა რა ნაეშმაკარიო.

9. ნიორმან რომ პირი დაგწვასთ, მაშინვე აყროლდებითო.

## ო

1. ობოლი დიდგული რომ არ იყოს არ შეიძლებაო.

2. ობლის კვერი ხელ-ხელა ცხვა და გამოცხვაო.

3. ომიანობა რომ არ იყოს, გამარჯვებას პატივი არ ექმნებაო.

4. ომიანობა ზოგს აშენებს, ზოგს გარდაშენებს.

5. ორი საზამთრო ერთ ხელში არ დაიჭირება.

6. ორი ჯამბაზი ერთს თოკზედ ვერ ითამაშებს.

7. ორმოში დამპალი თოკით არ ჩაისვლება.

8. ორპირობა ღვთისაც საძულველია და კაცისაცა.

9. ორი ბატონის ყმა ვიყავი, ხან ერთი მცემდა, ხან მეორე.
ორავ ერთ დღეს დამეხოცნენ, ხან ერთი ვიტირე, ხან მეორე.

10. ოჯახი და ორი კაცი, თუ გასჭირდეს სამი კაცი,
თუ მეოთხე მოუმატა, ადეგი და კარში გადი.

### პ

1. პატივს ნუც მოითხოვ და ნუც დაითხოვო.
2. პატივისცემა კარგ კაცისათვის პატივია და ავ კაცისათვის პატიჟი.
3. პატარა კაცმან დიდი სიზმარი ნახაო.
4. პატარძალო პატარაო, წყალს მოიტან, სხვას არაო,
   მიჯდები კერის ძირსა და სულ გამხდარხარ მასხარაო.
5. პურად-ძვირი გულკეთილი არ იქნება.

### ჟ

1. ჟამი ჟამსა ნიადაგ იწორებაო.
2. ჟივჟავი ჩიტებისა კაცს გულს გაუწვრილებს, მერცხლების ჭიკ-ჭიკი კაცს გულს ულხენსო.
3. ჟამის ჭირი ყველას საძულველია.
4. ჟამის ჭირის შეყრა ჯობია ავის ცოლ-ქმარის შეყრასო.
5. ჟივჟავის ჟღეტა კაცსაც ემძიმება, არა თუ მარტო მტრისაო.
6. ჟინიანობა და სიმხეცე ორივ ერთია.
7. ჟინიანი კაცი წინ ვერ წავა ვერც ერთს საქმეში.

### რ

1. რათ მინდა ოქროს ლაგანი, რომ შიგ სისხლი ჩამოდიოდესა;
   რათ მინდა მე ის თავი, რომ ქვეყნის სასაცილო ვიყოვო?!
2. რაც არ მერგება, არც შემერგება.
3. რაც არ მომიხდება, არა წამიხდება რაო.
4. რაც მომიხდება, არა გამიხდება რაო.
5. რაც ჰქმნას თავალმან, წარბ ზევით ვერ წავაო.
6. რასაც იტყვის მეგრელიო, ხელი არა აქვს იმტელიო.
7. რასაცა დასთესს, იმას მომკობ.
8. რწყამს მრწყველი და ჰხედამს ღმერთიო.
9. რგვა და მყვნა ხილნარს აშენებს,
   შვილთა ზრდაც კაცსა ამშვენებს.
10. როგორც მოხვალ სვინაო, ისეც წახვალ შინაო.
11 რაც არ ექმნას მამა შენსა, ნუც შენ დახევ მარმაშებსა.

12. რეგვენმან შვილი მოჰკლა, დაჯდა თავითან დაიტირაო.
13. რწყილს ნაშტარი ჰკრეს და მეტიც არ შეეძლოვო.
14. რაღა არის ის ნათელი, რასაც ბნელი ახლავსო?

## ს

1. სანამ ჭკვიანი დაფიქრდა, ცეტმან გარდავლო მთები.
2. სახელი ჰჯობს ქონებასა და უფლება მონებასა.
3. სვინაო, შენსას ჩემი მირჩევნია და სხვისას კი შენიო.
4. სისხლი სისხლით კი არა, წყლით გაიბანებაო.
5. სიმონაო, სიმონაო, გარ კარგო და შინ მონაო.
6. სულმოკლე კაცი უჭკუოს მონახევრეაო.
7. სულგრძელი კაცი სწორე კაცური კაციაო.
8. სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო.
9. სული და ხორცი ამხანაგნი არიანო.
10. სული სიცოცხლეა და ხორცი მისი სამოსი.
11. სიცოცხლეს დაცვა უნდა და სამოსთ მალ-მალ გაახლება.
12. სამოსი უსიცოცხლოდ მკვდარია.
13. სიცოცხლე ღვთის მსახურებით დაიცვის და სამოსი გაახლებით.
14. სიშიშვლე და შიმშილი არ გაიტანება.

## ტ

1. ტლეკვია კაცი ცხრაჯერ გაცარცვეს და კერა დააკლეს რაო.
2. ტრაბახი უგვანი კაცის საქმეაო.
3. ტყვეობა ბევრით ჰჯობია ეხლანდელ ფართო თავისუფლებასაო.
4. ტყემ თქვა: „ცულმან გვდვა მუსრია, ტარი კი ჩვენგან უკრიაო".
5. ტყვილად კი არ თქმულა: „ჰჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო".
6. ტყვილის თქმასაც მოხერხება უნდაო.
7. ტყვილს ბოლომდის უნდა მიჰყვე, რომ გაჰკიცხოვო.
8. ტყვილი თავითგანვე ეშმაკის მოგონებულია და მისთვის ყველგან გასავალი აქვსო.

## უ

1. უარმით შვილი მშობელთაც ნუ გაზრდიათ.
2. უნახავმან რაც ნახა, სულ ყველა გაიკვირვაო.

3. უთავური ტირილი მკვდარს ფეხს გააქნევინებსო.
4. ურემს რომ ძალა დაადგება, ჭრიალს დაიწყებსო.
5. ურია წყალს მიჰქონდა და გზაც მისი ის იყოვო.
6. ურიის პური ჭამე და ურიის ხმალი მოიქნიეო.
7. ურიის ხმალი ჩემ კისერზედაო.
8. ურია ახლად შვილს სავაჭროდ რომ გაგზავნის იტყვის: „ღმერთო დააზარალე, რომ კვლავ თვალი გაახილოს და კარგი ადებ-მიცემა ისწავლოსო.
9. ურია ტყეში მრუდ შეშას არ მოსჭრის: აქ მე გამაწვალებს და სახლში ჩემს ცოლ-შვილსაო.
10. უშვილო კაცი ძუნწი და პურად-ძვირი რომ არ იყოს, არ შეიძლება.
11. უცნობი კაცის გულის გაერთება უჭკუობისგან არის, ან უზომო მამულის სიყვარულისაგან.
12. ურჯულომ დაიფიცა, რჯულიანმან დაიჯერაო.
13. ურჯულო პირუტყვის მიმდევარია, რომ განებიერებულ ჭამა-სმისთვის სცხოვრობს სულ.
14. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა დიდი გამოჩნდებაო.

## ფ

1. ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო.
2. ფუტკრის შრომა და ჭინჭვლისა კაცს ჭკუას ასწავლიანო.
3. ფუჭი კაკალი არც ყვავს არგია, არც კაცსაო.
4. ფური ვერ მომიწველია, ბაკი მრუდიაო.
5. ფუფუნებაში აღზრდილი უძლური იქმნება, არც თავს არგია და არც სხვასაო.

## ქ

1. ქალი მორცხვი ქვეყნის ფასი,
კაცი მორცხვი კვერცხის ფასი,
ერთი იყოს თუნდა ასი.
2. ქალსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა ნაწიბური.
3. ქალმან თქვა: „ბედი მომეც და სანაგვეზედ გადამაგდეო".
4. ქალმან ფურის წველისა ხბო კასრზედ გამოაბა, ეშმაკმან თქვა: „რომ დააქციოს, ხომ მე დამაბრალებენო".

5. ქართველ კაცს თავს ჰჭრიდენ და ტანი მშვიდობას აძლევდაო.
6. ქაჩალმან უთხრა ქოჩრიანსა: „აი შე ქაჩალოვო!"
7. ქვეყანა ბორბალია, ზოგს აქეთ აბრუნებს, ზოგს იქითაო.
8. ქორწილი ჩემის ძმისა და ალაპი პაპა ჩემისაო.
9. ქურდი და ავი შემნახი ორივ ამხანაგნი არიანო.
10. ქურდი და მისი ამხანაკი ერთ რიგად დაისჯებიანო.

## ღ

1. ღმერთი არ მოატყუებს კაცსა და არცა მოტყვილდებაო.
2. ღონე ყველა კაცსა აქვს, მაგრამ ღონესაც მოხმარება უნდაო.
3. ღორზედ და დათვზედ ღონიერი არაფერია, მაგრამ ღორობა და დათვობა მოსდევსთო.
4. ღორის ტყავს ძაღლი რას დააკლებს, რაერთიც უნდა ჰძღიძოსო.

## ყ

1. ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო.
2. ყველა მფრინველი ფრთით ფრინამს და ქალი თავის ქმრითაო.
3. ყველა მფრინველი გარედგან ჭრელია და კაცი კი შიგნითგანაო.
4. ყველა კაცი კაციაო, კახაბერი კი სხვა კაციაო.
5. ყველა კაცი ფეხს იხდიდა და კახაბერი იცვემდაო.
6. ყმათ თქვეს: „ეს მთა თუ იმ მთას ეცემა, ჩვენც ბატონისგან წყალობა რამ მოგვეცემა.
7. ყველი-პარის ყველი აგონდებოდაო.
8. ყრმანი რომ შინ მშიერნი იყვნენ, გარეთ რა უნდა ტაბლასაო?
9. ყმაწვილო, რად ჰსტირი?—გამდის და ვტირიო.
10. ყმაწვილს ხელმწიფეზედ დიდი უფლება აქვსო.
11. ყმაწვილსა და გიჟსა არა ეზრახება რაო.
12. ყურმოჭრი ყმა და ბრმა ერთ რიგად უნდა იყვნენო.
13. ყმაწვილის წელი ეკალზედ ეკიდა და კიდევ ფანცქალებდაო.
14. ყური და თვალი მისთვის არ იზრდებიან, რომ ბევრ რამეს ჰხედვენ და ესმიანო.

## შ

1. შავი გული, თეთრი კბილი შენთვის არა მშურებიაო.
2. შენი ბატონი ხიდად რომ გაგიდვას, ზედ ნუ გაივლიო.
3. შენი ბატონი შვიდ წელს ვირად რომ იყოს, ჭაჩის ნუ ეტყვიო.
4. შენ და შენი სიქაო, მოკვდე, ფეხი გაიქნიო.
5. შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ესობოდაო.
6. შიში სიკვდილისგან არ იხსნისო.

## ჩ

1. ჩიტი სჭამდა გოგრასაო, ვაი ჩემს ამ დროს მოყრასაო.
2. ჩიტი ეკალს შეეხიზნება და ტოროლა კურცხალსაო.
3. ჩიტი-გვრიტი მოფრინემდა მე ალალი მეგონაო.
4. ჩაირევს ჩაყოლა ჭკუობიაო.
5. ჩანჩალა კაცი წინ ვერ წავაო.
6. ჩქარი კაცი სიტყვასა და საქმეში ბევრგან წააგებსო.
7. ჩიჩხვინა კაცი ბევრ კურდღლებს გააქცევსო.
8. ჩემს შვილს მეზობლის ჯავრზედ ისე ძირს ვერ დავახეთქებ, რომ მეზობლის ქათამს საკვერცხე გაუსკდესო.

## ც

1. ცა მწყალობდეს, თვარემ დრუბელი ვერ რას მიზამსო.
2. ცოტავ სად ხარ და ბევრიან ვარო.
3. ცოლი მყავს და გაღმა კაცს ჰყავსო.
4. ცოლს დიდი ცომი უნდაო.
5. ცოლი მოჰპარეს ბრმასა; ვერ შეიტყო, ხელი რომ მოუსვა და აღარა ჰყავდა, მაშინ ხომ შეიტყო?
6. ცულს ტარი შიგნიდგან დაეგებაო.
7. ცუნცრუკი ამ წამს ნათქვამს იმ წამს გარდაითქვამსო.
8. ცხენი გვარით გაიქცევაო.
9. ცხენიანი ქვეითს დასცინოდაო.
10. ცხენის წინ რომ კვიცი გაიქცევა, მგელი შესჭამსო.
11. ცხენს კუდს მოედანზედ ნუ მოსჭრი, ზოგი გძელს იტყვის, ზოგი მოკლეს და დაგიმახინჯებენო.

12. ცხვარო, ვისი ხარ? და ვის კარზედაც რომ ვბღავით.
13. ცხვარიც ცხვარიაო და თუ გაანჩხლდა ცხარიაო.
14. ციხე შიგნითგან გატყდებაო.
15. ცხარი ქმარი თავის ჭურჭელს გახეთქამსო.
16. ცხარი მუშა თავის თავს შეაფშვნეტსო.
17. ცუდაობა და უსაქმურობა კაცისთვის დიდი ჭირიაო.
18. ცუდა, უსაქმური კაცი სულ მშიერი იქნებაო.
19. ცუდაობა კაცისთვის დიდი ცოდვაო.

ძ

1. ძალა ხნამს სულ აღმართისაო,—დაექადნენ ქართველები მესხებს. —ძალა თუ ხნამს აღმართისაო, ნებაც დაჰფარცხს დაღმართისაო,— უთხრეს მესხებმან და შეიბნენ. იქმნა დიდი ომი. მესხებმან გაიმარჯვეს ტრაბახებზედ. ეწოდა ადგილს ცეცხლის ჯვარი.
2. ძალად გატანებული ძაღლი ცხვარს არ არგია.
3. ძალად მიტევებული მწევარი კურდღელს ვერ დაიჭერსო.
4. ძალად ნუც რას იტყვი და ნუც სხვას ძვირს ათქმევინებო.
5. ძალას რიგზედ მოხმარება უნდაო.
6. ძაღლი სახლ-კარის მცველიაო, პოლიცია კი ქალაქისაო.
7. ძაღლის ერთგულობას არაფერი ედრებაო კაცისთვის.
8. ძაღლმან სიჩქარით ბრმა-ბრმა ლეკვები ყარაო.
9. ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება.
10. ძაღლის სამარე მგლის მუცელიაო.
11. ძაღლი გაკრიჭეს და პატრონი გამოუჩნდაო.
12. ძაღლი ქლიბს ლოკდა და სისხლი მოსდიოდა, იძახდა, მე ხომ არა, სისხლი ქლიბს მოსდისო.

წ

1. წადი-მოდი ჭკუვისაო ეშმაკივით ჰტყუვისაო.
2. წინ კლდე და უკან დიდი მეწყერიო.
3. წიწმატივით რას წიწმატობო.
4. წისქვილს ჩემი ეყაროს და ვინც რა უნდა თქვასო, ხაჭაპურები და ღვინო ხომ თავისას ჰქნავსო.
5. წუვინტლიან კაცს ავდარი მიზეზად მოჰქონდაო.

## ჭ

1. ჭირი სიდედრისა, ლხინი ზირ-იეთრისაო.
2. ჭკუა ყველა კაცსა აქვს, მაგრამ ყველა კარგად ვერ ხმარობსო.
3. ჭკუასაც მოგონება უნდაო.
4. ჭკუა საქმით გამოჩნდება.
5. ჭრელი-ჭრული გიჟის ლხინიაო.
6. ჭკვიანი ბუზი ლოს დააჯდება, ქალაქში ჩავა, უჭკუო ბუზი ჯი-
   კარსა სოფლად გაჰყვებაო.

## ხ

1. ხარს მამობიით მოიხმარებენ და ფურს დედობიითაო.
2. ხუთი თითი აქვს კაცს, ხუთივ უთანასწორო.
3. ხუთის შვილებში რაღა სიკეთეს ნახვენ მშობლები.
4. ხუცესო, ხუთ-მუცელო, ქვრივ-ოხერთა მქუცველო.
5. ხე ნაყოფისაგან იცნობის.

## ჯ

1. ჯავრის დედა ბოზია, აქეთაც წავა და იქითაცაო.
2. ჯავახია და ბრიყობსო, დიე თავისთვის იყოსო!
3. ჯარავ, ჯარავ, ბზრით,
   ლამბო, ლამბო, წუდით,
   დედამთილის საპერანგევ, ოხრად დამირჩით.
4. ჯან-ღონით ცოცხლობს კაციო.
5. ჯანი გავარდეს ჯანიაშვილსაო.

## ჰ

1. ჰკარ გარეულს, შინაური სად წაგივაო.
2. ჰავასი კაცს ბევრ რასმეს ახალისებსო.
3. ჰასან-ჰუსენ ველიასო ზროხა ერთად გვერიაო,
   მეც ვაგინე და იმათაც ჩხუბი გამოგვერიაო.

# ანდაზები და სიტყვის მასალები [1])

(სამესხეთოსა და გურიაში [2]) შეკრებილი მესხი კონსტანტინე გვარამაძის მიერ).

## ა

1. ავი მკილი დედ-მამის მაგინებელიაო.
2. ავიფურთხამ ულვაშს მეცემა, დავიფურთხამ — წვერსაო.
3. *ალაგო, ვისი ხარ?—და ვინც ზედ მადგანაო.
4. ამყოლს აჰყევ, დამყოლს დაჰყევ.
5. *ამ ყურს, იმ ყურს.
6. არაპარა, დარდუბალა.
7. არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდ რომ რეცხო ქვიშითა,
   ციხე ხარ, კოშკი მაღალი, შელესილი ხარ კირითა.
8. არა მკითხე მიამბეო, მიტყეპე და მიაგდეო.
9. *არა მკითხე მიამბეო, არტყი პანღურ მიაგდეო.
10. ავაშენებ სანთლის ერქვანს, შიგ შევაბამ უღელ მდევსა,
    ზღვას მოვხვნავ, ქვიშას დავთესავ, ხმელეთის ვინადირებ თევზსა,
    ყინულზედ ყანას გავლეწავ, მტკვარში ჩავყრი ბზესა,
    და თუ ეს იქმნეს, ჩემო მიჯნურო,
    მაშინ ვეხვევი სვინა ბატონსა [3]).
11. არა მშურს ჭირი ჭიმბურისათვის.
12. *არაფერი ბედაური შვილია (დაწუნებულზე იტყვიან).
13. არცა შენი შარი მინდა და არცა რა ხეირიო.
14. ასეთმა ფერმა დამწიხლოს, ჩემზე ჩიგჩივით იწველიდესო.
15. ასრე უნდა პატარძალი, ერხეოდეს ვერხვივითა,
    დედამთილსა ემსახუროს, მამამთილსა —ღმერთივითა,

[1]) კოსტანტინე გვარამაძის შეკრებილ ანდაზებიდან გამოვუშვით ყველა ის, რაც მის მამის ვინმე მესხის შეკრებილ ანდაზებშია და ზემოთ დაბეჭდილია. რედ.

[2]) გურიაში შეკრებილ ანდაზებს წინ ვარსკვლავები უზის.

[3]) ერთს ვაჟბატონს თავი უთხოვია ნათლი-დედისათვის და ნათლი-დედასაც ეს მაგალითი უთქომს თუ მოხდებაო, მაშინ...

მაზლ-მულებს მოეგარგაროს, შილებს[1]) მიჰყვეს ღვედივითა,
იმას ისე შეინახვენ, უგუნურის მტრედივითა.

16. *ასს კაცს ერთი ცხვარი უხაროდაო.
17. *აქეთ კურო მიდგანა, იქით სიკვტილიო.
18. აღარა შესძლება რა ჭაღარა შერთულ ბერსაო,
ხელდახელ დაითვი მოუკლავს და ემუქრება მდევსაო.
19. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია,
ვანაც კი აჩქარებულა, მას მალე დაუნანია.
20. აწყისოს ქერმა ლურჯასა.
21. ახალ-ახალი მეითოვე კაცს არად გამოადგება,
იყიდის ტყვია-წამალსა, ქელთამდის ვალში ჩაჯდება.
22. ახახულა ცაშიო, ქარი უქრის ნ..შიო.
23. აჭყვა ფეხის ხმასაო.

## ბ

1. *ბაბიდას ეუბნებოდენ და რძალს ასმენდენო.
2. ბარში ჭკუა დაუკარგია და მთაში ეძებსო.
3. ბატონო მამასახლისო, საკინძო შენი მახრისო,
რად გინდა გლახების ცოდვა, ჰხედამ, სულ სისხლის ოფლს ღვრისო,
სადაც წადგებ-წამოდგები, შენი გუთანი აურისო,
ამდენი უსამართლობა ქვეყანას წყალში ჩაჰყრისო!
4. ბებერი რომ დაბერდება ამოუჯდება კერასა,
ნატეხს პურსა რომ ვერ შესჭამს, ძითელსა დაუწყებს ცქერასა.
5. ბექვა[2]) წავა სანადიროთ, უმებს წაასხამს ყველასა,
ჯერ გააქცევს ირემსა, მერე დაუწყებს სტვენასა,
კვლავაც წავა დილა ადრე, გულში ჩაირჩენს წყენასა,
მოჰკლამს ირემსა და ხარსა, იმას მოუტანს ლელასა.
6. ბედი ხნავს, ბედი სთესს, ბედი მოიყვანს ყანასა.
7. ბევრს ნუ იჯავრებ, მალე დაბერდებიო.
8. ბერი-კაცი ბერდებოდა, ცხენს უკუღმა შეჯდებოდა.

---

[1]) შილი მაზლის ცოლია.

[2]) ბექვა—თავმოწონებული თავადიშვილი ყოფილა; ლელა მისი ცოლია.

9. ბზე თუ სხვისაა, საბძელი ხომ შენიაო! (ნაყროვანს ეტყვიან).
10. ბიამ სთქვა: „მეც ხომ ხილი ვარ, თითო და თითო უხდარი,
სიმწიფით თავსა ვერ ვიქებ, დაბადებით ვარ მაგარი.
11. ბრძანება ქონებაზე ჰკიდია.

## გ

1. გაიქეც, სადღა წახვიდე, გასავლელი ხიდე გაქვსო.
2. *გამიყვანა სამართალშიო.
3. *გაყეყილს გატეხილი სჯობიანო.
4. *გემი ისე არ დაიღუპება, რომ ერთი ფილუკაც არ დარჩესო.
5. გვარიანი ცხენი წკიპურტსაც (ან მათრახს) არ ირტყამსო.
6. გველო, მოვიდა ანკარა, თავით ფეხამდე გაგყარა.
7. გზა შორს მოიარე და სახლში მშვიდობით მიდიო.
8. გინდ ზღვას დაუხვჩივარ და გინდ ცვარსაო.
9. გინება პატრონისაო.
10. *გურიელის*) სული ნუ წაგიწყმდებაო (სიმართლეზე).

## დ

1. დაადგები სიმართლეს, გამოგიღევენ სინათლეს.
2. დაადგები სიმართლესა, თვალთ მოგაკვლენ სინათლესა.
3. დადიანმა ცხენი მომცა, გურიელმა უნაგირი,
ისე ცხენი არ მიყვარდა, რომ წითელი უნაგირი.
4. დაჭბერდი, მშვილდი ძირს დავდევ, მაღლა მთაში ძევს სადამე.
დალპება, ქერქი გასძვრება, არ მიადგება მზე სადმე.
5. დავბერდი და დავსუსურდი, წვერი შემექნა ჭაღარა,
. ბატონსა მოვძულებივარ, ცოლ-შვილს უნდივარ აღარა,
ისეც არა ვარ მოხუცი, ვერ დავაყვირო ნაღარა!
6. დავრდომილს წიხლი კი არა და შველა უნდაო.
7. *დათვმა არცა რა გაუშვა და არცა რა ჩაუშვაო.
8. დამღუპა სიმართლემაო!

*) გურიელები გურიის მთავრის ჩამომავლები არიან გურიაში; ყველას დიდი პატივი ჰქონიათ მათი, რომ იმოდენ პატივით იხსენიებდენ, რომ მათ თავს ფიცავდენ. ქ. გ.

9. დაუპატიჟებელს სტუმარს აბუჩს ეტყვიანო.
10. დედა მოკვდა შვილისთვინა, შვილი თავის-თავისთვინა.
11. დაჰკარ წაქცეულსაო!
12. დედას და მამას პატივი ეცი, რომ დღეგრძელი იყო.
13. *დედა შენი ქორს რო მიჰქონდეს, შენ ჰკაიოს ნუ შეუძახებო!
14. დიდ კაცთან შესვლა შენგნით არის და გამოსვლა იმისგნით.

## ე

1. *ელეთ-მელეთი მოსდისო.
2. ენას ძვალი არ აქვსო.
3. ენაც რომ არა გქონდეს, ყვავებიც თვალებს ამოგჩხამენო (უბედ-ზე იტყვიან).
4. ერთ ადგილას ჩხუბს შეესწარ რძალ-დედამთილის, ქალაო, რძალმა აჯობა დედამთილს, თავი კერას უხალაო.
5. ერთი აკლდა რვასო, მიემატა ცხრასო.
6. ერთი ფული გაცემული საიქიოს დაგიხვდება.
7. ერთი ფული კაცს არც ააშენებს და არც დააქცევსო.
8. ერთმა ჭიქა ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგოო.
9. ეს ზოგი კაცი რასა ჰგავს, ანუ სათქმელად რისათვინ!
რასაც იშოვნის, იპოვნის იმ ერთი შავი დღისათვინ,
არც თავის-თავზედ დახარჯავს, არც სხვისთვის, არცა ღვთისათვის,
გადაბრუნდება, მოკვდება, დარჩება ეშმაკისათვის.
10. ეს რა ვნახე საკვირველი, ყინულის კაბას კერამდენ,
ფიფქსა უდებდენ სარჩულად, ზღვასა ნემსითა წვერამდენ!
11. ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას კაცს ახჩობსო.
12. ეშმაკები ტიკებს ალბობდნენ, ღვინო არსად არ იშოვებოდაო.
13. ეძიეთ და ჰპოებთო.
14. ეძიებდით და იპოვნეთო.

## ვ

1. ვაი, დედაო, დედაო, რა დიდი ლორი კვდებაო,
—შვილო, შენ რა გენაღვლება, დიდი ჩიჩია გხვდებაო.
2. ვაი ცოცხლების ბრალი, თორემ მკვდრებს რა უჭირთო.

3. ვაჟკაცისა ნაქებია: გულმდაბლობა, სიმარდეო,
ჰქონდეს მუდამ კარგი ბაგი, სწავლა დადუას, სიმართლეო.
4. ვაჟიკაცობა კარგია, მაგრამ შალურებ გაცვდება,
პურადობა სჯობს ყველასა, განძი გაქვს, შვილსა დარჩება.
5. ვერიდებოდი ბოლოკსა, შემხვდა სოფლისა ბოლოსა.
6. ვინ გითხრა ბაირამი აჩანდურე და ნინაბი აკაკუნეო!
7. ვინც თავს მაღლა წაიღებს, ფეხსა წაიკრამს.
8. ვინც დაიმდაბლა თავი, იგი ამაღლდა.
9. ვირი კაცი აღდგომასაც კირიაო.
10. ვირმა ტლინკი გაიქნია, მეც ნახირ-ნახირაო.
11. ვირსა რქანი არ ამოსვლოდა და თავი ემუტრუკებოდაო.
12. ვირმა პალო წამოგლიჯა, ერთი პატრონს და ორი თვითონ იკრაო.
13. ვისაც ბარგი ჰკიდია, ჩამოხადეთ, მადლია.
14. ვისიც ენა ჭარტალია, მისი ყველა მართალია.
15. ვირსა მგელს შეაჭმევს მუტრუკის კვინტრიში (კუნტრუშიო).
16. ვის უნახავს, ვის მოსწრია, ვირთხას დაეჭიროს მგელი,
მწყერს მიმინო, ხოხობს ქორი, თევზს გაეგდოს მინდვრად შველი,
ტურას ვეფხი, კატას ლომი, ჭიანჭველას დათვის ბელი?!
როგორც ეს არ მოხერხდება, არცა შენა გაქვს ჩემზედ ხელი!

## ზ

1. *ზარმაცი კაცი უქმი-ძალს გახალისდებაო.
2. ზეცას დაიკრა ნაღარა, სამხრეთი აიყაროსა,
სამს სამოცდა ხუთი დღე სულ ერთ დღეს მოიყაროსა.
3. ზოგი მფრინველია, იმის ხორცსა სჭამენ, ზოგსა კი ხორცს აჭმევენ.
4. ზოგიერთი პატარძალი დაეგდება ძულივითა,
თუ გინდ რომ ხმაცა ესმოდეს, ყურს წაუგდებს მგელივითა,
საღამოს ქმარი მოუვა, კუდს მოუქნევს მელივითა,
ქმარსაც ასრე ეგონება, მქნელიაო თემივითა,
იმას სახრე მოუხდება, წაეგრიხოს წნელივითა.

## ჱ

1. ჱე-ჱე და არა-არა!

## თ

1. თავაშვებული ცხოვრება არავის არგიაო.
2. თავად არ შევალ სხვისასა, თუ შევალ ჩემი ძმისასა,
ისე შევალ და გამოვალ, როგორც ძმა იყოს დისასა.
3. *თავი ვინ მოგჭრა და კვიდრმა ძმამაო.
4. თავი მოძულებული აქვსო.
5. თავიდგან ხელი აუღიაო.
6. *თვალშიაც ვერ ჩამხედავო.
7. თვალი გულის სარკეაო.
8. თვალი უნებურიაო.
9. თვალმა რაც ჰქმნას, წარბს ზევით ვერ წავაო.
10. თათრად ვიყო, ლოცვა ბევრი აქვთ, ქრისტიანათ—მარხვა ბევრი აქვთ, ყიზილბაშათ—ბოლო ცუდი აქვთ.
11. თვალში ეკლად მიაჩნიაო.
12. თვალში ეკლად მეჩხირებაო.
13. თვალში ეკლად მესობაო.
14. თებერვალი ბერამსო, მარტი კაბას კერამსო,
აპრილი გაცხარებულა, წითელ კვერცხებს ღებავსო!
15 თავად არ იყო ძმარიო, შიგ აურიეს წყალიო.
16. *თითო გობი ლაფი ყველგან სდგასო.
17. *თითო გობი ლაფი ყველგან სდგას, მარა ჩვენსას ათგანაო.
18. თმა გძელი და ჭკუა მოკლე.
19. თუ არ გინდოდეს ჭირიო, შეიჯგვირევი ჩხირიო.
20. *თუ არ იცოდე ხერხიო, დედაშენს ტურის ფეხიო!
21. თუ შენი არა იხარჯებოდეს, ლხინს ნუ დაერიდებიო.
22. თუ ჭირისუფალი არ ტირის, მოტირალი ვისი მოვაგლახეაო?

## ი

1. ინვარში ბებერმა მარწყვი მოინდომაო.
2. იაფი ფასისაო, წვენი ძაღლისაო.

3. იმედიც კარგიაო.
4. იმერეთიდან გადმოდის საქციელი და ზრდილობა,
ათასად გვარი დაფასდა, ორი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა.
5. იმერელო, ფხიკიანო, ძაღლმა ჭლიკში გიკბინაო.
6. იმერელმა ნალი იპოვნა და სთქვა: „ღმერთო სარკინეთი ამოა-გდე, ერთი ცხენი და სამი ნალი მაკლია, რომ ცხენი გავიჩინოვო".
7. იმდენს გირტყამ, მომიხედო, ვერ მიცნაო. (ან: ერთიც ვერ დაითვალო).
8. ირემმა ირემს ბალახი აუშვირა - არც შენ გაკლია და არც მე, მაგრამ პატივის ურაათ.
9. *იქითკენ უნდა ეცადო, საითაც წყალი დგებაო.

## ქ

1. კაკაბმა სთქვა: „ერთმა ისეთმა ალალმა წამომიქროლა, რომ რაც კი სიმღერა ვიცოდი, სულ ყველა დამავიწყდაო.
2. კალთაშიაც გიზივარ და წვერსაც გაგლიჯავო.
3. კარგი ღვინის ნაძირალი, კარგი კაცის ნაცოლარიო.
4. კარგი ბატონი, კარგი ყმა გამოვა სანადიროდა,
ქორ-მეძებრები წინ უძღვის, თვალი აქვთ სადარიღოთა,
ინადირებენ მწყერ-გნოლთა, ირემს, შველს სანადიმოთა.
5. კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო.
6. *კარგი ცხენი ქერს მიიმატებს, ავი ცხენი მათრახსაო.
7. კატა მეფეს შეხედამსო.
8. კაცი ვერ შესწვდა ცხენსაო, უნაგირს უწყო ტეხაო.
9. კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,
და თუ არა ეზო იყოს, სულ თავისკენ შემოჰქონდეს.
10. კაცი გამოვა კაცობრივ, წვერი არ გაახარებსო.
თხასაც ასხია ბალანი, მაზმანი დააფასებსო.
11. კაცია და გუნებაო, როგორც ებრაგუნებაო.
12. კაცს ქეიფზე მოიყვანს ყავის დუღილი.
13. კარგი პაპა იყავით, კარგი ჭამა გიყავით.
14. კაი ბიჭის ნაყოლი ცხენი და კაი ბიჭის ნაყოლი ცოლიო.

15. კაცი თვალით არ გაისინჯება.
16. კაცი ნუ მოკვდება, თვარა, თუნდა სანახველაზე გადააგდონ.
17. კაცი რასაც აქ სიკეთეს იქს, საიქიოს დახვდება.
18. კაცი თავს რომ სიავეს უზამს, იმოდენს შვიდი ეშმაკიც ვერ უზამს.
19. კაცი კაცს შეხვდებაო.
20. კბილის ნაკრეტნით მუცელი არ გაძღებაო.
21. კედელს ცერცვი შეაყარე, დაიჭერს?
22. *კიდეც მეტყემელებოდა, კიდეც ვჭამე ტყემალიო (სთქვა ბუ-რულმა ქალმა ორსულობაში).
23. კუდით ქვას გასროლიებო.
24. კაი ცხენი გეზს არ ირტყამს და კაი ხარი შოლტსაო.

## ლ

1. ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყალში ჩავარდნააო.
2. ლამაზი ცოლი მყავს, მარა გალმა სხვასა ჰყავსო.

## მ

1. მადლს თუ შვრები, მარილიც თან მოაყარეო.
2. მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახე.
   თუ ზრდით არ შეიცვალა ,წინ უძთ მშობელთ გზა და მახე.
3. *მამიდას ეუბნებოდნენ და რძალს ასმენდნენო.
4. მამამთილო იისაო, დედამთილო ბიისაო,
   მაზლო იაგუნდისაო, შვილო ნუშის გულისაო,
   მულო, შენ ამომიგვარდი, რომ ხარ ავი გულისაო!
5. მართალის მთქმელს ადგილი არ აქვს, თქვას და გზას გაუდგეს.
6. *მარჯვე (ცქაფი) კურდღელი თავისთვისაც იშოვის ⁊ სხვისთვისაცო.
7. მაძღარს ხუცესს დიაკვანიც მაძღარი ეგონაო.
8. მგელს მგლობა გაუშვიდა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო.
9. მეგრელს სახლში ნუ შეუშვებ, თორემ კარში გამოსვლას აღარ იფიქრებსო.
10. *მეკვერცხე დედალსავით რას ბრუნამო?
11. *მე ვწუხვარ და ის კი ოდელიას იძახისო.

12. მელას რაც ესიზმრებოდა, ის აგონდებოდაო.
13. მეტის-მეტი ჭოიში ხარს უკუღმა წაიყვანსო.
14. მეტის-მეტი—რეტის-რეტი.
15. *მეტის ტანის ბანითა მკვდარს კ..ლი წაუვიდაო.
16. მზახალო, წვერი მიირთვი,—და წვენიც კარგიაო!
17. მთა და ბარი არაკის გაუსწორებიაო.
18. მთქმელი არ იქს და მქნელი არ იტყვისო.
19. მიკიტანი ბაზაზობას ვერ იქს.
20. *მომხდურს დამხდური უნდაო.
21. მოკაკანე ქათამი კვერცხს არ დასდებს.
22. მოკაკანე კაკაბი მახეში ჩავარდებაო
23. მოთმინება კარგი საქონელია.
24. მოლა ვირზედ იჯდა და ვირს ეძებდაო.
25. მტერი რომ არა გყავდეს, პირობის გატეხით მტერს ნუ გაიჩენო.
26. მქნელი იყო, კარს უკან დაიმალებიო.
27. მჭამელი და არა მქნელი.
28. მჭედელს დანა არა ჰქონდა და ქსლის მბეჭველს ხელსახოცით.
29. მჯობნის მჯობნი არ დაილევაო.

## ნ

1. ნათლიდედამ ჩაუხლა ერბო-კვერცხი სვინასაო,
   უმაწვილს უთხრა: „ქიხიაო, მწადს მივართვა ფინასაო“.
2. ნათლიდედის სილამაზე არ არგია სვინასაო,
   კაცი უნდა უყურებდეს გადებულ ხიდს წინასაო.
3. ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდება.
4. ნეტავი ათი დამკრან და ერთი მართალი მათქმევიონო.
5. ნეტა რა ვჰქნა, როგორ რა ვჰქნა, აგი დედამთილი ხარო!
   არასა ვჭამ—უჭმელი ხარ, ვსჭამ და —ასრე სვავი ხარო!
   ნელა დავალ—ზანტს მეძახი, გავიქცევი—ქაჯი ხარო!
   ძირს დავჯდები—კუტს მეძახი, გავიქცევი—ქაჯი ხარო!
   ვაი შენსა გამომცემსა, მამაძაღლი ქალი ხარო!
6. ნურც ეშმაკს ნახამ და ნურც პირჯვარს დაიწერო.

## ო

1. ობლის პატრონი ღმერთია.
2. ორივე ადონამ დაგშამათესე (გაზავებაში ურიამ ურიას უთხრა).
3. ორი კაცის გასვლა ერთ კაცზე ლაშქარია.
4. ორი კაპეიკი ჩემთვინ კარგი მწვანილიაო.
5. ორი კურდღლის მდევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო.
6. *ორმა თუ იცის, ღორმაც იცისო.

## პ

1. პეპელა სინათლეს დასდევს.
2. *პირი ღრინს არ მიშვრებაო.
3. პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რად გიყარს?! (ზოგან ასე ამ-
ბობენ: პირი რად გეწვის?).
4. პირუტყვიც სულიერია! (უწყალო ცემაზე იტყვიან).
5. პირველი ცოლი ბედია, მეორე დამონებაა,
მესამე—ვირზე შეჯდომა, მეოთხე—გაჭენებაა.
6. *პანდური კი არ მეტკინება, მეწყინებაო.
7. პირში დუმა, უკან დანა.
8. პურა-ძვირი უშვილო რომ არ იყოს, არ შეიძლება.
9. პური კლდეს*), ღვინო ბოგასა*), თევზი მე მთხოვე ტობასა*),
თუ გინდა ვაშლი წითელი—გალმა-გამოღმა წყორძასა*),
თუ გინდა ქალი ლამაზი—ან ფუღა*), ან ახტილასა*).

## ჟ

1. ჟიკჟავის ჟლეტა კაცს მოსწყინდება და არა მტრის.

## რ

1. *რა ურემიც შეშას ვერ მოიტანს, იგი ურემი შეშათ იქცესო.
2. რა ვჰქნა, აღარა მესმის რა, კაცი ვარ, მხურამს ქუდია,
გაგჰყევ მე შენ პირ-ტკბილობას, გზანი გქონია მრუდია.

*) სოფლების სახელებია.

3. რა გამოვალთ გაზაფხულსა, ხეს ფოთოლი გამოუვა,
კაცი რომ გაღარიბდება, თავში ჭკუა გამოუვა,
ზოგს ჭირად გადექცევა, ზოგს ძილიც არ მოუვა,
რა ჰქნას კარგმა მონადირემ, თუ ნიშანში არ მოუვა?
4. რა ჭირს მივცე თავი!
5. რა ციხის იმედი არ გქონდეს, დაიქცეს იგი ციხეო.
6. როსტომ სთქვა: როსტომ არა ვარ, არცა როსტომის გვარისა.
7. როსტომ სთქვა: დედაკაცისა ჭკუვა არ მექებისა (არ მეკეთებისა), ცხრა ნაწნავ ჯაჭვით დავაბა, ასწყვეტს და გაიქცევისა *).
8. რა გინახავს, ვეღარ ნახავ!
9. რაც ზეიზერ ჰსჩანს, ორი იმდენი მიწაში დაძვრებაო (გაიძვერაზე იტყვიან).
10. რაც მამა-პაპას უქნია, მეც იმას ვიქო.
11. რეგვენ კაცს თავში კი არა და თვალში აქვს ჭკუა.
12. როგორიც ალხანაო, იმნაირი ჩალხანაო.
13. როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს.
14. როცა არის, ეს თხა მგლის პურიაო.

## ს

1. სადაც გილხინდეს, იქავ გიჯობდესო.
2. სადაც ჩიტი გაიზდება, მისი ბაღდადიც იქ არის.
3. სად ერეკლე, სად თოროზაანთ თეკლე!
4. სად დაჰკრა, სად გახეთქაო!
5. სამშობლო შორსა რომ გქონდეს, თავის ქებას დიდი არაფერი უნდაო.
6. სანამ წნელი ნედლია, მოჭრა უნდაო.
7. სანამ კეცი ხურს, ცომი დააკარით.
8. სანამ უმაწვილი არ იტირებს, დედა ძუძუს არ მისცემს.
9. სანთელი თავის ძირს არ გაანათებს.

*) როსტომ დიდი გმირი ვინმე ყოფილა, რომელსაც სიძლიერით მიწაც კი უზანზარებია და ცოლის ენას კი მოუტეხია. როსტომზე ზღაპარიც არის.

კ. გ.

10. სარწმუნოებამან შენმან გაცხონოს.
11. სარწმუნოება უსაქმურად მკვდარია.
12. სვავი ძვალს გაზომავს და ისე გადაყლაპავს.
13. სვინაო, მოიჭარი და მიირთვიო.
14. სვინაო, ფოჩვი მიირთვი და წვენიც კარგიაო.
15. სიდედრს ჰყვარებიხარო!
16. სიზმარი არ გამოდგება, სინათლე სჯობს ბნელსა.
17. სიკვდილმა სთქვა: „კაცს ისე ვერ მოვკლავ. რომ მე არ დამბრალდესო“.
18. სიკეთისთვის სიავეო.
19. სიკვდილს უკან სინანული არ იქნება.
20. სიმდიდრე თუ გინდა, აჭარისკენ წადიო.
21. *სიმცრუის შერეშიო.
22. *სირცხვილ-ნამუსი წაუხდაო.
23. სირცხვილიც კარგი შეია.
24. სიტყვა ქარია!
25. სიტყვას ბანზე ნუ ისვრი!
26. სიტყვა-პასუხი წაუხდაო.
27. სიკოჭლითა რას მიწუნებით, კურდღლებზედ არ მარბენიებთ!
ჯამ-ჭურჭელს კარგად დაგირეცხ და ჯარას დაგიბზრიალებ,
შვილებსაც კარგად დაგიზრდით, სულ არას დაგიზიანებთ!
28. სიმღერას ბანი ამშვენებს, წალკოტსა ვაშლი წითელი,
ფერხულსა ქალი ლამაზი, კაბა ჩაუცვას წითელი,
ვაჟკაცსა—თოფი და ხმალი, მოემწითუროს კისერი,
მესტვირეს—კარგი ლექსები, მოწყენილთ გულის გამშლელი.
29. სიტყვის თქმასაც მისი ადგილი აქვს.
30. სიტყვის თქმაც რიგით არის.
31. სიტყვის თქმასაც თავის ზომა აქვს.
32. სიყვარული ბრმააო.
33. სული გვამში არ უდგებაო (აჩქარებულ კაცზე იტყვიან).
34. სულის სიმართლეზე თქვიო.
35. სული კბილით მეჭირაო.
36. *სული ნუ წაგიწყდება.

37. სიდატაკემ დიბა მაცვეთიაო.
38. სიყვარულმა სირცხვილი არ იცის.
39. *სიძევ, მოიჭარი და სჭამეო! (მიირთვით).
40. სომეხი და სხვა მეხიო.
41. სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო.
42. სტამბოლში ვირი კიტრადა ღირს, მაგრამ იქ წასვლას დიდი ფული სჭირიაო.
43. სულ არაობას ქალიც შვილიაო.
44. სული მწარეა.
45. სული სულს იცნობს, გული გულსა.
46. *სული ქრთის, ხორცი ქანქალებს.
47. სწავლა გონების საზრდოა და ჭკუის წარმმატებია.
48. სხვას უღლად ხარი უქადე, შენ ღმერთი მოგცემსო.
49. სხვისი ლუკმა გემრიელია.

## ტ

1. *ტაი-ტაი ტაბელასა, ვაი და ვუი გაბელასა!
2. ტირილი ცხვირზედ ჰკიდიაო! (მტირალს).
3. *ტოლიბაშო, ჩანჩალაო, ღვინო მასვი ჩქარ-ჩქარაო.
4. ტყვილი მთქმელის ნაყოფი ის არის, რომ მართალსაც აღარ დაუჯერებენო.
5. ტყუილს მოკლე ფეხები ასხია.

## უ

1. უბედოდ არა იქნება რაო.
2. უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო.
3. *უნახავმან რა ნახაო, ოჰ, რა დიდიაო!
4. ურია რომ გაღარიბდება, ძველ ვალებს მიადგება.
5. ურიის ვალი ბევრად მირჩევნია შენს ვალსო.
6. ურია ფიცავდა, ქრისტიანი არა სჯეროდაო.
7. უყურეთ დარეჯანსა, გარედ გამოდგამს ჯარასა,
შინ აკვანს შვილი უტირის, გარედგან ეტყვის ნანასა.

8. უწყლო, უპუროდ, უღვინოდ ჟამი არას დროს იწირვის,
არცა რა მერცხლის ჭანკითა არწივი არ დაიჭირვის,
თუ ღმერთი კაცსა არ მისცემს, ცუდია, რასაც იჭირვის.

## ფ

1. ფაშა ჩამოხტა ხანდოსა*).
კარგის მასპინძლისასა;
ხან მაწონს სჭამდა, ხან დოსა.
2. ფეხს საბნის დაგვარ გაშლა უნდა.
3. ფიცი შწამს, ბოლო მაკვირვებს, არ ვიცი ეს რასა ჰგავსო!
4. ფურმა იწველა, იწველა, ჰკრა წიხლი და დააქციაო.

## ქ

1. ქალის პატივი ძაღლმაც იცისო.
2. ქმარი მცემს, მაზლი მაგინებს, შვილი მილესამს დანასა,
თუ დედამთილმა შეიტყო, ის დაამაქრებს ყველასა.
3. ქართველის ჯიბე გახვრეტილია, ფული არ დადგება, წამოიძახა სომეხმა.
4. ქაშის შეშინებული დოს უბერავდა.
5. ქვა ქვას შეხვდება, თორემ კაცი კაცს, რასაკვირველია!
6. ქვა აგდო და თავი შეუშვირაო!
7. ქუდი სიცივისთვის კი არა და სირცხვილისათვის გხურამსო.

## ღ

1. ღარიბ კაცს ხეირიანი შვილი რომ ჰყავდეს, ღარიბი აღარ იქნებაო!
2. ღობე-ყორეს ედებაო.
3. ღორს მარგალიტი დაუყარე!
4. ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა ქალსა უბედსა და მძინარსა,
ის მოჰკლავს, ის დააბერებს, ის შერთავს წყალსა მდინარსა.

## ყ

1. ყასაბს თეთრი თხა მსუქანი ეგონაო.
2. *ყბას ნუ მიქცევთ!..

*) ხანდო—სოფელია.

3. უბედის პირი ვინ დალალა? და მუნჯმათ.
4. უბედის პირი ძაღლის კანით არის მოქონილი, რამდენიც იუბედოს, არ მოსწყინდება.
5. ყვავს კაკალი გააგდებინე!
6. ყვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კარგიათ.
7. ქველა ბედით არისო!
8. ყველიერში ყველი ვჭამოთ, აღდგომასა ჩიტებით,
   დედაშენსაც გაეხდება ქოჩრიანი ბიჭებით.

## შ

1. შავი მიწის მეტი კაცის თვალს არა გაძღობს რა.
2. *შარშან ჩემი შვილი ცხენს გაიჭენებდა და წროუღს კარიაზეც ვერ გადაიარსო.
3. შავი ქვა და ნაცარი ცხელით.
4. შავო ყორანო, შავ კლდესა შავი ბუმბული ბოლომდის,
   გეჭამოს წუთი სოფელი, გაგეთავებოდეს ბოლომდის.
5. შენ, მირაბ ხანო, ბაღდადო, ბოსტნიან-მწვანილიანო.
6. *შენი ენა მოლს მოსწვამსო.
7. შვიდი ჭურის ამდუღებელიაო.
8. შენი გულის პასუხს მიხედე, ის გეტყვის, თუ კი ჰკითხამო.
9. შენიჭირიმეთი შვილი არ გაიზრდებაო.
10. შენ სჭამო და შენმა სულმა ზღვასო.
11. შენ შენს ფუშრუკს მოუარიეო.

## ჩ

1. ჩავაკრამ ცეცხლსა კვერსათ და დაგაშხამამ ყველასათ.
2. ჩაწიხლე წაქცეულით
3. ჩემი ავლა-დიდებათ ჭინჭველს აეკიდებათ.
4. ჩემს ბაღში ხილს არავის მოვაწყვეტიებო.
5. ჩემი შენ გითხარ, შენა და მით გულ მოგიკალო.
6. ჩიტი წიწკნათ არა ღირდა და უკან დევნა მეტი იყო.
7. ჩიტი შემოჯდა ღობესა, იძახის ქიშმიშობასა,
   ღმერთმა დაგასწრასთ მრავალ წელს აღდგომას, ქრისტეშობასა.

## ც

1. *ცაი ფეხათ მოვაო! (დიდ წვიმაზე იტყვიან).
2. ცალ-უღელა ხარი სჯობიან სულ არაობასაო.
3. ცას არავინ შეჰბერებიაო!
4. ცოლ-ქმრის აშლა მეზობელს გაყრა ეგონაო.
5. ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა მიკრამდენ კუბოსა.
6. ცოლი შევირთო ლამაზი, ვაჰ, თუ არ შემიყვარდოსა!
   სამეზობლოდ რომ წავიდეს, ულვაშ კოკობი ნახოსა,
   მას გაუშალოს ბუმბული, მე ჩალა გამიქექოსა,
   მას შეუწვას ერბო-კვერცხი, მე მხალი მომინახოსა.
7. ცა და მიწა იქცეოდა, ტურა ქორწილს ეწეოდა.
8. ცხენიდან ჩამოსჯედ და ვირზედ შეჯედო.
9. ცხვარში მგელი ჩავარდა და ვაი ერთის პატრონსა.
10. ცხენს რო იყიდიან, კბილს გაუსინჯვენ.

## ძ

1. ძალათ ბედს ვერვინ იშოვნის.
2. ძალათ ლამაზობა არ იქნება.
3. ძაღლი დასაქმეს და ძაღლმაც მისი კუდით.
4. ძაღლი ახსენე და ჯოხი გვერდთ მოიდე.
5. *ძაღლი ხსენებაზეო! (ესე იგი მოვაო).
6. ძაღლი პატრონს ვერ იცნობს.
7. ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის.
8. ძაღლი იყეფებს და დაჩუმდებაო.
9. ძაღლი ძაღლის ტყავს დახევს?
10. ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს.
11. ძაღლისა—უეფაო!
12. ძაღლის:გან კრავი დაიბადება?
13. ძაღლისაგან კრავი ვის უნახია?
14. ძვალი პავლიასა და რბილი კიკოლასაო!
15. ძვირად უღდა სჯობს კარგისა, ზედ გამოდება სართისაო.

16. ძმა ძმის მტერი, ღმერთი ორისავეს გამამტვერი!
17. ქერამ წიწილა წაიღო და მელა ნაშოვარს სადილს გაეკიდაო.

## წ

1. *წამოტარახინებულმა ძაღლმა დაგიმადლაო!
2. წამწყმიდა წახედულობამო!
3. წასვლა სჯობს წამავალისა, არ დაყოვნება ხანისა.
4. წერას ხომ არ აუტანიხარო!
5. წითელო ვაშლო შენ გესვრი, თეთრო შენ ჩამოვარდები.
6. წითელმა ფურმა იწველა, წიხლი ჰკრა, დააქციაო!
7. წვიმა-წვიმა დაუშვი, კოჭობანში ჩაუშვი!—
   კოჭობანი ბევრია, ლობიოს გაუბერია.
8. წავალ კლდესა, თავს გარდვიგდებ ჯინჭველ ნათხარს გორაზედა,
   წავალ, თავსაც ჩამოვიხჩობ ბოსტანში მდგარ ქონდარზედა!
9. წყალი ნაყე, ნაყე, ისევ წყალიაო.
10. წყალ-წაღებული ხავსს ეკიდებოდაო.
11. წყალი ბევრს რო დადგება, აყროლდება.

## ჭ

1. ჭანდარი მაღალს იზრდება, მაგრამ ნაყოფს არ იძლევა.
2. ჭიას ფეხი არ დადგმის.
3. ჭიის მოკვლაც ცოდოაო!
4. ჭირში სულგრძელობით მოთმენა.
5. ჭკუას რომ არიგებდენ, სად იყავიო!
6. ჭკუა ხნიერებაში კი არა და თავშიაო.
7. ჭურში რასაც ჩასძახამ, იმას ამოგძახებს.

## ხ

1. ხალხი ღმერთს ეხვეწებოდა და წალდი წვერსაო.
2. ხატს სანთელს ნუ დაჰპირდები და უმაწვილს კვერსაო; თუ დაჰ-
   პირდე, კიდეც აასრულეო.
3. ხელმა ხელი დაბანა და ორთავემ პირიო.
4. ხუთ თითში რომელიც მოიჭრა, დაგეწვისო.
5. ხილი მეხილესაო.

6. ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა ზედ შეაცვივა.
7. ხელი ხელსა, გოჯი მგელსა.
8. ხილს რომ პირი ჰქონდეს, თავის-თავს შესჭამს.
9. ხილი სჭამე და ხეს ნუ ჰკითხამო.
10. ხუმრობა თავს ვერ დაიჭერს.

## ჯ

1. ჯავახელების ხილია ატოლი და ღიმია,
ისიც რომ გამოელევათ, გამოუწყდებათ ლხინია.
2. ჯავახეთს გუთანი მება, თრიალეთს მანჭუ მეჭირა,
ქართლიდან სადილს ველოდი, მეხრეებს თვალი ეჭირა.
3. ჯავახელების საათი მამალია.

## ჰ

1. ჰსჯობს სიცოცხლესა ნაძრახ'ა სიკვდილი სახელოვანი.
2. ჰა შორს წასული, ჰა შინ მოუსვლელი!
3. ჰაჩი, ვირო, არტანელო, შეშა-მკვრისა მომტანელო!

## ჵ

1. ჵა, ტბრუ, კამეჩო, რქიანო, (პატარა) ბიჭიკოს მეძახიანო!
2. ჵი, ღმერთო, რაკი შენ, გამაჩინეო,
ხელ-კლავში ძალი მომეცი, სწორს უკეთ დამარჩინეო,
ახარე ქვრივსა, ობოლსა, ბრმათ თვალი აუხილეო,
მინდორში გლეხთ, მწყემსთ და მგზავრთა ძირს ჩერო დაუჩრდილეო!

## გამოცანები

(სამესხეთოში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ).

1. აგერ გაღმა გორაზედა ღორი თავი ჰკიდიაო,
ვინ რომ იმის ხმას არ ისმენს, ჩემი ცოდვა ჰკიდიაო. (ზარი).
2. არსიანისა მთაზედ ვერძი ბრუნამს რქაზედა,
მოვუბრუნდი და შემოვკარ მუშტი კოკონა თავზედა!
(ხელ-ტარ-კვირისტავი).

3. აქ აგაგდე ისარი, ბალდადს დავკარ ფიცარი,
შენ თუ ამას გამოიცნობ, გეცოდინება ვინც არი.
(უსტარი, წერილი).

4. დედა ხისა, მამა კლდისა, შვილი კი ადამიანისა.
(მოსეს ყავარჯნით კლდითგან წყალი გამოდიოდა).

5. ელე და ელე ჩხუბობდნენ ემე ემესა კარზედა,
ელე არ მოშველებოდა, ემე მოჰკლემდა ელესა
(კლიტე, გასაღები).

6. ერთი თხა მუავდა რემაო, ზურგზედ ეკიდა ენაო,
იმისმან სიტყვა-პასუხმან ქვეყანა განაშვენაო.
(სასწორი, საწონი).

7. ერთი კვერცხი ხელთ მიჭირამს, ნახე როგორ ტკბილიაო,
ნახევარი ცივი არის, ნახევარი თბილიაო.
(ქვეყნის ბურთი).

8. ერთი უსულო მყავს რამე, მუდმისათ ფეთქამს დღე-ღამე,
ერთის ფეხითა მიზომავს, მეორე ფეხით მიწონამს.
(საათი).

9. თავი ხეში, ფსელი შენ სვი, ნეხვი შენს მკვდარს დ̃ ცოცხალსა.
(თაფლი, სანთელი).

10. თავ ხერხი, ბოლო ნამგალი, ვინძლი ამიცნა საგანი.
(მამალი ქათამი).

11. კიკნი, კიკნი კიბესაო, ზურმუხტების ციხესაო,
ზეითგან დათვი ყვიროდა, ქვეშ ბალანი ცვიოდაო.
(სავარცხელი და საჩეჩელი).

12. კლდესა ვზივარ, ვიქნევ ხელსა, მოსწი, პაპავ, შენსა მზესა,
ვამტვრევ, ვლეწამ, როგორც ბზესა.
(წისქვილი სარეკელ-საფქვავ-ჰინახულით).

13. მამა მოკუხული, დედა ლამაზი, შვილი კი გიჟი.
(ვაზი, ყურძენი და ღვინო).

14. მთვარე არს არის, ბარს არის, ჩამოხტა ნახევარს არის,
ერთი მკვდარი, ცხრა სამარე, მეფე გამოცანას არის.
(მთვარის ცვლილება).

15. მიმზიდა მხალმან მფინარმან, მიგბინა უცებ ფინამან.
(ჯინჯარი).

16. შარშანდელი მამა ჩემი წრეულს ჩემი შვილი იყო,
ჩემის ძუძუთი გაზდილი დედა ჩემის ქმარი იყო.
(დაპატიმრებულის და შიმშილით დასუსტებულის კაცისთვის გათხოვილ თავის ქალს, ყოველ-დღე ფანჯარასთან მოსულს სანახავად, ძუძუ უწოვებია და წლამდის ისე უკვებია, რომ ტანმრთელი გამოსულა. შემდეგ ქალს ეს გამოცანა უთქვამს).

17. შვიდკეცილად ჩაწყობილი, ჯილოსანი, ის ვინ, დაო?
მის მეტ სხვა ბევრს არას ვეძებ, მებატონედ ის მინდაო.
(დიდ-მარხვა და 7 საიდუმლონი).

18. ცერცვი, ცერცვი, ცერცობანი, ზედ ასხია ქერქობანი,
არც იჭმება, არც ისმება, სახმარისად კარგობანი.
(ხელი თითებ-ფრჩხილებითა).

19. ცას კოკროჭინა ჰკიდია სიგრძითა და სიგანითა,
შიდ პირთამდისინ სავსე არს, თოხლითა და თიკანითა!
(ბროწეული).

20. ციხე-კოშკის შენობასა ოთხი დგას და ერთი ურბენს.
(წინდა-პაიჭის ქსოვა წინდის ჩხირებითა).

21. წყობ-წყობისად დადიან წყობა ბარაქიანნი,
წყლის პირს ჩამოსხდებიან ციხე-ქალაქიანნი.
(წეროები და შოშიები).

22. ხარი არ არის რქები აქვს, ვირი არ არის—კურტანი,
ხორცი აქვს და ძვალი არა, ბროლისავითა აქვს ტანი.
(ლოკოკინა).

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(სამესხეთოსა და გურიაში შეკრებილი მესხი კ. გვარამაძის მიერ).

1. *ასახსნელსა მოგახსენებ, ახსნი შენი ბედია, თუ არა და წაკტი.
(წაკატი).

2. ასახსნელსა მოგახსენებ ანი, ბანი, ინითაო. (ბია).

3. აკარკნილი, დაკარკნილი, დაჰკარ კერიაზე კბილი. (ჯაჰვი).

4. ანდრაბეჩი, ბანდრაბეჩი, სულ დაჭყვირის ნაყანევჩი. (ურემი).

5. *აქეთ-იქით გვერდულაი, შვაში ამოწკვერტულაი.
(ფილი, როდინი).

6. ახაია, მახაია, თავს ახურამს კახაია,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, საბრალო და გლახაია. (ხვიმრა).

7. გარეთ ხორცი, შიგნით ტყავი. (კუპრ).

8. დაიამ დაის შეუთვალა, უშმაშური მათხუეო,
შიშტი-ბუქას შიგ შევაგდებ, სადრაქუნას ვათხუებო!
(ოგვადო)

9. დათვი უუს და უვერი უჩანს. (პარიკა, დოქი).

10. დედა მუავდა ხელი მრუდი, და კი მუავდა მზისა დარი,
ძმა ისეთი მოჭიდარი, დამცემელი ადამისა.
(ვაზი, ყურძენი და ღვინო).

11. დედამიწიდან მოსული, ჯოჯოხეთში მონათლული,
გაბანილი, გაწმენდილი, მე ვარ სოფლიერთ მეიდველი.
(ოქროს მადანი).

12. ევი ევისა, ფეხი მდევისა, ხმა ზურაბისა. (გომბიო, ბაყაყი).

13. ერთი პატარა მანანა მიცოცდება, მოცოცდება, კარს უკან ამო-
ეფარება. (ცოცხი).

14. ერთი ზის და არა სდგება. (დედამიწა).

15. ერთი დადის, არა სდგება. (მდინარე).

16. *ერთი პატარა მანანა სახლსა და კარსა გალობდა,
შავი ჩოხანი ჩაეცვა, წვივსა კი არა ფაროდა. (შაშვი).

17. ერთსა რასმეს მოგაბარებ უსულოსა, უგულოსა,
ისთე გვარათ შემინახე, რწყილმა არა უკბინოსა. (კვერცხი).

18. ერთი ხეა, რა ხეა, უმიწოდ რო გეიზრდება,
ნერჩვა, ნერგვა და შენება სულ არა-რა მოუნდება. (ირმის რქა).

19. ერთი ვნახე, ფიშტო ვნახე, ფიშტო მოჭედილი ვნახე,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს კისერ მოტეხილი ვნახე.
(ვერცხლის ქამარი).

20. ერთი წითელი მამალი მიწიდან ამოუიოდა. (ღვინო და პური).

21. ერთი პატარა მანანა გავარდა ეშმაკის სახე,
უწყოდ იჭირვენ პწყილებსა, ჩემი თვალითა ვნახე.
(ბორბალა, აბლაბუდა).

22. ერთი პატარა მანანა ქვეყანას გადასწვდება და ჭურის პირს კი ვერა.
(ფული).

23. ერთი პატარა მანანა ცეცხლა-პირს დაორსულდება.
(ჩერიე და თითისტარი).

24. *ერთი პატარა მანანა გაუხვეტელს იქით არ დაწვება.
(ლასტი და გასაცეხი გამწყვარი ღომი).

25. ერთი პატარა მანანა წავა ტყეში, ყვირის, ყვირის, მოვა სახლ-
ში დაეგდება. (ცული, ნაჯახი).

26. გზივარ შვაში, არ მაქვს ფასი, დამცქერია ყველა თვალში.
(ცეცხლი კერაზე).

27. ვინ ხარ შენ?—მე ვარ, მე: მე გარჩენ შენ, მე გაჭმევ შენ.
(დედამიწა).

28. ვიყავით ჩვენ, როგორც თქვენ, თქვენც იქნებით, როგორც ჩვენ.
(მიცვალებულები).

29. თაფლზე ტკბილი, შაქარზედ ძვირი, არც ვაჭარი მოიტანს,
არც ბაზარში გაიყიდება. (ძილი).

30. ის ვინ იყო, რომ სამ დღეს და ღამეს თევზის მუცელში ბძან-
დებოდა? (ელია).

31. ის რა იქნება, რომ ყველას უნდოდეს? (ძილი).

32. კრიჭი კრიჭინასა, მკვდარი ცოცხალს იჭირამსა. (თოფის ტყვია).

33. მთაში დათვი ღლოფინობდა, ალუჩანა უბას უქცევდა.
(წისქვილი).

34. მამაკაცი ვიყავი, დედაკაცად მაქციეს,
ჩემი რომ არ მეყოლა, სხვისი გამომაზრდიეს. (ყვერული).

35. მინამ დედამ შვილი იშოვა, შვილი ფეხმძიმეთ იყო. (კვერცხი).

36. ოთხი ძმანი ერთ ბანში ჩაიმღერიან. (ძროხის ძუძუები).

37. სვამს და არ ფსამს. (პურპელი).

38. სუსტი, სუბუქი ფრინველი წმიდათ იღებს ყელსა,
საუკუნო სახლს იკეთებს, უკან ჯდება ბნელსა. (ყაჭის პარკი).

38. ტირის, ტირის ქალაქი, არა მოქალაქენი,
ღმერთო, მიეც ზარბაზი, დააჩუმე ქალაქი. (ცხვარი).

40. უცხოთ გაზდილი უმაწვილი შორს წაიყვანა ბიძამა,
ნათესავი გამოუჩნდა, ვერ იცნა მისმა ბიძამა. (წაბლი).

41. უსულოსა, უგულოსა სამი სარტყელი აკრია. (ცოცხი).

42. უშიგნო შიგანს მიათრევს.

43. უშობელმან და ირემმა შვილი შობა მთასა ზედა,
ერთი მკვდარი, ცხრა საფლავი, რაა მეფევ, შენსა მზესა!

44. ქეზემენდი ფეხზე დგანა, ლოშფერი მიწას ვარდის,
ყველაზე დიდი ხმა მას აქვს, როდესაც ათასს ვერსზე გადის.
(პურ ღვინო. ჭამა, მასპინძლობა).

45. ყველაზე დიდი ხმა რასა აქვს, როდესაც ათასს ვერსზე გადის?
(პურ-ღვინო, ჭამა-მასპინძლობა).

46. შვიდ კეცილად ჩაწურბილი ჯილოსანი, ის ვინ, დაო?
ვინც რომ ამას გამოიცნობს, მებატონედ ის მინდაო [1]).
(სიმინდის ტარო).

47. ჩემო ძმაო, ოხობია, რაცდა მომიბარებია,
არც შესვა და არც შეჭამო, ისთე მომიბარებია! (ბია).

48. ცა და მიწა სასვენთ ჰწკალად, ვარსკვლავი ჩანს შუა სვეტად,
თათრის, ქართლის ხელის მომწყედ რომ არ დარჩეს, გახდის ბნელად.
(სანთელი).

49. წყალში როჭო ზის, როჭიკობს, მაღლა იბუდებს ერია,
კაკაბსა წიგნი მიჰქონდა, ხთისაგან მონაწერია.
(ნათლია, მირონი).

50. წყალში იძახის, იძახის, მაღლა იბუდებს ერია,
კაკაბსა წიგნი მიჰქონდა ხთისაგან მონაწერია,
რომელიც ამას გამოიცნობს, იგი სოლომონ ბრძენია. (ნათლია).

51. წითელი ცხენი მორბოდა ძუა-ფაფარ ალის ფერი,
ალის ფერი უჰრუწუნებს, ციხე მაქვს და შიგა ვხტები. (ციყვი).

52. წადი ბაზარში, ხორცი იყიდე, არც მამლის იყოს, არცა დედლისა.
(სოკო).

---

[1]) შეადარე ზემო მოყვანილ გამოცანას, გვ. 302, № 17.

# ფშაური ლექსები

(ფშავეთში შეკრებილი ვაჟა-ფშაველას მიერ).

1

ქორწილის გამხარებელო, დავწვი ეგ შენი ქალობა,
არ იცი თავისიანი, თუ კი შეატყე ფშავლობა[1]).

2

ქორწილია და მზადობა, ნეტავი მომცა მდადობა,
ეჯიბთან დავგებდებოდი, მაგრამ არა აქვ დანდობა.

3

ღმერთო, ნუ მაჭშლი ამ სახლში ლხინსა და გახარებასა,
ვაჟების ქორწილობასა, ქალების გასტუმრებასა.

4

— რად გვიწურებოდი ძოღანა, რად გვაწბილებდი დათაო (დებსო),
ვაჭმე რა ძნელად დავწუხდი, ალმე ავხედავ გზასაო,
თოვლი მოიდა ტიალი, ველარ გადმოხვალ მთასაო,
რო მოხვალ, ჩვენსა წამოდი, აგრემც დაჭმარხავ დასაო[2]).
— ა იმ მთაზედა დავკვნიტე შენი ჩაურილი თხილია,
წამუელ შარახევშია, სუ ძროხებშია ვტირია,
ნეტარ ველარა ვნახოა შენი ლამაზი პირია?[3])

5

თხამ მგლის სიკვდილი გაიგო, დაიკიკინა, გაიქცა,
—თხაო, რად გაგხარებია, განა სამგლეთი დაიქცა?!.

6

—ჩონქარავ, რასა ჭფიქრობდი, ბატარქალთან რო სწვებოდი?
—ობლობით მენანებოდა, დაუჩვევლსა გჩვევდოდი,

1) ე. ი. არ აბედენებ, ყველასთან დასწვებიო.

2) ქალის შეთვლილი.

3) პიჭის პასუხი.

ისეთ გულ მქონდი, გენაცვლე, ვითამ ჟოლ-მაყვალს ვკრეფდოდი.
—ჩვენ ტოკა[1]) გვემატებოდა, შენ რომ კუნტრუშთა სძრევდოდი.
—მაშინ თუ ვიღუპებოდი, დაუმარხავი ვრჩებოდი[2]).

7

—შენ დრო-ჟამ შარცხვეს, კოკაო, შენ ფაიტონით მგზავრობა.
ვითამ გენჯელაშვილი ხარ, შაკირცხვა ჩამომავლობა.
—ნეტარ რო არა გიჭირდეს, კაცო, რად იცი ჯავრობა.
სუ ეგრ დავალის კოკაი, მაგრამ არ უშლის მთავრობა,
თავის ფულს აძლევს კუჩერსა, შენგან არ უნდა ვალობა.

8

დაიზარდენით, ქალებო, ძუძუებ გამაიჭირეთ,
თითოჯერ ყველამ მაკოცეთ, ჩონქარა ჩამაიტირეთ.

9

ჩონქარაი ვარ ღვერათი, დავდივარ როგორც კერატი,
წაწალს დავპირდი წუღებსა, მითამ თავადა ვკერავდი.

10

არ გიყვარვარა, ქალაო, არ მოგიდისა სულ-გული?
მოდი, დამაწყვე გულზედა ტიკჭორასავით ძუძუნი!..

11

თავის პატრონი ენაცვლოს თავის თვალ-ყვითელ ციცასა,
დაძვრება მეზობლებშია, დამბალს ხაჭოსა ჰზიდავსა,
ხსნილ-მარხვა გამაგებინა, ეგემც დამაურის მიწასა,
მოდიან საჩივნელადა: „ბრიყვად ნუ ავლევ ციცასა!“
დაბამს თავის პატრონი, დააკაწრვინებს მიწასა,
ვინც მაგას წკეპლას დამიკრავს, ეგ იყოს იმის მკვდრისადა.

12

თოფმა თქვა: ჩემსა წამალსა სამ-პირად უნდა დუღილი,
შორს ვიცი კაცის სიკვდილი, დიდი ჭექა და ქუხილი.

13

შენი დაბრმობა გავიგე: ჩემ წილ ქვეყანა დაიქცა,
გული არ გამიავდება, მაინც მიყვარხარ, მაინცა.

---

[1]) კაცია. [2]) ე. ი. უშვილო იმიტომ თუ ვარო.

14

ნეტავი, ჩემო სწორაო, იმ შენის კარგა ყოფნითა,
სუ გაგვწყვეტიყო ცხვარ-ძროხა, არ გაგმაკვიყო კოპიტა [1]),
ოროლს აბეშიკს გააჩენს, აივსო ქვეყნის ცოდვითა [2]),
ორი სოფელი მოთხარა: წითრანიცა და კორკიცა,
სად არი ჯალაბაური [3]), წავიდეთ, მოვკლათ თოფითა.

15

დამასტეს ხენი აყოვდეს ძირადა ერთის ხისანი,
შესახვევნელად მამინდეს, მკლავნი თუ იყვნენ დისანი,
რად-რაით გამიწყრებოდეს თვალნი ზეითის ღთისანი,
არ დამფარვიდეს მიწანი ბარისანი და მთისანი,
ცრემლნი არ მეღირსებოდეს ქალისანი და რძლისანი [4]).

16

ამირან ჩამოტიროდა ცხენ-ოხრის ჩამოგდებული,
წინ დედა გამეეგება: რადა ხარ გაჯავრებული?
—განა ღმერთი ვარ დედაო, სუ ვიყო გალაღებული?

17

თოფმა თქვა: ჩემთა წამალთა შვიდ რიგად უნდა დუღილი,
ყაისის ბერში დამნაყონ, მემრ ნახონ ჩემი ქუხილი,
წამიღონ ჭიუხებშია, ნახონ შუნ-ჯიხვთა წუხილი.

18

ბევრ ქალ კი შავაყინტრავე თხილობა-შვინდობაჩია,
ბევრ-ბევრა დამემადრივლა: „მოგხმარდეს მშვიდობაშია,
ნეტავი შაგეხსნებოდეს, ჩავდებდი კიდობანშია!"

19

შილდის თავს ქორი ნადირობს, შილდის ბოლოზე არწივი,
ქორი უბარებს: —ჩამოვალ!—„არ ჩამოგიშვებ!"—არწივი.
ერთურთს ნუ დავალეინებთ, თავ-თავად მივცეთ ადგილი.

---

[1]) დედაკაცის სახელია.
[2]) რადგან აბეშიკსა .ჰყვარობდაო.
[3]) გვარი საყვარლისა.
[4]) ს. დამასტედან პატარაობისას ტყვედ წაყვანილი და-ძმა შეჰხვედრიან ერთმანერთს დაღისტანში, მოსწონებიათ ერთმანერთი და ბიჭს შერთვა განუძრახავს დისა; მაგრამ, როცა ლაპარაკი გაუბამთ ერთმანერთის ვინაობაზე და გამორკვეულა მათი და-ძმობა, მაშინ ბიჭს უთქვამს ეს ლექსი.

20

ქარი ჰქრის საქართვნესა, ღურბელნი ელავდიანო,
ციბალაი და თოთელი ერთურთსა ჰზგერავდიანო,
ხმლები დატეხეს ცემითა, ხანჯრებით სჩხვერავდიანო.

21

ნეტავი შენა, მთვარეო, რა ბევრს რასამა ჰხედავო,
გავხედნებ შირაქშიითა, სათიბთ ველები ჩნდებაო,
ფშავშიოთ არი ქორწილი, ტოშიოთ სადა ტევრებაო,
თამაშობს წითელ-კაბაი, რაგი არ შაუხდებაო,
მაჰრჩება თამაშობასა, წაწალს წინ გაუძღვებაო,
მივალის სახლის კარზედა, კარ მოჯრილ დაუხვდებაო,
მაიხვევს ფანჩოს ძველასა, საბძლისაკ აუძღვებაო,
მივალის საბძლის კარზედა, მამალიც აჩქამდებაო,
„ჩვენიმც ცოდვა გაქვ, მამალო, წიწაკიმც აგაჩნდებაო“.

22

ცხვარი ჰყავ ფშავლის ჩობნებსა ნაპირსა ალაზნისასა,
გადმაუცვივდენ თათრები, ფერს ვერ უცვლიან მგლისასა.
უაუიჩი შავერდაშვილი ქორსა ჰგავ მაღლის მთისასა,
ხმალ და ხმალ გადმაუფრინდა: „ჯავრსა არ შავჭამ მტრისასა,
რაად მიგიდისთ, ძაღლებო, ვალსა რად მადებთ სხვისასა?
თოფ დაჰკრეს უქშერებელსა სისხლითა ჰღებავს ქვიშასა,
ჩობნების ტირილს გაჰკვირდენ, ჭექასა ჰგავის ცისასა:
„ვინ ჩავა სათათროშია, კვალს ვინ ჩაჰყვება ცხვრისასა,
ვინ გაგვიბრუნებს ბელადსა ურჯულო თათრებისა!“

23

ქალაქში ხორველა გაჩნდა, იორზე მუსრი ძროხისა,
ან ჭირი საქონს დამილევს, ან ხორველაი ცოლ-შვილსა.

24

ერთმა პირ-ქუშმა ვაჟკაცმა ცხენ-ხეთქით ჩამაიარა:
ხელი გამიკრა გუთანსა, ზღვას გაღმა გამისრიალა,
ღმინი ქნა, კბილი გამოჩნდა, შუქმა მთა გადაიარა.

25

ჩამოტიროდა ბაყაყი, მასთრავდა ტიტველ ფაშია.
—დაჯე, მიამბე, ბაყაყო, რა ამბავია ფშავშია?

დაჯდა, დაიწყო ტირილი: „წასვლა მამერგო ჯარშია,
არცა მაქვ ტყვია-წამალი, არც საყიდელი ფასია".
—მე იმას გირჩევ, ბაყაყო, რო გადაჰფრინდე წყალშია.

26

შაირს გიამბობ, სწორებო, არაგვზე ფშაველთისასა,
მოდის, მოტირის ტიალი, გვერდს ალპობს სალის კლდისასა,
კლოვით აცხადებს არაგვი უბედობასა მთისასა,
ფშაველების დამარცხებასა, გამარჯვებასა მტრისასა.
ჩამდინარს მგზავრებს უამბობს სიკვდილსა კაის ყმისასა,
იოლადის გული გაუდნავ, ვაჰ დედას ერთაისასა!..
თოფიც დუშმანმან გასტაცა, ხანს ვერ გავიდა ცდისასა.
ვაყაცის სისხლით შაღებილს დედა დასტირის მიწასა:
იმის სახლის კარს დუშმანი ჭერებსაც უმტვრევს ხისასა.
ხევსურავ, ქისტაურელო, მაღლს შაგახვეწებ ღთისასა,
კიდეოთ დაგრჩენ მოძმენი, სისხლს აიღებენ ძმისასა.
გცხვენოდეს, ქისტაურელნო, იმედს დააგდოთ სხვისასა;
ე მაგის მოლექსებული ჩამოვალ ახუთისასა.
თოფი მაქვ ჩაშლილ-მოშლილი, ჭახრაკს უკეთებ ხისასა,
ჩარგალელი ვარ, ვინ მიცნობს, გამწყრალსა დედ-მამისასა,
ჩემი ამბავი გიამბოთ, გულს გაჰხეთქს სალის კლდისასა.

27

გამიწყდა სახსენებელი, ძველდების არე-მარეო,
ბევრი ვიღონე, ვიცონე, ველარსად დავიმალეო,
დამდევდის შავგვრემალაი: ,,ჩოხა გაიძვრე მალეო",
გავიხადე და გადუგდე:—,,მშვიდობას მაიხმარეო!"
მეათე ჩემ ჩოხა ჩადვეს, მე სუ კარგადა ვთვალეო[1]).

28

—შინ წასვლა იქნებ გეწადოს, თევდორე, რასა სწუხდები?
—მწადიან, წავალ კიდეცა, თუ იორს გადაურჩები.
—ეგებ დაგლიოს იორმა, მე დამრჩებს შენი კუფჩები!
—ჩემ კუფჩებს ვერა ხმარობენ, გოკავ, შენ ფერა ქურდები.

[1]) ყაჩაღების გაცარცული.

29

ამღაში ივანეური დღეშუვ[1]) გაჭლესავს ხმალსათ.
დედა უცხობდა საგძალსა, მამა უბანდავს ჯღანთათ,
მამიდა გამაისტუმრებს, ლამაზა დასწერს ჯვარსათ:
„წაღმ ჩაჭუევ, წმინდავ გიორგი, თავის წულს, თავის უმასათ!“
მალედავ ჩამეეწია ლაშარის ჯვარის უმათათ (ფშაველებს),
ხმლითა სცა ულარტიაულთა, ფეხით მაჭლახავს მკვდარსათ,
მასდევდა პირშიშკელაი, ცხვრებულა სჭრიდა თავსათ,
შავარდა სალუდეშია (ხატი), წელთით დაჭკეტავს კარსათ,
მივიდა ხოშარეული, შუაზე გასტეხს კარსათ.
მარცხნით კელაპტარს შაიტანს, მარჯვნით—შიშველა ხმალსათ,
მაუქნევს ივანეური, გაუქრობს კელაპტარსათ,
მაუქნევს ხოშარეული, გააგდებინებს თავსათ.
ივანეურის სახელი ნავით გავიდა ზღვასათ,
ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უსინჯვენ ფხასათ:
,,ბასრი ჭყოფილხარ, ტიალო, იმით თუ ჭკვნეტდი ძვალსათ''.

30

დათვმა თქვა ბუზანზარელმა: ,,ჭალა გამოვხარ სხლიანი,
მამპარებიუთ უმაწვილი ბატარა, მშვილდ-ისრიანი,
მე ტოტით, იმან—ისრითა დღე დავალამეთ მზიანი,
მეორე დილა გათენდა, გალთ გამოვხარ წვნიანი''.

31

დათო, თქვი, შენსა რჯულზედა, ვინ უფრო გეომებოდა?
—ვაჟკაცი შავგრემანაი ტოტ და ტოტ მეტანებოდა,
ვაჟკაცი, ქალის პირაი, გორის პირს ეფარებოდა.

32

—ჩემთან რად არ გადმაჭკდები, შილნიანავ, ტიტველაო?!
შენ კაცს კიდეც დაიბრიყვებ, თუ რო გული გიჩვენაო,
დამენაძლივე, გადმოვხდე ზეით მენა, ძირს შენაო,
ნიგზურს ხელი წამოგივლო, დადგეს ცეცხლის ჩინჩხელაო,
გავედინნეთ საკაროდა უკვენ მე და წინ შენაო,
ასეთ მკლავებ დაგიქნიო, როგორც თიხის ძირხვენაო,

[1]) დღე-გამოშვებით, ორ დღეში ერთხელ.

მოგეწიო და დაგარტყა, დაგწვას, როგორც ჯინჭველათ,
შკვენ ხალხი მოგძახოდეს: ,,სირმამ ვერა გიშველათ!''

33

—ღვთისო ვარ, იმერლიშვილი, ბატარქალაის გაზდილი;
ასე ამოვური ლექსებსა, რო თებერვალში დანძილი.
—ფოშტის ფულ ვეღარ გიშოვნავ, ხან ნაცვალ დაგდევს, ხან გზირი.
—რა უყოთ, ღვთისო გენაცვალოს, საშოვნ არ არი ადგილი:
იჭრება პეტერბურღშია, მე იქ ფულისად სად ვილი?

34

ორნივ წისქვილში დავხვდენ: ბატარქალაი-დ, ნათელი,
მაკოცე, ბატარქალათ, თუ ხარ იორზე წამსვლელი,
შემოვიგორე გულზედა, უბეში ვკარი ცალ ხელი,
თუ წახვალ, ბატარქალათ, აქავ დამრჩება ნათელი.

35

—აქათ გადმოხე, ჯაბანო, ამ თავის დედი-ძმებთანა.
—მოგივალთ, ჯაბან გენაცვალოსთ, რას-რა მიამბობთ ნეტარა?
ნეტავი მამცა პრიჭკაი, თქვენთვი ცეცხლ შამამეყარა,
თქვენდ ე ცხვირ-პირი ჩამეწვა, ჯავრ იმით ამამეყარა:
კიდევ აწვენთა ქისტონას [1]) ბადღიათ თინიბეგთანა? [2])
ლიშოზე ჩამთვიარე, დატუსვილ ბოძებ ეყარა..
—ეგ ხო ეტყვნა ჯაბანსა, ტყუილად მ — რი ეჭამა:
ერთს ხომელს ურო ექნია, მეორეს თავი ეფარა.

36

ღვთისო ვარ იმერლიშვილი, გამჭრელი, გულით მაგარი,
დავწვე პირქვა და ვიფიქრე, რო ხმალსა სჯობავ ხანჯარი,
ორივ ტიალად დამრჩალა, მომხმარე აღარსად არი,
კოშკებში [3]) მოსვლა მეღირსა, ღმერთსა ვეც სალამ-თაყვანი,
დაჭვიწყებიყო მდიდარსა გლეხობის გადანაყარი;
მთელის კოშკების ფასია ყოფჩელის გერის სახლ-კარი,—
იქითას გვერდზე ზვარი აქვ, აქათას გვერდზე ბაზარი,
დაფერილია კრასკითა, არ მიუდგება ავდარი,

---

[1]) ქალია. [2]) ვაჟია. [3]) სოფელია.

ორი ჭყავ ხელის პოერი, მესამე იმათ სარქალი;
ერთი სამოვარს შამაჭდგამს, სხვას მააქვ ჩაი-შაქარი,
სუ მუდამ გადადებული სადილად თითო ბატკანი,
საამურს სტოლზე დაბძანდა, რო ქალაქს ღურბელნატარი,
ყოფჩელის გერის პასუხი არვის გეგონოსთ მართალი,
თუ ეგრე მდიდარი იყოს, სასიმინდეს ქვეშ რად არი?
მინდორთ რო ქარად ასტუდება, შიგ შააქვ თოვნა და ქარი,
ღობე რა ნაქარს დაიჭერს, ღობეა წნელით ნაწნავი.
დაჭქროლნებს, შაიკუნჭება, რო ნაშალაის ბაწარი,
ჭილობის ძველას მაჭყიდნებს, სახურავ ალარსად არი,
საგონებელში ჩავარდა ქეთევან, ჩემ თავ-მამგვდარი[1]).

37

ქებით შავახდენ ცაშია ჯაბანსა, თავის ძმობილსა,
მინდორს ამბობენ სავსეა მაგის ცხვრითა და ძროხითა,
ასობით სამდენ იქნება, სწორად არ ვიცი, რო გითხრა,
შვიდ წყემსი ქიზიყელი ჭყავ, მომართულები ჯოხითა,
კახეთს უქებენ მამულსა, სუ მუდამ ღვინო მოდისა,
შიგ თორმეტ იმერელი ჭყავ ბარებითა და თოხითა.
ხომის ძირს დუქან გამართა, სუ მუდამ მუშტარ მოდისა,
შიგ ოროლ დახლიდარი ჭყავ, წკაპი-წკუპი დგა ჩოთქისა,
ხომს სასახლეებს უქებენ, ქარვასლეებსა სჯობისა,
ბალკომზე მიდგებ-მოდგება სირმაიანის ჩოხითა.
—მაგის სამყოფოს სახ-კარსა საბოსლო ქოხი სჯობისა,
შინ რო მიყვა სტუმარი პურსაც ვერა სჭამს ცოდვითა,
დათამაშობენ თაგვები, ფხაწი-ფხუწი დგა ხოკრისა.

38

პაპო, შე მალალაშვილო, შენს სახს თვალითა გხედავო;
ორ თაგვს რო ჩხუბად გაუხდეს, მეშველ არ მოთავსდებაო.

39

პალა ხოკაის ტყეშია თოფმა მოჭყიდნა მიწასა,
ეგ იქნებოდა გრიგოლი, ხარს მოგვიკლავდა დიდ-რქასა,

[1]) ქეთევან—„ყოფჩელის გერის“ ცოლი.

ტყავ-ხორცს დუქანში გაჰყიდის, ბოძზე მიაკრავს კირჩხსა,
სწორებ ულოცვენ სახელსა, ყველა ამბავსა ჰკითხავსა.
დიდ-გულადა ზის გრიგოლი, პაპიროზსა სწევს, სწინტავსა,
ფშავში ენაცვლოს ქალები იარაღს ვაჟკაცისასა,
ნეტარ როდის-რა მოგვივა, ამბავს იკითხვენ ყმისასა,
ან საჩიქილეს მოგვიტანს, ან ბეჭედს ვარშაკისასა.
ე მაგის მოლექსებული ზურგით ნეკერსა ჰზიდავსა,
სუ ჩაგვიკუტდა საქონი, კუდით ვაყენებ ღთისასა [1]),
წაბლიაც [2]) ეგრე გახდება, ისეთსა ვხედავ ლიშანსა.
თემურაზი მყავ ძმობილი, ეგ მაძლებინებს, მირთავსა,
თავადიშვილის ფერია, სუ საპნით ხელ-პირს იბანსა,
ახლა პაპიროზს გავმართავთ, კეთილ ცხოვრება გვიყვარსა,
სიმინდის პურსა არ ვკადრობთ, სუ ჯერზე ვხარშავთ ხინკებსა,
დავალის ტყეში, ნადირობს, დღეში თროლსა ჰზიდავსა;
ერთს დამრჩვალს ირემს მიადგა, იმასაც დაჭრილს სხვისასა,
აქა და ჩავა კახეთსა, ფშავით ამბავსა ჰზიდავსა.
ისრ ამაშურნა ჯალათნი, თვალს მარ სჯებენ ღვთისასა,
სანამდი ირმებსა ვხოცდი, კვდებოდა ჩემის დღისადა,
ცხენსაც დამაზად მიჯმევდენ, მე[illegible]კ მაწვენდენ ყინჩადა:
ეხლა არ შამამხედნებენ, როგორც გატყუსვილს ციცასა,
იწვევენ საცემნელადა ძმისწულიცა და ბიძაცა.
მტყუანს კაცს ძალიან ვშურობ, სანამეტნოდ მფიცავსა,
თავადაც ებეთაი ვარ, მაგრამ ვერ ვითმენ სხვისასა,
ფშავშიაც უხნავ დავრჩები, ჩემ მოქმედება მტრის კარსა,
რამდენიც წავა კახეთსა, ყველაიმც ეგრე იზამსა.

40

ღვთისო გენაცვლოს, ძოძიავ, მწარე ხარ, როგორც პიმპილო,
ბეწადა, გიდეც მოგერგო სოფლებში ცხენით კინკილო,
გვერდზე დახურვა ქუდისა, კარგას ქალასთან სიცილო;
დასწველე მამიდეები, შენზე ურთლ, შენზე ვიცინი,
გარყვნილს ბალღივით გაგვიხე, ძუძუს დაეწყე ზიდილო.

---

[1]) ხარია. [2]) ფურის სახელი.

41

ა იმ მთაზედა ყორნები უსხდომლად არ იშლიანო,
რა ვქნა, რო არ გამოგახედნო, თვალნი არ დაიშლიანო.

42

ჩემს მტერსამც დაუღამდება ავჭალასა და მცხეთასა:
შინაც არავინ შაუშვებს, სიცივე მაჰკლავს ბეჩაჯსა.

43

რამ შამოგთვალა, ფანდურო, ძახილი მაუწყინარი,
სხვას ყველას საქმეს შავმსწრალვარ, წყალი დადგება მდინარი.
არაფერია ქალები, მაგათ მიმყოლ კაც ვინ არი?
თოფი და ხმალი ვაჟებსა, იმას ჰყარობდენ წინანი,
ხელზე საფუხარ ჩაეცვნეს, ფეხზე დაეკრნეს რკინანი,
გაჭხედეთ, სერებს გავიდეს ჯიხვნი რქა-ჯანგებიანნი,
თან მონადირე მისდევდა ჯღანზე ფეხ-წრიაპიანი,
ესროლა, ვერას გამაჰრჩა, დაბრუნდა გულ-ჯავრიანი,
დაჯდა და ბევრი იტირა, შინ მივა თვალ-ცრემლიანი.

44

ნუ იტყვით დაგვეხნებასა, გიამბობთ ჩემის ცდისასა,
ფშავით მომწერეთ წერილი, გადმაყოლეთ ცისკარსა.
ახლა რუსეთით მე მოგწერთ ცხოვრებას სალდათისასა:
ორ მანათ ნახევარს ვიღებ ჯამაგირს მთელი წლისასა,
ლეგას ტოლომანს გვაძლევენ, ჩექმასა კამბეჩისასა,
მინდვრად ვარ გამწკრივებულნი, ვაყენებთ თოფის ლიშანსა,
გავხედავთ გრანიცაზედა მოსავალს ჩვენის მტრისასა,
მტრის მოსვლა, ჩვენი დახვედრა, ელვასა ჰგავის ცისასა,
გააქვის კაცის თავ-ფეხი ტყვიასა ზარბაზნისასა,
დაბლა გამაჰფენს პალტოსა ლამაზის აფიცრისასა,
დაიძახებენ რუსები: „სული ღმერთს, ლეში მიწასა!“
დაიცათ, იაპონლებო, არც კი ჩვენ გაცდენთ ლიშანსა,
პირდაპირ გვიდგა ჯარები, ფარებსა ჰგავის ცხვრისასა,
ერთხელ სროლაზე ოცს მოვკლავთ ვაჟკაცსა ოცის წლისასა,
ერთბაშად დაეცემიან, გააწითლებენ ქვიშასა.
დამართეს პარახოტები, წამოგვივიდენ ზღვისასა,
ვერცაით ზღვაზე წაუვლენ ჩვენის ზარბაზნის ლიშანსა,

სამოც პარახოტ ჩაუგდეთ, პირს აბრუნებდა ზღვისასა,
ცხრა სუ მთლიანად წავართვით, ამბავს იკითხვენ ტყვისასა,
გაზეთებს გზავნა დაუწყეს ჩვენთანა ზავის ქნისასა,
საყმოს ნუ დაგვიზარალებთ, ნუ ჩამოგვართმევთ მიწასა.
კაი დახვედრა სდომნია მტერს ჩვენის ხემწიფისასა!..
დღეში წყალსა ვსომთ ერთხელა, პურსა გვჭამთ თითო მისხალსა,
წინდაწინ დაგვაყენებენ ნამსახურს ხუთის წლისასა,
საჩუქარს გვაძლადებენ, ფულით გვივსებენ ქისასა,
გვერდში მამარტყეს ტყვიაი, ნამტვრევს გაიტანს ძვლისასა,
თან კი ვერ გადამიყოლა, ვერც გულს აგრილებს ყმისასა.
ხუთიით გატენილ თოფი მაქვ, ჯავრს როგორ შავჭამ მტრისასა?
ოთხი კი კარგა ვესროლე, ვუჭერდი გულის ფიცარსა,
მეხუთე დამრჩა უსროლი,—ბნელად-ღა ვხედავ ლიშანსა.
სახეს არ ვიყავ ცნობილი მე ჩემის პაპაისასა[1]),
მოიდა, ხელი ჩამავლო, ძალს მავედრებდა ღთისასა,
ხელში ეჭირა მაჟარი[2]), შუქს აყენებდა მზისასა,
მხარ-იღლივ ხმალი ეკიდა, წვერ უწვდებოდა ქვიშასა,
როგორლაც ამბავს მიამბობს ძკელებურ ჯარებისასა,
კარგა ვერ გამოვიტანე, ვიტყოდი სიმართლისასა.

45

ხან შასმა უნდა ღვინისა, ხანდახან შამღერნებაო,
ხან ომი უნდა ძლიერი, ხანდახან შასვენებაო.

46

შვილს ძმათა, მერჲეს ბიძასა მიას ვეფხვი გადმოგვეკიდა,
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი, ვეფხვს ერთიც არ მოეკიდა,
ესროლა ბერმა ბიძამა: ვეფხვი ბწკლით[3]) ჩამოეკიდა.
ნეტამც ჩვე თოფ-იარაღნი ჭალას მურყანზე[4]) დაჰკიდა,
არამც გვაქცია ქალადა, უნდაურ[5]) ქმრებიმც აგვკიდა.
ანამც გვაქცია ხუცადა, გულზე ოლრებიმც დაგვკიდა.

---

[1]) ეჩვენება. [2]) ქართული თოფი. [3]) ბრჯღალით. [4]) ხეა. [5]) რომელიც სძულს.

47

ნეტავ რად არ გამათხუებ, მამაჩემო, ღთისავარო?
განა ბატარაი-და ვარ, ქალი ოცი წლისა ვარო,—
თორო ძმა-ქმარს შავირთავ ქალ ისითა ჭკვისა ვარო.

48

ვინა ხარ? ვინ იარები, ლაღო, მაგ ლაღის ცხენითა?
შენ ჩემო დიდო იმედო, მზევ, მოფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროვო, მოსდიხარ ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო, შენთანა წოლა-ძილითა...
შენისამც ნამგლის ყანა მქნა, რო ფეხაზე შაგეჭრებოდი,
ვერცხლისამც თასად მაქცია, რო ღვინით აგევსებოდი,
დაფერილი მქნა ოქროთა, შამსმევდი—შაგერგებოდი,
ანა მქნა ვერცხლის სათითე, რო ხელზე ჩაგედებოდი,
ანამც მქნა ვარდი-ყოილი, ცხვირ-პირზე დაგეყრებოდი,
ან ვიყო მოვის პერანგი, რო გულზე დაგადნებოდი,
ან შენი ნანდაური[1] მქნა, გულს ჯვარად ჩაგეჭრებოდი,
ანამც ძმა ვიყო, მოწილე, ცოცხალს არ გაგეყრებოდი.

49

წამუელ, სურვილ გამამყვა ერთის ლამაზის ქალისა.
—გამამყევ, გადაგიყოლებ, ჯავრსა ნუ მაჭმევ მტრისასა,
ქისტეთში გადავვარდები, სახელად ვიტყვი წიქასა,
ჩავიცომ ტანისამოსსა ლეკ-ლუკა ქისტებისასა.
—მე შენავ არ მექმერები[2], ბიჭო, ნუ ამბობ ბრიყვადა:
ეგ რო გაიგოს ჩემ ქმარმა, დაგადებს თოფის ლიშანსა,
მეც ბატკანივით თავს მამჭრის, სისხლი არ უმძიმს მიწასა.
—ციხეზე მიჯაკვრვეინებ მარჯვენას შენის ქმრისასა,
ჩამოდიოდეს ნაწვეთი, ლიბოს აღნობდეს ქვისასა,
ლამაზს სასახლეს აგიგებ სუ მარმარილოს ქვისასა,
შიგ ფაჭ-აბრაშუმს გავკიდებ საჩრდილობელსა მზისასა.

---

1) წაწალი. 2) მემეტები.

# ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(ფშავეთში ჩაწერილი ვაჟა-ფშაველას მიერ).

## ა

1. ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო.
2. ადე, ნახე ჭირიო, დაჯე, ნახე ლხინიო.
3. აგი ქალი არც თავადა სჭამს, არც სხვას აჭმევსო.
4. აგს ნუ იზამ, აგისა ნუ გეშინიანო.
5. აგი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.
6. აგი კაცი აღდგომასაც აგიაო.
7. აგი არ მაკადრიანო, კარგიც არ მაღირსიანო.
8. აზამბურელი თათარი ღორის თავს მეცილებოდაო.
9. აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო.
10. აზნაური მჭადს არა სჭამს, მაჰშივდება ფეხს მაიჭამსო.
11. აზნაურები ჩადისო, ჩემი აღარა გადისო.
12. ამყოლს აჰყევ, დამყოლს დაჰყევგო.
13. აქლემის საპალნე ისე არ დაპატარავდება, ვირისა აღარ გამო-ვიდესო.
14. ახლისა ნაჩანჩალევსა ბებრისა სჯობდა ნაჯღანიო.

## ბ

1. ბალახი ნაგზაურისა, მ... აზნაურისა.
2. ბატკანი ერთი ბღაოდა, ძუძუ ათასსა ჰშიოდაო.
3. ბატონმა გულ-გულში სიმღერა თქვა და ყმები გაწყვიტა: რატომ ბანს არ მეუბნებითო?!
4. ბაღდადში ვირი კიტრად ღირდა, მოყვანა ჭირდაო.
5. ბებერო, წუწიან თვალში იმიტომ გაკოცებ, კვერი გამომიცხოვო.
6. ბებრის ხარისა რქანიც კი ეწევიანო.
7. ბედაური ცხენი მათრახს არ დაიკრავსო.
8. ბ[illegible]იყვის საგძალი მაღე შაჭამიანო.
9. ბუზურა ბევრი ბზუისო, ფუტკართან ეველა სტუისო.

## გ

1. გააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.
2. გამქცევი და მიმწევი ორივ ღმერთს ეხვეწებოდაო.
3. გველის ზმანებაში ფსლიქვი გაწყვეტილაო.
4. გველმა სთქვა: კბენა არ ვიცოდი, კაცმა მასწავლაო.
5. გიჟი თავის ნება არიო.

## დ

1. დათვი საძაღლედ გახდაო, იმისი საქმე წახდაო.
2. დედა იკითხეო, კვიცი იყიდეო.
3. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო.
4. დედაკაცის შარი—მოვარდნილი ღვარი.
5. დედის წინ მორბინალს კვიცს მგელი შაჭამსო.
6. დიდს აღმართს დიდი დაღმართიცა აქვსო.
7. დილაზე ამდგარს უმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსა.

## ე

1. ერთხელ ხო მ—ან უ—ე დიდო, მეორედ გაგიფრთხილდებიო.
2. ერთის წლის სიბერწით ძროხა არ დაიწუნებაო.
3. ეს ქათამი აქა კაკანებს, სხვაგან კვერცხსა სდებსო.
4. ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას არჩობსო.

## ვ

1. ვაჟკაცი საცა შარცხვება, იმის სამარე იქ არიო.
2. ვინც თავისთვის ავიაო, იმის სული შავიაო.
3. ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.
4. ვირი ჩარბოდა ცხენთანა, მეც ბედაური შენთანაო.
5. ვირი რო უფროსადა გყვანდეს, „აჩოობას“ ნუ ჰკადრებო.
6. ვირი მოგებაზე წავიდა, ყურებიც იქ დასხაო.
7. ვირის წიხლი რა საწყენიაო?
8. ვირმა პალო მოაძრო, ერთი სხვასა ჰკრა და ათასი თავად იკრაო.
9. ვირმა ნარი მოიტანა, დაჯდა, თითონვე დახვრიმაო.

10. ვირო, აღმართი დაღმართი, შენთვის არ არი წაღმართი.
11. ვისაც ემძახლეო, იმას ემსგავსეო.
12. ვისაც უფროსისა არ ესმისო, იმის ვენახს არ ესხმისო.
13. ვისაც თევზი უნდა, ფეხიც სველი უნდა უნდოდესო.

## ზ

1. ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან, ზოგსა კაცსა—კაცუნაო,
ზოგს დედაკაცს—დედაკაცი, ზოგსა დედაკაცუნაო.
2. ზურგ წამხდარი ცხენი ცაში კაჭკაჭსა ჰხედავსო.

## ი

1. ირემმა ირემს ბალახი აუშვირა: მართალია, არ გაკლია, მაგრამ გულს დაგედებაო.
2. იწილო-ბიწილო, ღობეს ჭვრიტილო.

## კ

1. კაი ღვინის ნაძირალი, კაი კაცის ნაცოლარიო.
2. კამეჩმა ზაქი მოგვიგო: ურქო, უკუდო, უყურო,
რა ვქნა რო არა გითხრა-რა, როდემდის უნდა გიყურო?
3. კარგისა ძვირად ყიდვა სჯობ, არ დანანება ფასისაო.
4. კარგ მთქმელს კაი გამგონეც უნდაო.
5. კარგისა ყმისა მცემელო, თავადაც გინდა ფარებაო.
6. კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო.
7. კატამ შაჭამა ძეხვიო, ამაიკვეთა ფეხიო.
8. კატის მანძილიო—საბძელიო.
9. კაცი არ ვარგა უმტერო, არც მეტად მტერ-მორეულიო.
10. კვიცი ჯიშზე ხტისო.
11. კიდევ მიდგება ქაჩალი მექუდის კარზედაო.
12. კოჭლმა მწევარმა რო კურდღელი მოგიბრუნოს, დაჭერაში ჩაუვარდებაო.
13. კუს ბაკანი შამაამტვრიეს, ჭირადაც ეყოფა, ლხინადაცაო.

### მ

1. „მამა მოგიკლა სიმშილმაო!“—მქონდა და არ ვაჭმიეო?
2. მგელი რო დაბერდა, თხამ ყურში ჩ—აო.
3. მე რო გაქცეული კურდღელი მინახავს, ღმერთმა იმის ხორცი მე ნუ მაჭამოსო.
4. მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.
5. მელამ თავისი კუდი მოწმად მოიყვანაო.
6. მიწამც მაყრია დიდის გორისაო.
7. მკამჳავს უკანიდან უნდა მოვლა, მწიხლავს წინადანაო.
8. მოიდა სომეხიო, მაიტანა სხვა მეხიო.
9. მოყვრის ინაბარას ფართოდ ლოგინს ნუ დააგებო.
10. მტერი რო არა გყვანდეს, ძმას გაეყარე, მტერი გაგიჩნდებაო.
11. მტყუანს რა ხეირი აქვსო?—ისა, რომ მართალსაც აღარ დაუჯერებენო.
12. მუნჯის ენა მუნჯის დედამ იცისო.
13. მუქთი სვი და მუქთი ჭამე—მახტი ბიჭო, ითამაშეო.
14. მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.
15. მძიმეს ხელი იცნობს, მსუქანს ყელიო.

### ნ

1. ნაბოზარს დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო.
2. ნათლიავ, შენსა ჩემი მირჩევნია, სხვისას შენიო.
3. ნაჩუქარს ცხენს კბილი არ ესინჯვისო.
4. ნემსისა და აქლემის ქურდი ორივ ერთიაო.
5. ნემს-მახათს მჯიღით (მუჭით) არ ეცემაო.
6. ნუ გასწირავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო.
7. ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.

### ო

1. ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ როცა გამოცხვა, კარგად გამოცხვაო.
2. ომი სჯობ შაგნებულთანა, შაუგნებელთან ნადიმსაო.

## პ

1. პანდური განა მეტკინება, მეწყინებაო.
2. პატარძალს დიდით აშინებდენო.
3. პურად-ძვირ მასპინძელს მარილი მეტი ეხარჯებოდაო.

## რ

1. რამდენიც დედას გაჰკვარდა, იმდენი ნახირში შავარდაო.
2. როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო.
3. როგორიც მღვდელი, ისეთი ერიო.
4. როგორც დამიკრავ ფანდურსა, ისე მე დაგიროკდებიო.
5. რძალი დედამთილს ჩიქილის ტოტით ჩაჰხვიანო.

## ს

1. სამოთხეში არ მიშვებენ და ჯოჯოხეთში ხელს მიქნევენო.
2. საქონელი თუ პატრონს არა ჰგავ, არაშიაო.
3. საყდრის კარი რო ღია იყოს, ძაღლს ნამუსი უნდა ჰქონდესო.
4. საცა ქორი ბუდობს, იქ ტრედს რა უხარიანო?!
5. საცა ბოლი მაღალიო, მეც იმ სახლის მაყარიო.
6. საცა წახვიდე, ქუდი იქაურად დაიხურეო.
7. სახლი გედგეს ფანჩატიო, შიგ რამ გედვას ფარსაგიო (გამოსადეგიო).
8. სახარე ხბოს სასკორეში შაეტყობაო.
9. სიბერე როსტომსაც კი მოჰრევიაო.
10. სირცხვილი მოგადგა, სიკვდილი განატრაო,
11. სნეულის ჯავრი მანამდენვე ამაიყარე, მინამ ლოგინშია წევსო.
12. სოფელში დაიარება პატარა მატუუარაო,
    ორჯელ რო მე დაგპატიჟო, ერთხელ შენ რატომ არაო?
13. სოფელი ვნახე უძაღლო, უჯოხომ გავიარეო.
14. სოფელი ვინ და ერთი კაციო.
15. სხვა სხვის საქმეში ბრძენიაო.
16. სხვისა ჭირი—ღობეს ჩხირიო.

## ტ

1. ტრედს სიმშვიდით ნისკარტი მოაჭრიანო.

## უ

1. უნიფხოს ცხრა ნიფხავი ეზმანებოდაო.
2. ურიას ღორის ხორცი სძულდა, მიუტანეს და წინ დაუდვესო [1]).
3. უხეირო ვაჭაროვო, შენი შენვე გაჭამოვო.

## ფ

1. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.
2. ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს წიხლი ჰკრა და დაღვარაო.

## ქ

1. ქათამი რო წყალს დაჰლევს, ღმერთს შაჰხედნებსო.
2. ქალს ხატობაში ნუ ჰზვერავ: ტანთ ნათხოვარი აცვია.
   ქალი თუ გინდა ლამაზი, დაჰკვლიე ქერის მკაშია.
3. ქამარს რო გხდიან, ჩოხასა გხდიანო.
4. ქაჩალი სავარცხლის გაძვირებასა ჩიოდაო.
5. ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო.
6. ქოთანი დაგორდა, სარქველი მოხელაო.
7. ქრისტე ღმერთი თუ გუთნის დედა მექნება, გუთანი არ მომეშლებაო.
8. ქრისტე ღმერთი ჭკვით იცნესო.
9. ქუდი მრუდია ციბალთი, შუშპარი—შვენიერიო,
   რაცა აქვ, ტანზე აკრია, შინ სახლი ცარიელიო.
10. ქურდს რო ური უგდო, დღეში ცხრაჯერ გატუდებაო.
11. ქურდს რა უნდა?—ბნელი ღამეო.

## ღ

1. ღორის თავი ხალიჩაზე დადვეს, იგორავა, იგორავა და ლაფში ჩავარდაო.

---

[1]) ქართლში იტყვიან: ვირს პიტნა სძულდა და მიუტანეს და ცხვირ-წინ დაუდესო.

## ყ

1. ყარყუმი რა მოკლა და თავის ენამაო.
2. უბედი რამ მოღალა და მუნჯმაო.
3. ყვავსაც თავის ბახალა მოსწონსო.
4. ყვავს ბახალა მოუკვდა, ბუს მიუგდო: დიდი თავი გაქვ, შენ იტირეო.
5. ყველა წყალში რო ჩაათვურიხო, რომელი-ღა უნდა დაჭლიოო?
6. ყველამ სხვისა ჭამა, ქურდმა თავისიო.

## შ

1. შამეყარა ხატუაო, კატუე და მატუაო.
2. შააქიან დებილაი (ძროხა), შააჭმივიან—მგელიაო.
3. შინ რო ბადლებს გიშიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო.
4. შურმა დაღუპა ქვეყანა, ძახილმა ააშენაო.

## ც

1. ცარიელი ტომარა ფეხზე არ დადგებაო.
2. ციხე შიგნითაითა ტუდებაო.
3. ცუნცრუკა ცხენი მანძილს ვერ გაივლისო.
4. ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირს დაუშინესო.
5. ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა ცხარიაო.

## ძ

1. ძალა აღმართსა ჰხნავსო.
2. ძალად გამღერებენ ჭალას ვარდათაო.
3. ძალი რო მოვიდა, სამართალი უკანა კარებიდან გაიპარაო.
4. ძაღლი სამჭედლოდან რას გაიტანსო?
5. ძაღლი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო[1]).
6. ძაღლი საცა სალათავსა ჰსვლეპსო, იქვე ჰყეფსო.
7. ძაღლს პატრონ დახედულადა სცემდენო.

---

[1]) ქართლში იტყვიან: გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო.

## წ

1. წავალ-წავალა სტუმარი სახლისა ამამგდებიაო.
2. წამწუმიდა წახედულობამაო.

## ჭ

1. ჭამა ქონაზედა ჭკიდიაო.
2. ჭამამ ვერ გამაძღო, ლოკა რას გამაძღებდაო.

## ხ

1. ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.
2. ხარმა ხარი წაჩხვერა—თივაზე მიაგდოო.
3. ხევსურს შინ არ უშვებდენ, ფარ-ხმალი ზემო თავში დამიკიდეთო.
4. ხმალსა არ უშლის სიმოკლე, ფეხი წინ წადგი, დასწვდებაო.

## ჯ

1. ჯერ არ იყო ძმარიო, ზედ დაასხეს წყალიო.
2. ჯერ თაო და თაო, მერე ცოლო და შვილოო.

# თუშურს ლექსებში ნახმარის სიტყვების განმარტება.

(ფრჩხილებში აგნაირად არიან შემოკლებულნი სიტყვები: **სფ.**=სოფელი, **ს.**=სახელი ადამიანისა. **გვ.**=გვარი, **ადგ.**=ადგილი. **მ**=მთა, **მდ.**=მდინარე, **თ.**=თემი, **ქ.**=ქალაქი).

**აბალო** (ს.) 10.
**აბანოს ხორხი** (ადგ.) 52.
**აბული** (ს.) 10. 59.
**აბუჩი** 18, უმაქნისი.
**აბჯარი** 52. 53. 54. 68. 70. 72. საომარი იარაღი და საცმელი.
**აგება** 7. აშენება.
**აგეურთა** (სფ.). 69. 76.
**ალაზანი** (მდ.) 37. 75. ჯირიქიის ალაზანი (მდინარეა).
**ალვანი** (სფ.) 30. 74. 81. 84. 85.
**ალვი** 78. ალვის ხე.
**ალთვა** 30. 53. 75. ჭრა.
**ალია** (ს.) 82.
**ალისგორი** (ადგ.) 81.
**ალო** (ს.) 38.
**ალუდა** (ს.) 10. 38.
**ალუდაური** (გვ.) 12.
**ანდერაზ** (ს.) 43.
**ანთა** (ს.) 19. 37. 43. 46.
**ანწუხი** (მხარე ლეკეთში) 45. 68.
**არას** 24. არა.
**არამი** 51. ტყუილი, უწესო, ურიგო.
**არდაზიანი** (გვ.) 48.
**არმება** 51 ტყუილად, უწესოდ, ურიგოდ ჩათვლა.
**არჭალო** (სფ.) 46.
**ასახო** (სფ.) 79.
**აუ** (ს.) 10.
**აუგი** 59. 75. ცუდი საქმე, საძრახი საქმე, ძრახვა.
**აფორა** (სფ.) 48.
**აქვერი** (სფ.) 67.
**აქვარი** (სფ.) 8. 41.
**აქორელი** (მ.) 36.
**აქორო** (სფ.) 36.
**ალლარი** 32. თათრის წარჩინებულის წოდების კაცი.
**აშურება** 26. შეძულება.
**აჭვა** (სფ.) 10.
**ახალი** 75. ახალგაზრდა.
**ახვა** (სფ.) 35. 80.
**ახმატი** 84. თათარი.
**ახმეტა** (სფ.) 30.

**ბაბო** (ს.) 57. 83.
**ბაგე** 32. ტუჩი
**ბაგვაზი** (სვ.) 64.
**ბათირი** (ს.) 40.
**ბათიროელი** (გვ.) 40.
**ბაკური** (ს.) 45. 50.
**ბალთა** 74. ქამრის მორთულობა.
**ბარგ-ბანდი** 57. ბარგი-ბარხანა.
**ბაჩო** (ს.) 68.
**ბაშტი** 10. 43. ბოსელი.
**ბაწარაული** (გვ.) 38.
**ბახტრიონი** (სვ.) 30. 31. 54.
**ბერდი** (ს.) 57. 58.
**ბერი** 11. 15. მოხუცი.
**ბერო** (ს.) 38. 62. 72.
**ბელელი** 67. საზამთრო სახლი.
**ბეჩავი** 5. 16. 33. 72. 92. უბედური.
**ბინდობა** 72. მკრთალი სიბნელე.
**ბიქიურთა** (სვ.) 37.
**ბიჰეხი** (სვ.) 61.
**ბნელეთი** 16. ბნელი ადგილი.
**ბოროტი** 88. დარდი.
**ბოროტიანი** 96. დარდიანი.
**ბოსელთა** (სვ.) 66.
**ბორბალო** (მ.) 35. 81.
**ბორტვი** 22. 23. 47. ბელტი
**ბოჰორნა** ანუ **ბოჰორმა** (სვ.) 33 60. [სამრეკლოისა.
**ბრალი** 16. 58. 71. 74. 92. შე-
**ბუსურბანი** 7. 54. 74. 83. მუ-
**ბუჩაი** (ს.) 77. [სულმანი.
**ბწალი** 33. ბრწყალი (?).

**გაბლერტვა** 35. დაბერტყვა, გაცვივნება.
**გაბუსურბნება** 70. გამუსულმანე-
**გაგერშვა** 77. გაწვრთნა. [ბა.
**გადაკვალვა** 47. გადასვლა.
**გადახდურება** 20. გადადება, გადაყვანა.
**გადენა** 88. გარეკვა.
**გათვლა** 14. მოხსენება.
**გალაღება** 29. 39. 57. 74. განებივრება, გაკადნიერება, უდარდელად ყოფნა.
**გალო** 30. ძვალი. [ბა.
**გამართვა** 16. წასვენება, გაკეთე-
**გამოლიშვნა** 50. 59. დამიზნება.
**გამოსვლა** 69. მოტიტვლება.
**გამოხმელება** 64. 65. აშრობა, გამოდარება.
**გამოჯარება** 7. გამოკეტვა.
**გამრიგე** 92. რიგის დამჭერი.
**განა** (ს.) 16. 55.
**განჯა** (ქ.) 12. 75.
**გარაი** (ს.) 59.
**გაქეჩვა** 74. წინ წაყრა.
**გაცდევინება** 23. გამოცდევინება.
**გაცვედა** 7. გაცუდება, წახდენა.
**გახნა** 43. გაღება, გახსნა.
**გაფრინდაული** (გვ.) 31. 56.
**გემი** 12. გემო.
**გიგა** (ს.) 57. 74.
**გიგი** (ს.) 26. 27. 75.
**გიგოლე** (ს.) 73.
**გიო** (ს.) 50. 61. 69. 83.

**გირევი** (სვ.) 10. 33. 37. 38. 43.
**გიჩალ** (ს.) 38. 71.
**გოგი** (ს.) 75.
**გოგნელი** (ს.) 58.
**გომართ** (ჯვ.) 50. 58.
**გომეწარი** (ადგ.) 22. 27. 46. 53.
**გომეწრის უბე** (ადგ.) 37. 48. 73.
**გოგლურთის ჩრდილი** (ადგ.)
**გორგა** (ს.) 45. [55.
**გორდა** 84. ერთგვარი ხმლის.
**გომბორი** (მ.) 5.
**გოშპარა** (ს.) 73.
**გოხი** 30. სალესავი ქვა.
**გოხ-გავლებული** 30. გალესილი.
**გრემი** (სვ.) 43.
**გრძელი ყანა** (ადგ.) 33. 37.
**გუგო** (ს.) 69. [52. 53.
**გუგუმი** 22. ლითონის სხვილი
**გუდანთი** (მ.) 23. [მძივი.
**გუთნის თავი** (მ.) 18.
**გულდიდი** 24. უშიშარი.
**გულვა** 61. განძრახვა.
**გულუხვ** (ს.) 69.
**გულხადარა** 74. ლეკი.

**დაბალითება** 32. მოტყუება.
**დაბორიელება** 74. შეგუება.
**დაბუება** 79. მოთქმით ტირილი.
**დაბღერტვა** 21. 47. 54. დაბერტყვა. **მთის დაბღერტვა** მთის დავლა, შემოვლა.
**დაგლოვანა** (ადგ.) 22.
**დაგულვა** 43. დაკეტვა.
**დადენა** 88. სიარული.
**დაელვება** 37. 38. ბრიალი.
**დავლათი** 71. იღბალი.
**დავლობა** 54. დავლის შოვნა.
**დათოფვა** 36. თოფით დახვრეტა.
**დაკრეფა** 48. დალუპვა.
**დალა** 92. ღმერთი (ჩაჩნურად დალ — ღმერთი).
**დალალებული** 9. თავისუფლად მიშვებული.
**დალახვა** 17. 54. 73. გადავლა.
**დალევა** 27. 63. 68. 71. 74. 79. გაათავებს, დალუპავს.
**დალიშვნა** 8. დანიშვნა.
**დამრჩალი** 50. დარჩენილი.
**დამშვრალი** 23. დამაშვრალი, და-
**დანო** (სვ.) 10. [ღლილი.
**დაო** (ს.) 61.
**დარევა** 54. **ხელის დარევა** —
**დართლო** (სვ.) 10. [ჯობნება.
**დარქიზან** (ს.) 48.
**დარჩევა** 71. მორევა.
**დატანა** 38. დასწრება.
**დატყვრემა** 42. დამტვრევა.
**დალონება** 7. დარდობს, ზრუნვა.
**დაყუდვა** 39. დადგმა, დაყენება, დასვენება.
**დაშნა** 22. სწორი ხმალი.
**დაშაირება** 46. შაირში მოხსენება.
**დევდარი** (ს.) 37. 43.
**დენგა** (ს.) 48. 60. 62.
**დიაცი** 16. 21. დედაკაცი, ცოლი.
**დიდგვერდი** (ადგ.) 49. 57. 73.

**დიდო** 50. 59. 60 62. 71. დი-
დოელი.
**დიკლო** (სვ.) 10. 33. 60. 61.
63. 72. 79.
**დილბანდი** 10. მთენე.
**დიჩინი** 10. ჩაჩანი.
**დოვლათიანი** 22. იღბლიანი.
**დოჰოელი** (ს.) 7.
**დურუჯი** (მდ.) 45.
**დუყა** 9. მხდალი.

**ევქაჯი** 11. ეშმაკი.
**ელანი** (ს.) 62.
**ელვა** 36. პრიალი.
**ელი** 30. 31. ერი·
**ემაით** 67. მანდედგან.
**ემანდით** 37. ემანდედგან.
**ერთკვადი** 69. ერთმანერთი.
**ეტლი** 16. მნათობი, ვარსკვლავი.
**ვადა** 69. 71. ჯვარედინი ტარი.
**ვადაიჟი** (მ.) 69.
**ვაზუზი** (ს.) 22.
**ვაკისძირი** (სვ.)
**ვანო** (ს.) 73.
**ვებუ** (ადგ.) 65. 79.
**ველი** 18. 68. 69. 70. 75. **ვე-
ლად გასვლა**—დაშქრად წა-
სვლა.
**ველობა** 7. 40. 68. დაშქრობა.
**ვერას** 7. ვერ.
**ვერხოვანი** (სვ.) 22. 77.
**ვეფთარი** 29. 49. ჩაჩქანი.
**ველარავ** 17. ველარ.

**ზალი** 92. რძალი.
**ზალტა** 7. საზოგადოდ სალტე;
კერძოდ მკლავზე გასაკეთებე-
**ზაობა** 10. ზავი. [ლი სალტე.
**ზეზვა** (ს.) 31. 44. 56.
**ზიდონა** (ს.) 71.
**ზილიჩა** იხ. **ძილიჩა** 75.
**ზმა** 38. ქმნა.
**ზობაი** (ს.) 72.
**ზჯობინობა** 9. ჯობინობს.

**თადიაური** (გვ.) 10.
**თავგამოღებული** 92. გამორჩენი-
**თავთავად** 75 ცალ-ცალკე. [ლი.
**თავითფერული** 30. ერთგვარი
**თათარა** (ს.) 72. [ხმალის.
**თარეში** 14. 40. 57. 75. იერი-
ში, თავდასხმა.
**თევდორე** 11. წმინდანია.
**თეთრი** 92. ყველი, ხაჭო.
**თელისი** (მდ.) 75.
**თეფე** 74. პატარა გორაკი მინდორ-
**თექე** (ქ.) 83. [ში.
**თილი** (ს.) 10.
**თინიბეგ** (ს.) 52. 53.
**თირთვილიანი** 59. 79. რთვი-
**თისო** (ს.) 63. [ლიანი.
**თოთო** (ს.) 36.
**თორ** 59. თორემ.
**თორლვა** (ს.) 7. 8. 22.
**თურსიელი** (ადგ.) 91.
**თურქია** (ს.) 71.
**თურქო** (ს.) 71.

**იალ ალმთაც** 63. მოსვენებით, კმა-
ყოფილად, ნეტარებით.
**ივანაური** (გვ.) 52. 53.
**ითაბან** (ს.) 37.
**ითაბანული** (გვ.) 37. 43. 48.
**ინდოეთი** (ქვეყანა) 83.
**ინდურთა** (სოფ.) 39. 47. 49.
**იოგი** (ს.) 71.
**იჩო** (ს.) 72.
**იჩუ** (სოფ.) 56.
**იჩუა** (ს.) 61.
**იჰირაული** (გვ.) 71.

**კანთო** (ს.) 59.
**კახო** (ს.) 38.
**კელესაური** (გვ.) 73.
**კესელო** (სოფ.) 60.
**კეხუ** (ს.) 59.
**კვავლო** (სოფ.) 10.
**კიმოთე** (ს.) 57. 58.
**კიცვა** (ს.) 76.
**კოდი** 11. 92. ჭურჭელი სასმე-
ლისთვის.
**კოპალა** 11. წმინდანის.
**კოჩხო** 89. ხის ჭურჭელი წყლის
**კოჰაურ** (ს.) 17. [სასმელად.

**ლაა** ან **ლაე** 50. 69. 79. ზე-
**ლაბაზან** (ს.) 64. [დაველა.
**ლაგაზი** (ს.) 26. 27.
**ლალი** 37. 54. 78. თავისუფა-
ლი, კადნიერი, გამბედავი, მხი-
არული, უდარდელი.
**ლაშარი** (სოფ.) 21.
**ლაშარ გიორგი** 11. წმინდანის.
**ლეგა** 46. ნაცრის ფერი.
**ლიბო** 9. 30. 49. სამორკველი.
**ლილი** (ს.) 68.
**ლიშნება** 68. ნაშნება.
**ლოგინობა** 9. ლოგინში წოლა.
**ლოპოტა** (მდ.) 20.
**ლუბი** 88. გამხდარი
**ლუი** (ს.) 64. 65. 66.
**ლურჯა** 21. 36. 40. 43. 52.
86. ცხენი (ლურჯი).
**ლუხუმი** (ს.) 6. 44. 64. 65. 66.

**მაგახის ღელე** (ადგ.) 39.
**მაგეხის ციხე** (სოფ.) 39.
**მაგეხ გიორგი** 11. წმინდანის.
**მაით** 38. 53. მანდედგან.
**მაკერი** (მ.) 47.
**მოკუთი** (ს.) 68.
**მამადი** (ს.) 46.
**მანგია** (ს.) 56.
**მანდილი** 27. 63. მოსასხამი, შო-
**მანჰარაული** (გვ.) 67. [სხვევი.
**მაჟარა** 38. 69. ერთგვარი თოფის.
**მართება** 69. გამართვა, მომარ-
**მარქაფა** 43. ცხენი. [თვა.
**მარხვა** (ს.) 23.
**მასახელარი** 70. ანუ **ნასახელა-
რი** — სახელგათქმული.
**მაცნე** 41. 44. 49. მოამბე.
**მაწეხის ღელე** (ადგ.) 70.
**მბრუნავი** 32. მოარული.

**მდევარი** 40. 54. 58. 70. 92. მტერზედ გამოდევნებული კა-ცი ან ჯარი. გამოდევნება.
**მელეკე** 16. ლეკების წინააღმდეგ შებრძოლი.
**მემეტე** 10. 37. ფალავანი ბრძოლაში.
**მემრ** 72. მერმე.
**მერ** 74. მერმე.
**მერმინას** 11. მერმე.
**მეტი** 30. უფროსი, უმჯობესი.
**მეტობა** 61. უმჯობესობა.
**მექვაბაური** (გვ.) 57.
**მეშველი** (ს.) 10. 41. 57. 73.
**მზირი** 69. ლაშქარი.
**მთვრალაი** (ს.) 57. 71.
**მილარი** 68. სამანი, მიჯნა.
**მიქა** (ს.) 46. 69.
**მკერდი** 16. ძაფი.
**მოგოგება** 45. მოჭენება.
**მოგულვა** 72. მოხურვა.
**მოზაი** (ს.) 52. 71.
**მოუცდარი** 37. დაუმარცხებელი.
**მოძალე** 10. 32. ძალის მხმარებელი.
**მოჰვრეტა** 65. გახვრეტა.
**მოჯერე** 14. 18. ღამის ცხვრის დარაჯი.
**მულანლო** (სფ.) 74.
**მურთაზ** (ს.) 33. 37. 38. 48.
**მღერა** 73. თამაშობა.
**მცილავი** 30. მოცილე.
**მწერელი** 29. ბედისწერა.
**მხალი** 40. 53. ბალახი. ერთ-გვარი საჭმელი ბალახი, რომელსაც მომზადების დროს დაჭკუწავენ ხოლმე.
**მჯობობა** 69. ჯობნა, ჯობინება.
**მხრიანი** 86. მნიშვნელობიანი, რისამე მომასწავებელი.

**ნაბუქი** 88. ნამქერი, ქარისგან მოგროვილი თოვლი.
**ნადავლი** 7. მოტაცებული.
**ნავლი** 60. ფერფლი.
**ნაზარალი** (ადგ.) 75.
**ნაიბი** 61. დაღესტანში მაზრის უფროსი.
**ნაკუდა** (ს.) 25. 69. 72.
**ნაკუდაურთა** (ს.) 43.
**ნანა** (ს.) 7. 8. 72. 80.
**ნანელი** (ს.) 72.
**ნანოზე** (ს.) 80.
**ნაომარი** 19. 74. ადგილი, სადაც ომი მომხდარა.
**ნარჩევი** 61. 68. რჩეული, არჩეული.
**ნასახელარი** 70. 75. სახელშექმნილი, სახელ-გათქმული.
**ნასახელები** 69. იგივე.
**ნაუნჯი** 29. ნაცადი, ერთგული.
**ნასისკარ კვირაე** 11. წმინდანის.
**ნაქერალი** 31. ქერ-ნაჭამი.
**ნაქერალი** (მ.) 30. 33. 37. 48. 53. 54.
**ნალბი** 83. ნაღმი, ლაღუმი.
**ნაყავერო** ანუ **ნაყაირო** (მ.) 23. 33. 37. 43. 85.

**ნაცადი** 71. ნამოქმედარი.
**ნაციხარი** ანუ **ნაციხვარი** (სოფ.) 50.
**ნაწიდარი** 53. 74. ალაგი, სადაც ცხვარს აყენებენ.
**ნაწვრეტი** 30. ნახვრეტი.
**ნაჭერი** 39. ჭრილობა.
**ნაჭრევიანი** 56. დაჭრილი.
**ნიავ-ქარი** 37. მარდი, მკვირცხლი.
**ნოტო** 38. 57. 72. ნაწილი.
**ნუცალი** (ს.) 43.

**ომაი** (ს.) 50. 73.
**ომალო** (სოფ). 37. 60. 63. 71.
**ორწყალი** (ადგ.) 57. 58.
**ორხევი** (ადგ.) 24. 69.

**პანკისი** (ხეობა) 39.
**პაპაი** (ს.) 15.
**პერი** 91. 92. ქაფი.
**პირი** 72. ნაპირი, ბოლო.
**პირიქითი** (თ.) 37. 54.
**პურწყალი** 10. 92. პურადი.
**პყარი** 48. 70. მაგარი.
**პწკალი** 44. 55. 70. ბრჭყალი; **პწკალზე**—მზად.

**ჟველურთა** (სოფ.) 55.
**ჟინჟლი** 86. ჟინჟლის ღუღლა.
**ჟინჟლიანი** 86. ჟინჟლიანი.
**ჟოლი** 20. მთის ხილია.
**ჟრიალი** 52. აბჯრის ხმაურობა.

**რადამ** 61. 87. რატომ.
**რაინაული** (გვ.) 52.
**რალი** 38. იხ. **რიალი** (?).
**რამტვენი** 57. რავდენი.
**რვალი** 16. 66. სპილენძი.
**რიალი** 41. დაცემა, დასხმა.
**რქა** 18. 44. 45. **ქუდი რქაზედ**—ქუდი გვერდზე.

**საამჯნო** 23. შესაკრებელი ალაგი.
**საბაკე** (მ.) 38.
**საბედო** (ს.) 63.
**საგათენებლოდ** 30. 43. 49. 60. გათენებისას.
**საგი** (ს.) 46.
**საგირთა** (სოფ.) 39.
**საველოთ** 19. სალაშქროდ.
**საკაცე** 38. 54. მკვდრის გადასატანი.
**საკურის გორა** (მ.) 37.
**სათქმო** 49. სალაპარაკო.
**სალაშნე** 52. 64. სანიშნე, ნიშანი.
**სამება** 11. 53. 49. 70. ხატის. 54. კაცის სახელის.
**სამზეო** 89. საქაო.
**საპყინვრე** (მ.) 57.
**სამყინვრის ლელე** (ადგ.) 37.
**საპყურის ლელე** (ადგ.) 85.
**სამციხე** (სოფ.) 6. 47.
**სანგალი** 27. 48. 61. 73. შემოვლებული სიმაგრე კედლის [მსგავსად.
**სანდრო** (ს.) 89.
**საქიონელი** (ხალხია) 59.

**საქცივლიანი** 92. ზრდილობიანი.
**საღრა** 37. ნიშა ცხენის.
**საჭინჭვლე** (ადგ.) 85.
**სახეო** (სოფ.) 48. 60.
**სახვევრიანი** 54. მიხვეულ-მოხვეული.
**სახსარი** 7. დასახსნელი საშუალებას.
**სიათა** 55. 57. 61. 71. 92. თოფის.
**სიახლე** 15. სიყმაწვილე.
**სიპი** 77. ქვას.
**სპეროზა** (მ.) 54.
**სრევა** 45. 55. სროლა.
**სულეთი** 23. 39. 61. 71. 74. 79. 86. 92. საიქიო.
**სულთანი** (ს.) 10.
**სულის ყრა** 24. სულის ალებს.

**ტალავარი** 30. ტანისამოსი.
**ტახტის ბოგირი** (ადგ.) 54.
**ტბათანი** (მ.) 53.
**ტუტარიკი** (ადგ.) 8.
**ტყისთავის ცერი** 25. ტყის პირი.
**ტყრიალი** 47. ტკაცა-ტკუცი.

**უერთოდ** 80. უერთმანეთოდ.
**უჟურგა** (ს.) 56.
**უთური** (ს.) 74.
**უკანამხარე** (ადგ.) ივრის მხარეს ეძახიან.
**ურდიანი** 84. მრავალი.
**უსატნოდ** 89. შესატანებლის უქონელად.
**უსუფი** (ს.) 73.
**უწადინოთ** 16. უსურველად.

**ფარგული** 63. გულ-საყვარი.
**ფარსმა** (სოფ.) 10. 33. 37. 38. 48. 85.
**ფილა** (ს.) 57. 58.
**ფილაური** (გვ.) 73.
**ფრანგი** 12. 13. ფრანგი, საფრანგეთი.
**ფრანგულა** 49. ხმალის.
**ფრანგული** 12. 30. 68. 71. 72. ხმალის.
**ფშაველი** (სოფ.) 48.
**ფშლა** (სოფ.) 10.
**ფხა** 10. 54. 68. მჭრელი პირი იარაღის.
**ფხიანი** 22. 32. 56. მჭრელი.
**ფხიკლია** (ს.) 79.

**ქაბდის ხეობა** (ადგ.) 69.
**ქადინი** 42. 58. მექარა.
**ქავთარი** (ს.) (მთ.) 6. 22. 68. 74. 85.
**ქავი** 50. 55. გალავანი(?)
**ქანქანი** 55. 63. ხვრელი.
**ქარსამაული** (გვ.) 81.
**ქაჩუ** (მ.) 26. 38. 48.
**ქერქა** 12. ზემოპირი.
**ქედაი** (ს.) 36.
**ქედანა** 53. ძაღლის.
**ქვაჯანა** (სოფ.) 56.
**ქვათენთა** (სოფ.) 55.

**ქიბდური** (მ.) 64. 65.
**ქმარყოფ-მოშლილი** 90. ქმრის ოჯახიდგან მშობლებთან დაბრუნებული ქალი.
**ქორვი** (მ.) 35.
**ქორთოში** (ს.) 10.
**ქოროღლი** (ს.) 69.
**ქოსაი** (ს.) 41.
**ქუმელაურთა** (სოფ.) 50. 51. 69.
**ქუმელაური** (გვ ) 63.

**ღვთისია** (ს.) 71.
**ღვთისო** (ს.) 61.
**ღილიფიანი** 41. ღილებიანი.
**ღონება** 31. დარდი, ზრუნვა.

**ყაზი** (ს.) 82.
**ყამი** 27. 35. 39. 72. შიში, რიდი.
**ყამირობა** 10. ამაყობა, მაგრობა.
**ყანა** 10. მიწა.
**ყანკია** (ს.) 47.
**ყანკიაური** (გვ.) 47.
**ყაწიმი** 6. 74. მოსართავი იარაღის ან ქამრის.
**ყიბდური** ან **ყიდური** (ადგ.) 67.
**ყიბრაგი** (ს.) 33.
**ყვარელი** (სოფ.) 82.

**შაბალი** (ს.) 58.
**შავრაი** ცხენია.
**შამალი** (ს.) 57.
**შანქი** (ს.) 48.
**შეთე** (ს.) 51. 63.
**შემორთმევა თვალისა** თვალის მოკვრა.
**შენაქო** (სოფ.) 33. 57. 60. 62. 63. 64.
**შველა** (ს.) 30.
**შილდა** (სოფ.) 17. 18.
**შინშე** 7. დეიდაშვილი.
**შირაქი** (ადგ.) 75. 86. 88.
**შიშაქი** 85. 88. ორის წლის დედალი ცხვარი, რომელსაც ჯერ არ უშობია.
**შტო** 5. **წყლის შტო**—წყლის ტოტი.
**შუ** 80. შუა.
**შურა** (ქ.) 19. იემირხანშურა.
**შუშუტი** 16. მილი

**ჩათარეშება** 68. თარეშით მისვლა. იხ. **თარეში**.
**ჩალთვა** 30. 53. 73. დაკუწვა.
**ჩამობდღვინება** 6. ჩამოშუქება.
**ჩამოჩინება** 6. 71. გამოჩინება.
**ჩამოჰაპნვა** 81. 88. დაწვნა.
**ჩამოკვივლება** 38. ხმის ჩამოსვლა.
**ჩარდახი** 9. 38. 59. სახურავი.
**ჩარღუმის ღელე** (ადგ.) 13.
**ჩალმა** ანუ **ჩალმი** (თ.) 46. 47. 49. 54. 73.
**ჩეთმა** (ადგ.) 74.
**ჩეო** (ს.) 69.
**ჩითა** 17. ბაწრით მოქსოვილი ფეხსაცმელი.

**ჩილო** (სვ.) 7. 8. 10. 41. 76.
**ჩილოს ხაა** (ადგ.) 34.
**ჩობანი** 57. მწყემსი.
**ჩქამი** 27. 37 44. 51. 54. 59.
74. 83. 85. ხმაურობა.
**ჩხარი** 86. ჭირხლი
**ჩხრიანი** 86. ჭირხლიანი.

**ცერი** 25. ნაპირი.
**ცვრიანი** 22. სველი.
**ციგუ** ს.) 10.
**ცივ-გომბორი** (მ.) 32. 79.
**ციხის ლელე** (ადგ.) 48.
**ცოტო** (ს.) 61.
**ცხადება** 40. გამოცხადება.

**ძილიჩა** (ადგ.) 75.
**ძმაილა** 8. 80. ძმა.
**ძუვ-ლებილი** 32. ძუა-შელებილი.

**წამზედა** 27. სწრაფად.
**წარო** (სვ.) 27. 39. 70.
**წასნი** (ს.) 63.
**წითება** 80. გაწითლება.
**წინამხარი** (ადგ.) 75. 88.
**წიწო** (ს.) 73.
**წკრე** 68. წრე.
**წოვა** (თ.) 27. 43. 46. 47.
53. 54.
**წოვაჲა** ან **წოათა** (სვ.) 11. 37.
39. 47. 49. 54. 89.
**წოწრე** (ს.) 15.
**ღყაროანა** (მ.) 52. 53.

**ჭარი** (ქვეყანა) 17. 18. 46. 68.
**ჭარ-ბელაქანი** (ქვეყანა) 22. 70.
**ჭანთი** (ადგ.) 13.
**ჭერხო** 72. ჭერი.
**ჭეშო** (სვ.) 4. 10.
**ჭვრიტი** (ს.) 44.
**ჭირკვან** (ადგ.) 67.
**ჭონთიო** (სვ.) 10.
**ჭრევა** 19. გაჭრევინება.

**ხანზედა** 26. დროზედ.
**ხანჯარი** 23. ხანჯალი.
**ხაპარი** (ს.) 72.
**ხაროვანი** 21. 34. ხარების ნა-
ხირი.
**ხაშმი** (სვ.) 79.
**ხაჩო** (ს.) 51. 72.
**ხაწე** (ს.) 35. 44.
**ხახაბო** (სვ.) 79.
**ხახმატი** (ს.) 59.
**ხახმატ გიორგი** 11. წმინდანია.
**ხახონი** (ს.) 8.
**ხდომა** 16. მოხდა.
**ხდურება** 19. მუსრვა.
**ხელუქცევი** 61. ხელშეუბრუნე-
ბელი.
**ხელის დარევა** 54. მორევა.
**ხეცო** (ს.) 61.
**ხეცური** (სვ.) 52.
**ხვარშნელი** (ადგ.) 64.
**ხვახიდი** (მ.) 87.
**ხვედეგი** (ს.) 71.
**ხიზივარი** (ს.) 55.
**ხილთანე** (ადგ.) 48.

**ხილთანის ვაკე** (შეცდ. ჴიდთა-
ნის ვაკე) (ადგ.) 3.
**ხიო** (ს.) 72.
**ხირიმი** 38. 44. 67. 87. თოფის.
**ხისო** (სოფ.) 50. 51. 69.
**ხიწო** (ს.) 7.
**ხოსიკი** (ს.) 10.
**ხოგორა** (ადგ) 38.
**ხორაჯის თავი** (მ.) 54.
**ხოშორა** (სოფ.) 21.
**ხოხი** 27. სალესი ქვა.
**ხულანტი** (სოფ.) 34.
**ხუნჩალე** (ს.) 71.
**ხუროთ** 7. ერთმანერთზედ.
**ხუტი** (ს.) 87.
**ხუტილო** (ს.) 87.
**ხუტური** (ს.) 71.
**ხუშეთი** (სოფ.) 61.
**ხუცი** (ს.) 27. 47.

კალი 89. ქუმელი. [გი.
კორკი 89. მთაში დაცემული ალა-

**ჯაბრი** 49. ჯიბრი.
**ჯავარი** 37. 43. ჭრელი, ბრწყინ-
ვალების გამომცემი.
**ჯამრული** (ს.) 57. 61. 81.
**ჯანგი** 14. ჟანგი.
**ჯანთო** (ს.) 75.
**ჯანლა** (ს.) 46.
**ჯანლი** 37. ნისლი.
**ჯაო** (ს.) 50. 51. 69.
**ჯარი** 14. 22. 44. 45. 53.
57. 87. კრება, ურილობა,
შეგროვილი ხალხი.
**ჯვარბოსელი** (სოფ.) 33. 48.
**ჯობინობა** 77. ჯობნა.
**ჯუმაალ** (ს.) 69.

**ჰარამი** 50. იხ. **არამი.**
**ჰარჩი** (მ.) 40.
**ჰელო** (სოფ.) 6. 27.

## თუშურს ლექსებში ხმარებულის საკუთარის სახელების და გვარების მაჩვენებელი.

**აბალო** (ს.) 10.
**აბაიშვილი** (გვ.) 38.
**აბდულა** (ს.) 75.
**აბული** (ს.) 10. 59.
**ალია** (ს.) 82.
**ალო** (ს.) 38.
**ალუდა** (ს.) 10. 38.
**ალუდაური** (გვ.) 13.
**ამირაძე** (გვ.) 57.
**ანდერაზ** (ს.) 43.
**ანთაი** (ს.) 19. 37. 43. 46.
**არდაზიანი** (გვ.) 48.

აუ (ს.) 10.
აფშინაშვილი (გვ.) 75.
აშახანიძე (გვ.) 67.

ბაბო (ს.) 57. 83.
ბათირი (ს.) 35. 40.
ბათიროელი (გვ.) 40.
ბაიძე (გვ.) 58.
ბაკური (ს.) 45. 50.
ბაჩოი (ს.) 68.
ბაწარაული (გვ.) 38.
ბელადიშვილი (გვ.) 75.
ბელეშიშვილი (გვ.) 82.
ბერდი (ს.) 57. 58.
ბერიკაიძე (გვ.) 50. 51.
ბერიკაშვილი (გვ.) 69.
ბერო (ს.) 38. 62. 72.
ბეროშვილი (გვ.) 38.
ბექურაიძე (გვ.) 50. 51.
ბექურის ძე (გვ.) 67.
ბეწუნაიძე (გვ.) 72.
ბილოძე (გვ.) 73.
ბორძიკიძე (გვ.) 24.
ბუჩაი (ს.) 77.

გაბრიძე (გვ.) 23.
გამარის ძე (გვ.) 25.
გამარო (გვ.) 50. 58.
განა (ს.) 16. 55.
გარა (ს.) 59.
გაფრინდაული (გვ.) 31. 32. 56.
გიგა (ს.) 57. 74.
გიგი (ს.) 26. 27. 75.
გიგოლე (ს.) 73.
გიო (ს.) 50. 61. 83.
გიორგი (ს.) 10. 51. 63. 73.
გიჩალე (ს.) 38. 71. [74.
გოგი (ს.) 75.
გოგითაიძე (გვ.) 38.
გოგნელი (ს.) 58.
გოიძე (გვ.) 25.
გორგა (ს.) 45.
გორგი (ს.) 19. 20. 21. 73.
გოშპარა (ს.) 73.
გოჩიკაიძე (გვ.) 71.
გუგო (ს.) 69.
გულუხვ (ს.) 69.
გულუხვაიძე (გვ.) 69.

დავით (ს.) 10. 19. 51. 73.
დაო (ს.) 61. [83
დართლოელ (ს.) 72.
დარქიზან (ს.) 73.
დევდარი (ს.) 37. 43.
დემეტრე (ს.) 75. 87.
დენგა (ს.) 48. 60. 62.
დიდოიძე (გვ.) 83.
დილოიძე (გვ.) 70.
დოჭოელი (ს.) 7.

ელანი (ს.) 62.
ერეკლე (ს.) 28. 29. 70.

ვაზუზი (ს.) 22.
ვანო (ს.) 73.

ვანეშვილი (გვ.) 75.
ვარდიძე (გვ.) 61.

ზეზვა (ს.) 31. 32. 44. 56.
ზიდონა (ს.) 71.
ზივინიძე (გვ.) 24.
ზობაი (ს.) 72.
ზურაბი (ს.) 6. 73. 75.

თადიაური (გვ.) 10.
თავბერაიძე (გვ.) 10. 19.
თავბერიძე (გვ.) 57.
თათარა (ს.) 72.
თათრულაიძე (გვ.) 71.
თამარი (ს.) 72.
თევდორე (ს.) 11.
თიბელაიძე (გვ.) 71.
თილი (ს.) 10. 19. 20. 21. 68.
თილიძე (გვ.) 10. 19. 20. 21. [68.
თინიბეგ (ს.) 52. 53.
თინა (ს.) 38.
თისო (ს.) 63.
თოთო (ს.) 36.
თორღვა (ს.) 7. 8. 22.
თორხილაიძე (გვ.) 71.
თურქია (ს.) 71.
თურქო (ს.) 71.

ივანაიძე (გვ.) 79.
ივანე (ს.) 10. 71. 73. 75. 80. 84.
ითაბანული (გვ.) 37. 43. 48.
ითაბან (ს.) 37.

ინაურიძე (გვ.) 71.
იოგი (ს.) 71.
იჩო (ს.) 72.
იჩუა (ს.) 61.
იჩუკაიძე (გვ.) 92.
იჭირაული (გვ.) 71.

კახიძე (გვ.) 61. 72.
კანთო (ს.) 59.
კახო (ს.) 38.
კელესაური (გვ.) 73.
კეხუ (ს.) 59.
კვესიაიძე (გვ.) 83.
კიმოთე (ს.) 57. 58.
კიცვა (ს.) 76.
კოჭაურ (ს.) 17.

ლაბაზან (ს.) 64.
ლაგაზი (ს.) 26. 27.
ლევან (ს.) 7. 33. 37. 43. 85.
ლილი (ს.) 68.
ლუი (ს.) 64. 65. 66.
ლუხუმი (ს.) 6. 44. 64. 65. [66.

მამადი (ს.) 46.
მანჭარაული (გვ.) 67.
მარხვა (ს.) 23.
მარხვაიძე (გვ.) 83.
მანგია (ს.) 56.
მგელაურიძე (გვ.) 73.
მგელოძე (გვ.) 80.
მექვაბაური (გვ.) 57.
მეშველი (ს.) 10. 41. 57. 73.

მინდი (ს.) 49.
მიქა (ს.) 46. 69.
მიქელ (ს.) 6. 18.
მთვრალაი (ს.) 57. 71.
მოზაი (ს.) 52. 71.
მოზაიძე (გვ.) 61.
მოზაშვილი (გვ.) 61. 71.
მოკუთი (ს.) 68.
მურთაზ (ს.) 33. 37. 38. 48.
მუცალა (ს.) 47.

ნაბაიძეი (გვ.) 71.
ნაკუდა (ს.) 25. 69. 72.
ნაკუდაიძე (გვ.) 79.
ნაკუდაურთა (ს.) 43.
ნანა (ს.) 7. 8. 72. 80.
ნანაი (ს.) 55.
ნანელი (ს.) 72.
ნანოზე (ს.) 80.
ნუცალი (ს.) 43.

ომაი (ს.) 73. 50.
ოსმალიძე (გვ.) 74.
ოსურაიძე (გვ.) 61.

პაპაი (ს.) 15. 77.
პეტრე (ს.) 83.

რაინაული (გვ.) 52.
როსტომ (ს.) 34. 35.

საბედო (ს.) 63
საგი (ს.) 46.
საგინაშვილი (გვ.) 37. 43. 48.
სამება (ს.) 54.
სანდრო (ს.) 89.
სალირიშვილი (გვ.) 30.
სულთანი (ს.) 10.

უთურგა (ს.) 56.
უთურგაიძე (გვ.) 56.
უთური (ს.) 74.
უსუფი (ს.) 73.

ფარეჯანიძე (გვ.) 19.
ფიდაურიძე (გვ.) 83.
ფილაურიძე (გვ.) 83.
ფილა (ს.) 57. 58.
ფილაური (გვ.) 73.
ფუნჩაიძე (გვ.) 81.
ფშაველაიძე (გვ.) 71.
ფხიკლია (ს.) 79.

ქავთარი (ს.) 22. 68. 74. 85.
ქავთარაი (ს.) 77.
ქაზნიძე (გვ.) 10.
ქარსამაული (გვ.) 81.
ქარუმიშვილი (გვ.) 61.
ქედაი (ს.) 36.
ქედაიძე (გვ.) 69.
ქოთაძე (გვ.) 61.
ქოთილაიძე (გვ.) 16. 55.
ქორთოში (ს.) 10.
ქოროღლი (ს.) 69.
ქოროღლიშვილი (გვ.) 69.
ქოსაი (ს.) 41.

ქუმელაური (გვ.) 63.
ქურაიძე (გვ.) 72.
ქურაძე (გვ.) 61. 72.

ლანიში (ს.) 24.
ღვთისია (ს.) 71.
ღვთისო (ს.) 61.

ყაზი (ს.) 82.
ყანკია (ს.) 47.
ყანკიაური (გვ.) 47.
ყიბრაგი (ს.) 33.
ყიზილაშვილი (გვ.) 75.

შააისშვილი (გვ.) 46.
შაბალი (ს.) 58.
შალაფიშვილი (გვ.) 75.
შავხელიძე (გვ.) 48.
შამალი (ს.) 57.
შამილის შვილი (გვ.) 53.
შანქი (ს.) 48.
შეთე (ს.) 24. 51. 63.
შველა (ს.) 30.
შველაიძე (გვ.) 17. 30.
შიო (ს.) 75.

ჩაგაიძე (გვ.) 69.
ჩაირიშვილი (გვ.) 76.
ჩეო (ს.) 69.
ჩეთაძე (გვ.) 45.
ჩუნთიაიძე (გვ.) 50.

ციგუ (ს.) 10.
ციხეშაიძე (გვ.) 23.
ცოგიძე (გვ.) 57. 63.
ცოტო (ს.) 61.

ძეოძე (გვ.) 89.

წასნი (ს.) 63.
წიწო (ს.) 73.
წოწრე (ს.) 15.

ჭვრიტი (ს.) 44.
ჭირკვან (ს.) 67.

ხაღიძე (გვ.) 73.
ხალიაიძე (გვ.) 18.
ხაპარი (ს.) 72.
ხაჩო (ს.) 51. 72.
ხახმატი (ს.) 50.
ხახონი (ს.) 8.
ხეცო (ს.) 61.
ხელაიძე (გვ.) 62.
ხაწე (ს.) 35. 44.
ხვეღეგი (ს.) 71.
ხიზივარი (ს.) 55.
ხითაძე (გვ.) 72.
ხიო (ს.) 72.
ხიწო (ს.) 7.
ხოსიკი (ს.) 10.
ხუნჩალე (ს.) 71.
ხუტი (ს.) 87.

**ხუტური** (ს.) 71.
**ხუტილო** (ს.) 87.
**ხუცი** (ს.) 27. 47.
**ჯანთო** (ს.) 75.
**ჯანლა** (ს.) 46.
**ჯამრული** (ს.) 57. 61. 81.
**ჯაო** (ს.) 50. 51. 69.
**ჯუმაალ** (ს.) 69.

**შენიშვნა**. როგორც ამ სიითგან ჩანს, თუშურის გვარების დაბოლოვებანი არიან: **შვილი, ძე, ური, ული** და **იანი.** ხშირად გვარის მაგიერ ლექსებში მოხსენებულია მამის სახელი ამნაირად: **ქავთარი ლუხუმის ძე, მიძელ ზურაბის ძე** ან **ციგუს სულთანი** (ე. ი. ციგუს ძე სულთანი), **ხოსიკის ივანე** (ე. ი. ივანე ხოსიკის ძე) **აბალოს დავითი** (ე. ი. დავით აბალოს ძე), **აბულის ქორთოში** (ე. ი. ქორთოში აბულის ძე) ალაგ-ალაგ დარჩენილია პირვანდელი ფორმა გვარისა, მაგ. **თილის ძე** (ნაცვლად ფორმისა **თილიძე**), **ბექურის ძე** (ნაცვლად ფორმისა **ბექურიძე** ან **ბექურაიძე**). იხმარება აგრეთვე გვარის ფორმა, მსგავსი ქართლურის და მესხურისა: **ქოთილთა განა** (განა ქოთილაძე), **შველათ კოპაურ** (კოპაურ შველაიძე), **ჩეთათ გორგაი** (გორგაა ჩეთაძე), **ბექურათ ქალი** (ბექურაძის ქალი), **გულუხვათ ბიჭები** (გულუხვაიძის ბიჭები), როგორც ქართლში და მესხეთში იტყვიან: **ციციანთ უმა, ტლაშაანთ პეტრე, ლუკაანთ დავითი, თამარათ მიძელ** (აქედგან: **მიძელ თამარათი**).